პაულო კოელიო

გამოსაჯვრებელი მოსწავლე



წინასიტყვაობა

ჰამიდი, მოდის ინდუსტრიის ერთ-ერთი ბურჯი, კარიერის დაწყებისას ყველაზე კეთილი განზრახვით ხელმძღვანელობდა, სანამ იმ სისტემის ტყვეობაში არ მოექცა, რომლის გამოყენებასაც ბოლოს შეეცადა.

გაბრიელა, ჩვენს თანამედროვეთა უმრავლესობის დარად, დარწმუნებულია, რომ დიდება ამქვეყნად თვითმიზანი და უმაღლესი ჯილდოა, ამიტომაც წარმატებასა და სახელგანთქმულობას აღმერთებს.

რუსი მილიონერი იგორი დარწმუნებულია, რომ აქვს უფლება, მოკლას, თუკი საამისოდ საფუძვლიანი მიზეზი ექნება - მაგალითად, ვიღაც იხსნას ტანჯვისგან ან ხელახლა მიიპყროს ყოფილი ცოლის ყურადღება.

ეს წიგნი არ არის თრილერი, მაგრამ ჩვენი სინამდვილე მაინც შეუფერადებლადაა ასახული მასში.

ჩემი წიგნების ერთ-ერთი მთავარი თემაა - შეგეძლოს, სრულად ზღო საკუთარი ოცნებების გამო. მაგრამ იბადება კითხვა: რა ძალით გვაქვს ოცნებები თავს მოხვეული? რამდენიმე ათწლეულია, ჩვენ ვცხოვრობთ ცივილიზაციაში, რომელიც ყველაფერზე მაღლა აყენებს დიდებას, ფულს, ძალაუფლებას და ახერხებს მრავალთა დარწმუნებას, რომ სწორედ ესაა ჭეშმარიტი ღირებულებანი, რომელთა მოსაპოვებლადაც უნდა ისწრაფვოდე. ჩვენ არ ვიცით, რომ ისინი, ვინც ჩვენით მანიპულირებენ, სცენის მიღმა რჩებიან და თავს საქვეყნოდ არ ამჟღავნებენ. მათთვის ცხადია, ჭეშმარიტი ძალაუფლება ისაა, რომელიც მანამდე რჩება ყველასთვის დაფარული, სანამ მეტისმეტად დაგვიანებული არ იქნება მისი შემჩნევა - და ხაფანგიც იკეტება. ჩემი წიგნი ამ ხაფანგზეა.

რომანში „გამარჯვებული მარტოა“ ოთხი მთავარი გმირიდან სამი თავისი ოცნებებით მანიპულირებას ცდილობს.

პაულო კოელიო

4:AM

მობილურ ტელეფონზე ოდნავ მოზრდილი პისტოლეტი „ბერეტა PX4“ დაახლოებით შვიდას გრამს იწონის. მჭიდში თავსდება ათი ვაზნა. კომპაქტური და მსუბუქი, ჯიბეში თითქმის შეუმჩნეველია, მცირე კალიბრს კი აქვს ერთი უდავო უპირატესობა: ტყვია სხეულში გამჭოლად კი არ გაივლის - მსხვერპლს ძვლებს უმსხვრევს, კუნთებს უგლეჯს, სისხლძარღვებს უხეთქავს.

fb.com/groups/elib

ასეთი კალიბრის ტყვიის მოხვედრისას, ბევრს, რასაკვირველია, აქვს გადარჩენის შანსი; ათასობით შემთხვევა ყოფილა, როცა ტყვია არ მოხვედრია მსხვილ არტერიას, მსხვერპლს რეაგირება მოუსწრია და თავდამსხმელი განუიარაღებია, თუმცა გამოცდილ თავდამსხმელს შეუძლია, მსხვერპლი ან წამიერი სიკვდილით დაასაჩუქროს - ესროლოს შუბლში, ცხვირის ფუძეში, გულში, ანდა ნელა მოკლას: ამ შემთხვევაში ლულა ნეკნის ქვეშ გარკვეული კუთხით უნდა დაუმიზნო და ისე გამოჰკრა ჩახმახს. ტყვიით განგმირული უცებ ვერ ხვდება, რომ სასიკვდილოდაა დაჭრილი და თავდამსხმელის მოგერიებას, გაქცევას ან ვინმეს საშველად მოხმობას ცდილობს. მეორე ვარიანტის ძირითადი ღირსება ისაა, რომ მსხვერპლი ასწრებს თავისი მკვლელის დანახვას, თანდათანობით ეცლება ძალა, ბოლოს ძირს ეცემა, სისხლი არ სდის და ვერ გარკვეულა, რა ხდება მის თავს.

რასაკვირველია, ეს იარაღი პროფესიონალებისთვის არ არის განკუთვნილი. „ის ქალებს უფრო შეეფერებათ, ვიდრე ჯაშუშებს“, - მახსოვს, ასე ეუბნება ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის ერთ-ერთი მოხელე ჯეიმს ბონდს, როცა მოძველებული პისტოლეტის ნაცვლად მის სრულყოფილ მოდელს აძლევს. მაგრამ ჯეიმს ბონდი თავს არ სდებს პროფესიონალობაზე, მისი განზრახვის შესასრულებლად „ბერეტაზე“ უკეთესი ჯერჯერობით არ გამოუგონებიათ.

პისტოლეტი შავ ბაზარზეა ნაყიდი, ასე რომ, ლულის იდენტიფიკაცია შეუძლებელი იქნება. მჭიდში ხუთი ვაზნაა, ის კი მხოლოდ ერთის გამოყენებას აპირებს. ფრჩხილების ხერხით ტყვიას თავზე ჯვრისებური ნასერი აქვს ამოფხაჭნილი და თუკი, ასე თუ ისე, რაიმე მაგარს მოხვდება, ოთხ ნაწილად გაიფანტება.

თუმცა ის პისტოლეტს უკიდურესი შემთხვევისთვის შემოინახავს. ვიღაცისთვის სამყაროს ჩაქრობის, სხვაგვარი დაღუპვის ხერხიც არსებობს. და, უეჭველია, აღმოაჩენენ თუ არა პირველ მსხვერპლს, ევა მაშინვე მიხვდება, რომ ეს სიყვარულის გამოა ჩადენილი, რომ იგორის სულში იოტისოდენა ჯავრი და წყენაც არ არსებობს. და თუ იგი დაუბრუნდება, მიიღებს და არ ჰკითხავს, რა ცხოვრებით ცხოვრობდა ბოლო ორ წელიწადს.

იგორს იმედი აქვს, რომ ექვსთვიანი გულმოდგინე მომზადება უშედეგოდ არ ჩაუვლის, თუმცა ამაში დარწმუნებას მხოლოდ დილით შეძლებს. დიახ, ასეთია მისი გეგმა - ისე უნდა მოიქცეს, რომ ძველბერძნული მითების ფურიამ თავისი შავი ფრთები უწვდინოს ბრილიანტების, ბოტოქსის, საოცარი სიჩქარით მქროლავი ორადგილიანი სპორტული ავტომობილების ლაჟვარდოვან სამყაროს. ძალაუფლებაზე, წარმატებაზე, დიდებასა და ფულზე ოცნება ნებისმიერ წუთს შეიძლება შეწყდეს ამ პატარა საგნით, თან რომ ატარებს.

ახლა უკვე შეუძლია ავიდეს თავის ნომერში, რადგან 11:11 PM-ს მოსალოდნელი უკვე მოხდა, თუმცა მზად იყო, იმდენ ხანს ეცადა, რამდენიც საჭირო იქნებოდა. ჰოლში ლამაზი ქალის თანხლებით შემოვიდა მამაკაცი - ორივე ისე იყო ჩაცმული, როგორც

გალა-საღამოზეა მიღებული. ასეთი საღამოები ეწყობა წვეულების შემდეგ, სადაც გაცილებით მეტი ხალხი იყრის თავს, ვიდრე რომელიმე საფესტივალო ფილმის ჩვენებაზე.

იგორმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ქალი არც შეუმჩნევია, ერთი ხელით ისე ასწია ფრანგული გაზეთი (რუსულს შეიძლება ეჭვი გამოეწვია), რომ შემოსულს მისი სახე არ დაენახა. თუმცა სიფრთხილე ამაო გამოდგა: ქალს, თავის სრულ უპირატესობაში უცილობლად დარწმუნებული ხალხის დარად, აქეთ-იქით არც კი გაუხედ-გამოუხედავს. ასეთი ქალები აქ იმიტომ მოდიან, რომ ბრწყინავდნენ და ცდილობენ, ყურადღება არ მიაქციონ სხვების ჩაცმულობას, ვინაიდან მავანთა ზედმეტმა ბრილიანტებმა და ჩაცმა-დახურვის ექსტრავაგანტურობამ შეიძლება სერიოზულად წაუხდინოთ გუნება-განწყობა, მოეძალოთ სევდა, გაუჩნდეთ არასრულფასოვნების კომპლექსი, თუნდაც მათი სამოსი და აქსესუარები წარმოუდგენლად ძვირი ღირდეს.

ქალის თანმხლები - ელეგანტური ჭაღარა მამაკაცი - ბარის დახლთან მივიდა და შამპანური მოითხოვა, რომლის გარეშეც, რაღა თქმა უნდა, ვერ დაიწყებ საღამოს.

იგორმა დაინახა, რომ მას ოფიციანტთან თავი თავაზიანად ეჭირა, ორი ბოკალი გამოართვა, მადლობა გადაუხადა და საკმაო გასამრჯელოც დაუტოვა.

იგორს სიხარული დაეუფლა, რის გამოც სისხლში ადრენალინმა იმატა. ხვალ შეეცდება ისე მოიქცეს, რომ ქალმა მისი აქ ყოფნა შეამჩნიოს, მერე ერთმანეთთან შეხვედრის ჟამიც დადგება.

ოღონდ, რით დამთავრდება ეს შეხვედრა, მხოლოდ ღმერთმა უწყის. იგორმა, თავგამოდებულმა მორწმუნემ, მოსკოვის ერთ-ერთ ეკლესიაში აღთქმა დადო მარიამ მაგდალინელის წმინდა ნაწილების წინაშე (ისინი რუსეთის დედაქალაქში რამდენიმე დღით მიაბრძანეს, რათა თაყვანი ეცათ მორწმუნეებს). ის თითქმის ხუთი საათი იდგა გრძელ რიგში და როცა, ბოლოს და ბოლოს, მიუახლოვდა კიდობანს, დარწმუნებული იყო, რომ ეს ყველაფერი მღვდლებმა გამოიგონეს. მიუხედავად ამისა, წმინდანს მაინც შესთხოვა მფარველობა და ილოცა, რათა მიზნისთვის ნაკლები მსხვერპლის ფასად მიეღწია. მან აღთქმა დადო: როცა ყველაფერი დასრულდებოდა და კვლავ მშობლიურ მიწაზე დაადგამდა ფეხს, ნოვოსიბირსკთან მონასტერში მცხოვრებ ცნობილ ხატმწერს ოქროთი მოჭედილ ხატს შეუკვეთავდა.

ღამის სამ საათზე სასტუმრო Martinez-ის ბარში თამბაქოს კვამლისა და ოფლის სუნი ტრიალებს. თუმცა პიანისტი ჯიმი (რომელსაც მარცხენა ფეხზე სხვა ფერის ფეხსაცმელი აცვია, მარჯვენაზე - სხვა ფერის) უკვე აპირებს როიალის სახურავის დახურვას, ოფიციანტ ქალს კი ილაჯი აქვს გაწყვეტილი, იქაურობის დატოვებას მაინც არავინ ფიქრობს. ჰოლში მთელი ღამისა თუ არა, კიდევ ერთი საათის გატარებას მაინც აპირებენ - ხომ შეიძლება უეცრად რაღაც საყურადღებო რამ მოხდესო.

მით უმეტეს, რომ კანის კინოფესტივალი ოთხი დღის წინათ გაიხსნა და ჯერჯერობით არაფერი მომხდარიყო. მაგიდებს სხვადასხვანაირი ადამიანები შემოსხდომიან, მაგრამ თავში ყველას ერთი აზრი უტრიალებს, მათ გულებს ერთი სურვილი ღრღნის - შეხვდნენ ხელისუფლებას. ლამაზი ქალები პროდიუსერებთან შეხვედრაზე ამყარებენ იმედს - ეგებ უცებ შევუყვარდე და ახალ ფილმში მნიშვნელოვანი როლი მომცესო, რამდენიმე მსახიობი კი ერთად სვამს; იცინიან, ყბედობენ და ისე უჭირავთ თავი, თითქოს ყოველივე ეს მათ არ ეხებათ, თუმცა დროდადრო მაინც კარისკენ უჭირავთ თვალი, ერთიც ვნახოთ და ვიღაც შემოვიდესო.

ვიღაც აუცილებლად უნდა შემოვიდეს. ახალბედა რეჟისორები, თავში ახალ-ახალი იდეები რომ ერევათ, შემოქმედებით აქტივში კი ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას გადაღებული რამდენიმე ვიდეო ერიცხებათ, გადაკითხული რომ აქვთ უამრავი წიგნი ფოტოგრაფიისა და კინოტექნიკის შესახებ, ბედისწერის ჯადოსნურ ცვლილებას ელოდებიან: აი, ვიღაც, მორიგი საღამოდან დაბრუნებული, მიუჯდება თავისუფალ მაგიდას, შეუკვეთავს ყავას, სიგარეტს მოწევს და იგრძნობს, რომ საშინლად მობეზრდა ყველაფერი და მისი სული სიახლისა და იდუმალებისთვისაა მზად.

რა გულუბრყვილობაა!

ასეთი რამ რომც მოხდეს, ამქვეყნად ყველაზე ნაკლებად სწორედ ამგვარი ადამიანი მოისურვებს, საფუძვლიანად ჩაუღრმავდეს მორიგი „პროექტის უნიკალურობას“, მაგრამ სასოწარკვეთილებას შეუძლია სასოწარკვეთილის მოტყუება. ხელისუფალნი დროდადრო შემოდიან, თვალს მოავლებენ ჰოლსა თუ ბარს და საჩქაროდ ბრუნდებიან თავიანთ ნომრებში. მათ არაფერი აწუხებთ, დარწმუნებულნი არიან, რომ შეუძლიათ გულარხეინად იყვნენ და არაფრისა ეშინოდეთ. სუპერკლასისადმი კუთვნილება ღალატს არ გაპატიებს. გავრცელებული ლეგენდების მიუხედავად, არც ერთი მათგანი, ვინც იცის საკუთარი მიჯნა, ერთი ნაბიჯითაც არ გადასცდება საზღვარს, სადაც შეიძლება, სხვას ფეხი დააბიჯოს. გარდა ამისა, თუკი მოსალოდნელია რაღაც მნიშვნელოვანისა და არნახულის აღმოჩენა კინოს, მუსიკისა და მოდის სამყაროში - ეს სულაც არ მოხდება სასტუმროს ბარში, ვინაიდან ძიება და გამოკვლევა სჭირდება.

სუპერკლასი ამჟამად სექსით ტკბება ქალიშვილთან, რომელმაც რაღაც სასწაულით შეაღწია ბრწყინვალე წვეულებაზე და რომელიც ყველაფერზე თანახმაა. იშორებს კოსმეტიკას, ითვალიერებს ნაოჭებს და ფიქრობს, რომ ახალი პლასტიკის გაკეთების დრო დადგა. ათვალიერებს ფოსტას, კითხულობს ახალ ამბებს, ამოწმებს, როგორ გამოეხმაურა პრესა ქსელში მოთავსებულ მის ბოლო განცხადებას. სვამს საძილე აბს ფინჯანი ჩაით, რომელსაც წონის დაკლებაც შეუძლია. მენიუში მონიშნავს საუზმისათვის ნომერში მისატან კერძს და სპეციალური საქაღალდით ჰკიდებს კარის

სახელურზე ფირფიტასთან ერთად წარწერით - „არ შემაწუხოთ“. სუპერკლასი თვალებს ხუჭავს და ფიქრობს: „მალე მაინც დამეძინოს, ხვალ ათი საათისთვის შეხვედრა მაქვს დანიშნული“.

თუმცა ბარ Martinez-ში ყველას სჯერა, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი აქ არიან და, თუკი ისინი აქ არიან, შანსიც არსებობს. მათ აზრადაც არ მოსდით, რომ ხელისუფლება მხოლოდ ხელისუფლებასთან საუბრობს, რომ მათი წარმომადგენლები დროდადრო უნდა ხვდებოდნენ ერთმანეთს, ერთად ჭამდნენ, სვამდნენ, მხარს უჭერდნენ დიდი ფესტივალების პრესტიჟს და, ამასთან, იმის ილუზიას, რომ ფუფუნება და გლამური ყველასთვის ხელმისაწვდომია, ვისაც იდეის დასაცავად გაბედულება და სიჯიუტე ჰყოფნის. სუპერკლასელები ცდილობენ, აირიდონ ომები, თუკი მოგებას არ უქადით, ერთმანეთს გადაჰკიდონ კომპანიები, თუნდაც მთელი სახელმწიფოები, თუკი გრძნობენ, რომ ეს მათ უფრო მეტ ძალაუფლებასა და ფულს მოუტანს. თავი უნდა მოიკატუნონ, რომ ბედნიერები არიან, თუმცა დიდი ხანია, რაც საკუთარი წარმატებების ტყვედ ქცეულან. მათ უნდა იბრძოლონ თავიანთი გავლენის განსამტკიცებლად და სიმდიდრის გასაზრდელად, თუმცა ერთსაც და მეორესაც უზარმაზარი მასშტაბისთვის მიუღწევია. სუპერკლასის პატივმოყვარეობაა - გაეჯიბროს საკუთარ თავს და ზედიზედ დაიპყროს მწვერვალები.

იდეალურ სამყაროში ხელისუფალნი ეცდებოდნენ, ესაუბრათ ამ მსახიობებთან, რეჟისორებთან, სცენარისტებთან და მხატვრებთან, ახლა დაღლილობისგან თვალებდაწითლებულები რომ ფიქრობენ, როგორ დაბრუნდნენ ღვთისა და კაცისგანაც მივიწყებულ თავიანთ ქალაქებში, თავიანთ სახლებში, რათა გათენებისთანავე განაგრძონ თხოვნათა გამასავათებელი მარათონი - თხოვნები შეხვედრებსა თუ პროექტის დაფინანსებაზე.

რეალურ სამყაროში ძალაუფლების წარმომადგენლები ახლა სხედან თავიანთ ბინებში, ათვალიერებენ ელექტრონულ ფოსტას და იმაზე მსჯელობენ, რომ ყველა საღამო ერთმანეთს ჰგავს, რომ მისი მეგობრის ბრილიანტი გაცილებით დიდი აღმოჩნდა, მისი კონკურენტის ახალი იახტა კი უნიკალური ხით არის გაწყობილი - განა შეიძლება ამის ატანა?

იგორი არავის ესაუბრება, მით უმეტეს, ეს თემა სულ არ აინტერესებს.

იგორმა, წარმატებულმა ბიზნესმენმა, რუსეთის ფიჭური კავშირგაბმულობის მფლობელმა და პრეზიდენტმა, სასტუმრო Martinez-ში ჯერ კიდევ შარშან დაჯავშნა საუკეთესო აპარტამენტი (რაც გულისხმობს თორმეტი დღის საფასურის გადახდას, იმისდა მიუხედავად, იქ რამდენ დღეს გაატარებ). ის დღეს დილით ადრე ჩამოფრინდა საკუთარი თვითმფრინავით, აბაზანა მიიღო და ჰოლში ჩავიდა იმის მოლოდინში, რომ ნახავდა რაღაც თავისებურად განუმეორებელსა და ამავე დროს, ძალიან უბრალოს.

ერთხანს თავი მოაბეზრეს მსახიობებმა და რეჟისორებმა, მაგრამ ყველასთვის შესანიშნავი პასუხი მონახა:

- Don't speak English, sorry Polish.

ან:

- Don't speak French, sorry Mexican.

თუკი მეორე შემთხვევისას ვინმე ეცდებოდა, რამდენიმე ესპანური სიტყვა ეთქვა, იგორი უმალ სხვა ნაცად ხერხს მიმართავდა - წიგნაკში იწერდა რაღაც ციფრებს, რომ არ ჰგვანებოდა არც ჟურნალისტს, ამქვეყნად ყველაფერი რომ აინტერესებს და არც იმ ადამიანს, რომელსაც კინოწარმოებასთან რაიმე აკავშირებს. მაგიდაზე რუსული ეკონომიკური ჟურნალი იდო (ბოლოს და ბოლოს, რუსულს ცოტა ვინმე თუ განასხვავებს პოლონურისა და ესპანურისგან), ყდაზე კი ვიღაც უცნობი ბიზნესმენის სურათი იყო დაბეჭდილი.

ბარში მოსულნი, თავი ადამიანის ბუნების საუკეთესო მცოდნენი რომ ჰგონიათ, ალბათ, ვარაუდობდნენ, რომ იგი ერთ-ერთი იმ მილიონერთაგანი იყო, რომლებიც კანში განსაკუთრებული მიზნით - მსუბუქი რომანის გასაბმელად ჩამოდიან. მას შემდეგ, რაც იგორის მაგიდის უკან ხუთი კაცი დაჯდა, იმის მომიზეზებით, რომ „ყველა ადგილი დაკავებულიაო“, ხმები გავრცელდა - ამ მარტოხელა ბატონს კინემატოგრაფიასთან და მოდის ინდუსტრიასთან არავითარი კავშირი არა აქვსო, „პარფიუმად“ ჩათვალეს და თავი გაანებეს.

„პარფიუმად“ მსახიობი ქალები (ანუ „სტარლეტები“, როგორც მათ ფესტივალზე უწოდებენ) მათთვის გაურკვეველი პროფესიის ბატონებს მოიხსენიებენ ჟარგონულად. პარფიუმის მარკა იოლად შეიძლება შეიცვალოს და ხშირად ეგებ ჭეშმარიტი საუნჯეც კი აღმოჩნდეს. თუ მამაკაცი „პარფიუმია“, შეიძლება ფესტივალის დახურვამდე ორი დღით ადრე მიაქციონ ყურადღება, თუკი კინოინდუსტრიის სამყაროდან რაიმე ღირებულის ხელში ჩაგდება არ გამოუვათ. ასე რომ, ამ უცნაურმა და მდიდარმა კაცმა შეიძლება მოიცადოს. ყველა სტარლეტმა იცის: სანამ ფესტივალს დატოვებ, სჯობს საყვარელი გაიჩინო (რომელიც, შეიძლება, ხშირ შემთხვევაში, პროდიუსერადაც იქცეს), ვიდრე მარტო გაემგზავრო შემდგომ ფესტივალზე და იმეორო ძველი რიტუალები - სვამდე, იღიმებოდე (განსაკუთრებით - იღიმებოდე), თავი ისე გეჭიროს, თითქოს არავის უყურებ, და გრძნობდე, როგორ გამალებით გიცემს გული, რადგან საათის ისრები გადარეულივით გარბის, გალა-საღამოს პროგრამა გრძელდება, შენ კი ჯერ არავის მიუწვევიხარ.

რასაც „პარფიუმები“ ამბობენ (ისინი კი მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებენ), სტარლეტებმა ზეპირად იციან, მაგრამ თავი ისე უჭირავთ, თითქოს სჯერათ ამ სიტყვებისა:

ა) „მე შემიძლია შენი ცხოვრება შევცვალო“.

ბ) „ბევრი ქალი იოცნებებდა, შენს ადგილზე ყოფილიყო“.

გ) „ჯერ ახალგაზრდა ხარ, მაგრამ წინ უნდა გაიხედო, განჭვრიტო მომავალი“.

დ) „ცოლიანი ვარ, მაგრამ ჩემი ცოლი...“ (აქ შესაძლო ვარიანტებია: „ავადაა“, „მითხრა, თავს მოვიკლავ, თუ მიმატოვებო“ და ასე შემდეგ).

ე) შენ ნამდვილი პრინცესა ხარ და შესაფერის მოპყრობას იმსახურებ. თავადაც არ ვიცოდი, რომ მთელი ცხოვრება სწორედ შენ გელოდი. არ მჯერა დამთხვევისა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთობისათვის შანსი უნდა გამოვიყენოთ“.

დიახ, სიტყვები მუდამ ერთი და იგივეა, იცვლება მხოლოდ მიძღვნილი საჩუქრების რაოდენობა (უმჯობესია ძვირფასი სამკაულები, იგი ფლობს, ასე ვთქვათ, მაღალ ლიკვიდურობას, შემდეგ რესტორანში ან იახტაზე ვახშმად მიპატიჟება, სავიზიტო ბარათი, „ფორმულა 1“-ის რბოლაზე დასასწრები ბილეთი, სადაც შესაძლოა შენივე ჯილაგის ხალხს შეხვდე და, მაშასადამე, წარმატებასაც გამოჰკრა ხელი.

იმავე სიტყვებს ახალგაზრდა მსახიობი მამაკაცები ხარჯავენ მხცოვან მილიონერ ქალებთან, პლასტიკური ქირურგიის სასწაულები უამრავჯერ რომ გამოუცდიათ და თავიანთ მამრ კოლეგებთან შედარებით დიდი ჭკუითაც გამოირჩევიან. ეს ქალბატონები ტყუილად დროს არასოდეს კარგავენ და აქ ფესტივალის დახურვის წინ ჩამოდიან, რადგან სჯერათ, რომ ცდუნების მთელი ხელოვნება ფულით იზომება.

„პარფიუმი“ მამაკაცები თავს იტყუებენ, როცა ფიქრობენ, რომ გრძელფეხებიანი და ქორფა გოგონები, რაკი ერთხელ აჰყვნენ ცდუნებას, შემდეგ ყველაფერზე არიან წამსვლელნი.

იგორი აქ პირველად არის, ამიტომ ყველა ამ წვრილმანში ვერ ერკვევა. ის უზომოდაა გაკვირვებული, რომ ბარში მოსულთა გარდა, განსაკუთრებულად თითქმის არავის აინტერესებს საკონკურსო ფილმების ჩვენებები. მან გადაათვალიერა რამდენიმე ჟურნალი, გახსნა კონვერტი, სადაც მის კომპანიას ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდებული ზეიმის მოსაწვევი ჩაედო, ფილმების ჩვენება კი ნახსენებიც არ იყო. საფრანგეთში გამოფრენამდე თავგამოდებით ცდილობდა, გაეგო, რა ფილმები უნდა ეჩვენებინათ ფესტივალზე, სანამ ბოლოს ერთმა მეგობარმა არ უთხრა:

- მოეშვი ფილმებს, კანი მოდების ფესტივალია.

მოდა. რას ფიქრობს მასზე ხალხი. მიიჩნევენ რაღაც ისეთად, წელიწადის თითოეულ სეზონზე რომ უნდა იცვლებოდეს? რომ დედამიწის ყველა კუთხიდან აქ იმიტომ ჩამოდიან, რათა მორთულობა, მოდური ტანსაცმელი, ძვირფასეულობა და ფეხსაცმლის კოლექცია აჩვენონ? არა. ხალხმა არ იცის ამ სიტყვის ჭეშმარიტი

მნიშვნელობა, რომლის მიზანია, გასაგები გახადოს: მეც თქვენს სამყაროს ვეკუთვნი. თქვენი არმიის მუნდირი მაცვია, არ მესროლოთ, თქვენიანი ვარ!

უხსოვარი, წინარეისტორიული პერიოდიდან, იმ დროიდან, ადამიანებმა გამოქვაბულებში რომ დაიწყეს ცხოვრება, მოდა იქცა ერთ-ერთ საშუალებად, ეთქვათ ისე, რომ ყველას გაეგო და უცნობებისთვისაც კი ნათელი გამხდარიყო: მე თქვენს ტომს ვეკუთვნი, ჩვენ ვერთიანდებით ჩვენზე სუსტების წინააღმდეგ და, ამრიგად, გადავრჩებით.

მაგრამ აქ ბევრია დარწმუნებული, რომ მოდა ყველაფერია. ყოველ ნახევარ წელიწადში ისინი თავიანთი ტუალეტის უმნიშვნელო დეტალის შესაცვლელად უამრავ ფულს ხარჯავენ მდიდართა, ამ ერთადერთ თავისებურ ტომში დასარჩენად. მაგრამ თუკი ისინი მოინახულებენ სილიკონის ველს, სადაც მილიარდერები, ქონება საინფორმაციო ტექნოლოგიით რომ მოუხვეჭიათ, ატარებენ პლასტმასის საათებს და გაცვეთილი შარვლებით დადიან, მიხვდებიან, რომ სამყარო დიდი ხანია შეიცვალა: სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი ხალხი, ერთმანეთისგან გარეგნულად არაფრით რომ არ განსხვავდება, ყურადღებას აღარ აქცევს ბრილიანტების ზომას, ჰალსტუხის ფირმის ნიშანს თუ ტყავის პორტფელის მოდელს. სიტყვამ მოიტანა და, არც ჰალსტუხს და არც პორტფელს არ ატარებენ მსოფლიოს ამ ნაწილში, მძლავრი ჰოლივუდის სიახლოვეს რომ მდებარეობს. ჰოლივუდისა, რომელსაც უკვე გამომუშავებული აქვს მანქანების საკუთარი რესურსი, გულუბრყვილოებს კი მაინც არწმუნებს, რომ უნდა სჯეროდეთ Haute Couture-ის ტუალეტის, ზურმუხტის ყელსაბამის და გიგანტური ლიმუზინის ძალისა. და რაკი ყველაფერი ეს ჟურნალების ფურცლებზე ქვეყნდება, ვის მოუვა აზრად, აღმართოს ხელი მრავალმილიარდიანი რეკლამის ინდუსტრიის წინააღმდეგ, უსარგებლო ნივთებს და წარმოებების მიერ სხვადასხვანაირად დასახელებულ, მაგრამ ერთმანეთისგან არაფრით განსხვავებულ კრემებს რომ უწევენ რეკლამას.

იდიოტები! იგორს არ შეეძლო დაეფარა ზიზღი იმათ მიმართ, ვისი გადაწყვეტილებაც ასეთ მომაკვდინებელ გავლენას ახდენს პატიოსნად მომუშავე ადამიანებზე, რომელთა ყოველდღიური არსებობაც სავსეა ღირსებით, რადგან არიან ჯანსაღები, აქვთ სახლი, სადაც საყვარელ ოჯახთან ერთად ცხოვრობენ.

გარყვნილები! როცა გგონია, ყველაფერი რიგზეაო, ვახშმობისას ოჯახი მაგიდას რომ მიუჯდება, თავს იჩენს სუპერკლასის აჩრდილი, განუხორციელებელ ოცნებებს რომ ჰყიდის, სახელად „ფუფუნება“, „სილამაზე“, „ძალაუფლება“ და მორჩა - აღარ არსებობს ბედნიერი, კეთილი ოჯახი.

მამა მუხლჩაუხრელად, ზედმეტ საათებსაც კი მუშაობს, დღე და ღამეს ასწორებს, რათა ბიჭს ახალი მოდელის ბოტასები უყიდოს, რომლის გარეშეც სკოლაში თავს უკანასკნელ ღატაკად იგრძნობს. ცოლიც ჩუმად ტირის, რადგან მისმა მეგობარმა ცნობილი ფირმის კაბები შეიძინა, მას კი საამისოდ ფული არა აქვს. მოზარდები, იმის

მაგივრად, რომ შეიცნონ ჭეშმარიტი ღირებულებანი - რწმენა და იმედი - მსახიობობაზე ოცნებობენ. მიყრუებულ ადგილებში მცხოვრები გოგონები კარგავენ თავიანთ პიროვნულ, განუმეორებელ ხიბლს და ცდილობენ, როგორმე დიდ ქალაქებში წასვლა მოახერხონ, იქ კი ყველაფერზე, უკლებლივ ყველაფერზე თანხმდებიან, რათა მიიღონ ის, რაც მათთვის ასე სასურველია. სამყარო, რომელიც სამართლიანობისთვის უნდა იბრძოდეს, მატერიალურის ირგვლივ ტრიალებს, რომელიც ერთი წლის შემდეგ გამოუსადეგარი ხდება, და ისევ საჭიროებს ცვლილებას, ვინაიდან, მხოლოდ ასე, და არა სხვანაირად, შეუძლიათ დარჩნენ მწვერვალებზე ეს საძულველი არსებანი, ახლა კანში რომ მოუყრიათ თავი.

ცხადია, იგორი ცდილობს, არ დაემორჩილოს ამ გამანადგურებელ გავლენას. საქმე, რომელიც მან იცის, ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანია. ის დღეში კვლავინდებურად იმაზე მეტს შოულობს, რის დახარჯვასაც მთელ წელიწადს მოუნდება, თუნდაც ყოველგვარი - ნებადართული თუ აკრძალული სიამოვნების მიღება მოისურვოს. არ უჭირს ქალის მოხიბვლა, თუნდაც ქალმა არაფერი იცოდეს მისი სიმდიდრის შესახებ: ეს ბევრჯერ მოუსინჯავს და მიზნისთვის ყოველთვის მიუღწევია. ახლახან შესრულდა ორმოცი წლის, დიდებულ ფიზიკურ ფორმაშია და ყოველწლიურ სამედიცინო გამოკვლევას ჯერჯერობით არც რაიმე ცვლილება, არც გადახრა აღმოუჩენია. არა აქვს ვალები, აუცილებლად არ მიიჩნევს, ჩაიცვას გარკვეული ფირმის ტანსაცმელი, წავიდეს მაინცდამაინც ამა და ამ რესტორანში და არავითარ შემთხვევაში სხვაგან, შვებულება გაატაროს იქ, „სადაც ყველა მიდის“, იყიდოს ამა და ამ მარკის საათი მხოლოდ იმიტომ, რომ მას რეკომენდაციას ცნობილი სპორტსმენი უწევს. შეუძლია, უმნიშვნელოვანეს კონტრაქტს იაფფასიანი ბურთულიანი ავტოკალმით მოაწეროს ხელი და თავის ოფისთან ახლომდებარე პატარა ატელიეში შეკვეთით შეკერილი მოხერხებული და ელეგანტური პიჯაკი ეცვას, რომელსაც არ ექნება არავითარი საფირმო ნიშანი.

თავისუფლად აკეთებს, რასაც მოისურვებს, მოიპოვა იმის უფლება, არავის უჩვენოს, წარმატებული და მდიდარი რომ არის. საქმე კი, რასაც აკეთებს, ადრინდელივით აინტერესებს და შთააგონებს.

და, ეტყობა, სწორედ ამაში იმალება რაღაც გამოცანა; ის დარწმუნებულია, რომ ნამდვილად ამ მიზეზთა გამოა, რამდენიმე საათის წინ ბარში შემოსული ქალი ახლა მის მაგიდას რომ არ უზის.

დროის მოსაკლავად იგორი ფიქრს აგრძელებს და კრისტელს კიდევ ერთ ულუფას უკვეთავს. იცის, რა ჰქვია ოფიციანტს, რადგან ერთი საათის წინათ, როცა ხალხი სავახშმოდ წავიდ-წამოვიდა და ბარში ორომტრიალი შეწყდა, ვისკი მოსთხოვა, ოფიციანტმა უპასუხა, ეტყობა, რაღაც გაწუხებთ, და განწყობილების გამოსასწორებლად აჯობებს, რამე მიირთვათო. იგორმა მადლობა გადაუხადა და ესიამოვნა, რომ ვიღაც მისი სულიერი მდგომარეობის გამო წუხდა.

ალბათ, მხოლოდ მან იცის, რა ჰქვია ადამიანს, ვინც ემსახურება: სხვა დანარჩენებს მხოლოდ იმათი სახელებისა და, უფრო მეტად, საქმიანობის შეტყობა სურთ, ვინც მაგიდებთან ან სავარძლებში სხედან.

დიახ, იგორი ცდილობს, ფიქრი განაგრძოს, მაგრამ უკვე დილის ოთხი საათია, ლამაზი ქალი და მისი თავაზიანი თანამგზავრი კი, გარეგნულად იგორს რომ ჰგავს, აღარ გამოჩენილან. ალბათ ნომერში ავიდნენ და სიყვარულობენ. ან შამპანურს სვამენ ერთ-ერთ იმ იახტაზე, სადაც ახლაღა დაიწყო მხიარულება. შეიძლება საწოლზეც წვანან და გაზეთებს ფურცლავენ.

თუმცა ყოველივე ამას არა აქვს მნიშვნელობა, იგორი მარტოა, დაიღალა და ეძინება.

7:22 AM

ეღვიძება 7:22-ზე. გამოძინება ვერ მოასწრო, რადგან ჯერ კიდევ ვერ შეჩვევია მოსკოვსა და პარიზს შორის დროის სხვაობას. რუსეთში აქამდე თანამშრომლებთან ორი-სამი თათბირი მაინც ექნებოდა ჩატარებული და საქმიან საუზმეზე ვინმე ახალ კლიენტთან შეხვედრის სამზადისში იქნებოდა.

აქ კი სხვა ამოცანა აქვს - იპოვოს ის, ვინც მსხვერპლად უნდა შესწიროს სიყვარულს. მას სჭირდება მსხვერპლი, რათა ევამ დილითვე შეძლოს მისი გზავნილის მიღება.

შხაპის შემდეგ რესტორანში ყავის დასალევად ჩადის, სადაც თითქმის ყველა ადგილი თავისუფალია. შემდეგ ფეშენებელური სასტუმროს გასწვრივ, კრუაზეტის სანაპიროზე მიეშურება. გასცდა გადაკეტილ ადგილს, სადაც მანქანებს მხოლოდ სპეციალური ნებართვით უშვებდნენ, ქუჩაში მოძრაობა თითქმის არ იყო. გაეთავისუფლებინათ მეორე ზოლიც, რადგან ადგილობრივ მცხოვრებთათვის სამუშაოზე წასვლის დრო ჯერ არ დამდგარიყო.

მას აღარ აწვალებს მწარე ფიქრები. დიდი ხანია დასრულდა ის მტანჯველი პერიოდი, როცა სიძულვილი მოსვენებას არ აძლევდა მის სულს და ძილს უფრთხობდა. ახლა შეუძლია გაუგოს ევას საქციელს: ბოლოს და ბოლოს, მონოგამია თავს მოხვეული მითია; მან ბევრი რამ წაიკითხა ამის თაობაზე: არაფერ შუაშია ჰორმონების სიჭარბე ან პატივმოყვარეობა.არა - ეს გენეტიკური მიდრეკილებაა, რომელიც ლამის ყველა ცხოველში გვხვდება.

გამოკვლევები არ იტყუებიან: მეცნიერებმა, რომელთაც ფრინველებზე, მაიმუნებსა და მელიებზე მამობის ტესტი ჩაატარეს, დაადგინეს, რომ ისინი ქორწინების მსგავს სოციალურ კავშირს კი ამყარებენ, მაგრამ, ამასთან, არ რჩებიან თავიანთი

პარტნიორების ერთგულნი. დედლები შთამომავლების სამოცდაათ პროცენტს „უცხო მამრებისგანაც“ აჩენენ. იგორს ლამის ზეპირად ახსოვს სიეტლის ჯ. ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორის, დევიდ ბარაშის სტატიიდან ერთი აბზაცი:

„ცოლქმრული ერთგულების მაგალითად ხშირად გედებს მიიჩნევენ, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. უღალატონი არიან მხოლოდ ბრტყელი ჭიები Diplozoonparadoxum (პარადოქსული სპაინიკი). პარტნიორები ადრეულ ასაკშივე ხვდებიან ერთმანეთს და მათი სხეულები ერთ ორგანიზმად, ჯვარედინად ერთდებიან. ცხოველთა სამყაროს დანარჩენი წარმომადგენლებისთვის უცხო არ არის ადიულტერი“.

ამიტომაც არ შეუძლია დაადანაშაულოს ევა, რომელიც მხოლოდ ინსტინქტს იყო აყოლილი. მაგრამ რაკი ის ისეთ სოციალურ გარემოშია აღზრდილი, რომელიც არ ცნობს ამ კანონებს, ამჟამად, უეჭველია, დანაშაულის გრძნობა სტანჯავს, ჰგონია, რომ იგორს აღარ უყვარს და ღალატს არასოდეს აპატიებს.

სინამდვილეში პირიქითაა - იგორი ყველაფრისთვის მზადაა. იმისთვისაც კი, რომ განსაკუთრებული შეტყობინება გაუგზავნოს - სხვა ადამიანთა სამყაროს და მსოფლიოს განადგურების სიმბოლოები მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ გაიგოს - ევა მუდამ მისთვის სასურველია და წარსული სამუდამოდ დაივიწყა.

იგორი ხედავს ქალიშვილს, რომელიც თავის საქონელს - საეჭვო გემოვნებისა და ხარისხის კუსტარულ სუვენირებს - ალაგებს.

აი, მსხვერპლიც, აი, გზავნილიც, რომელიც საიქიოს უნდა გაისტუმროს და ეს გზავნილი, უეჭველია, გასაგები გახდება, როცა ადრესატამდე მიაღწევს. იგორი ქალიშვილს უახლოვდება და ალერსიანად ათვალიერებს. გოგონამ არ იცის, რომ სულ მალე, თუკი ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა, მისი სული ზეცაში ამაღლდება და სამუდამოდ გათავისუფლდება ამ იდიოტური სამუშაოსგან, ნებას რომ არ აძლევს, აღმოჩენილიყო იქ, სადაც ოცნებები უხმობდა.

- რა ღირს? - ეკითხება გოგონას ფრანგულად.

- რომელი გნებავთ?

- ყველა.

გოგონა, ასე, ოციოდე წლის, იღიმება.

- ასეთ რამეს პირველად არ მთავაზობენ. ამას, ჩვეულებრივ, მოჰყვება - გავისეირნოთო, მერე, როგორც წესი, იტყვიან: „თქვენ ძალზე ლამაზი ხართ საიმისოდ, რომ სანაპიროზე იდგეთ და ვაჭრობდეთ. ასეთი სისულელეებით მე...“

- არა, კინოსთან მე არაფერი მაკავშირებს. არ ვცდილობ თქვენგან კინოვარსკვლავის გამოყვანას და თქვენი ცხოვრების შეცვლას. სრულებით არ მაინტერესებს ის, რასაც ყიდით. მხოლოდ თქვენთან საუბარი მსურს და ეს აქვე უნდა მოხდეს.

ქალიშვილი უნდობლად არიდებს თვალს.

- ეს ჩემი მშობლების სამუშაოა და თავადაც მომწონს, რასაც ვაკეთებ. ის დღეც დადგება, როცა ვიღაცა დააფასებს ამ ნივთიების სილამაზეს. გთხოვთ, თქვენს გზას ეწიოთ, თქვენთვის ძნელი არ იქნება სხვა თანამოსაუბრის გამონახვა და მას მოუყევით, რის თქმასაც ჩემთან აპირებდით.

იგორი ჯიბიდან იღებს კუპიურების დასტას და ფრთხილად დებს სუვენირების გვერდით.

- ბოდიშს ვიხდი, უნებლიეთ თუ გული გატკინეთ. ეს მხოლოდ იმიტომ გითხარით, რომ ფასი დაგეკლოთ. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, მე იგორ მალეევი ვარ, მოსკოვიდან გუშინ ჩამოვფრინდი და ჯერ კიდევ ცუდად ვაზროვნებ ჩვენ შორის დროის ცვლილების გამო.

- ოლივია, - პასუხობს გოგონა და ისე იჭერს თავს, თითქოს მისი უსაბაბო საბაბი დაიჯერა.

იგორი ქალიშვილს დაუკითხავად მიუჯდა გვერდზე. ქალიშვილმა განზე გაიწია.

- მითხარით, რის თქმას აპირებდით?

- ჯერ ფული აიღეთ.

ოლივია ყოყმანობს, მაგრამ მიიხედ-მოიხედავს და გადაწყვეტს, საშიში არაფერიაო. თავისუფალ ზოლზე მანქანებმა უკვე დაიწყეს მიმოსვლა, პლაჟზე რამდენიმე ახალგაზრდა ეშურება, ქვაფენილზე კი ხანდაზმული წყვილი მოდის. ქალიშვილი ფულს ჯიბეში დაუთვლელად იდებს - ჰყოფნის იმის გამოცდილება, საკმარისზე მეტი იცოდეს.

- გმადლობთ, ჩემს წინადადებას რომ დათანხმდით, - ამბობს რუსი, - გაინტერესებთ, რაზე მსურდა თქვენთან საუბარი? განსაკუთრებულად არაფერზე.

- უეჭველია, აქ საქმეზე ხართ... ასეთ დროს კანში არავინ ჩამოდის - აქ ყოფნა ახლა აქაურებისთვისაც და ტურისტებისთვისაც გაუსაძლისია.

იგორი ეწევა და ზღვას თვალს არ აშორებს.

- მოწევა მავნებელია.

იგორი ეკითხება.

- მითხარით, რაშია თქვენთვის ცხოვრების აზრი?

- სიყვარულში, - ღიმილით პასუხობს ოლივია.

რა კარგია, რომ დღე რაღაც ამაღლებულით იწყება და არა ამით: „რა ძვირია შენი საქონელი“, „ვინ გაიარა?“, „როგორ აცვია?“...

- თქვენთვის რაღაა მთავარი?

- რა თქმა უნდა, სიყვარული. თუმცა ერთ დროს ვფიქრობდი, ყველაზე მნიშვნელოვანი იმდენი ფულის შოვნა იყო, რომ შემძლებოდა მშობლებისთვის მეთქვა: გამარჯვებული ვარ-მეთქი. ეს უკვე შევძელი და ახლა ისინი ჩემით ამაყობენ. მერე შევხვდი მშვენიერ ქალს და შევქმენი ოჯახი... მსურს მყავდეს შვილები, თაყვანი ვცე ღმერთს და მეშინოდეს მისი, მაგრამ შვილები არა მყავს.

ოლივიას უნდა, ჰკითხოს, რატომო, მაგრამ ეუხერხულება. მამაკაცი კი მშვენიერი ფრანგულით განაგრძობს:

- გვინდოდა გვეშვილებინა ბავშვი. ორი-სამი წელიწადი ამაზე ფიქრს მოვუნდით, მაგრამ მერე დაიწყო მშფოთვარე ცხოვრება - ხშირი მოგზაურობები, დღესასწაულები, შეხვედრები, მოლაპარაკებები...

- ჩემთან რომ დაჯექით, მეგონა, თქვენც ერთ-ერთი თავგადასავლების მაძიებელი, ახირებული მილიონერი იყავით, მაგრამ თქვენთან ლაპარაკი მომწონს.

- ხშირად დაფიქრებულხართ თქვენს მომავალზე?

- რაღა თქმა უნდა, და ასე მგონია, ჩვენ ერთი და იგივე ოცნება გვაქვს. მეც მინდა მყავდეს ბავშვები... - გოგონა ლაპარაკს წყვეტს, ეშინია, წინდაუხედავი სიტყვებით არ შეურაცხყოს ასე ანაზდად გამოცხადებული თანამოსაუბრე, - თუკი, რასაკვირველია, ეს შესაძლებელი იქნება. ღმერთის გეგმები ჩვენსას ყოველთვის არ ემთხვევა.

იგორი კი, თითქოს არც უსმენდაო, კვლავ ეკითხება:

- ფესტივალზე მხოლოდ მილიონერები ჩამოდიან?

- მილიონერები, ისინი, ვინც თავს მილიონერებად მიიჩნევენ და ისინიც, ვისაც სურთ გახდნენ მილიონერები. ამ დღეებში აქაურობა საგიჟეთს ემსგავსება... ყველას გასათხოვრად მოაქვს თავი. რასაკვირველია, იმათ გარდა, ვინც ნამდვილად დიდი ვინმეა. სწორედ ისინი არიან ყველაზე თბილები და ალერსიანები, რადგან მათ არ სჭირდებათ ვინმესთვის რამის დამტკიცება. ისინი ყოველთვის არ ყიდულობენ ჩემს საქონელს, მაგრამ ის მაინც შეუძლიათ, რომ გამიღიმონ, ალერსიანად მომექცნენ და აბუჩად არ ამიგდონ... თქვენ აქ რაღას აკეთებთ?

- ღმერთმა სამყარო ექვს დღეში შექმნა, მაგრამ რა არის სამყარო? ის, რაც მე და თქვენ თვალწინ გვიდგას. და ყოველთვის, როცა ვინმე კვდება, სამყაროს ნაწილი

ნადგურდება. ყველაფერი, რასაც ადამიანი განიცდიდა და შეიგრძნობდა, ყველაფერი, რასაც უმზერდა, მასთან ერთად ქრება, ისე, როგორც წვიმაში ქრება ცრემლები.

- „როგორც წვიმაში ცრემლები...“ - ეს სიტყვები რომელიღაც ფილმშია, ოღონდ არ მახსოვს, რომელში.

- მაგრამ მე აქ სატირლად არ მოვსულვარ. მოვედი, რათა ქალს, რომელიც მიყვარს, რაღაც ვაუწყო, ამისათვის კი რამდენიმე სამყაროს ან გალაქტიკის განადგურებაა საჭირო.

იმის ნაცვლად, რომ შეშინდეს, ოლივია იცინის. ეს ლამაზი, კარგად ჩაცმული, ფრანგულად თავისუფლად მოსაუბრე კაცი სულაც არ ჰგავს გიჟს. საშინლად აქვს მობეზრებული ყოველდღე ერთი და იმავე სიტყვების მოსმენა: „თქვენ ძალზე ლამაზი ხართ... თქვენ გაცილებით მეტს იმსახურებთ... რა ღირს ეს? ო-ო, რა ძვირია... მოგვიანებით შემოგივლით“ და სხვა. ამ რუსს, ყოველ შემთხვევაში, იუმორის გრძნობა მაინც აქვს.

- სხვისი სამყარო რატომ უნდა გაანადგუროთ?

- რათა საკუთარი აღვადგინო.

ოლივიას შეეძლო მის გვერდით მჯდარი ადამიანი ენუგეშებინა, მაგრამ ეშინოდა, რომ ცნობილი ფრაზის მოსმენისთანავე: „მსურს, ჩემი ცხოვრება აზრიანი გახადო“, საუბარი დასრულდებოდა, რადგან მას სულ სხვა გეგმები აქვს. ამას გარდა, მისი მხრივ, სისულელე იქნებოდა მოწიფული, წარმატებული, თანაც მასზე უფროსი მამაკაცისთვის ცხოვრებისეული სიძნელეების დაძლევა ესწავლებინა.

ერთადერთი ისღა რჩება, რაც შეიძლება მეტი გაიგოს მასზე. ბოლოს და ბოლოს, გაცდენილი დროისთვის საკმაოდ გულუხვად გადაუხადა.

- მერე, როგორ აპირებთ ამას?

- ბაყაყებზე გსმენიათ რამე?

- ბაყაყებზე?

- ბიოლოგიურმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ თუკი ბაყაყს მოვათავსებთ რეზერვუარში, სადაც ჩასხმული იქნება მისივე ჭაობისა თუ გუბურის წყალი და შემდეგ დავიწყებთ ამ წყლის გაცხელებას, ბაყაყი გაუნძრევლად დარჩება. ის არ რეაგირებს ტემპერატურის მატებაზე, გარემომცველი გარემოს შეცვლაზე და წყალი რომ ადუღდება, ცოცხლად იხარშება და ბედნიერი კვდება, მაგრამ თუკი ბაყაყს ადუღებული წყლით სავსე რეზერვუარში ჩავაგდებთ, ის მაშინვე მაღლა ამოხტება, დამდუღრული, მაგრამ ცოცხალი.

ოლივიამ ვერ გაიგო, რა კავშირი აქვთ ბაყაყებს სამყაროს განადგურებასთან. იგორი კი ამასობაში განაგრძობდა.

- ერთხელ უკვე ისე მოვიქეცი, როგორც ბაყაყი მოიქცა პირველ შემთხვევაში. ცვლილებები არ შემიმჩნევია, მეგონა, ყველაფერი რიგზეა-მეთქი და, რაც კარგად არ იყო, ვფიქრობდი, მალე გაივლიდა. სიკვდილი მინდოდა, რადგან დავკარგე ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი, მე კი იმის მაგივრად, რომ რამე მეღონა, მორჩილად ვცურავდი წყლის ზედაპირზე, რომელიც სულ უფრო და უფრო ცხელდებოდა.

ოლივიამ გამბედაობა მოიკრიბა და ჰკითხა:

- რა დაკარგეთ?

- სინამდვილეში არაფერი დამიკარგავს! უბრალოდ, ხანდახან ხდება ხოლმე, ცხოვრება ორ ადამიანს ერთმანეთს აშორებს, რათა ორივეს დაანახვოს, როგორი მნიშვნელოვანნი არიან ერთმანეთისთვის. გუშინ საღამოს ჩემი ცოლი სხვასთან ვნახე. ვიცი, მას ისევ ვუყვარვარ, ვიცი, დაბრუნება უნდა, მაგრამ ვერ გადაუდგამს ეს ნაბიჯი. არსებობენ ბაყაყები, რომლებიც იხოცებიან, მაგრამ მაინც ფიქრობენ, რომ მთავარია მორჩილება და არა წინდახედულობა. ვისაც შეუძლია, ბრძანებას იძლევა, გონიერი კი ისმენსო. მაგრამ განა მართლა ასეა? სჯობს სიტუაციას დამდუღრულმა დააღწიო თავი, მაგრამ ცოცხალი გადარჩე. და დარწმუნებული ვარ, ოლივია, რომ თქვენ შეგიძლიათ ამაში დამეხმაროთ.

გოგონამ წუთით წარმოიდგინა, რა აზრები უტრიალებდა თავში მის გვერდით მჯდარ მამაკაცს. როგორ შეიძლება, მიატოვო ადამიანი, რომელსაც ასე საინტერესოდ შეუძლია მსჯელობა იმაზე, რაც მას დღემდე არ მოუსმენია. თუმცა სიყვარული ლოგიკას არ ემორჩილება - ოლივიამ, ახალგაზრდობის მიუხედავად, ეს ნამდვილად იცის. მაგალითად, მისი შეყვარებული ხანდახან საძაგლად იქცევა, შეუძლია, არაფრის გულისთვის უთავაზოს, ოლივიას კი მის უნახავად გაძლება ერთი დღეც არ შეუძლია.

მაინც რაზე საუბრობენ? ბაყაყებზე. იმაზე, რომ ოლივიას შეუძლია ამ კაცის დახმარება. აშკარაა, რომ სინამდვილეში ასე არაა. ამიტომ სჯობს, საუბრის თემა შეიცვალოს.

- სამყაროს განადგურებას როგორ აპირებთ?

იგორი კრუაზეტის სანაპიროს სავალ ნაწილს უჩვენებს.

- წარმოვიდგინოთ, რომ არა მსურს თქვენი დღესასწაულზე წასვლა, მაგრამ პირდაპირ ამის თქმას ვერ გიბედავთ. პიკის საათს თუ დაველოდები და შუა ქუჩაში გავჩერდები, ათი წუთის შემდეგ მთელი პროსპექტი გაიჭედება. მძღოლები იფიქრებენ, ალბათ, ავარია მოხდაო და მოთმინებას მოუხმობენ, თხუთმეტი წუთის შემდეგ პოლიცია მოვა ევაკუატორით.

- ასეთი რამ ასჯერ მაინც მომხდარა.

- თუ მანქანიდან გადმოვალ და ირგვლივ სხვების შეუმჩნევლად ლურსმნებსა და რაღაც წვეტიან რკინის ნამსხვრევებს მიმოვაბნევ? ვთქვათ, მეყო მოთმინება და ყველაფერი ეს ასფალტისფრად შევღებე; სანამ ევაკუატორი ჩემამდე მოაღწევს, მისი საბურავები ნაფლეთებად იქცევა. რაკი ორი მანქანა გაიჩხირება, საცობი იმ პატარა ქალაქის გარეუბნამდე გაგრძელდება, სადაც, როგორც ჩანს, თქვენ ცხოვრობთ.

- უდავოდ საინტერესო გამოგონებაა, მაგრამ მხოლოდ იმას მიაღწევთ, რომ დიდი-დიდი, ერთი საათით დამაგვიანდეს.

იგორს გაეღიმა.

- მერე რა, შემიძლია რამდენიმე საათს განუწყვეტლივ ვიმსჯელო იმაზე, რანაირად შეიძლება გავზარდო ეს დრო. ვთქვათ, როცა მანქანების ირგვლივ თავს მოიყრის ხალხი, მე სატვირთო მანქანის ქვეშ საკვამლე კოჭს შევაგდებ. ყველას პანიკა მოიცავს. მე, ვითომდა დაფეთებული შევხტები ჩემს მანქანაში, დავქოქავ, ამავდროულად სანთებელას დასატენი პატარა ბალონიდან ხალიჩაზე დავღვრი ბენზინს და ცეცხლს წავუკიდებ. მერე გადმოვხტები და შორიდან შევხედავ, ცეცხლი თანდათან როგორ მოეკიდება მანქანას, როგორ მიუახლოვდება ბენზინის ავზს და აფეთქდება. უკან მდგარი მანქანაც იფეთქებს და დაიწყება ჯაჭვური რეაქცია. ყოველივე ამას კი დასჭირდება მანქანა, ერთი მუჭა ლურსმანი, საკვამლე კოჭი, ყველა დუქანში რომ იყიდება და სანთებელას დაახლოებით ასეთი დასატენი. ყოველივე ეს მაშინ უნდა გამეკეთებინა, როცა გავიგე, რომ ევამ ჩემგან წასვლა გადაწყვიტა. უნდა მეიძულებინა, გადაედო გადაწყვეტილების მიღება, კიდევ ეფიქრა, აეწონ-დაეწონა შედეგი. გადაწყვეტილების მისაღებად ფიქრს რომ ვიწყებთ, როგორც წესი, არაფერს ვითვალისწინებთ, იმიტომ, რომ „წინასწარ მოფიქრებული განზრახვით მოქმედებას“ გაცილებით მეტი გაბედულება სჭირდება, ვიდრე სპონტანურ ქცევას...

მოკლედ, სიამაყემ დამძლია. გადავწყვიტე, გავა დრო და თანდათან გონს მოეგება-მეთქი... ახლა დარწმუნებული ვარ, უკვე ნანობს და უნდა დაბრუნება, მაგრამ ამისთვის რამდენიმე სამყარო უნდა გავანადგურო.

იგორს სახე შეეცვალა და ოლივია მიხვდა, საქმე სახუმაროდ სულაც არ იყო. გოგონა წამოდგა.

- კეთილი. დროა, უკვე საქმეს შევუდგე.

- მაგრამ მე მთელი სამუშაო დღის საფასური გადაგიხადე, რომ ჩემთვის მოგესმინა.

ოლივიამ ჯიბეში ხელი ჩაიყო ფულის ამოსაღებად. სწორედ ამ დროს სახეში დამიზნებული პისტოლეტის ლულა დაინახა.

- დაჯექი.

გოგონას მოუნდა, რაც შეიძლება შორს გაქცეულიყო. ხანდაზმული წყვილი ძალზე ნელა უახლოვდებოდა.

- გაქცევას ნუ შეეცდებით, - ისე უთხრა იგორმა, თითქოს განზრახულს მიუხვდა, - სროლას არ ვაპირებ, თუკი დაჯდები და ბოლომდე მომისმენ.

ოლივიას თავში აერია მოქმედების შესაძლო ვარიანტები. პირველი აზრი უკანმოუხედავად გაქცევა იყო, მაგრამ ფეხები უცებ მოეღვენთა.

- დაჯექი, - გაუმეორა რუსმა, - მომისმინე, გპირდები, არაფერს დაგიშავებ.

და მართლაც, რომელი ჭკუათამყოფელი გაბედავდა სროლას ასეთ დარში, მზიანი დილით, ხალხით სავსე სანაპიროზე, რომლის მახლობლადაც, თუმცა ცალმხრივად, მაგრამ ნაკადად მოედინება ავტომობილები. მაინც უკეთესი იქნება, დაემორჩილოს ამ ადამიანს, გააკეთოს, რასაც უბრძანებს - უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ სხვა არაფერი დარჩენია და ნახევრად გულშეღონებულსა და თავგზააბნეულს, სხვაგვარად მოქცევა არ შეუძლია.

და ემორჩილება. ახლა უნდა ეცადოს, დაარწმუნოს, რომ არ ეშინია და მზად არის, ბოლომდე მოისმინოს მიტოვებული ქმრის აღსარება. ის ყველაფერს დაჰპირდება, რასაც მოისურვებს, მაგრამ ახლომახლო პოლიციელები გამოჩნდებიან თუ არა, ძირს გაერთხმება და საშველად მოუხმობს მათ.

- ზუსტად ვიცი, რასაც ახლა გრძნობ, - ისე ამბობს რუსი, თითქოს მისი დამშვიდება სურს, - შიში ყველა დროში და ყველა ადამიანში ერთნაირად მჟღავნდება. ასე ხდებოდა ადრეც, როცა პირველყოფილი ადამიანები გარეულ მხეცებს ხვდებოდნენ, და ასე ხდება დღესაც. ორგანიზმი სისხლის შესაძლო დაღვრის შიშით სისხლს ეპიდერმისიდან სიღრმეში ისვრის და ადამიანი ფითრდება. შიგნეულობა დუნდება, ყველაფერს უკუისვრის და ტოქსინებს ორგანიზმის მოწამვლის საშუალებას არ აძლევს. პირველი რამდენიმე წამის განმავლობაში სხეული ტვინს აღარ ემორჩილება და ადამიანი ხევდება - ბუნებას ასე იმიტომ აქვს ჩაფიქრებული, რომ რაღაც საეჭვო მოძრაობამ მხეცი თავდასასხმელად არ წააქეზოს.

„ეს რაღაც კოშმარული სიზმარია“, - ფიქრობს ოლივია. ანაზდად მშობლები ახსენდება. დღეს მათ ერთად უნდა ევაჭრათ, მაგრამ დააგვიანდათ, რადგან მთელი ღამე საოქრომჭედლო სახელოსნოში მუშაობდნენ. ახსენდება შეყვარებულიც, რომელიც ხანდახან გულს სტკენს, მაგრამ მაინც თავისი ცხოვრების მამაკაცად მიაჩნია. სულ რამდენიმე საათის წინათ ისინი ერთად იწვნენ და ერთდროულად მიაღწიეს ორგაზმს, რაც უკვე დიდი ხანია არ მომხდარა. დილით ყავა დალია და, ჩვეულების მიუხედავად, შხაპი აღარ გადაუვლია, იმდენად იყო აღსავსე ყოფითი სიხარულით, თავისუფლებისა და მხნეობის შეგრძნებით.

„არა, არა, ეს შეუძლებელია, უნდა დავმშვიდდე და ეს მანიაკიც დავამშვიდო“.

- კარგი. როგორც გენებოთ. არსად არ წავალ. თქვენ ჩემი მთელი საქონელი იყიდეთ... გავაგრძელოთ საუბარი...

იგორი პისტოლეტის ლულას ფერდში აბჯენს, მაგრამ ისე, რომ სწორედ ამ დროს მათთან მოახლოებულმა წყვილმა ვერაფერი შენიშნოს. ისინი მხოლოდ იმას ხედავენ, რომ სუვენირებით მოვაჭრე პორტუგალიელი გოგონა, რომელიც ხშირი წარბების თამაშითა და ბავშვური ღიმილით ყოველთვის ცდილობს მამაკაცზე შთაბეჭდილების მოხდენას, თავის ჩვეულ ადგილზე ზის, გვერდით კი, ალბათ, მორიგი, მდიდარი თაყვანისმცემელი მისჯდომია.

ოლივია თვალმოუშორებლივ მიშტერებია მათ და ცდილობს, რაღაცას მიახვედროს. მის გვერდით მჯდომი მამაკაცი კი მოხუცებს მხიარულად ესალმება:

- დილა მშვიდობისა!

წყვილი ხმაამოუღებლად განაგრძობს გზას: ცოლ-ქმარს არ სჩვევია უცხო ადამიანებთან საუბრის გაბმა, მით უმეტეს, ქუჩის გამყიდველთან სალამ-ქალამი.

- კარგი, ვისაუბროთ, - გამეფებულ მდუმარებას არღვევს რუსი, - იმის ჩადენას არ ვაპირებ, რაზეც ახლა გიყვებოდი - ეს მხოლოდ და მხოლოდ მაგალითად მოვიტანე. ჩემი ცოლი მაშინ გაიგებს ჩემს აქ ყოფნას, როცა შეტყობინებას მიიღებს. რაც მთავარია, თვითონ არ შევეცდები მის ნახვას, მინდა ის მოვიდეს ჩემთან.

ოლივია მიხვდა - ეს გამოსავალი იყო.

- მე შემიძლია გადავცე, რასაც ისურვებთ, ოღონდ მითხარით, რომელ სასტუმროშია.

იგორი იცინის.

„შენს ასაკში ადამიანებს ერთი ნაკლი აქვთ: თავი ყველაზე ჭკვიანი ჰგონიათ. გაგიშვებ თუ არა, მაშინვე პირდაპირ პოლიციაში გავარდები“.

გოგონას ძარღვებში სისხლი ეყინება. ნუთუ მთელი დღე ასე უნდა ისხდნენ? უეჭველია, მოკლავს, რადგან უკვე სახეზე სცნობს...

- თქვენ ხომ მითხარით, არ გესვრიო.

- დიახ, გითხარი და გიდასტურებ: არ გესვრი. იმ შემთხვევაში, თუკი ჭკვიანად მოიქცევი და არც მე გეგონები სულელი.

მართალია. ჭკვიანად მოქცევა იქნება, თუკი საკუთარ თავზე გაუბამს საუბარს. ან იქნებ თავი შეაცოდოს? სიბრალული მუდამ თვლემს გიჟების სულში. სიმართლე არ არის, მაგრამ ეგებ უთხრას, რომ ისიც მის დღეშია...

ახლომახლო iPod-იანი ბიჭი ჩაიქროლებს, მათკენ არც იყურება.

- მე ისეთ ადამიანთან მიწევს ყოფნა, ვინც ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქცია, მისგან წამოსვლა კი მაინც არ შემიძლია, - ამბობს ოლივია.

იგორი ახლა თითქოს სხვაგვარად უყურებს.

ოლივიას ჰგონია, რომ ამ ხაფანგისაგან თავდასაღწევ ხერხს მიაგნო. „დაძაბე გონება, ეცადე, ამ კაცის ცოლზე იფიქრო, გულწრფელი იყავი!“

- ის მიკრძალავს მეგობრებთან შეხვედრას, ყველასა და ყველაფერზე ეჭვიანობს. თუმცა თვითონ წამდაუწუმ მღალატობს. რაც უნდა გავაკეთო, არაფერი მოსწონს. მეუბნება, თავმოყვარეობა არ გაქვსო. გაყიდული საქონლის უმნიშვნელო საკომისიო გასამრჯელოსაც კი მართმევს.

რუსი დუმს და ზღვას გასცქერის. ამასობაში ტროტუარი ხალხით ივსება. იქნებ უცებ წარმოხტეს და გაიქცეს. ნუთუ ესვრის? ნუთუ ნამდვილი პისტოლეტი აქვს?

გოგონა გრძნობს, თავის უსიამოვნებებზე საუბარი რომ დაიწყო, ის თითქოს ოდნავ მოლბა, მაგრამ ისიც ახსოვს, როგორ უყურებდა და როგორ ჟღერდა მისი ხმა რამდენიმე წუთის წინათ, ასე რომ, სჯობს, არ გარისკოს.

- ...სულერთია, მაინც არ შემიძლია მისი მიტოვება. მას მაინც არ გავცვლი ამქვეყნად საუკეთესო, ყველაზე კეთილშობილსა და მდიდარ ადამიანზე. მაზოხისტი არა ვარ და არ მსიამოვნებს, როცა გამუდმებით მამცირებენ, მაგრამ მე ის მიყვარს.

- მე არაფერი მაქვს საერთო მაგ შენს გაიძვერა საყვარელთან, - რუსს ამჯერად ხმა სიძულვილისგან უკანკალებს, - ტყავიდან გამოვძვრები, რათა მივიღო ის, რაც მეკუთვნის. მუდამ კატორღელივით ვმუშაობდი, არაქათი მეცლებოდა, მაგრამ მაინც ფეხზე ვდგებოდი და ბრძოლას ვაგრძელებდი. პატიოსნად ვიბრძოდი, თუმცა ხანდახან მკაცრი და შეუბრალებელიც ვიყავი, მაგრამ მუდამ ჭეშმარიტ ქრისტიანად ვრჩებოდი. მყავს უამრავი გავლენიანი მეგობარი და შემიძლია სიკეთის სიკეთით გადახდა.

არავინ გამინადგურებია, თუკი ვინმე გზაზე გადამღობებია, ცოლს ნებას ვაძლევდი, ეკეთებინა ის, რაც მოსწონდა, საბოლოოდ კი მარტო აღმოვჩნდი. დიახ, ადამიანების დახოცვა მომიწია იმ იდიოტური ომის დროს, მაგრამ რეალობის გრძნობა არ დამიკარგავს. არ ვგავარ იმ ტრამვირებულ ვეტერანებს, რესტორანში რომ შეცვივდებიან ხოლმე და ავტომატით ხალხს თავს ესხმიან. არც ტერორისტი ვარ. შევძელი, გულში ჩამემარხა წყენა ცხოვრებაზე, რომელმაც ყველაზე სანუკვარი - სიყვარული წამართვა. მაგრამ ადრე თუ გვიან ტკივილი გაივლის, ამქვეყნად კი სხვა ქალებიც არსებობენ. უნდა ვიმოქმედო, არ მინდა იმ ბაყაყს დავემგვანო, მორჩილად რომ იცდის, როდის მოხარშავენ.

- მაგრამ თუკი იცით, რომ არიან სხვა ქალებიც, რომ ტკივილი ადრე თუ გვიან გაივლის, თავს ასე რატომღა იტანჯავთ?

დიახ, ოლივია ახლა ნამდვილად ჭკვიანად იქცევა, თავადაც უკვირს, რა მშვიდად ელაპარაკება ამ გადარეულს.

ის კი, ეტყობა, პასუხზე ფიქრობს.

- არ ვიცი, რატომ. შეიძლება იმიტომ, რომ ეს პირველად არ ხდება... ან იქნებ იმიტომ, რომ საკუთარ თავს ვუჩვენო, რისი გამკეთებელი ვარ. ანდა იქნებ იმიტომ, რომ ვიტყუები და ქვეყნად მხოლოდ ეს ერთი ქალი არსებობს. ერთი გეგმა შევიმუშავე.

- რა გეგმა?

- აკი გითხარით - უნდა გავანადგურო რამდენიმე სამყარო, რათა მიხვდეს, რა მნიშვნელოვანია ის ჩემთვის, მიხვდეს, რომ მის დასაბრუნებლად უკან არაფერზე დავიხევ.

- პოლიცია!

ორივემ დაინახა მოახლოებული საპატრულო ავტომობილი.

- ბოდიში, - ამბობს რუსი, - კიდევ უნდა ვილაპარაკოთ, რადგან ცხოვრება თქვენც უსამართლოდ მოგქცევიათ.

ოლივიას ამ სიტყვებში თავისი სასიკვდილო განაჩენი ესმის და უკვე ხვდება, რომ დასაკარგი აღარაფერი აქვს, შინაგანად ძალას იკრებს და წამოსახტომად ემზადება, მაგრამ მამაკაცი ხელს მარჯვენა მხარზე ისე ნაზად ადებს, თითქოს ეფერებაო.

- სამბო ანუ „უიარაღოდ თავდაცვა“ საბრძოლო ხელოვნებაა. შეგიძლია მსხვერპლი შიშველი ხელებით მოკლა, ისე, რომ მან იმის გაცნობიერებაც კი ვერ მოასწროს, რა ხდება. სამბო ვითარდებოდა და სრულყოფილ სახეს იღებდა ასწლეულების მანძილზე, როცა ადამიანები მტაცებლის თავდასხმას მახვილის ან ნაჯახის გარეშე იგერიებდნენ. შემდეგ მას ფართოდ იყენებდნენ საბჭოთა სპეცსამსახურებში, რათა მავანთა სიკვდილის შემთხვევაში არავითარი კვალი არ დარჩენილიყო. კომუნისტური რეჟიმის მაშინდელი ლიდერები ჯიუტად ცდილობდნენ, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა შორის სამბოც შეეტანათ და 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადაზე თავიანთი გუნდი გამოეყვანათ, მაგრამ მათი მცდელობა წარუმატებელი გამოდგა: სამბო სპორტის ძალზე სახიფათო სახეობად აღიარეს.

მით უკეთესი. ამის წყალობით სამბო ფართოდ აღარ გავრცელებულა და მხოლოდ ცოტანიღა თუ ფლობენ მის სასიკვდილო ილეთებს.

იგორი მარჯვენა ხელის ცერა თითით აწვება ოლივიას საძილე არტერიას და სისხლი თავის ტვინის მომარაგებას წყვეტს, მეორე ხელით კი იღლიაში გარკვეულ წერტილს პოულობს - მას თუ დააწვება, ყველა კუნთი ერთბაშად მოუდუნდება.

გეგონებათ, ოლივია მის გვერდით მჯდარ მამაკაცთან ხელგადახვეული თვლემსო. პოლიციელმა გადაკეტილი ზოლით მათ ზურგს უკან ისე ჩაიარა, რომ ყურადღება არც მიუქცევია ამ წყვილისთვის - დილაადრიან ისედაც ბევრი საზრუნავი გამოუჩნდა: სულ ახლახან რაციით შეატყობინეს, აქედან სამ კილომეტრში ვიღაც მთვრალმა მილიონერმა თავისი ლიმუზინი დაამტვრიაო.

იგორი, გოგონასათვის ხელგაუშვებლად, ტროტუარიდან იღებს ზეწარზე დაწყობილ საქონელს - კუსტარულ, ულაზათო და უგემოვნო ნაკეთობებს და ზეწარს მარჯვედ ნასკვავს.

მერე თვალს მოავლებს იქაურობას და როცა დარწმუნდება, სიახლოვეს არავინაა, მკვდარ ოლივიას ფრთხილად და მზრუნველად სვამს მერხზე, ვითომდა სძინავს. მაგრამ არავინ იცის, რა სიზმარს ხედავს გოგონა - იქნებ ნათელი, მზიანი დღე აგონდება, ან იქნებ რაღაც კოშმარული სანახაობა უდგას თვალწინ.

ერთად ისინი მხოლოდ მოხუცმა წყვილმა დაინახა. და იმ შემთხვევაშიც კი, თუ გოგონას სიკვდილს მკვლელობად მიიჩნევენ, - რაშიც იგორს ეჭვი ეპარება, რადგან ძალადობის არავითარი კვალი არ დაუტოვებია, - საეჭვოა მოხუცებს დამახსოვრებოდათ, როგორ გამოიყურებოდა იგორი და პოლიციელს სწორად აუწერონ მისი გარეგნობა. არა, შესაშფოთებელი მიზეზი არა აქვს: ადამიანთა უმრავლესობა ყურადღებას არ აქცევს, რა ხდება ირგვლივ.

წასვლამდე იგორი შუბლზე კოცნის მძინარე მზეთუნახავს და ჩასჩურჩულებს:

- ხედავ? სიტყვა არ გავტეხე - არ მისროლია.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა, საშინელი თავის ტკივილი იგრძნო. რას იზამ, ასეც უნდა მომხდარიყო: სისხლი თავის ტვინს მიაწყდა, ეს კი იმ წუთში საშინელი დაძაბულობისაგან გათავისუფლებული ორგანიზმის ნორმალური რეაქციაა. მიუხედავად ამისა, ის ბედნიერად გრძნობს თავს. მან მიზანს მიაღწია.

დიახ, მან შეძლო! და ბედნიერია, რომ ისეთ ნაზ სხეულს გაჰყარა სული, რომელსაც არ შეეძლო, წინააღმდეგობა გაეწია აბუჩად ამგდები, მშიშარა არამზადისთვის. ასე რომ გაგრძელებულიყო, დათრგუნული და მუდმივ შიშში მყოფი გოგონა საკუთარი თავის პატივისცემას დაკარგავდა და თანდათან უფრო მეტად იქნებოდა დამოკიდებული თავის საყვარელზე.

ევას საქმე სულ სხვაგვარად იყო. მას მუდამ შეეძლო თავისი გადაწყვეტილებების ბოლომდე დაცვა, თუმცა საკუთარი საქმის წამოწყებისას - მზა კაბების მდიდრული ბუტიკი რომ გახსნა - მისგან ფულს, დახმარებას და რჩევებსაც ღებულობდა. შეეძლო ემოგზაურა, როცა მოისურვებდა და რამდენ ხანსაც მოისურვებდა, თვითონ კი ნამდვილი მამაკაცი და ქმარი იყო. ევა კი მაინც შეცდა: ვერ შეძლო, გაეგო მისი სიყვარულისთვის, შემდეგ - მიეღო პატიება. იგორს მაინც იმედი აქვს, რომ ევა მისგან

გზავნილს მიიღებს, რადგან სწორედ იმ დღეს, როცა მან იგორის მიტოვება გადაწყვიტა, იგორმა დაიფიცა, რომ მის დასაბრუნებლად სამყაროებს გაანადგურებდა.

იგორი ჯიბიდან იღებს ახლახან ნაყიდ მობილურს, სადაც ანგარიშზე მინიმალური დასაშვები თანხა აქვს და ესემეს შეტყობინებას გზავნის.

11:00 AM

ლეგენდას თუ დავუჯერებთ, ყველაფერი ასე დაიწყო: 1953 წელს კანის კინოფესტივალზე უსაქმურობისაგან გაბეზრებულმა ფოტორეპორტიორებმა პლაჟზე სურათი გადაუღეს ბიკინიან, ცხრამეტი წლის, ყველასათვის უცნობ გოგონას. გაიარა ხანმა და ის სუპერვარსკვლავად იქცა. მისი სახელი კი - ბრიჯიტ ბარდო - მთელ მსოფლიოში გახმიანდა. ახლა ყველა დარწმუნებულია, რომ ბრიჯიტ ბარდოს ბედის გასამეორებლად მხოლოდ პლაჟზე პრანჭვა-გრეხაა საკმარისი, იმის გაგებას კი აღარ ცდილობენ, რომ საამისოდ მსახიობის ნიჭიცაა საჭირო. ფიქრობენ, რომ მხოლოდ გარეგნობაა ანგარიშგასაწევი.

ამიტომაც არ უჩანს ბოლო ასეული და ათასეული კილომეტრიდან აქ ჩამოფრენილ ქერად შეღებილ გრძელფეხება გოგონებს, რომელთაც ათასგვარი დაბრკოლების გადალახვა უწევთ, რათა მთელი დღე გაატარონ პლაჟზე იმ იმედით, რომ ნახევრად შიშვლად გადაღებულებს ვიღაც შეამჩნევს. ისინი ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, თავი აარიდონ ყველა ქალისთვის დაგებულ მახეს - არ სურთ იქცნენ დედებად, მოამზადონ სადილი, დაალაგონ, ბავშვები სკოლაში ატარონ და უიმედო, ერთფეროვან ყოფაში ეძიონ რაიმე ნათელი წვრილმანი, რის შესახებაც შემდეგ მეზობლებთან ლაპარაკით იჯერებენ გულს. ისინი ფიქრობენ დიდებაზე, ბრწყინვალებაზე, სიმდიდრეზე, თავიანთი ქალაქის მაცხოვრებელთა და თანატოლთა შურიანობაზე, რომელთაც ისინი საძაგელი იხვის ჭუჭულები ჰგონიათ და არც კი ფიქრობენ, რომ ოდესმე შეიძლება მშვენიერ გედებად იქცნენ, რომ უღიმღამო, შეუხედავი კოკრები ყველასთვის სასურველ, საუცხოო ყვავილებად გადაიშლებიან. ამ ქალიშვილების ოცნება მხოლოდ კარიერაა და მზად არიან, ვალებში ჩაცვივდნენ, ოღონდაც მკერდი სილიკონით გაიბერონ და გამომწვევი ჩაცმულობით გამოირჩეოდნენ. სამსახიობო ხელოვნების გაკვეთილები? რა სისულელეა, ეს ვის სჭირდება! საკმარისია სილამაზე და კავშირები - ამ ორს სასწაულების მოხდენა შეუძლია. ოღონდ მთავარია, ამ ჯადოსნურ სამყაროში შეაღწიო. პროვინციული ცხოვრების მონოტონურობისგან თავდასაღწევად ნებისმიერი საფასური უნდა გაიღო. მილიონობით ადამიანი ამისკენ არ ისწრაფვის, ცხოვრობენ ისე, როგორც საჭიროდ ეჩვენებათ. მაგრამ იმან, ვინც ფესტივალზე ჩამოდის, შიში უნდა დაძლიოს, შინ დატოვოს და ყველაფრისთვის მზად იყოს - უნდა

იმოქმედოს უყოყმანოდ, თუ საჭიროა, იცრუოს, დამალოს ასაკი და უღიმოდეს ადამიანებს, ზიზღს რომ იწვევენ, თავი მოიკატუნოს, თითქოს გული მიუწევს იმისკენ, ვისგანაც თავის დაღწევა უნდა, ჩასჩურჩულოს, მიყვარხარო და არ იზრუნოს შედეგზე; ზურგში დანა გაუყაროს მეგობარს, რომელსაც ოდესღაც ხელი გაუმართავს ან გადაურჩენია, ახლა კი არასასურველ მეტოქედ ქცეულა მისთვის. იაროს ჯიქურ, დაივიწყოს სინდის-ნამუსი. მოპოვებული ჯილდო - დიდება - ყოველგვარ მსხვერპლად ღირს.

ბრწყინვალება და გლამური.

თავში დომხალივით არეული ეს ფიქრები აღიზიანებს გაბრიელას, რადგან დღის ასეთი აზრებით დაწყება, მით უმეტეს, ნაბახუსევზე, სასურველი სულაც არაა.

ერთი რამ ამშვიდებს: არ გაუღვიძია ხუთვარსკვლავიან სასტუმროში მამაკაცის გვერდით, რომელიც ეტყოდა, დროზე ჩაიცვი და წადი, რადგან უამრავი საქმე მაქვს - ჩემი პროდიუსერობით გადაღებული ფილმები უნდა ვიყიდო ან გავყიდოო.

გაბრიელა წამოდგა, მიიხედ-მოიხედა - რომელიმე მეგობარი აქ ხომ არ არისო. რა თქმა უნდა, არავინ ჩანდა, ყველა წასულ-წამოსულიყო, ვინ კრუაზეტზე, ვინ აუზში, ვინ ბარში, იახტაზე, პლაჟზე, საუზმეზე, რაც, მათი აზრით, იღბალსა და სხვაგვარ ხვედრს უქადდათ. პატარა ოთახის იატაკზე, ახლა სამჯერ ძვირად რომ იქირავეს, ხუთი ლეიბი ეფინა. ირგვლივ უწესრიგოდ მიეყარ-მოეყარათ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და საკიდები, რომელთა აკრეფა და კარადაში ჩამოკიდება არავის მოსვლია აზრად.

„აქ ტანსაცმელი უფრო დიდ პატივშია, ვიდრე ადამიანი“.

რაღა თქმა უნდა, არც ერთ მათგანს ოცნებაც კი არ შეეძლო Versace-ს და Galiano-ს, Elie saab-ისა და Karl Lagerfeld-ის ნივთებზე, მაგრამ მთელი ოთახი იმით იყო მოფენილი, რასაც გოგონების ჯიბე გასწვდებოდა - მინი ქვედაკაბებით, ბიკინებით, ბლუზებით, ფეხსაცმელებითა და უამრავი კოსმეტიკური საშუალებით.

„არა უშავს, ოდესმე მეც იმას ჩავიცვამ, რასაც მოვისურვებ, ახლა კი მხოლოდ ერთი შანსი მჭირდება“.

რატომ მხოლოდ ერთი?

იმიტომ, რომ იცის: ის ყველას სჯობია და ამის რწმენას წინ ვერ აღუდგება - ვერც სკოლისდროინდელი იმედგაცრუება და ვერც ამის გამო მშობლების გულგატეხილობა. შინაურებთან სწორედ იმიტომ იჩხუბა, რომ დაერწმუნებინა, ყველანაირი დაბრკოლების გადალახვა, ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევა, ყველა დამარცხებისა და წარუმატებლობის დავიწყება შეეძლო, რომ გამარჯვებისა და ბრწყინვალებისთვისაა დაბადებული - ამაში ეჭვი ოდნავადაც არ ეპარება.

„ვიცი, სურვილს რომ ავისრულებ, საკუთარ თავს აუცილებლად ვკითხავ: ყველას იმიტომ ვუყვარვარ და ჩემით აღფრთოვანებულნი იმიტომ არიან, რომ ისეთი ვარ, როგორიც ვარ, თუ იმიტომ, რომ საქვეყნოდ ცნობილი გავხდი?“

ის იცნობს ხალხს, რომელთაც წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ მისი აზრის საწინააღმდეგოდ, მათ სულიერი სიმშვიდე ვერ მოუპოვებიათ - სცენის გარეშე რწმენადაკარგულები, ეჭვებით სავსენი და უბედურები არიან. ეშინიათ არასწორი ნაბიჯის გადადგმის, რამაც შეიძლება კარიერა სამუდამოდ გაუფუჭოს.

„მაგრამ მე სულ სხვა ვარ და მუდამ დავრჩები იმად, რაც ვარ“.

მართლა ასეა? თუ მის ადგილზე ყველა ასე ფიქრობს?

ჭუჭყიან სამზარეულოში (არც ერთ მეგობარს აზრადაც რომ არ მოსვლია თეფშები მაინც გაერეცხა) გაბრიელა ყავას იდუღებს და ვერ მიმხვდარა, რატომ გაეღვიძა ასეთ ცუდ გუნებაზე, თანაც - ეჭვებით სავსეს. იცის თავისი საქმე და მთელი სულითა და გულით ეკიდება მას - მაინც ჰგონია, რომ არავის სურს მისი ტალანტის აღიარება. ის იცნობს ხალხს, უმეტესწილად, მამაკაცებს. ისინი მოკავშირეებად ეყოლება ბრძოლაში, რომელიც ახლავე უნდა დაიწყოს და დაუყოვნებლივ მოიგოს, რადგან ის უკვე ოცდახუთი წლისაა და სულ მალე ასაკის გამო ოცნების ინდუსტრიისათვის გამოუსადეგარი გახდება.

რა იცის მან ამ მამაკაცებზე?

იცის, რომ მათ ქალებზე ნაკლებად აქვთ ღალატისაკენ მიდრეკილება.

რომ ყურადღებას არასოდეს აქცევენ ქალის ჩაცმულობას, რადგან თვალის შევლებით უმალ აშიშვლებენ.

რომ, თუ ქალებს კარგი ფიგურა აღმოაჩნდებათ, სამყაროც დაპყრობილი ექნებათ.

მას მტკიცედ ახსოვს ეს სამი პუნქტი, ისიც იცის, რომ ყველა მისი მეტოქე ქალი თავისი მომხიბვლელობის უკეთ წარმოჩენას ცდილობს და ისიც სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას - ვარჯიშობს, იცავს რეჟიმს, თუმცა ლოგიკის ქადაგების საწინააღმდეგოდ, სადად იცვამს. აქამდე ამას ნაყოფი გამოჰქონდა და თავის წლებთან შედარებით მუდამ უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა. ღმერთმა ქნას, აქაც - კანშიც ასე მოხდეს.

გაბრიელა სვამს ყავას და თანდათან ახსენდება თავისი უგუნებობის მიზეზი. საქმე ისაა, რომ მის გარშემო თავი მსოფლიოს ლამაზმანებს მოუყრიათ და თუმცა თავი უშნო სულაც არ ჰგონია, მათთან გაჯიბრება გაუჭირდება. უნდა მოიფიქროს, როგორ იმოქმედოს: აქ ჩამოსვლა მისთვის არცთუ იოლი იყო, ფული ზუსტად სამყოფი აქვს, კონტრაქტის დადების ვადა კი - უფრო ნაკლები. პირველ ორ დღეს აქა-იქ მოასწრო გამოჩენა და მოახერხა თავისი CV-ისა და პორტფოლიოს ჩვენება, მაგრამ ამით

მხოლოდ მეათეხარისხოვან რესტორანში გუშინდელ საღამოზე მიწვევას მიაღწია, სადაც გამაყრუებლად ქუხდა მუსიკა და, აშკარაა, ვერ შეხვდებოდი სუპერკლასის წარმომადგენლებს. დაძაბულობის მოსახსნელად დალია და, ეტყობა, იმაზე მეტი, ვიდრე მისი ორგანიზმი აიტანდა, ასე რომ, სულ დაკარგა წარმოდგენა, სად იმყოფებოდა ან რას აკეთებდა. აქ, ევროპაში, ყველაფერი უცხოდ და უჩვეულოდ ეჩვენებოდა: ჩაცმულობის მანერაც, უცხო ენაზე ლაპარაკიც და ნაძალადევი მხიარულებაც აქ დამსწრეებისა, რომელთაგანაც თითოეულს, ალბათ ძალიან ვიწრო წრისთვის მოწყობილ ღონისძიებაზე მოხვედრა სურდა. სინამდვილეში კი ამ უბადრუკ ადგილზე აღმოჩნდნენ და მუსიკის ხმის დასაფარავად ხმამაღლა განსჯიდნენ სხვათა ცხოვრებას და უსამართლოდ მოწყობილ სამყაროს.

გაბრიელას მობეზრდა ამის მოსმენა. ასეა - ხელისუფალნი უსამართლონი არიან - მორჩა და გათავდა. ასეთები არიან. ასეთია მათი ბუნება. ისინი ირჩევენ იმათ, ვინც მოესურვებათ. არ არიან ვალდებულნი მოიქცნენ ისე, რომ გარშემომყოფნი კმაყოფილები იყვნენ. მასაც სწორედ ამიტომ სჭირდება გეგმა. იმავე ოცნებით შეპყრობილი (მაგრამ, რასაკვირველია, არა მასავით ნიჭიერი) ბევრი სხვა ქალიშვილიც გზავნის თავის ფოტოს, ვიდეოს და რეზიუმეს, ამიტომ კანში ჩამოსულმა პროდიუსერებმა, აშკარაა, აღარ იციან, სად წაიღონ ამდენი სავიზიტო ბარათი, CVD და პრეტენდენტთა მონაცემებით სავსე საქაღალდეები.

მაშასადამე, უნდა გამოირჩეოდე, მაგრამ როგორ?

ამაზე უნდა იფიქროს, სხვა გზა არ დარჩენია. მით უმეტეს, უკვე შემოეხარჯა მთელი თავისი დანაზოგი და აქ მეორედ ჩამოსასვლელად ფულს ვეღარ მოაგროვებს. და, ვაი, საშინელებავ! ახალგაზრდობა ხელიდან გამოეცლება. ოცდახუთი წელი... ეს მისი საბოლოო შანსია.

გაბრიელა სვამს ყავას, თან პატარა სარკმელში იყურება. სარკმლიდან მოჩანს მიყრუებული ჩიხი, თამბაქოს გასაყიდი დუქანი და გოგონა, რომელიც შოკოლადს ჭამს. დიახ, ეს უკანასკნელი შანსია და მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

ფიქრებში წასული უბრუნდება იმ დროს, როცა ჩიკაგოს ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ სკოლაში სწავლობდა და სასკოლო სპექტაკლებში მონაწილეობდა. მაგრამ გამარჯვების სურვილი თანაკლასელების, მათი მშობლებისა და მასწავლებლების მიერ მისთვის მოწყობილი ოვაციის შედეგად არ გასჩენია.

ყველაფერი სულ სხვაგვარად მოხდა: პიესის, „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, ინსცენირებისას ის შეშლილი მექუდის როლს თამაშობდა. სხვა დანარჩენი ბიჭებისა და გოგონების მსგავსად თავდაპირველად პიესაში მანაც ამ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლზე მოსინჯა ძალა.

მისი პირველი რეპლიკა ასე ჟღერდა: „თმები უნდა შეიჭრა“, რაზეც ალისა პასუხობს: „ეს იმას ნიშნავს, რომ სტუმრებს თავაზიანად არ ეპყრობი“.

დიდი ხნის ნანატრი სპექტაკლის მსვლელობისას დაზეპირებული ტექსტი მღელვარებისგან შეეშალა და წარმოთქვა: „თმები უნდა გაიზარდო“. ალისას როლის შემსრულებელმა კი ისე უპასუხა, როგორც ასწავლეს და მაყურებელს არაფერი შეუმჩნევია, მაგრამ გაბრიელა ხომ მიხვდა თავის შეცდომას!

და მეტყველების უნარი წაერთვა. მექუდე მნიშვნელოვანი პერსონაჟია, უიმისოდ ამ სცენას ვერ ითამაშებდნენ, ბავშვებს კი სცენაზე იმპროვიზაცია არ შეუძლიათ (თუმცა ცხოვრებაში ამას მშვენივრად ახერხებენ), ამიტომ აღარავინ იცოდა, რა ექნა. ხანგრძლივი, მტანჯველი პაუზის შემდეგ, სანამ მსახიობები ერთმანეთს უსიტყვოდ მისჩერებოდნენ, ერთ-ერთი მასწავლებელი გამოფხიზლდა და ტაში დაუკრა, მერე ანტრაქტი გამოაცხადა და ყველას სცენიდან ჩასვლა უბრძანა.

გაბრიელა სცენიდან ჩამოსვლისთანავე აქვითინებული გაიქცა შინ. მეორე დღეს შეიტყო, რომ სპექტაკლი იმ ადგილიდან უნდა გაეგრძელებინათ, დედოფალთან კრიკეტის თამაშს რომ იწყებდნენ. და თუმცა მასწავლებელი ამტკიცებდა, არა უშავს, რადგან „ალისაში“ ყველაფერი წაღმა-უკუღმააო, გაბრიელას შესვენებაზე მაინც გვარიანად მოხვდა თანაკლასელებისგან.

თანაც პირველად როდი სცემდნენ - ეს თითქმის ყოველ კვირა ხდებოდა. იმანაც ისწავლა თავდაცვა. მაგრამ ამჯერად წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, ჩუმად იდგა და ტირილითაც კი არ ტიროდა. მისმა რეაქციამ ისე გააოცა მოწაფეები, რომ სულ მალე თავი მიანებეს - ბოლოს და ბოლოს, ჩხუბი ხომ იმიტომ წამოიწყეს, რომ გაბრიელა აეტირებინათ, და რაკი ეს არ გამოუვიდათ, მის მიმართ ინტერესი დაკარგეს.

გაბრიელა კი იმიტომ არ ტიროდა, რომ ყოველი სილის გარტყმისას ფიქრობდა: „მე დიდი მსახიობი გავხდები და მაშინ მწარედ ინანებთ თქვენს საქციელს“.

ვინ თქვა, თითქოს ბავშვებს არ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება, რა სურთ ცხოვრებაში?

უფროსებმა.

და სანამ ვიზრდებით, ასე გვგონია, უფროსები ყველაზე ჭკვიანები არიან და მთელი სამყაროს სიბრძნეს ფლობენ. ბევრი ბავშვი ჩავარდნილა მსგავს სიტუაციაში - სცენაზე გამოსვლისას და მძინარე მზეთუნახავის, ალისას, ალადინისა თუ შეშლილი მექუდის როლის შესრულებისას უცებ ავიწყდებათ ტექსტები. ამ წუთებიდან ისინი უარს ამბობენ სოფიტების შუქზეც და პუბლიკის აპლოდისმენტზეც. მაგრამ გაბრიელა, თერთმეტ წლამდე, იმ ავადსახსენებელ სპექტაკლამდე, არასდროს ტექსტი რომ არ ეშლებოდა და მუდამ ყველაზე ჭკვიანი, ლამაზი და საუკეთესო მოსწავლე იყო, იმ წუთში ინტუიციით მიხვდა, ახლავე თუ არ მოვახდინე რეაგირება, დავიღუპებიო.

ვინაიდან ერთია, მიგტყიპონ თანაკლასელებმა და სულ სხვაა, სიცოცხლის ბოლომდე ატარებდე დამარცხების ტვირთს. ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ სასკოლო

სპექტაკლების დროს წამოცდენილი სიტყვების გამო, თითქოს სხვებზე უარესად ცეკვავ, ფეხები ძალზე წვრილი ან თავი ერთობ დიდი გაქვს, შეიძლება განვითარების ორი სრულიად განსხვავებული შედეგი მივიღოთ:

ერთნი - ისინი ძალიან ცოტანი არიან - გადაწყვეტენ, სამაგიერო გადაუხადონ შეურაცხმყოფელებს და იმ სფეროში, სადაც წყალწაღებულები ეგონათ, საუკეთესოები გახდნენ. „ოდესმე ჩემი შეგშურდებათ“, - ფიქრობენ ისინი.

უმრავლესობა კი ეგუება ამას და ფიქრობს, მართლაც ასეა და მომავალშიც ასე იქნებაო. ამ შემთხვევაში ყველაფერი თანდათან უარესდება. ასეთი ბავშვები ისე იზრდებიან, რომ არა აქვთ საკუთარი თავის რწმენა, არიან ზედმეტად მორჩილნი. თუმცა, ოცნებობენ იმ მშვენიერ დღეზე, როცა თავისუფლებას მოიპოვებენ და იმას გააკეთებენ, რაც მოესურვებათ, თხოვდებიან მხოლოდ იმის გამო, რომ არ თქვან, თითქოს არავის სურდა მათი ცოლად შერთვა (თუმცა თავი მაინც უშნო ჰგონიათ), ბავშვებს აჩენენ, რათა არ იფიქრონ, უნაყოფონი არიანო (თუმცა სინამდვილეში ბავშვებზე ოცნებობდნენ), იცვამენ, როგორც წესი და რიგია, რათა არა თქვან, უგემოვნონი არიანო (თუმცა დარწმუნებულნი არიან, რაც უნდა ჩაიცვან, მაინც ამას იტყვიან).

გაბრიელას სასკოლო სპექტაკლში წარუმატებლობა ერთ კვირაში თითქმის ყველას დაავიწყდა, მაგრამ მან საკუთარ თავს სიტყვა მისცა, ოდესმე აქ თეთრ ცხენზე ამხედრებულ, უკვე საქვეყნოდ სახელმოხვეჭილ მსახიობად დაბრუნდებოდა. დაბრუნდებოდა მცველებით, მდივნით, ფოტორეპორტიორებით და ფანების ლეგიონით. ითამაშებდა საქველმოქმედო სპექტაკლში მიტოვებული ბავშვებისთვის იმავე „ალისაში“ და სენსაციას გამოიწვევდა. მისი თანაკლასელები კი იტყოდნენ, ჩვენ ოდესღაც ერთ სცენაზე გამოვდიოდითო.

დედას უნდოდა, გაბრიელა ინჟინერ-ქიმიკოსი გამოსულიყო და სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლებმა ილინოისის ტექნიკურ ინსტიტუტში ურჩიეს სწავლა. დღისით პოლინუკლეოტიდებსა და ბენზოატის სტრუქტურას სწავლობდა, საღამოობით კი სამსახიობო ოსტატობას ეუფლებოდა. მეცადინეობის საფასურს საცხოვრებლისთვის, ტანსაცმლისა და სახელმძღვანელოებისთვის გამოგზავნილი ფულით ისტუმრებდა. მისი მასწავლებლები თეატრალური საქმის ნამდვილი პროფესიონალები იყვნენ. მას აქებდნენ, აძლევდნენ სარეკომენდაციო წერილებს: ითამაშა (მშობლების უჩუმრად) სპექტაკლში - „ლოურენს არაბი“, სადაც მუცლით ცეკვა შეასრულა.

გაბრიელა ყველა წინადადებაზე თანხმდებოდა იმ იმედით, რომ ერთ მშვენიერ დღეს პარტერში შეიძლება ვინმე სახელგანთქმული პიროვნება გამოჩენილიყო და ისიც მოხვედრილიყო ნამდვილ სინჯებზე და ადგილი ამ მზის ქვეშ, არა, მზის ქვეშ კი არა, სოფიტების შუქის ქვეშ - მასაც მოეპოვებინა.

ამასობაში გადიოდა წლები. გაბრიელას იღებდნენ კბილის პასტის სარეკლამო რგოლებში, მუშაობდა ფოტომოდელად, ერთხელ კი ძლივს გაუძლო ცდუნებას და კინაღამ დათანხმდა რომელიღაც ფირმას, რომელიც ბიზნესმენთა „ესკორტმომსახურებას“ სთავაზობდა, რადგან გადაუდებლად სჭირდებოდა ფული პორტფოლიოსთვის, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი სამოდელო და სამსახიობო სააგენტოებისთვის უნდა დაეგზავნა. მაგრამ ღმერთმა - ვისი იმედიც არასოდეს დაუკარგავს - იხსნა. იმავე დღეს ხელი მოაწერა ერთ-ერთი იაპონელი მომღერლის ვიდეოკლიპს, რომელიც ჩიკაგოში გადაიღეს და მოსალოდნელზე მეტი გადაუხადეს (ჩანს, უცხოური ჯგუფისთვის პროდიუსერებმა დიდი თანხა გაიღეს). სწორედ ამ ფულით გაბრიელამ, როგორც იქნა, გამოსცა პორტფოლიო, რომელიც ნავარაუდევზე გაცილებით ძვირი დაუჯდა.

ის დაუღალავად უმეორებდა საკუთარ თავს, რომ ჯერ ყველაფერი წინ აქვს, თუმცა დღეები და თვეები სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს. სტუდენტობაში ოფელიას თამაშობდა, ახლა კი დეზოდორანტებისა და ღამის კრემების რეკლამებს სთავაზობენ. სააგენტოებში წასვლისას თან მიჰქონდა თავისი პორტფოლიო, მასწავლებლების, მეგობრებისა და იმათი რეკომენდაციები, ვისთან ერთადაც ემუშავა. მისაღებში მუდამ ხვდებოდა რამდენიმე თავისნაირ ქალიშვილს. ყველა იღიმებოდა, ყველას სძულდა ერთმანეთი და რას არ ჩაიდენდნენ, ოღონდაც „გაბრწყინებულიყვნენ“, როგორც ამას პროფესიონალების ენაზე ამბობენ.

კარგა ხანს უწევდა ლოდინი, ამიტომ, დროის მოსაკლავად მედიტაციის ხელოვნებასა და პოზიტიურ აზროვნებაზე დაწერილ წიგნებს კითხულობდა. ბოლოს და ბოლოს, მისი რიგიც დგებოდა, გაბრიელა მიდიოდა მაგიდასთან, რომლის იქით მჯდომი კაცი ან ქალი ყურადღებას სულ არ აქცევდა რეკომენდაციებს; მდუმარედ, უკომენტაროდ იწყებდა ფოტოსურათების ალბომის ფურცვლას, შემდეგ იწერდა მის სახელს და ხანდახან კასტინგზე გასვლას სთავაზობდა. კასტინგებზე ბედმა ათიდან მხოლოდ ერთხელ გაუღიმა და მაშინ, როცა თავის ნიჭში სავსებით დარწმუნებული მივიდა გადაღებაზე, ფოტოგრაფმა მოურიდებლად დაუწყო მბრძანებლობა: „თავისუფლად გეჭიროს თავი, გაიღიმე, მარჯვნივ შეტრიალდი, ნიკაპი დასწიე, ტუჩებზე ენა მოისვი“.

ყავა მზადაა.

ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ კარგა ხანს არსად იწვევდნენ. თავდაპირველად ამის გამო შეურაცხყოფისგან იტანჯებოდა, თავს უარყოფილად და მიტოვებულად გრძნობდა. მაგრამ თანდათან შეეჩვია, თავს უმტკიცებდა, რომ სიჯიუტესა და ნებისყოფაში გამოცდას აბარებდა. ვერ დაეჯერებინა, რომ არც სარეკომენდაციო წერილებს, არც cv-ის და არც მიღებულ განათლებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ვერაფერში დაეხმარებოდა...

მობილური რეკავს.

ჯერ კიდევ თავის წარსულში ფიქრებით მოსეირნე გაბრიელა, ხეირიანად რომ ვერ გარკვეულა, რა ხდება, თამბაქოს ჯიხურსა და შოკოლადიან გოგოზე თვალმოუშორებლად აჭერს ტელეფონის ღილაკს თითს.

მობილურიდან ვიღაცის ხმა ატყობინებს, რომ ორი საათის შემდეგ სინჯებზე იწვევენ.

სინჯებზე! კანში!

ამაოდ არ გადმოუფრენია ოკეანეზე და ტყუილად არ ჩამოსულა ქალაქში, სადაც მთელი სასტუმროები გადაჭედილია. გოგონებთან ერთად (ერთი პოლონელია, ორი რუსი და ერთი - ბრაზილიელი), კარგა ხნის უშედეგო ძებნის შემდეგ, ძალზე ძვირად ძლივს იშოვა ოროთახიანი ბინა. ჩანს, ამაოდ არ უცდია ბედი ამდენი წლის მანძილზე ჩიკაგოში, დროდადრო ამაოდ არ მიემგზავრებოდა ლოს-ანჟელესში ახალი აგენტების მოსაძებნად, ამაოდ არ პოზირებდა სარეკლამო ფოტოგრაფიისთვის, ტყუილუბრალოდ არ გადაუღიათ კლიპებში და ამდენი უარიც ტყუილად არ მოუსმენია! ახლა მისი მომავალი ევროპაშია!

ორი საათის მერე?

ავტობუსით წასვლა არ შეეძლო, მარშრუტების არაფერი გაეგებოდა. იჯარით აღებული ბინა გორაკზე იდგა, საიდანაც გაბრიელას სულ ორჯერ მოუხდა ჩამოსვლა: ერთხელ, როდესაც თავისი რეზიუმე გაავრცელა და მეორედ - გუშინ, იმ უმნიშვნელო საღამოზე წასასვლელად. გორაკიდან რომ ჩამოვიდა, ერთ ძვირფას, თავღია მანქანის საჭესთან მარტო მჯდომ მამაკაცს დაადგა თვალი. ყველასთვის ცნობილია, რომ კანი უსაფრთხო ადგილია და თითოეული ქალიშვილი დარწმუნებულია, სილამაზე ასეთ სიტუაციაში გვარიანად ეხმარება მათ, მაგრამ ახლა გაბრიელას არ შეეძლო იმედი შემთხვევით იღბალზე დაემყარებინა. სინჯებზე დაგვიანება არ შეიძლება - ამ მცნებას ყოველ სამსახიობო სააგენტოში ასწავლიან პრეტენდენტებს, თანაც შეამჩნია, რომ ქალაქში საცობი იშვიათი მოვლენა არ იყო. ასე რომ, ისღა დარჩენოდა, ჩაეცვა და სირბილით წასულიყო. საათ-ნახევრის შემდეგ ის იმ სასტუმროში იქნებოდა, სადაც პროდიუსერი ქალი ცხოვრობს. გაბრიელას ის გუშინდელი დღიდან დაამახსოვრდა, როცა თავის რეზიუმეს ავრცელებდა.

გაბრიელა თავის ჩემოდანს ეცა და ჩინეთში შეკერილი, ჩიკაგოს გარეუბანში, შავ ბაზარზე მუქთად ნაყიდი Armani-ის ჯინსი ამოიღო. ვერავინ იტყოდა, რომ ის არ იყო ნამდვილი, მით უმეტეს, რომ სინამდვილეში არც ყალბი იყო. ყველამ იცის, რომ ჩინელები პროდუქციის ოთხმოც პროცენტს მაღაზიებში აწყობენ, დანარჩენი ოცი პროცენტი კი კონტრაბანდად გააქვთ გასაყიდად. ამოიღო KNVI-ის თეთრი ბლუზაც - ჯინსზე ძვირად ნაყიდი; თავისი პრინციპების ერთგულ გაბრიელას სჯეროდა, რომ სისადავე ყველაფერს სჯობს. არავითარი მინი და გადაჭარბებული დეკოლტე, იმიტომ, რომ თუკი სინჯებზე სხვა პრეტენდენტებიც იქნებიან მიწვეულნი, ისინი

ზუსტად ასე ჩაცმულნი მოვლენ. მცირე ყოყმანის შემდეგ გაბრიელა ზომიერზე ოდნავ გადაჭარბებულ მაკიაჟს იკეთებს, ტუჩებს კი ძლივს შესამჩნევად იფერავს.

ამას დასჭირდა ძვირფასი თხუთმეტი წუთი.

11:45 AM

ადამიანების დაკმაყოფილება შეუძლებელია. ვისაც ცოტა აქვს, სურს, უფრო ბევრი ჰქონდეს, ვისაც ბევრი აქვს, უფრო მეტი და მეტი უნდა. როცა უფრო მეტს შოულობენ, ბედნიერება უნდათ, მაგრამ საამისოდ ძალა არ შესწევთ.

ნუთუ ვერ გაუგიათ, რა უბრალოდ მიიღწევა ბედნიერება? მაგალითად, რა უნდა ამ ჯინსიანსა და თეთრბლუზიან ქალიშვილს? ასე სად მიეჩქარება? რა გადაუდებელი საჭიროება აიძულებს, არ უმზერდეს ამ ნათელ, მზიან დღეს, ზღვის სილაჟვარდეს, სანაპიროზე ჩამწკრივებულ პალმებსა და ეტლებით მოსეირნე ბავშვებს?

ნუ მირბიხარ, ქალიშვილო, სულერთია, ვერ გაექცევი, ვერ დაემალები ცხოვრებაში ორ მთავარ რამეს - ღმერთსა და სიკვდილს. ღმერთი თან გახლავს ყოველ ნაბიჯზე და სწყინს, რომ ყურადღებას არ აქცევ ცხოვრების სასწაულს. სიკვდილი? შენ ხომ ახლახან ჩაუარე გვამს და არც შეგიმჩნევია“.

იგორმა უკვე რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა მკვლელობის ადგილს, მაგრამ რაღაც მომენტში მიხვდა, რომ მის ამ ავლა-ჩავლას შეიძლება ვინმე დაეეჭვებინა და გადაწყვიტა, იქაურობას კარგა მანძილზე - ორას მეტრამდე, გასცლოდა და მოაჯირზე დაყრდნობილს, შავი სათვალით ედევნებინა თვალი (სათვალეს მხოლოდ მზის კაშკაშა სინათლისაგან დაცვა როდი შეუძლია, ის აქ სახელგანთქმულთა შორის სტატუსის ატრიბუტიცაა).

საოცარია - უკვე შუადღემ მოაწია და ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე, საითაც მთელი მსოფლიოს ყურადღებაა მიპყრობილი, ჯერ კიდევ არავის შეუნიშნავს მკვდარი სხეული.

მაგრამ, აი, მერხს ქალი და კაცი უახლოვდებიან და გამყიდველს ეძახიან. მამაკაცი, უეჭველია, მამა, მრისხანედ ანჯღრევს მძინარე მზეთუნახავს, ქალი კი გოგონასკენ იხრება და თვალთვალი შეუძლებელი ხდება.

იგორმა ზუსტად იცის, ახლა რაც მოხდება:

ჰაერს ქალის გულისგამგმირავი კივილი გაჰკვეთს, თავზარდაცემული მამა განზე გადგება და ჯიბიდან მობილურს ამოიღებს, დედამ აღარ იცის, რა მოუხერხოს გოგონას, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა. მოგროვდებიან

გამვლელები, ახლა კი იგორიც მოიხსნის შავ სათვალეს და ახლოს მივა, როგორც ერთ-ერთი ცნობისმოყვარე.

შვილს ჩაკონებული მოტირალი დედა განზე გაჰყავთ და ვიღაც ახალგაზრდა კაცი ცდილობს, გოგონას ხელოვნური სუნთქვა ჩაუტაროს, მაგრამ უმალ წყვეტს მცდელობას - ოლივიას სახეზე უკვე სილურჯე გადაჰკრავს.

- სასწრაფო გამოიძახეთ! გამოიძახეთ სასწრაფო!

რამდენიმე ადამიანი ერთდროულად კრეფს ერთსა და იმავე ნომერს, ყველა გრძნობს თავის საჭიროებას, მნიშვნელობას, გულშემატკივრობას. უკვე ისმის მოახლოებული სირენის კივილი. დედა ხმამაღლა ღრიალებს და გულამომჯდარი, ხელს ჰკრავს ყველას, ვინც მის დამშვიდებას ცდილობს. ვიღაც ხელს ხვევს უსიცოცხლო სხეულს და მკვდარი გოგონას წამოწევას ცდილობს, მეორე კი ურჩევს, დროს ტყუილად ნუ კარგავ, იწვეს, როგორც წევს - გვიანია რაიმე ზომების მიღებაო.

- აშკარაა, ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზისგანაა, - ამბობს მესამე, - ახლანდელი ახალგაზრდები...

სხვები თავის დაქნევით უდასტურებენ, იგორი გულგრილად აგრძელებს თვალთვალს. ორი ექიმი რეანიმაციის ჩასატარებლად მანქანიდან დეფიბრილატორს იღებს, უფროსი კი დუმილით უყურებს მათ, რადგან იცის, შველა უკვე აღარ შეიძლება, მაგრამ მცდელობას არ ეწინააღმდეგება, რათა ხელქვეითებმა გულგრილობაში არ დაადანაშაულონ. საკაცეს სასწრაფოს სალონში დებენ. დედა სანიტრებს ებღაუჭება, ისინი ცოტაოდენი წინააღმდეგობის შემდეგ ნებას რთავენ, დაჯდეს მანქანაში და ამის შემდეგ სასწრაფო უმალ სწყდება ადგილს.

იმ წუთიდან, რაც მშობლებმა თავიანთი ქალიშვილი ნახეს, სასწრაფოს წასვლამდე ხუთ წუთზე მეტს არ გაუვლია. გაოგნებული მამა იმავე ადგილზე დგას და ვერ გაუგია, სად წავიდეს ან რა გააკეთოს. ის კაცი, რომელიც ნარკოტიკების თაობაზე გამოთქვამდა ვარაუდს, მასთან მიდის და ისე, რომ არც იცის, ვის ელაპარაკება, თავის ვერსიას უმეორებს.

- არაფერია განსაკუთრებული, ასეთი რამეები აქ ლამის ყოველდღე ხდება.

მამა მის სიტყვებზე არ რეაგირებს. ხელში ტელეფონი ჩაუბღუჯავს და სიცარიელეს მიშტერებია. მან ან ვერ გაიგო, ან არ იცის, რა ხდება აქ თითქმის ყოველდღე, ანდა შოკურ მდგომარეობაში იმყოფება, რაც ადამიანს უცაბედად აგდებს იდუმალ განზომილებაში, სადაც სულიერი ტკივილი არ არსებობს.

ხალხი ისე უცბად იშლება, როგორც მოგროვდა. მხოლოდ ორი მამაკაცი რჩება: ერთს ხელში ტელეფონი მოუმუჭავს, მეორეს შავი სათვალე უკეთია.

- იცნობდით ამ საბრალოს? - ეკითხება იგორი.

კითხვა უპასუხოდ რჩება.

სჯობს, დანარჩენებს მიჰბაძოს და კრუაზეტის სანაპიროზე სეირნობა განაგრძოს, დააკვირდეს, რა ხდება კანში ამ მზიანი დილით. იგორს თავისი თავისთვის ვერ აეხსნა, რას განიცდიდა ამჟამად, იმ სამყაროს განადგურების შემდეგ, რომლის აღდგენასაც ვერ შეძლებდა, ყოვლისშემძლე რომც ყოფილიყო. არის კი ევა ამის ღირსი? გოგონას (იცის, რომ ოლივია ერქვა, და ეს აღელვებს, ვინაიდან მან სიცოცხლე შეწყვიტა), შესაძლებელი იყო, ამქვეყნად გენიოსი მოევლინა, რომელიც გამოიგონებდა კიბოს საწინააღმდეგო წამალს, ანდა მოეფიქრებინა რაღაც, რისი საშუალებითაც დედამიწაზე, ბოლოს და ბოლოს, მშვიდობა დამყარდებოდა. იგორმა მხოლოდ ამ ერთ ადამიანს კი არა, მთელ იმ თაობებსაც მოუსწრაფა სიცოცხლე, რომლებიც შეიძლება მისგან გამრავლებულიყო.

პირველ მსხვერპლთან შეცდომა დაუშვა. ამას ვერასოდეს ვერავინ გაიგებს. არც ევა მიიღებს შეტყობინებას.

„საფიქრებელი არაფერია: რაც მოხდა, მოხდა, - თქვა თავისთვის, - მოემზადე, გზა განაგრძე და ერთხანს იარე. გოგონა შენი უდიდესი სიყვარულის მსხვერპლად იქცა. მიმოიხედე ირგვლივ, შეხედე, რა ხდება ქალაქში, ისე გეჭიროს თავი, ვითომც არაფერი მომხდარა - შენ შენი ტანჯვის ფიალა უკვე გამოსცალე და ახლა მყუდროდ და მოსვენებით ცხოვრების უფლება გაქვს. შენ კანის ფესტივალზე იმყოფები და ემზადები“.

საბანაო კოსტიუმი რომც სცმოდა, სანაპირომდე მიღწევა გაუჭირდებოდა. ეტყობა, ყველა სასტუმროს აქვს ქვიშიანი პლაჟის უზარმაზარი სივრცე, და იქ თავიანთ ლოგოიან საწოლებსა თუ ქოლგებს ათავსებენ; გზავნიან თავიანთ ოფიციანტებსა და მცველებს, ისინი კი ყველას სთხოვენ, აჩვენონ ნომრის გასაღები ანდა რაიმე იმის დამადასტურებელი, რომ ნამდვილად სასტუმროს მდგმურია. უზარმაზარ თეთრ ფარდულებში ახალი ფილმების, ლუდის ან კოსმეტიკურ საშუალებათა პრეზენტაცია ეწყობა. აქ ხალხი „ნორმალურადაა“ ჩაცმული; ესე იგი, მამაკაცებს აცვიათ ჭრელი პერანგები და ღია ფერის შარვლები, ქალებს კი - საზაფხულო კაბები და დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი.

ერთნიც და მეორენიც ატარებენ შავ სათვალეს, არ წარმოაჩენენ თავიანთ ფიზიკურ მომხიბვლელობას, რადგან სუპერკლასის წარმომადგენლებმა კარგა ხანია, ეს ზღვარი გადალახეს და ყოველგვარი „მოჩვენებითობა“, მათ თვალში, საუკეთესო შემთხვევაში, შეუსაბამო და უბადრუკი სანახავი იქნებოდა.

იგორმა ისიც შეამჩნია, რომ ყველას თან ჰქონდა მობილური ტელეფონი - მათი აღკაზმულობის საყურადღებო ნაწილი.

ძალზე მნიშვნელოვანია, მიიღო ზარი, წამდაუწუმ საუბარს რომ გაწყვეტინებს, და უპასუხო, თუმცა სინამდვილეში დიდად საჩქარო არაფერი ყოფილა. ანდა კრეფდე

ესემეს-შეტყობინებების ვრცელ ტექსტს, ის კი აღარავის ახსოვს, რომ ეს აბრევიატურა იშიფრება, როგორც short message service. ხალხი ისე აწკაპუნებს ფიჭური ტელეფონის პატარა კლავიატურაზე, თითქოს საბეჭდი მანქანა იყოს. იმას კი მნიშვნელობა არ აქვს, რომ ეს საკმაოდ მოუხერხებელი და დამქანცველია და მის გამო თითები სტკივათ. მარტო კანში კი არა, მთელ მსოფლიოში ზუსტად ამ წამში ეთერი, ალბათ, სავსეა ასეთი შეძახილებით: „გამარჯობა, ჩემო სიყვარულო, ამ დილით შენზე ფიქრით გამეღვიძა, რა კარგია, რომ ჩემს ცხოვრებაში არსებობ!“ ან: „ათი წუთის შემდეგ შინ ვიქნები, სადილი მოამზადე, თეთრეული სამრეცხაოში გაატანე“, ან: „აქ საშინელი მოწყენილობაა, მაგრამ სხვაგან წასვლა არ შემეძლო, შენ სად ხარ?“

ამის თქმა შეიძლება მოასწრო სულ რაღაც ათ წამში, აკრეფას და გაგზავნას კი, სულ მცირე, ხუთი წუთი მაინც დასჭირდება. რას იზამ, ასეა მოწყობილი სამყარო. და ვინ უნდა იცოდეს ეს, თუ არა იგორმა, რომელმაც ასობით მილიონი დოლარი იშოვა იმის წყალობით, რომ ტელეფონი დიდი ხანია, აღარ არის ურთიერთკავშირის საშუალება. ამ მექანიზმს სამყარო სრულ ჭკუასუსტობამდე და გადაგვარებამდე მიჰყავს. ლონდონში შექმნილი ეშმაკური სისტემა ერთი თვის მანძილზე ყოველ სამ წუთში, სულ რაღაც ხუთ ევროდ, ასეთ მომსახურებას გვთავაზობს: სანამ იმ ადამიანთან დაიწყებდეთ საუბარს, ვისზეც შთაბეჭდილების მოხდენა გსურთ, განსაზღვრულ ნომერზე უნდა დარეკოთ და გააქტიუროთ სისტემა. მერე შუა საუბრის დროს გაისმის წკარუნი, ჯიბიდან იღებთ ტელეფონს, კითხულობთ შეტყობინებას და ამბობთ: „არა უშავს, მოიცდის“ (რასაკვირველია, შეუძლია: შეტყობინება სულ სამი სიტყვისაგან შედგება: „თქვენი თხოვნის მიხედვით“). თქვენთან მოსაუბრე თავს უფრო მნიშვნელოვან პიროვნებად იგრძნობს და საქმიანი მოლაპარაკებაც ხალისიანად გაგრძელდება, რადგან მან უკვე იცის, რომ მეტისმეტად მოუცლელ ადამიანთან აქვს საქმე. სამი წუთის შემდეგ მოდის ახალი შეტყობინება, დაძაბულობა მატულობს და თქვენი გადასაწყვეტია, თხუთმეტამდე გაზრდით ინტერვალს თუ თავს კვლავ ისე მოაჩვენებთ, როგორი მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს საუბარი.

მხოლოდ ერთადერთ სიტუაციაში ვთანხმდებით ტელეფონის გათიშვას. არა, არა, ოფიციალურ სადილზე არა, არც თეატრალურ პრემიერაზე და არც კინოთეატრის დარბაზში, როცა ეკრანზე ყველაზე დაძაბული ეპიზოდია. ყველა ჩვენგანს მოგვისმენია ამ დროს ზარის მელოდიური სიგნალი. მხოლოდ თვითმფრინავში ჩასხდომის წინ ვთიშავთ ტელეფონს. „დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ ფრენის დროს ნუ ისარგებლებთ ტელეფონითო“, შიში გვიპყრობს, ვიჯერებთ ამ ტყუილს და ვთიშავთ ტელეფონს.

იგორმა იცის, როდის შეიქმნა ეს მითი: ძალიან დიდი ხნის წინათ ავიაკომპანიებს დაავალეს, რადაც უნდა დასჯდომოდათ, თვითმფრინავის ბორტიდან ტელეფონით საუბარი დაენერგათ. ერთი წუთი ათი დოლარი ღირდა, შეერთების სისტემა კი იგივე იყო, რითაც ფიჭური კავშირის ოპერატორები სარგებლობენ. ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, მაგრამ აკრძალვების სიიდან, რასაც, თვითმფრინავის აფრენის წინ

სტიუარდესები კითხულობენ, ამ პუნქტის ამოღება უბრალოდ დაავიწყდათ. და ახლა არავინ იცის, რომ ყოველ თვითმფრინავში აუცილებლად მოიძებნება ორი-სამი ადამიანი, რომლებიც არ თიშავენ თავიანთ მობილურებს, და არსად, არც ერთ ქვეყანაში ამ მიზეზით ჯერჯერობით ავიაკატასტროფა არ მომხდარა.

ახლა ამ ლეგენდის ასე თუ ისე მოდერნიზება და რეალობაზე მორგება სურთ; ამავე დროს, კავშირი ისევ ცეცხლის ფასი ღირს. ფიჭური ტელეფონით დარეკვა შესაძლებელია, თუკი გამოიყენებთ თვითმფრინავის ნავიგაციურ სისტემას. ეს ოთხჯერ ძვირი ღირს და ვერავინ გასაგებად ვერ აგიხსნით, რა არის ეს „თვითმფრინავის ნავიგაციური სისტემა“. მაგრამ ადამიანებს თუ სურთ თავი მოიტყუონ, ეს, ბოლოს და ბოლოს, მათი პირადი საქმეა.

იგორი გზას განაგრძობს. იმის გახსენებაზე, როგორ შეხედა ოლივიამ უკანასკნელად, მის სულს მღელვარება იპყრობს, მაგრამ ცდილობს, ეს რაც შეიძლება მალე დაივიწყოს.

ირგვლივ ორომტრიალი და ფორიაქია: მცველები, შავი სათვალეები, ბიკინები, ღია ფერის ტანისამოსი, ძვირფასეულობა, ხალხი, რომელიც ისე ჩქარობს, თითქოს რაღაც გადაუდებელი საქმე ჰქონდეთ; ყოველ ნაბიჯზე შეუძლებელი ამოცანის შესრულების მომლოდინე ფოტოგრაფები, რომლებიც ცდილობენ, გადაიღონ რაღაც ახალი და არნახული; ფესტივალის ამბების მაცნე უფასო გაზეთები, ჟურნალები, პრეს-რელიზები; თეთრ ფარდულებში მიუპატიჟებელ უბრალო მოკვდავთა შორის მობორიალე ბუკლეტების გამავრცელებლები; რეკლამები იმ გორაკზე მდგარი რესტორნებისა, სადაც არავინ საუბრობს, რა მოხდა დღეს კრუაზეტის სანაპიროზე და, სადაც მოდელები მამასისხლად ქირაობენ ბინას, იმით დაიმედებულნი, რომ კასტინგზე მიიწვევენ და მათი ცხოვრება ერთი ხელის დაკვრით შეიცვლება.

ეს ყველაფერი, ცხადია, მოსალოდნელი იყო და იგორს წინასწარვე უნდა გაეთვალისწინებინა. თუკი ახლავე გადაწყვეტს ერთ-ერთ პრეზენტაციაზე მისვლას, წინ ვერავინ დაუდგება, რადგან ჯერ ძალზე ადრეა და პრომოუტერები შიშობენ, ხალხი არ მოგროვდებაო. ნახევარი საათის შემდეგ კი მცველებს სასტიკად გააფრთხილებენ, მხოლოდ ლამაზი გოგონები შეუშვან, ოღონდ თანხმლებთა გარეშე.

„რატომ არ უნდა ვცადო ბედი?“

გულისთქმას აყოლილი იგორი ქვემოთ ჩადის, მაგრამ გზას სანაპიროსთან კი არა, პლასტიკატისფანჯრებიან, კონდენცირებულ, ღია ფერის მაგიდებითა და ჯერჯერობით ცარიელი სკამებით გაწყობილ ვეება კარავთან მიჰყავს. ერთ-ერთი მცველი შესასვლელში ეკითხება, აქვს თუ არა მოსაწვევი ბარათი. „მაქვს“, პასუხობს იგორი და ჯიბეებში იქექება. წითელკაბიანი გოგონა ხვდება, რითაც შეუძლია დაეხმაროს.

იგორი გოგონას სავიზიტო ბარათს უწვდის, რომელზეც დაბეჭდილია მისი კომპანიის ლოგო და სიტყვები „იგორ მალეევი, პრეზიდენტი“, და არწმუნებს, რასაკვირველია, შეტანილი ვარ სიაში, მაგრამ მოსაწვევი სასტუმროში დამრჩაო. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, პასუხობს გოგონა და შიგნით ეპატიჟება. ის კარგად ფლობს ადამიანთა გამოცნობის ხელოვნებას მათი მანერებისა და ჩაცმულობის მიხედვით, ამას გარდა, სიტყვა „პრეზიდენტს“ მსოფლიოს ყველა კუთხეში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. თანაც - რუსული კომპანიის პრეზიდენტი! ყველამ იცის, მდიდარ რუსებს ძალიან უყვართ იმის ჩვენება, რომ ფულში ბანაობენ. სიაში შეყვანილი დანარჩენი სტუმრები მას ვერც კი შეედრებიან.

იგორი შესვლისთანავე ბარისკენ მიდის. ამ თეთრ კარავში, საცეკვაო ადგილის ჩათვლით, ყველაფერია, რასაც კაცი მოისურვებს. ის ანანასის წვენს უკვეთავს, რადგან ფერით ინტერიერს ეხამება.

და კიდევ იმიტომ, რომ იაპონური პაწია ქოლგებით მოხატული ჭიქიდან შავი ჩალის ღეროა ამოშვერილი.

იგორი ერთ-ერთ ცარიელ მაგიდასთან ჯდება. ჯერჯერობით მცირერიცხოვან სტუმართა შორის ორმოცდაათს გადაცილებული კაცი გამოირჩევა, რომელსაც თმა წითელ ხისფრად აქვს შეღებილი, სახეზე არაბუნებრივი, ბრინჯაოს ფერი ადევს, სხეული კი, ეტყობა, სპორტით კი არა, რომელიმე ფიტნეს-კლუბში გამასავათებელი ვარჯიშით აქვს მეტისმეტად დაკუნთული; ეს კლუბები ხომ მარადიულ ახალგაზრდობას ჰპირდებიან თავიანთ კლიენტებს. ფეხბურთელის გაცვეთილი მაისური აცვია, გვერდით კი წუნდაუდებლად შეკერილ სამეულში გამოწყობილი ორი მამაკაცი უზის. ეს ორნი წარამარა ატრიალებენ თავს შემოსასვლელისკენ, იგორს კი თვალს არიდებენ - მისდამი ინტერესი ერთი შეხედვისთანავე დაეკარგათ.

იგორი დაკვირვებას აგრძელებს, სარგებლობს იმით, რომ შავი სათვალე მზერის მიმართულებას უფარავს.

ფეხბურთელის მაისურიანი კაცის წინ მაგიდაზე დევს ტელეფონი, მისი მხლებლები კი განუწყვეტლივ პასუხობენ თავიანთ მობილურებს.

საკვირველია, რომ ამისთანა არაპრეზენტაბელური სუბიექტი - ლამის ჩამოგლეჯილი, მახინჯი, თავი ლამაზი რომ ჰგონია, აქ არა მარტო შემოუშვეს, საპატიო ადგილზეც დასვეს. მისი ტელეფონი გათიშულია. ოფიციანტი თავს დასტრიალებს, წამდაუწუმ ეკითხება, ხომ არაფერს ინებებს. შეღებილთმიანი პასუხის ღირსადაც არ სცნობს და უარს მხოლოდ ხელის მოძრაობით ანიშნებს. იგორი ხვდება, ნამდვილად ძალიან გავლენიანი წრიდან უნდა იყოსო.

იგორი ოფიციანტს, მაგიდას რომ უწყობს, ორმოცდაათევროიან კუპიურას უწვდის, თვალით ანიშნებს ცისფერმაისურიან კაცზე და ხმადაბლა ეკითხება:

- ვინ არის ეს კაცი?

- ჯავიც უაილდი. დიდი ვინმეა.

აჰა, რა გაეწყობა! მით უკეთესი. ეს ყველასთვის უცნობი, კუსტარული სუვენირების გამყიდველი გოგო როდია. ჯავიც უაილდი იდეალურად შესაფერისია. სახელგანთქმული არაა, მაგრამ, ეტყობა, მაინც დიდი ვინმეა. ერთ-ერთი იმათგანი, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს, ვინ უნდა იდგეს პროჟექტორების შუქის ქვეშ. მაგრამ თვითონ იქით არ ისწრაფვის, რადგან იცის საკუთარი თავის ფასი. ეს ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ძაფებს ამოძრავებს და საკუთარ მარიონეტებს აიძულებს, თავი გამორჩეულებად იგრძნონ. ამოძრავებს ძაფებს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სრულიად უმიზეზოდ ჭრის მათ და თოჯინები ძირს უსიცოცხლოდ ეცემიან. სუპერკლასის ერთ-ერთი წარმომადგენელია.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნამდვილი მეგობრები არა ჰყავს, სამაგიეროდ, მტრები ეყოლება ნამდვილი.

- ერთ რამეს კიდევ გკითხავთ: თქვენი აზრით, დიდი სიყვარულის სახელით, სამყაროს განადგურება დასაშვებია?

- თქვენ რა, უფალი ღმერთი ხართ თუ გეი?

- არც ერთი და არც მეორე, მაგრამ, გმადლობთ, რომ მიპასუხეთ ისე, როგორც მიპასუხეთ.

იგორი გრძნობს, რომ არასწორად მოიქცა. ჯერ ერთი, იმის გასამართლებლად, რასაც აკეთებს, სულაც არ სჭირდება ვინმეს მხარდაჭერა. ის ასე ფიქრობს: თუკი ყველა ოდესმე დაიხოცება, რატომ არ შეიძლება, ვიღაც დიდი სიყვარულის სახელით მოკვდეს? ასეა იმ დროიდან, როცა მამაკაცები თავს სწირავდნენ საკუთარი ტომების გამოსაკვებად, ქალწულები კი ქურუმებთან მიჰყავდათ დრაკონებისა თუ ღმერთებისთვის გულის მოსალბობად. მეორეც, სულ ტყუილად მიიქცია უცხო ადამიანის ყურადღება, მაისურიანი სტუმრის ვინაობით რომ დაინტერესდა.

ოფიციანტს, რასაკვირველია, ეს მალევე დაავიწყდებოდა, მაგრამ მაინც არ ღირს უსარგებლო რისკის გაწევა. იგორი თავს ირწმუნებს, რომ ეს დაინტერესება სავსებით ბუნებრივია: კინოფესტივალზე ყველას უნდა ყველაზე ყველაფერი იცოდეს, და ამის გასაგებად ფულის გადახდაც მიღებულია. ეს მთელ მსოფლიოში არაერთხელ და ორჯერ გაუკეთებია, და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ვიღაცას ოფიციანტისთვის მისი, იგორის ვინაობის შესატყობადაც გადაეხადა ფული. ოფიციანტები არათუ შეჩვეულნი არიან ასეთ საქციელს, არამედ ყოველთვის ელიან კიდეც ამას.

იგორის წინაშე მორიგი მსხვერპლია. თუკი გეგმას ბოლომდე მიიყვანს და მერე ოფიციანტს დაკითხავენ, ის, რა თქმა უნდა, ეტყვის, რომ ამ დღეს ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, ოღონდ ერთი სტუმარი დაინტერესდა, შეიძლება თუ არა, დიდი

სიყვარულის გამო სხვათა სამყაროები განადგურდესო. ან შეიძლება კიდეც დაავიწყდა ეს ფრაზა. პოლიციელები ჰკითხავენ, როგორ გამოიყურებოდაო, ოფიციანტი კი უპასუხებს, ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ გიჟი ნამდვილად არ იყოო. პოლიციელებმა იციან, რომ ამ დღეებში ბარებში ინტელექტუალები სხედან და მასალებს აგროვებენ ისეთი თავსატეხისთვის, როგორიცაა, მაგალითად, კანის კინოფესტივალის სოციოლოგიური ასპექტები.

იგორს ერთი რამ მაინც აღელვებს: სახელი.

ადრეც არაერთხელ მოუკლავს - ბრძანებითა თუ თავისი სამშობლოს ლოცვა-კურთხევით. არც კი ახსოვს, რამდენი. იშვიათად ხედავდა დახოცილთა სახეებს და ერთხელაც არ უკითხავს მათთვის სახელი, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ შენ წინაშე მოწინააღმდეგე კი არა, ცოცხალი არსებაა. სახელი „მტრის“ აბსტრაქტულ გაგებას უნიკალურობას ანიჭებს. „მტერს“ აქვს წარსულიცა და მომავალიც, ჰყავდა წინაპრები და, შესაძლოა, ჰყავს შთამომავლებიც. ადამიანი - სახელია. ის ამაყობს ამ სახელით და სიცოცხლის მანძილზე ათასჯერ მაინც იმეორებს მას. ის ამ სახელითაა გამორჩეული და ცნობილი, პირველი სიტყვების - „დედისა“ და „მამის“ შემდეგ, სწორედ ამის წარმოთქმას სწავლობს: ოლივია, ჯავიცი, იგორი, ევა.

სულს კი სახელი არ გააჩნია. ის რაღაც გარკვეული დროის მანძილზე გამოკეტილია სხეულის გარსში და ერთხელაც ტოვებს მას; და როდესაც განკითხვის დღეს უფლის წინაშე წარდგება, უფალი იმას კი არ ჰკითხავს, ვინ ხარო, ჰკითხავს, ოდესმე თუ გყვარებიაო. ყოფის არსი სწორედ ამაში მდგომარეობს - სიყვარულის ნიჭში და არა სახელში, რომელსაც ვატარებთ პასპორტებით, სავიზიტო ბარათებით, მართვის მოწმობებით. დიდი მისტიკოსები სახელს იცვლიდნენ, ხანდახან კი საერთოდ უარს ამბობდნენ მასზე. იოანე ნათლისმცემელს რომ ჰკითხეს, ვინ ხარო, ასეთი პასუხი მოისმინეს: „მე ვარ ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. იესო ქრისტე თავის მომავალ მოწაფეს რომ შეხვდა, უგულებელყო მისი სახელი სვიმონ, რომელსაც მთელი ცხოვრება ატარებდა, და დაარქვა პეტრე. როცა მოსემ უფალს სახელი ჰკითხა, უთხრა ღმერთმა მოსეს: „მე ვარ, რომელიც ვარ“.

იქნებ სხვა მსხვერპლი მოძებნოს. ისიც საკმარისია, რომ პირველსაც სახელი ერქვა - ოლივია. მაგრამ იმავე წამს იგორმა იგრძნო, რომ უკან დახევა არ შეიძლებოდა. თუმცა გადაწყვიტა, აღარასოდეს ეკითხა იმ გალაქტიკის სახელი, რომლის განადგურებასაც დააპირებდა. უკან დახევა არ შეეძლო, რადგან ეს უსამართლობა იქნებოდა საბრალო, სრულიად დაუცველი სანაპიროელი გოგონას მიმართ, ასე იოლად და ნეტარებით რომ იმსხვერპლა. ის ახალი არჩევანის წინაშე დგას ამ ფსევდოათლეტის სახით, თმა წითელ ხისფრად რომ შეუღებავს, მოწყენილი მზერა აქვს და ყველაფრიდან ჩანს, რეალურ ძალაუფლებას ფლობს. მისი დაჯაბნა გაცილებით ძნელი იქნება. ის ორნი, პიჯაკებში გამოწყობილნი, უბრალო თანაშემწეები არ იქნებიან. თავს გამუდმებით ატრიალებენ აქეთ-იქით, იქაურობას ზვერავენ, აფიქსირებენ, რა ხდება ირგვლივ,

ხოლო იგორს თუ სურს, იყოს ევას ღირსი და ოლივიასთანაც მართალი იყოს, გამბედაობა უნდა გამოიჩინოს.

ის ჩალის ღეროს ჭიქაში ტოვებს. მალე აქ ხალხი აირევა, აქაურობა ახმაურდება, მანამდე უნდა მოიცადოს, სანამ პავილიონი სტუმრებით გაივსება. ეს კი სულ მალე მოხდება. და როგორც კრუაზეტის სანაპიროზე არ დაუგეგმავს წინასწარ, დღისით-მზისით, სამყაროს განადგურება, ახლაც არ იცის, განზრახულს როგორ მოიყვანს სისრულეში, მაგრამ ალღო კარნახობს, რომ ადგილი უშეცდომოდ აქვს შერჩეული.

ის აღარ ფიქრობს საბრალო სანაპიროელ გოგონაზე: სისხლში ადრენალინი აუჩქეფდა, გული გამალებით უცემს, კმაყოფილი და აგზნებულია.

ჯავიც უაილდი დროს არ დაკარგავს იმისათვის, რომ უფასოდ ჭამოს და სვას ღონისძიებაზე, რომლის მსგავსზეც ხშირად ეპატიჟებიან. რაკი ახლა აქ ზის, მაშასადამე, რაღაც სჭირდება, რაღაც ან ვიღაც.

და ეს იგორს რკინის ალიბად გამოადგება.

12:26 PM

ჯავიცი თვალყურს ადევნებს, როგორ ივსება პავილიონი მოწვეული სტუმრებით, თან ფიქრობს:

„აქ რას ვაკეთებ? მე ხომ არაფერი მინდა. თითქმის არაფერი. რაც მსურს, ყველაფერი მაქვს. კინოს სამყაროში კარგად მიცნობენ, თუმცა მახინჯი და ცუდად ჩაცმული ვარ, თუ ქალი მომეწონა, ვინც არ უნდა იყოს, შემიძლია დავიპყრო. არც მინდა შევიცვალო. დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ერთადერთი პიჯაკი მქონდა იმ იშვიათი შემთხვევისთვის, როცა მრავალგზის დამცირებისა და თხოვნის შემდეგ მსგავს ღონისძიებაზე მიწვევდნენ, ისე ვემზადებოდი, თითქოს ამაზე მნიშვნელოვანი არაფერი იყო. დღეს უკვე ვიცი, რომ იცვლება მხოლოდ ქალაქის სახელწოდება, ყველაფერი დანარჩენი შეიძლება წინასწარ გამოიცნო და ყოველივე ეს მხოლოდ ზიზღს მგვრის.

ერთნი იმაზე დაიწყებენ საუბარს, როგორ აფასებენ ჩემს მუშაობას, მეორენი გმირად დამსახავენ და მადლობას მეტყვიან იმისთვის, რომ შანსს ვაძლევ ადამიანებს. ლამაზი და ჭკვიანი ქალები, რომლებიც ჩაცმულობას ყურადღებას არ აქცევენ, ჩემს მაგიდასთან მობორიალე ხალხს რომ დაინახავენ, მიმტანს ჩემს ვინაობას ჰკითხავენ. მერე ეცდებიან, როგორმე დამიახლოვდნენ, გამიცნონ, რადგან დარწმუნებულნი არიან, სექსის გარდა არაფერი მაინტერესებს. განურჩევლად ყველას რაღაცის თხოვნა

სურს. ამის გამო მეპირფერებიან, ქება-დიდებას მასხამენ, მთავაზობენ იმას, რაც, მათი აზრით, შეიძლება მჭირდებოდეს, მე კი მხოლოდ მარტოობა მსურს.

უკვე ათასჯერ მაინც ვყოფილვარ მსგავს მიღებაზე. აქ ახლა, უბრალოდ, სრულიად უმიზეზოდ მოვედი, თანაც ვერ გამოვიძინე. კანში საკუთარი თვითმფრინავით ჩამოვფრინდი: ეს თანამედროვე ტექნიკის ჭეშმარიტი სასწაულია: შეგიძლია, თერთმეტი ათასი მეტრის სიმაღლეზე კალიფორნიიდან საფრანგეთამდე, თვითმფრინავის ხელახლა გაუმართავად დაფარო მანძილი. თვითმფრინავს კონფიგურაცია შევუცვალე და სალონში თვრამეტი სავარძლის ნაცვლად ექვსი დავტოვე, იმიტომ, რომ მუდმივ კითხვაზე „მეც ხომ არ წამიყვანდი?“ სინდისდამშვიდებულად ვუპასუხო: „სამწუხაროდ, ადგილი არა მაქვს“.

ჯავიცს თავისი ახალი სათამაშოს გამართვა ორმოცი მილიონი დოლარი დაუჯდა. სამაგიეროდ, ფრენისას შეეძლო, ეწარმოებინა მოლაპარაკებები, დაესვენა და თავიც შეექცია. თვითონ მხოლოდ შამპანურს სვამდა და თანამეინახეებსაც სთავაზობდა. თუმცა ბორტზე ყველანაირი სახისა და გემოს სპირტიანი სასმელიც ჰქონდა. ორ უზარმაზარ ლაზერულ ეკრანზე კი ნებისმიერ დროს აჩვენებდნენ უახლეს ფილმებს, რომლებიც ჯერ გასაქირავებლადაც არ გაეტანათ.

მისი ლაინერი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მსოფლიოში (რაც უნდა ამტკიცონ ფრანგებმა, რომ მათი Dassault Falcon უბადლოა), მაგრამ როგორი გავლენიანი და მდიდარიც უნდა ყოფილიყო ჯავიცი, იმასაც კი არ მიუწვდებოდა ხელი დროზე. ლოს-ანჟელესში ამჟამად ოთხს უკლია თხუთმეტი წუთი, მან კი სწორედ ახლა იგრძნო დაღლილობა. მთელი ღამე არ სძინებია, ერთი საღამოდან მეორეზე მიდიოდა და ყველგან, საუბრის დაწყებისას, ერთსა და იმავე სულელურ კითხვებზე უწევდა პასუხის გაცემა. თავდაპირველად ეკითხებოდნენ:

- ხომ მშვიდობით იმგზავრეთ?

რაზეც ჯავიცი ყოველთვის პასუხობდა.

- როგორც ხედავთ.

თანამოსაუბრე იბნეოდა, აღარ იცოდა, რა ეთქვა. ძალდატანებით იღიმებოდა და ეკითხებოდა.

- დიდი ხნით აპირებთ აქ დარჩენას?

- ვნახოთ, - იყო პასუხი.

მერე ჯავიცი ისე იქცეოდა, თითქოს მობილურზე უნდა ეპასუხა, იბოდიშებდა და თავის მუდმივ მხლებლებთან ერთად, განზე დგებოდა.

არავინ აინტერესებდა. ანდა ვისით შეიძლება დაინტერესებულიყო ადამიანი, რომელსაც ყველაფერი ჰქონდა, რისი ყიდვაც კი ფულით შეიძლებოდა? ის

ცდილობდა, ნაცნობების წრე შეეცვალა, მეგობრები გაიჩინა ისეთ წრეში, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა კინოსთან - ეცნობოდა ფილოსოფოსებს, მწერლებს, ცირკის მსახიობებს. პირველ ხანებში ამ ადამიანებთან ურთიერთობამ გაიტაცა, მაგრამ შემდეგ დაიწყო განუწყვეტელი თხოვნები: იქნებ გადაეხედა სცენარ-სინოპსისისთვის, ან: „მყავს ერთი მეგობარი (ქალი ან მამაკაცი), რომელიც კინოში გადაღებაზე ოცნებობს, ხომ არ შეხვდებოდი ამ ნიჭიერ ახალგაზრდას?“

არავითარ შემთხვევაში! თავისი სამუშაოს გარდა, სხვა საქმითაც იყო გართული. თვეში ერთხელ მიფრინავდა ალასკაზე, სვამდა პირველივე ბარში, ჭამდა პიცას, ეძებდა ველური ბუნების ხელშეუხებელ ადგილებს და საუბრობდა პატარა ქალაქების მოსახლეობასთან. ყოველდღიურად ორ საათს ატარებდა სატრენაჟორო დარბაზში, მაგრამ მაინც იტანჯებოდა ზედმეტი წონით. ამიტომაც ექიმები მისი გულის გამო შიშს გამოთქვამდნენ. დარბაზში ფორმის შესანარჩუნებლად არ დადიოდა, ეს სულაც არ ანაღვლებდა; დადიოდა დაძაბულობის მოსახსნელად, რომელიც წუთითაც არ ტოვებდა, ხანდახან კი ისეთი აუტანელი და მძიმე ხდებოდა, რომ ეგონა, მისი სიმძიმე გასრესდა. სულიერი ჭრილობების განსაკურნებლად აქტიურ მედიტაციას მისდევდა. ხანდახან შემთხვევით გაცნობილ, უცხო ადამიანებს, ვინც არ იცოდა, ვინ იყო ჯავიცი, ეკითხებოდა, როგორია „ნორმალური ცხოვრებაო“, რადგან მას ეს დიდი ხანია დავიწყებული ჰქონდა. ყოველთვის სხვადასხვანაირად პასუხობდნენ. ბოლოს დარწმუნდა, რომ სულ მარტოდმარტო იყო, თუმცა გარს მუდამ ხალხი ეხვია.

ბოლოს და ბოლოს, გაცემულ პასუხებზე კი არა, საკუთარ დაკვირვებებზე დაყრდნობით, შეადგინა ჩამონათვალი, რა უნდა შედიოდეს ცნებაში „ნორმალური“.

ჯავიცი ირგვლივ იყურება. ხედავს შავსათვალიან მამაკაცს, რომელიც ხილის წვენს წრუპავს, ყურადღებას არავის აქცევს და გარინდებული გაჰყურებს ზღვას. ჭაღარაშერეული, ლამაზი და ელეგანტურია. აქ ერთ-ერთი პირველი მოვიდა და ნამდვილად ეცოდინება, ვინ არის ჯავიცი, მაგრამ მისი გაცნობა არ უცდია. ეგ კიდევ არაფერი, ჰყოფნის გამბედაობა, იჯდეს განმარტოებით, როცა კანში განმარტოება იმის ნიშანია, რომ შენით არავინაა დაინტერესებული, უმნიშვნელო არსება ხარ, გავლენისა და კავშირების არმქონე.

ჯავიცი რაღაც შურისმაგვარს გრძნობს ამ კაცის მიმართ, მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მიმართ. გამოელაპარაკებოდა, მაგრამ ძალზე დაღლილია.

ის ერთ-ერთი თავისი განუყრელი მხლებლისკენ ბრუნდება და ეკითხება:

- როგორია ნორმალური ადამიანი?

- სინდისი ხომ არ გაწუხებს? გგონია, ისეთი რამ ჩაიდინე, რაც არ უნდა ჩაგედინა?

ჯავიც უაილდი მიხვდა, რომ ის არ უკითხავს, რაც უნდა ეკითხა, და არც იმ ადამიანისთვის უნდა ეკითხა, ვისაც ჰკითხა. ახლა შეიძლება იფიქროს, რაღაცას

ნანობს და ყველაფრის თავიდან დაწყება სურსო. არაფერიც. სინდისი რომც აწუხებდეს, სულერთია - უკვე ძალზე გვიანაა საწყის წერტილთან დაბრუნება: ის იცნობს თამაშის წესებს.

- გეკითხები, როგორი არის-მეთქი ნორმალური ადამიანი.

მხლებელს, ცოტა არ იყოს, თავგზა ებნევა. მისი მეგობარი კვლავ ფხიზლად უთვალთვალებს იქაურობას.

- ჰო, ეს ისაა, ვისაც არა აქვს არავითარი ამბიცია...

ჯავიცი ჯიბიდან ფურცელს იღებს და მაგიდაზე დებს:

- ეს მუდამ თან დამაქვს და მუდამ ვუმატებ ახალ-ახალ პუნქტებს.

ერთი პასუხობს, რომ ახლა ვერ წაიკითხავს, რადგან თვალთვალითაა დაკავებული, მეორე კი კითხვას იწყებს:

ნორმალური ადამიანი საჭიროდ მიიჩნევს:

1. დაივიწყოს, ვინ არის და რა სურს, რათა ეს ხელს არ უშლიდეს, იშრომოს, კვლავაც იშრომოს და გამოიმუშაოს ფული.

2. აღიაროს ჟენევის კონვენციის მიერ დადგენილი ბრძოლის კანონები და წესები.

3. უნივერსიტეტში სწავლისათვის დახარჯოს წლები, რათა მერე სამუშაო ვერ იშოვოს.

4. მუშაობდეს დილის ცხრა საათიდან საღამოს ხუთ საათამდე ისეთ სამსახურში, რომელიც სიამოვნებას არ ანიჭებს, რათა ოცდაათი წლის შემდეგ პენსიაზე გავიდეს.

5. პენსიაზე გასვლისას აღმოაჩინოს, რომ ცხოვრებით ტკბობის ღონე აღარ შერჩენია და ძალიან მალე მოწყენილობისგან მოკვდება.

6. ისარგებლოს ბოტოქსით.

7. მიხვდეს, რომ ძალაუფლება ფულზე მნიშვნელოვანია, ფული კი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბედნიერება.

8. სასაცილოდ აიგდოს ისინი, ვინც ფულის ნაცვლად ბედნიერებისკენ ისწრაფვიან და ისინი „ამბიციამოკლებულ ხალხად“ მონათლოს.

9. ყველა საგანი და მოვლენა მანქანების, ბინების, ნივთების საფასურს შეადაროს და არ ეცადოს, ჩასწვდეს ჭეშმარიტ აზრს, რატომ და რისთვის ცხოვრობს.

10. არ გამოელაპარაკოს უცნობს. ცუდად მოიხსენიოს მეზობლები.

11. სჯეროდეს, რომ მშობლები მუდამ მართლები არიან.

12. დაქორწინდეს. იყოლიოს შთამომავალნი, ერთად იცხოვრონ სიყვარულის გაქრობის შემდეგაც და თავი დაირწმუნოს, რომ ეს ბავშვების გამოა საჭირო (თითქოს ბავშვები არ ისმენდნენ მშობლების ყოველდღიურ ჩხუბს).

13. გაკიცხოს ყოველგვარი მცდელობა - გახდეს სხვანაირი.

14. იღვიძებდეს მაღვიძარას ისტერიკულ წკრიალზე.

15. სჯეროდეს სტამბურად დაბეჭდილი ყოველი სიტყვის.

16. ყელზე იხვევდეს სრულიად უფუნქციო, სხვადასხვა ფერის ქსოვილის ნაჭერს, საამაყო სახელი - „ჰალსტუხი“ რომ ჰქვია.

17. კითხვა პირდაპირ არავის დაუსვას, თუნდაც თანამოსაუბრე მშვენივრად ხვდებოდეს, კითხვაში სინამდვილეში რაც იგულისხმება.

18. გინდაც საშინლად ეტირებოდეს, სახეზე ღიმილი მაინც შეინარჩუნოს და ეცოდებოდეს ყველა, ვინც თავის ჭეშმარიტ გრძნობას ამჟღავნებს.

19. მიიჩნევდეს, რომ ხელოვნება აურაცხელი ფული ღირს, ან არაფრად ფასობს.

20. სძულდეს ყველაფერი, რის სასწავლადაც დიდი შრომა და მონდომება არ დაუხარჯავს - რაკი მიღწეულისთვის „მსხვერპლის გაღება“ არ დასჭირვებია, მაშასადამე, ის აუცილებელ ღირსებასაც მოკლებულია.

21. მისდევდეს მოდას, თუნდაც სულელური და მოუხერხებელი იყოს.

22. ღრმად იყოს დარწმუნებული, რომ ყველა სახელგანთქმულ ადამიანს უზარმაზარი განძეული აქვს დაგროვებული.

23. დახარჯოს ფული გარეგნულ კეთილსახიერებაზე და ნაკლებად იზრუნოს სულიერ სილამაზეზე.

24. ყოველგვარ ხერხს მიმართოს იმის საჩვენებლად, რომ თუმცა „ნორმალური“ ადამიანია, მაინც ყველაზე გაცილებით მაღლა დგას.

25. მეტროსა და ავტობუსში ეცადოს, პირდაპირ თვალებში არავის შეხედოს, რათა ეს ცდუნების მცდელობა არ ეგონოთ.

26. ლიფტში შესვლისას პირით კარისკენ შეტრიალდეს; თუნდაც ლიფტი სავსე იყოს, თავი ისე ეჭიროს, თითქოს სულ მარტო იმყოფება.

27. რესტორანში არასოდეს გადაიხარხაროს, როგორი სასაცილოც არ უნდა იყოს მოყოლილი ანეკდოტი.

28. ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ეცვას არა ამინდის მიხედვით, არამედ წელიწადის დროის შესაბამისად.

29. სამხრეთ ნახევარსფეროში ნაძვის ხის ტოტები ბამბით მორთოს, თუნდაც ზამთარს არავითარი კავშირი არ ჰქონდეს ქრისტეს შობასთან.

30. წლების მატების შემდეგ თავი წარმოიდგინოს მთელი მსოფლიოს სიბრძნის მფლობელად, იმის მიუხედავად, უცხოვრია თუ არა იმდენი, რაც აუცილებელია საკუთარი შეცდომის მისახვედრად.

31. ეწვიოს საქველმოქმედო საღამოს და ფიქრობდეს, რომ ეს სავსებით საკმარისია სოციალური უთანასწორობის მოსასპობად.

32. უნდა თუ არა, ჭამოს დღეში სამჯერ.

33. მტკიცედ სჯეროდეს, რომ ადამიანები მას ყველაფერში სჯობიან - ისინი უფრო ლამაზები, ჭკვიანები, მდიდრები და ძლიერები არიან და საკუთარ ზღვარს იქით გადასვლის მცდელობა ძალზე სარისკოა: ურჩევნია, საამისოდ არაფერი იღონოს.

34. გამოიყენოს ავტომობილი, როგორც გამანადგურებელი იარაღი.

35. ლანძღვა-გინებას ანთხევდეს სხვა მძღოლების მიმართ.

36. თუკი შვილი რაღაცას არასწორად აკეთებს, იმას დააბრალოს, რომ ცუდ კომპანიაში მოხვდა.

37. დაქორწინდეს იმაზე, ვისაც შეუძლია საზოგადოებაში სახარბიელო მდგომარეობა შესთავაზოს. სიყვარული მოიცდის.

38. ყოველთვის ამბობდეს: „მე ეს უკვე ვცადე“, თუნდაც არაფერი ეღონოს.

39. ყველაფერი, რაც ცხოვრებაში ყველაზე საინტერესოა, შემდეგისთვის გადადოს, იმ დროისთვის, როცა საამისოდ ძალა უკვე აღარ ეყოფა.

40. დეპრესიაში არ ჩავარდეს ტელევიზორთან ყოველდღიური, მრავალსაათიანი სიფხიზლის გამო.

41. მტკიცედ სჯეროდეს, ყველაფერი, რაც უშოვია და მოუპოვებია, სამუდამოდ მას ეკუთვნის.

42. სჯეროდეს, რომ ქალებს არ უყვართ ფეხბურთი, მამაკაცებს - სადილის მომზადება და მოხდენილად ჩაცმა.

43. ყველაფერში მუდამ ხელისუფლება დაადანაშაულოს.

44. აუცილებლად დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სიკეთეს, გულისხმიერებას, სხვის მიმართ პატივისცემას სხვები სისუსტედ და ნაკლად ჩაუთვლიან და იფიქრებენ, რომ იოლად შეძლებენ მათით მანიპულირებას.

45. იმაშიც უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ადამიანებთან ურთიერთობისას გადაჭარბებული უხეშობა ძლიერი პიროვნული თვისებების მაჩვენებელია.

46. ეშინოდეს ფიბროსკოპის (თუ მამაკაცია) და მშობიარობის (თუ ქალია).

- კარგი იქნებოდა ამაზე ფილმი გადაგეღოთ... - გაიცინა ერთ-ერთმა „მეგობარმა“.

„კიდევ ერთი ფილმი! მათ ხომ სხვა რამეზე ფიქრი არ შეუძლიათ. ისიც არ იციან, რას ვაკეთებ, თუმცა წუთითაც არ მცილდებიან. მე ხომ ფილმებს არ ვიღებ“.

ფილმებზე მუშაობა იწყება მაშინ, როცა ვიღაც, პროდიუსერი რომ ჰქვია, წაიკითხავს რაიმე წიგნს, ანდა ლოს-ანჟელესის ავტოსტრადაზე მგზავრობის დროს დაებადება ბრწყინვალე იდეა და მანქანაში განმარტოებული ფიქრობს, როგორ განახორციელოს ეს იდეა ეკრანზე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიტყოს, შეიძლება თუ არა წიგნის ეკრანიზაციაზე უფლების მოპოვება. უარის შემთხვევაში სხვა რაღაც უნდა მონახოს - ბოლოს და ბოლოს, მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 60 ათასი ახალი წიგნი გამოდის. თუ შესაძლებელია, მაშინ ურეკავს ავტორს და სთავაზობს იაფად გაყიდოს წიგნის ეკრანიზაციის უფლება. ამ წინადადებას, როგორც წესი, თანხმდებიან, რადგან ოცნების ფაბრიკაში მოხვედრა მარტო მსახიობებს არ ესიზმრებათ. ყოველ ავტორს ერთი სული აქვს, მისი სიტყვა მხატვრულ სახეებად იქცეს.

მოილაპარაკებენ, ერთად ისადილონ. პროდიუსერი ამბობს, „წიგნი ნამდვილი შედევრია და თავადვე ითხოვს ეკრანს“, წიგნის ავტორი კი „გენიოსია და დიდებას იმსახურებს“. მწერალი ეუბნება, რომ ხუთი წელი იმუშავა რომანზე და სურვილს გამოთქვამს, მონაწილეობა მიიღოს სცენარზე მუშაობაში. „სცენარს ხომ თავისი სპეციფიკა აქვს, გპირდებით, შედეგით კმაყოფილი დარჩებით“, - ისმენს პასუხად მწერალი.

შემდეგ წარმოითქმის ფრაზა: „აუცილებლად შევინარჩუნებთ თქვენი წიგნის სულისკვეთებას“. თუმცა ორივემ იცის, რომ ეს ტყუილია, თანაც სავსებით უსირცხვილო ტყუილი.

მწერალი ფიქრობს, რომ ამჯერად უნდა დასთანხმდეს შეთავაზებულ გარიგებას, მაგრამ საკუთარ თავს პირობას აძლევს, რომ შემდეგში უფრო მეტ სიმტკიცეს და სიჯიუტეს გამოიჩენს... და თანხმდება. პროდიუსერი ეუბნება, მომავალ ფილმში მთავარ როლებს ესა და ეს ვარსკვლავები შეასრულებენო, მაგრამ ესეც ტყუილია. პროდიუსერი ყიდულობს ეგრეთ წოდებულ options-ს, სხვა სიტყვებით რომ

ვთქვათ, მწერალს უხდის ათი ათას დოლარს, რათა სამი წლის მანძილზე უფლება მას ეკუთვნოდეს. შემდეგ რა იქნება? „შემდეგ ჩვენ ათჯერ მეტს გადავიხდით და

გაქირავებიდანაც მოგების ოც პროცენტს მიიღებთ“. ამით მათი საუბრის საქმიანი ნაწილი მთავრდება, რადგან მწერალმა ირწმუნა, რომ კოლოსალურ ფულს იშოვის.

მაგრამ მწერალს რომელიმე საქმეში ჩახედული ადამიანისთვის რომ ეკითხა, გაიგებდა: ჰოლივუდის ბუღალტერიის ჯადოქრებს შეუძლიათ საქმე ისე მოაწყონ, რომ ფილმის ბალანსი არასოდეს იყოს დადებითი.

სადილი მთავრდება იმით, რომ პროდიუსერი მრავალფურცლიან კონტრაქტს იღებს და მწერალს ეკითხება, შეუძლია თუ არა ხელი მოაწეროს, რათა სტუდია დარწმუნებული იყოს, რომ საქონელი უკვე ხელთ აქვს. მწერალი ცალი თვალით ცერად გახედავს პროცენტს (არარსებულს), მეორე თვალით - საკუთარი სახელითა და გვარით დამშვენებულ კინოთეატრების აფიშებს (არც ეს იქნება რეალური, რადგან, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ტიტრებს უნდა დასჯერდეს: „ამა და ამ მწერლის რომანის მოტივების მიხედვით...“) და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, ხელს აწერს.

„რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი“, როგორც ეკლესიასტემ თქვა სამი ათას წელიწადზე მეტი ხნის წინათ.

პროდიუსერი სტუდიის კარის ატალახებას იწყებს. მისი სახელი, ასე თუ ისე, უკვე ცნობილია და მის წინ კარიც მუდამ ღიაა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მის წინადადებას მიიღებენ. უარის შემთხვევაში პროდიუსერი მწერლის კვლავ სადილზე მიწვევით თავს აღარ შეიწუხებს, უბრალოდ, ადგება და დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილს გაუგზავნის: „ყოველგვარი ძალისხმევის მიუხედავად, კინოინდუსტრიას ჯერ კიდევ არ შეუძლია დააფასოს კეთილშობილური მასალა, ამიტომ იძულებული ვარ დაგიბრუნოთ კონტრაქტი (თვითონ, რა თქმა უნდა, ხელი არ აქვს მოწერილი).

მაგრამ თუ წინადადებას მიიღებენ, პროდიუსერი მიდის სცენარისტთან, რომელიც ამ იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას და, შესაბამისად, ყველაზე ნაკლებსაც იღებს. სცენარისტი დღე და ღამეს ასწორებს, თვეობით ზის და ქმნის ორიგინალურ სცენარებს ანდა თავადვე ახდენს წიგნის ადაპტაციას. ნამუშევარი ეგზავნება პროდიუსერს (და არა მწერალს), ის კი, როგორც წესი, პირველ ვარიანტს მაშინვე იწუნებს, თითქოსდა, დარწმუნებულია, რომ სცენარისტს გაცილებით უკეთ შეუძლია მისი დაწერა. კიდევ რამდენიმე კვირა ნიჭიერ ახალგაზრდას ან გამოცდილ პროფესიონალს (საშუალო არ არსებობს) ღამეები არ სძინავს, შთაგონებას ლიტრობით ყავით ინარჩუნებს და, ვინ იცის, მერამდენედ წერს თითოეულ ეპიზოდს, რომელსაც პროდიუსერი ან ისევ დაუწუნებს ან ისე მიხაზ-მოხაზავს, რომ ვეღარ იცნობა, რის გამოც სცენარისტს უჩნდება სამართლიანი კითხვა: „თუკი ასე კარგად იცის ყველაფერი, რატომ თვითონ არ წერს?“ მაგრამ მაშინვე ახსენდება ხელფასი და უსიტყვოდ უბრუნდება თავის კომპიუტერს.

დაბოლოს, როგორც იქნა, ტექსტი გამზადდა. ახლა პროდიუსერი მოითხოვს, ამოიღონ პოლიტიკური ქარაგმები, რამაც შეიძლება კონსერვატულად განწყობილი მაყურებლის გაღიზიანება გამოიწვიოს და უფრო მეტი კოცნა დაუმატონ, რაც ძალზე მოსწონს ქალთა აუდიტორიას. ითხოვს იმასაც, რომ ამბავს ჰქონდეს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული, გმირს კი შეეძლოს, ყველას ცრემლი აღვრევინოს თავისი თავგანწირულობითა და პირად კეთილდღეობაზე უარის თქმით. ამასთან, რომელიმე გმირმა დასაწყისში უნდა დაკარგოს საყვარელი ადამიანი, ფინალში კი იპოვოს. საბოლოოდ, ყველა სცენარი ერთ მარტივ ხაზს მიჰყვება:

მამაკაცს უყვარს ქალი. მამაკაცი კარგავს ქალს. მამაკაცი პოულობს ქალს.

ფილმების ოთხმოცდაათი პროცენტი სწორედ ამ თემის დედააზრის ვარიაციებია. იმ სცენარებში კი, რომლებიც არ მიჰყვება ამ წესებს, კომპენსაციისთვის, უნდა იყოს ბევრი ცხვირ-პირის მტვრევა, დევნა, სროლა და სპეცეფექტები, რათა მაყურებელი კმაყოფილი დარჩეს. წარმატების ფორმულა დიდი ხანია ამოხსნილი და ათასჯერ შემოწმებულია, ასე რომ, გარისკვა არ ღირს: სიკეთიდან სიკეთეს არ ელიან.

სად უნდა წავიდეს, მისი აზრით, სავსებით რიგიანი სცენარით აღჭურვილი პროდიუსერი?

სტუდიის საძებნელად, რომელიც პროექტის დაფინანსებას შეძლებს. მაგრამ სტუდიაში იმ ფილმების გრძელი რიგია, რომლებიც ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტად დაცარიელებული კინოთეატრების დარბაზებში საჩვენებლადაა გამზადებული. პროდიუსერს სთხოვენ, ან ცოტა ხანს მოიცადოს ან დამოუკიდებელი დისტრიბუტორი მონახოს, მაგრამ წინასწარ ხელი უნდა მოაწეროს უზარმაზარ კონტრაქტს (სადაც გათვალისწინებულია ექსკლუზიური უფლება, დედამიწის მიღმა გაქირავების შემთხვევებიც კი), რითაც პროდიუსერმა თავის თავზე უნდა აიღოს გამოყოფილ და დახარჯულ თანხაზე პასუხისმგებლობა.

სწორედ ასეთ დროს სცენაზე ჩნდება ჯავიც უაილდის მსგავსი ადამიანი - დამოუკიდებელი დისტრიბუტორი, რომელსაც ქუჩაში არ იცნობენ, მაგრამ კინოს სამყაროში სახელგანთქმულია. ესაა კაცი, რომელსაც არც თემა მოუგონია, არც სცენარის რედაქცია გაუკეთებია და პროექტში ერთი ცენტიც კი არ ჩაუდია.

ჯავიც უაილდი შუამავალია. ის დისტრიბუტორია.

ჯავიცი პროდიუსერს ღებულობს თავის პატარა ოფისში (ის გარემოება, რომ აქვს საკუთარი თვითმფრინავი, აუზიანი სახლი, იწვევენ მსოფლიოში ყველა უმნიშვნელო თუ ძალზე მნიშვნელოვან ღონისძიებებზე, არაფერს ნიშნავს. ყოველივე ეს მხოლოდ მის პირად კომფორტს ემსახურება) და ერთ ჭიქა მინერალურ წყალსაც კი არ სთავაზობს, ართმევს დისკს და სახლში მიაქვს. კითხულობს ხუთ წუთს. თუ ძალიან მოეწონა, ბოლომდე ჩაიკითხავს, მაგრამ ასიდან ერთს ეძლევა ამის შანსი. ჩვენს

შემთხვევაში კი პროდიუსერთან დასარეკად ათ ცენტს ხარჯავს: „გელოდებით ამა და ამ რიცხვში, ამა და ამ საათზე“.

„კეთილი, ხელშეკრულებას მოვაწეროთ ხელი. მოვკიდებ ხელს“, - ისე ეუბნება, თითქოს დიდ შეღავათს უწევდეს.

პროდიუსერი ცდილობს მოლაპარაკების გაგრძელებას, სურს შეიტყოს, რამდენ ქვეყანაში, რამდენ კინოთეატრსა და რა პირობებში აჩვენებენ ფილმს. კითხვები აბსოლუტურად უაზროა, რადგან პასუხი წინასწარვე იცის: ეს დამოკიდებული იქნება პირველი ფოკუს-ჯგუფის შედეგებზე; ფილმს უჩვენებენ სპეციალისტების მიერ შეკრებილ სხვადასხვა სოციალური ფენისა და წოდების წარმომადგენლებს. სხვა სპეციალისტები კი შედეგს აანალიზებენ. თუკი შედეგი დადებითია, კიდევ 10 ცენტი დაიხარჯება და მეორე დღეს ჯავიც უაილდი შეხვდება პროდიუსერს, ხელშეკრულების სამი ცინცხალი ეგზემპლარით ხელში. პროდიუსერი სთხოვს, ცოტა დრო მისცეს, რათა მისმა ადვოკატმა ხელშეკრულების გაცნობა მოასწროს. ჯავიცი უპასუხებს, რომ საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ, საუბედუროდ, სეზონს ხურავს და არ შეუძლია იმის გარანტიის მიცემა, რომ დაბრუნებისას სხვა ფილმებით არ იქნება დაკავებული.

მაშინ პროდიუსერი კითხულობს მხოლოდ იმ პარაგრაფს, რითაც მისი გასამრჯელოა შეთანხმებული. თანხა აკმაყოფილებს და კონტრაქტს ხელს აწერს, რადგან არ სურს ასეთი შანსის ხელიდან გაშვება.

რომანის ავტორთან ღირსსახსოვარი სადილის შემდეგ უკვე იმდენი წელი გავიდა, ვერც კი ხვდება, ახლა თვითონაც ზუსტად იმავე სიტუაციაში რომ ჩავარდა.

და კიდევ ერთხელ როგორ არ გავიხსენო ეკლესიასტეს სამი ათას წელიწადზე მეტი ხნის წინათ წარმოთქმული სიტყვები: „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი“.

და ახლა თეთრი კარვის ქვეშ თავმოყრილ ხალხს რომ უყურებს, ჯავიც უაილდი კიდევ ერთხელ ეკითხება საკუთარ თავს - აქ რას აკეთებს? ის აკონტროლებს ამერიკის შეერთებული შტატების ხუთასზე მეტ კინოდარბაზს, მთელ მსოფლიოში კი ხუთი ათასზე მეტთან ექსკლუზიური ხელშეკრულება აქვს დადებული, რომლის თანახმადაც ისინი ვალდებულნი არიან, მისგან იყიდონ ყველაფერი, რასაც შესთავაზებს, თუნდაც ფილმი წარუმატებელი იყოს. მათ იციან, რომ ერთი ბლოკბასტერისგან მიღებული მოგება ერთიორად აუნაზღაურებთ ხუთი ჩვეულებრივი ფილმის გაქირავებაზე გაწეულ ხარჯებს. კინოთეატრების მფლობელები დამოკიდებულები არიან დიდსა და დამოუკიდებელ დისტრიბუტორ ჯავიც უაილდზე, რომელსაც შესწევს უნარი, შეერკინოს მსხვილ კინოსტუდია-მონოპოლისტებს და გამარჯვებული გამოვიდეს.

მას არასდროს ეკითხებოდნენ, როგორ ახერხებდა ასეთ გმირობას. კითხვას აღარ ჰქონდა აღარავითარი მნიშვნელობა, რადგან ის სთავაზობდა ასეთ თანაფარდობას - „ერთი ტრიუმფი - ხუთი მარცხი“ (სტუდიასთან კი ერთი ცხრაზეა).

მხოლოდ თვითონ იცის, რას უნდა უმადლოდეს ასეთ წარმატებას, და სწორედ ამ მიზეზთა გამო, არსად მიდის განუყრელ თანმხლებთა გარეშე, რომლებიც ახლაც პასუხობენ ტელეფონის ზარებს, ნიშნავენ შეხვედრებს, ღებულობენ მიწვევებს. ორივენი შედარებით ნორმალური აღნაგობის (სულაც არ ჰგვანან შემოსასვლელში მდგარ გორილებს), თანაც უაღრესად მარჯვე ადამიანები არიან: გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება ისრაელში, უმსახურიათ უგანდაში, არგენტინასა და პანამაში.

სანამ ერთი ტელეფონს პასუხობს, მეორე დარბაზს უთვალთვალებს, თვალყურს ადევნებს ყოველ გადაადგილებას, ყოველ მკვეთრ მოძრაობას, აკვირდებიან ახლად შემომატებულ სახეებს. სინქრონულად მთარგმნელებისა თუ აეროპორტის უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მსგავსად, ყოველ თხუთმეტ წუთში როლებს ცვლიან, რადგან გულმოდგინე სიფხიზლე შესვენებას ითხოვს.

მაინც რას აკეთებს ჯავიცი ამ მიღებაზე? უკვე კარგა ხანია, შეეძლო სასტუმროში წასულიყო და დაძინება ეცადა; დაღალა პირმოთნე სიტყვებმა და მისალმებებმა, აღარ შეეძლო ყოველ წუთს ძალისძალად გაღიმებულს ემეორებინა: „არა, არა, არაა საჭირო სავიზიტო ბარათი, მაინც დავკარგავ“. მომაბეზრებელ და დაჟინებულ გზავნილებს უგზავნიდა ერთ-ერთ მდივანს, კრუაზეტის სასტუმროში რომ ცხოვრობდა. ის ვალდებული იყო, ეფხიზლა, აეღო ყურმილი და ეპასუხა განუწყვეტლივ მოწკარუნე ტელეფონისთვის, მთელი მსოფლიოდან შემოსულ ელექტრონულ წერილებზე, რომელთაც თან ახლდა პენისის გადიდების სასწაულმოქმედი საშუალების, მრავალგზის განსაცდელი ორგაზმის რეკლამა და გაფრთხილება „სპამზე“, რომლის წინააღმდეგ ყველაზე სრულყოფილი ფილტრიც კი უძლურია. იმისდა მიხედვით, რას ანიშნებდა ჯავიცი, რომელიმე „მეგობარი“ ამ მდივნის მისამართსა და ტელეფონის ნომერს ატყობინებდა, ან ეტყოდა, რომ თან არ ჰქონდა მისი სავიზიტო ბარათი.

მაშ, რას უზის აქ? ლოს-ანჟელესში ამ დროს უკვე ეძინებოდა. ჯავიც უაილდმა იცის პასუხი, მაგრამ ეს პასუხი ხელს არ აძლევს. საქმე ისაა, რომ მარტო დარჩენის ეშინია და შურს იმ ადამიანის, აქ ერთ-ერთი პირველი რომ მოვიდა და ახლა თავის უალკოჰოლო კოქტეილს წრუპავს, უმისამართოდ იყურება, მოდუნებულია და არც ფიქრობს, თავი დიდ ვინმედ მოაჩვენოს, ან დაფიქრებული, საქმიანი კაცის იერი მიიღოს. ჯავიცს უნდა, მაგიდასთან მიიწვიოს და რაიმეთი გაუმასპინძლდეს. სწორედ ამ დროს ხედავს, რომ ის თავის ადგილზე აღარ ზის.

და იმავდროულად ზურგში მსუბუქ ჩხვლეტას გრძნობს.

„კოღოები... აი, რატომ ვერ ვიტან ღია ცის ქვეშ წვეულებებს“.

ნაკბენ ადგილზე ხელი მოისვა და უცებ ხელში პაწაწინა ქინძისთავი შერჩა. რა სულელური ხუმრობაა! აქეთ-იქით იყურება, ორი მეტრის მოშორებით ხედავს შავკანიანს, ვარცხნილობის მიხედვით, ალბათ იამაიკელს, სტუმრებშუა ჩამდგარი ხარხარებს, ისინი კი პატივისცემითა და აღტაცებით შეჰყურებენ.

დაქანცულ ჯავიცს ამ პროვოკაციაზე აყოლის თავი არ აქვს, დაე, ამ თვითკმაყოფილმა შტერმა იფიქროს, რომ ძალიან სასაცილოდ იხუმრა, აბა, სხვა რით უნდა მოეხდინა ხალხზე შთაბეჭდილება?!

იდიოტი.

„მეგობრები“ წამიერად ახდენენ რეაგირებას ჯავიცის პოზის უეცარ შეცვლაზე - ამაოდ როდი არიან დაქირავებულნი დღეში ოთხას ოცდათხუთმეტ დოლარად. ერთი ხელს იყოფს უბეში (სადაც იღლიის ქვეშ პისტოლეტი ჰკიდია, რომელსაც პიჯაკი უფარავს), მეორე ადგილიდან დგება და მკვირცხლი, მაგრამ არცთუ მკვეთრი მოძრაობით (ეს ყველაფერი მაინც ხომ წვეულებაზე ხდება) თავის ბატონსა და შავკანიანს შორის დგება.

- არაფერია, სულელური ხუმრობაა, - ამბობს ჯავიცი და ქინძისთავს აჩვენებს.

ეს ორი რეგვენი იმისთვისაა გაწვრთნილი, რათა შეტევა მოიგერიონ და დასაცავ ობიექტს დანა და იარაღი, უეცარი აგრესია და მუქარა აარიდონ. სასტუმროში ისინი პირველნი შედიან მის ნომერში, ამოწმებენ, ყველაფერი რიგზეა თუ არა. ისინი წამსვე ადგენენ, აქვს თუ არა ამა თუ იმ კაცს ჯიბეში პისტოლეტი (მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხომ დასაშვებია პისტოლეტის ტარება) და არ მოაშორონ თვალი, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ საშიში არაფერია. ჯავიცი ლიფტში რომ შედის, ისინი აქეთ-იქიდან ეკვრიან და საკუთარი სხეულით ცოცხალ ფარობას უწევენ. მათ დღემდე არ დასჭირვებიათ იარაღის ამოღება და, მით უმეტეს, სროლა, ვინაიდან ყოველგვარი გაუგებრობა შეუძლიათ მარტო გამოხედვითა და რამდენიმე წყნარად ნათქვამი სიტყვით აირიდონ.

მას შემდეგ, რაც „მეგობრები“ თან ახლავს, ჯავიცს პრობლემები დაავიწყდა. ეტყობა, ბოროტი სულების გასადევნად და უკეთურ განზრახვათა განსაქარვებლად მხოლოდ მათი თანხლებაა საკმარისი.

- ის კაცი... ერთ-ერთი პირველი რომ მოვიდა და იმ მაგიდასთან იჯდა, თუ იცი, შეიარაღებული იყო? - იკითხა ერთმა.

- გამორიცხული არ არის, - რაღაც ამგვარი ჩაიბურტყუნა მეორემ. მაგრამ უცნობს დიდი ხანია იქაურობა დაეტოვებინა. რაც იქ იყო, მისთვის თვალი არ მოუშორებიათ, ვერ გაეგოთ, შავი სათვალიდან საით მიეპყრო მზერა.

მორჩა. ერთი კვლავ ტელეფონს უბრუნდება, მთელი ამ ხნის მანძილზე განუწყვეტლივ რომ რეკავდა, მეორე იამაიკელ შავკანიანს უყურებს. ჯავიცი კი, შიშის

გამომჟღავნება არ უნდა თუ დაბნეულობის გამო, მათ თვალს არ აშორებს. რაღაც უცნაურად იქცევა.

- ყველაფერი რიგზეა.

- სულაც არაა რიგზე. გამოიძახეთ სასწრაფო, ხელები წამერთვა.

12:44 PM

ბედიც ამას ჰქვია!

ყველაფერს ელოდა ამ დილით, მაგრამ იმას არა, რომ შეხვდებოდა ადამიანს, რომელიც (ამაში ეჭვიც არ ეპარება) მისი ცხოვრების შეცვლას შეძლებს. მაგრამ ის მაინც აქ აღმოჩნდა - ზის, როგორც ყოველთვის, მოწყენილი, თავის ორ მეგობართან ერთად.

მორინი მიხვდა, რომ კანში ადამიანები ორ კატეგორიად იყოფიან:

1) გარუჯულები (ისინი მთელ დღეს მზეზე ატარებენ, რადგან უკვე ეკუთვნიან გამარჯვებულთა გუნდს). წვანან ერთ-ერთ იმ პლაჟზე, სადაც მხოლოდ ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს უშვებენ. სასტუმროებში დაბრუნებულებს ხვდებათ რამდენიმე მოსაწვევი, რომელთა დიდ ნაწილს ნაგვის კალათაში ყრიან.

2) ფერმკრთალები (ისინი დარბიან ერთი პირქუში ოფისიდან მეორეში, გადიან კასტინგზე, რომლის შედეგი შეიძლება შესანიშნავიც აღმოჩნდეს, მაგრამ მაინც ჩაიძიროს სხვა წინადადებებისა და ვარიანტების ზღვაში, შედეგი შეიძლება შემზარავიც გამოდგეს, მაგრამ მაინც მოიპოვოს ადგილი მზის ქვეშ - ანუ ადგილი შერუჯულებს შორის, თუკი საჭირო ხალხს იცნობს).

ჯავიც უაილდი ამაყობს, შესაშურ ბრინჯაოსფრად რომ არის გარუჯული.

საფრანგეთის სამხრეთით მდებარე ამ პატარა ქალაქში თორმეტი დღის განმავლობაში მიმდინარე დიდი მოვლენა, რომელსაც მოჰყვება ცეცხლის ფასები, ქუჩაში მხოლოდ სპეციალური საშვით მოძრავი ავტომობილები, კერძო თვითმფრინავებით გავსებული აეროპორტი და მოდელებით სავსე პლაჟი, წითელი ხალიჩით როდი მთავრდება. კანი, უპირველეს ყოვლისა, კინოა. ბრწყინვალება პირველი გეცემათ თვალში, მაგრამ ფესტივალის ჭეშმარიტი სული მის პარალელურად მიმდინარე გიგანტური კინობაზარია. მთელი მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ჩამოსული მყიდველები და გამყიდველები ერთმანეთს ხვდებიან, რათა ივაჭრონ მზა პროდუქციით, ინვესტიციებით, იდეებით. ქალაქში, საშუალოდ, დღეში ოთხასი კონტრაქტი იდება და ყოველივე ეს, უმეტეს შემთხვევაში, მთელი სეზონით იჯარით

აღებულ აპარტამენტებში ხდება, სადაც მოლაპარაკებას საწოლებშუა ჩაჭედილი ხალხი აწარმოებს. ისინი უჩივიან სიცხეს, თხოულობენ მინერალურ წყალს და განსაკუთრებულ ყურადღებას, რის გამოც იმათ, ვინც თავის პროდუქციას ამ ხალხს სთავაზობს, ნერვები დაწყვეტაზე აქვთ, სახეზე კი ნაძალადევი ღიმილი შეჰყინვიათ; იმისათვის, თავიანთი ქმნილება რომ წარადგინონ, ვალდებულნი არიან, მოითმინონ ყოველგვარი ჭირვეულობა და ყოველგვარ გამოხტომას გაუძლონ.

და სანამ ეს 4800 ახალი ფილმი კბილებითა და ბრჭყალებით იბრძვის სასტუმროს ნომრიდან გამოსაღწევად და ნამდვილი კინოთეატრების დარბაზებში ჩვენების უფლებისთვის, ოცნების სამყარო უკუღმა იწყებს ტრიალს: ახალი ტექნოლოგიები ყოველდღიურად ახალ საზღვრებს იპყრობს და ხვალინდელი დღის რწმენადაკარგული, გაწამებული და მძიმე შრომით წელში გაწყვეტილი ხალხი უხალისოდ გამოდის სახლიდან. მათ ურჩევნიათ საკაბელო ტელევიზორი, რომელიც სიმბოლური თანხის სანაცვლოდ დღეში ხუთასამდე ფილმს ატრიალებს.

ამაზე უარესი ისაა, რომ ინტერნეტი ყველას ნებას რთავს იქცეს კინორეჟისორად: მსოფლიო აბლაბუდა გვიჩვენებს, როგორ დგამს პირველ ნაბიჯებს ყმაწვილი, როგორ აცლიან თავებს ტყვეებს, ქალები როგორ ამზეურებენ თავიანთი სიშიშვლის მომხიბვლელობას მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც, მონიტორთან განმარტოებული, დატკბეს ამით. გვიჩვენებს გაყინულებს და დამწვრებს, რეალურ ავიაკატასტროფებს, სპორტულ შეჯიბრებებს, დეფილეს, ფარული კამერით გადაღებულებს, შემთხვევით გამვლელს სულელურ მდგომარეობაში რომ აყენებს.

თუმცა, რა თქმა უნდა, ხალხი მაინც გამოდის სახლიდან, მაგრამ ურჩევნიათ ფული რესტორანსა და კარგ ტანისამოსში დახარჯონ, რადგან დანარჩენ ყველაფერს საკუთარი ტელევიზორებიდან და კომპიუტერებიდან ღებულობენ.

ფილმები. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ყველას ახსოვდა, ვის ერგო „ოქროს პალმის რტო“; ახლა რომ იკითხო, ვინ გახდა შარშან ლაურეატი, პასუხის გაცემა იმათაც კი გაუჭირდებათ, ვინც ფესტივალს ესწრებოდა. „მგონი, ვიღაც რუმინელი რეჟისორი“, - იტყვის ერთი; „არა, გერმანელი“, - შეედავება მეორე, მერე მალულად შეამოწმებენ კატალოგში და აღმოჩნდება, რომ იტალიელს გაუმარჯვია.

კინოთეატრები, რომლებიც ოდესღაც ვიდეოსალონების სასტიკ კონკურენციას უძლებდნენ და რყევების შემდეგ მაინც ახერხებდნენ მოღონივრებას, ახლა, როგორც ეტყობა, ისევ დაღმასვლას იწყებენ. მათ თითქმის აღარ შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ DVD ფილმებს, რომლებიც უფასოდ ერთვის გაყიდულ ჟურნალებს, აღარ შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ საყოველთაო მეკობრეობას, ყველგან მყოფ ინტერნეტს. ყოველივე ამას იქით მივყავართ, რომ გაქირავება ყველაზე ბარბაროსულ ფორმას მიიღებს: სტუდიას ახალი პროექტის ამოქმედება ძალიან ძვირი თუ დაუჯდება, მოითხოვს, ფილმი ერთდროულად მაქსიმალურად ბევრ დარბაზში

უჩვენონ, ამიტომაც ადგილი თითქმის აღარ დარჩება მათთვის, ვინც გაბედავს, იმავე საქმიანობას მოჰკიდოს ხელი.

და თუ მაინც გაბედავენ, მიუხედავად ყველა „უკუჩვენებისა“, ძალიან გვიან მიხვდებიან, რომ ხარისხიანი პროდუქციის ფლობა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. ფილმმა მსოფლიოს დედაქალაქების ეკრანებამდე რომ მიაღწიოს, უზარმაზარი ინვესტიციაა საჭირო: უნდა გადაიხადო გაზეთებისა და ჟურნალების მთელი სვეტების ფასი, მოაწყო მიღებები და პრეზენტაციები, პრესკონფერენციებთან ერთად მოაგვარო პრეს-რელიზები, მოგზაურობები, იჯარით აიღო დარბაზები საარაკოდ ძვირადღირებული მოწყობილობებით, დაიქირავო პერსონალი... ყოველივე ამაზე კი პრობლემათა პრობლემა - დისტრიბუტორი მეფობს.

მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად ხელახლა იწყება ეს მომთაბარეობა. ინიშნება ფილმის პირველი, დახურული ჩვენება, სუპერკლასის წარმომადგენლები ყველაფერს აქცევენ ყურადღებას, გარდა იმისა, რაც ეკრანზე ხდება. ტელეკომპანიები სთავაზობენ ნამდვილი ფასის მეათედს, რათა რეჟისორს „პატივი“ მიაგონ და მისი ქმნილება თავიანთ არხზე აჩვენონ. ამასთან, ეუბნებიან, რომ ესა და ეს ადგილი ამოსაჭრელია, რათა „საოჯახო აუდიტორია“ არ დაკარგონ, გადასაკეთებელია ესა და ეს ეპიზოდი; ჰპირდებიან (რაც ყოველთვის არ სრულდება), რომ მომავალ წელს მოაწერენ ხელს კონტრაქტს, თუკი სცენარი საფუძვლიანად გადაკეთდება და რომელიღაც თემა გამძაფრდება.

ძლევამოსილი კი არავისთან აწარმოებს მოლაპარაკებას საკუთარი თავის გარდა. მაგრამ ყველაფერი დაკარგული როდია - მარტო რომანებში კი არა, სინამდვილეშიც აუცილებლად გამოიძებნება ვინმე გმირი.

მორინმა სიამაყისგან აღარ იცის, რა ქნას: გმირი მის წინაშეა. სამწლიანი მუშაობის შემდეგ, ოცნების, სატელეფონო ზარების, ლოს-ანჟელესში გამგზავრების, საჩუქრების, „ურთიერთდახმარების ბანკის“ მეგობრებისთვის თხოვნის, ყოფილი საყვარლის შუამავლობის შემდეგ (ის მასთან ერთად სწავლობდა რეჟისურას, მაგრამ ივარაუდა, კინოსადმი მიძღვნილ ჟურნალში მუშაობა უფრო უსაფრთხო იქნებოდა) ამდენი ხნის ნანატრი შეხვედრა მაინც შედგება.

„კეთილი, დაველაპარაკები, - უთხრა ექს-საყვარელმა, - ოღონდ იცოდე, ჯავიც უაილდი არავისზე არის დამოკიდებული, ჟურნალისტებზეც კი, ვისაც შეუძლია, ფილმი ქებით ცაში აიყვანონ ან ლაფში ამოსვარონ. ჯავიც უაილდი ყველაზე მაღლა დგას. ჩვენ უკვე ვცადეთ მასზე რეპორტაჟის გაკეთება, რათა გაგვეგო, როგორ ახერხებს, ხელთ ჰყავდეს უამრავი გამქირავებელი, მაგრამ ვინც კი მასთან მუშაობს, ამ თემაზე საუბარი არ ისურვა. დაველაპარაკები, მაგრამ იცოდე, მაგაზე ზეწოლა უაზრობაა“.

დაელაპარაკა და შეთანხმდნენ, რომ ჯავიცი ნახავდა „მიწისქვეშეთის საიდუმლოებას“, მეორე დღეს კი მორინს ტელეფონით კანში შეხვედრა დაუნიშნა.

მორინმა ვერ გაუბედა ეთქვა, რომ მის ოფისამდე ტაქსით ათი წუთის სავალზე იყო და თვითმფრინავზე მორჩილად შეუკვეთა ბილეთი პარიზამდე. მერე კი მთელი დღე მოუნდა საფრანგეთის ამ შორეულ ქალაქამდე მატარებლით ჩამოსვლას. ვაუჩერი გაღატაკებული სასტუმროს მოღუშულ მმართველს წარუდგინა და აიღო ერთოთახიანი ნომერი, სადაც აბაზანაში ყოველი შესვლისას ჩემოდნებზე უნდა გადაებიჯებინა. ისევ თავისი „ექსის“ დახმარებით, იშოვა მოსაწვევი რომელიღაც ძალზე საყურადღებო ღონისძიებაზე - ახალი არყისა თუ ცხენბურთელთა პერანგის ახალი მოდელის პრეზენტაციაზე. ბილეთი ჰქონდა, მაგრამ დაგვიანების გამო ფესტივალის სასახლეში მოხვედრაზე იმედი გადაეწურა.

ფული თითქმის გაუთავდა, გზაში ოც საათზე მეტი გაატარა, მაგრამ თავისას მაინც მიაღწია - ათწუთიან შეხვედრას შეჰპირდნენ.

და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ შეხვედრიდან ხელმოწერილი კონტრაქტით გამოვიდოდა, რის შემდეგაც მის წინაშე გადაიშლებოდა ბრწყინვალე პერსპექტივები. მერე რა, რომ კინოინდუსტრია კრიზისს განიცდის? განა ფილმებს (თუნდაც შედარებით მცირებიუჯეტიანებს) არა აქვთ წარმატება? განა ქალაქები არ არის გადაჭრელებული ახალი ფილმების აფიშებით? განა სახელგანთქმულ მსახიობებზე არ წერენ ჟურნალები? მორინმა იცოდა - უფრო სწორად, დარწმუნებული იყო, რომ კინემატოგრაფია, რომლის სიკვდილი უკვე არაერთხელ გამოაცხადეს, მაინც განაგრძობს არსებობას. „კინოს ეპოქა დასრულდა“, - აცხადებდნენ ტელევიზიის გამოჩენის შემდეგ. „კინოს ეპოქა დასრულდა“, - ამბობდნენ ვიდეოსალონების გაჩენისას, „კინოს ეპოქა დასრულდა“, - ამბობდნენ, როდესაც ინტერნეტმა გზა გაუხსნა მეკობრულ საიტებს. მაგრამ კინო მაინც ცოცხლობს: ის აქაა, ხმელთაშუა ზღვისპირა პატარა ქალაქის ქუჩებში, რომელიც თავის დიდებას სწორედ კინოს უნდა უმადლოდეს.

და ახლა, რაც მთავარია, ხელიდან არ უნდა გაუშვას ციდან ჩამოვარდნილი შანსი.

და დათანხმდეს ყველაფერზე - უკლებლივ ყველაფერზე. ჯავიც უაილდი აქაა და ნახა მისი ფილმი. თემა უშეცდომოდაა შერჩეული! ნებაყოფლობითმა თუ იძულებითმა სექსუალურმა ექსპლუატაციამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია მსოფლიოში. სწორედაც რომ დროული „მიწისქვეშეთის საიდუმლოებანის“ აფიშები გამოიფინა ყველა იმ კინოთეატრის ფასადზე, რომელთაც ჯავიცი აკონტროლებს.

ჯავიცი აუჯანყდა არსებულ წესს და ნამდვილი გადატრიალება მოახდინა სისტემაში, რომელიც ფილმებს გზას მასობრივ მაყურებლამდე უკვალავს. თავის დროზე ერთადერთი რობერტ რედფორდი შეეცადა რაღაც ამდაგვარს დამოუკიდებელი კინემატოგრაფისტების ფესტივალის შექმნით, მაგრამ მიუხედავად ათწლიანი

fb.com/groups/elib

შეუპოვარი მცდელობისა, მაინც ვერ დაძლია ბარიერი, რომელიც ასობით მილიონ დოლარს ატრიალებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპასა და ინდოეთში. ჯავიც უაილდმა კი გაიმარჯვა.

ჯავიც უაილდი კინემატოგრაფისტების მხსნელია, კაცი-ლეგენდა, რეჟისორთა დამცველი, მსახიობთა მეგობარი, ხელოვნების მფარველი, ჭკვიანური სისტემის წყალობით (მორინმა არ იცოდა, როგორ მოქმედებს ეს სისტემა, მაგრამ ხედავდა მის ეფექტურობას) შეძლო, კონტროლქვეშ ჰყავდეს მსოფლიოს კინოთეატრები.

ჯავიც უაილდმა ხვალ ათწუთიანი შეხვედრა დაუნიშნა და ეს მხოლოდ ერთ რამეს მიანიშნებდა - ჯავიცმა მიიღო მისი წინადადება. მხოლოდ დეტალებზე მოლაპარაკება დარჩა.

„ყველაფერზე დავთანხმდები, უკლებლივ ყველაფერზე“, - იმეორებდა თავისთვის მორინი.

თავისთავად ცხადია, რომ ათ წუთში შეუძლებელია მოუყვეს, რა ხდებოდა ფილმის შექმნაზე მუშაობის რვა წელიწადში. აზრი არ ექნება იმის აღწერას, როგორ სწავლობდა რეჟისორის ხელოვნებას, როგორ იღებდა სარეკლამო რგოლებს, მერე როგორი წარმატება მოუტანა პროვინციულ ქალაქებსა და ნიუ-იორკის რამდენიმე ბარში ორმა მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა. როგორ ჩადო ბანკში მემკვიდრეობით მიღებული სახლი, რათა ფილმის გადასაღებად აუცილებელი მილიონი მიეღო. როგორ მიხვდა, რომ ეს შეხვედრა მისი ბოლო შანსი იყო, რადგან მეორე სახლი არა აქვს და ბანკშიც ვეღარაფერს ჩადებს.

ის თვალყურს ადევნებდა თანაკურსელთა კარიერას: ისინი ბევრს ეცადნენ, მაგრამ ბოლოს კომერციული რეკლამის მშვიდი გარემო, ანდა მოსაწყენი, მაგრამ საიმედო სამუშაო ამჯობინეს ტელესერიალების გამომშვებ რომელიმე კომპანიაში. მაგრამ მორინმა, მას შემდეგ, რაც მის მოკლემეტრაჟიან ფილმს მოწონებით შეხვდა პუბლიკა, ოცნება დაიწყო უფრო მეტის მიღწევაზე და ეს ოცნება დაუძლევლად ექცა.

დარწმუნებული იყო, რომ მისი მისია ამ სამყაროს უკეთესობისაკენ შეცვლაა. თანამოაზრეებთან ერთად, სურდა ეჩვენებინა, რომ ხელოვნება მხოლოდ გზასაცდენილი საზოგადოების გასართობად და თავშესაქცევად არაა შექმნილი, რომ საჭიროა მისი ლიდერების ნაკლოვანების ჩვენება, ბავშვების გადარჩენა, სადღაც აფრიკაში შიმშილით რომ იხოცებიან, გარემომცველი გარემოს პრობლემების გამოვლენა, სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა...

უეჭველია, ამბიციური პროექტია, მაგრამ მორინი დარწმუნებულია, რომ მის შესასრულებლად სიჯიუტე ეყოფა. ამისათვის კი საჭიროა, განიწმინდოს სული და ახსოვდეს ოთხი ძალა, რომელიც ყოველთვის წარმართავდა მას: სიყვარული, სიკვდილი, ძალა და დრო. აუცილებელია, გვიყვარდეს, რადგან ჩვენ თვითონ ვართ ღმერთის საყვარელი შვილები, აუცილებელია სიკვდილის გარდუვალობა შევიგნოთ,

რათა უფრო მძაფრად ვიგრძნოთ სიცოცხლე, აუცილებელია ბრძოლა, რათა გავიზარდოთ, მაგრამ, ამასთან, არ უნდა გავებათ ძალაუფლების მახეში, რომელიც ამ ბრძოლის დროს შეიძლება მოვიპოვოთ. დაბოლოს, უდავოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სული - თუნდაც უკვდავი - დროის ტყვეა.

მამის სიკვდილის შემდეგ მორინი ერთ მეტად მნიშვნელოვან რამეს მიხვდა. განსაცვიფრებელი ცვლილებები ადამიანში სწორედ ამგვარ კრიზისულ მომენტებში ხდება.

მორინს მამის ბედის განმეორება არ სურდა. არ უნდოდა, ქალიშვილისთვის მასაც ეთქვა: „მსურდა და გარკვეულ წუთებში შემეძლო კიდეც, მაგრამ გასარისკავად სიმამაცე არ მეყოო“. მიიღო თუ არა მემკვიდრეობა, უმალ მიხვდა, რომ ეს თავისი მოწოდების აღსასრულებლად ესაჭიროებოდა.

მორინმაც მიიღო ეს გამოწვევა. ჯერ კიდევ ყმაწვილქალობაში, კინომსახიობობაზე მეოცნებე თანატოლებისგან განსხვავებით, ისეთი ამბების თხრობა უყვარდა, რითაც მომავალ თაობას ღიმილსა და ოცნებას აიძულებდა. მას მაგალითად ჰქონდა „მოქალაქე კეინი“ - ფილმი რადიოკომენტატორზე, რომელსაც ეყო გამბედაობა, გაზეთების ძლევამოსილი მაგნატი გაეკრიტიკებინა. ფილმი კლასიკად იქცა არა მარტო ჩახლართული სიუჟეტის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ნოვატორულად და შემოქმედებითად ასახა თავისი ეპოქის ეთიკური თუ ტექნიკური პრობლემები. და ამ ერთადერთი ფილმის შექმნით ავტორმა უკვდავყო თავისი სახელი.

პირველი და ერთადერთი ფილმით.

თანაც ორსონ უელსმა ვეღარასოდეს შეძლო მიეღწია უკვე მიღწეული სიმაღლისთვის. ამასთან, სცენიდანაც გაქრა და ახლა მხოლოდ მკვლევრებსა და კინომცოდნეებსღა ახსოვთ. თუმცა, უეჭველია, მალე ვინმე ხელახლა აღმოაჩენს მის გენიას. უელსმა შთამომავლობას მხოლოდ „მოქალაქე კეინი“ კი არა, რჩევაც დაუტოვა: საკმარისია გადადგა პირველი ბრწყინვალე ნაბიჯი და მთელი შემდგომი კარიერა უზრუნველყოფილი გექნებაო.

და ვინაიდან პირველი მხოლოდ ერთი ფილმი შეიძლება ყოფილიყო, მორინმა მთელი ზნეობრივი და ფიზიკური ძალები, მთელი ემოციური ენერგია ერთადერთ პროექტს შეალია. ის არ ბაძავდა მეგობრების მაგალითს, სცენარებს, სიუჟეტებს აქეთ-იქით რომ აგზავნიდნენ და ერთდროულად რამდენიმე იდეაზე მუშაობდნენ, რომელთაგან არც ერთს მოუტანია შედეგი. მორინი სულით და მთელი არსებით „მიწისქვეშეთის საიდუმლოებამ“ გაიტაცა - ამბავმა იმაზე, თუ როგორ მოხვდება ხუთი მონაზონი სექსუალური მანიაკის ხელში და მანიაკის რწმენისა და ქრისტიანული ნორმებისკენ მობრუნების ნაცვლად, იმ დასკვნამდე მიდიან, რომ მხოლოდ ერთი გადაწყვეტილების მიღებაა შესაძლებელი - მიიღონ მისი გაუკუღმართებული

სამყაროს წესები და დანებდნენ მას, რათა სიყვარულის განცდის შემდეგ მაინც ჩასწვდეს მანიაკი ღმერთის სიდიადეს.

მორინის ჩანაფიქრი მარტივი იყო: ჰოლივუდის მსახიობები, როგორი ცნობილებიც არ უნდა იყვნენ, ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ ეკრანიდან ქრებიან. მათი სახელები აქა-იქ თუ გაიელვებს ჟურნალების ფურცლებზე, ესწრებიან საქველმოქმედო საღამოებს, ზეიმებს, ცერემონიებსა და დღესასწაულებს, შემდეგ კი ცდილობენ, მინავლული ინტერესი ქორწინებებით, განქორწინებებითა და სკანდალებით გამოაცოცხლონ. ფული მათთვის აღარაა ყველაზე მნიშვნელოვანი. ისინი მზად არიან, მიიღონ ნებისმიერი წინადადება, ოღონდ კვლავ გამოჩნდნენ ეკრანზე.

ამრიგად, მორინი დაუახლოვდა ათი წლის წინათ დიდების მწვერვალზე მყოფ მსახიობ ქალებს, რომლებიც ცხადად ხედავდნენ, როგორ ეცლებოდათ ფეხქვეშ ნიადაგი და თავგამოდებით ცდილობდნენ უკან დაბრუნებას.

ისეთი საქმე, როგორიცაა კინო, უაზრობაა, თავმდაბლობითა და თავის დამცირებით დაიწყო. ორსონ უელსის დიადი აჩრდილი სიზმრად ეჩვენა: „ეცადე, შეძლო შეუძლებელი, ერთბაშად ახტი რამდენიმე საფეხურით ზემოთ, რაკი, ბედის წყალობით, მის ძირში აღმოჩნდი, აძვერი მაღლა, სანამ კიბეს გამოგაცლიდნენ. თუ შეგეშინდა - ილოცე, მაგრამ უკან არ დაიხიო“. მორინმა იცოდა, რომ ჰქონდა ბრწყინვალე სიუჟეტი, ჰყავდა პირველხარისხოვან მსახიობთა კრებული, ამიტომაც ისეთი კინოს გადაღება იყო საჭირო, რომელსაც მსხვილი სტუდიები და დისტრიბუტორები მიიღებდნენ, მაგრამ, ამასთან, ხარისხზე უარი არ უნდა ეთქვა. ისე უნდა მოეხერხებინა, რომ ხელოვნებასა და კომერციას ხელიხელჩაკიდებულებს ევლოთ.

ხოლო სხვა დანარჩენი - კრიტიკოსები, გონებრივი მასტურბაციისკენ რომ აქვთ მიდრეკილება და აღმერთებენ ისეთ ფილმებს, რომლებსაც ვერაფერს გაუგებ, პატარა დარბაზები, საიდანაც ყოველ საღამოს გამოდის ხუთიოდე შემფასებელი, რათა ფილმის ნახვის შემდეგ დილამდე ისხდნენ ბარში და თამბაქოს კვამლში გახვეულებმა იმსჯელონ ამა თუ იმ სცენის იდუმალ დედაარსზე (არცთუ იშვიათად, ამ სცენაში რეჟისორის სათქმელის საწინააღმდეგო აზრს ხედავენ); თავად რეჟისორები, პრესკონფერენციებზე რომ იკრიბებიან, რათა პუბლიკას განუმარტონ ის, რაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშეც სრულიად ნათელი უნდა იყოს; სამდურავები სახელმწიფოს მიმართ, რომ მხარს არ უჭერენ კინემატოგრაფიას; ინტელექტუალურ ჟურნალებში დაბეჭდილი მანიფესტები და დეკლარაციები, მრავალსაათიანი ბჭობა და პაექრობა, რაც საბოლოო ჯამში ისევ და ისევ დაუინტერესებლობაზე ანუ დაფინანსებაზე სამდურავებით მთავრდება; გაზეთებში დაბეჭდილი ორიოდე სტატია, რომელსაც კითხულობენ მხოლოდ ისინი, ვისაც ეხება და მათი შინაურები.

ვის შეუძლია სამყაროს შეცვლა? - სუპერკლასს. მას, ვინც ქმნის, ვისაც უნარი შესწევს, ზემოქმედება მოახდინოს მაქსიმალური რაოდენობის ადამიანთა ქცევაზე, გონებასა და სულზე.

ამიტომაც სურდა მორინს ჯავიც უაილდთან შეხვედრა. ამიტომაც სჭირდება „ოსკარი“ და კანის ფესტივალი.

და რაკი ყოველივე ამის მიღწევა „დემოკრატიული“ მუშაობით შეუძლებელია, მორინი ვა-ბანკზე წავიდა. დაიქირავა გადამღები ჯგუფი, რამდენიმე თვე ასწორებდა და ხელახლა წერდა სცენარს, მოელაპარაკა შესანიშნავ, ამასთან, უცნობ ოპერატორებს, მხატვრებს, მეორეხარისხოვან მსახიობებს, შეჰპირდა უმნიშვნელო გასამარჯელოს, მაგრამ ამასთან, „გაბრწყინების“ იმედიც მისცა. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ხუთი მთავარი გმირის სიამ მოახდინა („წარმომიდგენია, რამდენს მოითხოვდნენ!“). თავდაპირველად ყველამ დიდი ჰონორარი მოითხოვა, მერე კი დარწმუნდნენ, რომ ამ წამოწყებაში მონაწილეობა მათი კარიერისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა. მორინი ისე აიტაცა თავისმა იდეამ, ეგონა, ენთუზიაზმი ყველა კარს გაუღებდა.

რჩებოდა უკანასკნელი და გადამწყვეტი დარტყმა. მწერლისა თუ მუსიკოსისთვის საკმარისი არაა შექმნას რაიმე გამორჩეული; არანაკლებ მნიშვნელოვანია, მისი ქმნილება მაგიდის უჯრაში ანდა საცავის თაროზე არ დაობდეს.

აუცილებელია „გაბრწყინება“.

სცენარის ეგზემპლარი მხოლოდ ჯავიც უაილდს გაუგზავნა. მერე გამოიყენა, რაც კი კავშირები გააჩნდა. მედგრად იტანდა ყველა დამცირებას, მაგრამ გზიდან მაინც არ გადაუხვევია. ეუხეშებოდნენ, დასცინოდნენ, მაგრამ რწმენა არ დაუკარგავს, რადგან თავის ქმნილებაში მთელი სული და გული ჩადო. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ სცენაზე არ გამოჩნდა მისი ყოფილი საყვარელი და ჯავიც უაილდმა შეხვედრა დაუნიშნა.

მორინი ამ პავილიონში ისეთ ადგილზე იჯდა, რომ ჯავიცისთვის ეცქირა და წინასწარ დამტკბარიყო ორი დღის შემდეგ დანიშნული მათი საუბრით. ანაზდად ატყობს, რომ ჯავიცს გამოხედვა უაზრო გაუხდა, სხეული მოუდუნდა. მისი ერთ-ერთი თანმხლები თავს წარამარა ატრიალებს, ხან უკან, ხან აქეთ-იქით იხედება და ხელი პიჯაკის უბეში უდევს. მეორე ტელეფონზე სწრაფად კრეფს რამდენიმე ციფრს.

ირგვლივ მსხდომი ხალხი, ვითომც არაფერიო, საუბარსა და სმას აგრძელებს, ტკბებიან მზით, ფესტივალით, სადღესასწაულო ატმოსფეროთი და იქ მყოფთა მშვენიერი სხეულებით.

მცველები ცდილობენ, ჯავიცს წამოდგომაში მიეხმარონ და გარეთ გაიყვანონ, მაგრამ, ეტყობა, განძრევა არ შეუძლია. უეჭველია, ძალიან დათვრა... იქნებ დაღლილობაა... ან სტრესი... კიდევ რა შეიძლება იყოს?

შეუძლებელია! ის იმ სიშორიდან ჩამოფრინდა, ორი ნაბიჯიღა აკლდა ოცნების ასრულებამდე, და, აი...

ისმის სირენების ხმა. ეტყობა, პოლიცია ცდილობს, სამუდამოდ მივიწყებული მაგისტრალის გზა გაწმინდოს. ერთ-ერთი თანმხლები ჯავიცის ხელს მხრებზე იხვევს, მაგიდიდან აყენებს და კარისკენ მიათრევს. სირენების ხმა ახლოვდება. მეორე თანმხლები აქეთ-იქით იყურება... სწორედ ამ წუთში მათი მზერა ერთმანეთს ხვდება.

სირენების კივილი ზუსტად ვეება კარვის შესასვლელთან წყდება. ჯავიცი იმავე წუთს თვალს ეფარება. მისი „მეგობარი“ კი, ხელი ისევ პიჯაკის უბეში ხომ უდევს, მასთან მიდის.

- რა მოხდა? - კითხულობს შეშინებული მორინი. მის წინ მდგომ კაცს სახე თითქოს ქვისგან აქვს გამოქანდაკებული - ასეთი სახე პროფესიონალ მკვლელებს აქვთ.

- თვითონაც იცი, რაც მოხდა, - პასუხობს რაღაც უცნაური აქცენტით.

- დიახ, დავინახე, რომ ცუდად გახდა... რა დაემართა? - კაცი უბიდან ხელს არ იღებს. მორინს უცებ თითქოს გონება უნათდება: ეს პატარა ინცინდენტი შეიძლება უდიდეს შანსად ექცეს.

- მოდით, რამეში დაგეხმარებით... შეიძლება?

მამაკაცი კვლავინდებურად დაშტერებით აკვირდება მის ყოველ მოძრაობას, მაგრამ ისეთი დაძაბული აღარ ჩანს.

- შეიძლება, თქვენთან ერთად წამოვიდე? ვიცნობ ჯავიცს... ვმეგობრობ მასთან...

გეგონება, მთელი საუკუნე გადის - სინამდვილეში რაღაც წამები - და მამაკაცი უსიტყვოდ, ჩქარი ნაბიჯით მიდის ქუჩისკენ.

მორინი დაძაბული ფიქრობს, რატომ უთხრა ამ კაცმა, თვითონაც იცი, რაც მოხდაო; მერე რატომღა დაკარგა მის მიმართ ყოველგვარი ინტერესი?

დანარჩენმა სტუმრებმა ვერაფერი შეამჩნიეს. სირენების ხმამ წამიერად მიიპყრო მათი ყურადღება, მაგრამ იფიქრეს, ეტყობა, ქუჩაში რაღაც მოხდაო. სირენები ცუდად ესადაგება ზღვასა და მზეს, კოქტეილსა და ნაცნობობას, ლამაზ ქალებსა და მამაკაცებს, „გარუჯულთა“ და „ფერმკრთალთა“ მოდგმის წარმომადგენლებს. სირენები სხვა სამყაროს კუთვნილებაა - სადაც ხდება ავარიები, კატასტროფები, გულის შეტევები, დანაშაულებანი. ამიტომაც აქ დამსწრეთაგან დიდად არავინ დაინტერესებულა.

მორინის გონება ახლა ნათლად მუშაობს. ჯავიცს რაღაც დაემართა და ეს „რაღაც“ მისთვის ზეციური საჩუქარია. გასასვლელთან სირბილით მიდის.

- ჩემი მეგობარია, სად მიჰყავთ? - ეკითხება მცველს.

მცველი კლინიკის სახელწოდებას ეუბნება. მორინი წამსაც არ კარგავს და ტაქსის გასაჩერებლად მირბის. მხოლოდ ათი წუთის შემდეგ მოდის გონს - ტაქსები ასე უბრალოდ არ დადიან ქუჩებში - მას შვეიცარები იძახებენ სასტუმროს კარამდე და საამისოდ გულუხვ გასამრჯელოსაც იღებენ. მორინს ფული არ აქვს, ამიტომ შედის პიცერიაში და ქალაქის გეგმას ითხოვს. იქ უხსნიან, რომ საავადმყოფომდე ნახევარ საათში მიაღწევს ფეხით, უფრო სწორად, სირბილით.

რას იზამ... ეგ არაფერი. ის მთელი ცხოვრება დარბის.

12:53 PM

- დილა მშვიდობისა.

- შუადღე მშვიდობისა, - უსწორებენ მას, - უკვე თორმეტი საათია.

ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც წარმოდგენილი ჰქონდა. გარეგნულად მისი მსგავსი ხუთი გოგონა. ყველა გვარიანადაა შეღებილი, აცვიათ მინი კაბები, მოღიავებული დეკოლტეთი. ხელში მობილურები უჭირავთ და ესემესებს აგზავნიან.

ერთმანეთს არ ელაპარაკებიან: ამის აუცილებლობა არაა - მონათესავე სულებივით უსიტყვოდ ესმით ერთმანეთის. ყველას ერთნაირი ტანჯვა-წამება აქვს გამოვლილი, ყველა უდრტვინველად უძლებდა დარტყმებს, ყველამ ისწავლა გამოწვევაზე პასუხის გაცემა. ყველა ცდილობს სჯეროდეს, რომ ოცნება უვადო ბილეთია, რომ ცხოვრება წუთი წუთზე შეიძლება შეიცვალოს, რომ ადრე თუ გვიან დადგება სასურველი მომენტი, ჯერჯერობით კი ნებისყოფა სიმტკიცის გამოცდას გადის.

ყველა, უეჭველია, ნაჩხუბარია მშობლებთან, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ქალიშვილები პროსტიტუციისკენ მიექანებიან.

ყველა გამოსულია სცენაზე, მოუსინჯავთ დრამატული წარმოდგენის სიტკბონარევი სიმწარე, როდესაც დარბაზში ატმოსფერო დამუხტულია და მზადაა აპლოდისმენტების ჭექა-ქუხილით განიმუხტოს. თითოეულს ასჯერ მაინც უოცნებია იმაზე, თუ როგორ აღმოჩნდება პარტერში სუპერკლასის წარმომადგენელი და სპექტაკლის შემდეგ როგორ შევა საგრიმიოროში იმაზე სერიოზული წინადადებით, ვიდრე ტელეფონის ნომრის თხოვნა, ვახშამზე დაპატიჟება და კომპლიმენტებია.

ყველას სამ-ოთხჯერ მაინც მიუღია ასეთი მიპატიჟება, თუმცა ცნობილია, რომ ეს გზა მხოლოდ მამაკაცის საწოლამდე მიდის; მამაკაცი, როგორც წესი, აღარაა ახალგაზრდა, აქვს ძლევამოსილება და, გარდა ამისა, ცოლიანია, როგორც ყველა მამაკაცი, ვინც ყურადღებას იმსახურებს.

ყველას ჰყავს საყვარელი, მაგრამ თუ ოჯახური მდგომარეობის შეტყობა მოიწადინე, თითოეული მათგანი გეტყვის, რომ გათხოვილი არაა. ყველა დარწმუნებულია, რომ შესანიშნავად აკონტროლებს სიტუაციას. ყველას ასჯერ მაინც მოუსმენია, რომ იშვიათი ნიჭით არის დაჯილდოებული. მათ მხოლოდ ბედნიერი შემთხვევა აკლდა, და აი, ახლა ეს შემთხვევაც ეძლევათ, ვინაიდან, როგორც იქნა, შეხვდნენ მამაკაცს, რომელსაც შეუძლია, სასწაულებრივად შეცვალოს მათი ცხოვრება. თითოეული რამდენჯერმე წამოგებულა ამ ანკესზე და უნანია, როცა მეორე დღეს ტელეფონზე უცხვირპირო, ამასთან, შეუვალ მდივანს უპასუხია და შეფთან დაკავშირებაზე ცივი უარი განუცხადებია.

მერე ყველა დამუქრებია მამაკაცს, რომ საქვეყნოდ გახდიდნენ და ამ ამბავს ყვითელ პრესას მიჰყიდდნენ. მაგრამ ეს არც ერთ მათგანს არ ჩაუდენია.

სავსებით შესაძლებელია, რომ ორ-სამ მათგანს თავის დროზე ეთამაშოს სასკოლო დადგმაში „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ და ახლა ოცნებობენ, მშობლებს აჩვენონ, რომ გაცილებით მეტი შეუძლიათ. ისიც შესაძლოა, როცა მშობლებმა თავიანთი შვილები სარეკლამო რგოლებში ან პრეზენტაციებზე ნახეს, დაივიწყეს ადრინდელი გულგატეხილობა და მტკიცედ ირწმუნეს, რომ მათ ცხოვრებაში ამის შემდეგ მხოლოდ ბრწყინვალება იქნებოდა.

თავის დროზე ყველა ფიქრობდა, ოცნებები აუხდებოდათ და მათ ტალანტს ოდესმე აღმოაჩენდნენ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს არ შეიგნეს, რომ ამქვეყნად მოქმედებს მხოლოდ ერთი თილისმა, არსებობს მხოლოდ ერთადერთი ჯადოსნური სიტყვა.

და ეს სიტყვაა „კავშირები“.

კანში ჩამოსვლისთანავე ყველამ დაგზავნა თავისი რეზიუმე, იყვნენ ყველგან, სადაც შეიძლება მოხვედრილიყვნენ, და ცდილობდნენ შეეღწიათ იქ, სადაც მათთვის კარი დაკეტილი იყო; ოცნებობდნენ, რომ მიიწვევდნენ რომელიმე ბრწყინვალე ცერემონიაზე, რომელიც მთელი ღამე გაგრძელდებოდა. ოცნებობდნენ სასახლისაკენ მიმავალ წითელ ხალიჩაზეც, თუმცა ეს თითქმის აუსრულებელი ოცნება იყო.

კავშირები.

ბოლოს და ბოლოს, სასარგებლო ნაცნობობა გააბეს და სწორედ ამიტომ არიან ახლა აქ. ამ შეძენილი კავშირების წყალობით გამოიძახა ისინი ვიღაც ახალზელანდიელმა პროდიუსერმა. არავის უკითხავს გამოძახების მიზანი. ყველამ მხოლოდ ის იცოდა, რომ დაგვიანება არ შეიძლებოდა: დრო ყველასთვის ძვირფასია, განსაკუთრებით

მათთვის, ვინც კინოინდუსტრიის ყანას ამუშავებს. მხოლოდ ეს ხუთი გოგონა, ხელში ტელეფონებს რომ ატრიალებს, ფურცლავს ჟურნალებს, გზავნის ესემესებს იმის გასაგებად, დღეს მიწვეული არის თუ არა სადმე და თან იმის თქმაც არ ავიწყდება, რომ ახლა ლაპარაკი არ შეუძლია, რადგან პროდიუსერთან მნიშვნელოვან შეხვედრაზე იმყოფება - მხოლოდ ეს ხუთი გოგონა იყო მზად, რამდენიც გნებავთ, იმდენი დრო დაეხარჯა.

გაბრიელა მეოთხე უნდა გამოეძახებინათ. ის ცდილობდა, რაღაც ამოეკითხა იმათ თვალებში, კარიდან უსიტყვოდ რომ გამოდიოდნენ, მაგრამ ამაოდ - ყველა მსახიობი იყო და შეეძლოთ დაეფარათ ყოველგვარი გრძნობა - სიხარულიცა და მწუხარებაც. ისინი მტკიცე ნაბიჯით ტოვებდნენ მისაღებს და კარს იქით უჩინარდებოდნენ, მანამდე კი დანარჩენებს უემოციო ხმით მიუგდებდნენ - „წარმატებას გისურვებთ“, სახის გამომეტყველებით კი თითქოს ყველას ეუბნებოდნენ - „ნუ ნერვიულობთ, გოგონებო, დასაკარგი არაფერი გაქვთ. ეს როლი ჩემი იქნება“.

ერთი კედელი შავი მაუდითაა დაფარული. იატაკზე ნაირ-ნაირი კაბელებისა და სადენების გორგლები, ძლიერი ლამპა-სოფიტები, შუქის გამამკრთალებელი გიგანტური ქოლგები, ხმის ჩამწერი აპარატურა, მონიტორები, ვიდეოკამერები, კუთხეებში - მინერალური წყლის ბოთლები, კომპიუტერი, სამფეხა შტატივები, ქაღალდის ფურცლები ყრია. ოცდათხუთმეტიოდე წლის სათვალიანი ქალი იატაკზე მოკალათებულა და მის პორტფოლიოს ფურცლავს.

- საშინელებაა, ნამდვილი საშინელება, - ამბობს თავაუწევლად.

გაბრიელამ არ იცის, რა ქნას: თავი მოიკატუნოს, ვითომც არაფერი ესმის და იმ კუთხეში გადაინაცვლოს, სადაც რამდენიმე ტექნიკოსი სიგარეტს სიგარეტზე ეწევა და ლაქლაქებს, თუ ადგილზევე დარჩეს.

- ამაზრზენია, - განაგრძობს ქალი.

- ეს ჩემია.

სიტყვა მოუთმენლობისგან თითქოს თავისით მოსწყდა ბაგიდან გაბრიელას.

- დიახ, ვიცი რომ თქვენია, - პასუხობს ქალი ისე, რომ თავს მაღლა მაინც არა სწევს, - და, ალბათ, გვარიანი თანხაც დაგიჯდათ. ამქვეყნად უამრავი ადამიანი ადგენს პორტფოლიოს, წერენ რეზიუმეებს და CV-ს, ასწავლიან სამსახიობო ხელოვნებას, მოკლედ რომ ვთქვათ, შენნაირი პატივმოყვარეებისგან შოულობენ ფულს.

- თუ საშინელებაა, რატომ გამომიძახეთ?

- ჩვენ სწორედ რაღაც საშინელება გვჭირდება.

გაბრიელას ეცინება. ქალი, როგორც იქნა, თავს მაღლა სწევს და გაბრიელას თავით ფეხამდე ათვალიერებს.

- მომწონს შენი ჩაცმულობა. ვერ ვიტან ვულგარულად გადაპრანჭულებს.

გაბრიელას გული აუძგერდა. ოცნება კვლავ ახლოვდებოდა.

- დადექი იმ ნიშნულზე, - ქალი ფურცელს უწვდის და გადამღები ჯგუფისკენ ტრიალდება, - მოწევა დამთავრებულია, ფანჯარა დახურეთ, გარედან ხმაური რომ არ შემოვიდეს.

„ნიშნული“ იატაკზე ჯვარედინად დაწებებული ყვითელი ლენტის ორი ნაწყვეტი იყო.

- აქ ძალიან ცხელა, სულ სველი ვარ... შეიძლება სააბაზანოში შევიდე, ცოტა შევიღებო და ტონალური დავიდო?

- შეძლებით კი შეიძლება, მაგრამ მაშინ გადასაღებად დრო აღარ დაგვრჩება. მასალა საღამომდე უნდა ჩავაბარო.

ცხადია, მის მოსვლამდე ვინც აქ იდგა, იმავეს კითხულობდნენ და პასუხსაც ასეთივეს ღებულობდნენ. სჯობს, დრო არ დაიკარგოს - გაბრიელა შუბლსა და ლოყებს ქაღალდის ხელსახოცით იმშრალებს და ნიშნულთან მიდის.

ოპერატორი კამერის უკან დგება, გაბრიელა ცდილობს ერთხელ მაინც გადაავლოს თვალი, რა წერია ქაღალდის ამ მეოთხედზე.

- ტესტი N 25, გაბრიელა შერი. ტომპსონის სააგენტო.

„ოცდახუთი?!“

- ვიღებთ, - ამბობს სათვალიანი ქალი. პავილიონში სიჩუმეა.

- „არა, არა, მაგას ვერ დაგიჯერებ, უმიზეზოდ დანაშაულს არავინ სჩადის“.

- ერთხელ კიდევ გაიმეორე. შენს საყვარელს ესაუბრები.

- „არა, არა, მაგას ვერ დაგიჯერებ, ისე უბრალოდ, უმიზეზოდ, დანაშაულს არავინ სჩადის“.

- „ისე უბრალოდ“ ტექსტში არ არის. როგორ გგონია, სცენარზე ავტორმა რამდენიმე თვე რომ იმუშავა, არ იცის, რას წერს? ზედმეტ, ზერელე და უსარგებლო სიტყვას არ ამოიღებდა?

გაბრიელა ოხრავს, მოთმინების გარდა დასაკარგი არაფერი აქვს. ადგება და აქედან პირდაპირ პლაჟზე წავა, ან სულაც, შინ დაბრუნდება და ცოტას გამოიძინებს... უნდა დაისვენოს, რომ კოქტეილის საღამოსთვის ფორმაში იყოს.

უცებ საოცარი, რაღაც ნეტარი სიმშვიდე ეუფლება. ანაზდად გრძნობს, რომ ის უყვართ და უფრთხილდებიან, მადლიერებით ივსება, რომ ცოცხლობს. არავინ

აიძულებს აქ ყოფნას და ხელახალი დამცირების გადატანას. ამდენი წლის მანძილზე პირველად ირწმუნა თავისი ძლიერება.

- „არა, არა, მაგას ვერ დაგიჯერებ, უმიზეზოდ დანაშაულს არავინ სჩადის“.

- გააგრძელე.

ეს განკარგულება სრულიად ზედმეტი იყო, გაბრიელა თავადაც აპირებდა შემდეგი ფრაზის წარმოთქმას:

- „ექიმთან უნდა წახვიდე. მე მგონი, დახმარება გჭირდება“.

- „არა“, - რეპლიკას აწვდის სათვალიანი ქალი.

- „არ გინდა და ნუ გინდა. როგორც გენებოს. წამოდი, უბრალოდ გავისეირნოთ, და რაც მოხდა, ყველაფერი მომიყევი... მე შენ მიყვარხარ და თუ სხვას არავის ამქვეყნად შენთან არაფერი ესაქმება, ჩემთვის ძვირფასი და საჭირო ხარ...“

ქაღალდზე მეტი არაფერი წერია. პავილიონში სიჩუმეა და მთელი მისი სივრცე თითქოს დამუხტულია.

- მისაღებში გოგონა რომ იცდის, უთხარი, შეუძლია, შინ წავიდეს, - ეუბნება ვიღაცას სათვალიანი ქალი.

ნუთუ ეს ისაა, რასაც ფიქრობდა?

- პლაჟის მარცხენა ბოლოში, ალე-დე-პლამეირის მოპირდაპირე ნავსაბმელთან, ზუსტად ხუთს რომ ხუთი წუთი დააკლდება, დაგელოდებათ კატარღა და წაგიყვანენ ბატონ ჯიბსონთან შეხვედრაზე. ვიდეოს ახლავე გავგზავნით, მაგრამ მას სურს, პირადად გაეცნოს, ვინ შეიძლება იმუშაოს მასთან.

გაბრიელას სახე ღიმილმა გაუნათა.

- გითხარი, „შეიძლება იმუშაოს-მეთქი...“ ეს ჯერ კიდევ არაა საბოლოო პასუხი.

მაგრამ სახიდან ღიმილი არ ქრება. ჯიბსონი...

1:19 PM

ინსპექტორი სავუა და სასამართლო მედიკოსი უჟანგავი ფოლადით შემოჭედილ მაგიდაზე გაშოტილ ოციოდე წლის ლამაზი გოგონას სხეულზე დახრილან.

გოგონა შიშველია.

- დარწმუნებული ხართ?

პათოლოგანატომი რეზინის ხელთათმანებს იძრობს, უჟანგავი ფოლადის ტაშტში ყრის და პირსაბანის ონკანს უშვებს.

- სავსებით დარწმუნებული ვარ. ნარკოტიკების არავითარი კვალი არაა.

- მაშინ რა შეიძლება მომხდარიყო? ინფარქტი? ასეთ ახალგაზრდულ ასაკში?

მხოლოდ ონკანიდან დაღვრილი წყლის ხმა ისმის.

„რა სტერეოტიპულად აზროვნებს ყველა - ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზა, გულის შეტევა...“

მედიკოსი საჭიროზე უფრო დიდხანს იბანს ხელებს, იწმენდს სპირტით, მერე პოლიციელს უბრუნდება და სთხოვს, გულმოდგინედ დაათვალიეროს მიცვალებულის სხეული.

- ეცადე, არაფერი გამოგრჩეს: წვრილმანებისადმი ყურადღება თქვენი პროფესიის აუცილებელი ნაწილია.

სავუა გვამს ათვალიერებს. სურს გოგონას ხელი აუწიოს, მაგრამ ექსპერტი აჩერებს.

- არა, ნუ შეეხები.

ინსპექტორი მზერით ამოწმებს გოგონას სხეულს. უკვე ფლობს რაღაც ცნობებს მის შესახებ: ოლივია მარტინე, პორტუგალიელია. ჰყავს საყვარელი - გაურკვეველი საქმიანობის პიროვნება, საღამოს წვეულებათა ხშირი სტუმარი. საყვარელი ახლა უკვე დაკითხვაზეა. მოსამართლემ მისი ბინის ჩხრეკის სანქცია გასცა, რის შედეგად აღმოაჩინეს ტეტრაჰიდროკან-ნაბინოლის რამდენიმე ამპულა. იპოვეს ასევე თითო-თითო გრამიანი კოკაინის ექვსი შეკვრა. სისხლიანი ზეწარი ექსპერტიზაზე გაიგზავნა. როგორც ჩანს, მოკლულის მეგობარი წვრილი ნარკოდილერია. აღრიცხვაზე ჰყავთ პოლიციაში. ერთი-ორჯერ ციხეშიც მჯდარა, მაგრამ ფიზიკური ძალადობისადმი მიდრეკილება არ ეტყობა.

ოლივია სიკვდილის შემდეგაც ძალზე ლამაზი იყო - გრძელი, ხშირი წამწამები, ბავშვური სახე და ქალწულებრივი მკერდი...

- ვერაფერ ისეთს ვერ ვხედავ.

სავუას ექსპერტის ღიმილში გამკრთალი ქედმაღლობა აღიზიანებს. ექსპერტი მარცხენა მხარსა და კისერს შორის პატარა, თითქმის შეუმჩნეველ ლილისფერ ლაქას აჩვენებს. აი, მეორეც, მარჯვენა ფერდზე, ნეკნებშუა.

- სპეციალურ ტერმინებს თუ მოვიშველიებ, ვიტყოდი, რომ შეინიშნება განსაზღვრული ნერვების კვანძზე ერთდროული და თანაბარი ძალის ზემოქმედებით

საუღლე ვენებისა და საძილე არტერიის ობსტრუქცია. თანაც ეს ისეთი სიზუსტითაა ჩადენილი, რომ ამან სხეულის ზედა ნაწილის სრული პარალიზება გამოიწვია.

სავუა არაფერს პასუხობს, სასამართლო მედიკოსი კი გრძნობს, რომ ახლა ბაქიაობა და პროფესიული ტერმინოლოგიით თავის მოწონება არ ღირს. მას, როგორც ყოველთვის, საკუთარი თავი შეეცოდა. ყოველდღე სიკვდილთან აქვს საქმე, გვამების გარემოცვაში ცხოვრობს, გაუცინარ პოლიციელებთან ურთიერთობს... შვილები ამაოდ როდი ამჯობინებენ, არ გაამხილონ, სად მუშაობს მათი მამა; სადმე სტუმრობის დროსაც დუმს, რადგან ხალხს არ უყვარს პირქუშ თემებზე საუბარი, და უკვე მერამდენედ ეკითხება საკუთარ თავს, თავის დროზე პროფესიის არჩევაში ხომ არ შევცდიო.

- მოკლედ რომ ვთქვა, გოგონა დაახრჩეს.

სავუა ისევ დუმს, ცდილობს წარმოიდგინოს, როგორ შეიძლება ადამიანის დახრჩობა დღისით, მზისით, კრუაზეტის სანაპიროზე. მშობლებმა უამბეს, დილით გოგონამ სახლიდან გასაყიდი საქონელი წამოიღოო. საქონელი უკანონო ყოფილა, რადგან ქუჩის მოვაჭრენი გადასახადს არ იხდიდნენ და გაყიდვის უფლებაც არ ჰქონდათ, თუმცა ეს საქმეს არ ეხება.

- ამასთან ერთად, - განაგრძობს მედიკოსი, - არის ერთი უცნაურობაც. ეს ჩვეულებრივი დახრჩობა რომ ყოფილიყო, ორივე მხარეს კვალი დააჩნდებოდა იმის დამადასტურებლად, რომ ბოროტმოქმედი ახრჩობდა, მსხვერპლი კი წინააღმდეგობას უწევდა, ანუ იბრძოდნენ. ჩვენს შემთხვევაში კი მან ერთი ხელით, უფრო სწორად, თითებით გადაკეტა ტვინისთვის სისხლის მიმწოდებელი არტერია, მეორეთი კი მსხვერპლი დაადამბლავა. ასეთი მოქმედება დახვეწილ ტექნიკასა და ანატომიის შესანიშნავ ცოდნას მოითხოვს.

- შეიძლება სადმე სხვაგან მოკლეს და მერე იქ მიიტანეს, სადაც გამვლელებმა აღმოაჩინეს?

- ამ შემთხვევაშიც კვალი უნდა დარჩენილიყო. მე, უპირველესად, დალურჯებულ ადგილებს კოჭებსა და მაჯებზე დავუწყე ძებნა და ვერაფერი ვნახე. ეტყობა, არ უთრევიათ... მაგრამ არის მკვლელობის სხვა ნიშნებიც, მაგალითად, უნებლიე მოშარდვა...

- რას ნიშნავს ყოველივე ეს?

- იმას, რომ ოლივია სწორედ იქ მოკლეს, სადაც მოგვიანებით ნახეს, რომ მკვლელობა ერთმა კაცმა ჩაიდინა და გოგონა ამ კაცს იცნობდა, რადგან გაქცევა არ უცდია - ყოველ შემთხვევაში, ეს გამვლელებს არ დაუნახავთ. ნიშნავს იმასაც, რომ ის კაცი გოგონას მარცხნივ მჯდარა და სრულყოფილად ფლობს საბრძოლო ხელოვნების სპეციალურ ილეთებს.

სავუა თავის დაქნევით მადლობას უხდის და სწრაფად მიდის გასასვლელისკენ. გზადაგზა რეკავს განყოფილებაში, სადაც ოლივიას საყვარელი დაკითხვაზე ჰყავდათ.

- ნარკოტიკები დაივიწყეთ. თქვენს ხელთაა მკვლელი. ეცადეთ, ყველაფერი ათქმევინოთ, რაც საბრძოლო ხელოვნებაზე იცის. მოვდივარ, მალე მანდ ვიქნები.

- არა, ჰოსპიტალში წადი. ეტყობა, კიდევ ერთი პრობლემა გვაქვს, - პასუხობენ განყოფილებიდან.

1:28 PM

თოლიამ პლაჟს გადაუფრინა და უცებ დაბლა თაგვი დაინახა. სილაზე დაფრინდა და ჰკითხა:

- რა უყავი ფრთები?

ყოველი არსება საკუთარ ენაზე ლაპარაკობს და თაგვმა ვერაფერი გაუგო თოლიას, მაგრამ შენიშნა, რომ ამ არსებას გვერდებზე ორი უცნაური რაღაც ჰქონდა მიმაგრებული.

„ეტყობა რაღაც ავადმყოფობით იტანჯება“, - იფიქრა თაგვმა.

თოლიამ კი დაინახა თუ არა, რომ თაგვი ფრთებს უთვალიერებდა, თავისთვის თქვა:

„საცოდავი, ეტყობა, თავს რომელიმე ურჩხული დაეცა და უფრთებო და უტყვი გახადა“.

სიბრალულის გამო თაგვს ნისკარტი ჩაავლო და მასთან ერთად ცაში აიჭრა. ყოველ შემთხვევაში, სამშობლოზე დარდი შეუმსუბუქდებაო, ფიქრობდა თოლია, როცა ზღვის თავზე წრეებს ავლებდა. მერე კი ფრთხილად და მზრუნველად დასვა თაგვი სილაზე.

რამდენიმე თვის განმავლობაში ქვეყნიერებაზე არ არსებობდა თაგვზე უბედური არსება: მან ხომ შეიცნო ზეცის სივრცე, დაინახა უნაპირო და მშვენიერი სამყარო.

მაგრამ გავიდა დრო, ის კვლავ შეეჩვია თაგვურ მდგომარეობას და ფიქრობდა, ის სასწაული, რაც აქამდე მტანჯავდა, ალბათ, სიზმარში მომელანდაო.

ეს ამბავი ბავშვობაში მოუსმენია. ახლა თავად ისიც ზეცაშია, საიდანაც შეუძლია დაინახოს ფირუზისფერ-ლურჯი ზღვა, ქათქათა კატარღები, ჭიანჭველებისხელა ადამიანები, პლაჟზე გაჭიმული ტენტები, გორაკები, მარცხნივ ჰორიზონტის ხაზი, რომლის იქით, თავისი პრობლემებიანად, აფრიკაა გადაჭიმული.

მიწა სწრაფად ახლოვდებოდა. „ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ადამიანებს შემაღლებული ადგილიდან უნდა დახედო, მხოლოდ მაშინ შეძლებ მათ შეფასებას“, - ფიქრობდა იგი.

ევა კი შეწუხებული იყო ან რაღაცით გაღიზიანებული. ჰამიდი ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა ამ ქალის თავში, თუმცა ორ წელიწადზე მეტია, რაც ერთად იყვნენ. როგორც უნდა მოიწყინონ კანში ყოფნით, ვადაზე ადრე წასვლა შეუძლებელია: ევა უკვე უნდა მიჩვეულიყო, რომ მისი ახლანდელი ქმრის ცხოვრება ბევრად არ განსხვავდებოდა წინა ქმრის ცხოვრებისაგან. ესაა ვახშმები, რომელთა თავიდან არიდება შეუძლებელია, საღამოების მოწყობა, ქვეყნების, კონტინენტებისა და ენების მუდმივი ცვლა...

„საინტერესოა, ადრეც ასე იქცეოდა თუ გადამიყვარა?

აკრძალული აზრები მოიშორე თავიდან, სხვა რამეზე იფიქრე!“

ძრავის ხმაურის გამო ლაპარაკი მხოლოდ სასაუბრო მოწყობილობით შეიძლებოდა. მაგრამ ევას თავისი სავარძლის გვერდით განთავსებული სპეციალური ბუდიდან არ ამოუღია მიკროფონიანი ყურსასმენი. ჰამიდს რომც ეთხოვა გაკეთება, რათა მეათასედ ეთქვა, რომ მის ცხოვრებაში არავინაა მასზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი, სულერთია, ეს მაინც შეუძლებელი იქნებოდა, რადგან სისტემა ისეა მოწყობილი, რომ პილოტი მგზავრების საუბარს ისმენს, ევა კი ვერ იტანს სახალხოდ გულის გადაშლასა და საალერსო სიტყვებს.

მინის გამჭვირვალე, ერთი ციცქნა კაფსულა სულ მალე დაეშვება. უკვე შეიძლებოდა ქვემოთ გაერჩია კონცერნ Mercedes Benz-ის ყველაზე ძვირადღირებული და სრულყოფილი ქმნილება, ვეებერთელა თეთრი „მაიბახი“. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი მის მდიდრულ სალონში აღმოჩნდებიან, სადაც მომთენთავი მუსიკა ისმის, და თუ ღილაკს თითს დააჭერ, წინგამოწეულ ბარში შამპანური და მსოფლიოში საუკეთესო მინერალური წყალი დახვდებათ.

მან დაიხედა თავის უზუსტეს პლატინის საათზე - ერთ-ერთი ყველაზე უპირველესი მოდელის სერტიფიცირებულ ასლზე, რომელიც ქალაქ შაფჰაუზენის პატარა ქარხანაში იყო დამზადებული. ქალებისაგან განსხვავებით, რომელთაც აქვთ უფლება, მთელი ქონება ბრილიანტებში დახარჯონ, ერთადერთი ძვირფასეულობა, რაზეც შეიძლება კარგი გემოვნების მამაკაცი დათანხმდეს - არის საათი. მათი ჭეშმარიტი მნიშვნელობის დაფასება, ახლა მას მაჯაზე რომ უბრწყინავს და იშვიათად ჩნდება პოპულარული ჟურნალების რეკლამებში, მხოლოდ მცოდნეებს შეუძლიათ.

სხვათა შორის, ესაა ჭეშმარიტი დახვეწილობა - იცოდე, რომ ფლობ რაღაც ისეთს, რაზეც სხვები არათუ ოცნებობენ, გაგებითაც კი არაფერი გაეგებათ.

მალე ორი საათი გახდება, მან კი ნიუ-იორკის ბირჟის გახსნამდე დილერთან ლაპარაკი უნდა მოასწროს. მხოლოდ ერთხელ დარეკავს და სადღეისოდ ინსტრუქციას მისცემს. ფულის გამომუშავება „კაზინოში“ (როგორც უწოდა საინვესტიციო ფონდს), მისთვის არცთუ სასურველი საქმიანობაა, მაგრამ მაინც თავი ისე უნდა დაიჭიროს, თითქოს ყოველ ნაბიჯზე ყურადღებით ადევნებს თვალყურს მმართველებსა და ბროკერებს. ისინი შეიხის მეთვალყურეობისა და დაცვის ქვეშ იმყოფებიან, მაგრამ სულერთია. საჭიროა, აჩვენოს, რომ თვითონაც ყველაფრის საქმის კურსშია.

მაგრამ ის არც ერთ კონკრეტულ მითითებას არ მისცემს, რომელი აქციები უნდა იყიდონ, რომელი - გაყიდონ. მისი ენერგია სულ სხვა მხარესაა მიმართული: დღეს ორი მსახიობი - ერთი ცნობილი და მეორე ჯერჯერობით უცნობი - მისი დიზაინით შექმნილი სამოსით გამოვლენ წითელ ხალიჩაზე. რა თქმა უნდა, შეუძლია ყველაფერი თავის თანაშემწეებს დაავალოს, ისინიც მშვენივრად გაართმევენ თავს, მაგრამ მას სიამოვნებს ყველაფერში პირადად მიიღოს მონაწილეობა, თუნდაც იმიტომ, რომ საკუთარ თავს მუდმივად ახსენებდეს, არაფერია უმნიშვნელო ან ნაკლებ მნიშვნელოვანი, ერთი წამითაც არ უნდა დაკარგოს კავშირი იმ საფუძველთან, რაზეც მისი იმპერია აღმოცენდა. გარდა ამისა, აქ, საფრანგეთში აპირებს, ევასთან ერთად რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროს, გააცნოს საინტერესო ხალხი, ისეირნონ პლაჟზე, მეზობელ ქალაქში ისადილონ ყველასათვის უცნობ რესტორანში, ევასთან ხელიხელჩაკიდებულმა მოიაროს ვენახები - აი, სადაცაა, ისინიც გამოჩნდება ჰორიზონტზე.

მის საკმაოდ ვრცელ დონჟუანურ სიაში არცთუ ცოტა ყველასთვის სასურველი ქალი ირიცხებოდა. ევასთან შეხვედრამდე ფიქრობდა, რომ თავისი საქმიანობის გარდა შეუძლებელი იყო, სხვა რაიმეს გაეტაცა. ევასთან შეხვედრამ კი სხვა ადამიანად აქცია: ორი წელიწადია მასთან არის, მისი სიყვარული კი უფრო ძლიერდება.

ამის მსგავსი ადრე არაფერი განუცდია. ის, ჰამიდ ჰუსეინი, თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმული მოდელიორი, „ნათელი მხარე“ - ოღონდ არა მთვარის, არამედ სიმდიდრესა და ბრწყინვალებაზე სპეციალიზებული გიგანტური საერთაშორისო კორპორაციისა, იბრძოდა ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ, დაძლია ყველა ცრურწმენა, რასაც გარდუვალად წააწყდება აზიაში დაბადებული ადამიანი.

აღმოსავლელმა და მუსლიმანმა, შეძლო თავისი მოდგმის მრავალსაუკუნოვანი სიბრძნე იმისათვის გამოყენებინა, რომ გადარჩენილიყო, ესწავლა, გაემარჯვებინა და მწვერვალზე დაეკავებინა ადგილი. გავრცელებული ჭორების საწინააღმდეგოდ, ის არ არის მდიდარი ოჯახიდან და არავითარი კავშირი არა აქვს ნავთობთან. მამამისი ქსოვილებით ვაჭრობდა და ერთ მშვენიერ დღეს ვიღაც შეიხმა წყალობის თვალით შეხედა მხოლოდ იმიტომ, რომ ჰამიდმა შეიხის ბრძანების შესრულებაზე თქვა უარი.

და ახლა, როცა ძნელი არჩევანის წინაშე დგება ხოლმე, ის აუცილებლად იხსენებს ამ, ჯერ კიდევ ყრმობისდროინდელ გაკვეთილს - ხანდახან საჭიროა თქვა „არა“, თუნდაც ეს ძალზე სარისკო იყოს. აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ის სწორ გადაწყვეტილებას ღებულობდა. ხანდახან, იშვიათად, მარცხი თუ მოსვლია, შედეგი მოსალოდნელზე ნაკლებ სერიოზული აღმოჩენილა.

მამა ვერ მოესწრო, რა სიმაღლეებს მიაღწია მისმა შვილმა... როცა მდიდარმა შეიხმა მიწის შეძენა მოისურვა მამამისისგან, რათა უდაბნოში ქალაქი - ცივილიზაციის ნამდვილი სასწაული აეშენებინა, მამამისს ეყო ვაჟკაცობა, მისი მოციქულებისთვის ეპასუხა:

„არა, არ გავყიდი. ჩემი საგვარეულო აქ მრავალი საუკუნის მანძილზე ცხოვრობს. აქ არიან დაკრძალული ჩემი წინაპრები. აქ ვისწავლეთ თავის გადარჩენა, წინააღმდეგობას ვუწევდით დამპყრობლებსა და ქვიშის ქარიშხალს. ადგილი, რომელიც ღმერთმა საზრუნველად მოგვანდო, არ გაიყიდება“.

ჰამიდ ჰუსეინს ახსენდება, როგორ მოხდა ეს ამბავი.

მოციქულები ფასს უმატებდნენ. მამა მკაცრ უარზე იდგა. ფულით რომ ვერაფერს გახდნენ, გააფთრებულებმა, გადაწყვიტეს, ყველაფერზე წასულიყვნენ ამ თავისნათქვამას გასაგდებად. შეიხი მოთმინებას კარგავდა: მას თავისი გრანდიოზული პროექტის განხორციელების დაწყება ეჩქარებოდა, რადგან ნავთობს ყოველ წელიწადს ფასი ემატებოდა და მშენებლობა მანამდე უნდა დაეწყოთ, სანამ ბუნებრივი სიმდიდრე გამოილეოდა. მაგრამ რამდენი ფულიც არ შესთავაზეს მოხუც ჰუსეინს, ის მაინც უარზე იდგა. მაშინ შეიხი მიხვდა, რომ თვითონ უნდა მოლაპარაკებოდა.

- შემიძლია ყველაფერი მოგცე, რასაც მოისურვებ, - უთხრა ვაჭარს.

- რა გაეწყობა... ჩემს შვილს განათლება მიეცი. ის უკვე თექვსმეტი წლისაა და ამ მიყრუებულ ადგილას გზას ვერ გაიკაფავს.

- თანახმა ვარ. მაგრამ ამის სამაგიეროდ შენს სახლს მომყიდი.

კარგა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კი ჰამიდის მამამ პირდაპირ თვალებში შეხედა შეიხს და წარმოთქვა სიტყვები, რომლებსაც არავინ ელოდა:

- განათლების მიცემა თქვენი ქვეშევრდომისთვის თქვენივე ვალია. მე კი არ შემიძლია ჩემი ოჯახის მომავალი მის წარსულზე გავცვალო. თუკი ჩემს შვილს ამ ცხოვრებაში გამარჯვების მისაღწევად სულ პატარა შანსი მაინც მიეცემა, შენს წინადადებას მივიღებ.

ჰამიდს სამუდამოდ დაამახსოვრდა, რა უსაზღვრო სევდა ედგა თვალებში მამამისს ამ სიტყვების წარმოთქმისას.

შეიხს სიტყვა არ უთქვამს, ისე წავიდა. მეორე დღეს ვაჭარს შეუთვალა, შვილი მოსალაპარაკებლად მასთან გაეგზავნა. ჰამიდმა შეიხი ძველი პორტის მახლობლად აშენებულ სასახლეში ინახულა. რამდენიმე კვარტალი გიგანტურ სამშენებლო მოედნად იყო ქცეული, სადაც დღე და ღამე დუღდა მუშაობა.

შეიხი დაუყოვნებლივ გადავიდა საქმეზე:

- იცი, რომ მამაშენის სახლის ყიდვა მინდა. ჩვენი ნავთობის მარაგი იწურება და მანამდე, სანამ მიწიდან უკანასკნელ წვეთს ამოვქაჩავთ, უნდა ვიზრუნოთ, რომ ერთ რამეზე არ ვიყოთ დამოკიდებულნი, განვითარების სხვა გზაც უნდა მოვძებნოთ და მთელ მსოფლიოს ვუჩვენოთ, რომ მარტო ბუნებრივი რესურსის გაყიდვა არ შეგვიძლია, საამისოდ კი მნიშვნელოვანი გარდაქმნაა საჭირო - პირველი ნაბიჯის გადასადგმელად შეიძლება ავაშენოთ, მაგალითად, თანამედროვე აეროპორტი. ჩვენ გვჭირდება მიწა, რომელზეც უცხოელები ააგებენ თავიანთ შენობებს. ჩემი ოცნება წმინდაა, განზრახვა - სუფთა. ჩვენ დაგვჭირდება განათლებული, ფინანსური სამყაროს მცოდნე ხალხი. ჩემი და მამაშენის საუბარს ისმენდი?

ჰამიდი შეეცადა, შიში დაეფარა, რადგან ამ აუდიენციას კიდევ ათი კაცი ესწრებოდა. მაგრამ გუნებაში პასუხი უკვე მზად ჰქონდა მოსალოდნელ კითხვაზე. და აი, ეს კითხვაც გაისმა.

- რა გსურს რომ ისწავლო?

- თერძის საქმიანობა.

იქ მყოფმა ადამიანებმა ერთმანეთს გადახედეს. ალბათ იფიქრეს, შეიშალა ბიჭი, თვითონაც არ იცის რას როშავსო.

- დიახ, მინდა მაღალი მოდის ხელოვნების შესწავლა. ქსოვილის მნიშვნელოვან ნაწილს, რასაც უცხოელები მამაჩემისგან ყიდულობენ, მერე ისევ ჩვენზე ყიდიან და ასჯერ მეტ მოგებას ნახულობენ, რადგან მისგან მოდურ ტანსაცმელს კერავენ. დარწმუნებული ვარ, რომ შეგვიძლია ეს წარმოება აქვე მოვაწყოთ. მჯერა, მოდის წყალობით მოვახერხებთ და გავაბათილებთ მთელი დანარჩენი სამყაროს მიერ ჩვენზე შექმნილ ცუდ აზრს. როცა დაინახავენ, რომ ბარბაროსებივით არ ვიმოსებით, ჩვენდამი დამოკიდებულებას შეიცვლიან.

ხალხმა კვლავ ერთმანეთში ჩურჩული დაიწყო. ტანსაცმელი? მოდა? დაე, ამაზე დასავლელებმა იზრუნონ, ვინც არსზე მეტ მნიშვნელობას გარეგნობას ანიჭებს.

- მეორე მხრივ, მამაჩემი გაცილებით ბევრს გადაიხდის. ვამჯობინებ, მამაჩემი თავის სახლში დარჩეს. მისი ქსოვილებით ვიმუშავებ და შევძლებ, განვახორციელო ჩემი ოცნება, თუკი ყოვლად მოწყალე ალაჰიც ინებებს, რადგან მე, ისევე როგორც შენ, მბრძანებელო, ვიცი, სადაც უნდა მივიდე.

სასახლის ხალხი განცვიფრებული ათვალიერებდა თავხედ ახალგაზრდას, რომელმაც ძლევამოსილ შეიხს ურჩობა გაუბედა და მამის სურვილის წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ მბრძანებელს გაეღიმა და ჰკითხა:

- სად ასწავლიან მაგ ხელობას?

- საფრანგეთში, იტალიაში. დიდ ოსტატებთან. უნივერსიტეტშიც შეიძლება კურსების გავლა, მაგრამ პრაქტიკულ გამოცდილებას არაფერი შეედრება. ეს საქმე ძალიან ძნელია, მაგრამ დავეუფლები, თუკი ალაჰის ნებაც იქნება.

შეიხმა სთხოვა, სასახლეში რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნებულიყო. ჰამიდმა პორტს ჩაუარა, შეიარა ბაზარში და, როგორც ყოველთვის, განაცვიფრა საქონლის სიუხვემ და ნაირფეროვნებამ. გული ეკუმშებოდა იმის გახსენებაზე, რომ მალე ყველაფერი ეს გაქრებოდა, დავიწყებას მიეცემოდა წარსული და ტრადიციები, მაგრამ შეიძლება კი პროგრესის შეჩერება? ჭკვიანური იქნება ერის განვითარების შეფერხება?

გაახსენდა უძილო ღამეები, როცა სანთლის შუქზე ხატავდა კოსტიუმების ესკიზებს და ცდილობდა მათში ბედუინების ჩაცმულობის განუმეორებელი ხაზები შეენარჩუნებინა, აერიდებინა მისთვის ცივილიზაციის შემოსევა მთელი თავისი ამწეებითა და საინვესტიციო ფონდებით.

დანიშნულ საათზე სასახლეში იყო. შეიხს უფრო მრავალრიცხოვანი ამალა ეხვია გარს.

- ორი გადაწყვეტილება მივიღე, - თქვა შეიხმა, - პირველი: შენი სწავლის საფასურს მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებ. სწავლა ერთ წელიწადს გაგრძელდება. ჩვენთან ფინანსებით დაინტერესებული უამრავი ახალგაზრდა მოდის, მაგრამ პირველად ვხედავ ახალგაზრდას, რომელსაც მოდელიორობა სურს. ეს ახირებად მიმაჩნია, მაგრამ მე თვითონ ბევრჯერ მომისმენია, რომ ჩემი გეგმა სულელური და განუხორციელებელია, მიუხედავად ამისა, მაინც აქამდე მოვედი. ასე რომ, ჩემი განსასჯელნი არ არიან ისინი, ვინც გადაწყვიტა, ჩემს მაგალითს მიბაძონ.

ჩემს მრჩეველთაგან არავის ჰქონია საქმე იმ ხალხთან, ვინც დამისახელე. ამიტომ მცირე ხელფასს გადაგიხდი, რათა მათხოვრობა არ მოგიხდეს. იქ უნდა გაიმარჯვო და გახსოვდეს, რომ ჩვენს ქვეყანას წარმოადგენ - დაე, საზღვარგარეთ ჩვენი კულტურის პატივისცემას მიეჩვიონ... სანამ გაემგზავრებოდე, იქაური ენების შესწავლა მოგიწევს. სახელდობრ რომლის?

- ინგლისურის, ფრანგულისა და იტალიურის. მადლობელი ვარ დიდსულოვნებისთვის, მაგრამ მამაჩემის სურვილი...

შეიხმა ჟესტით უბრძანა, გაჩუმებულიყო.

- ჩემი მეორე გადაწყვეტილება ასეთია: მამაშენის სახლი ხელუხლებელი დარჩება. ეს ასე წარმომიდგენია - სახლი გარშემორტყმული იქნება ცათამბჯენებით, რომლებიც დაჩრდილავენ მას და, ბოლოს და ბოლოს, მამაშენი თვითონვე ამჯობინებს იქაურობის მიტოვებას. თუმცა, სახლი სამუდამოდ დაცული იქნება. მომავალში ხალხი გამიხსენებს და იტყვის: „ის დიდი ადამიანი იყო, რადგან გარდაქმნა თავისი ქვეყანა, და მართალიც იყო, რადგან პატივს სცემდა ქსოვილების უბრალო ვაჭრის უფლებებს“.

ვერტმფრენი მსუბუქად ეშვება აეროდრომზე და მოგონებები უკან რჩება. ჰამიდ ჰუსეინი პირველი გადმოდის, ევას ხელს უწვდის და ჩამოსვლაში ეხმარება. სიამაყით შესცქერის მთლად თეთრებში გამოწყობილ ოქროსფერთმიან ქალს, რომელსაც თავისუფალ ხელში ღია ჩალისფერი უბრალო, ელეგანტური შლაპა უჭირავს. ისინი მიუყვებიან ზოლს, რომლის ორივე მხარეს ღუზაზე მდგარი კატარღები ჩამწკრივებულან, და მიემართებიან ავტომობილისკენ, რომლის მძღოლს უკვე თავაზიანად გაუღია კარი.

ჰამიდმა, ისე, რომ ქალისთვის ხელი არ გაუშვია, ყურში ჩასჩურჩულა:

- ვიმედოვნებ, სადილი მოგეწონა. ჩვენ რამდენიმე მსხვილმა კოლექციონერმა მიგვიღო. სტუმრების განკარგულებაში ვერტმფრენის გადაცემა, მათი მხრივ, ძალიან კეთილშობილური საქციელია.

- ყველაფერი საუცხოო იყო.

სინამდვილეში ევას სურდა ეთქვა: „ეს აშკარა იყო. ოღონდ, მეშინია, ესემესი მივიღე და ვიცი, ვინც გამოგზავნა, თუმცა ნომერი გაურკვეველიაო“;

ისინი სხდებიან ავტომობილში, რომელიც თავისი უშველებელი ზომის მიუხედავად, მხოლოდ ორ მგზავრზეა გათვლილი. კონდიციონერი იდეალურ ტემპერატურას ინარჩუნებს; სტერეოსისტემის დინამიკებიდან დაბალი ხმით იღვრება მუსიკა, რომელიც საუკეთესოდ ესადაგება არსებულ მომენტს. ამ ჩაკეტილ სივრცეში გარედან არავითარი ხმა არ აღწევს. ჰამიდი მოხერხებულად ჯდება ტყავის სავარძელში, ხელს იწვდის წინგამოწეული ბარისკენ და ევას ეკითხება, ცივ შამპანურს ხომ არ გასინჯავს. არა, მინერალური წყალი მირჩევნიაო, პასუხობს იგი.

- გუშინ სავახშმოდ რომ მივდიოდით, სასტუმროს ბარში შენი ყოფილი ქმარი დავინახე.

- შეუძლებელია. იმას კანში არაფერი ესაქმება, - პასუხობს ევა, - თავისთვის კი ფიქრობს: „ალბათ მართალი ხარ, შეტყობინება მივიღე, ყველაფერს აჯობებს, პირველივე თვითმფრინავით წავიდეთ აქედან“.

- არა მგონია, სხვაში შემშლოდა.

ჰამიდი ხვდება, რომ ცოლს აღარ სურს საუბრის გაგრძელება. ის მიჩვეულია ადამიანის უფლებების პატივისცემას. მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი მისთვის ძვირფასია, და თავს აიძულებს, სხვა რამეზე იფიქროს.

ჰამიდი ნიუ-იორკიდან ტელეფონის ზარს პასუხობს. მოთმინებით ისმენს აგენტის მონაყოლს და ფრთხილად აწყვეტინებს მოხსენებას ბაზრის ტენდენციების შესახებ. ყოველივე ეს ორიოდე წუთს გრძელდება.

ამას კვლავ მოჰყვება საუბარი თავისი პირველი ფილმისთვის შერჩეულ რეჟისორთან; რეჟისორი მიდის იახტაზე, სადაც ვარსკვლავს უნდა შეხვდეს. დიახ, გოგონა იპოვეს, მრავალი პრეტენდენტიდან შეარჩიეს და ორი საათისთვის მოიყვანენ.

ჰამიდი ევასკენ ბრუნდება, მაგრამ ის კვლავინდებურად გულჩათხრობილი და გაუცხოებულია, მზერა სივრცისთვის მიუპყრია და ვერაფერს ხედავს, რაც ლიმუზინის მინების გარეთ მიქრის. შეიძლება ის ადარდებს, რომ სასტუმროში სწრაფად მოუწევს ტანსაცმლის გამოცვლა და არცთუ ცნობილი ბელგიელი მოდელიორის დეფილეზე წასვლა. ჰამიდს სურს, საკუთარი თვალით ნახოს ის აფრიკელი მოდელი ჟასმინი, რომელიც, მრჩეველთა თქმით, მისი ახალი კოლექციისთვის იდეალური სახე იქნება.

იმაშიც არწმუნებდნენ, რომ ჟასმინი ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი იქნება მაღალი მოდის კვირეულზე, რომელიც ოქტომბერში პარიზში გაიხსნებაო.

ევას ისევ მანქანის მინისთვის მიეშტერებინა თვალი. მან უკვე მოასწრო გვერდით მჯდომი ელეგანტური ბატონის შესწავლა და იცის, მიუხედავად რბილი მანერებისა, ის ყოველ წამს მზადაა მოქმედებისა და შეტევისათვის. ისიც იცის, რომ ამ კაცისთვის სასურველია, ისე, როგორც არც ერთი ქალი არ ყოფილა მამაკაცისთვის სასურველი... თუ არ ჩავთვლით ევას ქმარყოფილს, რომელიც თვითონ მიატოვა. იცის, რომ შეუძლია, სავსებით ენდოს, თუმცა მუდმივად ქვეყნად ულამაზესი ქალებითაა გარემოცული. იცის, რომ პატიოსანი, შრომისმოყვარე და გაბედულია. გადალახა მრავალი დაბრკოლება, სანამ ამ მანქანის სავარძელზე აღმოჩნდებოდა და თავის თანამგზავრს შამპანურს ან მის საყვარელ მინერალურ წყალს შესთავაზებდა. ის თითქმის ყოვლისშემძლეა და ძალა შესწევს დაიცვას იგი, შეუძლია, აარიდოს ყოველგვარი საფრთხე - ერთი ყველაზე მრისხანე საფრთხის გარდა.

ამ საფრთხეს ყოფილი ქმრის მხრიდან მოელის.

ევას არ სურს, ეჭვები აღუძრას ქმარს და ხელახლა წაიკითხოს თავისი ტელეფონის ეკრანზე მოციმციმე შეტყობინება, თანაც უკვე ზეპირად იცის ესემესის ტექსტი: „შენი გულისთვის, კატიუშა, სამყარო გავანადგურე“.

ევა ვერ ხვდება, რას ნიშნავს ეს, მაგრამ ამქვეყნად მხოლოდ ერთ ადამიანს შეუძლია მისი ამ სახელით მოხსენიება“.

ევამ აიძულა თავი, ჰამიდი შეჰყვარებოდა, თუმცა უკვე ვეღარ იტანს თავისი ცხოვრების წესს: ვერ იტანს საღამოებს, რომლებზე დასწრებაც ევალება, ადამიანებს, ვისთანაც უნდა იურთიერთოს. ძნელია იმის თქმა, რამდენად კარგად ახერხებს ამას - ხანდახან ისეთი შავბნელი აზრები მოსდის, თვითმკვლელობაზეც კი უფიქრია, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად იცის: ჰამიდი მხსნელად მოევლინა, დასახმარებლად იმ დროს გამოჩნდა, როცა ფიქრობდა, რომ ყველაფერი სამუდამოდ იყო დაღუპული და აღარ შეეძლო თავის დაღწევა იმ ხაფანგისგან, რომელშიც ქორწინებამ გააბა.

მრავალი წლის წინათ ევას ანგელოზი შეუყვარდა. მას მძიმე და უსიხარულო ბავშვობა ჰქონდა. შემდეგ მსახურობდა საბჭოთა არმიაში და ავღანეთის უაზრო ომში, საიდანაც განადგურებული ჩამოვიდა. მიუხედავად ამისა, მან ყველაფერი დაძლია. თავდაუზოგავად მუშაობდა, სიცოცხლეს რისკავდა, ბნელი, და ამასთან, საშიში ადამიანებისაგან იღებდა ვალს, მერე კი ღამეები არ ეძინა, თავს იმტვრევდა, როგორ გაესტუმრებინა იგი. ემორჩილებოდა კორუფციულ სისტემას და მუდამ ქრთამავდა ჩინოვნიკს, როდესაც ლიცენზიის განახლება სჭირდებოდა. ბუნებით იდეალისტი, დღისით მომთხოვნი, მკაცრი უფროსი იყო; სამხედრო სკოლის წყალობით, სუბორდინაცია და დისციპლინა გამჯდარი ჰქონდა ხასიათში. ღამით ევას ეხვეოდა და მის მკერდზე შვებასა და დაცვას ეძებდა, სთხოვდა, ელოცა, რათა ყველაფერი კარგად წასვლოდა, რომ ყოველდღიურად დადარაჯებული უთვალავი მახისგან დაეღწია თავი. ევაც ჰპირდებოდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, რადგან ის კარგი ადამიანი იყო, უფალი კი მუდამ მიაგებს მართალთ.

თანდათანობით უსიამოვნება წარმატებით შეიცვალა. პატარა საქმემ, რომლისთვისაც ფული ძლივს შეაგროვა, უცებ ზრდა და განვითარება დაიწყო - ის ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან ადამიანთა შორის, რომელმაც გადაწყვიტა, ინვესტიცია ჩაედო ამ სარისკო სფეროში და სწამდა, რომ შეიძლებოდა წარმატებისთვის მიეღწია, ვინაიდან ქვეყანაში კომუნიკაციის სისტემა უიმედოდ იყო მოძველებული. შეიცვალა ხელისუფლება, იკლო კორუფციამ. საქმემ მოგება მოუტანა. წამოვიდა ფული - თავიდან ნელ-ნელა, მერე - დიდძალი, დაუჯერებელი რაოდენობით. მაგრამ მაშინაც კი მას და ევას ახსოვდათ, რა სიძნელეების გადატანა მოუხდათ და ტყუილუბრალოდ კაპიკსაც არ ხარჯავდნენ: გულუხვად სწირავდნენ, ქველმოქმედებდნენ, მხარს უჭერდნენ ვეტერანთა ორგანიზაციას, ჩაცმა-დახურვით თავს არ იწონებდნენ და იმ დღეზე ოცნებობდნენ, როცა შეძლებდნენ საქმიდან ჩამოშორებას და განმარტოებით, მოუსვენარი ყოფისაგან მოშორებით დასახლდებოდნენ. და როცა ეს მოხდებოდა, დაივიწყებდნენ იმ დროს, როცა საქმეს იჭერდნენ ისეთ ადამიანებთან, ვისაც წარმოდგენაც არ ჰქონდა ზნეობასა და ღირსებაზე. ჯერჯერობით კი, დღეში თვრამეტ საათს მუშაობდნენ, უმეტეს დროს აეროპორტებში, თვითმფრინავებსა და სასტუმროებში ატარებდნენ და მთელი ამ წლების მანძილზე ერთი თვეც ვერ გამონახეს ერთდროული შვებულებისთვის.

მაგრამ ორივე ერთსა და იმავე ოცნებას ელოლიავებოდა. დადგებოდა დღე, როცა მათი ცხოვრების დაძაბული რიტმი შორეულ მოგონებად იქცეოდა და ისინი, როგორც საბრძოლო ჯილდოებით, ისე იამაყებდნენ ნაიარევებითა და ნაჭრილობევებით, რომლებიც ამ ოცნების ასრულებისა და თავიანთი იდეის ერთგულებისათვის ექნებოდათ მიღებული. ვინაიდან ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, ამ ქვეყანას იმისთვის ევლინება, რომ უყვარდეს, და ცხოვრობდეს მასთან, ვინც უყვარს.

საქმე დღითიდღე ხალისიანად მიდიოდა: მათ ხვეწნა-მუდარით აღარ უხდებოდათ ვინმეს კონტრაქტზე დაყოლიება, ისინი თითქოს თავისთავად გახდნენ ცნობილნი. გავლენიანი ჟურნალი აქვეყნებდა მის ქმართან ინტერვიუს, ჟურნალის გარეკანზე ათავსებდნენ მის სურათს, ამას მოჰყვა უამრავ პრეზენტაციასა და დღესასწაულზე მიწვევა. მათ განსაკუთრებული თავაზიანობით ხვდებოდნენ - როგორც გვირგვინოსნებს, ფული კი მატულობდა და მატულობდა. საჭირო იყო ახალი გარემოების შესაფერისად მოეწყოთ ცხოვრება და მოსკოვის ცენტრში იყიდეს ახალი, კომფორტული ბინა. ყოფილი საქმიანი პარტნიორები - ისინი, ვინც ოდესღაც არარეალურად დიდი პროცენტით ასესხებდნენ ფულს - ერთიმეორის მიყოლებით ციხეში აღმოჩნდნენ. რატომ? ევამ არ იცოდა და არც სურდა სცოდნოდა. რაღაც დროიდან იგორმა პირადი მცველებიც გაიჩინა. პირველ ხანებში მცველები, რომლებიც ოდესღაც მასთან ერთად იბრძოდნენ ავღანეთში, ორნი იყვნენ, მერე და მერე მათი რიცხვი პატარა კომპანიის ასტრონომიულბიუჯეტიან, გიგანტურ კორპორაციად ჩამოყალიბების პარალელურად იზრდებოდა.

ევა მთელ დროს მოგზაურობაში, მაღაზიებში სიარულსა და მეგობრებთან ჩაის სმაში ატარებდა, სადაც სასაუბრო თემა მუდამ ერთი და იგივე იყო. იგორს კი მიღწეული ეცოტავებოდა. მას სულ უფრო და უფრო მეტი უნდოდა და ეს საკვირველი სულაც არ იყო: მან ხომ განსაკუთრებული პატივმოყვარეობისა და სიჯიუტის წყალობით, დაუღალავი შრომით მიაღწია ყოველივე ამას. და როცა ევა ეუბნებოდა, დასახულ ზღვარს უკვე გადასცდი და ხომ არ დადგა დრო, შეჩერდე და დიდი ხნის ოცნება ავისრულოთ, მხოლოდ ერთმანეთის სიყვარულით ვიცხოვროთო, იგორი სთხოვდა, ცოტა დრო კიდევ მიეცა. აი, სწორედ მაშინ დაიწყო ევამ სმა. ერთ საღამოს, მეგობრებთან ვახშმობის მერე შინ დაბრუნებულმა, თავი ვეღარ შეიკავა და აიწყვიტა: უთხრა, რომ აღარ შეეძლო ამ ფუყე ცხოვრების ატანა და თუ დაუყოვნებლივ არაფერს იღონებდა, ჭკუიდან შეიშლებოდა. იგორმა ჰკითხა:

- უკმაყოფილო ხარ იმით, რაც გაქვს?

- მე კი კმაყოფილი ვარ, მაგრამ შენ - არა და სწორედ ეგაა საქმე. შენ კმაყოფილი არასდროს იქნები, და იმის შიშით, არ დაკარგო, რაც მოიპოვე, შენი თავის რწმენას კარგავ. გამარჯვებას რომ აღწევ, ბრძოლის მიტოვება გენანება. ბოლოს და ბოლოს, თავს გაინადგურებ, მანამდე კი ჩვენს ქორწინებას და ჩემს სიყვარულს გაანადგურებ.

ევა პირველად არ ეუბნებოდა ყოველივე ამას. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ, ერთმანეთთან გულახდილები ყოფილიყვნენ, მაგრამ ამჯერად ევა გრძნობდა, რომ მეტის მოთმენა აღარ შეეძლო; მობეზრდა საყიდლებზე სიარული, მეგობრებთან ჩაის სმა, ტელევიზორის ყურება და ლოდინი, როდის დაბრუნდებოდა იგორი სამუშაოდან.

- ნუ ამბობ, რომ ჩვენს სიყვარულს ვანადგურებ. ცოტაც მოიცადე: გპირდები, რომ სულ მალე ყველაფერი უკან დარჩება. მესმის, რომ ცხოვრება ჯოჯოხეთად გექცა და ეგებ დადგა დრო, რამეს მოჰკიდო ხელი, რაღაც შეცვალო. რის გაკეთებას ისურვებდი? ვფიქრობ, ესაა გამოსავალი.

- ყოველთვის ვოცნებობდი, მოდის ინდუსტრიაში მემუშავა.

ქმარმაც დაუყოვნებლივ შეუსრულა ოცნება. მეორე კვირასვე გადასცა მოსკოვის საუკეთესო სავაჭრო გალერეის მახლობლად მდებარე ბუტიკის გასაღები. ევა ზეიმობდა - მის ცხოვრებას აზრი მიეცა, გაურკვეველი მოლოდინით აღსავსე გაწელილი დღეები და ღამეები წარსულში დარჩა. იგორმა ცოლის საქმეში იმდენი ჩადო, რამდენიც საჭირო იყო იმისთვის, რომ მას დამსახურებული წარმატებისთვის მიეღწია.

ბანკეტებმა და საღამოებმა, სადაც ადრე გაუცხოებულად გრძნობდა თავს, ახლა უკვე დააინტერესა ევა. იქ გაბმული ნაცნობობის წყალობით, ორი წლის შემდეგ მისი ბუტიკი ყველაზე პრესტიჟულ და მოდურ Haute Couture-დ იქცა. თუმცა მას და იგორს საერთო ფული ჰქონდათ და იგორი არასოდეს ეკითხებოდა, რამდენი დახარჯეო, ევას უნდოდა, ქმრისთვის „ვალი“ დაებრუნებინა. ახლა ის უკვე მარტო მოგზაურობდა მთელ მსოფლიოში. თვითონ იყვანდა და ათავისუფლებდა თანამშრომლებს, ცდილობდა, გარკვეულიყო ბუღალტერიის წვრილმანებში და, თავისდა უზომოდ გასაკვირად, სულ მალე ნამდვილ ბიზნეს-ლედიდ გადაიქცა.

იგორმა ასწავლა ყველაფერი. იგორი მისთვის ხატებად და მისაბაძ მაგალითად იქცა.

და აი, როცა თითქოს ყველაფერი მოგვარდა და მისმა ცხოვრებამ აზრი შეიძინა, მისი გზის მანათობელმა ანგელოზმა მერყეობის ნიშნები გამოავლინა.

ბაიკალის სანაპიროზე, მეთევზეთა სოფელში უიკენდს ატარებდნენ. ირკუტსკის ერთ-ერთ რესტორანში ისხდნენ. ამ დროისთვის კომპანიას უკვე ჰყავდა ორი საკუთარი თვითმფრინავი და ვერტმფრენი და ცოლ-ქმარს შეეძლო, დასვენების დღეებში სადაც სურდათ, იქ გაფრენილიყვნენ, ორშაბათს დაბრუნებულიყვნენ მოსკოვში და ყველაფერი ისევ თავიდან დაეწყოთ. არც იგორი და არც ევა არ ჩიოდნენ, რომ ერთად თანდათან ნაკლებ დროს ატარებდნენ, მაგრამ აშკარა იყო, მრავალი წლის ბრძოლა ამაოდ არ ჩაივლიდა და თავს იჩენდა. მიუხედავად ამისა, ორივემ იცოდა: მათი სიყვარული ამქვეყნად ყველაზე ძლიერი იყო და სანამ ერთად იყვნენ, არაფერი ემუქრებოდათ.

რესტორანში სანთლებზე ვახშმობისას უცებ ჩამოძონძილი და მთვრალი მათხოვარი გამოჩნდა. ის პირდაპირ მათკენ წამოვიდა და მათ მაგიდას მიუჯდა. აშკარად საუბრის გაბმა და მათი ფასდაუდებელი განმარტოების დარღვევა სურდა. მეპატრონემ მათხოვრის გაგდება სცადა, მაგრამ იგორმა შეაჩერა, უთხრა, რომ თვითონ მიხედავდა. მათხოვარმა სტაცა ხელი არყის ბოთლს და მოიყუდა, მერე კი ცხოვრებასა და ხელისუფლებაზე ჩივილს მოჰყვა. „ვინ ხართ, საიდან გაქვთ ამდენი ფული, როცა ირგვლივ ყველა შიმშილობს?“ - კითხულობდა ის.

იგორი რამდენიმე წუთს ჩუმად უსმენდა, მერე ხელი მოჰკიდა მათხოვარს და სუფთა ჰაერზე გაიყვანა. შესასვლელში იგორს ორი მცველი ელოდა. ევამ ფანჯრიდან დაინახა, როგორ გამოელაპარაკა მათ ორიოდე სიტყვით, ეტყობა, უთხრა, ჩემს ცოლს მიხედეთო, და მათხოვართან ერთად კუთხეში გაუჩინარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკან მობრუნებულმა ღიმილით თქვა:

- ამის მერე ველარავის აუხირდება.

ქმრის თვალების გამომეტყველებით, ევა მიხვდა, რომ მას რაღაც ძალიან უხაროდა, უბრალოდ, ბედნიერი იყო - თანაც იმაზე უფრო მეტად, ვიდრე ევასთან ერთად გატარებულ ორ დღე-ღამეს.

- რა უყავი?

იგორმა კიდევ შეუკვეთა არაყი. ისინი საღამოს დასრულებამდე სვამდნენ - იგორი მხიარულობდა, ევა კი ცდილობდა გაეგო, როგორ მოექცა მისი ქმარი მათხოვარს: შეიძლება ფული მისცა - ის ხომ ყოველთვის გულუხვი იყო მათ მიმართ, ვისაც ბედი არ სწყალობს.

მხოლოდ მაშინ, თავიანთ ნომერში რომ ავიდნენ, იგორმა სასხვათაშორისოდ თქვა:

- ეს ჯერ კიდევ სიყმაწვილეში ვისწავლე, როცა უსამართლო ომში აღმოვჩნდი და ვიბრძოდი იდეალებისთვის, რისაც არ მწამდა - სიღარიბეს ერთხელ და სამუდამოდ შეიძლება მოუღო ბოლო.

არა, ჰამიდს ნამდვილად შეეშალა - არ შეიძლება, იგორი აქ იყოს. მათ ერთმანეთი მხოლოდ ერთხელ ნახეს, როცა იგორმა მათი ლონდონური ბინის მისამართი შეიტყო, მოვიდა, რათა ევა მუდარით დაებრუნებინა, მაგრამ ჰამიდმა სახლში არ შეუშვა და პოლიციის გამოძახებით დაემუქრა. ამის შემდეგ თავის ტკივილის მომიზეზებით ევა მთელი კვირა შინიდან აღარ გამოდიოდა. მან უკვე დანამდვილებით იცოდა, რომ ნათელი ანგელოზი აბსოლუტურ ბოროტებად იქცა.

ევა ხელახლა კითხულობს შეტყობინებას.

„კატიუშა“ - ამქვეყნად მხოლოდ ერთ ადამიანს შეუძლია მისი ასე მოხსენიება; ადამიანს, რომელიც ცხოვრობს მის წარსულში და აუტანელს ხდის მის აწმყოს.

როგორადაც უნდა ყოფილიყო დაცული, დაშორებული და რა სამყაროშიც უნდა ეცხოვრა, ევა დარწმუნებული მაინც ვერ იქნებოდა, რომ იგორს იქ ხელი არ მიუწვდებოდა.

ირკუტსკიდან დაბრუნებული სწორედ ეს ადამიანი, თითქოს მხრებიდან აუტანელი ტვირთი მოხსნოდა, უფრო თავისუფლად და გულღიად მოუთხრობდა ცოლს, რა შავბნელი ფიქრები უვსებდა სულს.

„არავის შეუძლია, გაბედოს და ჩვენს სიახლოვეს დაემუქროს. ჩვენ საკმარისი დრო დავხარჯეთ საიმისოდ, რათა უფრო სამართლიანი და ჰუმანური საზოგადოება შეგვექმნა. და ის, ვინც პატივს არა სცემს ჩვენს თავისუფლებას, უნდა განიკვეთოს - თანაც ისე, რომ უკან დაბრუნება ვეღარ შეძლოს“.

ევას ეშინოდა ეკითხა, რას ნიშნავს ეს „ისე“. ის მუდამ ფიქრობდა, რომ ქმარს იცნობდა, მაგრამ ბოლო ხანებში უფრო და უფრო ხშირად ეჩვენებოდა, რომ იგორში იღვიძებდა მთვლემარე ვულკანი, რომლისგანაც ყოველმხრივ იფრქვეოდა გამანადგურებელი ტალღები. ევას გაახსენდა მათი ღამეული საუბრები, როცა გამოუტყდა: იმისათვის, რომ ავღანეთში თავი გადაერჩინა, ადამიანების დახოცვა უწევდა და არასდროს შეუმჩნევია ქმრისთვის სინანული ან დანაშაულის გრძნობა. „გადავრჩი და მთავარიც ეგაა. შეიძლება მზიან შუადღეს, ან განთიადისას, დათოვლილი მთების კალთებზე, ანდა ღამით, კარავში კარტის თამაშისას მოვმკვდარიყავი და სამყაროში ამით არაფერი შეიცვლებოდა, უბრალოდ, კიდევ ერთი ერთეული მიემატებოდა დანაკარგთა ჩამონათვალს, და კიდევ ერთ ორდენს გადასცემდნენ ჩემს ოჯახს. მაგრამ უფალი დამეხმარა - ყოველთვის დროულად ვასწრებდი რეაგირებას, და უსაშინლეს განსაცდელგამოვლილს ბედმა ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საჩუქარი მიბოძა - წარმატება საქმეში და ქალი, რომელიც მიყვარს“.

მაგრამ ერთია „დროული რეაგირება“ და სულ სხვა რამაა მათი ვახშმობის ხელისშემშლელი მთვრალი მათხოვრის „სამუდამოდ განკვეთა“. მის გაგდებას ხომ სულ იოლად მოახერხებდა რესტორნის მეპატრონე. ყველაფერი ის, რაც მოხდა, ევას თავიდან ვერ მოეშორებინა; ჩვეულებრივზე ადრე მიდიოდა თავის ბუტიკში, დაბრუნების შემდეგ კი გვიანობამდე უჯდა კომპიუტერს. ცდილობდა, თავი აერიდებინა კითხვისთვის, და რამდენიმე თვის მანძილზე თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის წყალობით - მოგზაურობებით, ფესტივალებით, ვახშმებით, შეხვედრებით, საქველმოქმედო აქციებით - თავის ხელში აყვანა შეძლო. ის კი არა, თავი დაირწმუნა, რომ ირკუტსკში ნათქვამი სიტყვა არასწორად გაიგო და თავს ლანძღავდა, ასე ზერელედ რომ განსჯიდა ქმარს.

გარკვეული დროის მანძილზე ამ კითხვამ მნიშვნელობა დაკარგა - მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ ცოლ-ქმარი მილანის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში ოფიციალურ ვახშამზე აღმოჩნდებოდა, რომელიც საქველმოქმედო აუქციონში გადაიზარდა. ევა და იგორი აქ თავიანთ საქმეებზე ჩავიდნენ. იგორს ხელშეკრულების რაღაც წვრილმანები

უნდა შეეთანხმებინა იტალიურ ფირმასთან, ევა კი მოდის კვირეულზე თავისი მოსკოვური ბუტიკისათვის რაღაც-რაღაცების შეძენას აპირებდა.

და ციმბირში მომხდარი ამბავი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ ქალაქში განმეორდა. ამჯერად მათი უკვე კარგად შეზარხოშებული მეგობარი მიუჯდა დაუკითხავად მათ მაგიდას და საეჭვო, ორაზროვანი ხუმრობებისა და ანეკდოტების მოყოლა დაიწყო. ევამ დაინახა, იგორმა როგორ მომუჭა მუშტები და ნაძალადევი თავაზიანობით სთხოვა მეგობარს, წასულიყო. მანამდე ევას უკვე დალეული ჰქონდა რამდენიმე ბოკალი Asti Martini Spumante, რომელსაც იტალიელები თეთრ ღვინოს უწოდებენ და რომელიც არც გემოთი და არც დამზადების წესით არ განსხვავდება შამპანურისგან, მაგრამ, ევროპული კანონის მიხედვით, არა აქვს უფლება ამ სახელს ატარებდეს, რადგან შამპანის ვენახებში არ არის წარმოებული. სანამ ბრენდსა და მის კანონებზე საუბრობდნენ, ევა ცდილობდა, თავიდან მოეშორებინა კითხვა, რომელიც რაღაც დროის მანძილზე გადაავიწყდა, ახლა კი მთელი ძალით გაახსენა თავი. დადგა წამი, როცა ევამ უკვე ვეღარ მოითმინა:

- რა არის ამაში გასაგიჟებელი, თუ ადამიანმა ცოტა ტაქტის გრძნობა დაკარგა და შემაწუხებელი გახდა?

- ჩვენ ერთად იშვიათად ვართ, - სულ სხვა კილოთი უპასუხა იგორმა, - მე, ცხადია, მუდამ ვფიქრობ სამყაროზე, სადაც ვცხოვრობთ, მეცნიერების უფრო მეტად მწამს, ვიდრე სულიერი ღირებულებების, ჩვენს სულს იმით ვკვებავთ, რასაც თავს გვახვევს საზოგადოება, თავად კი ამასობაში თანდათანობით ვკვდებით, რადგან ვაცნობიერებთ, რომ გვაიძულებენ ვაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც არა გვსურს, მაგრამ მაინც ვაკეთებთ, რადგან ძალა არ შეგვწევს მივატოვოთ ყველაფერი და ჩვენი დღეები და ღამეები ჭეშმარიტ ბედნიერებას - ოჯახს, ბუნებას, სიყვარულს მივუძღვნათ... რატომ? იმიტომ, რომ უნდა დავასრულოთ დაწყებული საქმე; იმიტომაც, რომ პასუხისმგებლობა გვაკისრია. ვიცი, გგონია, მეტისმეტად ბევრს ვმუშაობ. არა - ვმუშაობ სწორედ იმდენს, რამდენიც ჩვენი მომავლის უზრუნველყოფისთვისაა საჭირო. ძალიან მალე მოვიპოვებთ ოცნების თავისუფლებას და ჩვენი ოცნებაც ასრულდება.

სწორედაც რომ ფინანსურ სტაბილურობას ფლობდა ცოლ-ქმარი, ვალები არ ჰქონდათ და შეეძლოთ, როცა სურდათ, მაშინ ამდგარიყვნენ მაგიდიდან, მიეტოვებინათ იგორისათვის ასე საძულველი სამყარო და ყველაფერი თავიდან დაეწყოთ. ისინი ხშირად საუბრობდნენ ამაზე, მაგრამ იგორი გამუდმებით ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ცოტა ხანს მაცადე“.

მაგრამ ახლა მომავლის განსჯის დრო არ იყო.

- უფალმა ყველაფერი მოიფიქრა, - განაგრძობდა იგორი, - და ჩვენ ერთად ვართ, იმიტომ, რომ ასეთი იყო მისი ნება. არ ვიცი, მივაღწევდი თუ არა იმას, რასაც

მივაღწიე, შენ რომ არ ყოფილიყავი... თუმცა თავადაც ვერ ვაცნობიერებ, რამდენად მნიშვნელოვანი ხარ ჩემთვის. უფალმა შეგვახვედრა ერთმანეთს და მიბოძა მცირეოდენი თავისი ძალიდან, რათა დაგიცვა და გაგიფრთხილდე. ეს მან შთამაგონა, რომ ამქვეყნად ყველაფერი გარკვეულ ჩანაფიქრს ექვემდებარება და მოვალე ვარ, უსიტყვოდ დავემორჩილო და შევასრულო თითოეული მცნება. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ქაბულთან მომკლავდნენ, ანდა ახლა მოსკოვში ვიმათხოვრებდი.

- იმ მათხოვარს, ირკუტსკში, რა დაემართა?

იგორი თავიდან ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა, და ევამ რესტორნის ეპიზოდი გაახსენა.

- მინდა ვიცოდე, შემდეგ რა მოხდა.

- მე იგი ვიხსენი.

ევამ შვებით ამოისუნთქა.

- ვიხსენი საზიზღარი, უღიმღამო ცხოვრებისგან... ზამთრის ყინვისგან, ალკოჰოლისგან, რაც ნელ-ნელა გაუნადგურებდა ტვინსა და სხეულს. ვიხსენი, რადგან ჩვენი ბედნიერების დასარღვევად რესტორანში რომ შემოვიდა, მივხვდი, ეშმაკი დაპატრონებოდა.

ევას გული გადაუტრიალდა.

- უშენოდ არ ვარსებობ. და თუკი რამე ანდა ვინმე ეცდება ჩვენს დაშორებას, ან იმ მოკლე წუთის ჩაშხამებას, რომლის ერთად გატარებაც გვიწევს, დამსახურებულად მიიღებს.

ალბათ, უნდოდა ეთქვა, გავანადგურებო. ნუთუ ეს ადრეც ხდებოდა, მან კი არაფერი იცოდა ან ვერ ამჩნევდა? ევა სმას მიეძალა. იგორმა კი დაწყებული საუბარი განაგრძო.

- ჩვენ ერთ ენაზე ვსაუბრობთ, სამყაროს ერთნაირად ვუყურებთ. ვავსებთ ერთმანეთს, რაც მხოლოდ მათ ხვდომიათ წილად, ვინც სიყვარულს ყველაზე მაღლა აყენებს. გიმეორებ, უშენოდ არ ვარსებობ.

შეხედე ჩვენ ირგვლივ სუპერკლასს, რომელიც თავს მნიშვნელოვნად მიიჩნევს და თავისი სოციალური პასუხისმგებლობის შეცნობის გამო, უზარმაზარ ფულს ხარჯავს საქველმოქმედო ბაზარზე, რომელიც ხან რუანდის ლტოლვილებისთვის ფულის შესაგროვებლად ეწყობა, ხან ჩინური პანდის შესანარჩუნებლად. მათთვის პანდები და მოშიმშილენი ერთნი არიან და ამ შეკრებაზე თავშეყრილ ადამიანებს თავი უმაღლესი წესრიგის არსებებად მიაჩნიათ, ვინაიდან რაღაც სასარგებლო საქმიანობას სჩადიან; ყოფილან თუ არა ისინი ომში? - ისინი მხოლოდ აღვივებენ ომს, მაგრამ არ იბრძვიან. თუ გაიმარჯვეს, მთელი დიდება წილად მათ ხვდებათ, თუ არა და - დამნაშავენი სხვები იქნებიან. მათ უყვართ საკუთარი თავი...

- ძვირფასო, მინდა გკითხო...

ამ დროს ესტრადაზე ავიდა წამყვანი, მადლობა გადაუხადა დამსწრეებს მობრძანებისთვის და ამ საღამოს აფრიკელ ლტოლვილთა ბანაკის მედიკამენტებისთვის შევაგროვებთ ფულსო, გამოაცხადა.

- იცი თუ არა, ეს წამყვანი რას მალავს? - იკითხა იგორმა, - არ ამბობს იმას, რომ ამ შემოწირულობიდან მხოლოდ ათი პროცენტი მიაღწევს მიზანს. დანარჩენი ამ საღამოს ხარჯების ანაზღაურებას მოხმარდება - დარბაზის იჯარას, ვახშამს, და იმათ ჰონორარს, ვისაც ეს ბრწყინვალე იდეა დაებადა. ისინი სიღარიბეს თავიანთ გასამდიდრებლად იყენებენ.

- მაშინ აქ რა გვინდა?

- ჩვენთვის საჭიროა აქ ყოფნა. ეს ჩემი სამუშაოს ნაწილია. ცხოვრებაში ყველაზე ნაკლებად რაც მსურს, რუანდას გადარჩენა და აფრიკელი ლტოლვილებისთვის წამლების გაგზავნაა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს მე შეგნებული მაქვს, დანარჩენი სტუმრები კი ფულს მხოლოდ იმიტომ ხარჯავენ, რომ სინდისთან სუფთანი იყვნენ და სულიერი შვება იგრძნონ. რუანდაში სამოქალაქო ომი რომ ატყდა, მეგობრებისგან შევადგინე პატარა რაზმი, რომელმაც ორი ათასამდე ადამიანი გადაარჩინა ერთმანეთთან საბრძოლველად დაპირისპირებული ტუტსისა და ხუტუს ტომებისგან. იცი შენ ეს ამბავი?

- არა, არასოდეს მოგიყოლია.

- საჭიროდ არ მივიჩნიე. ხომ იცი, რა ნაკლებად მაფიქრებენ სხვები...

ამასობაში საქველმოქმედო აუქციონი დაიწყო. პირველ ლოტად Louis Vuitton-ის სამგზავრო ჩანთა გამოიტანეს და საწყის ფასთან შედარებით, ათჯერ ძვირად იყიდეს. იგორი გულგრილად უთვალთვალებდა ყოველივე ამას. ევამ კი კიდევ ერთი ბოკალი გამოცალა იმაზე ფიქრში, ღირდა თუ არა მტანჯველი კითხვის დასმა.

გაისმა მუსიკა - ეს იყო მერილინ მონროს მიერ შესრულებული სიმღერა - მხატვარმა კი პუბლიკის თვალწინ დაიწყო ტილოზე ხატვა. ფსონი გაიზარდა, ათჯერ გადააჭარბა პირველად დასახელებულ თანხას. ამ ფულით მოსკოვში პატარა ბინის ყიდვა შეიძლებოდა. მერე ფინჯანი გამოიტანეს...

...იმ საღამოს ევამ იმდენი დალია, რომ იგორმა სასტუმროში ხელში აყვანილი მიიყვანა. მაგრამ სანამ საწოლზე დააწვენდა, ევამ როგორც იქნა, ამოთქვა:

- რას იზამ, რომ მიგატოვო?

- ამის შემდეგ ცოტა ნაკლები დალიე.

- არა, მაინც?

- ეს შეუძლებელია, ჩვენ იდეალური წყვილი ვართ.

ევას ამასობაში გონება გაუნათდა, მაგრამ თავის მოკატუნება განაგრძო:

- მართლა, მართლა, ეს მაინც რომ მოხდეს?

- დაბრუნებას გაიძულებ. ხომ იცი, შემიძლია ჩემსას მივაღწიო, თუნდაც ამისთვის მთელი სამყაროს განადგურება დამჭირდეს.

- სხვასთან რომ გავაბა რომანი?

იგორის თვალებში ბრაზი და მრისხანება არ შეუმჩნევია.

- თუნდაც პლანეტის ყველა მამაკაცთან დაწვე, ჩემი სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ ამ ტკივილსაც გაუძლებს.

ამ დღიდან მათი კავშირი, ღვთივკურთხეული რომ გეგონებოდათ, დაუსრულებელ კოშმარად იქცა. ევა მანიაკისა და მკვლელის ცოლი აღმოჩნდა. რატომ დააფინანსა დაქირავებული რაზმი, რათა ჩაექრო ტომთაშორის მტრობა? რამდენი ადამიანი ჰყავს მოკლული, რათა ვინმეს მათი ცოლქმრული სიმყუდროვე არ დაერღვია? რასაკვირველია, ყველაფერს შეიძლება მოეძებნოს ახსნა - ომი, სულიერი ტრამვა, გადატანილი უმძიმესი განსაცდელი... მაგრამ მარტო ეგ ხომ არ ყოფილა მაგალითი? რატომ სხვას არ მოსდის აზრად, ღმერთის მართლმსაჯულების გამგებლად, მისი უზენაესი ზრახვების აღმსრულებლად მიიჩნიოს თავი?

„მე არ ვეჭვიანობ, - გამუდმებით ეუბნებოდა იგორი, როცა ევა სადმე გამგზავრებას აპირებდა, - იმიტომ, რომ იცი, როგორ მიყვარხარ, მე კი ვიცი, რომ შენც გიყვარვარ. და განა რა შეიძლება მოხდეს ისეთი, რომ ჩვენი ერთად ცხოვრება დაირღვეს...“

ახლა ევას სჯეროდა, რომ ეს სიყვარული კი არა, ცდუნება იყო, რომლის დაძლევასაც ვერ შეძლებდა და სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მუდმივ საშინელებაში საცხოვრებლად იყო განწირული, თუკი პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში არ შეეცდებოდა განთავისუფლებას.

ასეთი შემთხვევაც მიეცა. და ყველაზე შეუპოვარი და ჯიუტი აღმოჩნდა მამაკაცი, ვისთანაც მყარ ურთიერთობაზე ევას ფიქრიც კი არ შეეძლო; მოდელიორი, რომლის ვარსკვლავი დღითი დღე კაშკაშა, დიდება კი ხმაურიანი ხდებოდა. ის, ვისაც თავისი ქვეყნიდან დიდძალი ფული მიეღო დასახული მიზნის მისაღწევად, რათა დანარჩენ სამყაროს „ადგილობრივ ტომთა“ მყარი ფასეულობები გაეცნო და მათ მიმართ შიში გაქრობოდა; ვისაც ფეხქვეშ გაეგო მოდის სამყარო.

მათი ყოველი შეხვედრისას, მსოფლიოს რომელ ქალაქშიც უნდა ყოფილიყო, მას შეეძლო გამოეტოვებინა მნიშვნელოვანი მოლაპარაკება, გადაედო ვახშამი, მხოლოდ იმისთვის, რათა ევასთან მარტო დარჩენილიყო სასტუმროს ნომერში, რათა უბრალოდ მის გვერდით ყოფილიყო, თუნდაც სიყვარულობის გარეშე. უყურებდნენ

ტელევიზორს, ერთად ვახშმობდნენ, ევა სვამდა (ის - წვეთსაც არა), სეირნობდნენ პარკებში, შედიოდნენ წიგნების მაღაზიაში, ესაუბრებოდნენ უცნობ ადამიანებს. არ ოცნებობდნენ მომავალზე, თითქმის არასოდეს იხსენებდნენ წარსულს, მთელი ყურადღება აწმყოზე ჰქონდათ მიპყრობილი.

ევა, რამდენადაც შეეძლო, ეწინააღმდეგებოდა, მით უმეტეს, ამ კაცის მიმართ ვნებას არასდროს გრძნობდა, მაგრამ როცა შესთავაზა, ყველაფერი მიეტოვებინა და მასთან საცხოვრებლად ლონდონში გადასულიყო, მოულოდნელად დათანხმდა. ეს პირადი ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევის ერთადერთი გამოსავალი იყო.

ტელეფონმა დაიწრიპინა, მორიგი შეტყობინება მიიღო. შეუძლებელია - მათ ხომ უკვე რამდენიმე წელია არ ჰქონიათ ურთიერთობა.

„შენი გულისთვის კიდევ ერთი სამყარო გავანადგურე, კატიუშა“.

- ვისგანაა?

- ვერ გამიგია, ნომერი გაურკვეველია, - უპასუხა ევამ.

- მოვედით, იცოდე, ცოტა დრო გვაქვს.

ლიმუზინს სასტუმრო Martinez-ის შესასვლელამდე რთული მანევრის შესრულება მოუხდა. პოლიციის მიერ დადგმული ლითონის ბარიერის ორივე მხარეს, მთელი დღე ყველა ასაკის ადამიანი ირევა იმ იმედით, რომ ახლოდან დაინახავენ რომელიმე სახელგანთქმულ ადამიანს. ციფრული ფოტოაპარატებით იღებენ სურათებს, ინტერნეტის მეშვეობით „მეგობრებსა“ და თავიანთი საზოგადოების წევრებს უზიარებენ შთაბეჭდილებებს. ყველაზე ხანგრძლივი ლოდინიც კი გამართლებული იქნება, თუკი დადგება საზეიმო წამი და რომელიმე მსახიობს ან ტელეწამყვანს მოჰკრავენ თვალს.

თუმცა კინოინდუსტრია სწორედ ამ ხალხის წყალობით არსებობს, მათ ახლოსაც არ უშვებენ: სტრატეგიულ სიმაღლეებზე განთავსებული მცველები ითხოვენ საბუთებს, ნამდვილად ცხოვრობ თუ არა სასტუმროში, ან მართლა გაქვს თუ არა დანიშნული შეხვედრა, ანუ თუ ჯიბიდან არ დააძრობ ნომრის გასაღების სანაცვლო მაგნიტურ ბარათს, ამდენი პატიოსანი ხალხის თვალწინ გამოგაგდებენ. საქმიანი შეხვედრა თუ გაქვს დანიშნული ანდა მიწვეული ხარ აქაურ ბარში, მანამდე გაცდევინებენ, სანამ მცველი რაციის საშუალებით არ დაადგენს, მართალს ამბობ თუ არა. გამოწმებენ, დრო უსასრულოდ ჭიანურდება, ბოლოს და ბოლოს, დასტურსაც ღებულობენ და შენ, საქვეყნოდ დამცირების შემდეგ, გიშვებენ ამ წმინდათაწმინდა ადგილას.

რასაკვრველია, ეს არ ეხება იმათ, ვინც ლიმუზინით მოიქროლებს.

თეთრი „მაიბახის“ ორივე კარი ღიაა. ერთი მძღოლმა გააღო, მეორე - შვეიცარმა. ფოტოაპარატებისა და ვიდეოკამერების ობიექტივები ევასკენაა მიმართული. ვერავინ

ცნობს მას, მაგრამ ყველასთვის ცხადია: ასეთი მანქანით მოსული დიდი ვინმე უნდა იყოს. შეიძლება მის უკან მომავალი ჭაღარაშერეული ბატონის საყვარელია, და თუ ასეა, შეიძლება ეს სურათი სკანდალებზე დახარბებულ რომელიმე ტაბლოიდშიც მოხვდეს. ისიც შეიძლება, რომ ეს ქერათმიანი ლამაზმანი საფრანგეთში ჯერჯერობით უცნობი, უცხოელი სახელგანთქმული პიროვნებაა. მისი ფოტო მალე გამოჩნდება ყვითელი პრესის ფურცლებზე და მაშინ დოყლაპიები კანონიერ სიამაყეს იგრძნობენ იმის გამო, რომ სულ რაღაც ოთხი-ხუთი ნაბიჯიდან დაინახეს ის.

ჰამიდ ჰუსეინი უყურებს ერთად შეჯგუფებულ ხალხს, ლითონის ბარიერს რომ მოსწოლიან, და ვერაფრით მიმხვდარა ასეთი აჟიოტაჟის მიზეზს, რადგან მის ქვეყანაში მსგავსი რამ არ ხდება. ერთხელ მეგობარს ჰკითხა კიდეც, ეს ხალხი ვინ არისო.

- არ გეგონოს, რომ აქ მარტო ფანატიკოსები არიან, - უპასუხა მან, - სამყაროს შექმნიდან ადამიანს ჰგონია, რომ რაიმე ხელშეუხებლისა და იდუმალის სიახლოვით მადლი მოეფინება. ამიტომაც დადის ხალხი წმინდა ადგილების თაყვანსაცემად და გურუს ეძებს.

- კანში?

- თუნდაც კანში. ყველგან და ყოველთვის სახელგანთქმულის გამოჩენას ისე ღებულობენ, როგორც ზეციურ მანანას, როგორც ღმერთის საჩუქარს. განსაკუთრებით, თუ იგი თავს ან ხელს დაგიქნევს...

უზარმაზარ მოედნებზე მოწყობილი როკ-ფესტივალები რელიგიურ დრამატულ წარმოდგენას მოგვაგონებს - ერთად მრავალი ათასი მორწმუნე რომ იკრიბება. ხალხი თავს იყრის თეატრის შესასვლელთან, რათა შეხედონ, სიახლოვეს როგორ ჩაუვლიან სუპერკლასის წარმომადგენლები. ბრბო ავსებს სტადიონებს იმის საყურებლად, ორი ათეული ყმაწვილი როგორ დასდევს ბურთს. აბა, რით განსხვავდება ხატებისაგან ვარსკვლავების პორტრეტები, მოზარდებს ოთახებში რომ უკიდიათ, საპატიო დიასახლისებს - ბინებში და თვით ტოპ-მენეჯერებსაც - კაბინეტებში, და მთელი თავიანთი ძლევამოსილების მიუხედავად, შურთ მათი.

არის მხოლოდ ერთი განსხვავება - უზენაესი მოსამართლის როლში პუბლიკა გამოდის: დღეს ის აღტაცებისგან აღარ არის, ხვალ კი ხარბად ეძებს თავისი კერპის ცხოვრების სკანდალურ ამბებს, და ამბობს: „საბრალო, კიდევ კარგი, რომ ეს მე არა ვარ“. დღეს ვარსკვლავს აღმერთებენ, ხვალ კი ქვებით ქოლავენ და ჯვარზე აკრავენ, ამასთან, სინანული ოდნავადაც არ აწუხებთ.

1:37 PM

სხვა გოგონებისგან განსხვავებით, სამუშაოზე დილაადრიანად რომ გამოჩნდნენ, ახლა კი უკვე დავარცხნილები და შეღებილები, ტელეფონების და ფლეერების მეშვეობით კლავენ დროს - პოდიუმზე გასვლამდე ხუთი საათია - ჟასმინს მზერა ლექსების კრებულისთვის მიუპყრია.

ყვითელი ტყის პირს ორი გზა დამხვდა;

ორივეს ერთად ვერ ავირჩევდი

და განაკაფი ის ბილიკი, რომელიც უარვყავ,

მოსახვევამდე მზერით მივაცილე.

ბილიკმა, მე რომ ამოვირჩიე, გაუთელავი ბალახით მომხიბლა -

მიზანი მისი გათელვისა ყველა ქებაზე მაღლა დგას.

თუმცა ისინი, ვისაც აქ ოდესღაც გზა უძებნია

გაუთელავმა ბილიკმა გატანჯა.

გახსოვდეს, ყველა გზა დახლართულია!

გზათა გასაყარზე, ვიგრძენი, ვეღარ დავბრუნდებოდი,

დაღლილი ცხოვრებას ვეღარ შეძლებ...

მახსოვს დიდი ხნის წინანდელი ჩემი არჩევანი

როცა ორი გზის განშტოებიდან ის ვამჯობინე,

რომელიც შორიდან უვლის გამვლელებს,

და უმთავრესიც სწორედ ეს იყო...

დიახ, მანაც უვალი ბილიკი აირჩია, რაც ძვირად დაუჯდა, მაგრამ ღირდა ამად. ყველაფერი დროულად ხდება. სიყვარული იმ წამს ეწვია, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა - ეწვია და დარჩა მასთან. ჟასმინი მისთვის მუშაობს, მასთან და მისით.

უფრო სწორი იქნება ვთქვათ: მისი სახელით. მისი ნამდვილი სახელი კრისტინაა. თავის CV-ში იხსენებს, რომ ის ანა დიტერმა კენიაში მოგზაურობის დროს აღმოაჩინა, დანარჩენს შეგნებულად არ მიუთითებს და ყველაფერს სავარაუდოდ ტოვებს - მძიმე ბავშვობა, შიმშილი, სამოქალაქო ომი... სინამდვილეში კი ეს შავკანიანი გოგონა მშვიდობიანი ბელგიის ანტვერპენში დაიბადა, თუმცა მისი მშობლები ევროპაში ხუტუსა და ტუტსის ტომების დაუსრულებელი მტრობის გამო გამოიქცნენ.

თექვსმეტი წლისა რომ იყო, მორიგი ბინის დალაგების მერე დედასთან ერთად ქუჩაში მიდიოდა. მათთან ვიღაც კაცი მივიდა, ბოდიში მოუხადა და ფოტოგრაფად გააცნო თავი.

- თქვენი ქალიშვილი ძალიან ლამაზია, ხომ არ დათანხმდებით, რომ ჩემთან მოდელად იმუშაოს?

- ხედავ ამ მძიმე ჩანთას? მასში სარეცხი საშუალებებია, დღე და ღამე ვმუშაობ, რათა ჩემმა შვილმა კარგ სკოლაში სწავლა და დიპლომის აღება შეძლოს. ის ჯერ მხოლოდ თექვსმეტი წლისაა.

- ზუსტად შესაფერისი ასაკია, - უპასუხა ფოტოგრაფმა და თავისი სავიზიტო ბარათი გაუწოდა, - თუ ჩემს წინადადებას დათანხმდებით, დამირეკეთ.

მათ გზა განაგრძეს. დედამ დაინახა, რომ კრისტინამ სავიზიტო ბარათი საგულდაგულოდ შეინახა.

- არ შეცდე, შვილო, ჩვენისთანებს ამქვეყნად გასაქანს არავინ აძლევს. უბრალოდ, შენთან დაწოლა სურს.

ამის თქმა საჭირო არც იყო: თუმცა თანაკლასელი გოგონები შენატროდნენ მას, ბიჭები კი ერთმანეთს ეცილებოდნენ, სადმე საღამოზე დაეპატიჟებინათ, კრისტინას მტკიცედ ახსოვდა, საიდან იყო და ისიც იცოდა, რომ საკუთარ თავს ვერ გადაახტებოდა.

და ეს რწმენა იმის შემდეგაც კი არ შერყევია, როდესაც მეორე შეთავაზება მიიღო. კაფეში ვიღაც არცთუ ახალგაზრდა ქალი მისი სილამაზით აღფრთოვანდა და უთხრა, რომ მოდური ჟურნალებისთვის ფოტოებს იღებდა. კრისტინამ მადლობა გადაუხადა, სავიზიტო ბარათი გამოართვა და შეჰპირდა, დაგირეკავო, თუმცა დარეკვას სულაც არ აპირებდა - ეს მაშინ, როცა მისი ასაკის გოგონები ფოტომოდელობაზე ოცნებობენ.

ღმერთი სამობითაა. და აი, სამი თვის მერე მზა კაბების უძვირფასესი მაღაზიის ვიტრინებს რომ ათვალიერებდა, მაღაზიიდან ვიღაც კაცი გამოვიდა, მასთან მივიდა და ჰკითხა:

- რას საქმიანობ, გოგონა?

- უმჯობესია მკითხოთ, რა საქმიანობას ვაპირებ. ვეტერინარობა მინდა.

- სულ ამაოდ. ეს შენი საქმე არ არის. უმჯობესია, ჩვენთან იმუშაო.

- დახლთან დგომისთვის არა მცალია. თავისუფალ დროს დედას ბინების დალაგებაში ვეხმარები.

- გამყიდველობას არ გთავაზობ. ჩვენი კოლექციისთვის მინდა რამდენიმე ფოტოსესიის გადაღება.

ალბათ ყველა ეს შეხვედრა მისი წარსულის სასიამოვნო მოგონებად დარჩებოდა და ოდესმე, როცა გათხოვდებოდა, ბავშვებს გააჩენდა და ცხოვრებას აიწყობდა, ღიმილით გაიხსენებდა, რამდენიმე დღის შემდეგ რომ არ მომხდარიყო ის, რაც მოხდა.

რამდენიმე ამხანაგთან ერთად დროს კლუბში ატარებდა. ცეკვავდა და მხიარულობდა. უეცრად შენობაში შემოვარდა ათი ახალგაზრდა. ხელში სამართებლით მოპირული ხელკეტები ეჭირათ. ატყდა პანიკა, ყველა ერთად აკივლდა. კრისტინამ არ იცოდა, რა ექნა, ბოლოს ინსტინქტს დაემორჩილა და ერთ ადგილზე გაირინდა.

ამ დროს დაინახა, როგორ მიეჭრა ერთი თავდამსხმელი მათი კომპანიიდან ერთ-ერთ ყმაწვილს, თმაში ხელი სტაცა, თავი უკან გადაუწია და დანით ყელი გამოსჭრა. ამის შემდეგ ახალგაზრდები ისევე უცაბედად გაიფანტნენ, როგორც გამოჩნდნენ. კლუბში მყოფნი შეძრწუნებულნი იყვნენ - ერთნი ადგილზე გაშეშდნენ, მეორენი იატაკზე გართხმულნი ტიროდნენ, სხვები დარბაზს აქეთ-იქით აწყდებოდნენ. რამდენიმე ადამიანი მსხვერპლს მივარდა დასახმარებლად, თუმცა იცოდნენ, რომ უკვე ძალზე გვიანი იყო. კრისტინა მდუმარედ, ადგილზე გაქვავებული უყურებდა, როგორ იცლებოდა სისხლისგან ახალგაზრდა. კრისტინა მკვლელსაც იცნობდა, მოკლულსაც და მკვლელობის მიზეზიც იცოდა (მათ კლუბში შემოვარდნამდე ცოტა ხნით ადრე ბარში იჩხუბეს), მაგრამ მაინც ეგონა, რომ ყოველივე ეს ესიზმრებოდა, ცოტა ხანიც და ცივოფლდასხმული გაიღვიძებდა. მაგრამ ეს არ იყო სიზმარი.

ერთი წუთის შემდეგ, თითქოს მიწაზე დაეშვაო, გამოფხიზლებულმა დაიყვირა: „უშველეთ რამე“, მერე კიდევ: „არ შეეხოთ, ხელი არ ახლოთ“. გაუგებარ რაღაცებს ყვიროდა, ამ ხმაზე კლუბში ნამდვილი საშინელება დაიწყო. სულ მალე იარაღმომარჯვებული პოლიციელები შემოცვივდნენ, ექიმებიც გამოჩნდნენ. ყველა კედელთან ჩაამწკრივეს, და საბუთების შემოწმება დაიწყეს. იწერდნენ მისამართებს და ტელეფონების ნომრებს, ართმევდნენ ჩვენებებს. ვინ ჩაიდინა? რატომ ჩაიდინა? კრისტინამ სიტყვის დაძვრა ვერ შეძლო. გვამი საკაცეზე დადეს და წაიღეს. ექთანმა კრისტინა აიძულა, რაღაც აბი დაელია და ურჩია, შინ ფეხით არ დაბრუნებულიყო.

მეორე დღეს, დილაადრიან, გაისმა ტელეფონის ზარი. ყურმილი დედამ აიღო. გადაწყვეტილი ჰქონდა, კრისტინა მარტო არ დაეტოვებინა, რადგან გოგონა ვერ აცნობიერებდა, სად იყო და რა დაემართა. პოლიციიდან რეკავდნენ, ითხოვდნენ განყოფილებაში გამოცხადებულიყო ამა და ამ საათზე, ამა და ამ კაბინეტში. დედამ უთხრა, ეს შეუძლებელიაო. როცა დაემუქრნენ, იძულებული გახდა, დამორჩილებოდა.

დათქმულ დროს კრისტინა ინსპექტორთან იყო. ინსპექტორმა ჰკითხა, იცნობდა თუ არა მკვლელს.

კრისტინას დედის დარიგება უტრიალებდა თავში: „არაფერი თქვა, ჩვენ ემიგრანტები ვართ, ისინი - ბელგიელები, ჩვენ შავკანიანები ვართ, ისინი - თეთრები... თუნდაც დააპატიმრონ, მალე გამოვლენ და შურს იძიებენ“.

- არ ვიცი ვინ იყო, არასოდეს არ მინახავს...

და გრძნობდა, რომ ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ცხოვრებისადმი სიყვარულს კარგავდა.

- იცით, იცით. ნუ გეშინიათ, თქვენ არაფერი გემუქრებათ; ჩვენ თითქმის მთელი ჯგუფი ავიყვანეთ. ახლა სასამართლოსთვის მოწმე გვჭირდება, - უთხრა გამომძიებელმა.

- გეუბნებით, არავის ვიცნობ-მეთქი... დარბაზის ბოლოში ვიყავი და იქიდან როგორ დავინახავდი, ვინ ჩაიდინა.

პოლიციელმა დაეჭვებით გაიქნია თავი.

- თქვენი ჩვენების განმეორება სასამართლოში მოგიწევთ. გაითვალისწინეთ, ფიცის დადების შემდეგ ყალბი ჩვენებისათვის, ციხეში შეიძლება იმავე ვადით მოხვდეთ, რამდენსაც მკვლელს მიუსჯიან.

რამდენიმე თვის შემდეგ კრისტინა სასამართლოში გამოიძახეს, სადაც პოლიციელებით გარშემორტყმული ის ახალგაზრდები დაინახა - შექმნილი სიტუაციით თითქოს ერთობოდნენ. ერთ-ერთმა გოგონამ, რომელიც მაშინ კლუბში იყო, მკვლელზე მიუთითა. კრისტინას რიგი რომ დადგა და პროკურორმა სთხოვა, ამოეცნო, ვინ გამოსჭრა მის მეგობარს ყელი, უპასუხა, ვერ დავინახე, ვინ იყოო.

ის შავკანიანი იყო. ემიგრანტთა ოჯახიდან. სწავლობდა, იღებდა სახელმწიფო სტიპენდიას, და ამ წუთში მას მხოლოდ ერთი რამ სურდა: დაებრუნებინა სიცოცხლის სიხარული, ერწმუნა, რომ ჰქონდა მომავალი. რამდენიმე კვირა ჩაკეტილ ოთახში გაატარა, თვალი ჭერისთვის მიეშტერებინა, არ სურდა გარეთ გასვლა და რაიმეს გაკეთება. ის სამყარო, სადაც მანამდე ცხოვრობდა, მას უკვე აღარ ეკუთვნოდა. თექვსმეტი წლის ასაკში ყველაზე საძაგელი საშუალებით დარწმუნდა, რომ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის უნარი საერთოდ არ ჰქონდა, ამიტომაც ანტვერპენიდან გაქცევა, ქვეყნიერების ნახვა, ძალ-ღონისა და ბედნიერების შეგრძნების დაბრუნება გადაწყვიტა.

ის ახალგაზრდები კი სამხილების უკმარისობის გამო გაათავისუფლეს: იმისათვის, რომ მათი დანაშაული დაემტკიცებინათ, სულ მცირე, ორი მოწმე იყო საჭირო. და მაშინ სასამართლოს დარბაზიდან გამოსულმა კრისტინამ დარეკა სავიზიტო ბარათზე აღნიშნულ ტელეფონის ნომერზე, რათა შეხვედრაზე მოლაპარაკებოდა. მერე იმ ბუტიკში მივიდა, სადაც მუშაობა შესთავაზეს, მაგრამ ვერაფერს გახდა: უთხრეს, რომ მეპატრონე ასეთი დაწესებულების ქსელს მთელ ევროპაში ფლობსო, რომ ის ძალიან

დაკავებულია, მასთან მომუშავეებს კი მეპატრონის ტელეფონის ნომრის მიცემის უფლება არა გვაქვსო. ფოტოგრაფებს კი უფრო კარგი მეხსიერება აღმოაჩნდათ და მაშინვე დაუნიშნეს შეხვედრა.

შინ დაბრუნებულმა კრისტინამ დედას აუწყა თავისი გადაწყვეტილება. მის დარწმუნებას არ ცდილობდა, არც ნებართვა უთხოვია, უბრალოდ, ადგა და უთხრა, რომ სამუდამოდ უნდოდა ანტვერპენის მიტოვება. ამის ჩადენა კი ერთადერთი საბაბით შეიძლებოდა - მოდელი უნდა გამხდარიყო.

ჟასმინი კვლავ აქეთ-იქით იყურება. დეფილეს დაწყებამდე კიდევ სამი საათი დარჩა. მოდელები ჭამენ სალათას, სვამენ ჩაის, საღამოსთვის გეგმებს აწყობენ. ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. არიან კრისტინას თანატოლები და ეტყობათ, მხოლოდ ორი პრობლემა აწუხებთ - დღეს ან ახალ კონტრაქტს მოაწერონ ხელი ან მდიდარი საქმრო მოჩანგლონ.

ჟასმინმა იცის მათი დღის განრიგი: ძილის წინ სახის გამწმენდი და დამატენიანებელი კრემები - კანი ეჩვევა მუდმივ გარეგან ჩარევას და უიმისოდ ვეღარ ინარჩუნებს ტონუსს. დილით - მასაჟი და ისევ კრემები, შემდეგ შავი უშაქრო ყავა და ხილი, რათა მთელ დღეს მიღებული საკვები ორგანიზმმა უკეთესად შეითვისოს. მერე რაღაც აერობიკის მსგავსი - კუნთების დაჭიმვის ვარჯიში - რომლითაც არ შეიძლება ბოროტად ისარგებლო, რადგან გარეგნობა ქალურობას დაკარგავს. დღეში სამჯერ-ოთხჯერ მაინც უნდა აიწონონ. ზოგიერთი სასწორს თან ატარებს, რადგან ხანდახან ცხოვრება სასტუმროში კი არა, ნაქირავებ ბინებში უხდებათ. ყოველი ზედმეტი გრამი გოგონებს საგონებელში აგდებს და დარდს უმატებს.

თუკი არსებობს შესაძლებლობა, მათ თან დაჰყვებიან მშობლები, რადგან უმეტესობა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისაა. თითქმის ყველა მათგანი შეყვარებულია, მაგრამ ამას არასდროს ამხელენ, თუნდაც იმიტომ, რომ ეს გრძნობა მათ გამგზავრებებს დაუსრულებლად წელავს და გაუსაძლისს ხდის, შეყვარებულები კი ფიქრობენ, რომ სამუდამოდ კარგავენ საყვარელ ადამიანს. გოგონები უმთავრესად ფულზე ფიქრობენ და დღეში საშუალოდ 400 ევროს გამოიმუშავებენ - ეს სახარბიელო ანაზღაურებაა იმათთვის, ვინც ასაკის მიხედვით ეს-ესაა მიიღო მანქანის მართვის უფლება, მაგრამ ეს არაა მათი ოცნების ზღვარი, ვინაიდან ყველა აშკარად გრძნობს, რომ მალე შეავიწროვებენ და დაჯაბნიან ახალი სახეები, როცა გაჩნდება ახალი ტენდენციები. ამიტომ ცდილობენ, რაც შეიძლება მალე აჩვენონ, რომ მხოლოდ პოდიუმზე სიარული არ შეუძლიათ, და თავიანთ აგენტებს სთხოვენ, სინჯებზე წარადგინონ, რაც მსახიობობისკენ, მაშასადამე, უდიდესი ოცნების განხორციელებისკენ გაუკაფავთ გზას.

სააგენტოები, რაღა თქმა უნდა, პასუხობენ, რომ ამას მოუხერხებენ, მაგრამ ცოტა მოცდა მოუწევთ, რადგან ისინი ახლაღა იწყებენ კარიერას. სინამდვილეში კი აგენტებს არავითარი კავშირი არა აქვთ მოდის სამყაროს მიღმა. ისინი კარგ

fb.com/groups/elite

პროცენტებს ღებულობენ და მძაფრი ბრძოლა უწევთ კონკურენტებთან - ეს ბაზარი არც ისე ფართოა, ამიტომ უჯობთ, ყველა შესაძლებლობა მანამდე გამოწურონ, სანამ მოდელი კრიტიკულ ზღვარს - ოც წელს გადასცდება, სანამ გადაჭარბებული კრემები საბოლოოდ არ გაუფუჭებს მათ კანს, სხეული დაბალკალორიული საკვებისაგან ჭკნობას, ხოლო გონება - დაბინდვას არ დაიწყებს.

საკმაოდ გავრცელებული ლეგენდის საწინააღმდეგოდ, მოდელები თვითონ იხდიან თვითმფრინავით მგზავრობისა და დიეტური სალათების საფასურს. სტილისტის ასისტენტები მათ იძახებენ კასტინგებზე, ანუ იმათ შესარჩევად, ვინც უნდა გავიდეს პოდიუმსა და ფოტოსესიაზე. ამ დროს გოგონები მათ წინაშე წარსდგებიან ხოლმე, ვინც ყოველთვის უგუნებოდაა და თავის მცირეოდენ უფლებას იმისთვის იყენებს, ვინმეზე ჯავრი იყაროს. ამიტომაც საალერსო ან გამამხნევებელ სიტყვებს მათგან არ უნდა ელოდე, უფრო ხშირად გესმის: „საშინელებაა!“ და მოდელებიც, ერთი ჩვენებიდან გამოსულნი, მეორეზე მიდიან, თავიანთ ტელეფონებს ისე ებღაუჭებიან, როგორც წყალწაღებული - ხავსს, უჯერებენ, როგორც არიადნას ძაფს, რომელსაც შესწევს ძალა, მოახვედროს უმაღლეს სამყაროში, აღამაღლოს ათასობით ადამიანზე და ვარსკვლავად აქციოს.

რაკი გოგონები არცთუ ცოტა ფულს შოულობენ და ოჯახებს ეხმარებიან, მშობლები ამაყობენ შვილებით და ნანობენ, რომ თავიდან წინააღმდეგობას უწევდნენ. შეყვარებულები კი ეჭვიანობისგან იტანჯებიან, მაგრამ ცდილობენ, თავი შეიკავონ, რადგან მოდის სამყაროს წარმომადგენელთან მეგობრობა ძალზე აამებს მათ თავმოყვარეობას. მეგობრები, აშკარად თუ ფარულად, შურით კვდებიან.

გოგონები არც ერთ საღამოს არ ტოვებენ, სადაც კი იწვევენ. თავი შეუვალად და მედიდურად უჭირავთ. გულის სიღრმეში კი იციან, ეს ხდება იმისთვის, რომ ოდესმე ვიღაცამ მოახერხოს მათ ირგვლივ აღმართული ყინულის გალღობა. უფროსი მამაკაცებისადმი მიმართული მათი მზერა ამბიციისა და ზიზღის ნარევია. გოგონებმა იციან, რომ მათ ჯიბეში აღთქმული ჭიშკრის გასაღები უდევთ, მაგრამ ისიც არა სურთ, ისე უყურებდნენ, როგორც უმაღლესი ხარისხის მეძავებს. ხელში გამუდმებით უჭირავთ შამპანურის ბოკალი, მაგრამ ეს მხოლოდ იმიჯის ნაწილია, რადგან აკვიატებული აქვთ, რომ ალკოჰოლი ბევრ კალორიას შეიცავს, ამიტომ მათი საყვარელი სასმელი უგაზო მინერალური წყალია. მართალია, გაზს წონის მომატება არ შეუძლია, მაგრამ სამაგიეროდ, ცუდად მოქმედებს კუჭის ლორწოვან გარსზე. მათ აქვთ ფიქრები, ოცნებები, ღირსება, მაგრამ ყველაფერი ეს ერთ მშვენიერ დღეს ქრება, როცა უკვე ვეღარ ახერხებენ ცელულიტის კვალის დაფარვას.

ისინი საკუთარ თავთან დებენ საიდუმლო პაქტს - არასოდეს იფიქრონ მომავალზე. თავიანთი გასამრჯელოს უმეტეს ნაწილს კოსმეტიკურ საშუალებებზე ხარჯავენ - მარადიულ ახალგაზრდობას რომ ჰპირდება მათ. აღმერთებენ კარგ ფეხსაცმელს და დროდადრო თავს ყველაზე ძვირადღირებული ფეხსაცმლის ყიდვის ნებას აძლევენ.

მეგობრების დახმარებით ტანსაცმელს ნახევარ ფასად შოულობენ. ცხოვრობენ პატარა ბინებში დედ-მამასთან, სტუდენტ ძმასთან ან დასთან ერთად, რომელთაც კარიერად ბიბლიოთეკარობა ან მეცნიერმუშაკობა აქვთ არჩეული. ყველას ჰგონია, ისინი ფულში ბანაობენ, არადა, ვალებში იხრჩობიან. ფულს კი იმიტომ სესხულობენ, რომ თავი მდიდრებად, გულუხვებად და უბრალო მოკვდავებზე გაცილებით მაღლა მდგომებად მოაჩვენონ. მათი მიმდინარე ანგარიში მუდმივად ნულზეა, საკრედიტო ბარათის ლიმიტი კი - ამოწურული.

ინახავენ ასეულობით სავიზიტო ბარათს, ხვდებიან ელეგანტურ მამაკაცებს, რომლებიც სამუშაოს სთავაზობენ. და თუმცა ამ წინადადების ჭეშმარიტებაში ეჭვი ეპარებათ, ნაცნობობის შესანარჩუნებლად დროდადრო მაინც ურეკავენ, რადგან იციან, ოდესმე დახმარება დასჭირდებათ. იციან ისიც, რომ დახმარებისთვის სამაგიეროს გადახდა მოუხდებათ. ყველა უკლებლივ, ადრე თუ გვიან, ამ ხაფანგში ებმება. უკლებლივ ყველა იოლ გამარჯვებაზე ოცნებობდა, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ბუნებაში ასეთი რამ არ ხდება. თითქმის ყველას ჩვიდმეტი წლის ასაკში უამრავი იმედგაცრუება და დამცირება აქვს გადატანილი, მაგრამ რწმენას მაინც არ კარგავენ.

აბების გამო ცუდად სძინავთ. სმენიათ შემაძრწუნებელი ამბები მათ წრეში ძალზე გავრცელებული დაავადების - ანორექსიის შესახებ. ეს რაღაც ნევროზის მსგავსია, რომელიც მომატებულ წონაზე აკვიატებული ფიქრითა და საკუთარი გარეგნობის უკმაყოფილებითაა გამოწვეული და იმით მთავრდება, რომ ორგანიზმი საერთოდ უარს ამბობს საკვების მიღებაზე. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს არ დაემართებათ, მაგრამ პირველი სიმპტომების გამოჩენას ვერასოდეს ამჩნევენ.

ბავშვობიდან, სიყრმისა და სიყმაწვილის გამოტოვებით, ისინი პირდაპირ ფუფუნებასა და ბრწყინვალებაში ხვდებიან. როცა მომავლის გეგმებზე ეკითხებიან, მუდამ მზად აქვთ პასუხი, „ფილოსოფიის ფაკულტეტზე მინდა ჩაბარება და აქ სწავლისთვის ფულის მოსაგროვებლად ვარო“.

მათ იციან, რომ ეს სიცრუეა. უფრო სწორად, იციან, რომ ეს ფრაზა უცნაურად ჟღერს, მაგრამ რატომ - ვერ გაუგიათ. ისინი ხომ არათუ დიპლომზე, სკოლაში სიარულის ფუფუნებაზეც უარს ამბობენ - დილით აუცილებლად კასტინგი აქვთ, დღისით - ფოტოსესია, საღამოთი - კოქტეილფართი, მერე კი საღამო - რადაც უნდა დაუჯდეთ, ამ საღამოს უნდა დაესწრონ, რათა ყველამ შეხედოს მათ, აღფრთოვანდნენ და შენატრონ.

მათ ცხოვრება ჯადოსნური ზღაპარი ჰგონიათ. ჰგონიათ, მოკლე ხანში დარწმუნდებიან, რომ ამაშია ცხოვრების აზრი: მათ ხომ აქვთ ყველაფერი ის, რაც შურს იწვევს გოგონებში - აქა-იქ გაიელვებენ ხოლმე პრიალა ჟურნალებსა და სარეკლამო რგოლებში. თავს ხელში თუ აიყვანენ, ფულის შეგროვებაც შეიძლება მოახერხონ. და ასე გრძელდება მანამ, სანამ ყოველდღიური გულმოდგინე

დათვალიერების შემდეგ არ შენიშნავენ დროის მიერ დაჩნეულ პირველ კვალს. ამიერიდან იციან, რომ მათი წარმატება იღბალზე ჰკიდია, და ლოცულობენ დროის ეს კვალი ვერ შეამჩნიონ ფოტოგრაფებმა და სტილისტებმა.

იმის მაგივრად, რომ კითხვა გააგრძელოს, ჟასმინი დგება, ბოკალში შამპანურს ისხამს (ეს დასაშვებია, მაგრამ არაა მაინცადამაინც მიღებული), იღებს ჰოთდოგს და ფანჯარასთან მიდის. დგას და დუმილით გასცქერის ზღვას. მისთვის ყველაფერი სხვაგვარად იქნება.

1:45 PM

იგორს გაეღვიძა. ოფლში ცურავდა. სასთუმალთან საათს შეხედა, მიხვდა, მხოლოდ ორმოცი წუთი სძინებია. გატანჯული და შეშინებული იყო. მუდამ ფიქრობდა, ვინმესთვის ტანჯვისა და ვნების მიყენება არ შეეძლო, ამ დილით კი საიქიოში ორი სრულიად უდანაშაულო ადამიანი გაისტუმრა. დიახ, მას აქამდეც გაუნადგურებია ადამიანში გამომწყვდეული სამყარო, მაგრამ საამისოდ ყოველთვის ჰქონია საფუძველი.

დაესიზმრა, თითქოს სანაპიროზე მოვაჭრე გოგონა მასთან მოვიდა და იმის მაგივრად, რომ დაედანაშაულებინა, დალოცა. იგორი მის მკერდზე ტიროდა და პატიებას სთხოვდა, გოგონა კი მის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდა, თავზე ხელს უსვამდა და ამშვიდებდა. ოლივია - დიდსულოვნება და მიტევებაა... და ახლა საკუთარ თავს ეკითხება, იმსახურებს კი ამ მსხვერპლს ევასადმი მისი სიყვარული? ამჯობინა ეფიქრა, რომ ღირდა, რადგან გოგონას უცაბედად გადაეყარა და საქმე უფრო იოლად გამოვიდა, ვიდრე თვითონ ვარაუდობდა. ეტყობა, რაც მოხდა, საამისოდ რაღაც მიზეზი უნდა არსებობდეს...

ჯავიცის „მეგობრების“ სიფხიზლის გაფანტვა არც ისე ძნელი გამოდგა. იგორი იცნობს ამ ტიპის ადამიანებს: ისინი სწრაფ და ზუსტ რეაგირებას წლობით სწავლობენ, გარდა ამისა ევალებათ, დააფიქსირონ ყოველგვარი საეჭვო მოძრაობა, ინტუიციით გამოიცნონ საშიშროება. ისინი, უეჭველია, მიხვდნენ, რომ იგორს იარაღი ჰქონდა, და კარგა ხანს თვალს არ აშორებდნენ. მერე გადაწყვიტეს, რომ იგორი საშიში არ იყო და მოდუნდნენ. ისიც არაა გამორიცხული, მათ ის თავიანთ მოძმე-მცველად მიეჩნიათ, რომელიც წინასწარ ვითარების დასაზვერად იყო მოსული, რათა დარწმუნებულიყო, მის პატრონს საფრთხე არ ემუქრებოდა.

იგორს პატრონი არ ჰყავდა. საფრთხეს თავად წარმოადგენდა. პავილიონში შესვლის მერე მომდევნო მსხვერპლი შეარჩია და აღარ შეეძლო უკან დახევა - სხვაგვარად

საკუთარი თავის პატივისცემას დაკარგავდა. შეამჩნია, რომ ამ ფარდულისკენ მომავალი გზა დაცული იყო, თუმცა პლაჟით გავლას წინ ვერაფერი დაუდგებოდა და ათი წუთით დაყოვნების შემდეგ კარვიდან გავიდა, და იმედოვნებდა ჯავიცის „მეგობრები“ ამას შეამჩნევდნენ. მერე მოტრიალდა და მხოლოდ სასტუმრო Martinez-ის მდგმურებისათვის განკუთვნილი გზით თავქვე დაეშვა. სასტუმროში ნომრის გასაღების შემცვლელი მაგნიტური ბარათი აჩვენა და კვლავ იქ გაეშურა, სადაც „წარმოდგენა“ მიმდინარეობდა. ფეხსაცმლით ქვიშაზე სიარული გაუჭირდა და უცებ იგრძნო, როგორ დაღლილიყო ფრენისგანაც და სიფრთხილის შეგრძნებისგანაც, რომ რაღაც შეუძლებელი ჩაიფიქრა, აწუხებდა დაძაბულობაც, რომელიც ვერა და ვერ მოეშორებინა მას შემდეგ, რაც კუსტარული სუვენირებით მოვაჭრე საბრალო გოგონას სამყარო და მასთან ერთად მრავალი და მრავალი თაობა გაანადგურა. მაგრამ უკან დახევა უკვე გვიან იყო.

სანამ ხელახლა შევიდოდა ფარდულში, ჯიბიდან სათუთად შენახული, თავის დროზე წვენის ჭიქაში ჩადებული ჩალის ღერო ამოიღო. გახსნა მინის პატარა ბალონი, ოლივიას რომ აჩვენა, ოღონდ მაშინდელი ნათქვამის საწინააღმდეგოდ, მასში ბენზინი კი არა, სავსებით უბრალო რამ - ნემსი და საცობის ნატეხი იდო, რომელსაც ჩალის ღეროს დიამეტრის ნახვრეტი გაუკეთა.

მერე კვლავ გამოჩნდა წვეულებაზე. პავილიონი სტუმრებითაა სავსე. ისინი შეძახილებით ესალმებიან, კოცნიან და ეხვევიან ერთმანეთს. აქეთ-იქით ბოდიალობენ, ხელში ცისარტყელას ყველა ფერის კოქტეილიანი ჭიქები უჭირავთ - თან ხელი აქვთ დაკავებული და თანაც ჭიქა იმ წუთების მოლოდინს ულამაზებთ, როცა გამასპინძლება დაიწყება და შესაძლებელი გახდება ჭამონ - ძალიან ზომიერად, რადგან დიეტის დაცვაა საჭირო (განსაკუთრებით - პლასტიკური ოპერაციის შემდეგ), გარდა ამისა, წინ კიდევ ვახშამი ელით, სადაც გინდა-არგინდა, მაინც მოგიწევს ჭამა, რადგან კარგი ტონის წესების თანახმად, ასეა მიღებული.

სტუმართა დიდი ნაწილი საშუალო ასაკისა ჩანდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აქ მოწვეულნი პროფესიონალები იყვნენ. მათი ასაკი იგორს ხელს აძლევდა, რადგან ყველა მათგანი იძულებულია სათვალე ატაროს. თუმცა აქ სათვალე, რასაკვირველია, არავის ეკეთა სიტყვა „ახლომხედველობის“ შიშით, რომელიც სიბერესთან ასოცირდება. აქ ყველა ისე უნდა იყოს ჩაცმული და ისე გამოიყურებოდეს, როგორც აყვავების წლებში მყოფ ადამიანს შეშვენის მარადიული ახალგაზრდული სულითა და შესაშური მხნეობით. თავს კი ისე აჩვენებენ, თითქოს ვიღაც მხოლოდ იმიტომ ვერ შეამჩნიეს, რომ ყურადღება ვერ მიაქციეს, სინამდვილეში კი, უბრალოდ, ვერ ხედავენ.

მხოლოდ ჯავიცის „მეგობრები“ ხედავდნენ ყველას და ყველაფერს. მაგრამ ამჯერად მათ უთვალთვალებდნენ.

იგორმა ნემსი მილში მოათავსა და ისე დაიჭირა თავი, თითქოს ისევ წვენს წრუპავდა.

მაგიდასთან შემოკრებილი ლამაზი გოგონების ჯგუფი თავს იკატუნებდა, თითქოს ძალზე ყურადღებით უსმენდა იამაიკელის ექსტრავაგანტურ ამბებს, სინამდვილეში კი ყველა მათგანი ფიქრობდა, რამენაირად, იოლად წაერთმიათ ეს ყმაწვილი მეტოქისთვის და საწოლში შეეტყუებინათ - ხმები დადიოდა, ამ კუნძულის მკვიდრნი არაჩვეულებრივად სექსუალურები არიანო.

იგორი ჯავიცს უახლოვდება, იღებს მილს და ნემსს თავისი მსხვერპლის მხარეს უბერავს. ხედავს თუ არა, როგორ მოივლო ჯავიცმა ხელი მტკივნეულ ადგილზე, იქაურობას ტოვებს, რათა სასტუმროში დაბრუნდეს და დაძინება სცადოს.

კურარეს შხამს, სამხრეთამერიკელი ინდიელები ისრებსა და ხელშუბების ბოლოებს რომ უსვამენ, დღესაც იყენებენ სამედიცინო კლინიკებში, რათა ქირურგის მუშაობის შესასუმბუქებლად, რასაკვირველია, აპარატის ზედამხედველობის ქვეშ, კუნთების ესა თუ ის ჯგუფი გათიშონ. მილიდან გატყორცნილ ნემსის წვერზე მოთავსებული შხამის დოზით ჩიტი ციდან ორ წუთში ვარდება, გოჭს აგონია საათის მეოთხედში ეწყება, ხოლო მსხვილი ძუძუმწოვრები, მათ შორის, ადამიანები, ოც წუთში იხოცებიან.

შხამი ადამბლავებს მთელი განივი და გრძივი კუნთების მამოძრავებელი ნერვების დაბოლოებებს და, მაშასადამე, იმათაც, რომლებიც სუნთქვას მართავს, ეს კი გაგუდვით მთავრდება. ყველაზე საინტერესო - ან, თუ გნებავთ, ყველაზე საზარელი, ისაა, რომ მსხვერპლი ბოლომდე სრულ გონებაზეა, მაგრამ არც ვინმეს საშველად მოხმობა შეუძლია და არც ნელი სიკვდილის პროცესის შეჩერება.

შემთხვევით მოშხამულ შუბზე ან ისარზე ხელი თუ გაეჭრებათ, ინდიელებმა იციან, დაზარალებულს ხელოვნური სუნთქვა - „პირი-პირში“ - უნდა ჩაუტარონ და სამკურნალო ბალახებისაგან დამზადებული შხამსაწინააღმდეგო წამალი დაალევინონ. წამალი მუდამ თან დააქვთ, რადგან ასეთი შემთხვევები იშვიათი არაა. ქალაქელი მედიკოსები, როგორი ენერგიული რეანიმაციული ზომებიც არ უნდა მიიღონ, ვერავითარ ეფექტს ვერ მიაღწევენ, რადგან ჰგონიათ, საქმე გულის შეტევასთან აქვთ.

იგორი სასტუმროში უკანმოუხედავად მიდის. იცის, რომ ახლა ერთ-ერთი „მეგობარი“ ბოროტმოქმედს ეძებს, მეორე კი სასწრაფოს იძახებს; მაგრამ სასწრაფო იმწამსვე რომც მივიდეს, მაინც ვერაფერს უშველის, რადგან აზრზეც ვერ მოვლენ, რა მოხდა. მწვანეჟილეტიანი ადამიანები გარს ეხვევიან პაციენტს, მანქანიდან გადმოაქვთ პორტატული ელექტროკარდიოგრაფი და დეფიბრილატორი - აპარატი, რომელსაც დენის განმუხტვით გაჩერებული გულის ამუშავება შეუძლია, მაგრამ სინამდვილეში კურარეს შხამით გულის კუნთი ყველაზე გვიან ზიანდება, ის ტვინის სიკვდილის შემდეგაც კი განაგრძობს ფეთქვას.

კარდიოგრამაზე პათოლოგიის ვერავითარ ნიშნებს ვერ შეამჩნევენ, ვენაში გადასხმას აკეთებენ, რადგან ფიქრობენ, ადამიანი სიცხის ან რაღაცით მოწამვლის გამო გახდა ცუდად; აკეთებენ ყველა იმ მანიპულაციას, რასაც მედიცინის მეცნიერება მოითხოვს, შეიძლება ჟანგბადის ნიღაბიც კი გაუკეთონ. ამასობაში ოცი წუთი გადის.

იგორი ჯავიცს უსურვებს, ექიმებმა დახმარება ვერ მოასწრონ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილამდე მიერთებული იქნება სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემაზე და საავადმყოფოს საწოლზე ცოცხალი ლეშის სტატუსით დარჩება.

დიახ, მან ყველაფერი გაითვალისწინა. საფრანგეთში საკუთარი თვითმფრინავით ჩამოფრინდა, რათა თან წამოეღო იარაღი და მომწამლავი ნივთიერება, რომელიც მოსკოვში მოქმედ ჩეჩენ კრიმინალებთან კავშირის წყალობით იშოვა. წუთობრივად გათვალა და, როგორც მნიშვნელოვანი საქმიანი მოლაპარაკების წინ, ისე გულმოდგინედ დაამუშავა თითოეული ნაბიჯი, თითოეული მოძრაობა. შერჩეულ მსხვერპლთა სიას გონებაში ინახავდა: პირადად მხოლოდ ერთ მათგანს იცნობდა. ყველა დანარჩენი შეიძლება სხვადასხვა ასაკის, ეროვნებისა და სხვადასხვა სოციალური წოდების ადამიანები ყოფილიყვნენ. ის კომპიუტერული პროგრამიდან თვეობით სწავლობდა ტერორისტთა შორის მეტად პოპულარული სერიული მკვლელების საქმეს, რადგან მკვლელი არ უტოვებს კვალს გამოძიებას და ყოველგვარ ზომას ღებულობს, მისიის შესრულების შემდეგ შეუმჩნევლად შეძლოს წასვლა.

იგორი ოფლშია გაღვარული. არა, საქმე სინანული კი არა (ევა, უეჭველია, იმსახურებს მისთვის გაღებულ მსხვერპლს), მისი უაზრო წამოწყებაა. კი, სავსებით ნათელია, რომ ქალმა, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარს, უნდა იცოდეს, მისი გულისთვის ის ყველაფერზე წამსვლელია - სამყაროთა განადგურებაზეც კი, მაგრამ ღირს? ეგებ დგება წამი, როცა ხვედრს უნდა შეურიგდეს, არ წავიდეს დინების წინააღმდეგ და ადამიანები თვითონვე მოეგონ გონს?

დაიღალა. გონივრულად განსჯა აღარ შეუძლია. და, ვინ იცის, მკვლელობას იქნებ მოწამეობა სჯობდეს? იქნებ სჯობდეს, ჩაბარდეს, მიჰყვეს ბედის ნება-სურვილს და ამით სიყვარულს ყველაზე დიდი მსხვერპლი - საკუთარი სიცოცხლე მიუტანოს? ხომ ასე მოიქცა იესო მთელი კაცობრიობის წინაშე. ეს ხომ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო ადამიანებისათვის, რომლებმაც ის დამარცხებული და ჯვარზე გაკრული ნახეს და იფიქრეს, ამით ყველაფერი დასრულდა და მოპოვებული გამარჯვებით გახარებულნი დაიშალნენ? ისინი ამაყობდნენ გამარჯვებით და ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ამ პრობლემას საბოლოოდ მოუღეს ბოლო.

იგორს თავგზა აებნა. ის სამყაროების განადგურებას აპირებდა და არა სიყვარულის სანაცვლოდ საკუთარი თავისუფლების შეთავაზებას... ხშირწარბება გოგონა ყოვლადწმინდა ქალწულს, დამწუხრებულ ღვთისმშობელს ჰგავდა.

სააბაზანოში შედის და ყინულივით ცივ წყალს უშვერს თავს. ყველაფერი, ალბათ, გამოუძინებლობის, ადგილის შეცვლის, დროთა შორის განსხვავების ან იმის ბრალია, რომ ისეთი რამ ჩაიდინა, რომლის ჩამდენიც, ეგონა, არ იყო. ახსენდება აღთქმა, რომელიც წმინდა მაგდალენას წმინდა ნაწილების წინაშე დადო. მაინც, ვითომ სწორად იქცევა? მინიშნება სჭირდება.

თავგანწირვა. დიახ, ამაზე ადრეც უფიქრია. მაგრამ მხოლოდ ახლა, ამ დილით, ორი სამყაროს განადგურებით გამდიდრებული გამოცდილების შემდეგ შეიცნო ნათლად, რა ხდებოდა სინამდვილეში. მთლიანად მინდობოდა, სჯეროდა თავისი ჯალათისხელება სხეულისა. მას კი განსჯიან მხოლოდ ქმედების მიხედვით, იმას არ კითხულობენ, ადამიანს რა შემაგულიანებელი განზრახვები და მიზეზები აიძულებს ამა თუ იმ ქმედების ჩადენას, რასაც საზოგადოებაში საძრახისად მიიჩნევენ. იესო (მან იცოდა, რომ სიყვარული ყველაფერს იმსახურებს) მიიღებს მის სულს, ევას კი მისი გული დარჩება. ევა მიხვდება, რომ მის გამო შეძლო თავი საზოგადოებისთვის მსხვერპლად მიეტანა. გილიოტინა არ ემუქრება, რადგან სიკვდილით დასჯა საფრანგეთში დიდი ხანია გაუქმებულია, მაგრამ პატიმრობაში მრავალი წლის გატარება მოუწევს. ევა მოინანიებს ცოდვებს, ციხეში მოინახულებს, ამანათს მოუტანს, დროსაც გამონახავენ - სასაუბროდ, დასაფიქრებლად და სასიყვარულოდაც. თუმცა მათი სხეულები ერთმანეთს ვერ შეეხებიან, მათი სულები, ბოლოს და ბოლოს, ადრინდელთან შედარებით, გაცილებით მეტად დაახლოვდებიან. დიდხანს ლოდინი რომც დასჭირდეთ, იმ წუთისათვის, როცა ერთად ცხოვრებას დაიწყებენ იმ სახლში, რომლის აშენება იგორმა ბაიკალის სანაპიროზე გადაწყვიტა, ეს ლოდინი მათ განწმენდს და მადლით შემოსავს.

დიახ! თავი უნდა გაწიროს! კეტავს ონკანს, ერთხანს სარკეში თავის ანარეკლს უყურებს, მაგრამ იქ საკუთარ თავს კი არა, სამსხვერპლოდ შეწირულ კრავს ხედავს. იცვამს იმავე ტანსაცმელს, რომელიც დილით ეცვა და ქუჩაში გადის, იმ ადგილისკენ ეშურება, სადაც თავისი საქონლით ყოველდღე იჯდა ხოლმე პატარა გამყიდველი, მერე კი პირველ შემხვედრ პოლიციელთან მიდის:

- გოგონა, აქ რომ ვაჭრობდა, მე მოვკალი, - პოლიციელი ათვალიერებს - ელეგანტურადაა ჩაცმული, მაგრამ თმა აბურდვია, თვალები კი ჩალურჯებია.

- კუსტარული ნაკეთობებით? - იგორი დასტურის ნიშნად თავს უქნევს. პოლიციელი განზე დგება და გულთბილად ესალმება სუპერმარკეტიდან გამოსულ ცელოფნის პაკეტებით დატვირთულ წყვილს.

- ვინმე დაგექირავებინათ. თვითონ აპირებთ წაღებას?

- თქვენ თუ გადაუხდით გასამრჯელოს, - ღიმილით პასუხობს ქალი, - დედამიწის სფეროს ამ წერტილში არავის დაქირავება არ შეიძლება.

- ჰო, აბა, ყოველ კვირა ახალ-ახალი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი გიკეთიათ, ასე რომ, მიზეზი ეგ არ უნდა იყოს.

იგორი განცვიფრებული უყურებს მათ: ის ხომ ეს-ესაა გამოუტყდა დანაშაულში!

- გაიგეთ, რა გითხარით?

- დღეს ძალზე ცხელა. ცოტა დასვენება არ გაწყენდათ. გამოიძინეთ... კანს თავის სტუმრებისთვის ბევრი რამის ჩვენება შეუძლია.

- ამ გოგონას საქმე როგორღა იქნება?

- იცნობდით?

- მანამდე არასოდეს მინახავს. დილით აქ იდგა... მე...

- ...ნახეთ როგორ მოვიდა სასწრაფო დახმარება და ვიღაც საკაცით როგორ შეიტანეს მანქანაში - ყველაფერი გასაგებია. გადაწყვიტეთ, რომ თქვენ მოკალით. არ ვიცი, ვინ ხართ, გყავთ თუ არა შვილები, მაგრამ გთხოვთ - ნარკოტიკებისაგან შორს დაიჭიროთ თავი. ამბობენ, ვითომც, არც ისე დიდი ზიანი მოაქვსო, მაგრამ ხომ ხედავთ, რა დაემართა საბრალო პორტუგალიელ გოგონას.

და ისე წავიდა, პასუხს არ დალოდებია.

იგორი ფიქრობს: თავისი უნდა გაიტანოს, დაწვრილებით შეატყობინოს ყველაფერი - მაშინ მაინც არ მიიღებენ სერიოზულად? გასაგებია, რომ კანის მთავარ პროსპექტზე დღისით, მზისით ადამიანის მოკვლა არ შეიძლება, მაგრამ მაშინ რაღას იტყვიან, როცა მოუყვება, უამრავი სტუმრის თვალწინ როგორ ჩააქრო კიდევ ერთი გალაქტიკა?

მაგრამ წესრიგის დამცველებმა და კანონის მსახურებმა არც მოუსმინეს.

ეს რა ქვეყანაა?! ნუთუ იმისათვის, რომ მოგისმინონ, ჯიბიდან პისტოლეტის ამოღება და ბათქაბუთქის ატეხაა საჭირო? ნუთუ, ბოლოს და ბოლოს, რომ დაგიჯერონ, უხამსად უნდა მოიქცე ბარბაროსივით?

იგორი თვალით აცილებს მიმავალ პოლიციელს - ის ქუჩას ჭრის და კაფეში შედის. იგორი გადაწყვეტს, ერთხანს კიდევ იდგეს აქ, შეიძლება პოლიციელმა გადაიფიქროს, გადაწყვიტოს, მაინც შეამოწმოს, ან ეგებ განყოფილებიდან მიიღოს განკარგულება და მაშინ მაინც მოისურვოს ამ უცნაურ გამვლელთან გამოლაპარაკება.

მაგრამ თითქმის დარწმუნებულია, ეს არ მოხდება. ყურებში ისევ უდგას იმ ქალის ბრილიანტისთვლიან ბეჭედზე პოლიციელის ნათქვამი. იქნებ იცის, საიდან აქვს ეს ბეჭედი? რა თქმა უნდა, არა: პოლიციელი ქალს აქამდეც წაიყვანდა განყოფილებაში და კონტრაბანდისთვის პასუხისგებაში მისცემდა.

ქალებისთვის, რასაკვირველია, ბრილიანტი მაგიური აღმოჩენაა საიუველირო მაღაზიის დახლებზე, მას შემდეგ, რაც გამყიდველები წამდაუწუმ ეუბნებიან, რომ ბელგიელი და ჰოლანდიელი ოსტატების მიერ არის დაწახნაგებულიო. გამჭვირვალობის, კარატის რაოდენობისა და დაწახნაგების სახეობათა მიხედვით, ფასი შეიძლება რამდენიმე ათას ევროს აჭარბებდეს, რაზეც უბრალო მოკვდავთა უმრავლესობას ოცნებაც კი არ შეუძლია.

ბრილიანტი, როგორც ყველასათვის ცნობილია, გახეხილი, დაწახნაგებული ალმასია, ანუ ნახშირბადის ნატეხი, რომელმაც დროისა და ტემპერატურისგან განიცადა ზემოქმედება. ვინაიდან ეს არაორგანული ნივთიერებაა, შეუძლებელია ზუსტად ითქვას, რამდენი დრო დასჭირდა მისი სტრუქტურის შეცვლას, თუმცა გეოლოგები 300 მილიონიდან ერთ მილიარდამდე წელიწადს ვარაუდობენ. ასეთი მინერალი, ჩვეულებრივ, 150 კილომეტრის სიღრმეში წარმოიქმნება, მერე თანდათან იწევს მიწის ზედაპირის ახლოს, რაც მისი მოპოვების საშუალებას იძლევა.

ალმასი ბუნებაში ყველაზე მყარი და გამძლე ნივთიერებაა და მისი დამუშავება მხოლოდ მეორე ალმასითაა შესაძლებელი. დაწახნაგების შემდეგ დარჩენილ წვრილ-წვრილ ნამტვრევებს მრეწველობაში იყენებენ - მაგალითად, გამაპრიალებელ ჩარხებად. ბრილიანტი კი სხვა არაფრისთვის ვარგა, მხოლოდ მორთვა-მოკაზმვას ემსახურება და აქვს ერთადერთი დანიშნულება - იყოს უსარგებლო ძვირფასეული.

ბრილიანტი ადამიანის სიხარბის უმაღლესი გამოხატულებაა.

რამდენიმე ათეული წლის წინათ, როცა მსოფლიომ, თითქოსდა, სოციალურ თანასწორობასა და პრაქტიკულობასთან დაბრუნება დაიწყო, ბრილიანტი ბაზრიდან თანდათან გაქრა, და ეს მანამდე გრძელდებოდა, სანამ სამხრეთ აფრიკის შტაბბინასთან არსებულმა უმსხვილესმა სამთო მადნეულის კომპანიამ დახმარებისთვის მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სარეკლამო სააგენტოს არ მიმართა. სუპერკლასის გარკვეულმა წარმომადგენლებმა მონახეს სხვები და ძიების შედეგად ამქვეყნად დაიბადა ფრაზა: „ბრილიანტი მარადიულია“.

და მორჩა: პრობლემა გადაიჭრა. საიუველირო ფაბრიკებმა იდეა დააბანდეს და მრეწველობის ამ დარგმაც ხელახლა დაიწყო აყვავება. თუკი ბრილიანტი მარადიულია, ის საუკეთესო საშუალებაა, რათა გამოხატო შენი სიყვარული, რაც, თეორიულად, მარადიული უნდა იყოს. არ არსებობს ამაზე ზუსტი ნიშანი, რითაც შეიძლება სუპერკლასი გაარჩიო მილიარდობით ადამიანისგან, ვინც ამ პირამიდის ძირშია. ძვირფას თვლებზე მოთხოვნილება გაიზარდა, ფასმა აიწია, რამდენიმე წლის შემდეგ კი სამხრეთაფრიკულმა კომპანიამ, საერთაშორისო ბაზარს კანონებს რომ კარნახობდა, დაინახა, რომ მათ გარშემო მთელი სივრცე გვამებით იყო მოფენილი.

იგორმა ეს ამბავი ყურმოკვრით არ იცის: ტომთა შორის ბრძოლის შეწყვეტა რომ გახდა საჭირო, ბევრი რამის გადატანა მოუხდა, მაგრამ არ ნანობს - მან მრავალი ათასი

ადამიანი გადაარჩინა სიკვდილს, თუმცა ეს ამბავი თითქმის არავინ იცის. მან მხოლოდ გაკვრით მოიხსენია ამ საქმეში თავისი მონაწილეობა იმ დღეს, როცა ევასთან ერთად ვახშმობდა ბაიკალის სანაპიროზე და თემის გავრცობა აღარ ისურვა: როცა კეთილ საქმეს სჩადი, დაე, მარჯვენა ხელმა არ იცოდეს, რას აკეთებს მარცხენა. მან ბრილიანტის სანაცვლოდ გადაარჩინა მრავალი სიცოცხლე, რასაც ვერავინ ვერასოდეს გაიგებს.

პოლიციელმა არაპროფესიონალიზმი გამოავლინა, როცა დამნაშავის აღიარება სერიოზულად არ მიიღო, და ამის ნაცვლად დაინტერესდა ბრილიანტით, თითზე რომ ეკეთა ქალს, რომელსაც სუპერმარკეტიდან ტუალეტის ქაღალდი და ჰიგიენური საშუალებები მოჰქონდა. პოლიციელს აზრადაც არ მოსდის, რომ ამ უსარგებლო დარგში წელიწადში 50 მილიარდი დოლარის ბრუნვაა და ადამიანების მთელი არმია მუშაობს - მოიპოვებენ ალმასს, გადაზიდავენ, ამუშავებენ, აწახნაგებენ, სვამენ ბეჭდებში, აზღვევენ, ვაჭრობენ ბითუმად თუ მდიდრულ საიუველირო მაღაზიებში. მან არ იცის, რომ საბადოდან დახლამდე გრძელი გზა ტალახსა და სისხლზე გადის.

ტალახში ის ფუთფუთებს, ვინც თავისი ცხოვრება მისი გამამდიდრებელი ქვის მოპოვებას მიუძღვნა. ის პოულობს და ყიდის 20 დოლარად იმას, რაც ბუტიკში მყიდველს ათი ათასი უჯდება. მაგრამ მაინც ფიქრობს, რომ წაგებული არ რჩება, რადგან მის მხარეში ხალხი წელიწადში ნახევარ ასეულ დოლარსაც ვერ გამოიმუშავებს. მისთვის კი ხუთი ქვაც საკმარისია, რომ ბედნიერად იცხოვროს, თუმცა ეს ბედნიერება ხანმოკლეა - მანამდე გრძელდება, სანამ მის სამუშაოზე უარეს პირობებს არ მოიგონებენ.

მისი ხელიდან ქვები უცნობ შემსყიდველთა ხელში გადადის. მერე კი დაუყოვნებლად ეგზავნება ლიბერიის, კონგოს ან ანგოლას არარეგულარულ არმიებს. უცნობი ადამიანი კბილებამდე შეიარაღებულ მცველთა თანხლებით მიემართება საიდუმლო აეროდრომისკენ. მიწაზე დაშვებული თვითმფრინავიდან გადმოდის პიჯაკში გამოწყობილი, რესპექტაბელური ბატონი, მას უკან მოჰყვება უბრალოდ ჩაცმული ადამიანი ჩემოდნით. უცნობი ცივად ესალმება ჩამოფრენილებს. მერე გადასცემს რამდენიმე პატარა შეხვეულ პაკეტს - ცრურწმენისა თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, პაკეტები ძველი წინდებისგანაა დამზადებული.

უბრალოდ ჩაცმული ჯიბიდან ოკულარს იღებს, მარცხენა თვალში იდგამს და თითოეულ ქვას ერთიმეორის მიყოლებით ამოწმებს. საათ-ნახევრის შემდეგ მას საქონელზე წარმოდგენა ექმნება. ჩემოდნიდან იღებს უზუსტეს ელექტრონულ სასწორს, წინდების შიგთავსს წონის. მერე ქაღალდის ნაგლეჯზე რაღაცას ანგარიშობენ, საქონელსა და სასწორს ჩემოდანში ინახავენ და ელეგანტური ბატონის მინიშნების შემდეგ ხუთ თუ ექვს მცველს თვითმფრინავიდან უზარმაზარი ყუთები გადმოაქვს და მიწაზე სპეციალურად გავლებულ ზოლთან ალაგებს, თვითმფრინავი კი მიფრინავს. მთელ ამ ოპერაციას ნახევარი დღე სჭირდება.

ყუთებს ხსნიან. ყუთებში სნაიპერული შაშხანები, ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმები და კასეტური ბომბებია. იარაღს დაქირავებულ ჯარისკაცებს დაურიგებენ და სულ მალე ქვეყანაში მოხდება სამხედრო გადატრიალება, რომლის სისასტიკე აჭარბებს ბოროტებასა და სიკეთეზე ყოველგვარ წარმოდგენას; ერთიანად ამოხოცავენ მთელ ტომს, აუპატიურებენ ქალებს, ბავშვები ობლად რჩებიან, ბევრი ნაღმებზე ფეთქდება და ხეიბრად რჩება. ამასობაში, ცხრა მთას იქით, სადღაც ანტვერპენში ან ამსტერდამში სერიოზული, გულისყურიანი ადამიანები ფრთხილად, სიყვარულით, შემოქმედებითი აღტაცების გრძნობით ამუშავებენ ქვებს და აჯადოებთ ათასფრად აკიაფებული თითოეული ახალი წახნაგი - დროის გამო გადასხვაფერებული ნახშირბადი. ალმასით დამორჩილებული ალმასი ბრილიანტად იქცევა.

ერთ მხარეს ხმამაღლა მოთქვამენ სასოწარკვეთილი ქალები. ცა კვამლის სუდარითაა დაფარული. მეორე მხარეს - კარგად განათებული ოთახიდან ძველებური, მშვენიერი სახლები მოჩანს.

2002 წელს გაერთიანებული ერების ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია - „კიმბერლის პროცესი“, რომელიც მოითხოვდა, თვალყური ედევნებინათ ალმასის წარმომავლობისთვის და ოქრომჭედლებს უკრძალავდა, შეეძინათ საბრძოლო მოქმედების ზონებიდან შემოტანილი ალმასი. გარკვეული დროის მანძილზე რესპექტაბელური ორგანიზაციები სამხრეთაფრიკული კორპორაციის სამსახურით სარგებლობდნენ, ამასთან, იჩენდნენ საზრისიანობას და ბრილიანტს კანონიერად ასაღებდნენ. რეზოლუცია ხომ მხოლოდ იმას ემსახურება, რომ პოლიტიკოსებს სათქმელად ჰქონდეთ: „ჩვენ ყოველგვარ ღონეს ვხმარობთ, რათა შევწყვიტოთ ბაზარზე „სისხლიანი ბრილიანტის“ შეღწევა“.

ხუთი წლის წინ იგორმა იარაღი ქვებზე გაცვალა, შეაგროვა პატარა რაზმი, რომლის დანიშნულება ჩრდილოეთ ლიბერიაში სისხლისმღვრელი დაპირისპირების შეწყვეტა იყო და მიაღწია კიდეც მიზანს. დახოცილები მხოლოდ მკვლელები იყვნენ. ტომთა შორის მშვიდობა დამყარდა, ბრილიანტს კი ამერიკელი იუველირები ყიდულობდნენ და უხერხულ შეკითხვებს თავს არიდებდნენ.

თუ საზოგადოება დანაშაულს აქეზებს, ადამიანს სრული უფლება აქვს, ჩაიდინოს ის, რაც მას ყველაზე სამართლიანად მიაჩნია.

რაღაც ამდაგვარი მოხდა პლაჟზეც. რამდენიმე წუთის წინათ აღმოჩენილი მოკლულების შესახებ რომელიღაც თანამდებობის პირი აუცილებლად იტყვის: „ყოველგვარ ზომებს ვღებულობთ, რათა მკვლელის ვინაობა დადგინდეს“.

როგორ დაადგენთ... მარადის დიდსულოვანი ბედი ახლაც უჩვენებს მას, რა გზას დაადგეს. წამებულს სამაგიერო არ მიეგება. დიახ, ევა, უეჭველია, გაიტანჯება მასთან განშორების გამო, არავისთან საუბარს ისურვებს და ხანგრძლივ ღამეებსა და უსასრულო დღეებს იგორის განთავისუფლების მოლოდინში გაატარებს. ნესტიანსა

და ცივ საკანში იგორის წარმოდგენისას ყოველთვის აეტირება. მაგრამ როცა საბოლოოდ დადგება ბაიკალის სანაპირო სახლში წასვლის დრო, უეჭველია, წლები მათ ნებას აღარ მისცემს, მოისურვონ და ხორცი შეასხან თავიანთ ჩანაფიქრს.

...პოლიციელი კაფედან გამოდის.

- როგორ? შენ ისევ აქა ხარ? რით შემიძლია დაგეხმარო? გზა ხომ არ აგებნა?

- არა, გმადლობთ, ყველაფერი რიგზეა.

- გაიგონეთ ჩემი რჩევა, დაისვენეთ... ამ საათებში მზეზე ყოფნა ძალზე საშიშია.

იგორი ბრუნდება სასტუმროში და შხაპს იღებს. ტელეფონისტს სთხოვს, ოთხ საათზე გააღვიძოს - მანამდე გამოძინებასაც მოასწრებს და აზრთა სიცხადის დაბრუნებასაც, აღარ გაიმეორებს ამ სულელურ საქციელს, რომელმაც ეს-ესაა კინაღამ მთელი გეგმები ჩაუშალა.

პორტიეს დაურეკა და ტერასაზე მაგიდა შეუკვეთა - გამოღვიძების მერე იქ, სიჩუმესა და სიმყუდროვეში კარგი იქნება ჩაის დალევაო.

შემდეგ დაძინების მოლოდინში დიდხანს შესცქეროდა ჭერს.

ბრილიანტის წარმომავლობა არავის ადარდებს. მთავარია ბრწყინავდეს.

ქვეყნიერებაზე ერთადერთი - სიყვარული იმსახურებს აბსოლუტურად ყველაფერს, სხვა დანარჩენი ლოგიკის კანონებს ეწინააღმდეგება.

იგორს, როგორც არაერთხელ დამართნია, ახლაც უსაზღვრო თავისუფლების შეგრძნება იპყრობს. თანდათან გადაუარა დაბნეულობამ და აფორიაქებამ, გონება ნათლად უმუშავებს. მან ბედი იესოს მიანდო. იესომ გადაწყვიტა, რომ ვალდებულია, შეასრულოს თავისი მოწოდება.

და სინანულის გრძნობის გარეშე, მშვიდად იძინებს.

1:55 PM

გაბრიელამ არჩია, აუჩქარებლად, ფეხით მისულიყო დანიშნულ ადგილამდე. სურს, დამშვიდდეს და აზრებს თავი მოუყაროს, რადგან ახლოსაა წუთი, როდესაც მისი ყველაზე იდუმალი ოცნება შეიძლება ასრულდეს. თუმცა შეიძლება ყველაზე შემზარავი კოშმარიც აუხდეს.

წრიპინებს ტელეფონი. მისი აგენტის შეტყობინებაა: „გილოცავ, ყველაფერზე დათანხმდი. გკოცნი“. გაბრიელა კრუაზეტის სანაპიროზე მოხეტიალე ბრბოს

გაჰყურებს: ხალხმა თითქოს თვითონაც არ იცის, რა უნდა. გაბრიელამ კი ნამდვილად იცის! ახლა ის უკვე აღარაა კანში ალალბედზე ჩამოფრენილი, განუსჯელად მოქმედი ამ ავანტიურისტი ბრბოს ერთ-ერთი წარმომადგენელი. მას აქვს სერიოზული რეზიუმე, პროფესიული ცოდნა, ცხოვრებაში არასოდეს უცდია, გამარჯვებისთვის გარეგნული მონაცემებით მიეღწია. ის ნიჭიერია და ცნობილ რეჟისორთან შეხვედრას სხვის დაუხმარებლად მიაღწია, არ უცდია, ვინმე ექსტრავაგანტური ჩაცმულობით მოეხიბლა; ამასთან, თავისი როლის რეპეტიციის გავლაც კი ვერ მოასწრო.

უეჭველია - რეჟისორი ყველაფერ ამას ყურადღებას მიაქცევს.

სასაუზმოდ ჩერდება - ამ წუთამდე თითქმის არაფერი ეჭამა. ყავის პირველმა ყლუპმა სინამდვილესთან დააბრუნა.

მაინც რატომ აირჩიეს ის?

რა როლს შესთავაზებენ?

ჯიბსონმა ვიდეორგოლის ნახვის მერე უარი რომ თქვას?

„დამშვიდდი, დასაკარგი არაფერი გაქვს! ეს შენი ერთადერთი შანსია“.

შანსი ერთადერთი არ არსებობს, ცხოვრება აუცილებლად მისცემს კიდევ ერთ შანსს, მაგრამ შინაგანი ხმა არ შოშმინდება: „შეიძლება, მაგრამ ეს როდის მოხდება? გახსოვს რამდენი წლისა ხარ?“

როგორ არ ახსოვს. ოცდახუთის. ეს მსახიობი ქალისთვის ბევრია.

გაბრიელა სენდვიჩისა და ყავის საფასურს იხდის და ნავსაყუდელისკენ მიდის. ცდილობს, ლაგამი ამოსდოს თავის ოპტიმიზმს და სხვები ავანტიურისტებად არ მოიხსენიოს. მიდის და თან პოზიტიური ქცევის ნორმებს იმეორებს; ეს ჩვეულება შველის, მომავალ შეხვედრაზე არ იღელვოს.

„თუ შენ გწამს გამარჯვების, გამარჯვება გიწამებს შენ.

ბოლომდე გარისკე და უკუაგდე ყველაფერი, რაც მშვიდ და მყუდრო ცხოვრებას გიქადის.

ტალანტი ყოვლისმომცველი საჩუქარია, მაგრამ მის გამოსაყენებლად გამბედაობაა საჭირო. ნუ შეგეშინდება!“

გაბრიელას შეგნებული აქვს: საკმარისი არაა, გულისხმიერებით ეკიდებოდე უდიდეს ბრძენთა და მოძღვართა გამონათქვამებს, დახმარება ზეცასაც უნდა სთხოვო და, როგორც ყოველთვის, ლოცვას იწყებს. გრძნობს, რაღაც აღთქმა უნდა დადოს და გადაწყვეტს, ამ როლს თუ მიიღებს, კანიდან ვატიკანამდე ფეხით წავა.

თუ ფილმს ნამდვილად გადაიღებენ...

თუ ფილმი საქვეყნო წარმატებას მოიპოვებს...

არა, საკმარისია, ჯიბსონმა გადაიღოს, რომ რეჟისორები და პროდიუსერები უმალ შეამჩნევენ ფილმს... მოკლედ, თუ ყველაფერი აუხდება, მაშინ შეასრულებს მომლოცველობას.

დგას დათქმულ ადგილზე და ზღვას გაჰყურებს. მერე ისევ აგენტის შეტყობინებას დასცქერის: თუკი ის უკვე საქმის კურსშია, ეტყობა, საქმე სერიოზულადაა. მაგრამ რას ნიშნავს რჩევა - „ყველაფერზე დათანხმდი?“ რეჟისორთან დაწოლასაც? თუ მთავარი როლის შემსრულებელთან?

ადრე ასეთ რამეს ვერ გაბედავდა, ახლა კი ყველაფრისთვის მზადაა. თანაც, ყველა ქალი ოცნებობს საქვეყნოდ სახელგანთქმულ ადამიანთან კავშირზე.

ისევ ზღვას დაშტერებია. შეეძლო, სახლში შეერბინა და ტანსაცმელი გამოეცვალა, მაგრამ ეს ცრურწმენის გამო არ ჩაიდინა. თუკი გასინჯვაზე ჯინსი და თეთრი ბლუზა ეცვა, საღამომდე ასე იქნება. მერე ქამარს იშვებს, ლოტოსის პოზაში ჯდება, როგორც იოგები მიუთითებენ, ნელა და ღრმად სუნთქავს და გრძნობს, მთელი სხეული, გული და თავი როგორ უბრუნდება ნორმას.

პირსასთან მოვარდნილი მოტორიანი ნავიდან ვიღაც კაცი ხტება.

- გაბრიელა შერი ხართ?

გაბრიელა თავს უქნევს, კაცი ნავში ჩაჯდომაში ეხმარება. ნავი ყოველგვარი სახისა და ზომის იახტებით სავსე ზღვისკენ იღებს გეზს. საჭესთან მჯდომი სიტყვას არ ძრავს, საერთოდაც ეტყობა, ფიქრებით სადღაც შორსაა, ალბათ წარმოიდგენს, რა ხდება ამ პატარა გემების კაიუტებში და ოცნებობს, რა კარგი იქნებოდა, თვითონაც რომ ყოფილიყო ერთ-ერთი მათგანის მფლობელი. გაბრიელას თავში უამრავი კითხვა ერევა, ორჭოფობს... ერთი თბილი სიტყვაა საკმარისი, რომ უცნობი მისი მოკავშირე გახდეს და ძვირფასი ინფორმაცია მიაწოდოს - როგორ უნდა მოიქცეს ასეთ ვითარებაში. მაგრამ ვინ არის ის? შეიძლება გავლენაც აქვს ჯიბსონზე, ისიც შეიძლება, რომ უბრალოდ მის დავალებას ასრულებს. არა, სჯობს, არ გარისკოს.

ხუთი წუთის შემდეგ ვეება, ქათქათა გემთან მიდიან. გემის ცხვირზე ჩანს წარწერა - „სანტიაგო“. მეზღვაური ტრაპს უშვებს, გაბრიელას გემბანზე ასვლაში შველის და ვრცელი მთავარი სალონის გავლით კიჩოსთან მიჰყავს. იქ, პატარა აუზთან, ქოლგების ქვეშ ორი მაგიდა და რამდენიმე შეზლონგი დგას, საღამოსწინა მზის შუქით განათებულ გემის ქიმთან კი ჯიბსონი და ცნობილი ვარსკვლავი სხედან.

„რას იზამ, ერთთან დაწოლასაც დავთანხმდებოდი და მეორესთანაც“, - გულში ეღიმება გაბრიელას და თავის თავში დარწმუნებულია, თუმცა გული ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად უცემს.

ვარსკვლავი თავით ფეხებამდე ათვალიერებს გაბრიელას და გამამხნევებლად და თანაგრძნობით უღიმის. ჯიბსონი დგება, მაგიდის გარშემო შემოწყობილი შეზლონგებიდან ერთ-ერთს განზე სწევს და სთხოვს, დაჯდეს, თან მაგრად ართმევს ხელს. მერე სადღაც რეკავს და სასტუმროში აპარტამენტს უკვეთავს, ნომერს ხმამაღლა იმეორებს, თან გაბრიელას მისჩერებია.

ასეც ფიქრობდა. სასტუმრო.

- აქედან „ჰილტონში“ წახვალთ. იქ ჰამიდ ჰუსეინის კაბებია. დღეს საღამოს Cap d’Antibes-ის წვეულებაზე ხართ მიპატიჟებული.

ჰო, სინამდვილეშიც ისეა, როგორც წარმოედგინა... როლს აძლევენ! დღესასწაულზეც იწვევენ! Cap d’Antibes-ის წვეულება!

რეჟისორი ახლა ვარსკვლავს უყურებს.

- შენ რას იტყვი?

- სჯობს, მოვუსმინოთ, რას გვეტყვის ჩვენი სტუმარი.

ჯიბსონი თანხმობის ნიშნად თავს უქნევს და გაბრიელას მიმართავს:

- მოგვიყევით საკუთარ თავზე;

გაბრიელა იმით იწყებს, სად სწავლობდა სამსახიობო ოსტატობას, რა რგოლებში გადაუღიათ. ამჩნევს, რომ ორივე უყურადღებოდ უსმენს: აქ, ცხადია, ათასობით მსგავსი ამბავი მოუსმენიათ, მაგრამ გაჩერება არ შეუძლია და უფრო მეტს ლაპარაკობს. მთელი მისი ცხოვრება ერთადერთ, სწორად ნაპოვნ სიტყვაზეა დამოკიდებული, მაგრამ გაბრიელას მისი მოძებნა უჭირს. ოხრავს, ცდილობს, თავი ძალდაუტანებლად და ბუნებრივად ეჭიროს, ხუმრობს კიდეც და ცდილობს, არავის ჰგავდეს, მაგრამ აგენტის მიერ განსაზღვრულ მარშრუტს ოდნავადაც ვერ სცდება.

ორი წუთის შემდეგ ჯიბსონი აჩერებს.

- ძალიან კარგი, მაგრამ ჩვენ ეს ისედაც ვიცით შენი რეზიუმედან. რატომ არაფერს გვიყვები საკუთარ თავზე?

ეს სიტყვები მოულოდნელად რაღაც შინაგან ბარიერს ამსხვრევს. იმის მაგივრად, რომ პანიკაში ჩავარდეს, გაბრიელა მშვიდდება და მისი ხმა თავდაჯერებულად და მტკიცედ ჟღერს.

- მე უბრალოდ იმ მილიონ ადამიანთაგანი ვარ, ვინც ნიადაგ ოცნებობს შუა ზღვაში ამ იახტაზე აღმოჩნდეს და თქვენთან მომავალ სამუშაოზე ისაუბროს... და ეს ორივეს მშვენივრად მოგეხსენებათ. გარდა ამისა, ასე მგონია, რაც უნდა ვთქვა, ეს რაიმეს შეცვლის... აბა, რა გითხრათ? გასათხოვარი რომ ვარ? დიახ. როგორც ყველა გოგოს,

მეც მყავს მეგობარი, ის ამჟამად ჩიკაგოში მელოდება და ლოცულობს, ჩემი მცდელობა მარცხით დამთავრდეს...

მის სიტყვებზე ორივეს ეცინება და ეს დაძაბულობას ხსნის.

- მე მთელი ძალ-ღონით ვიბრძოლებ, თუმცა ვიცი, შესაძლებლობის ზღვარზე ვიმყოფები: ჩემი ასაკის მსახიობი ქალები პრობლემას უქმნიან კინოინდუსტრიის მოთავეებს... ისიც ვიცი, ბევრი გოგონა ტოლს არ დამიდებს ნიჭიერებაში და შეიძლება მჯობდნენ კიდეც. მე რატომ ამომარჩიეს, არ ვიცი, მაგრამ მზად ვარ, ყველაფერზე დავთანხმდე. შესაძლოა, ეს ჩემი უკანასკნელი შანსია, შეიძლება, რასაც ახლა ვამბობ, ჩემთვის ზიანის მომტანიც იყოს, მაგრამ არჩევანი არ მაქვს. მთელი ცხოვრება ამ წუთისთვის ვემზადებოდი - მონაწილეობა მიმეღო კასტინგში, გავმხდარიყავი რჩეული და მემუშავა ნამდვილ პროფესიონალებთან. თუნდაც ყველაფერი მხოლოდ ჩვენი შეხვედრით დასრულდეს და შინ ხელცარიელი დავბრუნდე, ის მაინც მეცოდინება, რომ გამაჩნია თვისებები, რის წყალობითაც აქ მოხვედრა შევძელი: ეს თვისებებია შეუპოვრობა და სიმტკიცე. ჩემი თავის საუკეთესო მეგობარიც ვარ და უბოროტესი მტერიც. სანამ აქ მოვიდოდი, ვფიქრობდი, რომ ამას არ ვიმსახურებ, რომ ვიღაცას მოლოდინს გავუცრუებ, რომ ის ადამიანები შეცდნენ, ვინც მე ამომარჩია. მაგრამ ჩემი სულის მეორე ნახევარი მიმტკიცებდა, რომ ეს იმის საჩუქარია, არჩევანი რომ გავაკეთე, გზას არ გადავუხვიე და ბოლომდე მივყევი.

გაბრიელა თვალს არიდებს მათ. უეცრად ტირილის უზომო სურვილი იპყრობს, მაგრამ, ნებისყოფის დაძაბვით, ცრემლებს იკავებს, რათა არ იფიქრონ, ემოციურ შანტაჟს იყენებსო. ვარსკვლავის ხავერდოვანი ბარიტონი სიჩუმეს არღვევს:

- ჩვენთან, როგორც ყველა სხვა სფეროში, არიან პროფესიონალიზმის დამფასებელი პატიოსანი ადამიანები. სწორედ ამიტომაც ვარ აქ. ასევე წარიმართა ჩვენი რეჟისორის ბედი. სიტუაცია, რომელშიც შენ იმყოფები, საკუთარ თავზეც გამოგვიცდია და ვიცით, რასაც გრძნობ.

გაბრიელას თვალწინ მთელმა მისმა ცხოვრებამ ჩაიქროლა - იმ წლებმა, როცა ეძიებდა და ვერ პოულობდა, როცა კარზე აკაკუნებდა, მაგრამ არავინ უღებდა, თხოულობდა, მაგრამ პასუხის ღირსადაც არავინ ხდიდა. როცა მის გარშემო ისეთი გულგრილობა სუფევდა, თითქოს ამქვეყნად ის საერთოდ არ არსებობდა. და როცა უარს ღებულობდა, მაინც უხაროდა - ეს იმას ნიშნავდა, რომ ვიღაცამ მაინც შეამჩნია.

ახსენდება ხალხი, ვინც უმტკიცებდა, მიუღწეველს ეპოტინებოდა, ახლა კი ყველაფერი კარგად რომ დასრულდეს, მეგობრულად ეტყვიან: „ყოველთვის ვიცოდი, რომ ნიჭიერი იყავი“. უხარია, რომ ეყო შემართება, საკუთარი თავისგან არ შეექმნა ზეადამიანი და ნაზი და სუსტი დარჩენილიყო. ეს კი მის სულში მნიშვნელოვან ცვლილებას გამოიწვევს. ახლა ჯიბსონმა გადაწყვეტილება რომც შეცვალოს,

დაუნანებლად დაბრუნდება უკან მოტორიანი ნავით, რადგან ასეთ მომენტში ღირსეულად ეჭირა თავი.

ის სხვებზე იყო დამოკიდებული. ბევრ ტანჯვად დაუჯდა ეს გაკვეთილი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა. ის იცნობდა ადამიანებს, თავიანთი ემოციური დამოუკიდებლობით რომ ამაყობდნენ, თუმცა სინამდვილეში ისინიც მასავით ნაზები არიან, ჩუმად ტირიან სხვების დაუნახავად და არავის სთხოვენ დახმარებას. მათ სწამთ დაუწერელი კანონის, რომ „სამყარო ძლიერთა ხვედრია“ და „ვინც შეეგუება, გადარჩება“ - ტყუილია. ასე რომ იყოს, ადამიანთა მოდგმა უკვე დიდი ხანია მოისპობოდა, ან საერთოდ არ იარსებებდა, ვინაიდან ამ ყაიდის პიროვნებები დიდხანს საჭიროებენ დაცვას, მეურვეობას, მოვლას...

- რაზე ჩაფიქრდით? - ეკითხება ვარსკვლავი.

- შვებით ამოვისუნთქე, როცა მივხვდი, რომ საჭირო არ არის თავის ძლიერად მოჩვენება. ჩემი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში მიჭირდა ადამიანებთან ურთიერთობა, რადგან მიმაჩნდა, ყველაზე კარგად ვიცოდი, როგორ მიმეღწია მიზნისთვის. საყვარლები მტოვებდნენ და მიზეზი ვერ გამეგო. მაგრამ ერთხელ, გასტროლების დროს, გრიპით გავხდი ავად და იძულებით ნომერში დავრჩი. როგორი საზიზღრობაც უნდა იყოს, იმაზე ვფიქრობდი, რომ ჩემს როლს სხვა თამაშობდა. ვეღარ ვჭამდი, მაბოდებდა და ექიმი რომ გამოიძახეს, უმალ სახლში გამიშვა. ვფიქრობდი, ყველას პატივისცემა დავკარგე-მეთქი, მაგრამ არაფერი ამისთანა არ მომხდარა - ყვავილებით ამავსეს, ტელეფონი შეუჩერებლივ რეკავდა, ყველა ჩემს ჯანმრთელობას კითხულობდა. ის ხალხი, ვინც ჩემი მეტოქე მეგონა, ვინც სოფიტების ქვეშ ადგილს მედავებოდა, ჩემზე წუხდა. ერთმა მსახიობმა ღია ბარათიც კი გამომიგზავნა ტროპიკებში მომუშავე ექიმის სტატიასთან ერთად.

„ყველამ ვიცით ცენტრალურ აფრიკაში გავრცელებული ავადმყოფობა - საღათას ძილი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, არსებობს ანალოგიური სნეულება, რომელიც აზიანებს სულს და არა ხორცს. ეს საშიში დაავადებაა. დასაწყისში თავს არაფრით იჩენს. როგორც კი საკუთარ თავს ახლობლებისადმი გულგრილობას შეატყობ, განგაში ატეხე! ამ სნეულების თავიდან არიდების ერთადერთი საშუალებაა მიხვდე, რომ სული იტანჯება, როცა ზერელობას ვაიძულებთ. სულს სილამაზე და სიღრმე უყვარს“.

ვარსკვლავი უსმენს და ჯერ კიდევ სკოლაში ნასწავლი საყვარელი ლექსის სტრიქონები აგონდება: „შენ უნდა დათმო, მიატოვო ყველაფერი და ყოველივე უნდა ზომო ჩემი საზომით“. „მართლაც, ცხოვრებაში არჩევანის გაკეთება ყველაზე ძნელია“, ფიქრობს იგი და სანამ გაბრიელა თავის ამბავს ჰყვება, მის ხსოვნაში საკუთარი ცხოვრების გზის ეტაპები ცოცხლდება.

თეატრის მსახიობის ტალანტის წყალობით მიღებული პირველი სერიოზული შანსი... მისი ცხოვრება გასაოცრად შეიცვალა.

დიდება ისეთი სისწრაფით იზრდებოდა, რომ მასთან შეგუებას ვერ ასწრებდა, ამიტომაც ისეთ მიწვევებზე თანხმდებოდა, სადაც გამოჩენა არ უღირდა და ისეთ შეხვედრებზე ამბობდა უარს, რომლებიც გვარიანად შეუწყობდა ხელს მის კარიერას. ფული, ძვირფასი საჩუქრები, ეგზოტიკური მოგზაურობები, კერძო თვითმფრინავები, მდიდრული რესტორნები, სასტუმროს აპარტამენტები... პირველმა რეცენზიებმა, პატივისცემისა და აღფრთოვანების სიტყვებმა, ქებამ და აღტაცებამ გულის სიღრმემდე შეძრა. მსოფლიოს ყველა კუთხიდან ტომრობით წერილები მოდიოდა. პირველ ხანებში ცდილობდა ყველა წერილისთვის ეპასუხა, ხანდახან პაემანსაც კი უნიშნავდა გოგონას, რომელიც თავის ფოტოსურათს უგზავნიდა, სანამ არ დარწმუნდა, ეს სრული უაზრობა იყო. აგენტმა აუხსნა, რომ ეს მარტო არასასურველი კი არა, სახიფათოც იყო და შეიძლება მახეში გაბმულიყო. მიუხედავად ამისა, დღესაც განსაკუთრებული სიხარულით ივსება, როცა იგებს, რომ მისი თაყვანისმცემლები ყოველ მის დაცემინებას თუ ამოოხვრას სდარაჯობენ, ხსნიან მისდამი მიძღვნილ ვებგვერდებს, გააფთრებით იცავენ პრესაში გამოჩენილი კრიტიკული შენიშვნებისგან და გაალმასებით ეკამათებიან აზრს, თითქოს ბოლო როლში იმდენად დამაჯერებელი აღარ იყო.

ამასობაში წლები მიდის. ნებაყოფლობითი მონობა, რაც ადრე სასწაული ან ბედის საჩუქარი ეგონა, თანდათან ცხოვრების ერთადერთ აზრად ექცა. ასე რომ, ცოტა წინ თუ გაიხედავს, გული დასწყდება: ყოველივე ეს ხომ ოდესმე დასრულდება: გამოჩნდებიან სხვა, უფრო ახალგაზრდა მსახიობები, რომლებიც უფრო მეტს იმუშავებენ და მეტ პოპულარობას მიაღწევენ, ანაზღაურებას კი ნაკლებს მოითხოვენ. ფინანსური პირობებიც იცვლება. ფიქრობდა, ეს სამუშაო არასოდეს დამთავრდებოდა და თავის აგენტს სთხოვა, კიდევ უფრო მეტი ჰონორარი მოეთხოვა. ამის შემდეგ სულ უფრო და უფრო იშვიათად იღებენ. როცა რომელიმე როლზე თანხმდებოდა, აუცილებლად დააყოლებდა ხოლმე, რომ, თუმცა ჰონორარი არ შეესაბამება მის ჩვეულ შეფასებას, კონტრაქტს ხელს მაინც აწერს, მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან მოსწონს ეს როლი. პროდიუსერებს ისე ეჭირათ თავი, თითქოს ეს სჯეროდათ, აგენტიც თავს იკატუნებდა, თითქოს მათი მოტყუება შეძლო.

პიარმენეჯერი ფოტოსურათის გადაღებას სთავაზობს. სთავაზობს, გადაიღოს, როგორ კოცნის რომელიმე სახელგანთქმულ მსახიობ ქალს. სურათმა შეიძლება სკანდალური ჟურნალის გარეკანი დაამშვენოს. უკვე შეარჩიეს და მოელაპარაკნენ პარტნიორს, რომელსაც ასევე სჭირდება პოპულარობა. ახლა მხოლოდ შესაფერის მომენტს დაელოდებიან გალავახშამზე. ყველაფერი ისე უნდა გამოიყურებოდეს, თითქოს სპონტანურად ხდება და ორივე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იქვე სადღაც ფოტოგრაფია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიმჩნიონ მათკენ მიმართული ობიექტივი. მერე, როცა სურათს გამოაქვეყნებენ, თავიდან ორივე

ყველაფერს უარყოფს, მერე განაცხადებენ, რომ ეს პირად ცხოვრებაში ჩარევაა და მათი ადვოკატები გამომცემლობას უჩივლებენ. პიარმენეჯერები ეცდებიან, ეს თემა რაც შეიძლება დიდხანს გრძელდებოდეს მედიაში.

და თუ დაუკვირდება, ხანგრძლივი მუშაობისა და ხმაურიანი დიდების მიუხედავად, დიდად არ განსხვავდება ახლა მის წინ მჯდომი გოგონასაგან.

„შენ უნდა დათმო, მიატოვო ყველაფერი და ყოველივე უნდა ზომო ჩემი საზომით“...

ჯიბსონი მოულოდნელად ჩამომდგარ ნახევარწუთიან სიჩუმეს არღვევს.

- უეჭველია, უპირველეს ყოვლისა, გსურთ გაიგოთ, რა როლზე უნდა აგიყვანოთ. პრემიერამდე ფილმის სახელწოდება შეიძლება ასჯერ შეიცვალოს. პასუხი მარტივია: ამის პარტნიორის როლში, - და ვარსკვლავზე მიუთითებს, - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - ქალის მთავარ როლზე. შემდეგი კითხვა ასეთი გექნებათ: „რატომ მე და არა რომელიმე სახელგანთქმული მსახიობი?“ მართალია?

- დიახ.

- შემიძლია აგიხსნათ. საქმე ფინანსებია. სურათს, რომელიც უნდა გადავიღო, პროდიუსერად პირველად ეყოლება ჰამიდ ჰუსეინი თავისი შეზღუდული ბიუჯეტით. ბიუჯეტის ნახევარი წარმოებას კი არა, სარეკლამო კამპანიას მოხმარდება. ამიტომაც გვჭირდება ვარსკვლავი, რომლის სანახავადაც პუბლიკა მივა და ჯერჯერობით უცნობი, მაშასადამე, იაფფასიანი მსახიობი. ასეთი რამ არც პირველად ხდება და არც - უკანასკნელად. მცდარია შეხედულება, თითქოს ჰოლივუდის ყველა მსახიობი არნახულ თანხას იღებს. ისინი, ვისაც შეუძლია თქვას, რომ დიდ ფულს შოულობენ, ათიოდე ან ოციოდე კაცი თუ იქნება, დანარჩენები მხოლოდ თავს აჩვენებენ მილიონერ მსახიობებად. მათთვის სტუდია სახლებს იჯარით იღებს, ტუალეტს, ძვირადღირებულ სამკაულებს, ავტომობილებს ქირაობს, და ამით ექმნებათ მოჩვენებითი ფუფუნებითი ცხოვრება. სტუდენტები უხდიან მთელი გლამურის საფასურს, მსახიობები კი მოკრძალებულ ხელფასებს ღებულობენ. ჩვენს თანამოსაუბრეს, - ჯიბსონი ვარსკვლავზე თავით ანიშნებს, - ეს არ ეხება, ხოლო თქვენ - კი.

ვარსკვლავი ვერ ხვდება, გულწრფელია თუ არა ჯიბსონი, ნამდვილად ჰგონია, გვერდით თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მსახიობი უზის, თუ ძლივსშესამჩნევად უკბინა. თუმცა ამას არა აქვს მნიშვნელობა - ოღონდ კონტრაქტზე მოაწეროს ხელი, პროდიუსერმა ბოლო წუთებში არ გადაიფიქროს, სცენარისტებმა დროზე ჩააბარონ ტექსტი, ბიუჯეტს არ გადააჭარბონ და დროულად დაიწყოს შესანიშნავად მოფიქრებული პიარკამპანია. ის ასჯერ მაინც მოსწრებია, უსარგებლოდ როგორ ქცეულან იმედის მომცემი პროექტები. რა გაეწყობა, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ასეთია ცხოვრება. მაგრამ მას მერე, რაც ცოტა ხნის წინათ მისი ნამუშევარი პუბლიკისათვის თითქმის შეუმჩნეველი დარჩა, აუცილებლად ესაჭიროება

ხმაურიანი წარმატება, ჯიბსონს კი ყველა შესაძლებლობა აქვს, ეს წარმატება უზრუნველყოს.

- თანახმა ვარ, - ამბობს გოგონა.

- თქვენს აგენტს ყველაფერზე მოველაპარაკეთ. ჩვენთან ხელს ექსკლუზიურ კონტრაქტს მოაწერთ. პირველი სურათის გადაღებისას ერთი წლის მანძილზე თვეში ხუთი ათასს მიიღებთ და ვალდებულებას აიღებთ, ჩვენი პიარმენეჯერების მიერ მითითებულ ნებისმიერ ადგილზე გამოჩნდეთ და რასაც დაგავალებენ, ის ილაპარაკოთ. ყოველ შემთხვევაში, საკუთარი აზრი არ უნდა გამოთქვათ. გასაგებია?

გაბრიელა თავს უქნევს. სხვა რა დარჩენია. უპასუხოს, რომ ხუთი ათასი მდივნების ხელფასია ევროპაში? რა აზრი აქვს? ან უნდა დათანხმდეს, ან უარი უთხრას. გადაწყვიტა, აჩვენოს, რომ უყოყმანოდ იღებს თამაშის წესებს.

- თუმცა, - განაგრძობს ჯიბსონი, - მილიონერივით იცხოვრებთ და თავიც სუპერვარსკვლავივით უნდა გეჭიროთ, გახსოვდეთ - სინამდვილეში ასე არ არის. ყველაფერი თუ კარგად წარიმართა, მომდევნო ფილმის გადაღებაზე ათი ათასს მიიღებთ. თავის დროზე ამ საუბარს მივუბრუნდებით. თქვენი აგენტი, რა თქმა უნდა, ჩვენი წინადადების საქმის კურსშია, თქვენ კი გეტყობათ, არაფერი იცოდით.

- ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ჯიბსონს თავი ისე უჭირავს, ვითომც ვერ გაიგო.

- იმიტომ არ მომიწვევიხართ, რომ თქვენს სინჯებზე გელაპარაკოთ, მაგრამ მაინც გეტყვით, ყველაფერი დიდებულად გამოვიდა, დიდი ხანია ამაზე უკეთესი არაფერი მინახავს. აქ კი იმიტომ მოგიხმეთ, რომ თავიდანვე გაერკვეთ, რა გელით. ბევრი მსახიობი, ქალი იქნება თუ მამაკაცი, პირველ ფილმში რომ გადაიღებენ, ფიქრობს, მთელი სამყარო ფეხქვეშ უგია და წესების შეცვლას ცდილობს, მაგრამ ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია და ამის გამო დეპრესიაში ვარდება, ზოგი თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობს ხოლმე... ახლა სხვა პოლიტიკას მივდევთ: უპირველეს ყოვლისა, ვუხსნით, როგორ იქნება ყველაფერი. ამიერიდან თქვენში ორი ქალი შეერწყმება ერთმანეთს: ერთს, თუ ყველაფერი კარგად იქნება, მთელი ქვეყანა გააღმერთებს, მეორეს კი ეცოდინება და მუდამ ემახსოვრება, რომ არავითარ ძლევამოსილებას არ ფლობს.

გარდა ამისა, გირჩევთ: მანამ „ჰილტონში“ წახვალთ და დღევანდელი საღამოსთვის სამოსს მოისინჯავთ, კარგად დაფიქრდეთ შედეგზე. ნომრის ზღურბლს რომ გადააბიჯებთ, მრავალფურცლიანი კონტრაქტის ოთხ ეგზემპლარს დაინახავთ. სანამ ხელს მოაწერთ, მთელი სამყარო თქვენ გეკუთვნით და შეგიძლიათ ცხოვრება საკუთარი ნება-სურვილით განაგოთ, მაგრამ ხელს მოაწერთ თუ არა, თქვენი თავის ბატონ-პატრონი ვეღარ იქნებით. ყველაფერში გაგაკონტროლებთ: თმის შეკრეჭით

დაწყებული, იმ რესტორნით დამთავრებული, სადაც უნდა სადილობდეთ, თუნდაც სრულ უმადობას უჩიოდეთ. დიდებას რომ მოიხვეჭთ, რეკლამებიდან, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ბევრი ფული იშოვოთ. ამ მიზეზთა გამო თქვენი კოლეგები, როგორც წესი, თანხმდებიან ჩვენს პირობებს.

ორივე წამოდგა.

- როგორ ფიქრობთ, გამოგადგებათ პარტნიორად? - ვარსკვლავს მიუბრუნდა ჯიბსონი.

- შესანიშნავი მსახიობი დადგება. სხვა პრეტენდენტები მხოლოდ თავიანთი პროფესიონალიზმის ჩვენებას ცდილობენ ხოლმე, ეს კი გულწრფელ ემოციას ამჟღავნებს.

ჯიბსონმა კაცი მოიხმო, რომელსაც გაბრიელა ნაპირზე უნდა მიეყვანა. დამშვიდობებისას კი უთხრა:

- არ იფიქროთ, ეს იახტა მე მეკუთვნის.

და გაბრიელამ სწორად გაიგო ამ სიტყვების მნიშვნელობა.

3:44 PM

- მოდი, პირველ სართულზე ავიდეთ და ყავა დავლით, - სთავაზობს ქმარს ევა.

- ჩვენებამდე საათზე ნაკლები რჩება, ხომ იცი, იქ რა ჭედვაა.

- მოვასწრებთ.

ადიან კიბეებზე, მარჯვნივ უხვევენ, ბოლომდე გაივლიან დერეფანს, სადაც კარში მდგომი მცველი ცნობს და ესალმება მათ. გვერდს უვლიან საიუველირო ბუტიკების ვიტრინებს, სადაც გამოფენილია ბრილიანტები, ზურმუხტები, ბადახშები... პირველ სართულზე განლაგებულ, მზის სხივებით განათებულ ტერასაზე გადიან, რომელიც მრავალი წელია იჯარით აქვს აღებული ცნობილ საიუველირო ფირმას მეგობრების, ჟურნალისტებისა და ცნობილი ადამიანების მისაღებად. იქაურობა გაწყობილია ორიგინალური ავეჯით, ბარაქიანი და სხვადასხვანაირი ბუფეტებით. ისინი ქოლგით დაფარულ მაგიდასთან სხდებიან და სხარტ მიმტანს უკვეთავენ გაზიან მინერალურ წყალს და ორ ესპრესოს. ოფიციანტი ეკითხება, მენიუს ხომ არ ინებებთო, ისინი მადლობას უხდიან და ეუბნებიან, რომ უკვე ისადილეს.

ორი წუთის შემდეგ მიმტანს შეკვეთა მოაქვს.

- ყველაფერი კარგადაა?

- მშვენივრად.

„ყველაფერი საზიზღრადაა, - ფიქრობს ევა, - ყველაფერი ცუდია, გარდა ყავისა“.

ჰამიდი გრძნობს, რომ ევა ვერაა გუნებაზე, მაგრამ ახსნა-განმარტება სჯობს, გადადოს. არ უნდა ახლა ამაზე ფიქრი, ეშინია, ევამ რაღაც ამდაგვარი არ უთხრას: „იცი, შენგან მივდივარ“.

ერთ-ერთ მეზობელ მაგიდასთან მსოფლიოში სახელგანთქმული მოდელიორი ზის, წინ ფოტოკამერა უდევს, თვალი შორეთისათვის მიუპყრია და თავი ისე უჭირავს, თითქოს არავისთან ურთიერთობის განწყობა არ აქვს. ახლოს არავინ ეკარება; თუ ვიღაც უნებურად გადადგამს მისკენ ნაბიჯს, ორმოცდაათიოდე წლის სიმპათიური ქალი - მისი პიარ-მენეჯერი - თავაზიანად სთხოვს, არ შეაწუხონ. ჰამიდს ახსენდება, როგორ ნახა იგი პირველად პარიზში მრავალი წლის წინათ. პარიზში მაშინ თერთმეტი თვის ჩასული იყო, უკვე ჰყავდა მეგობრები და შეიხის შემწეობით, რომელსაც მაღალ წრეებთან ჰქონდა ურთიერთობა, მხატვრად მოდების ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ სახლში აიყვანეს. ჰამიდი არ დაკმაყოფილებულა ესკიზებით, რასაც მისგან ითხოვდნენ, ატელიეში შუაღამემდე იჯდა და თავისი ქვეყნიდან შემოტანილი ქსოვილებით ექსპერიმენტებს ატარებდა. ორჯერ ჩავიდა სამშობლოში. პირველად - როცა შეიტყო, რომ მამა გარდაეცვალა და ქსოვილებით მოვაჭრე პატარა საწარმო დაუტოვა მემკვიდრეობით. მანამ მოიფიქრებდა, რა უნდა ექნა მისთვის, შეიხის შიკრიკმა შეატყობინა, თუკი ვინმე ამ საქმის ხელის მოკიდებას ითავებდა, შეიხი თანხას გამოუყოფდა, საკუთრების უფლება კი მასვე დარჩებოდა.

გაკვირვებულ ჰამიდს აუხსნეს:

- აქ რაღაც ფრანგული ფირმის დაარსებაა განზრახული, რომელიც ფუფუნების საგნებს დაამზადებს. ისინი ჩვენს ქსოვილების მიმწოდებლებს დაუკავშირდნენ და შეჰპირდნენ, რომ თავიანთი საქონლისათვის მათ პროდუქციას გამოიყენებენ. ეტყობა, უკვე გვყავს კლიენტები, ჩვენ კი ჩვენს ტრადიციებს ვცემთ პატივს და კონტროლს შევინარჩუნებთ ნედლეულზე.

ჰამიდ ჰუსეინი პარიზში დაბრუნდა, იცოდა, მამამისის სული სამოთხეში მოხვდებოდა, მისი ხსოვნა კი მარად დარჩებოდა იმ ქვეყანაში, რომელიც ასე უყვარდა. თავდაუზოგავად განაგრძო მუშაობა, ქმნიდა კოსტიუმების ესკიზებს, რომლებშიც ბედუინების სამოსის მოტივებს იყენებდა. მისმა ესკიზებმა მალე მიიქცია ყურადღება.

ერთხელ, დილით, ჰამიდი დირექტორმა გამოიძახა. ის პირველად მოხვდა წმინდათაწმინდა ფირმაში და კაბინეტში გამეფებულმა უწესრიგობამ გააოცა - ყველა კუთხეში გაზეთები ეყარა, ძველ მაგიდაზე დახვავებული იყო ქაღალდის დასტები, კედლებზე ჩარჩოებში ჩასმული ჟურნალების გარეკანები და სხვადასხვა ცნობილ

ადამიანებთან გადაღებული პატრონის ფოტოსურათები ეკიდა, მაგიდაზე ქსოვილის ნიმუშები მიმოფანტულიყო, იქვე იდგა ყველა ზომის თეთრი ბუმბულით სავსე ჭიქაც.

- დიდ წარმატებას მიაღწიე. შენი ჩანახატები ვნახე. სხვათა შორის, ჩანახატებს სიფრთხილით უნდა მოეკიდო. ერთიც ვნახოთ, ვიღაც გავათავისუფლე და შენი წარმატებული იდეით ჩვენი კონკურენტი გამოვიდეს.

ჰამიდს არ ესიამოვნა, რომ უთვალთვალებდნენ, მაგრამ თავი შეიკავა. დირექტორმა კი განაგრძო:

- შენ ჩამოხვედი ქვეყნიდან, სადაც ხალხი ჩვენგან განსხვავებით იცვამს, შენ კი უკვე მოისაზრე, როგორ გამოიყენო თქვენეული მანერა დასავლეთისთვის. არსებობს მხოლოდ ერთი სირთულე: ასეთ ქსოვილებს აქ ვერ იშოვი. ქსოვილების სახეებს რელიგიური მოტივები გააჩნია. ტანსაცმელი, მართალია, უპირველესად, მხოლოდ ხორცის დასაფარავადაა შექმნილი, მაგრამ ბევრი რამე იმასაც გამოხატავს, რისი გამოთქმაც სულს სჭირდება.

დირექტორი მივიდა კუთხეში დაყრილ ჟურნალებთან, რომლებიც, ალბათ, იმ ბუკინისტებთან ჰქონდა ნაყიდი, ჯერ კიდევ ნაპოლეონის დროიდან რომ გამოჰქონდათ თავიანთი საქონელი სენის სანაპიროზე. დასტიდან შეუცდომლად გამოიღო ძველი „პარი მატჩი“, რომლის გარეკანზე კრისტიან დიორის ფოტოსურათი იყო დაბეჭდილი.

- რამ აქცია ის ლეგენდად? მან ადამიანის ბუნების შეცნობა შეძლო. მისი მრავალი რევოლუციური აღმოჩენიდან ერთი განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს - მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ევროპაში ხალხს ჩასაცმელიც კი არ გააჩნდა, რადგან აღარსად იშოვებოდა ქსოვილები, მან ისეთი მოდელები დაამუშავა, რომელთაც ძალზე ბევრი ქსოვილი სჭირდებოდა. ამრიგად, მხოლოდ ელეგანტურად ჩაცმული ლამაზმანი კი არ აჩვენა, იმედიც ჩასახა, რომ ყველაფერი ძველებურად იქნებოდა. ამისთვის დაუნდობლად აკრიტიკებდნენ, არცხვენდნენ, თავლაფს ასხამდნენ, მაგრამ მან იცოდა, რომ სწორი გზით მიდიოდა, ანუ ყოველთვის დინების საწინააღმდეგოდ ცურავდა.

ჟურნალი თავის ადგილზე შედო და მეორე გამოიღო:

- აი, კოკო შანელი. ობლობაში გაიზარდა. გაღატაკებული კაბარეს მომღერალი იყო, მაგრამ ხელიდან არ გაუშვა ერთადერთი შანსი - მდიდარი საყვარლები - და სულ მალე მსოფლიოში მაღალი მოდის საკულტო ფიგურად იქცა. რა გააკეთა ასეთი? ქალი კორსეტის მონობისგან გაათავისუფლა - წამების იარაღისგან, რომელიც ბოჭავს გულმკერდს და სხეულს თავისუფალი სუნთქვის საშუალებას არ აძლევს. მხოლოდ ერთ რამეში შეცდა: დამალა თავისი წარსული, არადა, ამ წარსულს, პირიქით, მისი პიროვნება შეიძლება უფრო ლეგენდარულად ექცია, და ყველასთვის მაგალითად

ქცეულიყო - როგორ შეიძლება ყველაზე არაკეთილსასურველ მდგომარეობას გაუძლო და გადარჩე.

ჟურნალს თავის ადგილზე დებს და განაგრძობს:

- შემეკითხები, „ეს ადრე რატომ არ გააკეთესო?“ ვერ გიპასუხებ. რა თქმა უნდა, შანელამდეც ბევრი მოდელიორი იყო, მაგრამ მათი სახელები მოდის ისტორიას არ შემოუნახავს, იმიტომ, რომ თავიანთ კოლექციებში ვერ შეძლეს დროის სულის, ეპოქის არომატის გადმოცემა. კოკოს შემოქმედებას ასეთი მქუხარე რეზონანსი რომ დაემსახურებინა, არ იყო საკმარისი მხოლოდ ტალანტი, არც მდიდარი მფარველები - საზოგადოება მზად უნდა ყოფილიყო დიდი ფემინისტური რევოლუციისთვის, რომელმაც სწორედ ამ დროს იფეთქა.

დირექტორი გაჩუმდა.

- ახლა კი ახლო აღმოსავლეთის მოტივების დრო დადგა. სწორედ იმიტომ, რომ იქიდან, შენი სამშობლოდან მოდის საშიშროება, რომელიც ძაბავს მთელ მსოფლიოს. ეს ამბავი ვიცი, რადგან ამ სახლს ვხელმძღვანელობ. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი საღებავებისა და ქსოვილების მომწოდებლებთან შეხვედრით იწყება.

„ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი საღებავებისა და ქსოვილების მომწოდებლებთან შეხვედრით იწყება...“ ჰამიდი კვლავ უყურებს ტერასაზე მარტო მჯდომ დიდ სტილისტს. ეტყობა, იმანაც შეამჩნია მისი და ევას გამოჩენა და ახლა ფიქრობს, სად იშოვა ამ არაბმა ამდენი ფული, რომ შეძლო, მის მთავარ მეტოქედ ქცეულიყო. თავის დროზე მან რა აღარ სცადა, რომ ჰამიდი ფედერაციის წევრად არ მიეღოთ; ამტკიცებდა, მას ნავთობის მაგნატები აფინანსებენ, რითაც კონკურენცია უპატიოსნო ხდებაო. ჰამიდს აზრადაც არ მოსვლია, რომ მამის სიკვდილიდან რვა თვის თავზე, და ორი თვის მერე - რაც ფირმის დირექტორმა უკეთესი სამსახური შესთავაზა (იმ პირობით, რომ მისი სახელი არსად გამოჩენილიყო, რადგან ჩვენებებსა და პრეზენტაციებზე გამოსაჩენად სხვა მოდელიორი იყო დაქირავებული) - შეიხი კვლავ იხმობდა თავისთან. ამჯერად პირადად შეხვედრის ღირსს გახდიდა.

სამშობლოში დაბრუნებულმა თავისი ქალაქი ვეღარ იცნო. ერთადერთი პროსპექტის გასწვრივ დაუსრულებელ მწკრივად გრძელდებოდა ცათამბჯენთა ჩონჩხები, ქუჩის მოძრაობა უკიდურესად გადატვირთულიყო, ძველი აეროპორტი მოეწესრიგებინათ, მის სიახლოვეს კი სრული ქაოსი სუფევდა, თუმცა, ამასთანავე, შეიხის ჩანაფიქრი თვალდათვალ ხორცს ისხამდა. აქ, უდაბნოს ბრძოლებს შუა, მსოფლიო ფინანსური ბაზრის აბობოქრებულ ზღვაში ის მშვიდობის ოაზისი იქნება - სტაბილურობის კუნძული, იმ ხალხის მიერ მიღწეული კეთილდღეობის ვიტრინა, ვისაც ამხელდნენ, ამცირებდნენ, კიცხავდნენ და წინასწარ შექმნილი ცუდი განწყობით ეკიდებოდნენ. ამ რეგიონის სხვა ქვეყნებმა ირწმუნეს უდაბნოს ქვიშაზე აღმოცენებული ქალაქის და

წამოვიდა ფული: ჯერ წვრილ ნაკადად, მერე და მერე კი - ბობოქარ, წყალუხვ მდინარედ.

მაგრამ მბრძანებლის სასახლეს ძველი იერი ჰქონდა შენარჩუნებული, თუმცა შორიახლოს ახალს, უფრო მაღალსა და ვრცელს აშენებდნენ. ჰამიდი აუდენციაზე არაჩვეულებრივ გუნებაზე მივიდა, უხაროდა, რომ პარიზში მიღებული შესანიშნავი წინადადების შესახებ აუწყებდა და იმასაც ეტყოდა, რომ უკვე აღარ ესაჭიროებოდა ფინანსური დახმარება - პირიქით, სარგებლით დაუბრუნებდა გაწეულ ხარჯს.

- უნდა გაგათავისუფლო, - უთხრა შეიხმა. ჰამიდი გაოგნდა. კი იცოდა, რომ მამის დატოვებული საქმე ყვაოდა, მაგრამ მას ხომ სხვა გეგმებიც ჰქონდა, მიუხედავად ამისა, არ შეეძლო, ერთხელ კიდევ გამოეწვია ადამიანი, ვინც დაეხმარა.

- ჩვენი ერთადერთი შეხვედრის დროს შევძელი მეთქვა „არა“, ვინაიდან მამაჩემის ინტერესს ვიცავდი. ეს კი ჩემთვის სხვა დანარჩენთან შედარებით, ყოველთვის განუსაზღვრელად მნიშვნელოვანი იყო. ახლა კი მზად ვარ, ქედი მოვიხარო თქვენი ნების წინაშე. თუკი მიგაჩნიათ, რომ ჩემი შრომისათვის საინვესტიციოდ ჩადებულმა ფულმა ამაოდ ჩაიარა, ვასრულებ თქვენს მოთხოვნას: შინ დავბრუნდები და მემკვიდრეობას მივხედავ. თუკი ტომის კანონების დასაცავად საჭიროა უარი ვთქვა მთელი ჩემი ცხოვრების ოცნებაზე, მზად ვარ ამისთვის.

ეს სიტყვები ხმის აუკანკალებლად წარმოთქვა, რადგან არ სურდა, სისუსტე გამოეჩინა ადამიანთან, რომელიც ძალას სცემდა პატივს. მოულოდნელად მოესმა:

- აქ დაბრუნებას არა გთხოვ, თუკი დაგაწინაურეს, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ შეგიძლია შექმნა და დაარეგისტრირო საკუთარი სავაჭრო მარკა. შენგან სწორედ ეს მინდა.

- ჩემი საკუთარი მარკა შევქმნა?

- ვატყობ, რომ ჩვენს ქვეყანაში დღითი დღე ფუფუნების საგნებით მოვაჭრე ახალ-ახალი კომპანიები ჩნდებიან. მათ იციან, რასაც აკეთებენ: ჩვენი ქალები თანდათანობით მარტო ჩაცმულობის სტილს კი არა, ცხოვრების წესსაც იცვლიან. მოდა ჩვენს რელიგიას უფრო საშინელ დარტყმას აყენებს, ვიდრე ერთად აღებული ყველა უცხოელი ინვესტორი. ვესაუბრე ადამიანებს, ვინც ამ საქმეზე ჩემზე მეტი იციან, რადგან მე თვითონ ერთი მოხუცი ბედუინი ვარ, ავტომობილის პირველად დანახვაზე რომ იფიქრა, ალბათ აქლემივით იკვებებაო.

ვისურვებდი, უცხოელები კითხულობდნენ ჩვენს ლექსებს, უსმენდნენ ჩვენს მუსიკასა და სიმღერებს, უცქეროდნენ საუკუნეების სიღრმიდან, ჩვენი წინაპრების მრავალი და მრავალი თაობის წიაღიდან წამოსულ ცეკვებს. მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, საამისო იმედი მცირეა. არავის ეს არ აინტერესებს. არსებობს ერთადერთი გზა, რათა მათ ჩვენი ადათ-ჩვევებისა და რელიგიის პატივისცემა ვაიძულოთ და ეს გზა

სწორედ იმ სფეროზე გადის, რომელშიც შენ მოღვაწეობ. თუკი ისინი ჩვენ მსგავსად ჩაიცვამენ, მიხვდებიან, ვინ ვართ, დანარჩენსაც ნელ-ნელა ჩასწვდებიან.

მეორე დღეს ჰამიდი სხვადასხვა ქვეყნის ინვესტორების ჯგუფს შეხვდა. მათ შესთავაზეს, მთლიანად მის განკარგულებაში გადასულიყო ფანტასტიკური თანხა და სესხის დაბრუნების ვადაც დაუსახელეს. ჰკითხეს, იყო თუ არა მზად ამ გამოწვევის მისაღებად.

ჰამიდმა ითხოვა, მოსაფიქრებელი დრო მიეცათ. წავიდა მამის საფლავზე და დანარჩენი დღე იქ ლოცვაში გაატარა. საღამოთი უდაბნოში, ქარში იხეტიალა, მერე დაბრუნდა სასტუმროში, სადაც ინვესტორები იყვნენ გაჩერებულნი.

„ნეტარია ის, ვინც შვილებისთვის ფრთებისა და ფესვების მიცემა შეძლო „, - ამბობს არაბული ანდაზა.

მას სჭირდებოდა ფესვები: არის ქვეყნად ადგილი, სადაც ვიბადებით, ვსწავლობთ ლაპარაკს, ვგებულობთ, ჩვენი წინაპრები როგორ უმკლავდებოდნენ პრობლემებს და დგება წუთი, როცა ამ ადგილისადმი პასუხისმგებლობის შეცნობას ვიწყებთ.

მას სჭირდებოდა ფრთები: ისინი წარმოსახვის უკიდეგანო სივრცემდე გვამაღლებენ, მივყავართ საკუთარ ოცნებებამდე, გვიტაცებენ გამოუცნობ შორეთში. ფრთები შეგვაძლებინებს ჩავწვდეთ ჩვენს ახლობელთა ფესვებს და ბევრი რამ ვისწავლოთ მათგან.

ჰამიდმა შთაგონება გამოსთხოვა ყოვლადძლიერს და ლოცვად დადგა. ორი საათის შემდეგ გაახსენდა მამისა და მისი მეგობრის, დუქნის ხშირი სტუმრის საუბარი:

- დღეს დილით ბიჭმა ცხვრის საყიდლად ფული მთხოვა, მივცე თუ არა?

- ნუ აჩქარდებით. პასუხის გაცემამდე ერთი კვირა დაიცადეთ.

- თუკი ახლავე შემიძლია ფულის მიცემა, ერთი კვირა რატომ უნდა ვიცადო. რა განსხვავებაა?

- განსხვავება დიდია. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, ადამიანები დახმარებას ჭეშმარიტად მაშინ აფასებენ, როცა ეჭვი სტანჯავთ, მიიღებენ თუ არა მას.

და მიიღო ინვესტორების წინადადება, მაგრამ მთელი კვირა აცდევინა მათ. მას სჭირდებოდა ხალხი, ვინც ამ ფულით საქმეს დაიწყებდა და თანხას იქ ჩადებდა, სადაც თვითონ ეტყოდა. სჭირდებოდა მოსამსახურეები და თანამშრომლები - სასურველია, თანასოფლელები. ძველ თანამდებობაზე ერთ წელიწადზე მეტხანს დარჩენა სჭირდებოდა, რათა ცოდნა ბოლომდე შეევსო.

მორჩა და გათავდა!

„ყველაფერი იწყება საღებავებით“.

არა, მთლად ასე არ არის. ყველაფერი იმით იწყება, რომ ბაზრის ტენდენციების შემსწავლელი კომპანიები ამჩნევენ, რომ მოსახლეობის გარკვეული კატეგორია ერთი სახის საქონელს მეორეს ამჯობინებს - და ეს, ერთი შეხედვით, თითქოს არაფრით უკავშირდება მოდას. განსაკუთრებული ლაბორატორიები (ფრანგულად - „labinets de tendence“, ინგლისურად - „trend adapters“) ატარებენ კვლევა-ძიებას, აწყობენ მომხმარებელთა გამოკითხვას, თვალყურს ადევნებენ ამა თუ იმ ნიმუშზე მოთხოვნილებას, მაგრამ, რაც მთავარია, გულმოდგინედ აკვირდებიან ბუტიკების 20-30 წლის ასაკის მყიდველს ან უბრალოდ, მათივე ასაკის გამვლელებს. თვალყურს ადევნებენ, როგორ იცვამენ და კითხულობენ ყველაფერს, რასაც ისინი თავიანთ ბლოგებში წერენ. ისინი არასოდეს არ აქცევენ ყურადღებას ვიტრინებს, თუნდაც ის ყველაზე სახელგანთქმულ ფირმას ეკუთვნოდეს: ყველაფერი, რაც იქაა გამოფენილი, უკვე მისულია მასობრივ მომხმარებლამდე და, მაშასადამე, სასიკვდილოდაა განწირული.

ბაზრის ტენდენციების გენიალურ მკვლევრებს სურთ საფუძვლიანად იცოდნენ, რა აწუხებს მომხმარებელს, რა აღუძრავს ინტერესს ან ცნობისმოყვარეობას. გოგო-ბიჭები, რომელთაც არა აქვთ ფული ძვირფასი ბრენდების საყიდლად, იძულებულნი ხდებიან, ჩაცმის საკუთარი სტილი გამოიგონონ. და, რადგან დღესა და ღამეს ინტერნეტთან ატარებენ, თავიანთ აღმოჩენებს სხვებსაც უზიარებენ, და ხშირ შემთხვევაში ეს, ვირუსის მსგავსად, მთელ საზოგადოებას ასნებოვნებს. ბავშვები მამებზე პოლიტიკაშიც ახდენენ ზეგავლენას. ზეგავლენას ახდენენ იმაზეც, რა წიგნი წაიკითხონ, ან რა მუსიკას მოუსმინონ, და არა პირიქით, როგორც ამას გამოუცდელნი ფიქრობენ. მამები შვილებზე იმით ზემოქმედებენ, რაც „ღირებულების სისტემად“ იწოდება. მოზარდები, თავიანთ ძალას როცა იგრძნობენ, მშფოთვარენი და მეამბოხენი ხდებიან. მიუხედავად ამისა, ოჯახი მაინც მტკიცედ და სანდოდ მიაჩნიათ. მათ შეუძლიათ, უკიდურესად ექსტრავაგანტურად ჩაიცვან, მოუსმინონ გაჩეჩილთმიან როკმომღერლებს, ესტრადაზე საკუთარ გიტარებს რომ ამტვრევენ, მაგრამ ეს არის და ეს: უფრო შორს წასვლისა და ზნე-ჩვეულებათა ნამდვილი რევოლუციის მოხდენის გამბედაობა არ გააჩნიათ.

კვლევა-ძიება გვიჩვენებს, რომ საზოგადოება კონსერვატული სტილისკენ მიისწრაფვის და შორდება სუფრაჟისტების მუქარას, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში ქალების ხმის მიცემის უფლებისათვის იბრძოდნენ, ანდა გრძელთმიანი და უგუნური ჰიპების აზრებს, ერთხანს რომ ეგონათ, მთელ მსოფლიოში მშვიდობასა და თავისუფალ სიყვარულს მიაღწევდნენ. 1960-იანი წლების პოსტკოლონიურ სისხლისმღვრელ ომში ჩაბმული მსოფლიო უკიდურესად იყო შეშინებული ატომური ომის საფრთხით, ამასთან, ეკონომიკური აყვავების პირობებში, სასოწარკვეთით ეძებდა რაიმე სასიხარულოს. და სწორედ ისე, როგორც კრისტიან დიორი მიხვდა, რომ სიუხვის იმედი იმალებოდა ბრწყინვალებაში, სტილისტებმა ახლაც იპოვეს ფერთა კომბინაცია, რომელსაც საზოგადოების განწყობა უნდა აემაღლებინა. მათ

მიიჩნიეს, რომ წითლის იისფერთან შეხამებას ერთდროულად დამშვიდებაც შეუძლია და აფორიაქებაც.

ორმოცი წლის მერე ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა: მსოფლიოს უკვე თერმობირთვული ომის კი არა, ეკოლოგიური კატასტროფის ეშინოდა და მოდელიორებმაც ზღვის, ქვიშის, სიმწვანისა და ყვავილების ბუნებრივ ფერთა ტონები აირჩიეს. ამ ორ ეპოქას შორის წარმოიქმნებოდა და ქრებოდა სხვადასხვა ტენდენციები - ფსიქოლოგიური, ფუტურისტული, არისტოკრატიული და ნოსტალგიური.

ტენდენციათა მკვლევრები იძლევიან ზოგად წარმოდგენას, როგორია დროის სული და დიზაინერები მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ მუშაობას დიდ კოლექციებზე. ახლა, ეტყობა, კაცობრიობა ომების, აფრიკაში მოშიმშილეების, ტერორიზმის, ადამიანის უფლების ფეხქვეშ გათელვისა და ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის მედიდურობისა და ქედმაღლობის გარდა საბრალო დედამიწის ბედითაა შეშფოთებული.

„ეკოლოგია, პლანეტის გადარჩენა... რა სისულელეა“. ჰამიდმა იცის, კოლექტიურ უმეცრებასთან ბრძოლა ფუჭი მცდელობაა. ქსოვილების ფერთა გამა, სუპერკლასის საქველმოქმედო აქციები, ახალდაბეჭდილი წიგნები, რადიოთი გადმოცემული მუსიკა, სამსახურიდან გადაყენებულ პოლიტიკოსთა ინტერვიუები და ახალი ფილმები, მასალა, რისგანაც კერავენ ფეხსაცმელს, ავტომობილების აირანალიზატორები, კოლექტიური წერილები სენატორებისა და პარლამენტის წევრებისადმი, მსოფლიოს უმსხვილეს ბანკთა ბონუსები - ყველაფერი, გეგონება მხოლოდ ერთადერთ რამეს - პლანეტის გადარჩენას ემსახურება. გიგანტური საერთაშორისო კორპორაციები ანაღდებენ გაზეთების ჰექტრობით ფართობს, სადაც იტყობინებიან ამა თუ იმ, მეტ-ნაკლებად უაზრო აქციების შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციები სრულიად ურცხვად გადასცემენ თავიანთ რეკლამებს უმსხვილესი ტელეარხებით და ღებულობენ მრავალმილიონიან სუბსიდიებს - და ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ ყველა დედამიწის ბედითაა შეწუხებული.

და ყოველთვის, როცა ჟურნალ-გაზეთებში წინასაარჩევნო ციებ-ცხელებისას პოლიტიკოსების სიტყვებს კითხულობდა, კოზირად რომ იყენებდნენ გლობალურ დათბობას ან გარემოს განადგურებას, ჰამიდს მათი თავდაჯერებულობა აოცებდა. პლანეტა მუდამ იყო, არის და იქნება ჩვენზე ძლიერი. ჩვენ არ შეგვიძლია მისი განადგურება და თუ გარკვეულ ზღვარს გადავალთ, დედამიწა ჩვენ გასანადგურებლად თავად იზრუნებს. რატომ იმაზე არ ფიქრობენ, პირიქით, პლანეტას არ მივცეთ ჩვენი განადგურების საშუალება?

აი, რატომ: პლანეტის გადარჩენაზე ყბედობა ქმნის ძლევამოსილების ილუზიას, რაც საკუთარ თვალშივე გვაკეთილშობილებს. იმისათვის ბრძოლა კი, რომ პლანეტამ ჩვენ

არ გაგვანადგუროს, სასოწარკვეთილებაში გვაგდებს და იმის რეალურ შეგნებამდე მივყავართ, რამდენად უბადრუკია ადამიანის შესაძლებლობები.

მიუხედავად ამისა, რეალობა სწორედ ასეთია, მოდა კი მოვალეა, მომხმარებლის სურვილს ემთხვეოდეს. ფაბრიკებში მომავალი კოლექციებისთვის ამზადებენ საუკეთესო, უნაზესი ტონების საღებავებს, ფეიქრები ამუშავებენ ნატურალურ ქსოვილებს; ღვედების, ქამრების, სათვალეების, საათებისა და სხვადასხვა აქსესუარის მწარმოებლები ყოველ ღონეს ხმარობენ, დაარწმუნონ მომხმარებელი და მეორეული ნედლეულით დაბეჭდილ ბროშურებსა და ბუკლეტებში დამატებით უსვამენ ხაზს, რა დიდ ძალისხმევას ახმარენ გარემოს დაცვას. ყოველივე ამას ცნობილი სტილისტის მიერ უბრალო მოკვდავთათვის პირველ დახურულ ჩვენებაზე წარმოადგენენ.

ამის შემდეგ თითოეული მათგანი იწყებს ტანსაცმლის საკუთარი კოლექციის დამუშავებას, საშველად უხმობენ მთელ თავიანთ შემოქმედებით ფანტაზიას და საბოლოოდ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს Haute Couture არის რაღაც თავისებური, ორიგინალური, სხვაგვარი... არაფერიც. ყველა ზედმიწევნით მიჰყვება საბაზრო ანალიტიკოსების დასკვნებსა და რეკომენდაციებს. და რაც უფრო გახმაურებული სახელი აქვს მოდელების სახლს, მით უფრო ნაკლებად სურთ რისკზე წასვლა, რადგან მთელ მსოფლიოში ასეულ ათასობით ადამიანის ბედი ერთი მუჭა ხალხის, მოდის სუპერკლასის წარმომადგენელთა გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, რომლებიც უკვე გადაღლილნი არიან იმის მოჩვენებითი მტკიცებით, თითქოს ყოველ ნახევარ წელიწადში მათი ფირმა აბსოლუტურად ახალ მოდელებს ყიდის.

პირველ ესკიზებს ქმნიან „გაურკვეველი გენიოსები“, რომელნიც ოცნებობენ, ოდესმე თავიანთი სახელი ნაწარმის ეტიკეტზე ნახონ. ისინი დაახლოებით ექვს-რვა თვეს შრომობენ. პირველად მხოლოდ ფანქრითა და ქაღალდით მუშაობენ, მერე იაფფასიანი ქსოვილით ქმნიან პროტოტიპებს, რომლებითაც შეიძლება მოდელებს ფოტოები გადაუღონ და განსახილველად დირექტორებს წარუდგინონ. ასი პროტოტიპიდან ჩვენებისათვის დაახლოებით ოცს მაინც შეარჩევენ. შეაქვთ შესწორებები - ცვლიან ღილებს, სახელოებს სხვაგვარად აკერებენ. იღებენ სურათებს - მანეკენები სხედან, დგანან, წვანან, დადიან. ამას მოჰყვება ახალი შესწორებები, რადგან ამდაგვარ კომენტარს - „ვარგისია მხოლოდ მანეკენებისთვის“, შეუძლია, მთელი კოლექცია გაანადგუროს და ფირმის რეპუტაციასაც საფრთხე შეუქმნას. სანამ დრამატული წარმოდგენა გრძელდება, „გაურკვეველ გენიოსებს“ გარეთ ყრიან იმ არგუმენტით, რომ გამოსაცდელ ვადას გადიოდნენ. რამდენიმე, ყველაზე ნიჭიერი, ახერხებს კიდევ ორიოდეჯერ ნახოს თავისი ქმნილება და საბოლოოდ რწმუნდებიან: რა წარმატებასაც უნდა მიაღწიოს მათ მიერ შექმნილმა მოდელმა, მხოლოდ ფირმის სახელწოდება იქნება მოხსენიებული.

ყველა მათგანი იმუქრება, რომ ოდესმე უკლებლივ ყველას გაუსწორებენ ანგარიშს. ყველა თავისთვის იფიცება, რომ გახსნიან საკუთარ ბუტიკს და, ბოლოს და ბოლოს, სახელს გაითქვამენ. მაგრამ ამასთან ერთად, მოჩვენებითი ღიმილით მუშაობენ, თითქოს აღფრთოვანებულნი არიან, რომ სწორედ ისინი გამოარჩიეს. როგორც კი ირჩევენ საბოლოო მოდელებს, ვიღაცას ათავისუფლებენ, ვიღაცას ქირაობენ (ახალი კოლექციისათვის), და აი, ბოლოს და ბოლოს, შერჩეული ქსოვილისაგან კერავენ კაბებს, რომელთა დემონსტრირებაც ჩვენებაზე ხდება.

ეს, რასაკვირველია, ლეგენდის ნაწილია.

მთელი მსოფლიოს გადამყიდველებს უკვე ხელთ აქვთ მანეკენების ფოტოსურათები ყველა პოზასა და რაკურსში, ყველა აქსესუარით. ისიც უკვე ცნობილია, რა ქსოვილია, რამდენი უნდა ღირდეს და, კერძოდ, სად შეიძლება მისი შეკვეთა. „ახალი კოლექციის“ წარმოება ერთდროულად მრავალ ადგილზე იწყება და რაც უფრო მსხვილი და ცნობილია ფირმა, მით უფრო დიდია მისი წარმოების მასშტაბები.

ახალი ერის აღმომჩენი სამი კვირა, რომელსაც ცხოვრების ნახევარი წელიწადი სჭირდება, იწყება ლონდონში, გრძელდება მილანში და მთავრდება პარიზში. აქ მთელი მსოფლიოდან მოფრინავენ ჟურნალისტები, ფოტოგრაფები ერთმანეთს გადაღებისთვის ყველაზე მოხერხებულ ადგილს ეცილებიან. ყველაფერი სასტიკად არის გასაიდუმლოებული. ჟურნალ-გაზეთები მთელ სვეტებს ინახავენ რეპორტაჟებისა და ქრონიკისათვის. ქალები თვალისმომჭრელად გამოიყურებიან, მამაკაცები მსუბუქი გულგრილობით უმზერენ იმას, რაც „მხოლოდ და მხოლოდ“ მოდად მიაჩნიათ და თან ფიქრობენ, სად იშოვონ რამდენიმე ათასი დოლარი რაიმე ისეთის საყიდლად, რაც მათთვის სრულიად უმნიშვნელოა, ცოლებისთვის კი იმის ნიშანი იქნება, რომ ისინიც სუპერკლასს ეკუთვნიან.

ერთი კვირის შემდეგ „აბსოლუტური ექსკლუზივი“ უკვე მთელ მსოფლიოში იყიდება და არავინ კითხულობს, ასე უცებ როგორ აწარმოეს და ბუტიკებში როგორ მიიტანესო.

იმიტომ, რომ ლეგენდა სინამდვილეზე მნიშვნელოვანია. მომხმარებელი ანგარიშს არ უწევს, რომ მოდას ისინი ქმნიან, ვინც თვალყურს ადევნებს უკვე არსებულ მოდას. რომ ექსკლუზივი - ტყუილია, რის დაჯერებაც ხალხს თვითონვე სურს, რომ მოდის ჟურნალებში ქებაშესხმული კოლექციის დიდი ნაწილი დამზადებულია მსხვილ მწარმოებელთა მიერ, რომელთაც მხარს ისევ ეს ჟურნალები უჭერენ თავიანთი ვრცელი რეკლამებით.

რასაკვირველია, არის გამონაკლისიც და ერთ-ერთი მათგანი, რამდენიმეწლიანი ბრძოლის შემდეგ, ჰამიდ ჰუსეინი გახდა. მისი ძლევამოსილებაც სწორედ ამას ემყარება.

...ჰამიდი ხედავს, რომ ევა ისევ თავის მობილურ ტელეფონს დასცქერის. ადრე ასეთი ჩვეულება არ ჰქონია. სიმართლე რომ ითქვას, ჰამიდს სძულს ეს მოწყობილობა.

შეიძლება იმიტომ, რომ ის ევას წარსულს ახსენებს, რომელზეც მას დანამდვილებით არაფრის თქმა შეუძლია, რომ, მართლაც, წარსულია - განვლილი და გამქრალი... ამაზე არასოდეს უსაუბრიათ. ჰამიდ ჰუსეინი საათს დასცქერის - საკმაო დრო დარჩა საიმისოდ, რომ აუჩქარებლად დალიოს ყავა. მერე მზერა მოდელიორზე გადააქვს.

რა კარგი იქნებოდა, ყველაფერი, მართლაც, საღებავების ფაბრიკაში იწყებოდეს და პოდიუმზე მთავრდებოდეს. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა.

ამ ადამიანს, გაურკვეველი მზერით რომ მისჩერებია ჰორიზონტს, პირველად „პირველ ჩვენებაზე“ შეხვდა. ჰამიდი მაშინ ჯერ კიდევ მუშაობდა თავის კომპანიაში, თუმცა შეიხს უკვე შედგენილი ჰყავდა თეთრმეტკაციანი პატარა არმია, რომელთა მოწოდებაც იყო, მოდის მეშვეობით ხორცი შეესხა მისი იდეისთვის - ეჩვენებინა აღმოსავლური სამყარო, რწმენა და კულტურა.

- აქ უბრალო რამეს, უმეტესწილად, რაღაც არაჩვეულებრივად რთულად გვიხსნიან.

ისინი ათვალიერებდნენ სტენდებს, სადაც წარმოდგენილი იყო ახალი ქსოვილების ნიმუშები, ახალი ტექნოლოგიით დამზადებული და უახლოეს ორ წელიწადში ბაზარზე გასატანად განკუთვნილი, სულ უფრო და უფრო თავსამტვრევი აქსესუარები: აქ იყო პლატინისბალთიანი ქამრები, საკრედიტო ბარათის ფუტლარები - ღილაკზე თითის დაჭერით რომ იხსნებოდა, სამაჯურები, რომელთა რეგულირება მილიმეტრების სიზუსტით შეიძლებოდა ბრილიანტით ინკრუსტირებული პაწაწინა ბერკეტით. კუტიურიემ მაშინ ჰამიდს დაკვირვებით ახედ-დახედა:

- სამყარო რთულია. რთული იყო, არის და მუდამ რთული იქნება.

- მე ასე არა მგონია. და თუ ახლანდელ სამსახურს ოდესმე მივატოვებ, სწორედ იმიტომ, რომ საკუთარი საქმე წამოვიწყო, რომელიც სრულიად განსხვავებული იქნება იმისგან, რასაც აქ ვხედავთ.

თანამოსაუბრეს გაეცინა:

- თქვენ არ იცით, ეს რა სამყაროა. უეჭველია, გაგონილი გექნებათ ფედერაცის შესახებ. უცხოელებს მეტისმეტად უძნელდებათ იქ მოხვედრა.

მაღალი მოდის ფრანგული ფედერაცია, მართლაც, იყო ერთ-ერთი ყველაზე ჩაკეტილი კლუბი. 1868 წელს დაარსებული ეს კლუბი უსაზღვრო ძალას ფლობდა: მან რეგისტრაციაში გაატარა Haute Couture-ის მარკა, ასე რომ, სასამართლოში მოხვედრა თუ არ უნდოდა, სხვას არავის ჰქონდა უფლება გამოეყენებინა ეს ტერმინი. ის ათიათასობით ტირაჟით გამოსცემდა წელიწადში ორჯერ მოწყობილი გამოფენების ოფიციალურ კატალოგებს; წყვეტდა, როგორ უნდა განაწილებულიყო ორი ათასი აკრედიტაცია მსოფლიოს ჟურნალისტებს შორის; ირჩევდა მსხვილ შემსყიდველებს, განსაზღვრავდა ჩვენებათა ადგილს - სტილისტის ღირსების შესაბამისად.

- ვიცი, - უპასუხა ჰამიდმა. ამით შეწყდა მათი საუბარი. ჰამიდს წინათგრძნობა ჰქონდა, რომ ეს ადამიანი სულ მალე სახელს გაითქვამდა და რომ ისინი არასოდეს იქნებოდნენ მეგობრები.

ექვსი თვის შემდეგ გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად ყველაფერი მზად იყო: ჰამიდი წამოვიდა ფირმიდან, სენ-ჟერმენ-დე-პრეზე გახსნა თავისი პირველი მაღაზია და დაიწყო ბრძოლა. ბევრი ბრძოლა წააგო, მაგრამ ერთ რამეს მიხვდა: არ შეიძლებოდა მოდათა ტენდენციების განმსაზღვრელი „დიდი სახლების“ მფლობელი ტირანების წინაშე მოედრიკა თავი; ის ორიგინალური უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც, რადგან მასთან იყო ბედუინების ჩაცმულობის უბრალოება, უდაბნოს სიბრძნე, ერთ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე მუშაობით შეძენილი გამოცდილება, გონიერი ფინანსისტები და სრულიად განსხვავებული, ადრე არნახული ქსოვილები.

ორი წლის შემდეგ უკვე ხუთი თუ ექვსი მაღაზია ჰქონდა საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში და მიიღეს ფედერაციაში - არა იმდენად მისი ნიჭიერების გამო, არამედ უფრო შეიხის კავშირების წყალობით, რომლის ემისრები დაჟინებით და ჯიუტად ცდილობდნენ ფრანგულ ფირმებთან მოთათბირებას.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ხალხი იცვლიდა შეხედულებებს, თვალსაზრისს, ირჩევდნენ ახალ პრეზიდენტებს, ხანდაზმულები მიდიოდნენ სიმყუდროვის მოსაპოვებლად, მოწინავე ტექნოლოგია უფრო და უფრო მეტ მომხრეს იძენდა, ინტერნეტი ყველაზე მასობრივ კომუნიკაციად იქცა; საზოგადოებრივი აზრის ძალისხმევით, შესაძლებელი გახდა ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფეროს სრული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ფუფუნებამ და გლამურმა დროებით დაკარგული პოზიციები დაიბრუნეს. ჰამიდის ბიზნესი იზრდებოდა, ყვაოდა და მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა. ახლა მარტო ტანსაცმელს კი არა, აქსესუარებს, ავეჯს, კოსმეტიკურ საშუალებებს, საათებსა და ექსკლუზიურ საფეიქრო საქონელსაც მოიცავს.

ჰამიდ ჰუსეინი მთელი იმპერიის მფლობელად იქცა და ყველამ, ვინც მისი ოცნების განსახორციელებლად სახსრები გაიღო, ინვესტიციის სამაგიეროდ, აქციონერებისგან გადახდილი ასჯერ მეტი დივიდენდი მიიღო. ჰამიდი ახლაც თავად კურირებდა საკუთარი პროექტების უმეტეს ნაწილს, ესწრებოდა მნიშვნელოვან ფოტოსესიებს, თავად აკეთებდა მოდელების მნიშვნელოვანი ნაწილის ესკიზებს, წელიწადში სამჯერ მაინც მიდიოდა უდაბნოში, ლოცულობდა მამის საფლავზე, რის შემდეგაც, საქმის ვითარების შესახებ შეიხს აბარებდა ანგარიშს. მაგრამ გარკვეული დროიდან მისი გულისთქმა ახალ ინტერესზე შეჩერდა: გადაწყვიტა, ფილმი გადაეღო.

...საათს უყურებს, ევას ახსენებს, წასვლის დრო დადგაო. ევა ეკითხება:

- ნუთუ ეს ასეთი მნიშვნელოვანია?

- არა. აუცილებელი არ არის, მაგრამ მინდა, რომ ესწრებოდე.

ევა დგება. ჰამიდი უკანასკნელად შეავლებს თვალს ცნობილ კუტიურიეს, განმარტოებული რომ გაჰყურებს ხმელთაშუა ზღვას.

4:07 PM

ახალგაზრდობაში ყველას ერთნაირი ოცნება აქვს - გადაარჩინოს სამყარო. მერე ერთნი ამას ივიწყებენ, რწმუნდებიან, რომ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი საქმე - დაოჯახდნენ, იშოვონ ფული, მოიარონ ქვეყანა, ისწავლონ უცხო ენები. მეორენი გადაწყვეტენ, შეძლებისდაგვარი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების შეცვლაში, იმ პროცესებში, რომლებიც განსაზღვრავენ, როგორი სამყარო ხვდება წილად ჩვენს შემდგომ თაობას.

ისინი იწყებენ პროფესიის ამორჩევას: ხდებიან პოლიტიკოსები (თავიდან აუცილებლად ერთიანობის სურვილით ხელმძღვანელობენ), სოციალური აქტივისტები (მათ სწამთ, დამნაშავეობას კლასობრივი განსხვავებულობა ბადებს), მხატვრები (ამათ ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ყველაფერი დაღუპულია და ნულიდან დაწყებაა საჭირო) და პოლიციელები.

ინსპექტორი სავუა სავსებით დარწმუნებული იყო, რომ შესაძლოა, ძალიანაც სასარგებლო ყოფილიყო საზოგადოებისთვის. მას მრავალი დეტექტივი წაეკითხა და წარმოედგინა, თუკი ბოროტმოქმედებს გისოსებს მიღმა ჩასვამ, ყველა კეთილი ადამიანისთვის ამ მზის ქვეშ აუცილებლივ მოიძებნება ადგილი. ის ენთუზიაზმით ჩასწვდა პოლიციური მეცნიერების სიბრძნეს; გამოცდებზე თეორიულ დისციპლინებში მაღალი ქულები მიიღო, საშიშ სიტუაციაში მარცხი რომ არ მოსვლოდა, ივითარებდა ძალასა და ამტანობას, სწავლობდა მიზანში სროლას, თუმცა არასოდეს არავის მოკვლა არ დაუპირებია.

პოლიციაში ერთი წლის მუშაობის შემდეგ მიიჩნევდა, რომ საფუძვლიანად შეისწავლა თავისი ხელობის სპეციფიკა. მისი ამხანაგები ბუზღუნებდნენ დაბალ ხელფასზე, კანონმდებლობის ხარვეზებზე, მოსამართლეთა არაკომპეტენტურობასა და საზოგადოებაში არსებული კანონის მსახურებსა და წესრიგის დამცველებზე წინასწარ შექმნილი ცუდი აზრის გამო. კარგა ხნის მანძილზე ყველაფერი უცვლელად, ადრინდელივით რჩებოდა, მხოლოდ ერთი რამ ემატებოდა:

ქაღალდები.

გაუთავებელი ოქმები, მოხსენებები, წერილობითი მომართვები, იმის დაწვრილებით აღწერა, სად, როგორ და რატომ მოხდა ესა თუ ის შემთხვევა. ისეთი წვრილმანი რამეც, როგორიცაა უადგილო ადგილზე დაყრილი ნაგავი, ძირფესვიან გამოძიებას მოითხოვდა (კიდევ კარგი, ბოროტმოქმედი ყოველთვის ტოვებდა კვალს - კონვერტს

თუ ავიაბილეთს). ამას ემატებოდა ადგილმდებარეობის საგულდაგულოდ დახაზული გეგმა, დამნაშავე პიროვნების დადგენა, უწყების გაგზავნა, საქმის სასამართლოში გადაცემა (თუკი წესრიგის დამრღვევი ამას სისულელედ და დროის უქმად ფლანგვად მიიჩნევდა), საკასო განხილვა და ა.შ. შეიძლება ორი წელიწადი გასულიყო, სანამ საბოლოოდ საქმეს დახურავდნენ - ორივე მხარისთვის სავსებით უშედეგოდ.

ძალმომრეობითი დანაშაული იშვიათად ხდებოდა. სტატისტიკური გამოანგარიშება მოწმობდა, რომ კანში შემთხვევათა უდიდეს წილს შეადგენდა მდიდარი ბიჭების ჩხუბი ღამის კლუბებში, ბინების ქურდობა, სადაც მეპატრონეები მხოლოდ ზაფხულობით ცხოვრობდნენ, ავარიები გზებზე, არალეგალური მუშაობა და ცოლქმრული ჩხუბები. რაღა თქმა უნდა, სავუა მოხარული უნდა ყოფილიყო, რომ ლაჟვარდოვანი ნაპირი, იმ თვეებშიც კი, როცა აქ ათასობით უცხოელი ჩამოდიოდა პლაჟზე საგორაოდ ან ფილმების ყიდვა-გაყიდვისთვის, სიმშვიდისა და კეთილდღეობის კუნძულად რჩებოდა. წინა წელიწადში სავუა იძიებდა ოთხ თვითმკვლელობას (თითოეულ მათგანს ექვსი-შვიდი კილოგრამი ქაღალდი დასჭირდა - ყველა ფურცელი ხომ უნდა შეივსოს, დაიბეჭდოს, ხელი მოეწეროს, აიკინძოს), სასიკვდილო თავდასხმისა კი მხოლოდ ორი შემთხვევა მოხდა.

და აი, რამდენიმე საათის განმავლობაში წლიური სტატისტიკა გადაიფარა. რა მოხდა?

დაზარალებულის მცველთა დაკითხვა ვერ მოასწრეს - ისინი სადღაც გაქრნენ. დანაშაულის ადგილზე პირველად მისულ პოლიციელებს ბრძანებით საყვედური უნდა გამოუცხადონო, გაიფიქრა სავუამ. მათ, რაც უნდა იყოს, ხელიდან გაუშვეს შემთხვევის ერთადერთი ნამდვილი მოწმეები. ქალმა, რომელიც ახლა მოსაცდელში ზის, აბსოლუტურად არაფერი იცის. ის საკმაოდ შორს იყო მსხვერპლისგან და მხოლოდ ერთ რამეს ცდილობდა - სიტუაციით ესარგებლა და ახლა მაინც მიახლოვებოდა სახელგანთქმულ პროდიუსერს.

მაშასადამე, სავუას მხოლოდ ქაღალდების კითხვა რჩება.

ზის ჰოსპიტალის მოსაცდელში და წინ ორი მოხსენებითი ბარათი უდევს.

ერთი მხოლოდ ორფურცლიანია, რომელიც მორიგე ექიმის რთული ტექნიკური ტერმინებითაა სავსე. მასში გაანალიზებულია პაციენტის მდგომარეობა, რომელიც ახლა ინტენსიური თერაპიის ბლოკში იმყოფება. დადგენილია, რომ მას გამოუცნობი გზით წელის მარცხენა არეში შეუყვანეს დაუდგენელი მომწამვლელი ნივთიერება, ამჟამად ლაბორატორიაში ხდება მისი იდენტიფიკაცია. საწამლავთა ნომენკლატურის მიხედვით, ერთადერთი ნივთიერება, რომელსაც ასე სწრაფად მოქმედება შეუძლია - არის სტრიქოინი, მაგრამ ის ძლიერ სპაზმებსა და კონვულსიას იწვევს, რაც, მცველების, ასევე პარამედიკოსებისა და მოწმე ქალის თქმით, მსხვერპლს არ აღენიშნებოდა. პირიქით, კუნთების სისტემა თითქმის მყისიერად დაუდამბლავდა.

მსხვერპლი მკერდით დაეცა მაგიდაზე, რის შემდეგაც გარეთ უხმაუროდ გამოიყვანეს, რომ იქ მყოფთ ყურადღება არ მიექციათ.

მეორე, გაცილებით ვრცელი მოხსენება იყო ორგანიზაციისა, სახელწოდებით „ევროპოლი“, რომლის თანამშრომლები ჯავიც უაილდს თვალს არ აშორებდნენ მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მიწაზე დაადგა ფეხი. ისინი მუდამ ცვლიდნენ ერთმანეთს და მკვლელობის მომენტში თვალთვალი დავალებული ჰქონდა გვადელუპელ შავკანიანს, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავდა იამაიკელს.

„მიუხედავად ამისა, მან საეჭვო ვერაფერი შენიშნა. უფრო სწორად, მკვლელობის დროს ჯავიცს ჩამოეფარა ვიღაც კაცი, რომელსაც ხელში წვენის ჭიქა ეჭირა“.

თუმცა მსხვერპლი არასოდეს ყოფილა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და კინემატოგრაფისტთა წრეებში ერთ-ერთ გამოჩენილ დისტრიბუტორად იყო ცნობილი, მისი ეს მოღვაწეობა მხოლოდ შირმა იყო მეორე, გაცილებით უფრო შემოსავლიანი საქმიანობისთვის. „ევროპოლის“ ცნობით, ხუთი წლის წინათ ჯავიც უაილდმა - მეორეხარისხოვანმა პროდიუსერმა, კონტაქტი დაამყარა ნარკოდილერთან, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს აწოდებდა კოკაინს და ამგვარად იწყებოდა ფულის გათეთრება...“

- ეს უკვე საინტერესოა, - ჩაიბურტყუნა სავუამ.

პირველი შემთხვევაა, რომ მოსწონს ის, რასაც კითხულობს. ეტყობა, ხელში ნამდვილად მნიშვნელოვანი საქმე ჩაუვარდა და არა ისეთი წვრილმანი, როგორიცაა ბინების გაქურდვა ან ცოლ-ქმართა ჩხუბი. ესეც შენი წელიწადში ორზე მეტი საშუალო სტატისტიკური მკვლელობა!

სავუასთვის ცნობილია ის მექანიზმი, რაზეც ამ მოხსენებაში არის ლაპარაკი. ნარკოდილერები შოულობენ დიდძალ ფულს, მაგრამ არ შეუძლიათ მისი წყაროს მითითება და, მაშასადამე, არ შეუძლიათ ბანკში ანგარიშის გახსნა, ბინის, ავტომობილის, ძვირფასეულობის ყიდვა, რაიმე პროექტში საინვესტიციოდ თანხის ჩადება, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადატანა, რადგან ზედამხედველი სახელმწიფო ორგანოები აუცილებლივ დაინტერესდებიან და ჰკითხავენ: „როგორ მოახერხე გამდიდრება, საიდან გაქვს ყველაფერი ეს?“

და ამ წინააღმდეგობის გადასალახავად იყენებენ ეგრეთ წოდებულ „ფულის გათეთრებას“ - კრიმინალური ნაძარცვი იქცევა რესპექტაბელურ ფინანსურ აქტივად, რომელიც ხდება ეკონომიკური სისტემის ნაწილი და ახალი მოგება მოაქვს. ამბობენ, თითქოს ეს ტერმინი აღ კაპონემ „მშრალი კანონის“ ეპოქაში მოიგონა. ჩიკაგოში იყიდა სამრეცხაო ქსელი Sanitary Cleaning Shops და მისი მეშვეობით საბანკო ანგარიშზე სპირტის არალეგალური გაყიდვით მოგებულ ფულს ინახავდა. კითხვაზე, საიდან ჰქონდა იმდენი ფული, ყოველთვის შეეძლო ეპასუხა: „ხალხი გასარეცხად უამრავ თეთრეულს აბარებს. მიხარია, რომ სწორედ ამ დარგში ჩავდე ფული“.

- დიახ, მან ყველაფერი სწორად გააკეთა, ოღონდ სავაჭრო ბრუნვიდან პროცენტის გადახდა დაავიწყდა, - ხმამაღლა ფიქრობს სავუა.

„ფულის გათეთრებას“ მხოლოდ ნარკოვაჭრობაში არ იყენებენ. მას იყენებენ ტერორისტებიც, მექრთამე პოლიტიკოსებიც, კომპანიებიც, რომლებიც ცდილობენ წვრილ აქციონერებს დაუმალონ თავიანთი შემოსავალი, და ცალკეული ადამიანებიც, რომლებიც ფისკალურ სისტემას უაზრო, უსარგებლო გამოგონებად მიიჩნევენ. ადრე საკმარისი იყო გაგეხსნა საკუთარი ანგარიში რომელიმე „საგადასახადო სამოთხეში“, მაგრამ ცოტა ხნის წინ მრავალი ქვეყნის მთავრობამ მიიღო ერთობლივი ზომები, ასე რომ, მექანიზმს შეცვლილ პირობებთან ადაპტირება უწევს.

ერთი რამ ეჭვს არ იწვევს: დამნაშავეები მუდამ რამდენიმე ნაბიჯით უსწრებენ ხელისუფლებას.

როგორ მუშაობს ამჟამად ფულის გათეთრება? ადრინდელზე ბევრად უფრო ეშმაკურად და დახვეწილად. საჭიროა მხოლოდ დიდი ხნის წინათ განსაზღვრულ სამ პრინციპს მიჰყვე - განთავსება, დამალვა, ინტეგრაცია. რამდენიმე ფორთოხლისგან კეთდება ფორთოხლის წვენი და ვერავინ ხვდება კომპონენტების წარმომავლობას.

ეს სულაც არ არის ძნელი: ფული მოგზაურობს ბანკიდან ბანკში კომპიუტერული პროგრამებით გაკაფული გზით და ეს გზა იმდენად უცნაურადაა დახლართული, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება კვალდაკვალ მისდიო ელექტრონულ იმპულსებს, რადგან იმ მომენტიდან, როდესაც ფული ანგარიშზე ჯდება, თითქოს რეალურობას კარგავს და იქცევა რიცხობრივ კოდად, რომელიც მხოლოდ ორი ციფრისგან - 0 და 1-ისგან შედგება.

სავუა საკუთარ მიმდინარე ანგარიშზე ფიქრობს: მიუხედავად იმისა, რამდენი აქვს შეტანილი, მისი თანხა სადენებზე მქროლავ ციფრებზეა დამოკიდებული. უცებ ვიღაცას ყველა ფაილის სისტემის შეცვლა რომ მოეპრიანოს? მაშინ როგორ იქნება? ახალმა პროგრამამ რომ ვერ იმუშაოს? როგორ უნდა დამტკიცდეს, რომ ინსპექტორს ანგარიშზე რაღაც თანხა ჰქონდა? ან როგორ უნდა იქცეს ეს ნულებისა და ერთიანების მწკრივი რაღაც კონკრეტულად - სახლად ანდა, მაგალითად, სუპერმარკეტში პროდუქტით სავსე კალათად?

ის სისტემების ხელთაა. სავუა ამის გაცნობიერებისთანავე გადაწყვეტილებას იღებს, ჰოსპიტალიდან გამოსვლისთანავე, გზად შემხვედრ პირველივე ბანკომატიდან მოითხოვოს ცნობა ანგარიშის მდგომარეობის შესახებ და თავის ყოველდღიურ უბის წიგნაკში ჩაიწეროს. ამ ოპერაციას ყოველკვირა ჩაატარებს: და თუ რამე მოხდება, მას ხელთ ქაღალდზე გადატანილი მტკიცებულება ექნება.

სავუა კვლავ იხსენებს ყველაფერს, რაც ფულის გათეთრების შესახებ გაუგია. ბოლო ეტაპი ყველაზე იოლია: ფული ირიცხება რომელიმე წესიერ, უძრავი ქონებით მოვაჭრე კომპანიის ანდა საინვესტიციო ფონდის ანგარიშზე. და თუკი ხელისუფლება

კვლავ დასვამს ადრინდელ კითხვას: „საიდან გაქვს ფული?“ შეიძლება უპასუხო: „წვრილი ინვესტორებისგან, რომლებიც გვენდობიან, გავყიდოთ მათი საქონელი“. შემდეგ ის შეიძლება სხვა აქციებში ჩადო, იყიდო მიწა, თვითმფრინავი, აუზიანი ბინა, ულიმიტო საკრედიტო ბარათი. ამ წამოწყების პარტნიორები ისევ ისინი არიან, ვინც თავიდანვე დააფინანსა ნარკოტიკებით, იარაღით თუ სხვა არალეგალური საქონლით ვაჭრობის ჯაჭვი. მაგრამ ახლა ეს სუფთა ფულია: ბოლოს და ბოლოს, არავის ეკრძალება მილიონების ბირჟაზე გამომუშავება თამაშით თუ უძრავი ქონების სპეკულაციით.

ვინ არიან ეს წვრილი ინვესტორები?

აქ სცენაზე კრიმინალური კრეატივი გამოდის. „ფორთოხლები“ სამორინეებში „მეგობრებისგან“ ნასესხები ფულით მოთამაშე ადამიანები არიან. ამ ქვეყნებში ფსონის ოდენობაზე კონტროლი ბევრად აღარ ჩამოუვარდება კორუფციის მასშტაბებს: ხომ არავის არა აქვს შეკვეთილი, მოიგოს იმდენი, რამდენიც სურს. ასეთ შემთხვევაში წინასწარ მუშავდება კომბინაცია სამორინეს მფლობელებთან, რომლებიც ღებულობენ იმ ფულის განსაზღვრულ პროცენტს, რაც სათამაშო მაგიდებთან გადადის და გადმოდის.

მაგრამ მოთამაშემ - საშუალო შემლების კაცმა - დილით ბანკირს თავისი დიდძალი ანაბრის წარმომავლობა უნდა აუხსნას.

ბედმა გამიღიმაო, ეტყვის ის.

და მეორე დღეს თითქმის მთელ თანხას გადაუგზავნის გამსესხებელ „მეგობარს“, თავისთვის კი წინასწარ დათქმულ პროცენტს - მოგებულის მცირეოდენ ნაწილს იტოვებს.

წინათ რესტორნის ყიდვის ფანდი იყო გავრცელებული: მფლობელს ხომ აქვს უფლება, თავისი სამზარეულოს თითოეული კერძიდან იმდენი აიღოს, რამდენიც სურს - ბანკშიც მონაგების შეტანა ეჭვს არ იწვევდა. თუნდაც ვიღაცას დაენახა აბსოლუტურად ცარიელი მაგიდები, შეუძლებელი იყო იმის დამტკიცება, რომ მთელ დღეს რესტორანში არც ერთი ადამიანი არ შესულა.

მაგრამ ახლა, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, თავი იჩინა სხვა, გაცილებით შემოქმედებითმა გზამ.

ახირებული, თვითნებური, ყოვლად გაუგებარი და წინასწარგანუჭვრეტელია ხელოვნების ბაზარი!

საშუალო კლასის წარმომადგენლებს აუქციონზე გამოაქვთ ხელოვნების ნაწარმოებები. იფიცებიან, პაპის სახლის სხვენზე ვიპოვეთო. მათ საკმაოდ ძვირად ყიდულობენ, ერთი კვირის მერე კი ათჯერ და ოცჯერ უფრო ძვირს იხდიან სურათების გალერეები. „ფორთოხალი“ გახარებული და ბედნიერია. ბედს მადლობას

სწირავს გულუხვი საჩუქრისთვის, ფულს თავის ანგარიშზე ინახავს, მერე კი რომელიმე უცხოურ ბანკში გადააქვს და ცოტასაც თავის დეპოზიტზე იტოვებს (რაც წინასწარ დათქმული პროცენტით ერგება). ამ შემთხვევაში ბედ-იღბლის გამგებლად გამოდიან სურათების ჭეშმარიტი მფლობელები ან მოქანდაკენი, რომლებიც სურათებს გალერეებში ყიდულობენ, მერე კი ხელახლა სხვათა ხელით გამოაქვთ ბაზარზე.

მაგრამ არსებობს რაღაც კიდევ უფრო სარფიანი - თეატრი, ფილმების წარმოება და გაქირავება. სწორედ ამ სფეროებში ეწყობა არნახული „რეცხვა“. აქ არის ის, რაზეც შეიძლება ხელი გამოიღო.

რეანიმაციაში მწოლიარე კაცის დოსიეს კითხვისას სავუა საკუთარი წარმოდგენით ავსებს ხარვეზებს.

მსოფლიოში სახელგანთქმულობაზე მეოცნებე მსახიობმა სანუკვარ მიზანს ვერ მიაღწია, სამაგიეროდ, კინოინდუსტრიას შეეთვისა. და აი, როცა სიჭარმაგეში შესულმა მოახერხა ინვესტორების მოძიება, თანხის შეგროვება და შეძლო ორი ფილმის გადაღება, მის ფილმებს მარცხი ხვდა წილად, რადგან მათი სათანადოდ, ღირსეულად გაქირავება ვერ მოახერხა. მიუხედავად ამისა, მისი სახელი აქა-იქ გაიელვებს ხოლმე ჟურნალების ფურცლებზე - მასზე წერენ, რომ ცდილობს, დიდი სტუდიების მიერ გამომუშავებული წარმოებისა და დისტრიბუციის საქმე შეცვალოს.

თვითონ ლამის სასოწარკვეთილია, არ იცის, სად წავიდეს და რა გააკეთოს, მესამე მცდელობის შანსს არავინ მისცემს.და აი, ერთ მშვენიერ დღეს ვიღაც თავაზიანი და სიტყვაძუნწი ადამიანებისგან იღებს შეთავაზებას: „რატომ არ უნდა სცადო ფილმების გაქირავება?“ პირველი შესყიდვა სრულიად რეალური და დიდი წარმატების შანსის მქონე უნდა ყოფილიყო. მსხვილი სტუდიები თავიანთ საქონელს ძვირად აფასებენ, მაგრამ ეს არ ანაღვლებდა. ცეცხლის ფასიც რომ დაედოთ, მისი ახალი მეგობრები საამისო ფულს იშოვიდნენ. სურათს მრავალ დარბაზში აჩვენებდნენ და დიდ მოგებას მოიტანდა. ჯავიც უაილდი მოიპოვებდა იმას, რაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა - რეპუტაციას. ამ დროს აზრად არავის მოსდის ამ პროდიუსერის ცხოვრების შესწავლა. მართალია, ორი-სამი ფილმის შემდეგ ხელისუფლება დაინტერესდება, საიდან აქვს ფული, მაგრამ პირველი ნაბიჯი საიმედოდ იქნება დაფარული ხუთწლიანი ვადით, რომლის გასვლის შემდეგ ფისკალური შემოწმება არ ხდება.

ჯავიცის ტრიუმფალური სვლაც იწყება: მის მიერ გაქირავებულ პირველ ფილმებს შემოსავალი მოაქვთ და გამქირავებლები მის ნიჭიერებაში რწმუნდებიან, რეჟისორები და პროდიუსერები კი მასთან სათანამშრომლოდ ერთმანეთს ეცილებიან. რეპუტაციის შესანარჩუნებლად ის ნახევარ წელიწადში მხოლოდ ორ-სამ პროექტს ირჩევს. ყველაფერი ძალზე მარტივადაა - ეს ფილმები კოლოსალურბიუჯეტიანია, პირველხარისხოვანი ვარსკვლავები მონაწილეობენ - ნამდვილი პროფესიონალები, რეკლამებზე დიდძალი ფულის გამღები ფინანსური

ჯგუფები კი მოკალათებულნი არიან რომელიმე „საგადასახადო სამოთხეში“ და „სრული კრებულისაგან“ მიღებული შემოსავალი რომელიღაც ჩვეულებრივ, ეჭვმიუტანელ საინვესტიციო ფონდში შეაქვთ, რომელიც ამ ფილმის „აქციების ნაწილს“ ფლობს.

და მზადაა. ჭუჭყიანი ფული მაღალი ხელოვნების ქმნილებად გადაიქცევა, რომელსაც, რასაკვირველია, არ მოაქვს მოსალოდნელი მოგება, მაგრამ შეუძლია გამოიმუშაოს მილიონობით დოლარი, რომელიც ამ კეთილშობილური წამოწყების ერთ-ერთი პარტნიორის ანგარიშზე დევს.

მაგრამ ერთხელაც, მეტისმეტად ფხიზელი საგადასახადო ინსპექტორი - თვითონ, ანდა რომელიმე მსხვილი სტუდიის მიერ მიყვანილი, ანაზდად ყურადღებას ერთ უბრალო გარემოებას მიაქცევს: როგორ ხდება, რომ უცნობი პროდიუსერები ახერხებენ, თავიანთ ფილმებში აიყვანონ პირველხარისხოვანი ვარსკვლავები, პროექტები მიანდონ ყველაზე სახელგანთქმულ რეჟისორებს, გაიღონ დიდძალი თანხა რეკლამებზე და თანაც ამას თავს აბამს მხოლოდ ერთი დისტრიბუტორი? პასუხი მარტივია: ჰოლივუდელი მონსტრები მხოლოდ თავიანთი პროდუქციის გაქირავებით არიან დაინტერესებულნი, ჯავიცი კი გიგანტური კორპორაციების დიქტატურის დამამხობელი გმირია, უსამართლო სისტემების გოლიათთან მებრძოლი ახალი დავითია.

მიუხედავად ამ დამაჯერებელი ახსნა-განმარტებისა, საგადასახადო ინსპექტორი გადაწყვეტს, გააგრძელოს საქმის ქექვა და გაუხმაურებლად იწყებს კვლევა-ძიებას. ბლოკბასტერების წარმოებაში თანხის დაბანდებით თურმე ყოველთვის ბაჰამაში, პანამასა და სინგაპურში დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოებები არიან დაინტერესებულნი. ამ დროს გადასახადებისა და მოსაკრებელთა დეპარტამენტში დამკვიდრებული ვიღაც (ასეთები კი აუცილებლივ მოიძებნებიან) თავის ნამდვილ უფროსებს აფრთხილებს: ჯავიცის არხი მალე ბლოკირებული იქნება - ფულის გასათეთრებლად მოძებნეთ სხვა დისტრიბუტორი.

ჯავიცი სასოწარკვეთილია, რადგან უკვე მიჩვეულია მილიონერივით ცხოვრებას და ნახევარღმერთივით ხვდებიან. მიფრინავს კანში: კინოფესტივალი შესანიშნავი საბაბია, რათა საკუთარი ღირსების შეულახავად მოელაპარაკოს იმათ, ვინც მას აფინანსებდა, ყველაფერი გაარკვიოს, პირადად მიიღოს და გადასცეს საბანკო ანგარიშები. მას აზრადაც არ მოსდის, რომ კარგა ხანია, რაც კვალდაკვალ დაჰყვებიან, რომ მისი დაპატიმრება ტექნიკის საქმეა და ნახევრადბნელ ოთახში მსხდომი ჰალსტუხიანი ადამიანები ფიქრობენ, ახლავე აიყვანონ თუ ცოტა ხანს კიდევ აცალონ თავისუფლად სეირნობა, ეგებ ამასობაში ახალი სამხილების შეგროვებაშიც დაგვეხმაროსო?

„ფინანსისტებს“ მაინც არ უყვართ გაუმართლებელი რისკი: მათი პარტნიორი ჯავიც უაილდი შეიძლება ყოველ მომენტში დააპატიმრონ. მერე ეგებ გამოძიებასთან

გარიგებაზეც წავიდეს და აწყობილი სისტემის ყველა დეტალი გაამჟღავნოს, დაასახელოს ყველა, ვინც მასთანაა ფოტოზე გადაღებული, ამასთან ისე, რომ ვერც კი ხვდებოდა, სურათს თუ უღებდნენ?

მისი გაჩუმება ერთადერთი საშუალებით შეიძლება.

სავუასთვის ყველაფერი დღესავით ნათელია და ზუსტად იცის, როგორ განვითარდება მოვლენები. ახლა კი ჩვეულ საქმეს უნდა მიხედოს - მომაბეზრებელ ქაღალდებს.

ფორმულარი შეავსოს და „ევროპოლს“ გაუგზავნოს - დაე, იქაურმა ბიუროკრატებმა მოიძიონ მკვლელი: ხმაურიანი საქმეა, წარმატებულად დასრულების შემთხვევაში დაჯილდოება და დაწინაურება ელის, რაც ამ სტრუქტურებში არცთუ ხშირად ხდება. ძიებამ შედეგი უნდა გამოიღოს და მისი არც ერთი უფროსი არ დაიჯერებს, რომ ამის მიღწევა მიყრუებულ მხარეში მომუშავე ინსპექტორმა შეძლო (დიახ, იმიტომ, რომ მიუხედავად თავისი ბრწყინვალებისა, კანი წელიწადის 350 დღეს პატარა პროვინციული ქალაქია და მეტი არაფერი).

სავუას ერთ-ერთ მცველზე აქვს ეჭვი, რადგან საწამლავი რომ შეუშხაპუნო, მსხვერპლთან ძალიან ახლოს უნდა იყო, მაგრამ თავისი ვერსიის სააშკარაოზე გამოტანას არ აპირებს. ის კიდევ ბევრ ქაღალდს დახარჯავს, რათა საღამოს ყველა მონაწილე დაკითხოს. ახალ მოწმეებს ვერ გამოავლენს და ზემდგომ ინსტანციებთან რამდენიმედღიანი მიწერ-მოწერის შემდეგ თავის მისიას შესრულებულად ჩათვლის.

ის კვლავ უბრუნდება ორი საშუალო სტატისტიკური მკვლელობის ძიებას და ცოლ-ქმარს შორის ჩხუბის დროს სხეულზე მიყენებულ დაზიანებას. მას ხომ ორი ნაბიჯი აშორებდა საერთაშორისო აღიარებას, მისი ახალგაზრდობის ოცნების ახდენას - გაეუმჯობესებინა, უფრო სამართლიანი და უსაფრთხო გაეხადა მსოფლიო, იუსტიციის სამინისტროში მაღალი თანამდებობისთვის მიეღწია და პირადი მაგალითით დაემტკიცებინა ის, რომ მათ შორის არიან პატიოსანი ადამიანები.

ეს ყველაფერი ქაღალდებს შორის დაიმარხება.

4:16 PM

Martinez-ის ბარის ხალხით სავსე ღია ტერასას დანახვისას იგორი სიამაყეს გრძნობს თავისი წინდახედულობის გამო: თუმცა ადრე კანში არასოდეს ყოფილა, მაგრამ მაგიდა მაინც წინასწარ შეუკვეთა. ითხოვს ჩაის და გახუხულ პურს, სიგარეტს ეწევა და იქაურობას ათვალიერებს: აქ ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც სხვა დანარჩენ „მდიდრულ“ ადგილებში: ანორექსიით გატანჯული, ბოტოქსით გაბერილი და

ძვირფასსამკაულაჩონჩხლილი ქალები, ხანდაზმული მამაკაცები ახალგაზრდა გოგონებთან ერთად, ერთმანეთით აშკარად თავგაბეზრებული ცოლ-ქმარი, მოღიმარი გოგონები, უალკოჰოლო გამაგრილებელსასმელიანი ბოკალები რომ უჭირავთ და თავს იკატუნებენ, თითქოს მეგობარ გოგონას ესაუბრებიან, სინამდვილეში კი თვალებს აქეთ-იქით აცეცებენ, ეგებ ვინმე ყურადღების ღირსი მოხვდეთ თვალში.

სხვაგვარად საქმე მხოლოდ ერთ მაგიდასთანაა: სამ მამაკაცსა და ორ ქალს ლუდის ქილებს შორის რაღაც ქაღალდები გაუშლიათ და ხმადაბლა კამათობენ, თან გამუდმებით თავიანთი კალკულატორების კლავიშებს აწკაპუნებენ. იფიქრებ, მხოლოდ ეს ხუთეულია ამ საქმით დაკავებულიო, მაგრამ ასე არ არის.

ყველანი ცდილობენ, იბრწყინონ და თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, შეიძლება დიდება მოიპოვონ. დიდება კი, თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, ძლევამოსილებასთან მიიყვანს. ეს მაგიური სიტყვაა, რომელსაც შეუძლია ადამიანი ნახევარღმერთად, მიუწვდომელ კერპად აქციოს, თვითონ კი, როცა თავისი სპორტული ავტომობილით ან დაბურულმინებიანი ლიმუზინით გაივლის, გარშემომყოფთა შურსა და ეჭვს იწვევდეს. მისთვის არ არსებობს დაუპყრობელი მწვერვალი, მიუვალი ციხესიმაგრე.

მათ, ვინც ამ ტერასაზე სხედან, უკვე გადალახული აქვთ რაღაც ბარიერი - ისინი ხომ ხელში ფოტოაპარატებით ლითონის ღობის იქით იმის მოლოდინში არ დგანან, მთავარი კარიდან გამოსული ვარსკვლავი შუქს როდის მოჰფენს სამყაროს. დიახ, ისინი უკვე შიგნით მოხვდნენ და ახლა მხოლოდ დიდება და ძალაუფლება აკლიათ - არა აქვს მნიშვნელობა, რა სფეროში. მამაკაცებმა იციან, რომ მათთვის ასაკი პრობლემა არაა, ოღონდ საიმედო და მტკიცე კავშირები არსებობდეს. გოგონები კი, მათი თვალის გამჭრიახობა ყველაზე გაწაფულ მცველებს რომ შეშურდებათ, პირიქით, გრძნობენ სახიფათო ასაკის მოახლოებას და იციან, ამ ასაკის დადგომასთან ერთად თავიანთი სილამაზით რაიმეს მიღწევის შესაძლებლობა ანაზდად გაუქრებათ. უფროსი ასაკის ქალებს სურთ, მათ პატივს სცემდნენ და აფასებდნენ ნიჭიერებისა და ჭკუისათვის, თუმცა ბრილიანტის ბრწყინვალება ისე აბრმავებთ, რომ სხვა ვერაფერს ხედავენ. ცოლ-ქმარი ფიქრობს, სადაცაა ახლოს ჩაუვლის ვიღაც, მიესალმება, ყველა მათკენ შემობრუნდება და იფიქრებენ, ნამდვილად ცნობილი ადამიანები არიანო, ან იქნებ ცნობილი კი არა, სახელგანთქმული?

სახელგანთქმულობის სინდრომს შეუძლია ქორწინების დარღვევა, კარიერის გაფუჭება, ყველა ქრისტიანული სათნოების განადგურება, როგორც ბრძენის, ისე ბრიყვის დაბრმავება. დიდი მეცნიერი პრესტიჟული პრემიის მიღების შემდეგ ტოვებს კვლევით სამუშაოს, რომელსაც უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია და იწყებს ლექციების და მოხსენებების კითხვას მომატებული შემოსავლისა და საკუთარი თავის დაფასების გამო.

სახელგანთქმულობის სინდრომია, როცა ადამიანები ივიწყებენ, ვინ არიან და იჯერებენ იმას, რასაც მათზე ლაპარაკობენ. სუპერკლასი ყველას სანუკვარი ოცნებაა, ადგილია, სადაც არც ჩრდილია და არც სიბნელე, ამასთან, რაგინდარა თხოვნაზე პასუხად უცვლელად ჟღერს: „დიახ“.

იგორი ძლევამოსილია. მთელი სიცოცხლე თავისი დღევანდელი მდგომარეობისთვის იბრძოდა. ამისთვის რომ მიეღწია, იძულებული იყო დასწრებოდა მომაბეზრებელ ვახშმებს, მოესმინა დაუსრულებელი ლაპარაკი, შეხვედროდა მათ, ვინც ეზიზღებოდა, გაეღიმა მისთვის, ვინც სურდა ჯანდაბას იქით გაეგზავნა და ჯანდაბას იქით აგზავნიდა მაშინ, როცა სიმპათიასა და სიბრალულს გრძნობდა. დღესა და ღამეს მუშაობით ასწორებდა, მისთვის არ არსებობდა დასვენების დღე და დღესასწაულები, მთელ დღეს თავის იურისტებთან, ადმინისტრატორებთან, პრეს-აგენტებთან ატარებდა. კომუნისტური რეჟიმის დაშლის შემდეგ ნულიდან დაიწყო და შეძლო მწვერვალისთვის მიეღწია. უფრო მეტიც - მოახერხა გაეძლო ყველა პოლიტიკური და ეკონომიკური ქარტეხილისთვის, რომელმაც უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მისი სამშობლო შეარყია.

რატომ? იმიტომ, რომ ღმერთის ეშინოდა, იცოდა, მისი მადლით იკაფავდა გზას და უნდა დამორჩილებოდა მის ნებას, სხვაგვარად ყველაფერს დაკარგავდა.

რასაკვირველია, იყო წუთები, როცა თითქოს ვიღაც ჩასჩურჩულებდა: შენ გვერდს უვლი წყალობის მნიშვნელოვანი წილის მომმადლებელს - ევას. მაგრამ ის კარგა ხანს იყო დარწმუნებული, ევა ყველაფერს გაუგებდა, ისე მხურვალედ დებდა პირობას, რომ ეს მხოლოდ გარკვეული პერიოდი იყო მის ცხოვრებაში - გაჭიანურებული ფაზა, რომელიც მალე დამთავრდებოდა და ისინი სულ ერთად იქნებოდნენ. გრანდიოზულ გეგმებს ადგენდნენ - უნდა ემოგზაურათ, ეცურათ გემით, მთის მწვერვალზე აეშენებინათ სახლი ბუხრით; მოიშორებდნენ ფულზე, ვალებზე, ვალდებულებასა და მოვალეობაზე ფიქრს, ეყოლებოდათ ბევრი შვილი, მათ სადმე ახლოს მიაბარებდნენ სკოლაში, მთელ დღეებს იხეტიალებდნენ ტყეებში, ივახშმებდნენ პატარა, მყუდრო რესტორნებში.

ექნებოდათ საიმისო დრო, რომ ეფუსფუსათ ბაღში, ეკითხათ წიგნები, ევლოთ კინოში, ეკეთებინათ ის უბრალო რამ, რაზეც ყველა ოცნებობს და რასაც შეუძლია დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ყველა ადამიანს შეუვსოს ცხოვრება... შინ დაბრუნებული იგორი, დასტა-დასტა საბუთებს საწოლზე რომ ყრიდა, ევას ეხვეწებოდა, მოთმინება მოეკრიბა, მობილური ტელეფონის ზარი იმ დროს რომ გაისმებოდა, როცა ცოლ-ქმარს ვახშამი ჰქონდა დაგეგმილი. იგორი იძულებული ხდებოდა, სიტყვა შუაზე გაეწყვიტა და ვიღაცის გაბმული საუბრისთვის ესმინა, ისევ და ისევ სთხოვდა ევას მოთმინების მოკრებას. მან იცოდა, ევა შესაძლო და შეუძლებელ ღონეს ხმარობდა მისთვის მყუდრო და მოხერხებული გარემოს შესაქმნელად, თუმცა დროდადრო თავს ნებას აძლევდა, ალერსიანად ესაყვედურა,

რომ ფული უკვე მათ ხუთ თაობას ეყოფოდა და სანამ ახალგაზრდები იყვნენ, ცხოვრებით უნდა ესარგებლათ.

იგორი ეთანხმებოდა, მართალია, შემიძლია ახლავე შევჩერდეო. ევა ღიმილით ეფერებოდა ლოყაზე, მაგრამ სწორედ იმ წამს იგორს რაღაც ახსენდებოდა, ტელეფონს ეცემოდა, ან კომპიუტერთან ჯდებოდა ვიღაცასთან საკამათოდ ან მეილის გასაგზავნად.

უცებ ბარში ორმოციოდე წლის მამაკაცი ადგილიდან დგება, თავს ზემოთ გაზეთს იქნევს და ყვირის:

- „სისხლიანი სასაკლაო ტოკიოში! კომპიუტერის სათამაშო სალონში შვიდი კაცი მოკლეს!“

ყველა მას უყურებს.

- ისინი ამას ძალადობას უწოდებენ! ძალადობა იქ კი არა, აქ არის!

იგორი ჟრჟოლამ აიტანა.

- ვიღაც ფსიქოპათმა რამდენიმე უდანაშაულო ადამიანს ყელი რომ გამოსჭრა, მთელი სამყარო შეძრწუნებულია, მაგრამ ვის რა ხელი აქვს კანში არსებულ ინტელექტუალურ ძალადობასთან?! ჩვენი ფესტივალი დიქტატურის სახელით სჩადის მკვლელობას: ლაპარაკი იმაზე კი არაა, რომელ სურათს აღიარებენ საუკეთესოდ, არამედ კაცობრიობის წინაშე დანაშაულზე, როცა ადამიანებს აიძულებენ, იყიდონ მათთვის სრულიად უსარგებლო საქონელი, დაივიწყონ ხელოვნება მოდის საამებლად, მიატოვონ გადაღებები სადილ-ვახშმების გამო. აი, ჭეშმარიტი მხეცური საქციელი. მე აქ ვარ, რათა...

- მოკეტე, არავის აინტერესებს აქ რატომ ხარ, - პასუხობს ვიღაც.

- აქ ვარ, რათა მოგიწოდოთ: გადააგდეთ გულისთქმის მონური უღელი! თქვენ კარგა ხანია დამოუკიდებლად არაფერს ირჩევთ! არჩევანს თავზე გახვევთ მატყუარა რეკლამები! რატომ დაინტერესდით ტოკიოს სასაკლაოთი და არ გაინტერესებთ ის სატანჯველი, რასაც განიცდის კინემატოგრაფისტთა მთელი თაობა?!

თითქოს მქუხარე ოვაციის მოლოდინში, ის ერთი წამით გაჩუმდა, მაგრამ ბარში მაშინვე გაისმა მოგუდულ ხმათა ზუზუნი. ყველა შეწყვეტილ საუბარს მიუბრუნდა.

ხალხი გულგრილად შეხვდა წუთის წინ მოსმენილ გამოსვლას. მყვირალა კი ადგილზე დაჯდა და ცდილობდა, თავი ამაყად სჭეროდა, თუმცა გული ლამის გასკდომოდა, სასაცილო მდგომარეობაში რომ ჩაიგდო თავი.

„გა-ბრწყი-ნე-ბა“, - ეს ყველაზე ძნელია, - ფიქრობს იგორი, - საქმე ისაა, რომ არავის არავინ აინტერესებს.

იგორი ირგვლივ იყურება. ევა ამავე სასტუმროში ცხოვრობს... იგორი იმდენ წელიწადს სწავლობდა მის ჩვეულებებსა და გემოვნებას, რომ შეუძლია დაიფიცოს, ახლა სადმე მის მახლობლად ჩაის ან ყავას სვამს. ევა მიიღებდა შეტყობინებას და, უეჭველია, ისიც ეძებს, რადგან ყოფილი ქმარი სადღაც ახლომახლო ეგულება.

იგორი ვერ ხედავს ევას, მაგრამ არ შეუძლია, მასზე არ იფიქროს. ანაზდად ის გვიანი საღამო ახსენდება, მანქანით შინ რომ ბრუნდებოდა (მძღოლად თანაპოლკელი ჰყავდა, რომელიც იგორის მცველობასაც ითავსებდა. ისინი ავღანეთში ერთად იბრძოდნენ, მაგრამ ბედი მის მიმართ ისეთი მოწყალე არ აღმოჩნდა, როგორიც იგორის მიმართ). იგორმა მცველს სთხოვა, მანქანა სასტუმრო „კემპინსკის“ ახლოს გაეჩერებინა. სავარძელზე ტელეფონი და საბუთები დატოვა და ბარში ავიდა, რომელიც, როგორც აქ, კანში, ტერასაზე მოეწყოთ, ოღონდ, ის თითქმის ცარიელი იყო. დაკეტვის დრო ახლოვდებოდა. იგორმა ბარმენსა და ოფიციანტს სთხოვა, კიდევ ერთი საათი ემუშავათ და შეჰპირდა, ნაწყენებს არ დაგტოვებთო. სწორედ მაშინ მიხვდა ყველაფერს: ის ვერ შეჩერდებოდა. ვერც ერთი თვის, ვერც ერთი წლის და ვერც ათი წლის შემდეგ. მას და ევას არასოდეს ექნებოდათ სახლი მივარდნილ სოფელში, რაზეც ასე ოცნებობდნენ, არც შვილები ეყოლებდათ. მაშინ საკუთარ თავს ჰკითხა, რატომო და მხოლოდ ერთი პასუხი მიიღო: გზა ხელისუფლებისკენ ცალმხრივი მოძრაობის გზაა.

უკან ვერ დაბრუნდებოდა. სამუდამოდ დარჩებოდა დიდი ხნის წინანდელი არჩევანის მონად. თუ მაინც განახორციელებდა თავის განზრახვას და ყველაფერს მიატოვებდა, უმალ მძიმე დეპრესიაში ჩავარდებოდა.

რატომ აირჩია ეს გზა? ომის მტანჯველი მოგონებებისა და იმის გამო, რომ ოდესღაც, ახალგაზრდობაში, შეშინებული, თავს ძალად მოხვეული ვალდებულების გამო იძულებული იყო, მკვლელობები ჩაედინა? იმის გამო, რომ ვერაფრით შეძლო თავისი პირველი მსხვერპლის - ცეცხლის ხაზზე მოხვედრილი ავღანელი გლეხის - დავიწყება? იმ ადამიანების გამო, რომელთაც თავდაპირველად არ სჯეროდათ, მერე კი დასცინოდნენ მას, როცა ამბობდა, მსოფლიოს მომავალი ფიჭურ სატელეფონო კავშირშიაო და თავისი პირველი პროექტის ინვესტორებს ეძებდა? იმის გამო, რომ თავდაპირველად საქმის დაჭერა მოუხდა მაფიასთან, რომელიც მისი ფირმის მეშვეობით თავის დანაშაულებრივ ფულს ათეთრებდა? მან მათი ვალების დროზე გადახდა მოახერხა და ისიც შეძლო, ერთდროულად ბნელ პიროვნებებთანაც ჰქონოდა ურთიერთობა და მაღალ საზოგადოებაშიც შეენარჩუნებინა თავი. შეძლო, მიხვედრილიყო, რომ ომი შორეულ წარსულში დარჩა და ცხოვრება უნდა გაეგრძელებინა. შეძლო, ეპოვა თავისი ცხოვრების ქალი. შეძლო, იმ სფეროში ემუშავა, რომელიც მუდამ იზიდავდა. შეძლო, გამდიდრებულიყო და თავისი კაპიტალისთვის უსაფრთხოება შეექმნა იმ ნაკლებად სავარაუდო შემთხვევისთვის, თუკი კომუნისტური რეჟიმი რევანშს აიღებდა. მისი ფულის უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ იყო, კავშირს ინარჩუნებდა ყველა პოლიტიკურ პარტიასთან. შექმნა

ფონდი, რომელიც მეურვეობას უწევდა იმათ შვილებს, ვინც ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრის შედეგად დაიღუპნენ.

მაგრამ იმ ღამეს კაფეში მარტო რომ იჯდა და კრემლის კოშკებს შესცქეროდა, ანაზდად ყველაფერს მიხვდა.

მიხვდა, რომ იგივე ემართებოდა მის ცოლსაც, მთელ მსოფლიოს რომ უვლიდა; თუ მოსკოვში იყო, შინ გვიან ბრუნდებოდა და მოსვლისთანავე კომპიუტერს ეცემოდა ხოლმე. იგორი მიხვდა, რომ უმრავლესობის აზრთა საფუძვლიანი განსხვავების მიუხედავად, აბსოლუტური ძლევამოსილება მონობად იქცევა. მას, ვინც ამ სამყაროში მოხვედრილა, მისი მიტოვება აღარ სურს. დაპყრობილი სიმაღლის შემდეგ ახალი მწვერვალები ჩნდება და ყოველთვის იარსებებს კონკურენტი, ვისი დაჯაბნაც გენდომება. ორი ათას ადამიანთან ერთად ის ყველაზე ელიტარული კლუბის წევრი იყო. კლუბელები წელიწადში მხოლოდ ერთხელ იკრიბებიან. ყველა მათგანი უზარმაზარი ძალაუფლებისა და ფულის პატრონია, მაგრამ მაინც დილიდან გვიან ღამემდე მუშაობენ, სურთ, მიაღწიონ უფრო მეტს; საუბრობენ მხოლოდ ბაზრის ტენდენციებსა და აქციების მდგომარეობაზე. ფულზე, ფულზე და მხოლოდ ფულზე. მუშაობენ არა იმიტომ, რომ რაიმე ესაჭიროებათ, არამედ იმიტომ, რომ გრძნობენ უდიდეს პასუხისმგებლობას თავიანთი ხელისუფლებების, პარტნიორებისა და ასეული ათასობით მოსამსახურის წინაშე. მუშაობენ, რადგან გულწრფელად სჯერათ, თითქოს სამყაროს ეხმარებიან. რას იზამ, შეიძლება ასეცაა, მაგრამ სამყარო ამ დახმარებისთვის დიდ საფასურს ითხოვს - საკუთარ სიცოცხლეს.

მეორე დღეს იგორმა ის ჩაიდინა, რასაც ადრე ზიზღითა და გაოცებით უყურებდა - იფიქრა, რაღაც სჭირდა და ფსიქოთერაპევტს მიაკითხა. ექიმმა აუხსნა, რომ მას სჭირდა საკმაოდ გავრცელებული სნეულება, რომელიც ხშირად ემართებათ საერთო მასიდან გამოცალკევებულ ადამიანებს - მათ, რომელთაც რაღაც ისეთს მიაღწიეს, რაც ჩვეულებრივი, საშუალო ადამიანის შესაძლებლობას აღემატება. აღმოჩნდა, რომ ის მუშაობაზე დამოკიდებული ადამიანი ანუ „ვორკაჰოლიკი“ იყო, როგორც ცოტა ხნის წინ უწოდეს ამ სახის ფსიქიკურ მოშლილობას.

- ასეთი გაშმაგებით მომუშავე ადამიანებს, - უთხრა ექიმმა, - უჯობთ, თავი დააღწიონ პრობლემებს, რაც მუდმივად დგას მათი კომპანიების წინაშე და მძიმე დეპრესიის საშიშროებას შეიცავს. ამ ნევროზის ბუნება ჯერჯერობით შეუსწავლელია, თუმცა მას ახასიათებს საკუთარი თავის რწმენის დაკარგვა, ბავშვური შიში, სინამდვილის მიუღებლობა... მასზე დამოკიდებულება, ნარკოდამოკიდებულებაზე არანაკლებ დამღუპველია, მაგრამ ნარკომანისგან განსხვავებით, რომლის შრომისუნარიანობა დღითი დღე მცირდება, „ვორკაჰოლიკები“ დიდად უწყობენ ხელს ნაციონალური სიმდიდრის ზრდას. ამიტომ ასეთი ადამიანების დახმარებით არავინ არაა დაინტერესებული.

- შედეგი როგორია?

- არ დაგიმალავთ, რადგან სწორედ ამიტომ მომმართეთ: ყველაზე სერიოზული შედეგი ოჯახური ცხოვრების რღვევაა. იაპონიაში, სადაც, სხვასთან შედარებით, ასეთი ფსიქიკური მოშლილობა ხშირია და ხანდახან ფატალური შედეგითაც მთავრდება, შეძლეს, სხვადასხვა მეთოდით დაეხმარონ მსგავსი დაავადებით შეპყრობილებს, ან გააკონტროლონ მაინც.

იგორი, ბოლო წლებში პირველად, მის წინაშე მჯდომი ადამიანის მიმართ დიდი პატივისცემით აივსო.

- მაშასადამე, შეიძლება, იმედი მქონდეს, რომ გამოსავალი არსებობს...

- თუკი ასეთი ადამიანი დახმარებისთვის ფსიქოთერაპევტს მიმართავს, ის შინაგანად უკვე მზად არის მკურნალობისთვის. ათასიდან მხოლოდ ერთი ადამიანი თუ უწევს თავს ანგარიშს, რომ დახმარება სჭირდება.

- მინდა დახმარება და ფული მეყოფა, რათა...

- ტიპური „ვორკაჰოლიკის“ სიტყვებია. ვიცი, ვიცი, რომ გეყოფათ... გიცანით - თქვენი სურათები მინახავს საქველმოქმედო აქციებისა და კონგრესების ფოტორეპორტაჟებიდან, და კიდევ, ჩვენს პრეზიდენტთან ერთად ხართ გადაღებული. სხვათა შორის, მასაც იმავე დაავადების სიმპტომები აქვს. ასეა. მარტო ფული ამისთვის საკმარისი არ არის, მთავარია, ვიცოდე, გეყოფათ თუ არა ნებისყოფა.

იგორს გაახსენდა ევა, სახლი მთაზე, ოჯახი, რომლის შექმნაც ასე სურდა. მის ანგარიშზე დადებული ასობით მილიონი დოლარი. დაფიქრდა აგრეთვე თავის პრესტიჟზე, მიღწეულ ძლევამოსილებასა და იმაზე, როგორ გაუძნელდებოდა ყოველივე ამასთან განშორება.

- სულაც არ გთავაზობთ, მიატოვოთ ის საქმე, რასაც აკეთებთ, - უთხრა თერაპევტმა, თითქოს მისი აზრები წაეკითხოს, - ამოცანა ისაა, თქვენს საქმეს სიხარულის წყაროდ აღარ მიიჩნევდეთ, მისით შეპყრობილი არ იყოთ და მასზე ზრუნვა რაღაც აკვიატებულ იდეად არ გექცეთ. მაინც რა იყო მთავარი მიზეზი, რამ გაგარისკვინათ ჩემთან მოსვლა? ბოლოს და ბოლოს, თქვენი ყაიდის ადამიანები სიამოვნებას ღებულობენ იმისგან, რასაც აკეთებენ, თქვენს მდგომარეობაში მყოფი არც ერთი თქვენი მეგობარი ალბათ არ აღიარებდა, რომ დახმარება სჭირდება...

იგორმა თავი დახარა.

- რა მოხდა? რატომ დუმხართ? გინდათ, თქვენ მაგივრად ამას მე გავცე პასუხი? საქმე ისაა, რომ თქვენს ოჯახურ ცხოვრებას ბზარი გაუჩნდა.

- არა, საქმე უარესადაა. ჩემს ცოლსაც იგივე სიმპტომები აქვს. ბაიკალზე გამგზავრების შემდეგ გამიუცხოვდა. და თუკი ამქვეყნად არის ადამიანი, ვისი გულისთვისაც კვლავ შევძლებ მკვლელობას, ეს...

იგორს ხმა ჩაუწყდა, მიხვდა, ზედმეტი წამოსცდა, მაგრამ მაგიდის მეორე მხარეს მჯდომ ფსიქოთერაპევტს წარბიც არ შეუხრია.

- თუკი ამქვეყნად არსებობს ადამიანი, ვისი გულისთვისაც მზად ვარ... ყველაფრისთვის, ეს ჩემი ცოლია.

ექიმმა ასისტენტი იხმო და სთხოვა, პაციენტი ფსიქოთერაპიის სეანსების სერიაში ჩაეწერა. არც უკითხავს, პაციენტი ამა და ამ რიცხვში, ამა და ამ საათზე იქნებოდა თუ არა თავისუფალი. ფსიქოთერაპია იმაშიც გამოიხატებოდა, რომ თავიდანვე მიეხვედრებინა, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გადადება მოუწევდა.

- შეიძლება რაღაც გკითხოთ?

ექიმმა თავი დაუქნია.

- მითხარით... ის, საჭიროზე უფრო მეტს რომ ვმუშაობ, არ შეიძლება აიხსნას რაიმე მნიშვნელოვანი, კეთილშობილური აზრით? მაგალითად, უფლის მიმართ ღრმა პატივისცემით, ვინც ცხოვრებაში ასეთი შესაძლებლობა მიწყალობა? ანდა საზოგადოების ზნე-ჩვეულებათა გამოსწორების სურვილით, თუნდაც საამისოდ ხანდახან ისეთი მეთოდებით მოქმედება მიწევდეს, რაც... ცოტა არ იყოს... - იგორს უცებ ხმა ჩაუწყდა...

- ცოტა არ იყოს, რა?

- არა, არაფერი.

ექიმისგან გამოსული იგორი ერთდროულად ღელვასაც გრძნობდა და შვებასაც. უეჭველია, ფსიქოთერაპევტი ვერ მიხვდებოდა იმას, რის ჩამდენი იყო მისი პაციენტი: ცხოვრებას ყოველთვის აქვს აზრი. ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ და ძალიან ხშირად საჭირო ხდება ავთვისებიანი სიმსივნის მოშორება მთელი ორგანიზმის გადასარჩენად. თითოეული თავის სამყაროში იკეტება, ადგენს გეგმას, ანგარიშს არ უწევს ახლობლებს და სჯერა, პლანეტა მხოლოდ მიწის ნაკვეთია, რომელიც უნდა დაამუშაო, დაუმორჩილო საკუთარ ინსტინქტებსა და სურვილებს და ყურადღებას სულ არ აქცევდე საერთო კეთილდღეობას.

არა, მას არ დაურღვევია ოჯახი - მას მხოლოდ ის სურდა, რომ სამყარო, სადაც მის შვილებს მოუხდებოდათ ცხოვრება, ახლანდელზე უკეთესი ყოფილიყო. რომ იქ არც ნარკოტიკებს ეარსება, არც ომს, არც სექსმომსახურების სამარცხვინო ბაზარს და მხოლოდ სიყვარულის უდიდეს ძალას ემეფა, რომელსაც შეუძლია ადამიანების, ხალხების, ეროვნებებისა და რელიგიების გაერთიანება. ევა გაუგებდა მას, თუნდაც მათ ქორწინებას კრიზისი დასდგომოდა, რაც, უეჭველია, ავმა სულებმა დაატეხეს თავს.

მეორე დღეს იგორმა თავის მდივანს დაავალა, ფსიქოთერაპიის სეანსებზე უარი ეთქვა იმ მიზეზით, რომ ბევრი მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა. ამუშავებდა მსოფლიოს გადახალისების გრანდიოზულ გეგმას. უკვე დაუკავშირდა რომელიღაც ჯგუფს, რომელიც მზად იყო მასთან სათანამშრომლოდ.

ორი თვის შემდეგ ქალმა, ვინც ასე უყვარდა, მიატოვა. ევა ნამდვილად ეშმაკმა შეიპყრო - სხვაგვარად იგორს მისი საქციელის მიზეზი ვერ აეხსნა.

სინამდვილეში სავარძლის გაცურების მკვეთრმა ხმამ დააბრუნა. თავი რომ მოატრიალა, მის წინ მჯდომი ქალი დაინახა. ცალ ხელში ვისკიანი ჭიქა ეჭირა, მეორეში - მხრჩოლავი სიგარეტი. კარგად იყო ჩაცმული, მაგრამ აშკრად ნასვამი ჩანდა.

- შეიძლება დავჯდე? სხვაგან ყველა ადგილი დაკავებულია.

- თქვენ უკვე ზიხართ.

- ეს შეუძლებელია... - ისე ამბობს ქალი, თითქოს ძველ ნაცნობთან დაწყებულ საუბარს აგრძელებსო, - უბრალოდ შეუძლებელი... პოლიციამ ჰოსპიტალიდან გამომაგდო! ის კი, ვისი გულისთვისაც ნახევარი დღე თვითმფრინავში გავატარე და იძულებული გავხდი ორმაგი ფასი გადამეხადა სასტუმროს ნომერში, ახლა სიკვდილის პირასაა... ნარკოტიკები!

ეს ქალი პოლიციიდანაა? თუ მის სიტყვებს არავითარი კავშირი არა აქვს იმასთან, რაზეც ფიქრობდა.

- თქვენ კი... არა, აჯობებს, „შენობით“ მოგმართოთ, შენ აქ რას აკეთებ? არ გცხელა? პიჯაკს რატომ არ იხდი? გინდა ყველა შენი ელეგანტურობით აღაფრთოვანო?

როგორც ყოველთვის, ადამიანები თვითონვე ირჩევენ საკუთარ ბედს. ეს ქალიც ასეა.

- ამინდის მიუხედავად, პიჯაკს ყოველთვის ვატარებ, თქვენ კი, უეჭველია, მსახიობი ხართ!

ქალს ისტერიკული სიცილი აუტყდა.

- ვთქვათ, მსახიობი ვარ... დიახ, მსახიობი ვარ! ვთამაშობ იმის როლს, ვინც სიყრმიდანვე ელოლიავებოდა ოცნებას, მასთან ერთად გაიზარდა, შვიდი უმძიმესი წელიწადი იბრძოდა მისი განხორციელებისთვის, დააგირავა სახლი, სულმოუთქმელად მუშაობდა...

- ვიცი, ეს რაც არის.

- არა, არ გეცოდინება. ეს ისაა, რომ დღეცა და ღამეც ერთსა და იმავეზე ფიქრობდე: შეაღწიო იქ, სადაც არ მიუწვევიხარ! ხელი გაუწოდო იმათ, ვისი ატანაც არ შეგიძლია, ათჯერ დაურეკო ადამიანებს, ვინც შენი შემართებისა და ნიჭიერების მეასედსაც კი არ

ფლობს, მაგრამ გარკვეული მდგომარეობა უჭირავს და გადაწყვიტა, სამაგიერო თავისი პირადი თუ ოჯახური უსიამოვნების გამო გადაგიხადოს...

- ...მაგრამ, ამასთან, იცოდე, რომ არ არსებობს უფრო მეტი ბედნიერება, ვიდრე შენთვის სასურველისკენ ლტოლვაა. რაც არაფერზე გაიცვლება და ვერც მოშორდები. სხვა ვერაფრით ვერ დაინტერესდები... ბოლოს და ბოლოს კი, ოჯახი გენგრევა.

წამიერად გამოფხიზლებული ქალი გაკვირვებული უყურებს იგორს.

- ვინ ხართ? როგორ ხვდებით ჩემს ფიქრებს?

- მეც ამ წუთებში, როცა ჩემს მაგიდასთან დაჯექით, ზუსტად მაგაზე ვფიქრობდი. შეგიძლიათ „შენობით“ მომმართოთ. ვფიქრობ, შევძლებ თქვენს დახმარებას.

- მე ვერავინ დამეხმარება: ერთადერთი, ვისაც ეს შეეძლო, რეანიმაციაში წევს და ყველაფრიდან ჩანს, რომ ვერ გადარჩება... ო, ღმერთო!

ქალი ერთბაშად სვამს მორჩენილ ვისკის. იგორი მიმტანს ანიშნებს, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევს და სხვა მაგიდას ემსახურება.

- იცით რა, მთელი ცხოვრება პირმოთნე სიცრუე მერჩივნა კონსტუქციულ კრიტიკას. თუ შეიძლება, მითხარით, რომ ლამაზი ვარ და შემიძლია...

იგორი იცინის.

- რატომ გგონიათ, რომ არ შემიძლია დაგეხმაროთ?

- შემთხვევით კინოპროდიუსერი ხომ არ ხართ? თუ დისტრიბუტორი? კავშირები გაქვთ მთელ მსოფლიოში და დედამიწის სფეროს ყველა ქალაქის კინოთეატრებთან?

გამორიცხული არ არის, რომ ორივე ერთსა და იმავე ადამიანზე ლაპარაკობენ. თუ ასეა და ეს მახეა, გაქცევა, სულერთია, დაგვიანებულია - უეჭველია, სანამ სკამიდან წამოდგება, ეცემიან და დააპატიმრებენ. იგორი უსიამოვნო სიცივეს გრძნობს, მაგრამ საიდან მოდის ეს შიში? სულ რამდენიმე საათის წინ არ იყო, პოლიციელს რომ უნდა ჩაბარებოდა?

ახლა, შესაძლოა, გადაწყვეტილება შეიცვალა.

იგორი ცდილობს, წარმოიდგინოს, როგორ მოხდება ყველაფერი: ეჭვმიტანილი ამოცნობილია. ქალი, მთვრალად რომ მოაჩვენა თავი, მნიშვნელოვანი მოწმე აღმოჩნდება. მერე ტერასაზე მორიდებულად შემოვა ვიღაც კაცი და სთხოვს, სასაუბროდ ხუთი წუთი დამითმეთო. ეს კაცი პოლიციიდან იქნება. იგორს პიჯაკის ჯიბეში ავტოკალმის გვერდით „ბერეტა“ უდევს, რაც საბოლოოდ გასცემს მას.

სროლით მოიგერიოს? მაგრამ პოლიციელი აქ მარტო არ მოვიდოდა, საიდანღაც ამ სცენარს, ალბათ, მისი კოლეგები უთვალთვალებენ და სანამ იგორი რამეს მოასწრებს, მოკლავენ.

- არა, დისტრიბუტორი არა ვარ, და საერთოდ, არავითარი კავშირი არა მაქვს კინოს, არც მოდის სამყაროსთან, ჩემი სფერო ტელეკომუნიკაციაა.

- შესანიშნავია, - პასუხობს ქალი, - მაშასადამე, გაქვთ ფული და შეიძლება, რაღაცაზე ოცნებობდით კიდეც. მაშინ გამიგებთ, - იგორი კიდევ ანიშნებს მიმტანს - ამჯერად მეორეს - და სთხოვს, ორი ფინჯანი ჩაი მოიტანოს.

- ვერ ხედავთ, ვისკის რომ ვსვამ?

- ვხედავ. მაგრამ გაიხსენეთ, გითხარით, შემიძლია დაგეხმაროთ-მეთქი, ამისთვის კი ფხიზლად და ნათლად აზროვნებაა საჭირო.

მორინი ტონს იცვლის. იმ წუთიდან, რაც ეს უცნობი მიუხვდა, რაზე ფიქრობდა, ეჩვენება, რომ სინამდვილეს უბრუნდება. იქნებ მართლა შეუძლია დახმარება? უკვე მრავალი წელია, არავის უცდია მისი ყველაზე ცნობილი ფრაზით მოხიბვლა: „მე გავლენიანი მეგობრები მყავს...“ ქალის სულიერი მდგომარეობის შესაცვლელად არ არსებობს იმაზე უკეთესი საშუალება, ვიდრე აგრძნობინო, რომ სასურველია. მორინს სურს, ადგეს, ტუალეტში შევიდეს, სარკეში ჩაიხედოს, მაკიაჟი შეისწოროს, თუმცა ეს მერე იყოს; უპირველეს ყოვლისა, რამენაირად უნდა მიახვედროს, რომ თვითონაც დაინტერესებულია.

დიახ, მას სჭირდება საზოგადოება და მზადაა მიიღოს ბედის სიურპრიზი, რადგან მტკიცედ სჯერა: უფალი კარს რომ გიკეტავს, აუცილებლად გიღებს ფანჯარას. სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას, რომ მხოლოდ ამ მაგიდასთან აღმოჩნდა თავისუფალი ადგილი? ამაში იმალებოდა იდუმალი აზრი, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ისინი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ.

...მორინს თვითონვე ეცინება თავის ფიქრებზე. ისეთი სასოწარკვეთილია, ყველაფერი შეიძლება კეთილ ნიშნად, კარგ ამბად, გვირაბის ბოლოს გამონათებულ შუქად მოეჩვენოს.

- უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდე, სახელდობრ, რა გსურთ, - განაგრძობს მამაკაცი.

- დახმარება. მზად მაქვს ფილმი პირველხარისხოვან მსახიობთა შემადგენლობით. ფილმი უნდა გაექირავებინა ადამიანს, ერთ-ერთს იმ მცირერიცხოვანთა შორის, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა იმათი ტალანტის, ვინც ამ სისტემის ნაწილი არაა. ხვალ სწორედ ამ დისტრიბუტორს უნდა შევხვედროდი. დღეს კი ერთ-ერთ მიღებაზე მისგან შორიახლოს მყოფმა, დავინახე, უცებ როგორ გახდა ცუდად.

იგორი სულს ძლივს ითქვამს. დეტექტივი მისი მონაწილეობით ნელ-ნელა უფრო იხლართება.

- უკან გავყევი, გავიგე, რომელ ჰოსპიტალში წაიყვანეს და იქით გავვარდი. გზაში მოვიფიქრე, რაც უნდა მეთქვა: მისი მეგობარი ვარ და ერთად ვაპირებდით მუშაობას- მეთქი. ადრე არასოდეს მენახა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში შენ გვერდით ვინც გინდა აღმოჩნდეს, მოხარული იქნები.

„...და შეუძლია, სხვისი უბედურება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს“, - გაიფიქრა იგორმა.

- „პირველხარისხოვან მსახიობთა შემადგენლობა“ რაღაა?

- უკაცრავად, ერთი წუთით დაგტოვებთ...

იგორიც, როგორც კარგად აღზრდილ ადამიანს შეჰფერის, დგება და გზას უთმობს მორინს. მორინი ტუალეტში მიდის, შავ სათვალეს იკეთებს და სიმშვიდის დემონსტრირებას ცდილობს; იგორი ნელა წრუპავს ჩაის და ყურადღებით აკვირდება ტერასას. თითქოს საეჭვო არაფერია, მაგრამ აქ დარჩენა მაინც არა ღირს; ქალი დაბრუნდება თუ არა, უნდა წავიდეს.

მორინზე ახალი ნაცნობის თავაზიანობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. დიდი ხანია აღარ შეხვედრია ასეთ ზრდილ ადამიანს. ტერასადან გამოსვლისას მორინმა შეამჩნია, რომ მეზობელ მაგიდასთან მსხდომი რამდენიმე ლამაზმანი, უნებურად რომ უსმენდნენ მათ საუბარს, ახლა ღიმილით უყურებდნენ. იმასაც შეასწრო თვალი, რომ იგორს, ალბათ, ქალების მალულად შესათვალიერებლად, მუქი სათვალე გაეკეთებინა; გამორიცხული სულაც არ იყო, უკან მობრუნებულს დაენახა, რომ იგორთან ჩაის ვიღაც სხვა სვამდა. ასეთია ცხოვრება: არაფერს არც უნდა ჩიოდე, არც - იმედოვნებდე.

მორინი თავს სარკეში ითვალიერებს: რით უნდა დაეინტერესებინა ეს კაცი? მართალი თუ გინდა, დაღლილი, ჩამქრალი თვალები აქვს, ღონემიხდილია, როგორც ფესტივალის ყველა მონაწილე... მაგრამ იცის, რომ ბრძოლის გაგრძელებაა საჭირო. კანი ჯერ არ დასრულებულა, ჯავიცი შეიძლება გამოკეთდეს, თუ არადა, მოიძებნება ადამიანი, ვისაც დაინტერესებს მისი ფილმის გაქირავება... აქვს ბილეთები სხვა ფილმების ჩვენებებზე, მიწვეულია საფრანგეთში ყველაზე გავლენიან ჟურნალ Java-ს წვეულებაზე. შეუძლია, დრო ისე გაანაწილოს, რომ გაიგოს, როგორ აწყობენ ევროპაში დამოუკიდებელი რეჟისორები და პროდიუსერები თავიანთი ნაწარმოებების ჩვენებას. ძალა უნდა მოიკრიბოს, ეცადოს, გონს მალე მოვიდეს. რაც შეეხება იმ ლამაზ მამაკაცს, არაა საჭირო ილუზიებში ყოფნა...

მორინი მაგიდას რომ უბრუნდებოდა, ეგონა, იგორის გვერდით ორ გოგონას მაინც დაინახავდა, მაგრამ მოტყუვდა, ის მარტო დახვდა. ქალის გამოჩენაზე იგორი ისევ თავაზიანად ადგა და მისი სავარძელი უკან გასწია.

- არ გაგცნობივართ. მორინი მქვია.

- იგორი. ერთობ სასიამოვნოა. ჰო, იმაზე შევჩერდით, რა არის „პირველხარისხოვანი მსახიობები“...

მორინი, მეზობელი გოგოების წაკბენის მიზნით, საჭიროზე ოდნავ ხმამაღლა აგრძელებს საუბარს.

- აქ, კანში, ისე როგორც სხვა დიდ ფესტივალებზე, ყოველწლიურად ახალ მსახიობებს აღმოაჩენენ ხოლმე და ცნობილი მსახიობები კარგავენ როლებს, რადგან კინომწარმოებლები მიიჩნევენ, რომ ისინი უკვე მოდიდან გამოვიდნენ, თუმცა სინამდვილეში ჯერ კიდევ ახალგაზრდები და ენერგიით სავსენი არიან. „ახლად აღმოჩენილთა“ შორის („გოგონებო, ისმინეთ, ეს თქვენც გეხებათ!“) რომელიღაც წმინდა გლამურის გზას ირჩევს. გადაღებებით ისინი ცოტას შოულობენ - რეჟისორებმა ეს იციან და ამით სარგებლობენ.

- ანუ?

- ისინი საკუთარი სილამაზით ხდებიან ცნობილები, ფულს იღებენ პრეზენტაციებსა და საღამოებზე გამოჩენისთვის, ამა თუ იმ საქონლის რეკლამისთვის... ეცნობიან პლანეტაზე ყველაზე ძლევამოსილ ადამიანებს და მილიონთა კერპებს... აგენტები მათი სახელით წარმოუდგენელი რაოდენობის კონტრაქტებს დებენ. ეს აგენტები გამუდმებით აღაგზნებენ მათ პატივმოყვარეობას, წარმართავენ და უძღვებიან მათ. „აღმოჩენილნი“ კი კერპებად იქცევიან დიასახლისებისთვის, მოზარდებისა და დამწყები მსახიობებისთვის, რომლებსაც მეზობელ ქალაქამდე სამგზავრო ფულიც კი არ გააჩნიათ. ისინი მსახიობებს მეგობრებად მიიჩნევენ და ოცნებობენ, მათნაირად იცხოვრონ. „ახლად აღმოჩენილნი“ აგრძელებენ კინოგადაღებებს, ახლა შედარებით მეტს ღებულობენ - ამასთან, პრესაგენტები და პიარმენეჯერები მათ არნახულ ჰონორარზე ჰყვებიან. ამ აშკარა ტყუილის ჟურნალისტებსაც არ სჯერათ, მაგრამ ეს ხელს არ უშლით, იგივე გაიმეორონ თავიანთ პუბლიკაციებში, ვინაიდან იციან, მკითხველს ინფორმაცია კი არა, ახალი ამბავი სჭირდება.

- რა განსხვავებაა? - ეკითხება იგორი, თან ყურადღებით ათვალიერებს, რა ხდება ირგვლივ.

- ვთქვათ, დუბაის აუქციონზე იყიდე სუფთა ოქროსგან დამზადებული კომპიუტერი და მისი საშუალებით წიგნის დაწერა გადაწყვიტე. რეპორტიორი ამ ამბავს რომ გაიგებს, გირეკავს და გეკითხება: „როგორ მუშაობთ თქვენს ოქროს კომპიუტერზე?“

ესაა ახალი ამბავი. ინფორმაციას კი - სახელდობრ, რა დაწერეთ - არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და არც არავის აინტერესებს.

„შეიძლება ევა ჩემგან ინფორმაციას კი არა, ახალ ამბავს ღებულობს... - ფიქრობს იგორი, - ადრე ამაზე არ დავფიქრებულვარ“.

- განაგრძეთ.

- გადის დრო. ექვსი-შვიდი წლის შემდეგ მას ფილმებში აღარ იღებენ, სხვადასხვა ღონისძიებასა და სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებადაც უფრო და უფრო იშვიათად აგზავნიან. აგენტი მოულოდნელად ძალზე დაკავებული აღმოჩნდება და ყოველთვის არ პასუხობს ტელეფონის ზარს. ვარსკვლავი შოკშია: როგორ შეუძლიათ ასე მოექცნენ დიდ სექს-სიმბოლოს, გლამურის ცოცხალ განსახიერებას?! თავდაპირველად ყველაფერს აგენტს აბრალებს, მასთან განშორებასაც კი გადაწყვეტს - ამ დროს, მისდა განსაცვიფრებლად, მიხვდება, რომ აგენტს ეს ამბავი პანიკაში კი არ აგდებს, პირიქით: სთხოვს, ხელი მოუწეროს იმის დამადასტურებელ ქაღალდზე, რომ მათი თანამშრომლობის პერიოდში ყველაფერი დიდებულად იყო, უსურვებს ყოველივე კარგს და ამით მთავრდება მათი ურთიერთობა.

მორინი ტერასას თვალს მოავლებს, თითქოს მაგალითისთვის ვიღაცას ეძებს. ადამიანები, ვინც ჯერ კიდევ საქვეყნოდ არიან ცნობილნი, მაგრამ სცენიდან გაქრნენ, სასოწარკვეთილები ეძებენ ახალ შანსს. მათ ისევ აქვთ შენარჩუნებული ადრინდელი დიდებული და ქედმაღლური გარეგნობა, მაგრამ გული მწუხარებით აქვთ სავსე, კანს კი პლასტიკური ოპერაციების ნაკვალევი შემორჩენია. მორინი ამჩნევს ნაწიბურებს, შეშხაპუნებულ ბოტოქსს, მაგრამ აქ ვერ ხედავს ბოლო ათწლეულის რომელიმე სახელგანთქმულ მსახიობს. შესაძლოა, მსგავს ფესტივალზე დასასწრები ფული არ აქვთ ან რომელიმე პროვინციულ ფესტივალზე წამყვანებად არიან მიწვეულნი, რეკლამას უწევენ შოკოლადს ან ლუდს და კვლავ ღირსეულად უჭირავთ თავი.

- თქვენ ამბობდით, რომ...

- დიახ, დიახ. არსებობენ ორგვარი ტიპის მსახიობები. პირველზე უკვე მოგიყევით. მეორენიც ზუსტად იმავე პრობლემებს აწყდებიან. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მათ იციან: სილამაზე წარმავალია, - ეს სიტყვები მორინმა ხმამაღლა წარმოთქვა, რადგან შეატყო, მეზობელი გოგონები აშკარად დაინტერესებულნი ჩანდნენ მისი საუბრით, რადგან მიიჩნიეს, რომ მან დაწვრილებით იცოდა ამ წრის ამბები; - ისინი იშვიათად ჩნდებიან ჟურნალების გარეკანზე ან სარეკლამო რგოლებში. მუშაობენ ოსტატობის სრულყოფაზე, აგრძელებენ სწავლას, ადამიანებთან კავშირის გამყარებას ცდილობენ და თუკი თავიანთ სახელსა და გარეგნობას ვინმეს რაიმეში გამოაყენებინებენ, ამას აკეთებენ არა როგორც მოდელები, არამედ, როგორც

სრულუფლებიანი პარტნიორები. ისინი, რასაკვირველია, ნაკლებს ღებულობენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ღებულობენ სიცოცხლის ბოლომდე.

ამ დროს გამოჩნდება ჩემნაირი ადამიანი და მათ ეუბნება: „მაქვს კარგი სცენარი, საკმარისი ფული და მინდა ჩემს ფილმში გადაგიღო“. ისინი თანხმდებიან. ნიჭი ჰყოფნით, როლს თავი გაართვან, ჭკუა კი საიმისოდ, თუნდაც ფილმმა გრანდიოზულ წარმატებას ვერ მიაღწიოს, ხალხი მათ კვლავ ნახავს ეკრანზე და მიხვდებიან, რომ ისევ მშვენივრად შესწევთ მუშაობის უნარი და, ვინ იცის, ეგებ რომელიმე ახალი პროდიუსერიც დააინტერესონ.

იგორმაც შეატყო, რომ გოგონები საუბარს უსმენდნენ.

- ხომ არ გაგვესეირნა? - ხმადაბლა სთავაზობს ქალს, - აქ საშინელი ხალხმრავლობაა. ერთი შესანიშნავი მყუდრო ადგილი ვიცი, შეგვიძლია მზის ჩასვლით დავტკბეთ, ჯადოსნური სანახაობაა.

მორინს ამაზე ოცნებაც კი არ შეეძლო. თან არავითარი იაფფასიანი ხრიკები: „ოღონდ მანამდე ჩემს ნომერში ავიდეთ, ფეხსაცმელს გამოვიცვლი“, იქ, ზემოთ კი შემდეგი სიტყვები: „მე უამრავ საჭირო ადამიანს ვიცნობ და ზუსტად ვიცი, რაც გინდათ...“

თუმცა, წინააღმდეგობას არც გაუწევს, თუკი ეს მომხიბლავი ბატონი, რომლის შესახებაც თითქმის არაფერი იცის, მის ცდუნებას დააპირებს. მით უმეტეს, რომ ამას აშკარად დახვეწილად ცდილობს.

ისინი დგებიან და გასასვლელისკენ მიდიან. იგორი მიმტანს სთხოვს, დანახარჯი მის ანგარიშზე ჩაწეროს (მაშასადამე, აქ, სასტუმრო martinez-ში ცხოვრობს). კრუაზეტზე რომ გადიან, იგორი სთავაზობს, პლაჟისკენ გაუხვიონ.

- იქ უფრო ნაკლები ხალხია... გარდა ამისა, ვფიქრობ, იქიდან უფრო ლამაზი ხედი იშლება - მზე ჩვენ თვალწინ, პირდაპირ მთაზე დაეშვება.

- იგორ, ვინ ხართ?

- შესანიშნავი კითხვაა. თავადაც მინდა ამის გაგება, - პასუხობს იგი.

რას იზამ, კიდევ ერთი ქულა მის სასარგებლოდ - ის არ მოჰყოლია კვეხნას, არ ლაპარაკობს თავის სიმდიდრეზე, ჭკუაზე, უნარზე... მხოლოდ სურვილი გამოთქვა, ერთად ენახათ, როგორ ბინდდება კანში. ესეც საკმარისია. პლაჟის ბოლომდე მდუმარედ ჩაიარეს. მათ ირგვლივ ნაირ-ნაირი ხალხი ირეოდა: მოხუცი ცოლ-ქმარი, რომლებიც სულ სხვა სამყაროში ცხოვრობდნენ, არავითარი კავშირი რომ არ ჰქონდა კინოფესტივალთან; გორგოლაჭებით მქროლავი, უცნაურად ჩაცმული, ყურთსასმენიანი ახალგაზრდები; ქუჩის მოვაჭრენი, პატარა ხალიჩაზე რომ გაეფინათ საქონელი, რათა პოლიციელის გამოჩენისთანავე თავიანთი „ვიტრინა“ უცებ ბოხჩაში გაეხვიათ. ახლოს ჩაუარეს მერხს, რომელიც, კაცმა არ იცის, რატომ იყო

შემოსაზღვრული ყვითელი გამაფრთხილებელი ზოლით; მორინმა შეამჩნია, რომ მისმა თანმხლებმა ორჯერ თუ სამჯერ მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვინმეს ელოდებაო. უეჭველია, ხალხში ნაცნობი დაინახა.

როგორც იქნა, მონახეს განმარტოებული ადგილი. მოხერხებულ, საზურგიან სკამზე ჩამოსხდნენ. მორინი შესანიშნავ გუნებაზე დადგა.

- რა სილამაზეა! იცით, შემოქმედმა მეშვიდე დღეს რატომ დაისვენა?

იგორმა კითხვა ვერ გაიგო. ქალი განაგრძობდა.

- იმიტომ, რომ მეექვსე დღეს, სანამ მუშაობას დაასრულებდა და ადამიანებს სრულყოფილ სამყაროს დაუტოვებდა, მასთან რამდენიმე ჰოლივუდელი პროდიუსერი მივიდა და უთხრა: „დანარჩენზე შეგიძლია, არ შეწუხდე! ჩვენ თვითონ გამოვიყენებთ ფერად ფირს მზის ჩასვლისთვის, სპეცეფექტებს ქარიშხლისა და შტორმისთვის, ჩვენვე გავანათებთ, ჩავწერთ ხმას, რათა ადამიანი ტალღების გუგუნის მოსმენისას მუდამ ფიქრობდეს, რომ ეს ნამდვილი ზღვაა!“

ქალმა გაიცინა, მისი მხლებელი კი კვლავინდებურად დაძაბული და სერიოზული იჯდა.

- თქვენ მკითხეთ, ვინ ვარ?

- არ ვიცი, ვინ ხართ, მაგრამ ვხედავ, ქალაქს მშვენივრად იცნობთ. ისიც შემიძლია დავამატო, რომ მგონი თავად უფალმა გამომიგზავნა თქვენი თავი. მხოლოდ ერთ დღეში გამოვცადე სასოწარკვეთაც, მარტოობაც და სასურველი საზოგადოებისგან მიღებული სიამოვნებაც. ერთბაშად რამდენი სხვადასხვანაირი გრძნობაა!

იგორმა ჯიბიდან რაღაც საგანი - დაახლოებით თხუთმეტი სანტიმეტრის სიგრძის ხის ძელაკი ამოიღო.

- სამყარო სავსეა საფრთხით. სადაც არ უნდა იყო, ყველგან შეიძლება შეხვდე მას, ვინც თვალის დახამხამებაში გეცემა, გაგძარცვავს და მოგკლავს, და არავის, დამიჯერეთ, არავის შეუძლია თავის დაცვა. ყველანი ჩვენზე ძლიერის ხელში ვართ.

- მართალია. ალბათ, ეს რაღაც ამიტომ გაქვთ, ზიანი რომ არავინ მოგაყენოთ.

იგორმა ფრთხილად, თითქოს მხატვარი თავის შედევრზე უკანასკნელ მონასმებს აკეთებსო, ცილინდრის ზემო ნაწილი ამოხრახნა, სარქველი გახსნა და ლითონის წვერზე მზის ათინათი აციმციმდა.

- ამით თვითმფრინავში არ შეგიშვებენ, - სიცილით უთხრა ქალმა.

- რასაკვირველია, არ შემიშვებენ... ამ იარაღის გამოყენებისას ზუსტად უნდა იცოდე, სად მიაყენო დარტყმა. ღერო, მართალია, ფოლადისაა, მაგრამ თხელი, ამიტომაც

მყიფეა. გარდა ამისა, სერიოზული ჭრილობის მისაყენებლად საკმაოდ მოკლეა. სადაც მოგხვდება, იქ თუ გაუყრი, ეფექტი არ ექნება.

იგორმა უცნაური იარაღი მორინის ყურის სიმაღლეზე ასწია, ქალის პირველი რეაქცია - შიში, უმალ აღფრთოვანებამ და ცნობისმოყვარეობამ შეცვალა.

- მაგალითად, აქ - იდეალური ადგილია, ცოტა მაღლა კი დარტყმას თავის ქალის ძვლები უკუაგდებს. თუ ცოტა უფრო დაბლა - ვენაში მოხვდება, ადამიანი კვდება, მაგრამ თუკი იარაღი ექნება, შეიძლება რეაგირება მოასწროს და თავდამსხმელს საპასუხო დარტყმა მიაყენოს, რადგან თავდამსხმელი მასთან ძალიან ახლოს იქნება...

იარაღი ნელა დაცოცავს ქალის სხეულზე, ეხება მკერდს... მორინმა იცის: მამაკაცს უნდა, ერთდროულად მასზე შთაბეჭდილებაც მოახდინოს და აღაგზნოს კიდეც.

- არ მეგონა, ტელეკომუნიკაციის სპეციალისტი ასე თუ ერკვეოდა ამგვარ საკითხებში. მაგრამ იმის მიხედვით, რაც თქვით, ეს მკვლელობის საკმაოდ ახირებული ხერხია.

მორინის სიტყვები ნიშნავდა: „მაინტერესებს, რასაც ლაპარაკობ, თავადაც ინტერესს აღმიძრავ. ხელი ჩამჭიდე და ერთად დავტკბეთ დაისის ყურებით“.

ფოლადის წვერო ქალის მკერდზე დაცოცავს, მაგრამ იქ არ ჩერდება და იღლიას უახლოვდება.

- ახლა ის გულთანაა. გული გულმკერდითაა დაფარული, ეს მისი ბუნებრივი დაცვაა. ჩხუბში ასეთი მოკლე იარაღით სერიოზულ დაზიანებას ვერ მიაყენებ, ის აუცილებლად ნეკნს მოხვდება. სხეულში თუნდაც შეაღწიოს, ძლიერ სისხლდენას ვერ გამოიწვევს და მოწინააღმდეგეს მწყობრიდან ვერ გამოიყვანს. მაგრამ აი, აქ, სასიკვდილო იქნება.

რას აკეთებს ამ უკაცრიელ ადგილას სრულიად უცხო ადამიანთან, რომელიც ასეთ საშინელ თემებზე მსჯელობს?! მორინი ძლივს ასწრებს ამის გაფიქრებას, რომ დენის დარტყმასავით ბიძგს გრძნობს და სხეულს ვეღარ იმორჩილებს. სული ეხუთება, უნდა, ღრმად ჩაისუნთქოს, მაგრამ გრძნობას კარგავს.

იგორი, როგორც ოლივიას, მორინსაც მხრებზე ხელს ხვევს და ქალის მოდუნებულ სხეულს ამჯერად სკამის საზურგეზე მიასვენებს, მერე ხელთათმანებს იცვამს და თავს მკერდზე ახრევინებს.

თუკი ვინმე შემთხვევით პლაჟის ამ მხარეს შემოეხეტება, მერხზე მძინარე ქალს დაინახავს და იფიქრებს, დაღლილაო.

ძველ საწყობში დამალული ბიჭი, ეს ადგილი წყვილების სათვალთვალოდ რომ ჰქონდა ამოჩემებული, პოლიციაში გამწარებული რეკავს. მან ყველაფერი დაინახა. ეგონა, ხუმრობა იყო, სანამ მამაკაცმა მსხვერპლს წვეტიანი იარაღი სხეულში არ

გაუყარა. პოლიციის მოსვლამდე სამალავიდან გამოსვლას არ აპირებს მანიაკის შიშით.

იგორმა სტილეტი ზღვაში გადააგდო და სასტუმროს მხარეს წავიდა. ამჯერად მისმა მსხვერპლმა თავად აირჩია სიკვდილი. როცა ქალი ტერასაზე გამოჩნდა, იგორი მარტო იჯდა, ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო, წარსულს იხსენებდა. ვერც კი წარმოიდგენდა, ქალი უკაცრიელ ადგილზე თუ წაჰყვებოდა ადამიანს, რომელსაც სიცოცხლეში პირველად ხედავდა, მაგრამ ის არც შეყოყმანებულა. ასჯერ მაინც შეეძლო გაქცევა, როცა იგორი უჩვენებდა, სად უნდა გაეყარა იარაღი - ქალი მაინც ერთ ადგილზე იჯდა და არც კი შეშფოთებულა.

მოძრაობისთვის გადაკეტილი ზოლის გვერდით საპატრულო მანქანამ გაიქროლა. იგორმა მას თვალი გააყოლა და გაუკვირდა, რადგან მანქანა იქით მიემართებოდა, სადაც ფესტივალის დროს კაციშვილი არ დადიოდა. დილაობითაც და ახლაც, დაბინდების წინ, იქ ვერავის ნახავდით, თუმცა საუკეთესო ადგილია დაისით დასატკბობად.

რამდენიმე წამის შემდეგ იმავე მიმართულებით სირენების გამაყრუებელი წივილით, სახურავზე მოციმციმე შუქებით სასწრაფო დახმარების მანქანამ გაიქროლა.

იგორი იქაურობას ტოვებს. ესე იგი, მის დანაშაულს ვიღაც მოწმე ჰყავდა. ეს „ვიღაც“ როგორ აღწერდა მას? - ჭაღარაშერეული მამაკაცი, ჯინსით, შავი პიჯაკითა და თეთრი პერანგით. მოწმეთა ჩვენებების მიხედვით სიტყვიერ პორტრეტს შეადგენენ, ამას გარკვეული დრო დასჭირდება და მაძებრები მალე მიხვდებიან, რომ ეს აღწერა ათეულობით, ასეულობით ადამიანს მიესადაგება.

იმ წუთიდან, რაც მას მცდელობის - ჩაბარებოდა ხელისუფლებას - საპასუხოდ ურჩიეს, დაესვენა და გამოეძინა, იგორს ეგონა, აღარავინ შეუშლიდა ხელს მოწოდების შესრულებაში. მას ახლა სხვა ეჭვი სტანჯავდა: იყო თუ არა ევა ამ მსხვერპლთა ღირსი? თავდაპირველად დარწმუნებული იყო ამაში, მაგრამ ახლა რაღაც უღრღნის სულს და თვალწინ წამდაუწუმ კუსტარული სუვენირებით მოვაჭრე გოგონა უდგას, ხედავს მის ხშირ წამწამებსა და უმანკო ღიმილს.

„ყველა ჩვენგანში არის უფლის ცეცხლის ნაპერწკალი, - ეგონა, ასე ეუბნებოდა ოლივია, - დაბადებიდან ყველა ჩვენგანს ნაბოძები გვაქვს რაღაც მიზანი, რომლის სახელი სიყვარულია, მაგრამ ის მარტო ერთ ადამიანს არ უნდა აღავსებდეს - ის სამყაროშია განფენილი და ელოდება, როდის აღმოაჩენენ. გაიღვიძე, გამოფხიზლდი! წარსული არ დაბრუნდება, მომავალი კი უნდა შეიცნო“. იგორი გულში ეწინააღმდეგებოდა მას: „ჩვენი გეგმის სიცრუეს მაშინ ვგებულობთ, როცა მის შორეულ შედეგს ვხედავთ, ან როდესაც გულმოწყალე უფალი სხვა გზით წაგვიყვანს“

იგორი საათზე იხედება: კიდევ თორმეტი საათი დარჩენილა - დრო ეყოფა, რათა ჩაჯდეს საკუთარ თვითმფრინავში მასთან ერთად, ვინც უყვარს და დაბრუნდეს...

სად უნდა დაბრუნდეს? მოსკოვში? თავის სამუშაოზე? ყოველივე იმის შემდეგ, რაც განიცადა, გადაიტანა, მოიფიქრა და დაგეგმა? თუ მსხვერპლთა წყალობით განახლდეს, აირჩიოს აბსოლუტური თავისუფლება, საკუთარ თავში აღმოაჩინოს აქამდე უცნობი ადამიანი და ამ წუთიდან ის გააკეთოს, რაზეც ოცნებობდა, როცა ევა ჯერ კიდევ მასთან იყო?

4:34 PM

ჟასმინი ეწევა და უზრუნველი მზერა ზღვისთვის მიუშტერებია. ასეთ წუთებში, როდესაც უსასრულობასთან ერთიანობას გრძნობს, ჰგონია, არნახულ ძალას იძენს და შეუძლია რაღაც სასწაულებრივი ჩაიდინოს.

ახსენდება სადღაც ამოკითხული ძველი იგავი. ერთხელ ხოჯა ნასრედინი სასახლეში ძვირფასდოლბანდშემოხვეული მივიდა და ქველმოქმედებისთვის ფული ითხოვა.

- მოხვედი, ფულს ითხოვ, თავად კი საუცხოო და, უეჭველია, ძალიან ძვირფას დოლბანდს ატარებ, - უპასუხა მბრძანებელმა, - რა ღირს ეგ არაჩვეულებრივი დოლბანდი?

- ხუთასი ოქრო, - უპასუხა სუფია ბრძენმა.

- ტყუილია, - ყურში ჩასჩურჩულა მბრძანებელს ვეზირმა, - შეუძლებელია, რომელიმე დოლბანდი ამდენი ღირდეს.

ნასრედინი თავის ნათქვამზე ჯიუტად იდგა.

- აქ მარტო სათხოვნელად კი არა, მოსალაპარაკებლადაც მოვედი. დოლბანდში ამდენი ფული იმიტომ გადავიხადე, რომ ვიცოდი, მთელ ცისქვეშეთში ექვსას ოქროდ მხოლოდ ჩვენს მბრძანებელს შეეძლო მისი ყიდვა, რათა მოგებული ფულით უპოვარებს დავხმარებოდი.

შექებით ნასიამოვნებმა სულთანმა მოთხოვნილი თანხა გადაუხადა. სასახლიდან გამოსვლისას ბრძენმა ვეზირს უთხრა:

- შენ მშვენივრად მოგეხსენება, რა ღირს დოლბანდი, ოღონდ ზღვარი, სადამდე მიჰყავს ადამიანი მის ამაოებას, მხოლოდ მე ვიცი.

ეს იგავი ზედგამოჭრილია მის გარემომცველ სამყაროზე. თავის პროფესიასთან მას არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, არ განსჯიდა ადამიანებს მათი სურვილების გამო, მაგრამ მაინც ცხადად აცნობიერებდა, ცხოვრებაში რა იყო მთავარი, და, თუმცა საცდური არ აკლდა, ცდილობდა, ორივე ფეხით მყარად მდგარიყო დედამიწაზე.

ვიღაც კარს აღებს და ატყობინებს, ჩვენებამდე მხოლოდ ერთი საათი რჩებაო. დეფილესწინა გულის გამაწვრილებელი და მძიმე პერიოდი დასრულდა. მოდელები გვერდით დებენ თავიანთ ტელეფონებსა და პლეერებს, ვიზაჟისტები უკანასკნელ შტრიხს ამატებენ, პარიკმახერები ჩამოშლილ კულულებს უსწორებენ.

ჟასმინი სამკარიან სარკესთან ჯდება და მათ განკარგულებაში ექცევა.

- ნუ ნერვიულობ, დიდი ამბავი, კანი, - ეუბნება პარიკმახერი.

- სულაც არ ვნერვიულობ.

ან რა აქვს სანერვიულო? პირიქით, ყოველთვის, პოდიუმზე ფეხს შეადგამს თუ არა, რაღაც ექსტაზისმაგვარი გრძნობა იპყრობს და ადრენალინი ემატება. სტილისტი სალაყბოდაა განწყობილი: ჰყვება მასთან მოხვედრილი ცნობილი სახეების ნაოჭებზე, სთავაზობს ახალ, სასწაულმოქმედ კრემს, ამატებს, როგორ დაიღალა ამ ყველაფრისგან, ეკითხება, ხომ არ აქვს ზედმეტი მოსაწვევი party-ზე... ჟასმინი ანგელოზის მოთმინებით უსმენს, რადგან ფიქრებით აქედან შორს - ანტვერპენის ქუჩებშია; ახსენდება ის დღე, როცა ფოტოგრაფების მოძებნა გადაწყვიტა.

მან თავიდანვე დაძლია წინაღმდეგობა და მერე ყველაფერი მშვენივრად აეწყო. დღესაც ასე იქნება. ასევე იყო, როცა პირველი ფოტოგრაფის კარზე დარეკა - ეს ის ფოტოგრაფი იყო, ქუჩაში მისი გარეგნობით რომ აღფრთოვანდა. კარი გაიღო და კრისტინა დედამისთან ერთად შევიდა პატარა ოთახში, სადაც გამჭვირვალე მაგიდაზე ნეგატივები დაეხვავებინათ, მეორე მაგიდაზე იდგა კომპიუტერი და სახაზავი მოწყობილობა. ფოტოგრაფი მარტო არ იყო: ვიღაც ორმოციოდე წლის ქალმა პროექტების კოორდინატორად გააცნო თავი. ჟასმინი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა და გაუღიმა.

- დარწმუნებული ვარ, თქვენს ქალიშვილს დიდი მომავალი ელის, - თქვა ქალმა.

- თავად მას ელაპარაკეთ, მე უბრალოდ გამოვყევი, - მიუგო დედამ.

ქალი ოდნავ დაიბნა. მერე ფორმულარი აიღო და გოგონას მონაცემებისა და პარამეტრების შეტანა დაიწყო, თან დააყოლა:

- „კრისტინა“ არ ვარგა... ერთობ გავრცელებული სახელია... უპირველეს ყოვლისა, სხვა სახელი უნდა მოვიფიქროთ.

„არა, - ფიქრობს კრისტინა, - იმიტომ კი არ ვარგა, რომ მეტისმეტად გავრცელებულია, კრისტინა ერქვა გოგონას, რომელიც სულიერ ხეიბრად იქცა იმ დღეს, როცა მკვლელობის მოწმე გახდა, ხოლო მოკვდა, როცა უარყო, დაედასტურებინა ის, რაც საკუთარი თვალით ნახა... და თუ ყველაფერი უნდა შეიცვალოს, ნამდვილად სჯობს, ეს თავიდანვე მოხდეს“. პასუხი თითქოს თავისთავად წამოსცდა:

- ჟასმინ ტაიგერი. ყვავილივით ნაზია და გარეული მხეცივით საშიში.

ქალს მოეწონა.

- მოდელის კარიერა იოლი არაა. შენ გაგიმართლა, თუნდაც იმით, რომ აგირჩიეს. წინ მრავალი დაბრკოლება დაგხვდება, მაგრამ ჩვენ იმისთვის ვართ, რომ დაგეხმაროთ იქ მოსახვედრად, სადაც გსურს. გადაგიღებთ ფოტოსურათებს, დავუგზავნით სააგენტოებს, გარდა ამისა, კომპოზიტი დაგჭირდება.

ქალი აშკარად ელოდა, კრისტინა შეეკითხებოდა, რა არის კომპოზიტიო, მაგრამ კითხვა არ დასმულა. ქალმა ისევ შეძლო ოდნავი დაბნეულობის დაფარვა:

- კომპოზიტი, რაც ნამდვილად გეცოდინება, განსაკუთრებული ქაღალდია, სადაც მოთავსდება შენი საუკეთესო ფოტოსურათი და ნაჩვენები იქნება პარამეტრები სხვადასხვანაირ სურათებში: ბიკინებში, სასკოლო ფორმაში... მსხვილი პლანით გადაღებული სახე; სურათი საღამოს მაკიაჟით, რათა შეიძლებოდეს შენი არჩევა იმ შემთხვევაშიც, თუკი საჭირო იქნება მოდელი შედარებით უფროსად გამოიყურებოდეს... ახლა მკერდი...

ქალი გაჩუმდა.

- მკერდი, უნდა ითქვას, მოდელისთვის დადგენილ ზომას ოდნავ აჭარბებს, - ქალი ფოტოგრაფს მიუბრუნდა, - ეს როგორმე უნდა დაიფაროს. ჩაიწერე.

ფოტოგრაფმა ბლოკნოტში ჩაინიშნა.

ჟასმინ ტაიგერად ქცეულმა კრისტინამ გაიფიქრა: „მაგრამ ადრე თუ გვიან ნამდვილი ზომა მაინც გამჟღავნდება“.

ამასობაში ქალმა ტყავის პატარა, ლამაზი პორტფელიდან ქაღალდის ფურცელი ამოიღო.

- უნდა მოვიწვიოთ გრიმიორი, სტილისტი... როდისმე გამოსულხარ პოდიუმზე?

- არასოდეს.

- მაშინ დაიმახსოვრე: პოდიუმზე მოძრაობა განსხვავდება ქუჩაში მოძრაობისგან. ნაბიჯი აჩქარებულია, ქუსლები - მაღალი... ფეხებს ირიბად უნდა ადგამდე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იღიმებოდე. უმთავრესია ფიგურა, სხვაგვარად რომ ვთქვათ - აღნაგობა.

მან ფურცლის კიდეზე სამი ნიშანი დასვა.

- რამდენიმე კაბა უნდა ვიქირაოთ, - და კვლავ ერთი ნიშანი მიუმატა, - ვფიქრობ, საკმარისია.

პორტფელიდან ამოიღო კალკულატორი და რაღაც ციფრები შეკრიბა.

- დაახლოებით ორი ათასი ევროა. სურათებს არ ვანგარიშობ, რადგან იასერი, - მან თავით ფოტოგრაფზე ანიშნა, - ძალიან ძვირს იღებს, მაგრამ ამაში არაფერს გადაიხდი. სტილისტებს, უეჭველია, ზეგისთვის დავიბარებთ. მე კი შევიტყობ, არის თუ არა ვაკანსიები... დარწმუნებული ვარ, მოწყობას მოახერხებ... იმაშიც ვარ დარწმუნებული, ყველა ხარჯს სულ მალე აანაზღაურებ, რადგან შენი თავის ინვესტირებას ახდენ და იქმნი ახალ შესაძლებლობებს.

- იმის თქმა გსურთ, რომ მე უნდა გადავიხადო?

ამ კითხვამ პროექტის კოორდინატორი ისევ დააბნია. ჩვეულებრივ, აქ მოსული გოგონები ყველაფრისთვის მზად იყვნენ, ოღონდ მთელი თაობის ოცნება აესრულებინათ - ქცეულიყვნენ პლანეტის ყველაზე სასურველ ქალებად და ასეთ აღმაშფოთებელ, უტაქტო რამეს არ კითხულობდნენ.

- მომისმინე, ჩემო ძვირფასო კრისტინა...

- მე ჟასმინი მქვია. ამ ზღურბლზე გადმობიჯებისთანავე ჟასმინად ვიქეცი.

- კარგი, ჟასმინი იყოს. ასეა, ძვირფასო, შენს ადგილზე ყოფნას ათასობით და მილიონობით ადამიანი ისურვებდა. შენ ამ ქალაქის ყველაზე ცნობილმა ფოტოგრაფმა აგირჩია, შენთან იმუშავებენ საუკეთესო სპეციალისტები. თავადაც ვაპირებ, თვალი მივადევნო შენს ნაბიჯებს. ამქვეყნად რასაც უნდა აკეთებდე, გჯეროდეს, შენი გამარჯვების სახელით უნდა გაიღო თანხა. შენი სილამაზით შეიძლება წარმატებას მიაღწიო, მაგრამ მკაცრ კონკურენციაზე აგებულ ჩვენს სამყაროში ეს სულაც არ არის საკმარისი. სინამდვილეში, ყველაზე საუკეთესო რომ გახდე, ფული ღირს - ყოველ შემთხვევაში, დასაწყისში მაინც.

- მაგრამ თუკი ფიქრობთ, საუკეთესო თვისებები გამაჩნია, რატომ არ გსურთ, თქვენ იყოთ ჩემი ინვესტორი?

- ამის დრო ჯერ არ დამდგარა. ახლა კი ერთი რამ აუცილებლად უნდა გავიგო - ნამდვილად გსურს, პროფესიონალი გახდე, თუ საქმე მოგზაურობის, სამყაროს გაცნობისა და მდიდარი ქმრის მოჩანგვლით დაბრმავებულ მორიგ გოგონასთან მაქვს?

ქალი ახლა ცივად და მტკიცედ ლაპარაკობდა.

- გრიმიორი რეკავს, კითხულობს, ხვალ რომელ საათზე მოვიდეო, - თქვა ფოტოგრაფმა.

- თუკი მართლა უამისოდ არ შეიძლება, ეგებ მოვაგროვო... - თქვა დაბნეულმა დედამ.

მაგრამ ჟასმინი წამოდგა და კარისკენ წავიდა, კოორდინატორისთვის ხელიც არ ჩამოურთმევია.

- დიდი მადლობა, ამდენი ფული არ მაქვს, რომც მქონდეს, სხვა რამეში დავხარჯავდი.

- იფიქრე შენს მომავალზე!

- სწორედ მაგას ვაკეთებ, ეს ჩემი მომავალია და არა თქვენი.

ქუჩაში გამოსული აქვითინდა. ჯერ იყო და - ის მდიდრული ბუტიკი, სადაც ასე ბრიყვულად მოექცნენ, ისიც კი დასწამეს, თითქოს იტყუებოდა, რომ მათ პატრონს იცნობდა. მერე კი, როცა წინასწარ ტკბებოდა ახალი ცხოვრებით და სახელიც კი გამოიცვალა, პირველი ნაბიჯისთვის ორი ათასი ევრო მოსთხოვეს!

დედა-შვილი შინ მდუმარედ დაბრუნდა. რამდენჯერმე დარეკა ტელეფონმა, მაგრამ ჟასმინმა განათებულ ეკრანს რომ დახედა, არ უპასუხა.

- რატომ არ პასუხობ? - ჰკითხა დედამ, - დღის მეორე ნახევარში არ დაგინიშნეს შეხვედრა?

- მაგიტომაც არ ვპასუხობ. ჩვენ არ გვაქვს ორი ათასი ევრო!

დედამ რომ ნახა, რა დღეში იყო მისი შვილი, მოეხვია. მიხვდა, რაღაც უნდა ეღონა.

- გვაქვს. მამაშენის სიკვდილის მერე ვმუშაობ... ორი ათასზე მეტი მოვაგროვე. აქ, ევროპაში, დამლაგებლები ბევრს ღებულობენ, რადგან არავის უნდა სხვის ჭუჭყში ხელების რევა. თანაც საქმე შენს მომავალს ეხება.

კვლავ გაისმა ტელეფონის ზარი. ჟასმინი ისევ ძველ კრისტინად იქცა და დედას დაუჯერა; ქალის ხმა გადაუდებელი საქმის გამო ორსაათიანი დაგვიანებისთვის ბოდიშს იხდიდა.

- ეგ არაფერი, - მიუგო კრისტინამ, - მაგრამ დრო ტყუილად რომ არ დაგაკარგვინოთ, მინდა ვიცოდე, რა ეღირება ეს ყველაფერი...

- როგორ თუ რა ეღირება?

- ეს-ესაა სააგენტოდან მოვედი. ფოტოგრაფიისთვის, მაკიაჟისა და სხვა დანარჩენისთვის ორი ათასი ევრო მომთხოვეს...

ქალს გაეცინა.

- არაფერიც არ ეღირება! ვიცი, ეგ ძველი ფანდია. როცა მოხვალთ, ამაზეც ვილაპარაკოთ.

სტუდიის მოწყობილობა ისეთივე იყო, მაგრამ ჟასმინს სხვაგვარად ექცეოდნენ. ფოტოაპარატიან ქალს, როგორც ჩანს, პირველი შეხვედრიდან ახსოვდა ჟასმინი და ჰკითხა, რატომ ხარ ასე მოწყენილიო. კრისტინა მოუყვა, რაც გადახდა დილით. აუხსნეს, რომ ასე ხდება საუკუნეების მანძილზე, თუმცა ბოლო ხანებში

ხელისუფლებამ ამასთან ბრძოლა დაიწყოო. სწორედ ახლა მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში იწვევენ მომხიბვლელ გოგონებს, ჰპირდებიან, გულუხვად გადაგიხდითო. მდიდრულ სასტუმროებში ქირაობენ ნომრებს, ათავსებენ აპარატურას, აწყობენ წელიწადში არანაკლებ ერთ დეფილეს, უზარმაზარ ფულს სძალავენ ფოტოსურათების გადაღებისთვის, გრიმიორებისა და პარიკმახერების როლის შემსრულებლად იწვევენ ნაირ-ნაირ ხელმოცარულებს, მერე კი უკვალოდ ქრებიან. კრისტინას ამ მხრივ გაუმართლა - ის თაღლითებთან კი არა, ნამდვილ სტუდიაში მოხვდა, მაგრამ ჭკუა ეყო, უარი ეთქვა საეჭვო წინადადებაზე.

- ასეა ადამიანი მოწყობილი... ამაში არაფერია ისეთი, თუკი, რა თქმა უნდა, შეგიძლია, მისგან თავი დაიცვა. ეს მარტო მოდის სამყაროში კი არა, ყველგან ხდება. მწერალი რეკლამას უწევს საკუთარ ნაწარმოებს, მხატვარი - თავის გამოფენას, კინემატოგრაფისტები კი ვალებში ცვივდებიან, მსხვილ სტუდიებს კონკურენცია რომ გაუწიონ. შენი თანატოლები ყველაფერს ტოვებენ, დიდ ქალაქებში ოფიციანტად მუშაობენ იმ იმედით, რომ ოდესმე პროდიუსერი მათ ნიჭს აღმოაჩენს და ვარსკვლავობისკენ გზას გაუხსნის.

არა, დღეს არ გადაგიღებ. მინდა უკეთესად გაგიცნო. ღილაკზე თითის დაჭერა ხანგრძლივი გზის ყველაზე ბოლო ეტაპია. ეს გზა იმის გაგების მცდელობით იწყება, რა იმალება ადამიანის სულში.

დათქვეს, ერთმანეთს მეორე დღეს შეხვედროდნენ და ერთხანს კიდევ ისაუბრეს.

- სახელი უნდა შეირჩიო.

- ჟასმინ ტაიგერი... - განუახლდა სურვილი.

ფოტოგრაფმა შესთავაზა, უიკენდი მასთან ერთად ზღვაზე გაეტარებინა. დღეში რვა საათი ატარებდა ექსპერიმენტებს - სხვადასხვა რაკურსით იღებდა ჟასმინს.

ჟასმინს სახის გამომეტყველებით უნდა გამოეხატა ემოცია, რასაც გამოიწვევდა, მაგალითად, სიტყვა „წყალი“, „ცეცხლი“ ან „ცდუნება“. ეჩვენებინა საკუთარი სულის კეთილი ან ბოროტი მხარე. მზერა მიეპყრო პირდაპირ, მარცხნივ, მარჯვნივ, ქვემოთ და უსასრულობისთვის. თავი წარმოედგინა თოლიად ან დემონად, წარმოედგინა, რომ მას ელტვიან ხნიერი მამაკაცები, რომ ჩაკეტილი აღმოჩნდა ბარის ტუალეტში, რომ მასზე ძალას ხმარობენ, არის ცოდვილი ან წმინდანი, გარყვნილი ან უმანკო.

იღებდნენ ღია ცის ქვეშ და ჟასმინს ეგონა, გაითოშებოდა. თუმცა მაინც ახერხებდა, რეაგირება მოეხდინა ყველა სტიმულზე, დამორჩილებოდა ყველა რჩევას. მათი ნომრის ერთ-ერთ ოთახში გამართულ პატარა ფოტოსტუდიაში ჟღერდა ნაირ-ნაირი მუსიკა და ყოველ წუთს იცვლებოდა განათება. ჟასმინი გრიმს იკეთებდა, ფოტოგრაფი ვარცხნიდა.

- ჩემზე ამდენ დროს რატომ ხარჯავ?

fb.com/groups/elib

- მერე აგიხსნი.

მხოლოდ ორშაბათს, დილით, როგორც იქნა, ჟასმინმა მოისმინა შეფასება (კრისტინა ამ დროისთვის უკვე საბოლოოდ იყო უარყოფილი). ისინი ბრიუსელის ვაგზალზე იყვნენ, ანტვერპენის მატარებელს ელოდებოდნენ.

- შენ საუკეთესო ხარ.

- ტყუილია.

ქალმა გაკვირვებით შეხედა.

- ნუ მეკამათები. ამ საქმეს ოცი წელია ვაკეთებ და უამრავი ადამიანი გადამიღია. მიმუშავია პროფესიონალ მოდელებთან და კინომსახიობებთან, მაგრამ მათ შორის ვერავინ შეგედრება გრძნობის გადმოცემის ხელოვნებაში. იცი, ამას რა ჰქვია? ტალანტი! არის კატეგორიები, სადაც შეიძლება ტალანტის განსაზღვრა: რეჟისორი, რომელიც ვალდებულებას აიღებს, დაასრულოს ჩაფლავებული სურათი და მას მაღალანაზღაურებად ფილმად აქცევს; სპორტსმენი, ვინც რეკორდებს ამყარებს; მხატვრები, თავიანთი ნამუშევრებით თუნდაც ორი თაობის ხსოვნაში რომ რჩებიან. როგორ შემიძლია მოდელისთვის თქმა, რომ ნიჭიერია? როგორ და ასე - მე პროფესიონალი ვარ. კამერების ობიექტივების წინ შეგიძლია აჩვენო დემონიც და ანგელოზიც, რომელნიც შენს სულში სახლობენ - ეს, დამიჯერე, სულაც არ არის იოლი. მე არ ვლაპარაკობ იმ ახალგაზრდებზე, რომელთაც უყვართ ვამპირებად გამოწყობა და ნაირ-ნაირ გოთიკურ საღამოებზე დადიან, არც იმ გოგონებზე, უმანკო სახეს რომ ღებულობენ, რათა მამაკაცებში მთვლემარე პედოფილია გააღვიძონ, მე ნამდვილ დემონებსა და ანგელოზებზე ვლაპარაკობ.

ირგვლივ ხალხი ირეოდა. ჟასმინმა დაათვალიერა მატარებლების განრიგი და შესთავაზა, გარეთ გასულიყვნენ. კვდებოდა, ისე უნდოდა მოწევა, მაგრამ ვაგზალზე მოწევა აკრძალული იყო. ყოყმანობდა, ეთქვა თუ არა ის, რასაც იმ წუთში მისი სული აღევსო.

- თუკი მართლა მაქვს ტალანტი, მისი გამომჟღავნება ერთადერთი მიზეზით შევძელი. მთელი იმ დღეების განმავლობაში, რაც ერთად გავატარეთ, არაფერი გითქვამს პირად ცხოვრებაზე და არც ჩემთვის გიკითხავს რამე. მოდი, მე ვიქნები კორესპონდენტი: ფოტოგრაფობა ქალის საქმე არ არის, რა სიძნელეების გადატანა მოგიწია?

ქალს გაეცინა.

- სხვას ვერაფერს გეტყვი, გარდა იმისა, რომ ჩემს სამუშაოს ვაღმერთებ. ოცდათვრამეტი წლის ვარ, განქორწინებული, შვილები არა მყავს; მყავს გავლენიანი ნაცნობები, რაც საშუალებას მაძლევს, ფუფუნებით არა, მაგრამ ღირსეულად ვიცხოვრო. ჰო, მინდა დავუმატო: თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, არასოდეს მოიქცე

იმ ადამიანივით, ვინც თავის პროფესიას გადარჩენისთვის იყენებს. თუ ჩემს რჩევას არ მიიღებ, სისტემა შენით იოლად მოახერხებს მანიპულირებას. რასაკვირველია, შენს სურათებს ვიყენებ და ფულს ვშოულობ, მაგრამ ახლა დაბეჯითებით გირჩევ, პროფესიონალი აგენტი მონახო.

- იცით, რატომ შევძელი ტალანტის გამომჟღავნება? იმიტომ, რომ მოხდა რაღაც ისეთი, რის წარმოდგენაც კი არ შემეძლო: შემიყვარდა ქალი, ვინც ჩემ გვერდით ყოფნა ისურვა, დამეხმარა და თავისი სინაზითა და სიმტკიცით შეძლო გამომევლინა ყველაფერი, რაც ჩემი სულის სიღრმეში იმალებოდა - საუკეთესოც და ყველაზე ცუდიც: ეს ჩაიდინა არა ფსიქონალიზითა და მედიტაციის ხანგრძლივი გაკვეთილებით, - როგორც დედაჩემი ცდილობს ხოლმე, არამედ მხოლოდ...

ის გაჩუმდა, ეშინოდა, მაგრამ უნდა განეგრძო, ახლა დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა, - ...ფოტოაპარატის დახმარებით.

ანაზდად დრო შეჩერდა. ხმები გაიბნა. ხალხმა მიმოსვლა შეწყვიტა, ქარი ჩადგა, სიგარეტის კვამლი თითქოს ჰაერში გაიყინა, ყველა ცეცხლი ჩაქრა - მხოლოდ ერთმანეთს მიპყრობილი ორი წყვილი თვალი დარჩა...

- მზადაა, - ამბობს გრიმიორი.

ჟასმინი დგება და თავის მეგობარს უყურებს, შეუსვენებლივ რომ მიდი-მოდის - ასწორებს ნაკეცებს, არჩევს აქსესუარებს; ნერვიულობს: კანში ხომ მისი ჩვენებაა და თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, შეუძლია ბელგიის ხელისუფლებასთან ხელსაყრელი კონტრაქტი გააფორმოს.

ჟასმინს სურს, მივიდეს, მოეხვიოს, დაამშვიდოს, უთხრას, რომ ყველაფერი კარგად იქნება - იმაზე უარესად არა, ვიდრე წარსულში იყო. პასუხად მოისმინოს: „ჯერ ცხრამეტი წლისა ხარ, რა გესმის ცხოვრების“.

ჟასმინი ამის საპასუხოდ ეტყვის: „ვიცი, მე რა შემიძლია და ეს შენც კარგად იცი. ვიცი, რომ ჩვენი ცხოვრება სამი წლის წინათ, იმ დღეს შეიცვალა, როცა ვაგზალზე ხელი ნაზად შემახე ლოყაზე. გახსოვს? მაშინ ჩვენ ორივეს შეგვეშინდა, მაგრამ შევძელით ამ შიშის დაძლევა. ამის წყალობით აღმოვჩნდი აქ. შენ კი, გარდა იმისა, რომ შესანიშნავ ფოტოგრაფად დარჩი, დიდი ხნის ოცნების ასრულებაც შეძელი - ტანსაცმლის მოდელიორი გახდი.

მაგრამ ჟასმინმა თავი შეიკავა: როცა ვინმეს დამშვიდებას ცდილობ, დამშვიდების მაგივრად, ის უფრო მეტად ღელავს ხოლმე.

ფანჯარასთან მიდის და ისევ სიგარეტს ეწევა. ჰო, ბევრს ეწევა, მაგრამ, რას იზამ, ეს საფრანგეთში მისი პირველი მნიშვნელოვანი დეფილეა.

4:43 PM

კარში მდგარი შავ ინგლისურპიჯაკიანი და თეთრბლუზიანი გოგონა სახელს ეკითხება, სიაში ამოწმებს და სთხოვს, ცოტა მოიცადოს - აპარტამენტი ჯერჯერობით დაკავებულიაო. მის გვერდით ორი მამაკაცი და მასზე ახალგაზრდა გოგონა იცდიან.

ყველა დუმს. რამდენ ხანს უნდა იცადონ? რა ხდება შიგნით?

ამას გაბრიელა საკუთარ თავს ეკითხება და ორ პასუხს ღებულობს. პირველი: „რამდენიც საჭიროა, იმდენ ხანს დაიცდი“. გაბრიელა-ოპტიმისტმა საკმაოდ ბევრ რამეს გაუძლო, ბევრი რამ გადაიტანა იმისთვის, რათა ვარსკვლავთა შორის მოხვედრილიყო და ახლა უნდა იფიქროს ხმაურიან პრემიერაზე, მსოფლიოს ყველა დედაქალაქში გაკრულ აფიშებზე, მისი სახლის წინ დღედაღამ მორიგე რეპორტიორებზე, რომლებიც კითხვებს დააყრიან: რომელი ბუტიკის ტანსაცმელს იცვამს, ვინაა ის დაკუნთული, წითურთმიანი მამაკაცი, ვისთან ერთადაც ნახეს ღამის კლუბში... უნდა იფიქროს მშობლიურ ქალაქში ტრიუმფით დაბრუნებაზე, მეგობრები შურითა და აღფრთოვანებით რომ მიაპყრობენ მზერას, საქველმოქმედო პროექტებში მონაწილეობაზე...

მეორე ხმა ახსენებს, რომ გაბრიელა-ოპტიმისტმა ბევრ რამეს გაუძლო, ბევრი რამ გადაიტანა ვარსკვლავთა შორის მოსახვედრად, მაგრამ ახლა სამართებლის პირზე გადის, რისკავს, შეიძლება ფეხი აუცდეს და უფსკრულში ჩაიჩეხოს. იმიტომ, რომ ჰამიდ ჰუსეინმა მისი არსებობაც კი არ იცის და ჯერჯერობით არავის უნახავს საღამოს მაკიაჟით. კაბაც, ალბათ, არ მოერგება, გადასაკეთებელი გახდება - დავიწროება ან ნაჭრის ჩადგმა დასჭირდება, რის გამოც Martinez-ში დააგვიანდება. ის კი უკვე ოცდახუთი წლის არის და სავსებით შესაძლებელია, იახტაზე გადაიფიქრეს, ან უკვე სხვა პრეტენდენტზე შეაჩერეს არჩევანი. ანდა იქნებ თავიდანვე გადაწყვიტეს, სამ-ოთხ გოგონას მოლაპარაკებოდნენ, სამივე მიეწვიათ საღამოზე ისე, რომ არც ერთს სცოდნოდა მეტოქის არსებობა. მერე დააკვირდებოდნენ, საღამოზე, უამრავ ხალხში რომელი მათგანი იქნებოდა ყველაზე გამორჩეული... რაღაც პარანოიაა.

არა, პარანოია კი არა, რეალობაა. გარდა ამისა, თუმცა ჯიბსონი და ვარსკვლავი მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობენ, გამარჯვება მაინც არაა გარანტირებული. თუ საქმე არ აეწყობა, ყველაფერში დამნაშავე თვითონ იქნება. კვლავ წარმოიდგინა შეშლილი მექუდე „ალისა საოცრებათა ქვეყნიდან“. ის უნიჭოა. მიუხედავად თავგამოდებული მცდელობისა, მის ცხოვრებაში დღემდე არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა. იმ წუთებიდან, რაც კანში აღმოჩნდა, მუხლი არ ჩაუხრია: თავისი „ძვირფასი“ პორტფოლიო დაუგზავნა კომპანიებსა და სააგენტოებს, მაგრამ შედეგად მხოლოდ ერთ კასტინგზე მიიწვიეს. ნიჭიერი რომ იყოს, როლისთვის გასინჯვა კი არ მოუხდებოდა, როლებს თავად აირჩევდა. ოცნებამ მეტისმეტად

გაიტაცა და მალე იგრძნობს დამარცხების აუტანელ სიმწარეს. ეს დამარცხება მით უფრო მწარე იქნება, ზუსტად წარმატების ზღვარზე რომ წამოეწევა...

„ნეგატიურ ენერგიას ვიზიდავ. აშკარად ვგრძნობ... გონზე უნდა მოვიდე“.

მაგრამ მკაცრ ინგლისურკოსტიუმიანი ქალისა და სამი კოლეგის თვალწინ ხომ არ დაიწყებს იოგას ვარჯიშს? უნდა მოიშოროს ეს ნეგატიური განწყობა, მაგრამ, უპირველესად, უნდა გაიგოს, საიდან გაუჩნდა. იმ პერიოდში, როცა ეგონა, რომ ვინმეს შურის გამო ვერაფერს მიაღწევდა, ბევრი წაიკითხა და დარწმუნდა: ვიღაც მსახიობი ცოტა ხნის წინ გასინჯეს და დაიწუნეს, ამ მომენტში იგი ახდენს მთელი თავისი ენერგიის კონცენტრაციას, რათა როლი მაინც მიიღოს. დიახ! გაბრიელა გრძნობს მის მტრულ ველს და, მაშასადამე, ეს მართალია!.. ერთადერთი გამოსავალია, განსჯას მოეშვას და ეძიოს თავისი ნამდვილი მე, განუყრელად, მთელი ძალით რომაა დაკავშირებული სამყაროსთან.

გაბრიელამ ოხვრას გული ამოაყოლა, მერე გაიღიმა და საკუთარ თავს უთხრა: „ახლა ჩემ ირგვლივ სიყვარულის ენერგიას ვაფრქვევ. ის წყვდიადზე ძლიერია და ჩემში დამკვიდრებული ღმერთი ესალმება პლანეტის ყველა მცხოვრებში დამკვიდრებულ ღმერთს, მათაც კი, ვინც...“

ხმამაღალმა სიცილმა აზრი შეაწყვეტინა. გაღებული კარიდან რამდენიმე ჭაბუკი და ქალიშვილი გამოვიდა ორ ცნობილ პიროვნებასთან ერთად და მხიარულად გაეშურნენ ლიფტისკენ.

- თქვენი რიგია, - უთხრა გაბრიელას ადმინისტრატორმა გოგონამ.

„ამაო მედიტაცია არ არსებობს“.

გაბრიელამ ღიმილით შეაბიჯა ოთახში, მაგრამ ზღურბლზე გადაბიჯებისთანავე გაშეშდა: აპარტამენტი საგანძური გეგონებოდათ - სხვადასხვა ფასონისა და მოდელის სათვალეები, საკიდებზე დაკიდებული კაბები და კოსტიუმები, ყველა სახისა და ზომის ჩანთები, ფეხსაცმელები, წინდები, საათები, საიუველირო ნაწარმი, კოსმეტიკა, ელექტრონიკა... მის შესახვედრად ქერათმიანი ქალი გამოემართა, კისერზე ტელეფონით, ხელში კი სიით. შემოწმების შემდეგ სთხოვა, გაჰყოლოდა.

- დრო ცოტა გვაქვს. პირდაპირ საქმეს შევუდგეთ.

ისინი შედიან ერთ-ერთ ოთახში და გაბრიელა ახალ საგანძურს ხედავს: სიმდიდრისა და გლამურის ზღვა, რომელიც ადრე მხოლოდ ვიტრინებში ენახა, ახლა ყველაფერი მას ელოდება და სასწრაფოდ უნდა მოიფიქროს, რა ჩაიცვას.

- შეიძლება, სამკაულებით დავიწყო?

- შენ არაფრის ამორჩევა არ მოგიწევს. ჩვენ ვიცით, რაც სურს ჰ.ჰ.-ს. კაბას კი ხვალ დილით დააბრუნებ.

ჰ.ჰ. ჰამიდ ჰუსეინია. ამ ხალხმა უკვე იცის, რა უნდა მას გაბრიელასთვის.

ისინი გზას აგრძელებენ. საწოლებზე, მაგიდასა და სავარძლებზე გროვად აწყვია ნაირ-ნაირი საქონელი: მაისურები, სანელებლები, საკაზმი, ყავის მადუღარას დამამზადებელი ცნობილი ფირმის სარეკლამო პლაკატი, მის გვერდით კი სასაჩუქროდ შეფუთული ამავე ფირმის პროდუქციის ნიმუშები. ჰოლიდან ვრცელ სასტუმრო ოთახში შედიან. გაბრიელას ადრე წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ სასტუმროებში ასეთი უზარმაზარი აპარტამენტები არსებობდა. განიერ საწოლზე თეთრი ყუთი დევს. მათ მდუმარედ ელოდება ვიღაც - ვერ გაიგებ, ქალია თუ მამაკაცი: აქვს გრძელი, უფერული თმა, ამოქნილი წარბები, თითებზე ბეჭდები აუსხამს, ჯაჭვი ქამრიდან მოტკეცილი შარვლის ჯიბემდე სწვდება.

- გაიხადე.

გაბრიელა ჯინსსა და ბლუზას იხდის. თან ცდილობს, იმ არსების სქესი გამოიცნოს, რომელიც ვეებერთელა კარადიდან წითელ კაბას ხსნის.

- ლიფიც გაიხადე. კაბაში გამოჩნდება.

ნომერში მდგარი დიდი სარკე ისეა შეტრიალებული, რომ გაბრიელა ვერ ხედავს, როგორ ადგას კაბა.

- უნდა ვიჩქაროთ. ჰამიდმა თქვა, წვეულებაში მონაწილეობის გარდა, საფეხურებზეც უნდა ავიდესო.

„საფეხურებზე ავიდეს...“ - ჯადოსნური სიტყვებია.

კაბა არ მოგიხდაო, უთხრეს. ქალი და უსქესო არსება ნერვიულობენ, ქალი ითხოვს, ორი-სამი კაბა კიდევ მოიტანონ ამოსარჩევად, რადგან გაბრიელამ, ვარსკვლავთან ერთად, კიბეზე უნდა აიაროს. ვარსკვლავი კი უკვე მზად არის.

გაბრიელას თავი სიზმარში ჰგონია - კიბეზე ვარსკვლავთან ერთად?!

ბოლოს ირჩევენ გრძელ, ძალზე ვიწრო ოქროსფერ კაბას, ლამის წელამდე დეკოლტეთი. მკერდამდე დაშვებული ოქროს ჯაჭვი გულამოჭრილ კაბას გასაქანს არ აძლევს, აჩვენოს იმაზე მეტი, ვიდრე ადამიანის წარმოსახვას შეუძლია გაუძლოს.

ქალი უფრო და უფრო ნერვიულობს. ჰერმაფროდიტი გადის და უმალ მკერავის თანხლებით ბრუნდება. მკერავი სწრაფად უკეცავს კაბის ბოლოს. გაბრიელას ამ წუთში რამის თქმა რომ შესძლებოდა, სთხოვდა, ეს არ ექნათ, რადგან ჩაცმულზე რაიმეს შესწორება ცუდის ნიშანია.

მესამე არსებაც ჩნდება არაჩვეულებრივი ზომის ჩანთით. მიდის ვეება ოთახის კუთხეში, იწყებს რაღაცების გადმოლაგებას, გამოაქვს მოძრავი საგრიმიორო, რომელსაც ლამპასთან ერთად, ჩარჩოზე სარკეც აქვს მიმაგრებული. ჰერმაფროდიტი

კი, მონანიე მაგდალინელის მსგავსად, გაბრიელას წინ მუხლებზე იჩოქებს და ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე წყვილ ფეხსაცმელს აზომებს. კონკია სულ მალე შეხვდება თავის პრინცს და კიბეზე ხელიხელჩაკიდებულები ავლენ.

- ესენი კარგია, - ამბობს ქალი.

ჰერმაფროდიტი დანარჩენ ფეხსაცმელებს ყუთებში აწყობს.

- კაბა გაიხადე. სანამ დაგვარცხნიან და მაკიაჟს გაგიკეთებენ, ჩვენ კაბას დავამოკლებთ.

დიდება უფალს, ბედი კვლავ გაეხსნა... გაბრიელა ტრუსის ამარა შეჰყავთ საშხაპეში, იქ უკვე მზადაა დასაბანი და თმის გასაშრობი მოწყობილობა. თავგადაპარსული მამაკაცი უბრძანებს, დაჯდეს და თავი უკან გადასწიოს. ის მარჯვედ ხმარობს ხელის შხაპს და სხვების მსგავსად, შესამჩნევად ნერვიულობს, წამდაუწუმ წუხს, მეტისმეტი ხმაურია, ყველაფერი მუდამ ნაუცბათევად ხდებაო და სამუშაოდ ნორმალურ პირობებს ითხოვს, მაგრამ არავინ ყურს არ უგდებს.

- არავის ესმის, რა უდიდესი პასუხისმგებლობა მაწევს მხრებზე.

გაბრიელას პასუხს არ ელოდება და თავისთვის ლაპარაკს განაგრძობს:

- საფეხურებზე რომ აივლი, გგონია, ხალხი შენ დაგიწყებს ყურებას? არა, ისინი ჩემს ნამუშევარს, მაკიაჟსა და ვარცხნილობას შეაფასებენ. შენ მხოლოდ უხეში ტილო ხარ, რომელზეც ვხატავ და ვწერ. ქვა ხარ, რომლისგანაც ვაქანდაკებ. რას იტყვის ხალხი, უცებ არაფერი რომ არ გამომივიდეს? ხომ შეიძლება სამუშაო დავკარგო?

გაბრიელას არ სიამოვნებს ამის მოსმენა, მაგრამ იცის: შეგუება მოუწევს. ასეთია გლამურისა და ბრწყინვალების სამყარო. როცა ამის საშუალება ექნება, მხოლოდ ზრდილობიან და თავაზიან ადამიანებთან იმუშავებს. ახლა კი აჯობებს, მოთმინებას მოუხმოს. ამასობაში, პარიკმახერის ხელში ასაფრენი ზოლიდან მოწყვეტილი თვითმფრინავივით გრუხუნებს ფენი და თმას უშრობს. ამის შემდეგ პარიკმახერი უბრძანებს, კოსმეტიკურ კაბინეტში გადაინაცვლოს. იქ განწყობილება ანაზდეულად ეცვლება: ხმას არ იღებს, გაბრიელას უმზერს სარკეში და თითქოს სხვა რეალობაში ექცევა. ხელში ფენი და ჯაგრისი ისე უჭირავს, როგორც მიქელანჯელოს - საჭრეთელი და ჩაქუჩი დავითის გამოქანდაკებისას. გაბრიელა კი ზის, მზერა ერთი წერტილისთვის მიუპყრია და ერთი პორტუგალიელი პოეტის სტრიქონები ახსენდება:

„სარკე მუდამ ზუსტად ირეკლავს, ის არ ცდება, რადგან არ ფიქრობს. ფიქრი შეცდომას ნიშნავს“.

ქალი და ჰერმაფროდიტი უკან ბრუნდებიან - სულ რაღაც ოცი წუთის შემდეგ ლიმუზინი წაიყვანს Martinez-ში, სადაც ვარსკვლავს შეხვდება. მანქანის დაყენება არ

შეიძლება, ამიტომ ადგილზე წუთი წუთზე უნდა მივიდნენ. პარიკმახერი რაღაცაზე უკმაყოფილოდ ბუზღუნებს იმ მხატვარივით, რომელიც დამკვეთთან საერთო ენას ვერ პოულობს, მაგრამ იცის, ვადაში უნდა ჩაეტიოს. გაბრიელას სახის მხატავი პარიკმახერი ახლა სიქსტის კაპელის ჭერის მხატავ მიქელანჯელოს წააგავს.

- ლიმუზინი! კიბე! ვარსკვლავი!

„სარკე მუდამ ზუსტად ირეკლავს: ის არ ცდება, რადგან არ ფიქრობს“.

და გაბრიელაც არ ფიქრობს, თორემ საერთო გაღიზიანება გადაედება და კვლავ დაუბრუნდება ნეგატიური განწყობილება. ძალიან უნდა, იკითხოს, ამ ნომერში რატომაა დახვავებული ამდენი სხვადასხვანაირი საქონელიო, მაგრამ საჭიროა თავი ისე დაიჭიროს, თითქოს არაფერი აკვირვებს.

„მიქელანჯელო“ საბოლოოდ უსწორებს მაკიაჟს. ქალს პარიკმახერისთვის მკაცრი, ჰერმაფროდიტს კი უაზრო მზერა მიუპყრია. გაბრიელა დგება და სასწრაფოდ აცმევენ. მადლობა ღმერთს, ყველაფერი რიგზეა.

საიდანღაც იღებენ პატარა ტყავის ჩანთას, ჰერმაფროდიტი ჩანთიდან ფორმის შესანარჩუნებლად შიგ ჩაწყობილ ქაღალდებს იღებს, ეტყობა, კმაყოფილია. ჩანთას გაბრიელას აძლევს. ქალი კი გიგანტური კონტრაქტის ოთხ ეგზემპლარს უწვდის, სადაც ფურცლის ბოლოს მიმაგრებული წითელი მარკერი ხელის მოწერის ადგილს მიანიშნებს.

- შეგიძლია, წაუკითხავად მოაწერო ხელი, შეგიძლია, შინ წაიღო, შენს იურისტს დაურეკო იმის სათქმელად, რომ გადაწყვეტილების მისაღებად დრო გჭირდება. მაგრამ, ასეა თუ ისე, კიბეზე ასვლა მაინც მოგიწევს. თუ ხვალ დილით კონტრაქტი აქ არ იქნება, უკან მხოლოდ კაბას დააბრუნებ.

გაბრიელას ახსენდება აგენტის რჩევა, ყველაფერზე დათანხმდიო, ართმევს კალმისტარს და სწრაფად აწერს ხელს მონიშნულ ადგილზე. მას არაფერი, აბსოლუტურად არაფერი აქვს დასაკარგი. თუკი რომელიმე პარაგრაფი მის ინტერესებს შელახავს, ყოველთვის შეეძლება, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი, რომ ხელის მოწერა აიძულეს. ახლა კი, უპირველესად, ის უნდა გააკეთოს, რაზეც მუდამ ოცნებობდა.

ქალი ფურცლებს ართმევს და დაუმშვიდობებლად უჩინარდება. „მიქელანჯელო“ თავის მოწყობილობებს ალაგებს, თან მწარე ფიქრებს მისცემია ამ ქვეყნის უსამართლობაზე, სადაც მისი შრომა სათანადოდ არ ფასდება, სადაც არასოდეს ჰყოფნის დრო, რათა ყველაფერი საკუთარი გემოვნებით გააკეთოს და თუ რამე რიგზე არაა, მას დაადანაშაულებენ. ჰერმაფროდიტს გაბრიელა ნომრის კარისკენ მიჰყავს, საათზე იყურება და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად იღებს ხმას:

- სამი წუთი დარჩა. სასტუმროდან ქვეყნის დასანახად ასე გასვლა არ შეიძლება... მანქანამდე მიგაცილებ.

გაბრიელა კვლავ იძაბება. აღარ ფიქრობს ლიმუზინზე, ვარსკვლავსა და კიბეზე. შიში იპყრობს. შიშის თავიდან ასაცილებლად ჰერმაფროდიტს ეკითხება:

- ეს რა აპარტამენტია? რატომ არის აქ ამდენი ნაირ-ნაირი რამ?

- აქ, ტანსაცმლისა და აქსესუარების გარდა, ყველაფერი უფასოა!

ყავის საფქვავი, ელექტრონიკა, ჩანთები, საათები, ბიჟუტერია, სამოგზაურო ბილეთები... ყველაფერი ეს მუქთად?

- ვიცი, ახლა რაზეც ფიქრობ, - ესმის გაბრიელას არც ქალის, არც კაცის, უფრო უცხოპლანეტელის ხმა, - დიახ, ყველაფერი მუქთადაა, უფრო სწორად, რამდენადაც ქვეყნიერებაზე მუქთად არაფერია, ყველაფერი პატიოსანი გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე ხდება. ახლა იმყოფები კანის ფესტივალის დროს დაქირავებული მრავალი ოთახიდან ერთ-ერთ „საჩუქრების ოთახში“. რჩეულნი მოდიან და შეუძლიათ წაიღონ ყველაფერი, რაც მოეწონებათ. ეს ხალხი სხვა წარჩინებულ პირებს სტუმრად ღებულობენ და საღამოს შემდეგ ყავას ახალი მოდელის მადუღარათი უდუღებენ. ისინი თავიანთ ნოუთბუქებს აქედან აღებული ჩანთებით ატარებენ, აქაური კრემებით სარგებლობენ და თავიანთ დიდ მნიშვნელობას გრძნობენ, რადგან ფლობენ რაღაც განსაკუთრებულს, რაც მაღაზიებში ჯერჯერობით არ გამოჩენილა. ამ საქონლიდან არც ერთი ჯერ ბაზარზე არ არის გამოტანილი. როცა გამოჩნდება, სუპერკლასი აუცილებელ კამპანიას ჩაატარებს და უბრალო მოკვდავნი მათ მიერ რეკომენდებულ საქონელზე დახარჯავენ თავიანთ დანაზოგს. ამაზე იოლი არაფერია, ძვირფასო. მწარმოებლები წარმოადგენენ ნიმუშებს, რჩეულნი კი მოარულ რეკლამებად იქცევიან. მაგრამ დროზე ადრე ნუ გიხარია, შენ ჯერ იქ არავინ შეგიშვებს. კეთილი - სამი წუთი უკვე გავიდა. დროა, ჩავიდეთ და კიბეზე ასასვლელად მოემზადო.

მათ თეთრი „მაიბახი“ ელოდებათ. ქურთუკიანი და ხელთათმანებიანი მძღოლი კარს უღებს. ჰერმაფროდიტი უკანასკნელად არიგებს:

- ფილმი დაივიწყე. საფეხურებზე მის გამო არ ადიხარ. ზემოთ რომ ახვალ, ფესტივალის დირექტორსა და პრეფექტს მიესალმე. სასახლეში შესვლის უმალ პირველ სართულზე, დერეფნის ბოლოს, საგრიმიოროში შედი. მერე - მარცხნივ, გვერდით კარში გახვალ. იქ დაგელოდებიან. გიცნობენ - გავაფრთხილებ, როგორი კაბა გეცმევა. ხელახლა დაგვარცხნიან, მაკიაჟს შეგისწორებენ და ტერასაზე ცოტას დაგასვენებენ. იქიდან კი მე თვითონ წაგიყვან გალა-ვაშხამზე.

- რეჟისორსა და პროდიუსერს ხომ არ ეწყინებათ?

ჰერმაფროდიტი მხრებს იჩეჩავს და თავის უცნაური, მოხტუნავე ნაბიჯებით ბრუნდება სასტუმროში. ფილმი? ფილმს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია საფეხურებზე აიაროს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ის გაივლის წითელ ხალიჩაზე, სადაც კინოს, მოდისა და ხელოვნების სამყაროს ყველა სახელგანთქმულ წარმომადგენელს მოუყრია თავი და სააგენტოების მიერ სამყაროს ოთხივ მხარეს დაგზავნილი მათი ფოტოსურათები მთელი მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთებში გამოჩნდება.

- ქალბატონო, კონდენციონერი კარგად მუშაობს? - თავაზიანად ეკითხება მძღოლი.

გაბრიელა მდუმარედ უქნევს თავს.

- თუ გნებავთ, ჩვენგან მარცხნივ თაროში ცივი შამპანურია.

გაბრიელა რაც შეიძლება შორს იწვდის ხელს, კაბაზე რომ არ გადაესხას, ბოთლს ხსნის, ისხამს და ერთბაშად სვამს, იმავე წამს ხელახლა ისხამს ბროლის ბოკალში. ცნობისმოყვარე გამვლელები ცდილობენ გაიგონ, ვინ ზის სხვა მანქანებისთვის აკრძალულ, სარეზერვო ხაზზე მქროლავ ამ უზარმაზარ, დაბურულმინებიან ლიმუზინში. სულ მალე ის და ვარსკვლავი წითელ ხალიჩაზე გაივლიან და ეს მარტო არნახული კარიერის კი არა, წარმოუდგენლად ლამაზი სიყვარულის დასაწყისიც იქნება...

გაბრიელა რომანტიკოსია... თუ ოდესმე წიგნში თავის ამბავს მოჰყვება, ამ დღის აღწერას ვერ მოახერხებს: არეულ ოთახში იღვიძებს, საშინლად სტკივა თავი. ექვსი საათის მერე კი ლიმუზინით მიდის, რათა წითელ ხალიჩაზე, ჟურნალისტთა კრებულის წინაშე, ხელიხელჩაკიდებულმა გაიაროს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სასურველ მამაკაცთან ერთად.

ხელები უკანკალებს. კიდევ უნდა ერთი ბოკალის დალევა, მაგრამ სჯობს, არ გარისკოს - დიდების კიბის ძირში არ ღირს, მთვრალი გამოჩნდეს.

„დამშვიდდი, გაბრიელა. არ დაგავიწყდეს, ვინ ხარ. იყავი რეალისტი - არ გააზვიადო ის, რაც ახლა შენს თავს ხდება“.

სანამ მანქანა სასტუმრომდე მივა, ის განუწყვეტლივ იმეორებს ამ ფრაზას. მაგრამ, სურს თუ არა, ვეღარასოდეს იქნება უწინდელი გაბრიელა. გამოსავალი არაა - გარდა იმისა, რაც ჰერმაფროდიტმა უთხრა და რასაც კიდევ უფრო მაღალი მწვერვალისკენ მიჰყავს.

4:52 PM

ოდესღაც უფალ ღმერთს, იესო ქრისტესაც კი მოუხდა გაეძლო ისეთი გამოცდისთვის, როგორიც ახლა იგორის წინაშე დგას. ესაა ეშმაკის ცდუნება და ის კბილებითა და ფრჩხილებით უნდა ჩაეჭიდოს თავის რწმენას, რათა არ შედრკეს.

ეშმაკი კი სთხოვს, შეჩერდეს, გადაიფიქროს, მიუტევოს, უარყოს განზრახული. ეშმაკი პირველი ხარისხის პროფესიონალია, რომელსაც შეუძლია სუსტ სულში შიში, სასოწარკვეთა, ეჭვი და უღონობა ჩანერგოს.

ძლიერს როცა ხვდება, გაცილებით დახვეწილი მეთოდით - კეთილი განზრახვით აცდუნებს. განა ასე არ მოექცა იესოს უდაბნოში, როცა სთხოვა, ქვები პურებად ექცია? მაცხოვარს შეეძლო, თავადაც მოეკლა შიმშილი და ყველა დაეპურებინა, ვინც ემუდარებოდა, მიეცა მათთვის საჭმელი. იესო, როგორც ღმერთის ძისგან იყო მოსალოდნელი, ძალზე ბრძნულად მოიქცა და უპასუხა: „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“.

კეთილი განზრახვა, ზნეობრიობა, მიზანდასახულობა - რა არის ეს? ადამიანები, ვისაც თავი მიზანდასახულ ნატურად მიაჩნდათ, უცილობლად ემორჩილებოდნენ თავიანთ ხელისუფალთ და, ბოლოს და ბოლოს, გერმანიაში საკონცენტრაციო ბანაკები ააშენეს. ექიმები, დარწმუნებულები რომ იყვნენ, არ არსებობდა კომუნისტურზე უფრო სამართლიანი სისტემა, სულით დაავადებულებად შერაცხეს და რეჟიმთან დაპირისპირებულ ინტელექტუალებთან ერთად საგიჟეთში ჩაკეტეს. ომში ჯარისკაცები ერთმანეთს მათთვის გაურკვეველი იდეალების გამო ხოცავენ და ამითაც სრულდება ყველაზე კეთილი განზრახვა, ზნეობრიობა და მიზანდასახულობა?

არა, ყველაფერი ასე არაა: სიკეთის გამო ცოდვის ჩადენა ზნეობრიობაა, სიკეთის ქმნა ბოროტებისთვის - ცოდვა.

მის შემთხვევაში ეშმაკმა, მისთვის სიმშვიდე რომ დაერღვია, მიტევება სთხოვა და უთხრა: „შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, ვისაც ეს გადაუტანია, ბევრი მიუტოვებია მას, ვინც ამქვეყნად ყველაზე მეტად ჰყვარებია, მაგრამ მათ მოუხერხებიათ ტანჯვის ნათელი და სასიხარულო გრძნობით შეცვლა. წარმოიდგინე იმ ადამიანთა ოჯახები, ვინც შენი წყალობით ცოცხლები აღარ არიან. ნათესავები მწუხარებით, სიძულვილითა და სამაგიეროს გადახდის წყურვილით არიან სავსენი. ასე აქცევ სამყაროს სრულყოფილად? და ამის მიძღვნას უპირებ შენს საყვარელ არსებას?“

მაგრამ იგორის სიბრძნეს შეუძლია დაძლიოს ეს ცდუნება, ნება არ მისცეს მათ, სული აუმღვრიონ. თუ ერთხანს კიდევ მტკიცედ გაუძლებს, ეშმაკის ხმა თანდათან შესუსტდება და საბოლოოდ სულ მიწყდება. უმთავრესად, იმიტომ, რომ ერთ-ერთი მათგანი, ვინც სამოთხეში გააგზავნა, ყოველწუთს მისი ცხოვრების თანამგზავრია -

გოგონა კრუაზეტის სანაპიროდან ეუბნება: ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი სწორია, უდიდესი განსხვავებაა „მიტევებასა“ და „დავიწყებას“ შორის. მას გულში სიძულვილის ნატამალიც არ აქვს, რაც ჩაიდინა, იმიტომ არ ჩაუდენია, რომ სამყაროზე შური ეძია.

ეშმაკი ცდილობს, თავისი გაიტანოს, მაგრამ მან სულის სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს და გაიხსენოს, აქ რისთვის ჩამოვიდა.

იგორი პირველსავე შემხვედრ პიცერიაში შედის, უკვეთავს „მარგარიტას“ და კოკა-კოლას. სჯობს, ღონე მოიკრიბოს. მაგიდასთან სხვებთან ერთად როცა ზის, ჭამა არ შეუძლია (და არც არასდროს ხეირიანად არ შეეძლო). ყველა საჭიროდ მიიჩნევს, უშუალო, თავაზიანი, ცოცხალი საუბარი გააბას, მაგრამ თანამოსაუბრეს სულ იოლად ტოვებს უპასუხოდ, რათა რომელიღაც საჭმლის მორიგი ლუკმა იგდოს პირში.

ჩვეულებრივ ვითარებაში იგორს ერიდება და გამოცდილ ხერხს მიმართავს: თავის მეზობლებს კითხვებით ავსებს, საშუალებას აძლევს, გაიბრწყინონ ჭკუა-გონებით, ცოდნითა და ენამზეობით, თვითონ კი ამასობაში გულარხეინად მიირთმევს. მაგრამ ამ საღამოს არც თავაზიანობისა და არც ურთიერთობის თავი არა აქვს.

იგორმა არ იცის, ერთ დღეში ჩადენილი სამი მკვლელობა მეტისმეტად თუ ამძაფრებს კანის კრიმინალურ სტატისტიკას: თუ ეს ჩვეულებრივი ამბავია, ამის გამო პოლიცია ვერაფერს იეჭვებს. ძიებას დაიწყებენ თავიანთი აუჩქარებელი ბიუროკრატიული პროცედურითა და ფორმალობით, ის კი, როგორც ვარაუდობდა, დილით ადრე გაფრინდება. ისიც გაურკვეველია, მოახდინეს თუ არა მისი იდენტიფიკაცია: ის დაინახა ცოლ-ქმარმა, ახლოს რომ ჩაუარეს, შეიძლება დაემახსოვრებინა ჯავიც უაილდის ერთ-ერთი მცველს, ვიღაცას კი, სავარაუდოა, მორინთან ერთად პლაჟზე დაენახა.

იგორის ცდუნება ამჯერად ტაქტიკას ცვლის: სურს შეაშინოს, როგორც სუსტ ადამიანებს აშინებს ხოლმე. ყველაფრიდან ჩანს, რომ ეშმაკი ვერ ხვდება, იგორი განსაცდელმა როგორი მტკიცე გახადა.

იგორი იღებს ტელეფონს და ახალ შეტყობინებას გზავნის. ცდილობს წარმოიდგინოს, რას იზამს ევა მორიგი შეტყობინების მიღებისას. რაღაც კარნახობს, რომ ის ერთდროულად შეშინდება და აღფრთოვანდება და მწარედ ინანებს ორი წლის წინათ გადადგმულ ნაბიჯს, როცა ყველაფერი მიატოვა თავისი ძვირფასი სამკაულებისა და კაბების ჩათვლით და სთხოვა, იგორის ადვოკატი დაკავშირებოდა, რათა განქორწინების პროცედურა დაეწყო.

განქორწინების მიზეზი? - ხასიათების შეუთავსებლობა. თითქოს მსოფლიოში ყველა სავსებით ერთნაირად ფიქრობს... რა თქმა უნდა, არა. ხასიათი არაფერ შუაში არ იყო. ევას სხვა შეუყვარდა.

ვნება. არის განა ამქვეყნად ადამიანი, ხუთწლიანი ქორწინების მანძილზე სხვისკენ ერთხელ მაინც რომ არ გაეხედოს, არ მონდომებოდეს სხვა საზოგადოებაში ყოფნა? ვინ გაბედავს და იტყვის, რომ ერთხელ მაინც არ დაურღვევია ცოლქმრული ერთგულება - თუნდაც წარმოსახვაში? და რამდენს დაურღვევია ქორწინება, წასულა სახლიდან, მერე კი აღმოუჩენია, რომ ვნება გაუნელდა და თავის პირველ პარტნიორთან დაბრუნებულა. საჭიროა ამას გონივრულად მოვეკიდოთ და ყველაფერი დავივიწყოთ. ეს ყველაფერი ბუნებრივია, სავსებით მისაღები და ბიოგრაფიის ნაწილს წარმოადგენს.

რასაკვირველია, ამას იგორი თანდათანობით მიხვდა. პირველად თავისი ადვოკატისგან მოითხოვდა, უმაგალითო სიმკაცრე გამოეჩინა და განქორწინებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმებოდა, თუკი ევა უარს იტყოდა იმ ქონებაზე, რაც მათ ნულიდან დაწყების შემდეგ, თითქმის ოცი წლის მანძილზე, ერთად მოაგროვეს. ერთი კვირის განმავლობაში გაშმაგებული იყო; ფული აქ არაფერ შუაში იყო, უბრალოდ, ევას დასაბრუნებლად ყველაფერი უნდა ეღონა, ზეწოლის სხვა ხერხი კი მისთვის უცნობი იყო.

ევა ჯიუტი გამოდგა: მისმა ადვოკატმა წამოყენებული პირობა მიიღო.

იგორმა თავისი ცოლის ახალ რჩეულზე გაზეთებიდან შეიტყო. შეიტყო, რომ ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოდელიორია და თავის ახლანდელ წარმატებას, როგორც თავად იგორი, საკუთარ თავს უმადლისო; რომ ისინი თითქმის თანატოლები იყვნენ - ისიც ორმოც წლამდეა, უბრალო და თავმდაბალია და დღე და ღამე განუწყვეტლივ მუშაობსო.

როგორც თვითონ.

იგორს ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ცოტა ხნით ადრე, სანამ ლონდონის მოდის ფესტივალზე გაემგზავრებოდნენ, მათ მოახერხეს, მადრიდში რამდენიმე დღე ერთად გაეტარებინათ. თითქოს ადრინდელი სიყვარულის ხანა დაუბრუნდათ. მართალია, კორპორაციის იახტით მოგზაურობდნენ და სასტუმროში ცხოვრობდნენ, სადაც ჩიტის რძეც არ აკლდათ, ევამ და იგორმა გადაწყვიტეს, ხელახლა აღმოეჩინათ სამყარო. რესტორანში წინასწარ არ უკვეთავდნენ მაგიდას, მუზეუმის სანახავად საათობით იდგნენ გრძელ რიგში, დადიოდნენ ტაქსით და არა ლიმუზინით, რომლის მძღოლი ფეხმოუცვლელად იცდიდა შესასვლელში, დახეტიალობდნენ ქალაქში, იკარგებოდნენ დახლართულ ქუჩებში, ბევრს ჭამდნენ, უფრო მეტს სვამდნენ, სასტუმროში დაბრუნებულები დაღლილობისგან ფეხებს ვეღარ გრძნობდნენ, მაგრამ ბედნიერები იყვნენ და ყოველ ღამე ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ.

გამორთული ჰქონდათ ნოუთბუქები და მობილური ტელეფონები, რაც საკმაო ძალისხმევას ითხოვდა, მაგრამ მაინც მოახერხეს და მოსკოვში ღიმილიანები და მოგონებებით ნასიამოვნებნი დაბრუნდნენ.

იგორი ხელახლა ჩაეფლო მუშაობაში, გაკვირვებულიც კი იყო, მისი არყოფნის დროს ფირმა ნორმალურად რომ განაგრძობდა ფუნქციონირებას. ერთი კვირის შემდეგ კი ევა ლონდონში გაფრინდა და უკან აღარ დაბრუნებულა.

იგორი გაურიგდა ერთ-ერთ საუკეთესო კერძო დეტექტიურ სააგენტოს, რომელიც, ჩვეულებრივ, ეკონომიკური და პოლიტიკური ჯაშუშობით იყო ცნობილი, და იძულებული გახდა, ასეულობით ფოტოსურათზე თავისი ცოლი ახალი თანამგზავრის გვერდით ეხილა. დეტექტივებმა შეძლეს ევასთვის „მეგობარი“ შეეპარებინათ. მოაწყეს თითქოსდა შემთხვევითი შეხვედრა ქალთან, რომელიც, ვითომდა, რუსეთიდან ჩამოვიდა, ქმარმა მიატოვა, ბრიტანეთის კანონების სიმკაცრის გამო სამუშაოს ვერ შოულობდა და ახლა შიმშილით სიკვდილის პირას იყო. ევას ეს უცებ არ დაუჯერებია, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა, დახმარებოდა, მოელაპარაკა თავის საყვარელს, იმანაც გარისკა და სამუშაოდ აიყვანა თავის ერთ-ერთ ოფისში.

ეს „მეგობარი“ ერთადერთი იყო, ვისთანაც ევას მშობლიურ ენაზე შეეძლო ელაპარაკა. ამასთან, მარტოხელა იყო და არეული პირადი ცხოვრება ჰქონდა. დეტექტიური სააგენტოს ფსიქოლოგების აზრით, ის ინფორმაციის იდეალური არხი იყო: ევა ჯერ კიდევ ვერ შეჩვეოდა ახალ გარემოს და ამიტომ დაჰყვა ადამიანისთვის დამახასიათებელ ინსტინქტურ სურვილს, ვინმესთვის გაეზიარებინა აზრები, იმიტომ კი არა, რომ რჩევა-დარიგება სჭირდებოდა, არამედ იმიტომ, რომ ვინმესთვის გული გადაეშალა.

„მეგობართან“ ეს საუბარი ფირზე იწერებოდა, ჩანაწერი იგორის სამუშაო მაგიდაზე ჩნდებოდა და ისიც გვერდით სწევდა ხელმოწერის მომლოდინე დოკუმენტებს, მიწვევებს; მნიშვნელოვანი კლიენტებისთვის, მიმწოდებელებისა და პოლიტიკოსებისთვის გასაგზავნ საჩუქრებს...

ეს ჩანაწერები, ფოტოსურათებზე გაცილებით სასარგებლონი, ამასთან, შეუდარებლად მტანჯველნი აღმოჩნდნენ: თავიდან თურმე ევა დაახლოებას ეწინააღმდეგებოდა, ამ ადამიანს მუდამ გარს ეხვივნენ მსოფლიოს ულამაზესი ქალები, ევა კი უკვე ოცდათვრამეტი წლის იყო; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი კვირის მერე პარიზში რომანი მაინც დაწყებულა.

ამის გაგონებაზე იგორი მოულოდნელად აღეგზნო და თვითონვე გაუკვირდა თავისი სხეულის უცნაური გამოძახილი; რა მოხდა, იმის გაფიქრებამ, რომ მისი ცოლი სხვა მამაკაცთან იწვა, მასში ზიზღის მაგივრად არაორაზროვანი სურვილის მოზღვავება რატომ გამოიწვია?..

სიცოცხლეში პირველად მაშინ შეეპარა ეჭვი თავის ნორმალურობაში და როგორმე გულზე შემოწოლილი დანაშაულის გრძნობისგან რომ განთავისუფლებულიყო, საჯარო აღიარება გადაწყვიტა. მეგობრებთან საუბრისას გაკვრით გაიხსენა, რომ

„ერთი მისი მეგობარი“ უდიდეს სიამოვნებას ღებულობს, როცა თავის ცოლს სხვის საწოლში წარმოიდგენს...

მისი მსმენელები - როგორც წესი, ესენი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის მსხვილი მეწარმეები და პოლიტიკოსები - პირველ ხანს შეძრწუნდნენ, მაგრამ ათი სირჩის შემდეგ აღიარეს, რომ მსგავსი ეპიზოდი ყველაზე აღმგზნები ყოფილა ცოლქმრულ ცხოვრებაში. ერთ-ერთი მათგანი თურმე ცოლს მუდამ სთხოვდა, დაწვრილებით აეწერა თავისი პაემანი, გაეხსენებინა, რა სიტყვებს ამბობდნენ ვნების მოზღვავებისას, მეორემ განაცხადა, სვინგერების კლუბი - სადაც ჯგუფური სექსისას ცოლების გაცვლა ხდება - ქორწინების შენარჩუნების საუკეთესო საშუალებააო.

ვთქვათ, ეს გადაჭარბებული იყო, მაგრამ როცა იგორმა გაიგო, ერთადერთი არ იყო, ვისაც ასეთი აზრები აღაგზნებდა, დამშვიდდა. უსიამოვნო იყო იმის გაგება, რამდენად ცუდად იცნობდა ადამიანის, განსაკუთრებით კი მამაკაცის ბუნებას. კოლეგებთან მისი საუბარი უფრო ხშირად ბიზნესს ეხებოდა, იშვიათად - რაიმე პირადს.

მისი ფიქრები კვლავ ჩანაწერებს უბრუნდება. ლონდონში მოდის კვირეული თავისი წესითა და რიგით მიმდინარეობს. ეს მოდელიორი უკვე შეყვარებულია; ამის დაჯერება არ არის ძნელი, რადგან მას სრულიად განსაკუთრებული, ყველასგან განსხვავებული ქალი შეხვდა. ქალი კი ისევ ყოყმანობს: ჰამიდი მეორე მამაკაცია მის ცხოვრებაში, გარდა ამისა, ორივე ერთსა და იმავე საქმეს მისდევენ, რაშიც ჰამიდმა გაცილებით მეტს მიაღწია. ეს ქალს აღელვებდა, იცოდა, თუკი მას დაუკავშირებდა ცხოვრებას, უარი უნდა ეთქვა მოდის ინდუსტრიაში მუშაობაზე - საკუთარ ქმარს ხომ არ გაუწევდა კონკურენციას? და ხელახლა გახდებოდა დიასახლისი.

უფრო მეტიც, ვერაფრით აეხსნა, ჰამიდის დონის ადამიანი რით დააინტერესა არცთუ მთლად ახალგაზრდა რუსმა ქალმა.

იგორი კი, თუკი ევა მისცემდა საუბრის თუნდაც მცირე შანსს, ამის ახსნას შეძლებდა: ევა ფლობს უიშვიათეს თვისებას - საზოგადოებაში მისი თუნდაც მხოლოდ თანხლება გვერდით მყოფებში თითქოს რაღაც ნაპერწკალს აღვივებს და მათაც აიძულებს, გახდნენ უკეთესნი, აღდგნენ განვლილი წლების ფერფლიდან სინათლისა და იმედისათვის. სწორედ ასე დაემართა სისხლიანი და უაზრო ომიდან დაბრუნებულ ახალგაზრდას.

ცდუნება ხელახლა ბრუნდება. ეშმაკი ჩასჩურჩულებს, რომ ეს ასე არ არის, რომ იგი თავისი თავდაუზოგავი მუშაობით განიკურნა მორალური ტრამვისგან. დაე, ეს ვიღაც ფსიქოთერაპევტმა სულიერი ავადმყოფობის ნიშნად მიიჩნიოს, სინამდვილეში მას შეუძლია, ჭრილობები მიტევებითა და დავიწყებით მოიშუშოს. ევა სინამდვილეში არცთუ მნიშვნელოვანია, საკმარისია, იგორი თავის ემოციებს იმ ურთიერთობით ამოწმებდეს, რომელიც დიდი ხანია აღარ არსებობს.

„პირველი ხომ არ ხარ... ჩასჩიჩინებს ეშმაკი, - პირველი არა ხარ, ვინც ბოროტებას სჩადის და ფიქრობს, რომ ამით სიკეთეს იჩენს“.

იგორი ცუდ გუნებაზე დგება. ის ბუნებით ლმობიერი ადამიანია. თუკი რამ აიძულებს, მკაცრად იმოქმედოს, ამას მხოლოდ რაღაც დიდი მიზნის სახელით სჩადის. ესაა, მაგალითად, თავისი ქვეყნის სამსახური. ის ცდილობს, მეორე ლოყა მიუშვიროს, ამავე დროს ხელიდან არ გაუშვას მათრახი, როგორც იესო ქრისტე მოიქცა - მიბაძვის ერთადერთი ნიმუში და მაგალითი.

ის პირჯვარს იწერს იმ იმედით, რომ ცდუნება გაქრება. ნებისყოფის დაძაბვით თავს აიძულებს, გაიხსენოს ჩანაწერები, ევას სიტყვები, რომ არ არის ბედნიერი თავის ახალ რჩეულთან, მაგრამ არაფრის დიდებით არ ისურვებდა წარსულში დაბრუნებას, რადგან „ფსიქიკურად გაუწონასწორებელ“ ადამიანზე იყო დაქორწინებული.

რა სისულელეს ჩმახავს! ეტყობა, ახალი გარემოცვა გვარიანად ურეცხავს ტვინს. ჩანს, სულაც არ მოხვედრილა სასურველ წრეში. ეჭვიც არ ეპარება, რომ ევა ტყუის, როცა თავის რუს „მეგობარს“ არწმუნებს, თითქოს იმიტომ გათხოვდა, რომ ეშინოდა, მარტო არ დარჩენილიყო.

ქალიშვილობისას გრძნობდა, თითქოს უარყოფდნენ და არასოდეს შეეძლო ყოფილიყო თავისთავადი - მუდამ თავის მოკატუნება უხდებოდა, რომ თითქოს მასაც იგივე აინტერესებდა, რაც მის მეგობარ გოგონებს, რომ მათნაირ თამაშობებს თამაშობდა, მათსავით ერთობოდა საღამოებზე, რომ ეძებდა ლამაზსა და ერთგულ მამაკაცს, ვინც მოუტანდა საიმედო ცოლქმრულ ბედნიერებას - ოჯახსა და ბავშვებს. „ყველაფერი ტყუილია“ - ამბობს ახლა.

იმიტომ, რომ მის სისხლში ცოცხლობდა ავანტურისტული სული, ილტვოდა განუცდელისკენ და თავად რომ შეძლებოდა არჩევანის გაკეთება, ცხოვრებას ხელოვნებას დაუკავშირებდა. ჯერ კიდევ ბავშვობაში უყვარდა საბჭოთა კავშირის უფერული ჟურნალებიდან სურათების ამოჭრა და კოლაჟების გაკეთება, მათ კაშკაშა ფერებით აფერადებდა და შედეგით ტკბებოდა. თოჯინებისთვის კაბების ყიდვა შეუძლებელი იყო, ამიტომ კაბებს დედა უკერავდა - ევა აღფრთოვანებული იყო და ამტკიცებდა, როცა გაიზრდებოდა, თვითონაც გააკეთებდა ამას.

საბჭოთა კავშირში მოდის მიყოლა იოლი არ იყო. მხოლოდ ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ (როცა საზღვარგარეთიდან ჟურნალები შემოვიდა), გაიგეს, რა ხდებოდა მსოფლიოში. ევა უკვე მოზრდილი გოგო იყო, როცა ერთხელ მშობლებს გამოუტყდა, რა სურდა - მოეფიქრებინა და შეექმნა ტანსაცმელი.

მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლებმა აიძულეს იურიდიულ ფაკულტეტზე შესულიყო. როგორც უნდა დამტკბარიყვნენ ახლადმოპოვებული თავისუფლებით, მაინც ეშინოდათ, რომ კაპიტალისტური იდეები დაანგრევდა ქვეყანას; მის მოქალაქეებს ნამდვილ ხელოვნებას წაართმევდნენ და აიძულებდნენ,

პუშკინისა და ტოლსტოის ნაცვლად, უპირატესობა დეტექტივებისთვის მიენიჭებინათ, უცხოეთიდან გადმოღებულით შერყვნიდნენ რუსულ კლასიკურ ბალეტს. თავიანთი ერთადერთი ქალიშვილი უნდა დაეცვათ გამხრწნელი გავლენისაგან, რამაც „კოკა-კოლასა“ და ძვირფას მანქანებთან ერთად შეაღწია მათ ქვეყანაში.

უნივერსიტეტში ევა შეხვდა ლამაზ, ამბიციურ ყმაწვილს, რომელიც, როგორც თავად ევა ფიქრობდა, ამაოდ იტყუებდა თავს, თითქოს რეჟიმი, რომელშიც მათი მშობლები ცხოვრობდნენ, შეიძლება დაბრუნებულიყო. თუმცა ის სამუდამოდ წავიდა. ახალი ცხოვრების ხანა დამდგარიყო.

ეს ყმაწვილი ძალიან მოსწონდა. ისინი თანდათან უფრო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ევამ იცოდა, ის ჭკვიანი იყო და ბევრის მიღწევა შეეძლო. მას ესმოდა ევასი. ის ავღანეთში ომობდა, დაჭრილიც იყო, ოღონდ მსუბუქად, არასდროს ჩიოდა ომში გადატანილზე. მთელი იმ წლების მანძილზე, რაც ერთად იყვნენ, ერთხელაც არ შეუმჩნევია სულიერი ბზარის რაიმე ნიშანი, მორალური ტრავმის კვალი.

ერთხელ ვარდების თაიგული მიუტანა და უთხრა, უნივერსიტეტი უნდა მივატოვო და ბიზნესი წამოვიწყოო. ამასთან სთხოვა, ცოლად გაჰყოლოდა. ისიც დათანხმდა, თუმცა როგორც ამხანაგს, ისე უყურებდა, ფიქრობდა, სიყვარული მერე, თანდათანობით მოვიდოდა. გარდა ამისა, ის ერთადერთი იყო, ვისაც მისი ესმოდა, მხარს უჭერდა მის სწრაფვას. უარს თუ ეტყოდა, შეიძლება ვეღარც შეხვედროდა ადამიანს, ვინც შეძლებდა, მიეღო ისეთი, როგორიც არის.

მოკრძალებული ქორწილი გადაიხადეს და ერთად ცხოვრება დაიწყეს. ადამიანები, ვინც იგორს „დასატრიალებლად“ ფულს აძლევდნენ, შიშს ჰგვრიდნენ ევას, მაგრამ არაფრის გაკეთება შეეძლო. იგორის ფირმა თანდათანობით მომძლავრდა და განვითარდა. ოთხი წელი რომ შესრულდა, შიშით ატანილმა პირველად ჩამოართვა ქმარს პირობა: დაუყოვნებლივ გადაეხადა ვალი ყველა კრედიტორისთვის, რომლებიც არცთუ მაინცდამაინც დაინტერესებულნი იყვნენ ვალის დაბრუნებით. ისიც დათანხმდა და მერე მისთვის არაერთხელ უთქვამს მადლობა.

გადიოდა წლები. ერთ დღესაც ყველაფერი შეიცვალა და სამაგელი იხვის ჭუჭული ერთ საათში უკლებლივ ყველასთვის სასურველ, მშვენიერ გედად იქცა.

ევა რომ აბუზღუნდა, მომწყინდა შინ ყოფნა და დიასახლისობაო, იგორმა არ დაიწყო თავისი კოლეგებივით, რომლებიც ფიქრობდნენ, მუშაობაში ჩაბმული ქალი ქალურობას კარგავსო და მოსკოვის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კვარტალში ბუტიკი უყიდა. ევა „დიდი სახლების“ მოდელებს ყიდდა, ვერ რისკავდა, გასაყიდად გამოეტანა საკუთარი კოლექცია და ამის კომპენსაციას, ნაწილობრივ, იმით ახდენდა, რომ ესწრებოდა მაღალი მოდის გამოფენებს, ეცნობოდა საინტერესო ხალხს, რომელთა შორის ერთხელაც აღმოჩნდა ჰამიდი - თავს რომ ეკითხებოდა, უყვარდა

თუ არა იგი, გრძნობდა, პასუხი უფრო უარყოფითი იყო. მაგრამ როცა ჰამიდი გამოუტყდა, რომ არასოდეს შეხვედრია ევას მსგავსს და ერთად ცხოვრება შესთავაზა, დასაკარგი არაფერი ჰქონდა. ბავშვები არ ჰყავდა. მისი ქმარი, როგორც იტყვიან, თავის სამუშაოზე იყო დაქორწინებული და ვერც შეამჩნევდა ცოლის არყოფნას.

„ყველაფერი მივატოვე, - ამბობდა ევა, - და არც ვნანობ ჩემს გადაწყვეტილებას. მაინც ასე მოვიქცეოდი, თუნდაც ჰამიდს ესპანეთში ჩემთვის ვილა არ ეყიდა. ზუსტად ასე მოვიქცეოდი მაშინაც, თუნდაც იგორს ჩემთვის თავისი ქონების ნახევარი მოეცა. ეს ნაბიჯი იმიტომ გადავდგი, რომ ვიცი: ახლა აღარაფრის უნდა მეშინოდეს. თუკი მამაკაცმა, რომლის გამო მთელი მსოფლიოა გადარეული, ჩემთან ყოფნა მოისურვა, მაშასადამე, უკეთესი ვარ, ვიდრე მგონია“.

მეორე ჩანაწერის მოსმენისას იგორმა შეიტყო, რომ მის საყვარელ ქალს სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა.

„ჩემმა ქმარმა განსჯის უნარი დაკარგა. არ ვიცი, რა იყო მიზეზი - ომი თუ გადაღლილობა, მაგრამ მას ჰგონია, რომ შეუძლია, ღმერთის განზრახვებს ჩასწვდეს. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ფსიქოლოგთან მივედი, ვიფიქრე, დამეხმარებოდა, რათა იგორისთვის გამეგო და მქონოდა თუ არა იმედი, გადამერჩინა ჩვენი ურთიერთობა. მაშინაც და ახლაც ვამჯობინე, წვრილმანებს არ ჩავღრმავებოდი. მაგრამ, მგონია, მას მიაჩნია, სიკეთის ქმნა საშინელი საქციელის ჩადენითაა შესაძლებელი.

ექიმმა ამიხსნა, რომ ბევრი, თავისი ახლობლების თანამგრძნობი კეთილშობილი ადამიანი უცებ მთლიანად იცვლის სამყაროსთან დამოკიდებულებას. ამ მხრივ, ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, მსგავს ცვლილებას „ლუციფერის ეფექტი“ უწოდეს - ლუციფერი ხომ ღმერთის ყველაზე საყვარელი ანგელოზი იყო, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, იმავე ძალაუფლების დაუფლება მოისურვა.

„რატომ მოხდა ასე?“ - იკითხა მეორე ქალის ხმამ, მაგრამ პასუხი იგორმა ვერ გაიგონა: ამ სიტყვებთან ერთად ჩანაწერი შეწყდა - ეტყობა, დრო ცუდად გათვალეს.

იგორს კი უნდოდა სცოდნოდა, რა უპასუხა ევამ, რადგან თვითონ სულაც არ მიაჩნდა თავი ღმერთის სწორად და ეჭვიც არ ეპარებოდა, მისმა საყვარელმა ქალმა ეს თავის გასამართლებლად მოიგონა. მართალია, ყოფილა შემთხვევა და მკვლელობა ჩაუდენია, მაგრამ ეს აუცილებლობით იყო გამოწვეული. მერედა, ამას რა კავშირი აქვს მათ ქორწინებასთან?! მოუკლავს ომის დროსაც, მაგრამ, როგორც ყველა ჯარისკაცს, მასაც ჰქონდა ამის ნებართვა. მშვიდობიანობის დროსაც ჰყავს ორი თუ სამი ადამიანი მოკლული, მაგრამ ეს მათ სასიკეთოდ ჩაიდინა, რადგან უკვე აღარ შეეძლოთ ღირსეულად ცხოვრება. მან აქ, კანშიც მოკლა რამდენიმე ადამიანი, მაგრამ ეს თავისი მისიის შესასრულებლად სჭირდებოდა.

და იმასაც მოკლავს, ვინც უყვარს, თუკი გაიგებს, რომ ჭკუიდან გადავიდა, გზას ასცდა და საკუთარი ცხოვრების დანგრევას აპირებს. ვერ მოითმენს, რომ შეშლილობამ დაჩრდილოს მათი ბრწყინვალე და კეთილშობილური წარსული.

ვინც უყვარს, მოკლავს იმასაც, მხოლოდ იმიტომ, რომ გადაარჩინოს ხანგრძლივსა და მტანჯველ თვითგანადგურებას.

იგორი ხედავს ამკრძალავ ნიშანთან დამუხრუჭებულ Maserati-ს - სულელურსა და მოუხერხებელ ავტომობილს, რადგან ქალაქში ასეთი მძლავრი ძრავის პატრონი იძულებულია სხვა, დანარჩენი მანქანების სიჩქარით იაროს, სასოფლო გზებისთვის ძალზე დაბალია, ტრასაზე კი - მეტისმეტად სახიფათო.

მანქანას ძალზე დაბალი კორპუსი აქვს და ასე, ორმოცდაათი წლის მამაკაცი, ოცდაათი წლისად რომ სურს გამოიყურებოდეს, ძლივძლივობით გადმოდის მძღოლის სავარძლიდან. შედის პიცერიაში და თან წასაღებად „ოთხი ყველის“ პიცას უკვეთავს.

Maserati და პიცერია ცუდად ეხამება ერთმანეთს, მაგრამ, როგორც ჩანს, ხანდახან მაინც თანხვდებიან.

ცდუნება ბრუნდება. ახლა მისი ხმა უკვე მიტევებაზე, დიდსულოვნებაზე, წარსულის დავიწყებასა და წინ სწრაფვაზე კი არ ელაპარაკება, ამჯერად ეჭვებით ავსებს - იქნებ ევა არ ცრუობდა, როცა „მეგობარს“ არწმუნებდა, რომ მისი ქორწინება უიღბლო იყო?

იქნებ ქალი, მისდამი იგორის სიყვარულის მიუხედავად, უკვე ჩაეფლო შეცდომების უძირო მორევში ადამის მსგავსად, რომელმაც მიწოდებული ვაშლი აიღო, რითაც შესაჩვენებლად გაწირა ადამიანთა მთელი მოდგმა?

„მე ყველაფერი დავგეგმე“, - მეათასედ იმეორებს თავისთვის იგორი. მისი ჩანაფიქრია, უკან ერთად დაბრუნდნენ, რათა მოკლე სიტყვამ „მშვიდობით“ არ გაანადგუროს ორივეს ცხოვრება. მას ესმის, რომ ცოლქმრულ ცხოვრებაში, მით უმეტეს, ქორწინებაში, რომელიც თვრამეტ წელიწადზე მეტხანს გრძელდება, კრიზისი გარდაუვალია.

ამასთან ერთად, ისიც იცის, რომ დახელოვნებულმა სტრატეგმა სისტემატურად უნდა ცვალოს თავდაპირველი გეგმა. იგორი დგება, ლოცვას ბუტბუტებს და ღმერთს სთხოვს, უარყოფის ფიალის შესმა არ მოუწიოს.

პატარა პორტუგალიელი გოგონას სული უხილავად ტრიალებს მის სიახლოვეს. ახლა იგორმა იცის, რომ იჩქარა და წინდაუხედავად მოიქცა. არაფერი უჭირდა, ცოტა მოეცადა, დალოდებოდა, სანამ ღირსეული მოწინააღმდეგე გამოჩნდებოდა - თუნდაც აი, ის, წითელ ხისფერთმიანი ათლეტი ანდა ვინმე ისეთი, ვისი სიკვდილიც მომავალი წამებისგან განთავისუფლების აუცილებლობით იქნებოდა ნაკარნახევი... როგორც მოექცა ქალს, ბარში მის მაგიდასთან რომ დაჯდა...

მაგრამ ხშირწარბება გოგონა, წმინდანს რომ ჰგავს, მისკენ იხრება და სთხოვს, ნუ დარდობს: სწორად მოიქცა, მოსალოდნელ ტანჯვასა და დამცირებას გადაარჩინა... და მისი წმინდა სული თანდათანობით ავიწროებს ცდუნებას.

იგორი აქ იმიტომაა, რომ ევა მწუხარებისა და დაცემისაგან გადაარჩინოს. დიახ, უსამართლოდ მოექცა, მაგრამ რაც ადრე ევას მისთვის გაუკეთებია, მადლობას იმსახურებს.

„მე კეთილი ადამიანი ვარ“.

იგორმა დანახარჯი გადაიხადა და პატარა ბოთლით მინერალური წყალი მოითხოვა. გარეთ გამოსულმა წყალი თავზე დაისხა.

ახლა ნათლად და გარკვევით უნდა აწონ-დაწონოს ყველაფერი. ამ დღის დადგომაზე დიდხანს ოცნებობდა. ახლა კი რატომღაც ფიქრები ეურჩება.

5:06 PM

მიუხედავად იმისა, რომ მოდა ყოველ ნახევარ წელიწადში იცვლება, ერთი რამ შეუცვლელი რჩება: შესასვლელის მცველები მუდამ მკაცრ შავ პიჯაკებში არიან გამოწყობილნი.

ჰამიდს სურდა თავისი დეფილესთვის მცველები ღია ფერის, ჭრელი ან თეთრი ტანსაცმლით შეემოსა, მაგრამ დადგენილი კანონი რომ დაერღვია, კრიტიკოსები მის ახალ კოლექციაზე კი არ იმსჯელებდნენ, რაც ნამდვილად აინტერესებდა, უფრო მეტ ყურადღებას მის „უაზრო ნოვაციებზე“ გაამახვილებდნენ. თუმცა შავი სრულყოფილი ფერია: კონსერვატული, იდუმალი, რაც ჰოლივუდის ძველი ფილმებით არის ჩანერგილი კოლექტიურ ქვეცნობიერში; გმირი აუცილებლად თეთრებითაა შემოსილი, ბოროტმოქმედი კი ეკრანზე შავებში გამოწყობილი დასეირნობს.

„წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, თეთრ სახლს შავი რომ ერქვას? ყველა იფიქრებდა, რომ სწორედ იქ ბინადრობს წყვდიადის მთავარი“.

ყველაფერს თავისი მიზანი აქვს: ამაოდ გვეჩვენება, თითქოს მათ ალალბედზე ირჩევენ. თეთრი სისპეტაკისა და მთლიანობის სიმბოლოა, შავი გაშინებს, წითელი გაშეშებს, ყვითელი ყურადღებას იპყრობს, მწვანე გაუწყებს, რომ ირგვლივ ყველაფერი რიგზეა და შეგიძლია გზა განაგრძო, ცისფერი გამშვიდებს, ნარინჯისფერი თავგზას გიბნევს.

მცველები შავით უნდა იყვნენ შემოსილები, ასე მოდის სულ თავიდან და, მაშასადამე, ასეც უნდა იყოს.

როგორც ყოველთვის, ბილეთები სამი სახისაა: პირველი - პრესისთვის. იქნება რამდენიმე ჟურნალისტი და უფრო მეტი - მძიმეაპარატაკიდებული ფოტოგრაფი; ისინი ერთმანეთს თბილად ეპყრობიან, მაგრამ როდესაც საუკეთესო რაკურსის არჩევის დრო დადგება, შემთხვევას არ გაუშვებენ, იდაყვი გაჰკრან კოლეგებს. მეორე - მოწვეულთათვის: პარიზის მაღალი მოდის კვირეული არაფრით განსხვავდება იმისგან, რაც ხდება აქ, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე; პუბლიკა, ჩვეულებრივ, ცუდადაა ჩაცმული და, უეჭველია, არ ჰყოფნით სახსრები ნაჩვენები სამოსის შესაძენად. მაგრამ სულელურ ჯინსებში, უგემოვნო მაისურებში, უგვანო ბოტასებში გამოწყობილი მაყურებელი თავის მოვალეობად მიიჩნევს, დაესწროს ჩვენებას, რათა ყველას დაანახოს, რომ მშვენივრად ეხამება იქ დომინირებულ სტილს, ბუნებრივად და კომფორტულად აცვია, თუმცა ეს სულაც არ არის ასე. ვიღაც ძვირფასი ჩანთითა და ქამრით კეკლუცობს, რაც ისეთივე სულელურ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც, მაგალითად, ველასკესის ტილო პლასტმასის ჩარჩოში რომ ჩავსვათ.

ბოლოს, VIP-ის მცველები, თავის დღეში ვერავის რომ ვერ ცნობენ, მრისხანე სახით დგანან და ხელები ერთმანეთისთვის ჩაუჭიდიათ. სამაგიეროდ, გამოჩნდება ნაზი ქალიშვილი, გარეგნობით ადამიანების გამოცნობაში რომაა გაწაფული, ხელში სია უჭირავს და ცოლ-ქმრისკენ ეშურება.

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მუსიე და მადამ ჰუსეინებო, გმადლობთ, რომ გვეწვიეთ.

ცოლ-ქმარი სხვა დანარჩენების წინ მიდის, დერეფანი საერთოა, მაგრამ მწვანეხავერდშემოკრული ბოძების ბარიერი აჩვენებს, ვინ ვინ არის და სად არიან ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებები. ეს დიდების პატარა კვარცხლბეკია: განსაკუთრებულად გეპყრობიან და თუმცა ფესტივალის ოფიციალურ განრიგში დეფილეზე არაფერია მითითებული (არ ღირს იმის დავიწყება, რომ კანში სხვა რაღაც კი არა, კინოფესტივალი მიმდინარეობს), პროტოკოლი აუცილებლად უნდა იყოს დაცული. ამ პატარა დიდების გულისთვის მის სხვა პარალელურ ღონისძიებებზე (ვახშამზე, სადილზე, კოქტეილზე) ჯვარდაწერილი ადამიანები საათობით სხედან სარკის წინ და სწამთ, რომ ხელოვნური განათება სახეს ისე არ აფუჭებს, როგორც მზე, რომლის გამოც ტონობით კრემს ხარჯავენ. პლაჟი ორ ნაბიჯზეა, მაგრამ ისინი ეშმაკურად მოწყობილ სოლარიუმს ამჯობინებენ, რომელიც ყველა სასტუმროს აქვს. კრუაზეტის სანაპიროზე გაისეირნებდნენ, დატკბებოდნენ პეიზაჟის სილამაზით, მაგრამ რამდენი კალორიის დაწვას მოახერხებენ ასეთი გასეირნებით? უჯობთ, ისარგებლონ სარბენი ბილიკებით, რომლებიც ყველა პატივცემული სასტუმროს სატრენაჟორო დარბაზს უნდა ჰქონდეს.

ასე ინარჩუნებენ ფორმას და საგულდაგულოდ დამუშავებული დაუდევარი ჩაცმულობით შედიან სასადილოდ. გრძნობენ საკუთარ მნიშვნელობას, რადგან მიწვეულნი არიან გალავახშამზე, სადაც ან ბევრ ფულს უნდა ხარჯავდე, ან

მნიშვნელოვანი კავშირები უნდა გქონდეს. მიწვეულნი არიან აგრეთვე ვახშმის შემდგომ საღამოზე, რომელიც დილამდე გრძელდება, მერე კი სასტუმროს ბარში დალევენ უკანასკნელ ჭიქა ყავას ან ვისკის. ყველაფერ ამას ენაცვლება სვლა ტუალეტში, რათა შეისწორონ მაკიაჟი, უფრო მაგრად მოიჭირონ ჰალსტუხი, მხრებიდან ჩამოიბერტყონ პუდრა, მოიშორონ თმები ანდა დარწმუნდნენ, რომ პომადა არ გადასვლიათ.

ბოლოს პირველი კლასის სასტუმროს თავიანთ ნომრებში შედიან. აქ ხვდებათ გამზადებული საწოლი, ბალიშზე - შოკოლადის კანფეტები (რასაც დაუყოვნებლივ ყრიან, რადგან ეს ზედმეტი კალორიებია), ამინდის პროგნოზი, საუზმის მენიუ, კონვერტზე სასტუმროს მმართველის ხელით დაწერილი მისალმება, რომელიც ხილით სავსე კალათაზეა მიმაგრებული (ხილს ხარბად ჭამენ, რადგან ხილი შეიცავს საჭირო რაოდენობის უჯრედისს, რაც სასარგებლოა საჭმლის მონელებისთვის). სარკეში იყურებიან, იხსნიან ჰალსტუხს, იშორებენ მაკიაჟს, იხდიან სმოკინგს ან საღამოს კაბას და თავიანთვის ბუტბუტებენ: „დღეს საინტერესო არაფერი ყოფილა. ეგებ ხვალ...“

ევას ჰ.ჰ.-ს ძალზე სადა, ძალზე მდიდრული კაბა აცვია. ცოლ-ქმარი ერთად მიემართება მათთვის გამოყოფილი ადგილისკენ ზედ პოდიუმთან, კვარცხლბეკის მახლობლად, სადაც ფოტოგრაფებს უკვე დაუწყიათ თავიანთი აპარატურის განლაგება.

საიდანღაც მათთან მიჭრილი რეპორტიორი აუცილებელ კითხვას უსვამს:

- ბატონო ჰუსეინ, რომელმა ფილმმა მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭილება?

- ვფიქრობ, ამაზე აზრის გამოთქმა ნაადრევია, - ისმის ასევე მოსალოდნელი პასუხი, - ბევრი საინტერესო ფილმი ვნახე, მაგრამ სჯობს, ფესტივალის დამთავრებას დაველოდოთ.

სინამდვილეში მას თითქმის არც ერთი ფილმი უნახავს. მოგვიანებით ჯიბსონისგან შეიტყობს, რომელი სურათი იქცევა სეზონის ჰიტად.

ქერათმიანი, მოხდენილად ჩაცმული გოგონა რეპორტიორს თავაზიანად სთხოვს, განზე გაიწიოს. მერე ინტერესდება, დაესწრებიან თუ არა პატივცემული სტუმრები დეფილეს შემდეგ ბელგიის მთავრობის მიერ მოწყობილ კოქტეილ-ფართის, რომელსაც მინისტრი ესწრება და ჰამიდთან გასაუბრება სურს. ჰამიდი წამიერი დუმილის შემდეგ პასუხობს:

- ბელგია არ იშურებს ფულს, რათა მისი მოდელიორების ნამუშევრებმა საერთაშორისო რეზონანსი მოიპოვონ, და, თუნდაც ნაწილობრივ მაინც, ქვეყანას

დაუბრუნოს, აფრიკის კოლონიებთან ერთად დაკარგული ძველებური დიდებულება... რა გაეწყობა, შეიძლებოდა თითო ბოკალი შამპანური დაგველია...

- მე მგონი, ჩვენების დამთავრებისთანავე ჯიბსონი გველოდება, - აწყვეტინებს ევა.

ჰამიდი პასუხობს, რომ დანიშნული შეხვედრა ნამდვილად გადაავიწყდა, მაგრამ მინისტრთან შეხვედრას მაინც მოახერხებს.

ფოტოგრაფებმა ცოლ-ქმარი რომ აღმოაჩინეს, კამერების ჩხაკა-ჩხუკი ატეხეს. ჯერჯერობით აქ ისინი ერთადერთნი არიან, ვისითაც პრესა შეიძლება დაინტერესდეს. ცოტა ხნის მერე რამდენიმე ცნობილი მოდელი მოდის. იწყებენ პოზირებას, იღიმებიან, აძლევენ ავტოგრაფებს პარტერის უგემოვნოდ ჩაცმულ მაყურებელს, ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ისინი შეამჩნიონ, მათი სახე ხელახლა გამოჩნდეს გაზეთებისა და მოდური ჟურნალების ფურცლებზე. ფოტოგრაფები მათკენ ბრუნდებიან, იციან, უბრალოდ მოვალეობას იხდიან, რომ გამომცემლები გაახარონ. მათი არც ერთი ფოტო დაიბეჭდება. მოდა მალფუჭებადი პროდუქტია: მოდელები, სამი წლის წინათ რომ ბრწყინავდნენ (რა თქმა უნდა, ეს არ ეხება სკანდალების მეშვეობით პრიალა ფურცლებზე შემორჩენილ, ანდა აგენტების მიერ საგანგებოდ მომზადებულ მოდელებს, რადგან ისინი სინამდვილეში მაინც გამოირჩევიან საერთო მასიდან), იმათღა ახსოვთ, ვისი მარადი დანიშნულება გადაღობილ ბარიერს იქით ჯგუფ-ჯგუფად დგომაა და ახსოვთ დიასახლისებსაც, რომლებსაც თვალი სწრაფი ცვლილებებისთვის ვერ მიუდევნებიათ.

ძველმა კერპებმა მშვენივრად იციან ეს („ძველებში“ უნდა ვივარაუდოთ ის მოდელები, ვინც უკვე მიაღწია საბედისწერო ზღვარს - ოცდახუთ წელს) და აქ იმიტომ კი არ ჩნდებიან, რომ პოდიუმზე დაბრუნებას აპირებენ, მათ ძალზე უნდათ როლის მიღება ან საკაბელო ტელევიზიაში რომელიმე პროგრამის წამყვანობა.

ვინ მონაწილეობს ჩვენებაში ჟასმინის გარდა? განსაკუთრებით ვის გამოც ჰამიდ ჰუსეინი აქ იმყოფება?

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აქ არ იქნებიან მსოფლიო დონის ტოპ-მოდელები, რადგან ისინი მხოლოდ იმას აკეთებენ, რაც მოესურვებათ, შოულობენ უამრავ ფულს და სულაც არ აპირებენ კანში გამოჩენას, რათა მათი მეშვეობით ვიღაცამ დიდება და პრესტიჟი მოიპოვოს. ჰამიდი ვარაუდობს, რომ ორ-სამ, A კლასის მანეკენებზე დაბალი რანგის მოდელებს იხილავს (დაახლოებით ჟასმინის მსგავსებს), რომელნიც პოდიუმზე გამოსვლისთვის ათას ხუთას ევროს მიიღებენ. ამისთვის საჭიროა, გქონდეს ქარიზმა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია - პერსპექტივა მოდის ინდუსტრიაში. კიდევ იქნება ორი-სამი მოდელი B კლასიდან. ესენი პროფესიონალები არიან, სრულყოფილად ფლობენ დეფილეს ხელოვნებას, მაგრამ მოკლებულნი არიან ბედნიერებას, პარალელურად, სპეციალურად მიიწვიონ მაღალი

ხარისხის საღამოებზე. ისინი 600-800 ევროს გამოიმუშავებენ. დანარჩენები C კლასს ეკუთვნიან. მათი განაკვეთი 200-300 ევროა, რადგან „ჯერ გამოცდილება აკლიათ“.

ჰამიდმა იცის, რა უტრიალებს თავში ამ კატეგორიის გოგოებს: „მე შემიძლია გავიმარჯვო, ყველას ვაჩვენო, რის შემძლე ვარ. მსოფლიოს საუკეთესო ტოპ-მოდელი გავხდები, თუნდაც ამისთვის რომელიმე მოხუცთან მომიწიოს დაწოლა“.

მაგრამ „მოხუცები“ არც ისე სულელები არიან, როგორც დამწყები მოდელები ფიქრობენ, რომელთა უმრავლესობა ჯერ სრულწლოვანი არ გამხდარა, ამიტომ საეჭვოა, რომელიმე ქვეყანაში მათთან ყოფნის გამო ვინმემ ციხეში მოხვედრა ისურვოს. მით უმეტეს, რომ გოგონები ილუზიის ტყვეობაში არიან, რაც ძალზე შორსაა სინამდვილისგან: ვერავინ მოახერხებს მწვერვალის დაპყრობას მხოლოდ სექსუალური თანაგრძნობით - კიდევ ბევრი რამ არის საჭირო. მაგალითად, ქარიზმა, იღბალი, ნიჭიერი აგენტი, ხელსაყრელი მომენტი. საბაზრო ტრენდის ანალიტიკოსების აზრით, ხელსაყრელი მომენტი სულაც არ არის ის, რაც იმ გოგონებს ჰგონიათ, ძლივს რომ გადააბიჯეს მსოფლიო მოდის ზღურბლს. ჰამიდი გაეცნო ბოლო კვლევებს და ყველა აღნიშნავს, რომ პუბლიკას მობეზრდა ანორექსიით დატანჯული, გაურკვეველი ასაკის უცხოპლანეტელები. სააგენტოები, მანეკენებს რომ ირჩევენ, ახლა ეძებენ (მეტწილად - ამაოდ) სხვანაირს, ისეთ მოდელს, რომლის ნახვით ყველას მეზობელი გოგონა გაახსენდება, ანუ ისეთს, რომელიც აბსოლუტურად ნორმალურია და ჟურნალების ფურცვლისას ყველას ამ აზრს ჩააგონებს: „მეც თქვენნაირი ვარ“.

და, რასაკვირველია, ასეთი არაჩვეულებრივი ქალიშვილის მოძებნა თითქმის შეუძლებელია.

სამუდამოდ დამთავრდა იმ მანეკენების დრო, ცოცხალ, მოსიარულე საკიდებს რომ ჰგვანან. წავიდა ის დროც, როდესაც მამაკაცის ძვირფას, ყოველდღიური მოხმარების საგნებს ჟურნალებში რეკლამას ლამაზი მოდელები უწევდნენ: ეს 80-იანი წლების ბოლოს ხდებოდა, ახლა - აღარ. ქალებისაგან განსხვავებით, მამაკაცებს არ გააჩნიათ სილამაზის განსაზღვრული სტერეოტიპი: ამა თუ იმ ნივთის ყიდვისას მამაკაცი ეძებს რაღაც ისეთს, რაც ასოცირდება მასთან მომუშავე კოლეგასთან ან პარტნიორთან.

ჰამიდ ჰუსეინმა ჟასმინის შესახებ შემთხვევით შეიტყო: ის რაღაც ჩვენებაზე ნახეს და უამბეს მასზე, თან დაახლოებით ასეთი კომენტარი დააყოლეს: „ის შეიძლება შენი ახალი კოლექციის სახედ იქცეს“, „მას არაჩვეულებრივი ქარიზმა აქვს და, ამასთან, მასში ყველამ შეიძლება საკუთარი თავი დაინახოს“.

დარბაზი თანდათან ივსება: პირველ რიგში, სადაც საპატიო სტუმრებისთვის შემონახული ადგილებია, სავარძლებში სხედან ელეგანტური ქალბატონები და ბატონები. დანარჩენი ადგილები ჯერ კიდევ ცარიელია. მეორე, მესამე და მეოთხე რიგებში განლაგებული ფოტოგრაფების ყურადღების ცენტრშია ბრაზილიელ

ფეხბურთელზე გათხოვილი ცნობილი მოდელი. ის ხშირად სტუმრობს ბრაზილიას, რადგან „აღმერთებს ამ ქვეყანას“. საქვეყნოდ ცნობილია, რომ „ბრაზილიის მონახულება“ ტერმინ „პლასტიკის გაკეთების“ სინონიმია, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმას ვერავინ ბედავს.

ქერათმიანი გოგონა ელოდება, როდის დაამთავრებენ რეპორტიორები მოდელის გამოკითხვას - რომელია, მისი აზრით, საუკეთესო ფილმი, და მათ ლოდინში ჰამიდისა და ევას გვერდით ერთადერთ თავისუფალ ადგილზე ჯდება. ფოტოგრაფები ათობით სურათს იღებენ და აღბეჭდავენ დიდ კუტიურეს, მის მეუღლესა და მოდელს, რომელიც ახლა უბრალო გათხოვილ ქალად ქცეულა.

რეპორტიორები ინტერესდებიან, რა აზრისაა მოდელი იმ კოლექციის ავტორზე, რომლის ნახვასაც ელოდებიან. ასეთ კითხვებზე მას წინასწარ აქვს პასუხი მომზადებული:

- მისი შემოქმედების გასაცნობად მოვედი. ამბობენ, ძალიან ნიჭიერიაო.

ჟურნალისტების უმეტესობა ბელგიელია. ფრანგული პრესა ჯერჯერობით ამით არ ინტერესდება. ქერათმიანი გოგონა ჟურნალისტებს სთხოვს, თავი გაანებონ სტუმრებს.

რეპორტიორები მიდიან. ექს-მოდელი ცდილობს, ჰამიდთან გააბას საუბარი, ირწმუნება, რომ მის ყოველ კოლექციას აღტაცებაში მოჰყავს. ჰამიდი თავაზიანად უხდის მადლობას, მაგრამ თუკი მოდელი მისგან ელოდებოდა ფრაზას, „მინდა დეფილეს შემდეგ გაგესაუბროო“, იმედი გაუცრუვდებოდა. ქალი დაუღალავად იწყებს საუბარს თავის ცხოვრებაზე, გადაღებებზე, მოგზაურობაზე, მიწვევებზე. ჰამიდი ანგელოზის მოთმინებით უსმენს, მაგრამ როგორც კი შანსი ეძლევა (სანამ მოდელი წუთით ვიღაცისკენ ბრუნდება), ევას ჩურჩულით სთხოვს, ამ დიალოგისგან იხსნას, მაგრამ მისი ცოლი დღეს ძალიან უცნაურია და მის გადარჩენას არც ცდილობს. ასე რომ, ერთადერთი გამოსავალი დარჩენია - დეფილეს პროგრამის კითხვაში ჩაეფლოს.

კოლექცია ბელგიელ მოდელიორს, ენ სალენსს ეძღვნება. იგი ბელგიური მოდის დამფუძნებლად ითვლება. მან 60-იან წლებში დაიწყო პატარა ბუტიკით, მაგრამ მალე მიხვდა, რა თვალისმომჭრელ პერსპექტივას ჰპირდებოდა მთელი მსოფლიოდან ამსტერდამში თავმოყრილი ახალგაზრდა ჰიპების სტილი. მან გაბედა, ჩაბმულიყო მათ წინააღმდეგ ბრძოლაში და გაემარჯვა პირქუში, თავდაჭერილი სტილით, რომელიც იმდროინდელი საშუალო კლასის ტანსაცმელში დომინირებდა. ბოლოს და ბოლოს, იმასაც მოესწრო, როგორ ატარებდნენ მის მოდელებს ეპოქის კერპები - მაგალითად, დედოფალი პაოლა ანდა ფრანგული ეგზისტენციალიზმის მუზა, დიდი მომღერალი ჟულიეტ გრეკო. ის გახდა „დეფილე-შოუს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, სადაც მუსიკისა და შუქის თანხლებით პოდიუმზე მოდელების გამოსვლა ლამაზ

სპექტაკლად იქცა. მიუხედავად ამისა, ბელგიის საზღვრებს მიღმა ფართო აღიარება არ მოუპოვებია. მთელი ცხოვრება მას ყველაზე მეტად კიბოსი ეშინოდა. ნათქვამია, რისაც გეშინია, არ აგცდებაო და მოკვდა იმ ავადმყოფობით, რომელიც ასე აშინებდა. სიკვდილის წინ იმასაც მოესწრო, ენახა, როგორ კვდებოდა მისი საქმე იმის გამო, რომ ფულის ყადრი არ იცოდა.

და როგორც მუდამ ხდება მსოფლიოში, მოდა ყოველ ნახევარ წელიწადში იცვლება. ის მალე დაივიწყეს. ვინც გარისკა, მისი ხსოვნისთვის თავისი კოლექცია მიეძღვნა, ძალიან გამბედავი ყოფილა - დიდი რისკია, დაბრუნდე უკან, იმის მაგივრად, რომ ეცადო, მომავალში ჩადო ინვესტიცია.

ჰამიდი პროგრამას ჯიბეში იდებს: ჟასმინი მის მოლოდინს თუ არ გაამართლებს, მაშინ მოდელიორს რაიმე ერთობლივი პროექტის შესახებ მოელაპარაკება. ახალი იდეებისთვის ადგილი ყოველთვის მოინახება - იმ პირობით, თუკი კონკურენტები კონტროლქვეშ გეყოლება.

ჰამიდი ირგვლივ იხედება: განათება სწორადაა დაყენებული, ფოტორეპორტიორები საკმაოდ ბევრნი არიან - ამას არ მოელოდა. იქნებ კოლექცია მართლაც კარგია, ანდა ბელგიის ხელისუფლებამ მთელი თავისი გავლენა გამოიყენა ჟურნალისტების მოსაზიდად, გზის ფულიც გადაუხადა და სასტუმროთიც უზრუნველყო. არის კიდევ ერთი უეჭველი მიზეზი, რამაც ყველას უეცრად აღუძრა ინტერესი - ეს ჟასმინია. მაგრამ ჰამიდს იმედი აქვს, ეს ასე არ არის. მისი გეგმები რომ განხორციელდეს, ფართო პუბლიკისთვის მოდელი სრულიად უცნობი უნდა იყოს. დღემდე ჟასმინზე მხოლოდ რამდენიმე გამოხმაურება გაეგონა, ისიც მისივე სფეროში მომუშავე ადამიანებისგან. თუ მისმა სახემ უკვე მოასწრო ჟურნალების ფურცლებზე გაელვება, მასთან კონტრაქტის დადება დროის ამაოდ დაკარგვა იქნება. პირველი იმიტომ, რომ ვიღაცამ დაასწრო, მეორეც - სიახლესთან აღარ მოხდება მისი ასოცირება - ეს სრულიად აშკარაა.

ჰამიდი თავისთვის ანგარიშობს, რამდენი დაჯდებოდა დღევანდელი ჩვენება. არცთუ იაფი, მაგრამ ბელგიის ხელისუფლება, ზუსტად შეიხის მსგავსად, დარწმუნებულია: მოდა ქალებისთვისაა, სპორტი - მამაკაცებისთვის. სახელგანთქმულობა - ორივესთვის. აი, ყველაფერი, რაც მოკვდავთ აინტერესებთ, ესაა ერთადერთი რამ, რასაც შეუძლია ქვეყნებს იმიჯი შემატოს და მსოფლიოში ცნობილი გახადოს.

სანდომიან ქერა გოგონას, უეჭველია, გამოჩენილი პიროვნებები მოჰყვებიან. ცოტა არ იყოს, დაბნეულები არიან და, ეტყობათ, მთლად ვერ გარკვეულან, რატომ მოვიდნენ. ძალზე კარგად არიან ჩაცმულნი - ჩანს, პირდაპირ ბრიუსელიდან ჩამოვიდნენ. ეს პირველი დეფილეა საფრანგეთში და, უეჭველია, ისინი არ ეკუთვნიან იმ კლასს, კინოფესტივალური კანი რომ გაუვსია.

დეფილეს დაწყება ხუთი წუთით აგვიანებს. პარიზის მოდის კვირეულისგან განსხვავებით, სადაც არც ერთი ჩვენება დანიშნულ დროს არ იწყება, აქ ერთდროულად მრავალი სხვა ღონისძიებაც ტარდება. ჟურნალისტებს, ყველაფრის მოსწრებას რომ ცდილობენ, დიდხანს ლოდინი არ დასჭირდებათო, გაიფიქრა ჰამიდმა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ცდებოდა: რეპორტიორთა უდიდესი ნაწილი უცხოელი მინისტრებისგან ინტერვიუს ასაღებად გაეშურა; პოლიტიკა და მოდა მხოლოდ ასეთ წერტილში შეიძლება გადაიკვეთოს.

ქერათმიანი გოგონა მიდის თავმოყრილ ჯგუფთან და სთხოვს, დასხდნენ - შოუ იწყება. ჰამიდი და ევა ხმაამოუღებლად სხედან. ჰამიდს ვერ გაუგია, ევა კმაყოფილია თუ უკმაყოფილო - და ეს ყველაზე ცუდია. სჯობს, წუხდეს ან იღიმებოდეს ან თქვას მაინც რამე. არაფერს იმჩნევს, რის მიხედვითაც შეიძლება იფიქრო, რა ხდება მის სულში. ასე რომ, სჯობს, პოდიუმს მიაპყროს ყურადღება, ამაში მაინც ერკვევა.

რამდენიმე წუთის წინ, კულისებს მიღმა, მოდელები მთლად გაშიშვლდნენ. პირველებმა კაბები ჩაიცვეს და მოლოდინში გაირინდნენ. სინათლე რომ ჩაქრება და ვიღაც - ეს, ჩვეულებრივ, ქალია - უკნიდან მხრებზე ხელს შეახებს, აფრთხილებს, რომ პუბლიკასთან გასვლის დრო დადგა.

სხვადასხვა კლასის მოდელები სხვადასხვანაირად ღელავენ - რაც უფრო ნაკლები გაქვს გამოცდილება, მით მეტად ნერვიულობ. ერთნი ლოცულობენ, მეორენი დარბაზში იჭვრიტებიან, იმის გასარკვევად, ნორმალურ ადგილზე დასვეს თუ არა ჩემი მშობლებიო. სულ ათნი თუ თორმეტნი არიან: თითოეულის ფოტოსურათი ჰკიდია იქ, სადაც თვალის დახამხამებაში იცვლიან მკაცრი წესებით დაკიდებულ კაბებს, და სრულიად მშვიდად გამოდიან პოდიუმზე, თითქოს მთელი დღე ამ მორთულობით გაეტარებინოთ. უკანასკნელად უსწორებენ თმას და მაკიაჟს.

ისინი გულში იმეორებენ: „ფეხი არ დამისხლტება, არ წავიბორძიკებ, სამოცი მოდელიდან გამომარჩიეს. კანში ვიმყოფები. დარბაზში, უეჭველია, ვინმე ცნობილი პიროვნება იქნება. ვიცი, აქ არის ჰ.ჰ. ... მან შეიძლება თავისი ფირმის სახედ მაქციოს. ამბობენ, აქ ასობით ფოტოგრაფი და ჟურნალისტია...

არ შეიძლება, გავიღიმო, ასეა ნაბრძანები კანონით. ფეხები უჩინარ ხაზზე უნდა გადავდგა. არა აქვს მნიშვნელობა, რომ სიარული არაბუნებრივია, რომ მეც მეუხერხულება ასე სიარული - ამის დავიწყება არ შეიძლება!

დანიშნულ ადგილამდე უნდა მივიდე, მოვბრუნდე, ორიოდე წამით შევყოვნდე და უკან წამოვიდე იმავე სიჩქარით. ვიცი, კულისებს როგორც კი მივეფარები, იქ ვიღაც მომეხმარება ამ კაბის გახდასა და მომდევნოს ჩაცმაში, მე კი სარკეში ჩახედვასაც ვერ მოვასწრებ; უნდა დავიჯერო, რომ ყველაფერი რიგზე მაქვს. მარტო ჩემი სხეულისა და კაბის კი არა, ჩემი გამოხედვის ძალის ჩვენებაც უნდა შევძლო!“

ჰამიდი ჭერს უყურებს, ხედავს ნიშანს - შუქის მკვეთრ ნათებას. თუკი მოდელი ამის იქით წავა ან ნაადრევად გაჩერდება, სურათი უხეირო გამოვა და ჟურნალების რედაქტორები - უფრო სწორად, ბელგიის ჟურნალების გამომცემლები - ვიღაც სხვას აირჩევენ. ფრანგი ჟურნალისტები ახლა ალბათ სასტუმროს წინ ან წითელ ხალიჩასთან დგანან, შეიძლება კოქტეილ-ფართიზეც იმყოფებიან ან სენდვიჩს ჭამენ დღევანდელი გალავახშმის დარბაზის შესასვლელთან.

დარბაზში შუქი ქრება. ინთება სოფიტები და პოდიუმი კაშკაშებს.

ახლოვდება გადამწყვეტი წამი.

მძლავრი აუდიოსისტემა დარბაზს 60-70-იანი წლების შლაგერების პოპურით ავსებს და ჰამიდი იმ სამყაროში გადაჰყავს, სადაც არ ყოფილა და ახლა შეუძლია მხოლოდ მუსიკა შეაფასოს, რომლის მოსმენისას უეცრად განუცდელი ნოსტალგია და რაღაც პროტესტის გრძნობა ეუფლება - რატომ თავადაც არ განუცდია მსოფლიოში იმ დროს მოხეტიალე ყმაწვილკაცების დიდი ოცნება?

და აი, პოდიუმზე ჩნდება პირველი მოდელი, და შეხამება იმისა, რასაც თვალი ხედავს, იმასთან, რასაც ყური ისმენს და რასაც უმკვეთრესი ფერების სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე კაბები ჰყვებიან; თუმცა ძალიან დიდი ხნის წინათ მომხდარს, მაგრამ ეტყობა, სამყაროს კვლავ სურს მისი მოსმენა. ჰამიდს ათობით თუ ასობით ფოტოაპარატის ჩხაკუნი ესმის. ვიდეოკამერით მიმდინარეობს ჩაწერა. პირველი მოდელი მშვენივრად ართმევს თავს საქმეს; ერთი ბოლოდან მიდის მეორე ბოლომდე, პროჟექტორის შუქზე ბრუნდება მარჯვნივ. ერთ წამს შეყოვნდება და უკან გამოტრიალდება. მას დაახლოებით თხუთმეტი წამი აქვს, კულისებამდე რომ მივიდეს - იქ კარგავს წარმოსადეგობას, მირბის საგრიმიოროში, ჩქარ-ჩქარა იხდის ერთ კაბას და უფრო სწრაფად იცვამს მეორეს, იკავებს ადგილს რიგში და მეორე გამოსვლისთვის ემზადება. კოლექციის შემქმნელი ჩვენებას მონიტორზე ადევნებს თვალს და მღელვარებისგან ტუჩებს იკვნეტს; ლოცულობს, რომ არავინ წაიბორძიკოს, მაყურებელი მიხვდეს, რისი თქმა სურდა, ბოლოს აპლოდისმენტებით დააჯილდოვონ, ფედერაციის წარმომადგენლები კი კმაყოფილები დარჩნენ.

დეფილე გრძელდება. იქიდან, სადაც ჰამიდი ზის და სადაც კამერები დგას, ერთნაირად კარგად ჩანს ელეგანტური აღნაგობა და მტკიცე ნაბიჯები. ჩვენებას მიუჩვეველ ადამიანებს - ასეთები მაყურებლებს შორის, უეჭველია, უმრავლესობაა - ეს ყველაფერი, ალბათ, უცნაურად ეჩვენებათ: რატომ დადიან „მარშით“ მანეკენები და მოდელებივით არ მოძრაობენ? ასეთია მოდელიორის ჩანაფიქრი?

არა - თავის თავს პასუხობს ჰამიდი. მაღალი ქუსლების ბრალია. მხოლოდ ასეთი სვლისას იძენს ფეხი ნაბიჯის საჭირო სიმტკიცეს.

კოლექცია უკეთესი გამოდგა, ვიდრე ელოდა. ესაა დაბრუნება წარსულში, სადაც ოსტატურადაა მოფიქრებული სულ ცოტა თანამედროვეობის შეტანა. არაფერი არ

არის ზედმეტი, ვინაიდან მოდის საიდუმლოება, ისევე, როგორც კულინარიისა, ინგრედიენტების დოზირების ხელოვნებაში გამოიხატება. ფერები და მძივები გარდასულ წლებს მოგაგონებენ, მაგრამ ისეა გამოყენებული, რომ აბსოლუტურ სიახლედ მოგეჩვენებათ... უკვე ექვსმა მოდელმა გაიარა და ერთ-ერთ მათგანს მუხლზე ლაქა შენიშნა, რისი ტონით დაფარვაც ვერ მოეხერხებინათ. ალბათ ერთი წუთის წინათ ჰეროინის დოზა მიიღო, რათა მღელვარება დაეძლია და მადა დაჰკარგვოდა.

მოულოდნელად ჟასმინი გამოდის. თეთრი, გრძელსახელოებიანი, მაქმანებით გაწყობილი ბლუზა და საშუალო სიგრძის თეთრი ქვედატანი აცვია. თავდაჯერებულად მოაბიჯებს და, პოდიუმზე, მანამდე გამომსვლელთაგან განსხვავებით, თავი ნაძალადევად კი არა, სრულიად ბუნებრივად უჭირავს.

„მშვენიერია“.

ის კიდევ ორჯერ გამოდის პოდიუმზე და ჰამიდი დაჟინებით ათვალიერებს მის სხეულს. რწმუნდება: მისი სხეული ყურადღებას იზიდავს რაღაც უფრო მეტით, ვიდრე უბრალოდ სრულყოფილი, ჩამოქნილი ნაკვთებია. როგორ უნდა განისაზღვროს ეს „რაღაც“? სამოთხე და ჯოჯოხეთი ქორწინდებიან, სიყვარული და სიძულვილი ხელიხელჩაკიდებულნი დადიან...

როგორც ყველა დეფილე, ეს ჩვენებაც სულ თხუთმეტ წუთს გრძელდება, თუმცა მის მოსაფიქრებლად და დასადგმელად რამდენიმე თვის დაძაბული შრომა იყო საჭირო. და აი, გაისმა აპლოდისმენტები: გამოდის მოდელიორი, თავს ხრის, მადლობას იხდის. დარბაზში შუქი ინთება, მუსიკის ხმა წყდება - და ჰამიდი მხოლოდ ახლა ხვდება, როგორ დაატყვევა მუსიკამ. სანდომიანი გოგონა კვლავ მიდის მასთან და აუწყებს, რომ ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენლებს ძალიან სურთ მასთან მოლაპარაკება. ჰამიდი ტყავის ბუდიდან იღებს თავის სავიზიტო ბარათს და პასუხობს, რომ სასტუმრო Martinez-ში ცხოვრობს და მოხარული იქნება, თუკი შეხვედრაზე ხვალისთვის შეთანხმდებიან.

- ახლა კი მოდელიორისა და შავკანიანი მოდელის გაცნობა მინდა. გამიგეთ, თუ შეიძლება, სად ვახშმობენ დღეს საღამოს. დაგიცდით.

„ნეტავ ქერათმიანი გოგონა მალე დაბრუნდეს“, - ფიქრობს ჰამიდი. ამასობაში ჟურნალისტები ესევიან, უსვამენ ჩვეულებრივ კითხვებს - უფრო სწორად, სხვადასხვა პირიდან ისმის ერთი და იგივე კითხვა:

- როგორ მოგეწონათ დეფილე?

- ძალიან საინტერესოა, - ისმის აგრეთვე უცვლელი პასუხი.

- არ შეიძლება უფრო დაწვრილებით?

გამოცდილი პროფესიონალისთვის დამახასიათებელი დელიკატურობით ჰამიდი მომდევნო ჟურნალისტისკენ ბრუნდება. მან იცის წესები: არ უნდა გაანაწყენოს პრესა, მაგრამ არც ერთ კითხვას პირდაპირ არ უნდა უპასუხოს, უნდა თქვას ის, რაც მომენტს შეესაბამება.

გოგონა ბრუნდება. არა, ისინი არ იქნებიან მთავარ გალა-ვახშამზე. რამდენნიც არ უნდა იყვნენ აქ ბელგიელი მინისტრები, ფესტივალის პოლიტიკას სხვა ხელისუფლება კარნახობს.

ჰამიდი პასუხობს: თუ სურთ, ის დაუყოვნებლივ გასცემს განკარგულებას, რათა მათ მოსაწვევი ბარათები გადასცენ. წინადადება მიღებული იქნა. მოდელიორი, როგორც ჩანს, ზუსტად ასეთ გამოხმაურებას ელოდა, ვინაიდან იცოდა, რა საქონელსაც ფლობდა.

ჟასმინი.

დიახ, ის პიროვნებაა. ჰამიდი ეცდება, იშვიათად გამოიყვანოს თავის ჩვენებებზე, რადგან ის სადემონსტრაციო კაბებს დაჩრდილავს, მაგრამ სხვა არავინაა შესაფერისი, ვისაც შეუძლია იქცეს „ჰამიდ ჰუსეინის“ მარკის სახედ. არავინაა და არც შეიძლება იყოს.

კარში გამოსვლისას ევა კვლავ რთავს თავის ტელეფონს. ეკრანზე მაშინვე ჩნდება ცისფერ ცაზე მოფარფატე კონვერტი. ის ძირს ეშვება და იხსნება. ეს ნიშნავს: „თქვენთან ახალი შეტყობინებაა“.

„რა სულელური ანიმაციაა“, - ფიქრობს ევა.

გამომგზავნის ნომერი არაა დაფიქსირებული. ევა ყოყმანობს, წაიკითხოს თუ არა ტექსტი, მაგრამ შიშს ცნობისმოყვარეობა სძლევს.

- ჩანს, რომელიღაც თაყვანისმცემელმა იშოვა შენი მობილურის ნომერი, - ეხუმრება ჰამიდი, - ერთ დღეში ამდენი შეტყობინება არასდროს მიგიღია.

- შეიძლება.

სინამდვილეში კი სურს უთხრას: „ნუთუ ვერაფერი გაგიგია?! ორი წელიწადია ჩემ გვერდით ხარ და ვერ გრძნობ, რა საშინელ დღეში ვარ! ან ეგებ ფიქრობ, ეს მხოლოდ უგუნებობის ბრალია?“

ევა უზრუნველ სახეს იღებს და ტექსტს კითხულობს: „შენი გულისთვის კიდევ ერთი სამყარო გავანადგურე, და უკვე საკუთარ თავს ვეკითხები, ღირდა თუ არა ამის ჩადენა, ვინაიდან შენ, ეტყობა, ვერაფერს ხვდები. სული მოგკვდომია“.

- ვისგანაა? - ინტერესდება ჰამიდი.

- არ ვიცი, ნომერი გაურკვეველია. თუმცა კარგია, როცა მუდამ გყავს თაყვანისმცემელი, თუნდაც უცნობი.

5:15 PM

სამი მკვლელობა. რამდენიმე საათში წლიური სტატისტიკა გადაიფარა. ზრდამ ორმოცდაათი პროცენტი შეადგინა.

მანქანასთან მისული, სპეციალური სიხშირით ეთერში გადის.

- ქალაქში მოქმედებს სერიული მკვლელი.

სიხშირის განმუხტვის ტკაცუნის გამო ძნელად არკვევს მოსაუბრის პასუხს.

- არა, დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ საეჭვოც არაფერია.

ისევ გაისმის სიტყვათა გამაყრუებელი ტკაცანი.

- არა, ბატონო კომისარო, სულაც არ გავგიჟებულვარ და აქ არავითარ წინააღმდეგობას არ ვხედავ. აი, მაგალითად, დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩემი ხელფასი ჩემს ანგარიშზე გადაირიცხება, ამასთან, ამაში ეჭვიც არ მეპარება. გესმით, რას ვგულისხმობ?

ისმის ტკაცუნი და გაღიზიანებული პასუხი.

- არა, არა, მომატებაზე არ ვლაპარაკობ... უბრალოდ, მაგალითი მოვიტანე, იმის ჩვენება მინდოდა, რომ სავსებით შესაძლებელია რწმენისა და ეჭვის შეთავსება - მით უფრო თქვენი და ჩემი პროფესიის დროს. კარგი, ამას თავი დავანებოთ და საქმეზე გადავიდეთ. ადვილი შესაძლებელია, ტელევიზიით სამი მკვლელობის შესახებ იმიტომ გადმოსცეს, რომ ჰოსპიტალში ეს-ესაა გარდაიცვალა ერთ-ერთი მსხვერპლი. გარკვეულად მხოლოდ ერთი რამ ვიცი: სამივე მკვლელობა ჩადენილია ეშმაკური და არატრადიციული ხერხით, ამიტომაც მათ შორის კავშირის დანახვა ძნელია. მაგრამ კანი ანაზდეულად სახიფათო ადგილად იქცა. ხვალ კიდევ რომ გაგრძელდეს ეს სერია, აუცილებლად იმაზე დაიწყებენ ლაპარაკს, რომ მანიაკი მოქმედებს. მაშინ რის გაკეთებას მიბრძანებთ?

ტკაცუნის გამო კომისრის პასუხი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმის.

- ...დიახ, ისინი აქ არიან. მკვლელობის თვითმხილველი ყმაწვილი მათ ყველაფერს უყვება... უკვე ათი დღეა, ქალაქი სავსეა ჟურნალისტებითა და ფოტოგრაფებით... მეგონა, წითელ ხალიჩასთან იქნებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, შევცდი... ალბათ, მიხვდნენ, რომ ისინი აქ ძალზე ბევრნი არიან, მასალა კი - მეტისმეტად ცოტა.

შემდგომი ტირადის მოსმენის შემდეგ სავუა ჯიბიდან ბლოკნოტს იღებს და მისამართს იწერს.

- გასაგებია. დაუყოვნებლივ მივემგზავრები მონტე-კარლოში და ვესაუბრები აღნიშნულ პიროვნებას.

ტკაცუნი შეწყდა. ხაზის მეორე მხარე გაითიშა.

სავუა მანქანის სახურავზე დგამს ლურჯ ფანარს, მთელი სიმძლავრით რთავს სირენას და სწრაფად მიქრის - უეჭველია, იმ იმედით, რომ რეპორტიორების ყურადღებას სხვა, მოჩვენებით დანაშაულზე გადაიტანდა, მაგრამ ჟურნალისტებმა მისი ხრიკი გამოიცნეს, ადგილიდან არ დაძრულან და ნამდვილი დანაშაულის მოწმის გამოკითხვა გააგრძელეს.

სავუას თანდათან აღტაცება იპყრობს. როგორც იქნა, შეუძლია, მთელი თავისი ნაჯღაბნი თანაშემწეებს აჰკიდოს, თვითონ კი ის გააკეთოს, რაზეც მუდამ ოცნებობდა - გახსნას ყოველგვარ ლოგიკასთან დაპირისპირებული მკვლელობა. როგორ სურს, რომ არ ცდებოდეს და მისი ქალაქის მცხოვრებთა დამატერორებელი სინამდვილეში სერიული მკვლელი აღმოჩნდეს. ჩვენს დღეებში ინფორმაცია ელვისებური სისწრაფით ვრცელდება, ასე რომ, ის ყურადღების ცენტრში მოექცევა და ყველას აუხსნის, რომ ეს ჯერჯერობით დაუდასტურებელი ცნობაა, რომ არავის სჯეროდა მისი, კამერები კი მანამდე გააგრძელებენ ნათებას, სანამ დამნაშავეს არ დაიჭერენ. რადგან კანი, თავის ბრწყინვალებასთან ერთად, მხოლოდ პატარა პროვინციული ქალაქია, სადაც ყველამ იცის, რა ხდება, ამიტომ ბოროტმოქმედის მოძებნა ძნელი არ იქნება.

დიდება. სახელგანთქმულობა.

ნუთუ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და თანამოქალაქეების კეთილდღეობა არ ანაღვლებს?

მაგრამ რა არის იმაში ცუდი, თუკი თავისთვისაც მცირეოდენი დიდება სურს; განა რამდენიმე წელიწადი არაა, რაც იძულებით უყურებს, ფესტივალის თორმეტი დღის განმავლობაში როგორ ძვრებიან ადამიანები ტყავიდან, რათა იმაზე მნიშვნელოვანნი გამოჩნდნენ, ვიდრე სინამდვილეში არიან? ბოლოს და ბოლოს, ეს მოარული სენი ყველას სჭირს. ყველა ოცნებობს საქვეყნო აღიარებაზე. ამას არ აკეთებენ ახლა კინოსამყაროს წარმომადგენლებიც?

„საკმარისია ოცნება! გააკეთე შენი საქმე როგორც წესი და რიგია, დიდება კი თავისით მოგძებნის. დიდება, ყველაფერთან ერთად, ჭირვეულია: წარმოიდგინე, რა მოხდება, თუკი დავალებულ საქმეს თავს ვერ გაართმევ; მარცხი და დამცირება გამანადგურებელი იქნება. მოემზადე!

პოლიციაში თითქმის ოცი წლის მანძილზე სხვადასხვა თანამდებობაზე უმუშავია. გაუვლია სამსახურებრივი კიბის ყველა საფეხური, დაუწინაურებიათ, მიუღია ჯილდოები, წაუკითხავს ქაღალდის მთები. დიდი ხანია მიხვდა, რომ ინტუიცია, ბევრ შემთხვევაში, ლოგიკაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, და ამ წუთებში, როცა მონტე-კარლოში მიქრის, მთავარ საფრთხედ მკვლელი კი არ მიაჩნია (ვინც ახლა ნამდვილად გაწამებული იქნება უკანასკნელი საათების მანძილზე სისხლში შეშხაპუნებული წარმოუდგენელი რაოდენობის ადრენალინით. ამასთან დაშინებულიც იქნება, ვინაიდან იცის, რომ დანაშაულის ადგილზე დაინახეს), არა - მთავარი მტერი პრესაა. ჟურნალისტებსაც ხომ შეუძლიათ ტექნიკისა და ინტუიციის შეთავსება; თუკი ისინი ამ სამ მკვლელობას შორის სულ უმნიშვნელო კავშირს მაინც მიაკვლევენ, პოლიციამ შეიძლება სიტუაციაზე მთლიანად დაკარგოს კონტროლი და ფესტივალზე ქაოსი გამეფდეს; შიშით ატანილი ხალხი ქუჩაში გამოვა, უცხოელები დროზე ადრე მიატოვებენ აქაურობას, კომერსანტები პროტესტისა და საყვედურების გამოთქმას დაიწყებენ იმაზე, რომ ხელისუფლება თავს ვერ ართმევს დაკისრებულ საქმეს. მთელი მსოფლიოს გაზეთებში გამოჩნდება მთელ გვერდებზე გაჭიმული, თვალში საცემი სათაურები. ბოლოს და ბოლოს, სერიული მკვლელი სინამდვილეში ხომ გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ეკრანზე.

მერე კი, მომდევნო წლებში, ტერორზე დაფუძნებული მითის ზეგავლენით, ფესტივალი კვლავინდებური ვეღარ იქნება: თავიანთი საქონლის სიმდიდრის საჩვენებლად სხვა შესაფერის ადგილს მოძებნიან და თანდათანობით ეს დღესასწაული, რომელიც ლამის სამოც წელიწადზე მეტხანს გრძელდებოდა კანში, რაღაც უმნიშვნელო და უფერულ მოვლენად იქცევა, ვეღარ მოხვდება ობიექტივში და გაზეთების ფურცლებზე.

ახლა სავუას უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია: ჯერ ერთი, უნდა შეიტყოს, ვინ ჩაიდინა დანაშაული და მკვლელი მანამდე დაიჭიროს, სანამ სავუას ზონაში კიდევ ერთი გვამი გამოჩნდება. მეორე - ალაგმოს პრესა.

„ლოგიკა... ლოგიკურად უნდა განვსაჯო. კანში ჩამოსული რეპორტიორებიდან ვის აქვს ზუსტი ცნობა დანაშაულის რაოდენობაზე? ვის მოუვა აზრად შტაბში დარეკვა და სტატისტიკის გაგება?

ლოგიკური პასუხი: არავის. ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რაც ამ წუთში მოხდა. იმით არიან შეშფოთებულნი, რომ გამოჩენილ პროდიუსერს ერთ-ერთ მიღებაზე, ფესტივალის დროს ტრადიციულად რომ ტარდება, გული ცუდად გაუხდა. ჯერ ხომ არავინ იცის, რომ მოწამლეს - ექსპერტიზის დასკვნა უკანა სავარძელზე უდევს. ჯერჯერობით ვერავინ ხვდება და ვერც ვერასოდეს მიხვდება, რომ მიცვალებული ფულის გათეთრების რთული სისტემის ერთ-ერთი ელემენტი იყო.

არალოგიკური პასუხია: ყოველთვის მოიძებნება ისეთი ვინმე, ვინც სხვებისგან განსხვავებით ფიქრობს, და, მაშასადამე, პირველი შესაძლებლობისთანავე, სათანადო

ახსნა-განმარტების მიცემა გახდება აუცილებელი. უნდა მოიწვიოს პრეს-კონფერენცია, მაგრამ, ამასთან, ილაპარაკოს მხოლოდ იმ ამერიკელ რეჟისორ ქალზე, მერხზე უსიცოცხლოდ მჯდარი რომ იპოვეს. ამ შემთხვევაში ყველა დანარჩენი ეპიზოდი უმალ დაავიწყდებათ.

კინოსამყაროს შესამჩნევი ფიგურა მოკლულია. ამის შემდეგ ვინ დაინტერესდება ყველასთვის უცნობი მოვაჭრე გოგონას სიკვდილით? და თუნდაც დაინტერესდნენ, სავუას მიერ ძიების დაწყებისთანავე გამოტანილ დასკვნას დაუჯერებენ - სიკვდილი ნარკოტიკების გადაჭარბებულმა დოზამ გამოიწვია.

რეჟისორი ქალი, ეტყობა, არცთუ მნიშვნელოვანი ფიგურა ყოფილა - წინააღმდეგ შემთხვევაში კომისარი აქამდე მობილურზე დაურეკავდა. მაშასადამე, ასეთია ფაქტები: ვიღაც კარგად ჩაცმული, ასე ორმოციოდე წლის ჭაღარაშერეული ბატონი გარკვეული დროის განმავლობაში ესაუბრებოდა ქალს. მათ ქვებს ამოფარებული მოწმე უთვალთვალებდა. ბოროტმოქმედმა ქალს ქირურგიული სიზუსტით მიაყენა დარტყმა ბარჯისებური პატარა იარაღით და ნელა გასცილდა იქაურობას, ახლა კი უკვე მის სიტყვიერ პორტრეტს მიმსგავსებულ ასეულობით და ათასეულობით მამაკაცს შორისაა გათქვეფილი.

სავუა რამდენიმე წუთით თიშავს სირენას. ურეკავს თავის თანაშემწეს, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილზე დარჩა და შეკითხვებს პასუხობს, იმის მაგივრად, რომ თვითონ სვამდეს მათ. სავუა სთხოვს, გადასცეს სულთამხუთავ ჟურნალისტებს - დაუფიქრებელი მსჯელობისა და ნაჩქარევი დასკვნების ოსტატებს: „თითქმის დარწმუნებულია, რომ მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზეა ჩადენილი“.

- არა თქვა, რომ ეს ასი პროცენტით მართალია. აუხსენი, ამაზე მეტყველებს მთელი რიგი გარემოება-თქო. ეს არც ძარცვაა, არც შურისძიება, არამედ ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის დრამატული დამთავრება-თქო. მეტისმეტიც ნუ მოგივა. ისინი ყველა სიტყვას იწერენ, მერე კი ეს ჩანაწერი შეიძლება შენ წინააღმდეგ გამოიყენონ.

- მე რატომ უნდა ავუხსნა მოტივები?

- ვითარება მოითხოვს. რაც უფრო ადრე მოახერხებ ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას, ჩვენთვის უკეთესი იქნება.

- კითხულობენ, მკვლელობა რით იყო ჩადენილიო:

- უპასუხე: „მოწმის ჩვენების მიხედვით, წვრილი, წვეტიანი იარაღით“.

- მაგრამ მოწმე არ არის ამაში დარწმუნებული.

- თუკი მოწმემაც არ იცის ზუსტად, რა დაინახა, ჩვენ რის მტკიცებაღა შეგვიძლია, გარდა იმისა, „ყველაფრიდან ჩანს, რომ...“ შეაშინე ბიჭი, უთხარი, რომ მასაც იწერენ...

სავუა საუბარს წყვეტს. ერთი წუთის შემდეგ უმცროს ინსპექტორს უხერხულ კითხვებზე უწევს პასუხის გაცემა.

„ყველაფრიდან ჩანს“, რომ მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზეა ჩადენილი, თუმცა მსხვერპლი სიკვდილის წინა დღით ჩამოფრინდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან; თავის ნომერში მარტო ცხოვრობდა და ყველაფერი, რისი გამორკვევაც მოახერხა, იმაზე მეტყველებდა, მას ერთადერთი უშედეგო შეხვედრა კონგრესის სასახლის ახლოს მდებარე ფილმების ღია ბაზარზე ჰქონდა. მაგრამ ჟურნალისტებისთვის ეს ინფორმაცია დახურული იქნება.

არის რაღაც ისეთი, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, რის შესახებაც მთელ მსოფლიოში მხოლოდ სავუამ იცის.

მსხვერპლი ჰოსპიტალში იყო. მათ გაისაუბრეს, რის შემდეგაც სავუამ ქალს სთხოვა, დაეტოვებინა იქაურობა, როგორც ახლა ირკვევა, მისთვის საბედისწეროდ.

სავუა ხელახლა რთავს სირენას, თითქოს მისი გამაყრუებელი წივილით სურს დანაშაულის გრძნობის განდევნა... მაგრამ მას ხომ არ გაუყრია უბედურისთვის იარაღი.

რასაკვირველია, შეუძლია იფიქროს: „ეს ქალბატონი ჰოსპიტალში იმიტომ გამოჩნდა, რომ ნარკომაფიასთან აქვს კავშირი და სურდა დარწმუნებულიყო, მკვლელმა ნამდვილად გააკეთა თუ არა თავისი საქმე“. აი, ეს შეესაბამება „ლოგიკას“, და თუ თავის უფროსობას შეატყობინებს ამ შემთხვევითი შეხვედრის ამბავს, ძიება სწორედ ამ მიმართულებით წარიმართება. ვერსია საფუძველს სულაც არ არის მოკლებული. რეჟისორი მოკლეს ისეთივე არატრადიციული ხერხით, როგორითაც ჰოლივუდელი დისტრიბუტორი. ორივე მსხვერპლი ამერიკელი იყო, ორივეს ბასრი საგანი გაურჭეს. ყველაფერი იმას მიანიშნებს, რომ ერთი და იმავე ჯგუფის წევრები მოქმედებენ, მით უმეტეს, გარდაცვლილები ერთმანეთს იცნობდნენ.

იქნებ ცდება და ქალაქში სულაც არ მოქმედებს სერიული მკვლელი?

ახალგაზრდა პორტუგალიელ გოგონას, რომელიც მაღალი პროფესიული ოსტატობით მოაშთეს კრუაზეტზე, შეიძლება წინა საღამოს კონტაქტი ჰქონდა პროდიუსერებთან შესახვედრად ჩამოსული ჯგუფის რომელიმე წევრთან. გამორიცხული არ არის, რომ კუსტარულად ნაკეთები სუვენირების გარდა სხვა რამითაც ვაჭრობდა - მაგალითად, ნარკოტიკებით.

რატომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ კანში ანგარიშის გასასწორებლად ჩამოვიდნენ ვიღაც უცხოელები; რომელიღაც ბარში ადგილობრივი ნარკოდილერი ერთ-ერთ მათგანს პორტუგალიელ გოგონას აცნობს - „ჩვენზე მუშაობსო“, უცხოელი იმაზე მეტს სვამს, ვიდრე შეიძლება და გოგონას ლოგინში იწვენს.

უცხოელი ენად გაიკრიფება - ევროპაში სულ სხვა ჰაერიაო... მოკლედ, საკუთარ თავს კონტროლს ვეღარ უწევს და ბევრ რამეს წამოაყრანტალებს. დილით ხვდება, ზედმეტი რომ ილაპარაკა და თავის ხელქვეითს - პროფესიონალ მკვლელს - ავალებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებას.

ასეა, ყველაფერი აშკარაა. ყველაფერი სქემის მიხედვით ლაგდება და საეჭვოც აღარაფერი რჩება.

უბედურებაც ეგაა, რომ ყველაფერი კარგად ლაგდება - ისე კარგად, რომ აზრს კარგავს. შეუძლებელია კოკაინის კლანს „საქმის გარჩევა“ გადაეწყვიტოს ქალაქში, სადაც ფესტივალის გამო ყველა ქვეყნიდან პოლიციის დამატებითი ძალებია თავმოყრილი. მათ უერთდება მცველთა მთელი არმია და იმ დღეებისთვის სპეციალურად დაქირავებული დაცვა; კერძო დეტექტივები, მთელი დღე-ღამის განმავლობაში რომ უთვალთვალებენ, რათა ქუჩებსა და სალონებში მბრწყინავ ძვირფასეულობას უნებლიეთ პატრონი არ შეუცვალონ.

ასეც რომ იყოს, სავუასთვის მაინც ხელსაყრელია. მაფიოზური გარჩევები სერიულ მკვლელობაზე არანაკლებ ყურადღებას იქცევს.

სირენა გამორთულია. ნახევარი საათის განმავლობაში მოქროდა გზატკეცილზე, გადალახა უხილავი საზღვარი და სხვა სახელმწიფოში აღმოჩნდა. მიზნის მიღწევამდე კიდევ ათი წუთი რჩება, მაგრამ თავში ისეთი ფიქრები უტრიალებს, რაც, არსებითად რომ ითქვას, აკრძალული უნდა იყოს.

ერთ დღეში სამი მკვლელობა. ის, როგორც პოლიტიკოსები ამბობენ, ღრმა თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს. რა თქმა უნდა, აცნობიერებს, რომ სახელმწიფო მას წესრიგის დაცვისათვის უხდის და არა იმისთვის, რათა უხაროდეს, ასეთი სისხლიანი სისასტიკით ფეხქვეშ რომ ითელება წესრიგი. კომისარი ახლა ალბათ ცოფს ჰყრის, რადგან იცის, რა უზარმაზარი პასუხისმგებლობა აკისრია: უნდა გადაჭრას ორი ამოცანა - დაიჭიროს დამნაშავე (ერთი ან მთელი ჯგუფი, რაც ჯერჯერობით უცნობია) და თავიდან მოიშოროს პრესა. უკვე ყველა ფეხზე დგას, ამ მხარეში ყველა განყოფილებას დაუგზავნეს შეტყობინება, საპატრულო ავტომობილები ელექტრონული ფოსტით ღებულობენ დამნაშავის სიტყვიერ პორტრეტს. გამორიცხული არ არის, რომელიღაც პოლიტიკოსმა დამსახურებული შვებულება შეწყვიტოს, რადგან პოლიციის შეფი მეტისმეტად მიიჩნევს ასეთი პასუხისმგებლობის ტვირთს და შეეცდება, მაღალ ეშელონებს გადააბაროს ის.

მაგრამ პოლიტიკოსი არც ისე გულუბრყვილოა, რომ ამ ხაფანგში გაებას. ის მხოლოდ იმას იტყვის, რომ ქალაქში სასწრაფოდ უნდა დამყარდეს წესრიგი, რადგან „სასწორზე მილიონები დევს“. არ ჩაებმება ამ საქმეში, რადგან მას უფრო მნიშვნელოვანი რამ აქვს გადასაწყვეტი - მაგალითად, რომელი მარკის ღვინო უნდა შესთავაზონ დღეს საღამოს რომელიღაც უცხოურ დელეგაციას.

„მე კი სწორ გზაზე ვდგავარ?“ - ეკითხება სავუა თავის თავს.

აკრძალული ფიქრები უბრუნდებიან: სავუა ბედნიერია. ყველაზე ბედნიერი წამი დგება მთელ მის კარიერაში, რომელიც სავსე იყო ოქმების შევსებით და უმნიშვნელო შემთხვევების გარჩევით. წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მსგავსი სიტუაცია მის სულში ასეთ სიხარულს გამოიწვევდა. ის ხომ ნამდვილი მაძებარია, რომელიც ადგენს ლოგიკასთან დაპირისპირებულ ვერსიებს და აუცილებლად მიიღებს ჯილდოს, რადგან პირველმა შეძლო დანარჩენთა მზერისთვის მოუხელთებელის დანახვა. არავის მოუყვება ამის შესახებ. ცოლსაც არაფერს ეტყვის, რომ არ შეეშინდეს, მუდმივი საშიშროებისა და დაძაბული მუშაობის გამო ქმარი გამიგიჟდაო.

სავუა მთელი გულით თანაუგრძნობს დაღუპულთა ოჯახებს, მაგრამ მისი გული, წლების მანძილზე ინერტულ მდგომარეობაში რომ იმყოფებოდა, ახლა სწრაფად ძგერს.

სავუა დამტვერილი წიგნებით სავსე თაროების, კუთხეში დახვავებული ჟურნალების, მაგიდაზე მიყრილ-მოყრილი ქაღალდების დანახვას ელოდა, მაგრამ ოთახი ცარიელი კედლების თვალისმომჭრელი სიქათქათით ბრწყინავს. ჩანს რამდენიმე ლამაზი ლამპა, მოხერხებული სავარძელი, გამჭვირვალე მაგიდა კი ცარიელია, თუ არ ჩავთვლით გიგანტურ მონიტორსა და უსადენო კლავიატურას. უცნობ კაცს გვერდით პატარა ბლოკნოტი და ჩინებული კალმისტარი Montegrappo უდევს.

- სჯობს ღიმილი შეწყვიტოთ და ცოტა შეფიქრიანებული სახე მიიღოთ, - ამბობს ჭაღარაწვეროსანი მასპინძელი. სიცხის მიუხედავად, აცვია ტვიდის პიჯაკი, პერანგი ჰალსტუხით და კოხტად შეკერილი შარვალი.

- ვერ მივხვდი, რას მეუბნებით...

- ყველამ კარგად იცით. მე კი ის ვიცი, ახლა რასაც გრძნობთ. თქვენს მხარეში ჯერ არნახული და არგაგონილი საქმის გამოძიება გელით. მეც გამომიცდია მსგავსი შინაგანი კონფლიქტი იმ დროს, როდესაც ვესტ-ლამორგანში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. ეს ქალაქი დიდ ბრიტანეთშია და მსგავს საქმეს უნდა ვუმადლოდე, რომ სკოტლენდ-იარდში გადამიყვანეს.

„პარიზი - აი, ჩემი ოცნება“, - გაუელვა თავში სავუას, მაგრამ ხმამაღლა სიტყვა არ დასცდენია. მასპინძელი ანიშნებს, დაჯდეს.

- იმედია, ოცნება აგიხდებათ. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. სტენლი მორისი.

- კომისარი შეშფოთებულია, პრესა სერიული მკვლელობის შესახებ ხმების გავრცელებას დაიწყებსო, - ეუბნება სავუა.

- რაც უნდათ, ის გაავრცელონ. ჩვენ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ასეთი საქმეებით მატულობს აჟიოტაჟი და ვიღაც პენსიონერის უფერულ ცხოვრებას წარმტაც და მომხიბლავ თავგადასავლად აქცევს: ის თვალყურს მიადევნებს საქმის პერიპეტიებს, რაც ერთდროულად აშინებს კიდეც და იმედითაც ავსებს, რომ მას მსგავსი არაფერი გადახდება.

- უეჭველია, მიიღებდით სასამართლო მედიცინის ექსპერტიზის დასკვნას. როგორ ფიქრობთ, რას უნდა მოველოდეთ? მანიაკი მოქმედებს თუ კრიმინალური გარჩევებია?

- მივიღე. რატომღაც ფაქსით გამომიგზავნეს, ეს მანქანა კი ჩვენს დღეებში სრულიად უსარგებლო გახდა. ვთხოვე, დასკვნა ელექტრონული ფოსტით გამოეგზავნათ და იცით, რა მიპასუხეს? ჯერჯერობით იმეილს სრულიად არ დავუფლებივართო. წარმოუდგენელია! თქვენი პოლიცია აღჭურვილია უკანასკნელი ტექნიკით და დღემდე მაინც ფაქსით სარგებლობს!

სავუა მოუთმენლად ცქმუტავს სავარძელში. აქ იმისთვის არ მოსულა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებზე იმსჯელოს.

- კარგი. საქმეზე გადავიდეთ, - ამბობს დოქტორი მორისი, ბრიტანული გამოძიების ყოფილი ვარსკვლავი. მან პენსიაზე გასვლის შემდეგ გადაწყვიტა საფრანგეთის სამხრეთით დასახლება. სავარაუდოა, რომ ბრიტანელი არანაკლებ კმაყოფილია, ვიდრე სავუა, რადგან სტუმარმა მის მონოტონურ ყოფაში სასიამოვნო მრავალფეროვნება შეიტანა.

- რადგან ადრე მსგავსი შემთხვევა არ შემხვედრია, მსურს გავიგო: ეთანხმებით თუ არა ჩემს ვერსიას, რომ საქმე მარტო მოქმედ მანიაკთან გვაქვს?

დოქტორი მორისი ეთანხმება: სამივე დანაშაული ერთი ხელწერითაა შესრულებული, რაც ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს გვაძლევსო. მით უმეტეს, რომ ეს ხდება ერთ გეოგრაფიულ წერტილში (ამ შემთხვევაში კანში) და...

- ეტყობა, სერიული მკვლელია.

მორისი აწყვეტინებს და სთხოვს, ნუ გამოიყენებს არასწორ ტერმინებს. სერიული მკვლელები ტერორისტები არიან, ან უმწიფარი მოზარდები, სკოლებსა და კაფეებში რომ შეცვივდებიან ხოლმე და ცეცხლს უხსნიან განურჩევლად ყველას, ვინც მოხვდებათ. მერე ან პოლიციის ტყვიით კვდებიან, ან თავის მოკვლას ასწრებენ. ისინი ამჯობინებენ ცეცხლსასროლი იარაღით ან ბომბებით იმოქმედონ, რასაც მოკლე ხანში - საშუალოდ სამ წუთში - მაქსიმალური ზიანის მიყენება შეუძლია. ასეთ ადამიანებს შედეგი არ აინტერესებთ, რადგან ამბის ფინალი წინასწარვე იციან.

კოლექტიური ქვეცნობიერი იოლად ეგუება ასეთი ადამიანების არსებობას, რადგან ისინი ფსიქიკურად გაუწონასწორებლებად მიაჩნიათ, რაც საშუალებას აძლევთ,

მკაფიო ზღვარი გაავლონ „იმათ“ და „ჩვენ“ შორის. სერიული მკვლელი კი რაღაც უფრო რთულთან, სახელდობრ - განადგურების ინსტინქტთან ასოცირდება, რაც დასაბამიდან ყველა ადამიანისთვისაა დამახასიათებელი.

ჩამოდგა სიჩუმე.

- წაგიკითხავთ რობერტ ლუის სტივენსონის „დოქტორ ჯეკილისა და მისტერ ჰაიდის უცნაური ამბავი“?

სავუა უხსნის, რომ კითხვისთვის დრო არ რჩება: სამუშაო მთელ დროს ართმევს. მორისს გამოხედვა უმკაცრდება.

- თქვენ ფიქრობთ, რომ მე უსაქმური ვარ?

- უკაცრავად, მუსიე მორის, მაგრამ ძალიან სასწრაფო საქმე მაქვს. თუ შეიძლება, ლიტერატურას მოვეშვათ... თქვენი აზრის გაგება მსურს იმის შესახებ, რაც გამოგიგზავნეთ...

- ვწუხვარ, მაგრამ ლიტერატურის გარეშე ვერაფერს გავხდებით. სტივენსონის რომანი გვიყვება ერთი სრულიად ნორმალური ადამიანის, დოქტორ ჯეკილის ამბავს, რომელსაც დროდადრო მკვლელობის დაუოკებელი სურვილი იპყრობდა და იქცეოდა სხვა არსებად - მისტერ ჰაიდად. განადგურების ინსტინქტი ყველა ჩვენგანისთვისაა დამახასიათებელი, ინსპექტორო, და სერიული მკვლელის მოქმედება მარტო ჩვენს უსაფრთხოებას კი არ ემუქრება, ემუქრება ჩვენს სულიერ სიჯანსაღესაც. ვინაიდან ყოველი ადამიანის შიგნით, ვინც კი ამ დედამიწის ზურგზე ცხოვრობს, არსებობს კოლოსალური დამანგრეველი ძალა და ყველა ჩვენგანს ხანდახან გვიჩნდება სხვისი სიცოცხლის ხელყოფის სურვილი. ამის მიზეზი სხვადასხვანაირია: ვიღაცას სურს, სამყარო უფრო სრულყოფილი გახდეს, ვიღაცას ოდესღაც, ბავშვობაში მიყენებული შეურაცხყოფისთვის შურისძიება სურს, ვიღაცაში საზოგადოებისადმი სიძულვილი იღვიძებს და ასე შემდეგ... მაგრამ შეგნებულად თუ შეუგნებლად თითოეულ ჩვენგანს ამაზე უფიქრია, თუნდაც ოდესღაც, ბავშვობაში.

ის კვლავ მრავალმნიშვნელოვნად დუმს, მერე განაგრძობს.

- ვფიქრობ, თქვენც, თქვენი მოღვაწეობისაგან დამოუკიდებლად, საკმაოდ ნათლად წარმოგიდგენიათ, როგორია ეს სურვილი. ალბათ, თქვენც გიწვალებიათ კატა, დაგიწვავთ უვნებელი მწერები.

ამჯერად სავუა აღარაფერს პასუხობს და თანამოსაუბრეს ცივი, ფარული მზერით ზომავს. მორისი დუმილს თანხმობის ნიშნად მიიჩნევს და ისევ უბოდიშო უპირატესობით განაგრძობს:

- თავს ნუ შეიქცევ ილუზიით, რომ ნამდვილ შეშლილს -თმააბურძგნილ, თვალებდაცეცებულ, უცნაურად მოღიმარ ადამიანს იპოვი... ცოტა მეტს რომ

კითხულობდეთ - თუმცა უკვე ვიცი, რომ ძალიან დაკავებული ადამიანი ბრძანდებით, მაინც გირჩევდით, წაგეკითხათ ჰანი არენდტის „ბოროტების ბანალობა; ეიჰმანი იერუსალიმში“. ავტორი აღწერს ისტორიაში ცნობილ მკვლელთაგან ერთ-ერთი ყველაზე საშინელი სერიული მკვლელის სასამართლოს... ერთი წუთით!

მორისი თავის კომპიუტერთან მიდის. იცის, რომ სტუმარს მხოლოდ დასკვნის შეტყობა სურს, მაგრამ მოცემულ მომენტში მას დასკვნა არ აქვს. მას უნდა, სიძნელებისთვის მოამზადოს სავუა - სიძნელეთა გადატანა კი უეჭველად მოუხდება.

- ჰო, აი! არენდტი დაწვრილებით აანალიზებს ადოლფ ეიჰმანის სასამართლოს. მას ბრალად ექვსი მილიონი ებრაელის გაჟლეტა ედებოდა. 25 გვერდზე წერს, რომ ხუთმა ფსიქიატრმა მისი სრული შერაცხადობა დაადასტურა. მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი კი - დამოკიდებულება ცოლთან, ბავშვებთან, დედ-მამასთან სრულად ემთხვევა ქცევის სოციალურ სტერეოტიპს, რაც დამახასიათებელია საზოგადოების კანონმორჩილი და რესპექტაბელური წევრისთვის. აი, რას წერს ავტორი:

„პრობლემა ის იყო, რომ ეიჰმანი ისეთივე შთაბეჭდილებას ტოვებდა, როგორსაც ყველა. არ ემჩნეოდა გაუკუღმართებისა და სადიზმისაკენ არავითარი მიდრეკილება. ისინი მართლაც სრულიად ნორმალურები არიან... ჩვენ მიერ დადგენილი თვალთახედვით, ეს ნორმალურობა არანაკლებ გაძრწუნებს, ვიდრე მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებანი“.

- ახლა კი შეიძლება საქმეზე გადავიდეთ. მედიცინის ექსპერტიზის შედეგით თუ ვიმსჯელებთ, სექსუალური ძალადობა არ მომხდარა...

- დოქტორო მორის, რთული ამოცანის გადაწყვეტა მიწევს და ეს ძალზე მოკლე დროში უნდა მოვასწრო. დარწმუნებული მინდა ვიყო, რომ საქმე სერიულ მკვლელთან გვაქვს. თავისთავად ცხადია, არავის შეუძლია მამაკაცის გაუპატიურება ხალხმრავალ ვახშამზე ანდა გოგონასი - მერხზე, ქალაქის ცენტრში.

ინგლისელი, ვითომც არაფერი გაუგონია, განაგრძობს:

- ...რაც ბევრი სერიული მკვლელობისთვისაა დამახასიათებელი; და ბევრი მათგანი ხელმძღვანელობს, გაგიკვირდებათ და, „ჰუმანური მოსაზრებით“. მედიცინის დები ცდილობენ, განუკურნებელი ავადმყოფები იხსნან ტანჯვისგან, სოციალური მუშაკები მოხუცებისა და ინვალიდების სიბრალულის გამო ასკვნიან, რომ მათთვის იმქვეყნად გაცილებით უკეთესი იქნება - მსგავსი შემთხვევა ცოტა ხნის წინათ მოხდა კალიფორნიაში. არიან ისეთებიც, ვინც საზოგადოების გარდაქმნას ცდილობენ - მათი მსხვერპლნი, უპირველეს ყოვლისა, მეძავები ხდებიან...

- მუსიე მორის, იმიტომ კი არ მოვსულვარ, რათა...

ამჯერად ინგლისელმა ცოტა ხმას აუწია.

- მე კი საერთოდ არ მომიწვევიხართ. თუ გნებავთ, შეგიძლიათ, მიბრძანდეთ, ხოლო თუ დარჩენას გადაწყვეტთ, ყოველ წუთში ნუ გამაწყვეტინებთ მსჯელობის ძაფს: სანამ ვინმეს დაიჭერ, ის ჯერ უნდა შეისწავლო...

- ნამდვილად ფიქრობთ, რომ ჩვენ წინაშე სერიული მკვლელია?

- ჯერ არ დამიმთავრებია.

სავუა თავს ძლივს იკავებს. ღირდა კი ასე აჩქარება?! იქნებ სჯობდა, დაეცადა სანამ ჟურნალისტებს საბოლოოდ არ აებნეოდათ თავგზა და მაშინ წარედგინა მათთვის პასუხი?

- უკაცრავად. განაგრძეთ.

მორისი ვეება მონიტორს ისე აბრუნებს, რომ სავუამაც დაინახოს ეკრანზე გამოჩენილი გრავიურა, რომელიც, ალბათ, XIX საუკუნისაა.

- ესაა ყველაზე ცნობილი სერიული მკვლელის, ჯეკ მფატრავის პორტრეტი. ის ლონდონში მოქმედებდა. მხოლოდ 1877 წლის მეორე ნახევარში ხუთი თუ ექვსი ქალი მოკლა. მათ მუცლებს უფატრავდა. მისი დაჭერა ვერ შეძლეს. ის მითად იქცა და დღემდე ცდილობენ დაადგინონ, ვინ იყო სინამდვილეში.

ეკრანზე ახლა რაღაც ვარსკვლავებიანი ცის რუკის მაგვარი გამოსახულება ჩნდება.

- ეს კი „ზოდიაქოს“ ხელმოწერაა. ათი თვის განმავლობაში მან კალიფორნიაში ხუთი წყვილი ქალ-ვაჟი დახოცა, ისინი, ვინც მანქანებს უდაბურ ადგილებზე აჩერებდნენ და სიყვარულობდნენ. მერე პოლიციას უგზავნიდა წერილს, რომელზეც კელტურ ჯვარს მიმსგავსებული ეს სიმბოლო იყო გამოსახული. ვერც ამ პიროვნების იდენტიფიცირება მოხერხდა.

მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ორივე შემთხვევაში საუბარია ადამიანებზე, რომელთაც განზრახული აქვთ წესიერების აღდგენა და მორალის განმტკიცება. ისინი ასრულებდნენ რაღაც დავალებას თუ მისიას. და იმ ხატის საწინააღმდეგოდ, როგორადაც მათ ჟურნალისტები გვიხატავენ და არქმევენ საშიშ სახელებს - „ბოსტნეულის მომშთობი“, „ტულუზელი შვილისმკვლელები“ - ეს ადამიანები მეზობლებთან ერთად აწყობენ უიკენდებს და მძიმედ შრომობენ, რათა მოიპოვონ პური არსობისა. დანაშაულს სწორედ ისინი სჩადიან. ასე ვთქვათ, ისინი უანგაროდ მოქმედებენ, არ ეძებენ მატერიალურ სარგებელს.

სავუა ახლა უკვე ინტერესით უსმენს.

- ანუ, იმის თქმა გსურთ, რომ მკვლელი შეიძლება ნებისმიერი იმათგანი იყოს, ვინც კანში ფესტივალზეა ჩამოსული?

- ...და სრულიად შეგნებულად გადაწყვიტა, დათესოს შიში. შეიძლება სრულიად აბსურდული მიზეზით ხელმძღვანელობდეს. ეს შეიძლება მიმართული იყოს, მაგალითად, „მოდის დიქტატურის წინააღმდეგ“, ან „ძალადობის პროპაგანდის გამწევი ფილმების გავრცელების წინააღმდეგ“. ჟურნალისტები მოუძებნიან თვალშისაცემ, მყვირალა მეტსახელს და ისეთი რამ დაიწყება, რომ... მას მიაწერენ დანაშაულს, რომელთანაც არავითარი შეხება არ ჰქონია. პანიკა გაძლიერდება, სანამ შემთხვევით, ვიმეორებ - შემთხვევით, არ დაიჭერენ, რაც ნაკლებ სავარაუდოა, ვინაიდან ასეთი მკვლელები დროის განსაზღვრულ პერიოდში მოქმედებენ, მერე კი სამუდამოდ ქრებიან. ის კმაყოფილია, რომ თავისი კვალი დატოვა ისტორიაში. უეჭველია, მთელ ამ ამბავს თავის დღიურში შეიტანს, რომელსაც მისი სიკვდილის შემდეგ აღმოაჩენენ. მორჩა და გათავდა.

სავუა უკვე აღარ იყურება საათზე და ჯიბეში ტელეფონი რომ რეკავს, არ პასუხობს. საქმე გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან მოეჩვენა.

- ესე იგი, მეთანხმებით?

- გეთანხმებით, - პასუხობს სკოტლანდ-იარდის ლეგენდარული მაძებარი, რომელმაც თავის დროზე ხუთი გაუხსნელად მიჩნეული დანაშაული გახსნა.

- მაინც რის საფუძველზე ასკვნით, რომ საქმე სერიულ მკვლელთან გვაქვს?

მორისს ეღიმება. როგორც იქნა, ამ ინსპექტორმა ყურად იღო მისი საუბარი.

- იმის საფუძველზე, რომ მის მიერ ჩადენილ მკვლელობებში აბსოლუტურად არ არსებობს მოტივი. ყველას - ან ასეთ დამნაშავეთა უმრავლესობას - აქვს ის, რასაც ჩვენ „ხელწერას“ ვეძახით. ისინი ირჩევენ მსხვერპლთა გარკვეულ ტიპებს - ჰომოსექსუალისტებს, მეძავეებს, უსახლკარო მაწანწალებს, მივარდნილ ადგილებში განმარტოებულ საყვარლებს და ასე შემდეგ. ისინი იმიტომ ხოცავენ, რომ სურვილის დათრგუნვა არ შეუძლიათ. სურვილის შესრულების შემდეგ ჩერდებიან მანამ, სანამ ხელახლა არ აღეძვრებათ იმპულსი. ვფიქრობ, ეს შემთხვევა ასეთია.

- აქ საჭიროა დაფიქრება... დამნაშავე მოქმედებს ძალზე დახვეწილად, არასტანდარტულად და ცალკეულ შემთხვევაში სხვანაირად კლავს - სტილეტით, შხამით ან შიშველი ხელებით... მან მშვენივრად იცის ანატომია და ჩვენთვის ერთადერთი ხელჩასაჭიდი ჯერჯერობით მხოლოდ ეს არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ მკვლელობა წინასწარ დაგეგმა, თანაც საკმაოდ დიდი ხნის წინათ, რადგან საწამლავს ასე იოლად ვერსად იშოვი. მაშასადამე, უფლება გვაქვს ის „მისიის შემსრულებლებს“ მივაკუთვნოთ. თუმცა, ვერ განვსაზღვრავთ, რა არის ეს მისია. კიდევ ერთი შესაძლო კვალი ისაა, რომ მან სუვენირებით მოვაჭრის მკვლელობისას გამოიყენა რუსული საბრძოლო ხელოვნების, სამბოს ფანდი.

შემიძლია უფრო შორს წავიდე და, ამოჩემებული და მისთვის დამახასიათებელი მეთოდების გათვალისწინებით, ვთქვა, რომ ის მომავალ მსხვერპლს უახლოვდება, მასთან მეგობრულ ურთიერთობას ამყარებს. მაგრამ... ამ საქმეში ვერ თავსდება მკვლელობა პლაჟის პავილიონში, ხალხმრავალ მიღებაზე. გარდა იმისა, რომ მსხვერპლს ახლდა ორი მცველი, ვისაც რეაგირება უნდა მოეხდინა, მას ევროპოლის აგენტებიც მეთვალყურეობდნენ.

რუსი? ფიქრობს სავუა. ხომ არ დაურეკოს თანაშემწეს, რომ სასწრაფოდ შეამოწმონ ყველა სასტუმრო, მოძებნონ დაახლოებით ორმოცი წლის კარგად ჩაცმული, ჭაღარა რუსი?

- ის, სამბო რომ იყო გამოყენებული, არაფერზე მიგვანიშნებს, - მორისი, როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალი, ამჯერადაც თითქოს კითხულობს სავუას აზრს, - მეორედ მან კურარე გამოიყენა - ამის საფუძველზე ამაზონის ინდიელს ხომ ვერ მიიჩნევთ დამნაშავედ?!

- აბა, რა ვქნათ?

- დაველოდოთ შემდგომ დანაშაულს.

6:50 PM

„კონკია!“

აჰ, ადამიანებს უფრო მეტად რომ სჯეროდეთ ჯადოსნური ზღაპრების და უფრო ნაკლებად უსმენდნენ თავიანთ ცოლებს, ქმრებსა და მშობლებს, ვისაც ამქვეყნად ყველაფერი შეუძლებელი ჰგონიათ, ზოგჯერ მაინც გამოსცდიდნენ იმას, რასაც ამ წუთებში გაბრიელა განიცდის იმ ლიმუზინის სალონში, რომელიც უამრავ ლიმუზინთან ერთად, მძიმედ, მაგრამ მაინც უახლოვდება წითელი ხალიჩისკენ, მსოფლიოში მთავარი პოდიუმისკენ მიმავალ საფეხურებს.

მის გვერდით ვარსკვლავს სახეზე ღიმილი დაჰფენია, თეთრი დახვეწილი პიჯაკი აცვია. ეკითხება, ხომ არ ნერვიულობო. რასაკვირველია, არა. მშვენიერ სიზმრებში არ არსებობს არც მღელვარება, არც ნერვიულობა, არც შიში და არც სევდა. იქ ყველაფერი ლამაზადაა და ყველაფერი ისე ხდება, როგორც კინოში, სადაც გმირი გადატანილი ტანჯვისა და ბრძოლის შემდეგ ყოველთვის ისრულებს ოცნებას.

- ჰამიდ ჰუსეინმა თუ არ გადაიფიქრა პროექტის გაგრძელება, ფილმს ისეთი წარმატება თუ უწერია, რასაც ის ელის, მოემზადე - შენს ცხოვრებაში კვლავაც იქნება ასეთი წუთები.

„თუ არ გადაიფიქრა?“ როგორ? განა უკვე გადაწყვეტილი არ არის?

- „საჩუქრების ოთახში“ კაბას რომ ვიზომავდი, კონტრაქტს ხელი ხომ მოვაწერე...

- დაივიწყე, რაც გითხარი! არ მინდა ზეიმი ჩაგამწარო...

- არა, არა, განაგრძეთ.

სახელგანთქმული მსახიობი სულელი გოგონასაგან სწორედ ასეთ პასუხს ელოდა და დიდი სიამოვნებით ასრულებს მის თხოვნას:

- იცი, უამრავ პროექტში მიმიღია მონაწილეობა - პროექტები იწყებოდა, მერე იხურებოდა. ასეთია თამაშის წესები. შენ კი ამისი ნუ გეშინია...

- და კონტრაქტი?

- კონტრაქტები ადვოკატებისთვის არსებობს. ადვოკატები ფულს მათი საშუალებით შოულობენ. დაივიწყე, გეთაყვა, რაც გითხარი. დატკბი ამ წუთით.

ამასობაში ეს წუთიც ახლოვდება. მანქანები ნელ-ნელა მიიწევენ წინ, საშუალებას აძლევენ უქნარებს, შეიხედონ და დაინახონ ვინ ზის შიგ - თუნდაც დაბურული მინების იქით, რჩეულებს უბრალო მოკვდავებისგან რომ აშორებთ. ვარსკვლავი მათ ღიმილით უქნევს თავს. ადამიანები მინებზე აკაკუნებენ, ითხოვენ, ერთი წამით მაინც ჩამოსწიონ მინა, რათა ავტოგრაფი მიიღონ ან სურათი გადაუღონ.

ვარსკვლავი კვლავ ალერსიანად განაგრძობს თავის ქნევას, თითქოს არ ესმის და ვერ გაუგია, რას სთხოვენ და დარწმუნებულია, მარტო მისი ღიმილიც საკმარისია სამყაროს გასაცისკროვნებლად.

გარეთ კი ნამდვილი ორომტრიალია, რაც ლამის მასობრივ ფსიქოზს ემსგავსება. ხანდაზმულ ქალებს თან გასაშლელი სკამები მოუტანიათ, რომელზეც, ალბათ, დილიდან ისხდნენ საქსოვიანად. სევდამოძალებულ ღიპიან ბატონებს ვალდებულად მიუჩნევიათ თავი, ხლებოდნენ თავიანთ ცოლებს, რომლებიც ისე გამოპრანჭულან, თითქოს მათ უნდა გაიარონ წითელ ხალიჩაზე. ბავშვებს სინამდვილეში არაფერი გაეგებათ, მაგრამ გრძნობენ, რაღაც საინტერესო ხდება. ყველა ასაკის შავკანიან, თეთრკანიან და ყვითელკანიან ადამიანებს, ლითონის ბარიერით რომ არიან გამოცალკევებულები ვიწრო დერეფნისაგან, სადაც ნელი სვლით მიდიან ლიმუზინები, მთელი სულითა და გულით უნდათ სჯეროდეთ, რომ სულ რაღაც ორი მეტრი აშორებთ უდიდეს კერპებს. თუმცა სინამდვილეში ეს დისტანცია მრავალი ათასი კილომეტრია, ვინაიდან ეპოქის ცოცხალი ლეგენდებისგან პუბლიკას მარტო კორდონი და მანქანის მინები კი არ აშორებს, აშორებს შანსი, შესაძლებლობა და ტალანტი.

ტალანტი? გაბრიელას უნდა იფიქროს, რომ ტალანტიც ანგარიშში ჩასათვლელია, თუმცა ისიც იცის, რომ დისტანციას, უფრო სწორად კი, გადაულახავ უფსკრულს

უფლის წყალობა ქმნის: ის განსაზღვრავს, ვინ იქნება მცირეოდენ რჩეულთა შორის და ვისი ხვედრი მხოლოდ ტაშის დაკვრა და აღფრთოვანებისგან გულის წასვლაა. ანდა, თუკი ნაკადი სხვა კალაპოტისკენ დაიძვრება - ძვირის თქმა და ავყიაობა.

ვარსკვლავი ისეთ სახეს ღებულობს, თითქოს გაბრიელას ელაპარაკება, სინამდვილეში მხოლოდ უყურებს და ტუჩებს ტყუილად აცმაცუნებს; თავისი არაჩვეულებრივი მსახიობური ოსტატობით ახდენს საუბრის იმიტაციას და ამით სიამოვნებას სულაც არ იღებს. გაბრიელა უმალ ხვდება, რომ ვარსკვლავს არ სურს ირგვლივ მყოფ თაყვანისმცემელთა იმედის გაცრუება, მაგრამ აღარც თავის ქნევის, მისალმების, უშურველი ღიმილისა და ჰაეროვანი კოცნის გაგზავნის თავი აღარ აქვს. ბოლოს, როგორც იქნა, ხმას იღებს:

- ცხადია, ფიქრობ, ეს რა ცინიკოსი... რა გულქვა ვინმე ყოფილაო... ოდესმე, მიზანს თუ მიაღწევ, მიხვდები, რასაც ამ წუთში ვგრძნობ. გამოსავალი არაა. წარმატება რამდენადაც იმონებს, იმდენად რყვნის. სიცოცხლის ბოლოს კი ქალიც და კაციც საკუთარ თავს ეკითხება: ღირდა კი? რატომ მსურდა ეს ასე ძალიან?

- განაგრძეთ.

- თავადაც არ ვიცი, რატომ გიყვებით ამას.

- ალბათ, იმიტომ, რომ რაღაცისგან დამიცვათ, კეთილი ხართ და იმიტომ. გთხოვთ, განაგრძეთ.

გაბრიელა მიუხედავად თავისი ახალგაზრდული გამოუცდელობისა, ქალი იყო და ამიტომაც იცოდა, როგორ მიეღო მამაკაცისგან ის, რაც სჭირდებოდა. ამ შემთხვევაში ყველაზე უტყუარ ხერხად პატივმოყვარეობა უნდა გამოსდგომოდა.

- არ ვიცი, რატომ მინდოდა ეს ასე ძალიან, - ვარსკვლავი დაგებულ მახეში ებმება და სანამ ფანები ბობოქრობენ, ის თავის გულისტკივილს უბრუნდება: - ხანდახან მძიმე დღის შემდეგ სასტუმროში რომ ვბრუნდები, შხაპის ქვეშ კარგა ხანს გარინდებული ვდგავარ და მხოლოდ წყლის ხმაურს ვუსმენ. ამ დროს ჩემში ორი ძალა ებრძვის ერთმანეთს: ერთი მიბრძანებს, მადლობელი ვიყო ბედისა, მეორე კი - სანამ გვიანი არ არის, მივატოვო ყველაფერი.

ასეთ წუთებში თავი ამქვეყნად ყველაზე უმადური არსება მგონია. მყავს თაყვანისმცემლები, მე კი ვერ ვიტან მათ. მიწვევენ ყველაზე პრესტიჟულ, ყველაზე სახარბიელო დღესასწაულებზე, მე კი მინდა იქაურობა უმალ დავტოვო, შინ დავბრუნდე და სიჩუმეში კარგ წიგნთან განვმარტოვდე. ხალხი პრემიებით მაჯილდოებს, მაძლევენ პრიზებს, ყველაფერს აკეთებენ, რათა ბედნიერი ვიყო, მე კი დაღლილობისა და მჭმუნვარების გარდა ვერაფერს ვგრძნობ. იმიტომ, რომ, მგონია, ეს არ დამიმსახურებია, არ დამიმსახურებია. გესმის?

რაღაც წამში გაბრიელას მის გვერდით მჯდარი ადამიანი შეეცოდა: წარმოიდგინა, წელიწადში რამდენჯერ უნდა გამოჩნდეს რაღაც დღესასწაულზე, სადაც სთხოვენ ავტოგრაფებს, მასთან ერთად სურათის გადაღებას, უყვებიან რაღაც აბსოლუტურად უინტერესო აბდაუბდას (რომელიც ყურადღებით უნდა მოისმინოს ანდა, ყოველ შემთხვევაში, დაინტერესებული სახე მაინც მიიღოს), სთავაზობენ ახალ პროექტში მონაწილეობას, ხშირად გაშმაგებამდე მიჰყავს კლასიკურ კითხვას: „არ გახსოვართ?“ სჩრიან თავიანთი ტელეფონის ნომრებს, ემუდარებიან, ერთი სიტყვა მაინც უთხრან მათ ცოლს, დას თუ ვაჟიშვილს. ის კი მუდამ მხიარული, კონტაქტური, თავაზიანი და კეთილგანწყობილი უნდა იყოს, როგორც ნამდვილ, უმაღლესი კლასის პროფესიონალს შეჰფერის.

- გესმის?

- მესმის, მაგრამ, იცი, მე მზად ვარ ყველა იმ უსიამოვნებისთვის, რაც შენ გადაგიტანია, თუმცა, ისიც კარგად ვიცი, მანდამდე ძალიან შორს ვარ.

კიდევ ოთხი ლიმუზინი და ისინი მიზანთან იქნებიან. მძღოლი სთხოვთ, მოემზადონ. ვარსკვლავი სარკეში ჰალსტუხს ისწორებს, გაბრიელა - თმას. ის უკვე ხედავს წითელი ხალიჩის პატარა მონაკვეთს, თუმცა თავად კიბეს ვერა. ირგვლივ არსებული ისტერიკა შეწყდა - ახლა ყველას, ვინც ჯგუფ-ჯგუფად დგას, ყელზე ფოტოსურათებთან ერთად აკრედიტაციის ბარათი ჩამოუკიდია. ისინი ერთმანეთს ესაუბრებიან და ყურადღებასაც არ აქცევენ, ვინ მოდის ლიმუზინებით, რადგან რეაგირება უკვე მობეზრებიათ.

კიდევ ორი მანქანაა. გაბრიელას მარცხნივ საფეხურები გამოჩნდა. მკაცრპიჯაკიანი და ჰალსტუხიანი ადამიანები კარს უღებენ. ლითონის ბარიერს ბრინჯაოსა და ხის სვეტებზე გაბმული ხავერდის ზონრები ცვლის.

- ეშმაკი! - უცებ წამოიძახებს ვარსკვლავი და გაბრიელას აკრთობს, - ეშმაკი! შეხედე ერთი იმას! ნახე, ვინ გადმოდის მანქანიდან.

გაბრიელა ჰამიდ ჰუსეინის კაბაში გამოწყობილ კინოვარსკვლავს ხედავს. მან ეს-ესაა შედგა ფეხი წითელ ხალიჩაზე. ვარსკვლავი კონგრესის სასახლის საპირისპირო მხარეს იყურება. გაბრიელა თვალს აყოლებს მის მზერას და მისთვის სრულიად წარმოუდგენელ რაღაცას ხედავს. თითქმის სამი მეტრის სიმაღლის, ადამიანთა ცოცხალი კედელი განუწყვეტლივ ნათდება ფოტოკამერების მაშუქებით.

- იქით არ იყურება... - შვებით წარმოთქვამს ვარსკვლავი, რომელსაც მყისიერად დაუკარგავს მთელი თავისი შარმი, თავაზიანობა და ყოფით საკითხებზე სევდა, - ესენი აკრედიტებული ჟურნალისტები კი არა, მეორეხარისხოვანი, წვრილფეხა მეგაზეთეები არიან.

- „ეშმაკი“ რაღა შუაშია?

ვარსკვლავი გაღიზიანებას ვერ ფარავს. მათ წინ ერთი ლიმუზინიღაა.

- შენ თვითონ ვერ ხვდები? მთვარიდან ხომ არ ჩამოვარდნილხარ? ჩვენ რომ ახლა გაგვევლო ხალიჩაზე, შუაგულში მდგარი ყველა აკრედიტებული რეპორტიორის ობიექტივი იმ ქალისკენ იქნებოდა მიმართული! - და მძღოლს უბრძანებს, - მოუმატე სიჩქარეს.

მძღოლი კი მოძრაობის მომწესრიგებელზე მიუთითებს, რომელიც ანიშნებს, იარეთ, არ შეყოვნდეთო.

ვარსკვლავი ხმამაღლა ოხრავს - აშკარაა, დღეს მისი დღე არ არის. მაინც რატომ გადაწყვიტა შემთხვევით მის გვერდზე მოხვედრილი დამწყები მსახიობისთვის გულის გადაშლა? მართალია, ნამდვილად უჭირს თავისი ცხოვრებით ცხოვრება, მაგრამ, ამასთან, სხვა რამის წარმოდგენაც არ შეუძლია.

- არ იჩქარო, - ჭკუას არიგებს გაბრიელას, უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება დიდხანს შევყოვნდეთ, საჭიროა, საკმაო მანძილი გვაშორებდეს ჩვენ და იმ ქალბატონს.

კინოსაოცრებას გულისხმობდა.

წინა მანქანიდან გადმოსული წყვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ვერ იქცევს. თუმცა ეს ადამიანები აშკარად გამოჩენილნი იქნებოდნენ, რადგან დღემდე არავის მოუხერხებია კანის კიბის პირველ საფეხურებთან დგომა, მანამდე მრავალი და მრავალი მწვერვალი რომ არ ჰქონდეთ დაპყრობილი.

ვარსკვლავი ცოტა მშვიდდება, მაგრამ ახლა გაბრიელა იძაბება, რადგან არ იცის, როგორ დაიჭიროს თავი. ხელისგულები უოფლიანდება, გვერდზე იკრავს ქაღალდებით გავსებულ ჩანთას, ოხრავს და ლოცვას ბუტბუტებს.

- ნუ აჩქარდები, - უმეორებს ვარსკვლავი, - და ნუ მეკვრი, ცოტა განზე გაიწიე.

ლიმუზინი ჩერდება. ორივე კარი იღება.

იმავე წამს მრავალხმიანი ყვირილი ყოველი მხრიდან თავს ატყდება გაბრიელას და მხოლოდ ახლა ხვდება, რომ ადრე სალონის შესანიშნავი ხმის იზოლაციის გამო არ ესმოდა ეს ყველაფერი. მანქანიდან გადმოსულ ვარსკვლავს მომხიბვლელი ღიმილი უნათებს სახეს. თითქოს ორიოდე წუთის წინათ არ წარმოეთქვას აშკარად სიმართლეს მიმსგავსებული მწარე აღიარება, ის მაინც იყო და რჩება სამყაროს ცენტრად. ეს ადამიანი ვერ ეგუება საკუთარ თავს, თავის წარსულს და წრეს, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც არ შეუძლია უკან დახევა.

„რაზე ვფიქრობ, გონს უნდა მოვეგო, სინამდვილეს დავუბრუნდე... და კანის კიბის საფეხურებზე ავიდე!“

ორივე ესალმება უაკრედიტაციო რეპორტიორებს და ორიოდე წუთით პოზირებენ. ადამიანები უწვდიან ქაღალდის ნაგლეჯებს, ვარსკვლავიც არიგებს ავტოგრაფებს და მადლობას უხდის ფანებს. გაბრიელამ არ იცის, რა ქნას, ვარსკვლავის გვერდით დარჩეს, თუ წითელი ხალიჩისკენ და კონგრესის სასახლის შესასვლელისკენ წავიდეს. სწორედ ამ დროს ვიღაც მასაც უწვდის კალმისტარს და ქაღალდის ფურცელს.

ეს არ არის მის ცხოვრებაში პირველი ავტოგრაფი, მაგრამ, უეჭველია, ყველაზე მნიშვნელოვანია. ის უყურებს ქალს, რომელიც ცდილობს, წრე გაარღვიოს, გაბრიელა უღიმის და სახელს ეკითხება, მაგრამ ფოტოგრაფები ისე ყვირიან, პასუხი არ ესმით.

აჰ, რა იქნება, ამ ცერემონიას მთელ მსოფლიოში პირდაპირი ეთერით გადასცემდნენ და დედამისმა დაინახოს, რა გასაოგნებელი ტანსაცმლით დგას უსახელგანთქმულესი კინომსახიობის გვერდით და როგორ აძლევს ავტოგრაფს; ამაზე მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა მთელი მისი ოცდახუთი წლის ცხოვრების მანძილზე! ქალის სახელი მაინც ვერ გაიგონა, უღიმის და უბრალოდ წერს „სიყვარულით“. ვარსკვლავი უახლოვდება.

- წავიდეთ. გზა თავისუფალია.

ქალი, რომელსაც გაბრიელამ ეს-ესაა დაუწერა გულთბილი სიტყვები, კითხულობს და პროტესტს აცხადებს:

- ეს რა ავტოგრაფია! თქვენი სახელი მინდოდა, რომ მერე ფოტოსურათზე ამომეცანით.

გაბრიელა ისე იქცევა, ვითომც არაფერი არ გაეგონოს. ამქვეყნად არავის და არაფერს შეუძლია გაუფუჭოს ეს ჯადოსნური წამი.

ისინი ასვლას იწყებენ ევროპის უმაღლეს პოდიუმზე; თუმცა პუბლიკა კარგა შორს დარჩა, პოლიცია მაინც მჭიდროდ შემოწყობია კიბეებს. ორივე მხარეს ფასადზე მიმაგრებული ვეებერთელა პლაზმური ეკრანები გარეთ თავმოყრილ უბრალო მოკვდავთ უჩვენებენ, რა ხდება ამ ტაძარში. საიდანღაც ისმის ისტერიკული კივილი და გააფთრებული ტაშისკვრა. შედარებით ფართო საფეხურთან მისვლისას, გაბრიელა ფოტოგრაფთა ახალ ჯგუფს ხედავს, ქვემოთ მდგარი თავიანთი კოლეგებისაგან განსხვავებით ელეგანტური კოსტიუმები აცვიათ. ისინი ყვირიან ვარსკვლავის სახელს, სთხოვენ: „აქეთ მოტრიალდით... არა, აქეთ... ცოტა მარჯვნივ... ოდნავ მარცხნივ... ზევით აიხედეთ... ქვემოთ დაიხედეთ...“ მათ ახლოს ჩაუვლიან და კიბეზე ადიან სხვა წყვილები, მაგრამ ფოტოგრაფებს ისინი არ აინტერესებთ, ვარსკვლავი კი მთელი თავისი ბრწყინვალეებით განასახიერებს უდარდელობას და ხუმრობს.

გაბრიელა ატყობს, თვითონაც იპყრობს ყურადღებას, მის სახელს არ ყვირიან (თითქმის არავინ იცნობს), მაგრამ ვარაუდობენ, რომ ეს სახელგანთქმული მსახიობის

ახალი გატაცებაა და სთხოვენ მასთან ახლოს მივიდეს, ერთად რომ გადაუღონ (ვარსკვლავიც რამდენიმე წამით გაბრიელასკენ იწევს, მაგრამ მაინც იცავს კეთილგონივრულ დისტანციას და მასთან შეხებას თავს არიდებს).

მათ მოახერხეს, ჩამორჩენოდნენ კინოდედოფალს! ის ამ წუთას სასახლის კარშია და ფესტივალის პრეზიდენტსა და კანის მერს ესალმება.

ვარსკვლავი ანიშნებს გაბრიელას, საფეხურებზე ასვლა განაგრძოს. ისიც ემორჩილება. იყურება ზემოთ და ხედავს კიდევ ერთ უზარმაზარ ეკრანს, მოთავსებულს ისეთი სტრატეგიული ჩანაფიქრით, რომ ადამიანებმა თავიანთი თავი დაინახონ. დინამიკებიდან წამყვანის ხმა ისმის.

- ახლა ჩვენ ვესალმებით...

და ისმის ვარსკვლავის სახელი და მისი ყველაზე ცნობილი ფილმის სახელწოდება. ისინი ნელა ადიან საფეხურებზე, მიდიან კარამდე, ესალმებიან პრეზიდენტსა და მერს და შედიან სასახლეში. მთელი ეს პროცედურა სამიოდე წუთს გრძელდება.

ვარსკვლავს დაუყოვნებლივ გარს ერტყმიან. ყოველი მხრიდან ეხვევიან ადამიანები, რომელთაც ოცნებად აქვთ ქცეული, უთხრან რამდენიმე სიტყვა, მასთან გადაიღონ სურათი (ამ სისუსტისკენ - სურათი გადაიღონ სახელგანთქმულ ადამიანთან - რჩეულებსაც აქვთ მიდრეკილება). შიგნით ძალიან ცხელა. გაბრიელას ეშინია, მაკიაჟი არ დაედღაბნოს...

მაკიაჟი!

ღმერთო! სულ დაავიწყდა! ახლა მარცხენა კარით უნდა გასულიყო და იქ ვიღაც დალოდებოდა. ფეხებს მექანიკურად აბიჯებს, ჩადის კიბეზე, ჩაუვლის ორ თუ სამ მცველს: ერთ-ერთი ინტერესდება: „მოსაწევად გამოხვედით? ჩვენების დაწყებისას დაბრუნდებით?“ „არა“, - პასუხობს გაბრიელა და გზას განაგრძობს.

ჩაუვლის რამდენიმე ლითონის ბარიერს, მაგრამ უკვე არავინ არაფერს ეკითხება. არავის უკვირს, რომ გამოდის იქიდან, საითაც სხვები ასე ისწრაფვიან. ზურგს უკან უზარმაზარ ჯგუფს ხედავს - ხალხი ხელების ქნევასა და კივილს განაგრძობს - ესალმებიან მოახლოებულ, ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულ ლიმუზინებს. ვიღაც მამაკაცი გაბრიელასთან მიდის, სახელს ეკითხება და სთხოვს, თან გაჰყვეს.

- შეიძლება ერთი წუთით მომიცადოთ?

კაცი აშკარად გაკვირვებულია, მაგრამ მაინც თავს უქნევს. გაბრიელას თვალი ვერ მოუწყვეტია ძველებური კარუსელისთვის, რომელიც აქ, ალბათ, გასული საუკუნის დასაწყისიდან დგას. კარუსელი ტრიალებს, ბავშვები, ცხენებსა და სპილოებზე რომ სხედან, ხან მაღლა აიწევიან, ხან ძირს ეშვებიან.

- აბა, წავიდეთ? - დელიკატურად ეკითხება მამაკაცი.

- კიდევ ერთი წუთი...

- გვაგვიანდება.

გაბრიელას უკვე აღარ შეუძლია თავის შეკავება, გულამოსკვნილი ტირის, ეტყობა, ახლახან გადატანილი სამწუთიანი საშინელებისა და უკიდურესი დაძაბულობის გამო, გადაავიწყდა, მაკიაჟი რომ უნდა გაესწორებინა. მწარედ და უნუგეშოდ ქვითინებს, მთელი ტანით ცახცახებს. მამაკაცი ხელს უწვდის, რათა გაბრიელა დაეყრდნოს, მაღალი ქუსლების გამო რომ არ წაიბორძიკოს და ორივენი კრუაზეტის სანაპიროსკენ გამომავალი მოედნით მიდიან. ზურგს უკან ხალხის ხმაური თანდათან წყდება, სამაგიეროდ, გაბრიელა უფრო გულამოსკვნით ქვითინებს, თითქოს გადაუწყვეტია დღევანდელი დღის, ამ კვირისა და მთელი განვლილი წლების დაუღვრელი ცრემლები ახლა დაღვაროსო.

- მაპატიეთ, - ეუბნება მხლებელს.

მამაკაცი თავზე ხელს უსვამს და ალერსიანად, თანაგრძნობით უღიმის.

7:31 PM

და აი, როგორც იქნა, მიხვდა: არ შეიძლება ბედნიერების ნებისმიერ ფასად მიღწევა. ცხოვრებამ ისედაც ზომაზე მეტი არგუნა და ახლა უკვე შეუძლია აღიაროს, რომ ის მის მიმართ უჩვეულოდ გულუხვი იყო. დღეიდან უკვე სიცოცხლის ბოლომდე იმის ცდაში იქნება, მის ტანჯვაში დამარხული განძი გადაარჩინოს და თითოეული სასიხარულო წუთი ისე განიცადოს, თითქოს უკანასკნელი იყოს.

მან დაჯაბნა ცდუნება. მას იცავს გოგონას სული, ასე გონივრულად რომ გამოიცნო მისი მისია, ახლა კი თანდათანობით კანში მისი ჩამოსვლის ჭეშმარიტ მიზეზს უჩვენებს.

სანამ იგორი პიცერიაში იჯდა და ფირით მოსმენილს იხსენებდა, ცდუნება ადანაშაულებდა, რომ ის გიჟია და შეუძლია ირწმუნოს, თითქოს სიყვარულის გამო ყველაფერი დასაშვებია. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეს მხოლოდ რამდენიმე წუთს გრძელდებოდა, ახლა ყველაფერი უკან დარჩა.

ის სავსებით ნორმალურია. საქმე, რასაც შესჭიდებია, მოითხოვს გეგმის შედგენას, გარიგებასა და თვითდისციპლინას. ბევრი მისი მეგობარი ემდურება, რომ ბოლო ხანებში რაღაც გაუცხოებულია და თავს არიდებს ადამიანებს. ისინი ვერ ხვდებიან, რომ ყოველთვის ასე იყო.

თუმცა დღესასწაულებს, ზეიმებს, ქორწილებს, ნათლობებს ესწრებოდა და თავს იკატუნებდა, თითქოს კვირაობით გოლფის თამაში აინტერესებდა, ეს მხოლოდ თავისი პროფესიული მიზნის მისაღწევად სჭირდებოდა. მუდამ სძულდა ეგრეთ წოდებული მაღალი წრის საზოგადოების ცხოვრება, როცა ადამიანები ღიმილის მიღმა სულიერ სევდას ფარავენ. არც იმის მიხვედრა გასჭირვებია, რომ სუპერკლასი ისევეა დამოკიდებული თავის წარმატებაზე, როგორც ნარკომანი - საწამლავზე, და იმათზე გაცილებით უბედურები არიან, ვისაც არაფერი აქვს, გარდა სახლისა და ბაღისა, სადაც ბავშვები თამაშობენ, გარდა ყოველდღიური სუპისა და კერიისა, სადაც ზამთრობით ცეცხლი გიზგიზებს. იმათ თავიანთი ზღვარი მაინც იციან - რომ ცხოვრება ხანმოკლეა და აზრი არა აქვს უფრო შორს წასვლას.

სუპერკლასი თავისი ფასეულობების გაყიდვას ცდილობს. ნორმალური, ჩვეულებრივი ადამიანები ჩივიან, რომ ზეცა მათ მიმართ უსამართლოა, შურთ შეძლებულთა ძალაუფლების; იტანჯებიან, როცა ხედავენ, როგორ ერთობიან სხვები, და ვერ მიმხვდარან, რომ არც არავინ ერთობა: ყველა შეფიქრიანებულია, არა აქვთ საკუთარი თავის რწმენა, ყველა თავის ძვირფასეულობას, ავტომობილებს, სქელ საფულეს - არასრულფასოვნების უმძიმეს კომპლექსს არის ამოფარებული.

იგორს სისადავე უყვარს. ევა ხშირად ემდუროდა ჩაცმის მანერის გამო, მაგრამ რატომ უნდა გადაეხადა პერანგში გონივრულ ფასზე მეტი, საყელოს შიგნით ეტიკეტი რომ ჰქონდა მიკერებული? რატომ უნდა შესულიყო მოდურ რესტორნებში, თუკი იქ ვერ მოისმენდა რაიმე მნიშვნელოვანს? ევა ხშირად საყვედურობდა, რომ როცა მოვალეობის გამო დღესასწაულებზე, ცერემონიებსა და სხვა ღონისძიებებზე უხდებოდა დასწრება, მეტისმეტად გულჩათხრობილი ჩანდა; იგორიც ცდილობდა, სხვაგვარად მოქცეულიყო და ხალხს მოსწონებოდა - თუმცა ეს თავად სრულიად ზედმეტად მიაჩნდა.

კულტურული ადამიანები... უზრუნველყოფილი ადამიანები... მომხიბლავი ადამიანები... თითოეული მათგანი დღის ბოლოს საკუთარ თავს ერთსა და იმავეს ეკითხება: „ხომ არ შევჩერდე?“ და თითოეული მათგანი ერთსა და იმავეს პასუხობს: „რომ შევჩერდე, ცხოვრება აზრს დაკარგავს“.

შეიძლება იფიქრო, რომ მათ იციან, რაშია ცხოვრების აზრი.

ცდუნებამ ბრძოლა წააგო. სურდა, იგორი დაერწმუნებინა, რომ ის შეშლილია, ვინაიდან ერთია - ჩაიფიქრო ადამიანების მსხვერპლად შეწირვა და სრულიად სხვაა - გაბედო და შეძლო მისი განხორციელება. ცდუნება უმტკიცებდა, რომ ყველა ვოცნებობთ, ჩავიდინოთ დანაშაული, მაგრამ მხოლოდ შეშლილებს შეუძლიათ ამ ავბედითი ოცნების სისრულეში მოყვანაო.

იგორი ნორმალური და წარმატებულია. თუ მოისურვებდა, შეეძლო, მსოფლიოში საუკეთესო პროფესიონალი ქილერი დაექირავებინა, რომელიც დავალებას

შეასრულებდა და ევას შეტყობინებას გაუგზავნიდა; თუ მოისურვებდა, გაურიგდებოდა მსოფლიოში საუკეთესო პიარსააგენტოს და წლის ბოლოს ნომერ პირველ თემად იქცეოდა არა მარტო სპეციალური გამოცემებისთვის, არამედ ჟურნალებისთვისაც, წარმატებას, დიდებას, ბრწყინვალებას რომ ასხამენ ხოტბას. უეჭველია, მისი ყოფილი ცოლი მწარედ ინანებდა თავის მცდარ გადაწყვეტილებასა და მის დამღუპველ შედეგებზე. იგორს კი ზუსტად ეცოდინებოდა, როდის უნდა გაეგზავნა ყვავილები და ეთქვა: „დაბრუნდი - მე გაპატიე“. მას ყველა სოციალურ ფენასთან აქვს კავშირები - პროდიუსერებიდან და იმპრესარიოებიდან დაწყებული - შეუპოვრობითა და მუდმივი ძალისხმევით მწვერვალებისთვის რომ მიუღწევიათ, დამნაშავეებით დამთავრებული, ცხოვრებაში ერთხელაც რომ არ მისცემიათ სიკეთისკენ შემობრუნების შანსი.

ახლა კანში იმიტომ კი არ იმყოფება, რომ უკუღმართ სიამოვნებას ღებულობს; ასეთ სარისკო სიტუაციაში ცეცხლის ხაზზე დგომა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ დარწმუნებულია: ამ უსასრულოდ გაჭიანურებულ დღეებში მის მიერ გადადგმული ნაბიჯები არასდროს გახდება იმის უცილობელი, ფუნდამენტური პირობა, რომ უწინდელი იგორის შიგნით მცხოვრებმა ახალმა იგორმა მისი ტრაგედიის ფერფლიდან აღდგენა შეძლოს.

ის მუდამ ისეთი ადამიანი იყო, ვისაც უნარი შესწევდა, მიეღო ძნელი გადაწყვეტილება და თავისი ბოლომდე გაეტანა, თანაც ამქვეყნად არავინ, ევამაც კი არ იცოდა, რა ხდებოდა მისი სულის ბნელ კუნჭულებში. ის უსიტყვოდ იტანდა მუქარასა და შეურაცხყოფას ჯგუფებისაგან თუ ცალკეული პირისგან და პასუხობდა მხოლოდ მაშინ, როცა, როგორც მუქარების, ისე დამმუქრებელთა ლიკვიდაცია შეეძლო. მან ისწავლა, სახლისთვის აერიდებინა შიში და საფრთხე: ევას უშფოთველად უნდა ეცხოვრა და იმ დავიდარაბასაც კი არ უნდა მიმხვდარიყო, რაც ცხოვრების გზაზე აუცილებლად ხვდება ყველა ბიზნესმენს. ევას იფარავდა ყველა უსიამოვნებისგან, პასუხად კი, როგორც გაირკვა, ვერც მადლობა მიიღო და ვერც თანაგრძნობა.

ოლივიას სულმა შთააგონა ეს აზრი, დაამშვიდა, მაგრამ იმავე დროს ისეთი რამ დაუმატა, რაზეც იგორს ადრე არასდროს უფიქრია: ის აქ იმტომ კი არ ჩამოსულა, რომ დაებრუნებინა ქალი, რომელმაც მიატოვა, არამედ იმიტომ, რომ საბოლოოდ დარწმუნებულიყო - იგი არ ღირდა მთელ ამ მტანჯველ წლებად, არც რუდუნებით ნაფიქრ თვეებად და არც იგორის მიტევების, დიდსულოვნებისა და მოთმენის ფასად.

გაუგზავნა ერთი, ორი, სამი შეტყობინება, ევა კი არც გამოხმაურებია. იმაზე იოლი არაფერია, შეიტყოს, რომელ სასტუმროშია იგორი. ხუთი-ექვსი ზარი პირველი კლასის სასტუმროში პრობლემას ვერ გადაწყვეტდა, რადგან ის სხვა სახელითაა რეგისტრირებული და მოღვაწეობის სხვა სფერო აქვს მითითებული, მაგრამ ვინც ეძებს, ის პოულობს.

fb.com/groups/elib

იცის, რომ კანის მოსახლეობა, სამოცდაათი ათასი მცხოვრები, ფესტივალის დროს სამმაგდება. მაგრამ აქ ჩამოსული ადამიანები მუდამ ცდილობენ, იქვე იცხოვრონ, სადაც ადრე უცხოვრიათ. სად არის ევა? მისსავე სასტუმროში და სტუმრობს იმავე ბარს - წუხელ ნახა იქ თავის ახალ რჩეულთან ერთად. მიუხედავად ამისა, კრუაზეტზე თავისი ყოფილი ქმრის საძებნელად არ გამოსულა. არ ცდილობს, გაიგოს, სად ცხოვრობს ან რომელიმე საერთო მეგობარს მაინც დაურეკოს; ერთ-ერთმა მათგანმა, ყოველი შემთხვევისთვის, ამომწურავი ინფორმაცია მიიღო იგორისგან, რაკი ვარაუდობდა, რომ ევა დაუკავშირდებოდა მას, როცა შეიტყობდა, რა ახლოს იყო მისი ყოფილი ქმარი.

მეგობარმა ამ შემთხვევისთვის ინსტრუქციაც მიიღო - ევასთვის უნდა აეხსნა, სად შეიძლებოდა იგორის ნახვა, მაგრამ მეგობარს ჯერჯერობით არაფერი უთქვამს.

იგორი ტანსაცმელს იხდის და შხაპის მისაღებად შედის. დიახ, ევას არ დაუმსახურებია... თითქმის დარწმუნებულია, რომ დღეს საღამოს ევას შეხვდება, მაგრამ ეს შეხვედრა ყოველ წუთს თანდათან კარგავს მნიშვნელობას. შესაძლოა, მისი მისია უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ვიდრე ის, რომ დაიბრუნოს იმ ქალის სიყვარული, ვინც უღალატა და ახლა დამნაშავედ გამოჰყავს. პორტუგალიელი გოგონას სული იგორს ბრძოლებს შორის, შესვენების დროს ერთი ავღანელი მოხუცის მიერ მოყოლილ ამბავს ახსენებს.

ჰერათის მთებზე მდებარე ქალაქის მცხოვრებნი ასწლოვანი არეულობის, განხეთქილებისა და ცუდი მმართველობის შემდეგ სასოწარკვეთილებას მიეცნენ. არ შეიძლება, ავდგეთ და უცებ დავამხოთ მონარქი, მაგრამ არც ის შეიძლება, თაობებმა მოითმინონ ქედმაღალი მეფეები, რომლებიც მარტო თავიანთ კეთილდღეობაზე ფიქრობენო, და შეიკრიბა ლოია ჯირგა, რაც პუშტუნთა ენაზე დიდ საბჭოს ნიშნავს - მოხუცთა და ბრძენთა საბჭოს.

და საბჭომ გადაწყვიტა: მეფე ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ავირჩიოთ და მთელი ძალაუფლება ვუბოძოთ. მას შეუძლია გაზარდოს ხარკი, მოითხოვოს სიტყვაშეუბრუნებელი მორჩილება, ყოველი ღამე ახალ-ახალ ქალთან გაატაროს, ჭამოს, რაც მოესურვება და სვას დათრობამდე. ეცვას საუკეთესო ტანსაცმელი, ჰყავდეს უიშვიათესი ცხენები, დაბოლოს - ყველა მისი ბრძანება, რაგინდ სულელურიც უნდა იყოს, შესრულდეს და არავის ექნება უფლება, სადავო გახადოს მისი სამართლიანობა, ანდა მის ბრძანებაში აზრის ძიება დაიწყოს.

მაგრამ ოთხი წლის გასვლის შემდეგ მბრძანებელი მოვალეა, უარი თქვას ტახტზე და ოჯახთან ერთად მიატოვოს ქალაქი, თან მხოლოდ ის წაიღოს, რაც ტანზე აცვია. ყველამ იცოდა, რომ ეს სამი, ოთხი დღის შემდეგ სიკვდილს უდრიდა, რადგან ქალაქს ყოველი მხიდან თვალუწვდენელი უდაბნო ერტყა, სადაც ზამთრობით საშინელი ყინვები, ზაფხულობით კი აუტანელი სიცხე იცოდა.

საბჭოს წევრები ვარაუდობდნენ, ვერავინ გარისკავდა ძალაუფლების ხელში აღებას და მაშინ შეიძლება დაბრუნებოდნენ უძველეს ადათ-წესებს - ხალხთა უმრავლესობას აერჩია მბრძანებელი. გამოაცხადეს თავიანთი გადაწყვეტილება - მბრძანებლის ტახტი თავისუფალია, მაგრამ მის დასაკავებლად საჭიროა ამ მკაცრი პირობების შესრულებაო. თავდაპირველად რამდენიმე ადამიანი მიიზიდა ასეთმა პირობებმა. პირველად კიბოთი დაავადებულმა მოხუცმა მიიღო ეს გამოწვევა, მაგრამ ის თავისი მმართველობის შუახანს გარდაიცვალა. ის შეშლილმა შეცვალა, რომელიც თავისი ჭკუასუსტობის გამო ვერ მიხვდა პირობებს და ოთხი წლის შემდეგ კი არა, ოთხი თვის მერე დაიკარგა უდაბნოში. ამის შემდეგ იმაზე საუბარი დაიწყეს, რომ ტახტი დაწყევლილია და აღარავის აქვს სურვილი გარისკოსო. ქალაქი უხელისუფლოდ დარჩა. მღელვარება ძლიერდებოდა. ხალხი მიხვდა, რომ მონარქი სამუდამოდ უნდა დაევიწყებინა და თავისი ადათ-წესების შესაცვლელად ემზადებოდა. ლოია ჯირგა კი შეიკრიბა და მზად იყო, მოეწონებინა თავისი წევრების ბრძნული გადაწყვეტილება - ხალხისთვის ძალა ხომ არავის დაუტანებია. ასეთი ეშმაკური ხერხით შეძლეს აღეკვეთათ ამ ძალაუფლების მოყვარულთა განზრახვა.

მაგრამ ამ დროს გამოჩნდა ვიღაც ახალგაზრდა კაცი, რომელსაც უკვე მოესწრო ცოლის შერთვა და სამი შვილიც ჰყავდა.

- მზად ვარ, დავიკავო ტახტი, - თქვა მან.

ბრძენმა მოხუცებმა აუხსნეს, როგორი სარისკო საქმე იყო ეს. ურჩევდნენ, არ დავიწყებოდა მცირეწლოვანი შვილები, ეს ხომ იმიტომ მოვიფიქრეთ, რომ თავგადასავლების მაძიებლებისა და დესპოტებისთვის ხელი შეგვეშალაო, მაგრამ ახალგაზრდის გადაწყვეტილება ურყევი აღმოჩნდა. და რაკი ლოია ჯირგას უკან დასახევი გზა არ ჰქონდა, ისღა რჩებოდა, თავისი გეგმა კიდევ ოთხი წლით გადაევადებინა.

ახალგაზრდა და მისი ოჯახი კი დიდებული მმართველები აღმოჩნდნენ - სამართლიანები და მიუკერძოებლები იყვნენ, სურსათ-სანოვაგეს ფასები დააკლეს, აწყობდნენ წელიწადის დროთა ცვლის აღსანიშნავ დღესასწაულებს, ხელს უწყობდნენ ხელოსნობისა და ხელოვნების განვითარებას. მაგრამ ყოველ ღამე ქალაქის კარიბჭიდან გადიოდა მძიმედ დატვირთული ქარავანი, რომელიც ისე იყო ჯვალოებით დაფარული, რომ არავის შეეძლო ენახა, რა იყო შიგნით.

გადიოდა და უკან აღარ ბრუნდებოდა.

თავდაპირველად საბჭოს წევრები ფიქრობდნენ, რომ მეფეს ქალაქიდან განძეული გაჰქონდა, მაგრამ მერე მიხვდნენ, ასე არ იყო. მას ხომ არასდროს დაუტოვებია ქალაქის კედლები: თუკი ამას ეცდებოდა, სულ მალე დარწმუნდებოდა, რომ ცხენები დიდხანს ვერ გაძლებდნენ, რადგან ირგვლივ გარემო ცხოვრებისთვის სრულიად გამოუსადეგარი იყო. საბჭო ხელახლა შეიკრიბა და გადაწყვიტა, დაე, როგორც სურს

ისე მოიქცეს, როცა მმართველობის ვადა დაუმთავრდება, წავიდეთ და ვნახოთ, სად დაეცემიან მშიერი ცხენები, წყურვილისაგან სად დაიხოცებიან ადამიანები და ყველაფერი უკან წამოვიღოთო.

შეწყვიტეს ღელვა და მოთმინებით დაიწყეს ლოდინი.

ოთხწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, მეფე, როგორც დათქმული იყო, უნდა გადამდგარიყო და ქალაქი დაეტოვებინა, მაგრამ ხალხი აღშფოთდა: მათ ხომ დიდი ხანია არ ჰყოლიათ ასეთი სამართლიანი და ბრძენი მბრძანებელი.

თუმცა ლოია ჯირგას გადაწყვეტილება უნდა შესრულებულიყო. ახალგაზრდა მმართველმა ცოლ-შვილს სთხოვა, თან გაჰყოლოდნენ.

- მე წამოვალ, მაგრამ ბავშვები მაინც დავტოვოთ: ისინი გადაურჩებიან სიკვდილს, გაიზრდებიან და ხალხს შენს ამბავს მოუყვებიან, - უთხრა ცოლმა.

- მომენდე, - მიუგო მეფემ.

ტომის მკაცრი ჩვეულების მიხედვით, ცოლი მოვალე იყო, ქმარს დამორჩილებოდა. ისინიც შესხდნენ ცხენებზე და გაემართნენ ქალაქის ჭიშკრისკენ, თან ამ დროის მანძილზე შეძენილ მეგობრებს ემშვიდობებოდნენ. უხუცესები კმაყოფილნი იყვნენ, მეფე ასეთი მრავალრიცხოვანი მომხრეებით წინ რომ არ აღუდგა მათ ნებას, და, მაშასადამე, ბოლოს და ბოლოს, საზოგადოებრივ წყობაში ხალხის გამგებლობა დანერგეს.

პირველი შესაძლებლობისთანავე კი ქალაქში განძს დააბრუნებდნენ, რომელიც ალბათ აქედან სამი დღის სავალზე იქნებოდა.

ოჯახი სიკვდილის ველს ხმაამოუღებლივ მიუყვებოდა. ცოლს ვერ გაებედა სიტყვის დაძვრა, ბავშვებს ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა, ყოფილი მმართველი კი ღრმა ფიქრებში იყო ჩაფლული. პირველი გორაკის გადალახვის შემდეგ, მთელი დღე უსასრულო უდაბნოში მიდიოდნენ, ღამე კი მომდევნო გორაკზე გაატარეს.

ცოლს განთიადისას გამოეღვიძა, სურდა, მშობლიური ქალაქისთვის კიდევ ერთხელ შეეხედა - მას ხომ ორი დღის სიცოცხლეზე მეტი აღარ დარჩენოდა. მერე კი, უფრო ზევით რომ ავიდა, ძირს გადმოიხედა, თუმცა იცოდა, რომ უსიცოცხლო თვალუწვდენელ ვაკეს დაინახავდა. უცებ გაოცებისგან გაშეშდა:

აღმოჩნდა, რომ ქარავანს, ოთხი წლის მანძილზე ქალაქიდან ზედიზედ რომ გამოდიოდა, ფერადი ქვები და ოქროს მონეტები კი არ გამოჰქონდა, არამედ - თესლი, აგური, ხე, კრამიტი, ბურღები და ტუმბოები, რათა მიწის სიღრმიდან წყალი მოეპოვებინათ.

და მის თვალწინ ახალი ქალაქი წამოიმართა - ლამაზი, კეთილმოწყობილი და საცხოვრებლად მოხერხებული.

ქმარს გამოეღვიძა, ცოლთან მივიდა, გვერდში ამოუდგა და ასე უთხრა:

- აი, ჩვენი სამეფო. გავიგე თუ არა ლოია ჯირგას გადაწყვეტილება, მაშინვე ვიფიქრე: არა ღირს, ოთხ წელიწადში აღვადგინო ის, რასაც საუკუნეების მანძილზე ანგრევდნენ ანგარებიანი და უნიჭო ხელისუფალნი. სამაგიეროდ, შეიძლება ყველაფერი თავიდან დავიწყო, პირველი ქვიდან და სუფთა ფურცლიდან.

და აი, ისიც, იგორიც, შხაპის ხმაურს რომ უსმენს, ყველაფერს ხელახლა იწყებს. ის, ბოლოს და ბოლოს, ხვდება, რატომაა ახლა მის გვერდით პირველი ადამიანი, ვისაც კანში აზრიანად ელაპარაკა, ის მართავს მის ყოველ ნაბიჯს, ეხმარება, უხსნის, რომ მისი მსხვერპლი არც შემთხვევითი ყოფილა და არც ამაო. გარდა ამისა, მან მიახვედრა, რომ ევა მუდამ სოციალური წარმატებებით დაინტერესებული გაუკუღმართებული არსება იყო და ამგვარი წარმატების შემთხვევაშიც კი მიატოვებდა ქმარს.

მოსკოვში დაბრუნებისთანავე სპორტით უნდა დაინტერესდე. ის არასასურველ დაძაბულობას მოგიხსნის.

ცხელი ორთქლის ნისლში მას შეეძლო ოლივიას სახის გარჩევა. არასოდეს არავისთან უგრძნია ისეთი სიახლოვე, როგორიც ამ ახალგაზრდა პორტუგალიელ გოგონასთან.

წინ იარე. არ გაჩერდე. თუნდ რწმენა და სასოება დაკარგო, მაინც წინ იარე. უფლის განზრახვა საიდუმლოს შესრულებაა და ხანდახან ის სამართლიან გზას მხოლოდ იმას უჩვენებს, ვინც უკვე გზაზეა დამდგარი.

გმადლობ, ოლივია! ვინ იცის, ეგებ აქ იგორი იმისთვის იმყოფება, რომ სამყაროს უჩვენოს მთელი ის სიმახინჯე, რის გამოვლინებადაც უკვე რა ხანია იქცა კანი.

იგორი არ არის ამაში დარწმუნებული, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ის აქ უბრალოდ არ აღმოჩენილა, ორი წლის დაძაბულობამ, შიშმა, ეჭვმა, როგორც იქნა, თავისი გამართლება ჰპოვა.

შეიძლება წარმოიდგინო, როგორი იქნება შემდგომი ფესტივალი: მაგნიტური საშვი თუ არ გექნება, პლაჟზეც კი არ შეგიშვებენ. ყველა სახურავზე ელიტური ქვეგანაყოფიდან განალაგებენ სნაიპერებს. ასობით სამოქალაქო ტანსაცმლიანი პოლიციელი ბრბოში შეერევა. ყოველი სასტუმროს კარში დადგამენ მეტალოდეტექტორებს და დიდმა სუპერკლასელებმა უნდა იცადონ, როდის მორჩებიან პოლიციელები მათი ბარგის დათვალიერებას, სთხოვენ, გაიხადონ ფეხსაცმელი და კიდევ ერთხელ გაიარონ, რადგან დეტექტორმა რეაგირება მოახდინა ჯიბეში ჩარჩენილ მონეტებზე. ჭაღარაშერეულ მამაკაცებს ხელებს ააწევინებენ და სისხლის სამართლის დამნაშავესავით დაუწყებენ ჩხრეკას, ქალბატონებმა კი უნდა გაიარონ ძველ, დახვეწილ ინტერიერთან უხეშ დისჰარმონიაში მყოფ ბრეზენტის შემოღობილ სივრცეში და გარეთ, რიგში მანამდე უნდა იდგნენ და მოთმინებით

იცადონ, სანამ პოლიციელი გოგონა, ბოლოს და ბოლოს, არ დაადგენს, რომ სიგნალის მიზეზი ლიფში ჩაკერებული ლითონი იყო.

და მაშინ ქალაქი გამოაჩენს თავის ჭეშმარიტ სახეს. სიმდიდრე და ბრწყინვალება შეიცვლება დაძაბულობით, შეურაცხყოფით, პოლიციელების გულგრილი გაAAმოხედვით, დაკარგული დროით. გაუცხოება მოიმატებს და ამჯერად არა რჩეულთა მუდმივი ამპარტავნობის, არამედ თავად მოვლენათა მსვლელობის გამო. ზღვის სანაპირო კურორტზე გააგზავნიან სამხედრო ქვედანაყოფს და ამოცანად დაუსახავენ, დაიცვან ისინი, ვისაც დასვენება და გართობა სურს, და ამის გამო არცთუ ცოტა დანახარჯი დააწვებათ გადასახადების გადამხდელებს.

დაიწყება საპროტესტო დემონსტრაციები - პატიოსანი მშრომელები გამოვლენ ამ უაზრობის წინააღმდეგ. ხელისუფლება გამოაქვეყნებს განცხადებას, განიხილება იმის შესაძლებლობა, რომ გადასახადების ნაწილი ფესტივალის ორგანიზატორებმა აიღონ თავის თავზეო.

კანი კვდომას დაიწყებს. გაივლის კიდევ ერთი, ორი წელიწადი და ნათელი გახდება: კანონიერებისა და წესრიგის აღსადგენად მიღებულმა ზომებმა თავისი ნაყოფი გამოიღო - ფესტივალის დროს არც ერთი დანაშაული. ტერორისტები ვეღარ ახერხებენ პანიკის დათესვას. ეცდებიან, დრო უკან დააბრუნონ, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდება. კანი ნელა-ნელა მოკვდება. ახალი ბაბილონი განადგურდება, თანამედროვე სოდომი მსოფლიოს რუკიდან გაქრება.

სააბაზანოდან მზა გადაწყვეტილებით გამოდის: რუსეთში დაბრუნებისთანავე განკარგულებას გასცემს, მოძებნონ ოლივიას მშობლები და კარგი რეპუტაციის მქონე ბანკის მეშვეობით ანონიმური შეწირულობა გადაურიცხონ. მონახავს ნიჭიერ მწერალს და შეუკვეთავს გოგონას ცხოვრების აღწერას, მერე კი გადაიხდის ფულს წიგნის ყველა ენაზე სათარგმნელად.

გოგონას ამბავი: ის ყიდდა სუვენირებს, სცემდა საყვარელი და ექსპლუატაციას უწევდნენ მშობლები, მაგრამ ერთხელ თავისი სული უბოძა უცნობს და ამან შეცვალა სამყაროს პატარა ნაწილი...

იგორი აღებს კარადას, იღებს ქათქათა პერანგს, იდეალურად დაუთოებულ სმოკინგს, ხელით შეკერილ ლაქის ფეხსაცმელებს, პეპელა-ჰალსტუხის მორგება ძნელი არ არის - ამას კვირაში ერთხელ აკეთებს ხოლმე.

რთავს ტელევიზორს: ადგილობრივი ახალი ამბების გადმოცემის დროა. გამოშვების დიდი ნაწილი წითელ ხალიჩაზე გავლას უკავია, მაგრამ მოკლედ პლაჟზე მოკლულ ქალსაც ახსენებენ.

პოლიცია გარს შემოერტყა დანაშაულის ადგილს და მკვლელობის უნებური მოწმე ბიჭი (იგორი ყურადღებით სწავლობს მის სახეს, თუმცა შურისძიებაზე არ ფიქრობს)

ჰყვება, რომ დაინახა, როგორ დაჯდა წყვილი მერხზე, მამაკაცმა ამოიღო წვეტიანი იარაღი და ქალის სხეულზე მახვილი პირით შემოატარა, რაც ქალს აშკარად მოსწონდა. ბიჭს ეს სასიყვარულო თამაში ეგონა და პოლიცია არ გამოუძახებია. „როგორ გამოიყურებოდა?“

თეთრი, ორმოციოდე წლის, ასე და ასე ჩაცმული... დახვეწილი მანერები ჰქონდა...

არა, საშიში არაფერია. იგორი პორტფელიდან იღებს ორ კონვერტს. ერთში მოსაწვევია საღამოზე, რომელიც ერთი საათის შემდეგ იწყება (თუმცა, ყველამ იცის, რომ ოთხმოცდაათი წუთით მაინც დააგვიანებენ). როგორც იცის, იქ ევაც იქნება. თუ არადა, არც ეგაა საშინელება. ასე თუ ისე, მაინც შეხვდება. არასრული დღე და ღამე საკმარისი აღმოჩნდა, მიმხვდარიყო, ვინ ჰყავდა ცოლად, ვისი გულისთვის იტანჯებოდა მთელი ორი წელი სულ ამაოდ.

ჰერმეტულად დახურულ, ვერცხლისფერი ქაღალდის მეორე კონვერტზე გაკრული ხელით, რომელიც როგორც მამაკაცის, ისე ქალის ნაწერიც შეიძლება იყოს, ერთადერთი სიტყვა აწერია: „შენ“.

ჩვენს დროში, როგორც ყველა სასტუმროში, ისე Martinez-ის დერეფანსაც ვიდეოკამერები უთვალთვალებენ. სადღაც სხვენში ან სარდაფში, მონიტორებით გავსებულ ბნელ ოთახში სხედან ადამიანები და ისე ყურადღებით უთვალთვალებენ, რა ხდება ირგვლივ, უმნიშვნელო დეტალიც არ გამოეპარებათ. მათ გამჭრიახ მზერას არ დაემალება არაფერი, რაც ჩვეულებრივი საქციელის ფარგლებს სცილდება: მაგალითად, კაცს, რამდენიმე საათის წინ სასტუმროს კიბეზე ზევით-ქვევით რომ დარბოდა, მცველი გაუგზავნეს, რომ გაეგო, რა ხდებოდა. პასუხად მიიღო, უფასო ვარჯიშიაო. მცველი დარწმუნდა, რომ მის წინაშე მდგმური იყო, ბოდიში მოუხადა და გასცილდა.

რასაკვირველია, მათ არ აინტერესებთ ის, ვინც საღამოობით შედის უცხო ნომერში, იქიდან კი დილით, ჩვეულებისამებრ, საუზმის მიტანის შემდეგ გამოდის. ეს მიღებულია. ეს მათ არ ეხებათ.

ყველაფერს, რაც სასტუმროში ხდება, უჩვენებენ მონიტორები, და ყველაფერი, რასაც მონიტორები უჩვენებენ, ციფრული კამერით იწერება. ეს ჩანაწერი ნახევარი წლის მანძილზე ინახება სეიფში, რომელიც მხოლოდ მმართველისთვისაა ხელმისაწვდომი, ვინაიდან, ამქვეყნად არ არსებობს სასტუმრო, რომელიც კლიენტს დაკარგავს რომელიმე ეჭვიანი ქმრის გამო, რომელსაც საკმარისი ფული აღმოაჩნდება რომელიღაც სართულზე დერეფნის გარკვეული მონაკვეთის მოთვალთვალე ოპერატორის მოსასყიდად.

ასეც ხდება - იმ დაწესებულების რეპუტაციას, რომელსაც საამაყოდ ჰქონია, დამქირავებლების პირად ცხოვრებაში არ ვერევითო, უდიდესი დარტყმა განუცდია, როცა სკანდალური ჩანაწერი გავრცელებულა. ასეთ შემთხვევაში კლიენტების რიცხვი

მკვეთრად მცირდება, საყვარლები კი პირველხარისხოვან სასტუმროებს ირჩევენ. სადილი თუ ნომერშია შეკვეთილი, ოფიციანტი ზღურბლს ფეხს გადაადგამს თუ არა, თვალს არ აშორებს თავის გორგოლაჭებიან მაგიდას, ხელის მოწერას სთხოვს იმას, ვინც კარი გაუღო და არასოდეს იხედება საწოლისკენ.

ორივე სქესის მეძავები ისე იცვამენ, რომ დამალონ თავიანთი პროფესია, თუმცა სარდაფში მონიტორების წინ მსხდომმა სასტუმროს უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მშვენივრად იციან, ვინ არიან, რადგან ხელთ აქვთ პოლიციის მიერ მიწოდებული საბაზო მონაცემები. მათ არც ეს ეხებათ, თუმცა იმ ნომერს, სადაც გოგო ან ბიჭი „გამოძახებით“ შედის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ზოგიერთ სასტუმროში, რათა დარწმუნდნენ, რომ მდგმურს ყველაფერი რიგზე აქვს, ტელეფონისტ ქალს ავალებენ, დარეკოს ნომერში და არარსებული პიროვნება იკითხოს. მდგმური იღებს ყურმილს, ესმის ქალის ხმა, პასუხობს, სხვაგან მოხვდითო და ტელეფონს თიშავს. დავალება შესრულებულია, სანერვიულო არაფერია.

მთვრალებს, რომლებიც წონასწორობას კარგავენ და იატაკზე ეცემიან, ანდა გასაღებს სხვისი ნომრის საკეტში არჭობენ და გაბრაზებულები კარს ფეხებს ურტყამენ, რატომ არ იღებაო, ძალიან უკვირთ, როცა მათ წინაშე საიდანღაც აღმოჩნდება „შემთხვევით გავლილი“ მომსახურე პერსონალი და დანიშნულების ადგილზე მიყვანას სთავაზობს.

იგორმა იცის, რომ მისი ყოველი ნაბიჯი სათვალთვალო მოწყობილობით კონტროლდება: კამერები ყოველ წამს აფიქსირებენ თარიღსა და დროს, როდის შედის ვესტიბიულში, როდის გამოდის ლიფტიდან, ელექტრონული საკეტის ნაპრალში როდის ატარებს მაგნიტურ ბარათს. და მხოლოდ მაშინ შეუძლია შვებით ამოისუნთქოს, კარს რომ მიხურავს: ის, რაც კარს მიღმა ხდება, ყველასთვის მიუწვდომელია.

იგორი კარს კეტავს და გამოდის.

ჯერ კიდევ გუშინ ჰქონდა დრო, შეესწავლა კამერების ადგილმდებარეობა. რაღაც ამდაგვარი ავტომობილებშიცაა: რამდენი სარკეც უნდა დააყენო, ყოველთვის რჩება „ბრმა“ სივრცე, რაც მძღოლს არ აძლევს შესაძლებლობას, დროულად შენიშნოს გამსწრები მანქანა. კამერებიც აჩვენებენ, რაც დერეფნებში ხდება, გარდა კუთხის ოთხი ნომერ-აპარტამენტისა. რასაკვირველია, ოპერატორს, როცა დაინახავს, რომ ადამიანმა გარკვეული მონაკვეთი გაიარა და შემდგომ მონიტორზე არ გამოჩნდა, უსიამოვნო ეჭვი უჩნდება - იქნებ გული შეუწუხდა, იქნებ რამე ცუდი დაემართაო და შესამოწმებლად ატყობინებს, სადაც საჭიროა. თუ ვერავის იპოვიან, ნათელი ხდება, რომ ის ვიღაცის ნომერში შევიდა, ეს კი უკვე ორი მდგმურის საქმეა.

იგორი მაინც არ აპირებს შეჩერებას. უდარდელი სახით მიდის დერეფანში და ლიფტთან მისული, ვერცხლისფერ კონვერტს მასთან ახლოს მყოფი ნომრის კარქვეშ აცურებს.

ამან მხოლოდ წამები წაიღო და თუ მონიტორის მოთვალთვალე გადაწყვეტდა მისი მოქმედებისთვის თვალის მიდევნებას, ვერაფერსაც ვერ შეამჩნევდა. უკვე გაცილებით გვიან, როდესაც ჩანაწერს ნახავენ და შეეცდებიან დამნაშავის იდენტიფიცირებას, გამოძიებისთვის იოლი არ აღმოჩნდება სიკვდილის ზუსტი დროის დადგენა. შესაძლოა, მდგმური ნომერში არ აღმოჩნდა და კონვერტი ღამის რომელიმე ღონისძიებიდან დაბრუნების შემდეგ გახსნა, ეგებ, კონვერტი მაშინვე გახსნა, მაგრამ შიგთავსმა მყისიერად არ იმოქმედა.

ამასობაში დერეფანში უამრავი ხალხი გაივლის და ეჭვს ყველაზე მიიტანენ. თუ მუხთალი ბედის წყალობით, იმავე მარშრუტის გავლა მოუწევს ცუდად ჩაცმულ ადამიანს, ან მათ, ვინც სარჩოს საშოვნელად ისეთ არაკანონიერ გზებს ირჩევს, როგორიც პროსტიტუცია, ნარკოვაჭრობა ან მასაჟია - მას დაუყოვნებლივ დააპატიმრებენ და დაკითხავენ. კინოფესტივალის დროს ასეთი კატეგორიის ხალხს სათვალთვალო კამერაში მოხვედრის დიდი შანსი აქვს.

იგორმა იცის, შეიძლება საშიშროება იქიდან მოვიდეს, საიდანაც არ ელი: ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პლაჟზე მკვლელობა ვიღაცამ დაინახა. ამ მოწმეს გამოიძახებენ და ჩანაწერს უჩვენებენ. მაგრამ იგორი ხომ სხვისი სახელითაა რეგისტრაციაში გატარებული, ყალბი პასპორტით, სადაც ულვაშიანი და სათვალიანი კაცის სურათია ჩაკრული (პორტიეს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, თუ მიაქცევდა, პასუხად ეტყოდა, ულვაში გავიპარსე და ახლა კონტაქტურ ლინზებს ვატარებო).

თუკი ვივარაუდებთ, რომ ადგილობრივი პოლიცია გაუგონარ სიმარჯვეს გამოავლენს, სხვებთან შედარებით უფრო მკვირცხლად დაიწყებს მოქმედებას და იმ დასკვნამდე მივა, რომ ფესტივალის მსვლელობისთვის ზიანის მიყენება მხოლოდ ერთი ადამიანის ჩანაფიქრია, სასტუმროში მის დაბრუნებას დაელოდებიან და ნომერში დაბრუნებისთანავე ახსნა-განმარტებას მოსთხოვენ, მაგრამ იგორმა იცის, რომ ახლა სასტუმრო Martinez-ის დერეფანში უკანასკნელად უნდა გაიაროს.

ისინი შევლენ და მის ნომერში აღმოაჩენენ ცარიელ ჩემოდანს, რომელსაც თითების ანაბეჭდები არ ექნება. შეიხედავენ სააბაზანოში და იტყვიან: „არა, წარმოგიდგენია?! ასეთი მდიდარია და თავისი თეთრეულის გარეცხვა ნიჟარაში გადაუწყვეტია! ნუთუ ისე იძუნწა, რომ სამრეცხაოსთვის ფული ვერ გაიმეტა?“

ერთ-ერთი მათგანი ხელს გაიწვდის დატოვებული ნივთების ასაღებად, რომელთაც ბევრი რამის მოყოლა შეუძლიათ მათ მფლობელზე, მაგრამ ხელს ყვირილით უკან გამოსწევს - თითები დაეწვება გოგირდმჟავით, რითაც უკვე გაჟღენთილი იქნება

ყველაფერი, რაც იგორმა იქ დატოვა, მან კი იქ ყველაფერი დატოვა, თან მხოლოდ თავისი ყალბი პასპორტი, საკრედიტო ბარათი და ნაღდი ფული წამოიღო. ყველაფერი სმოკინგის ჯიბეებში ჩაიჩურთა, სადაც სასიკვდილო და საძაგელი ცეცხლსასროლი იარაღის, პატარა „ბერეტასთვისაც“ აღმოჩნდა ადგილი.

იგორი მუდამ მსუბუქად მოგზაურობას ამჯობინებდა. კანში მძიმე ამოცანის შესასრულებლად გამომგზავრებისასაც კი თან მხოლოდ ყველაზე აუცილებელი და კომპაქტური ნივთები წამოიღო. სულ უკვირს, ორი-სამი დღით სახლიდან გამგზავრებისას სხვებს უზარმაზარი ჩემოდნები რომ მიაქვთ ხოლმე.

მან არ იცის, ვინ გახსნის კონვერტს და ეს არც აინტერესებს: არჩევანს ის კი არა, სიკვდილის ანგელოზი გააკეთებს. ბევრი რამ შეიძლება მოხდეს ამ ხნის მანძილზე, იმის ჩათვლით, რომ შეიძლება არც არაფერი არ მოხდეს.

მდგმურმა შეიძლება ადმინისტრაციაში დარეკოს და აუწყოს, რომ იპოვა რაღაც კონვერტი, რომელიც მას არ ეკუთვნის, და სთხოვოს წაიღონ. შეიძლება ნაგვის კალათში მოისროლოს, იფიქროს, რომ სასტუმროს ადმინისტრაციამ გადაწყვიტა კიდევ ერთხელ შეეტყო, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა, და კიდევ ერთი მისალმება გამოგზავნა. თუკი ეს მამაკაცი იქნება, წუთი-წუთზე რომ ელოდება თავისი ქალბატონის მოსვლას, კონვერტს ჯიბეში ჩაიდებს, რადგან ეჭვიც არ შეეპარება, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოვიდა სასურველი პასუხი მისგან, ვისაც ამ დილით შეხვდა და მთელი დღე ცდილობდა მის მოხიბვლას. ცოლ-ქმარი თუ მიიღებს, ვერ მიხვდებიან, ვის ეკუთვნოდა ეს წერილი და შეთანხმებულად მოისვრიან ფანჯრიდან.

მაგრამ თუკი ამდენი შესაძლებლობის საწინააღმდეგოდ, სიკვდილის ანგელოზი მაინც გადაწყვეტს თავისი ფრთები ვინმეს გადააფაროს, ის (ქალი ან მამაკაცი) კონვერტს გახევს, რათა შეიტყოს, რა არის შიგ.

იმის შოვნა კი, რაც კონვერტში დევს, საკმაოდ გაუძნელდა. მას ამიტომ დასჭირდა დახმარებისთვის მიემართა ძველი მეგობრებისა და თანამებრძოლებისთვის. როცა საკუთარი ბიზნესი წამოიწყო, ისინი დიდი თანხით უმართავდნენ ხელს და ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ, როცა ვალებს უსტუმრებდა, რადგან ერჩივნათ, იგორს ვალი იმაზე ადრე არ გადაეხადა, სანამ დასჭირდებოდათ: მათ წინაშე ჩნდებოდა პერსპექტივა, სრულიად ლეგალური საქმით რუსულ ფინანსურ სისტემაში საეჭვო წარმომავლობის ფული ჩაედოთ.

გარკვეული დროის მანძილზე ერთმანეთს არც კი ელაპარაკებოდნენ, მაგრამ მერე აღადგინეს ურთიერთობა. ყოველთვის, როცა ეს „კლიენტები“ სთხოვდნენ რაიმე სამსახურის გაწევას - ვიღაცისთვის გოგონა მოეწყო უნივერსიტეტში ან ბილეთები ეშოვა სახელგანთქმული ვარსკვლავის კონცერტზე, იგორი, როგორც იტყვიან, ტყავიდან გამოძვრებოდა და მაინც გააკეთებდა. იმიტომ, რომ, რაც უნდა იყოს, ოდესღაც მხოლოდ მათ სჯეროდათ იგორის ოცნების, არა აქვს მნიშვნელობა, რა

მოტივთა გამო. ევა (ახლა, როცა კი ევას იხსენებს, დაუძლეველ ზიზღს გრძნობს) მათ იმიტომ ემდუროდა, რომ ისინი სარგებლობდნენ მისი ქმრით, მისი გულუბრყვილობით, რათა იარაღით ვაჭრობით ნაშოვნი ფული გაეთეთრებინათ. განა ამას ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა?! იგორი ხომ არც შესყიდვაში და არც გაყიდვაში არ ღებულობდა მონაწილეობას.

და ყველას დაუდგება ხოლმე მძიმე მომენტები. მისი მეგობარ-სპონსორებიდან ვიღაც-ვიღაცები ციხეში მოხვდნენ, მაგრამ იგორს არასდროს მიუტოვებია ისინი, თუნდაც სცოდნოდა, რომ აღარასოდეს დასჭირდებოდა მათი დახმარება. ადამიანის ღირსება იმით კი არ იზომება, რა რაოდენობის ადამიანი ირევა მის ირგვლივ, როცა იგი გამარჯვებისა და წარმატების პიკზე იმყოფება, არამედ იმის უნარით, ახსოვდეს, გაჭირვების ჟამს ვინ გაუწოდა ხელი, თუნდ სისხლიანი ყოფილიყო ეს ხელი, თუნდ ოფლიანი. ის, ვინც კინაღამ უფსკრულში ჩაიჩეხა, არ კითხულობს, უფსკრულის პირას რა კაცმა სტაცა ხელი გადასარჩენად.

ადამიანისთვის მნიშვნელოვანია მადლიერების გრძნობა: თუ დაივიწყებ იმათ, ვინც გვერდში გედგნენ, როცა გიჭირდა, შორს ვერ წახვალ და არავის არასდროს უნდა ახსენებდე, რომ სიკეთე გაუკეთე. ღმერთი თავის შვილთ თვალს არ აშორებს და მხოლოდ იმათ სწყალობს, ვინც ბოძებული მადლის მიხედვით იქცეოდნენ.

და როცა იგორს კურარეს შხამი დასჭირდა, იცოდა, ვისთვის უნდა მიემართა. თუმცა სასწაულებრივი ფასი უნდა გადაეხადა იმაში, რასაც ტროპიკულ ტყეებში განსაკუთრებული ღირებულება არც აქვს.

იგორი ჰოლში ჩავიდა. იქამდე, სადაც საღამო იმართებოდა, ნახევარი საათის სავალი იყო; ქუჩაში ტაქსის გაჩერება ძალიან ძნელი იქნებოდა. თუმცა იგორი დიდი ხანია მიხვდა: პირველი, რაც ასეთ სასტუმროში მისვლისას უნდა გააკეთო, პერსონალს გულუხვი გასამრჯელო უნდა მისცე. ყველა წარმატებული ბიზნესმენი სწორედ ასე იქცევა, ამიტომაც მათთვის სტუმართა მოზღვავების დროსაც კი საუკეთესო რესტორნებშიც მოინახება მაგიდა და ბილეთები სპექტაკლებსა თუ კონცერტებზე, აგრეთვე, თუკი მოისურვებენ, ზუსტი ცნობები იმ დაწესებულებებზე, რომლებიც გზამკვლევებში არ არის მითითებული.

და აი, იგორი ღიმილით ითხოვს და ღებულობს კიდეც ავტომობილს, თუმცა გვერდით იმავე სადგომზე მდგარი კლიენტი ჩივის, გაუგებარია, როგორ უნდა მივაღწიო ადგილამდეო...

რაც შეეხება ვერცხლისფერ კონვერტს, გაკრული ხელით რომ აწერია „შენ“, მას თავისი ამოცანის შესასრულებლად ყველაზე ბოლოს მიმართა, იმ უკიდურესი შემთხვევისთვის, თუკი ევა მისი სხვა გზავნილების აზრს ვერ მიხვდებოდა. ყველაზე ეშმაკურად მოფიქრებული ეს ხრიკი ეჭვს აღარ დაუტოვებს.

ყოფილმა მეგობრებმა მოახერხეს და მოამარაგეს იმით, რაც სჭირდებოდა. ფულის აღებაც არ უნდოდათ, მაგრამ იგორმა თავისი გაიტანა და მთლიანად გადაუხადა საფასური, რადგან არ უყვარს ვალში დარჩენა.

ზედმეტი შეკითხვების მიცემა არ დაუწყია - მხოლოდ ის შეიტყო, რომ ვინც ვერცხლისფერი კონვერტი შეავსო და მერე ჰერმეტულად დახურა, ხელთათმანებითა და აირწინაღით მოქმედებდა. ასეთი დახვეწილი მანიპულაციისთვის მით უფრო საჭირო იყო, გადაეხადა, თუმცა თვითონ ნივთიერების შოვნა არც ისე ძნელია - მას იყენებენ მეტალურგიაში, საფეიქრო მრეწველობაში, ქაღალდისა და პლასტმასის წარმოებაში. სახელი საკმაოდ საშიში აქვს - ციანიდი, მაგრამ აქვს ნუშის სურნელი და სრულიად უვნებლად გამოიყურება.

ფიქრები წერილის დამამზადებელი ადამიანიდან მის მიმღებზე გადააქვს. წერილს ვინც გახსნის, ბუნებრივია, კონვერტი ცხვირწინ ექნება. შიგნით თეთრ ბარათს აღმოაჩენს, სადაც ფრანგულად ეწერება: „Katyusha, je t'aime“. „კატიუშა ვიღაა?“ - იფიქრებს ის, ვის ხელშიც კონვერტი მოხვდება.

და შეამჩნევს, რომ ბარათი რაღაც მტვრითაა დაფარული. ჰაერზე ფხვნილი აირად იქცევა, ჰაერს ნუშის სურნელი აავსებს.

ბარათის მიმღები გაკვირვებულია: თუ ეს ტუალეტის წყლის ან სუნამოს რეკლამაა, შეეძლოთ, უფრო სხვა, უკეთესი არომატით გაეჟღინთათ. მერე ამოიღებს ბარათს, გადაატრიალ-გადმოატრიალებს და ციანიდი სწრაფად დაიწყებს გავრცელებას.

„სულელური ოინია...“

და ეს მისი უკანასკნელი აზრი იქნება. მაგიდაზე მოისვრის ბარათს, შევა სააბაზანოში, რათა შხაპი მიიღოს, წამწამები შეიღებოს ან ჰალსტუხი გაისწოროს.

და უცებ იგრძნობს, გული გამალებით უცემს, მაგრამ ვერ გაუგია, რა კავშირი აქვს ნომერში დატრიალებულ სუნს მის შეუძლოდ გახდომასთან - მას ხომ მტრები არ ჰყავს; ჰყავს მხოლოდ კონკურენტები და მეტოქეები. მაგრამ სანამ კარამდე მიაღწევს, შეამჩნევს, რომ ფეხები აღარ ემორჩილება, საწოლის კიდეზე ჩამოჯდება. აუტანლად სტკივა თავი, სუნთქვა უჭირს. ეს პირველი სიმპტომებია, ამის შემდეგ კი დაუოკებელი ღებინება დაეწყება. წესიერად ვერც კი გაიაზრებს, რომ ეს სავალალო მდგომარეობა ვერცხლისფერი ბარათის ბრალია და გონებას დაკარგავს. რამდენიმე წუთის შემდეგ (რადგან ნივთიერება ორგანიზმში უკვე ყველაზე მაღალ კონცენტრაციას აღწევს) ფილტვები მუშაობას წყვეტენ, სხეული იკრუნჩხება, გული ვეღარ ტუმბავს სისხლს და დგება სიკვდილი - უმტკივნეულო, სწრაფი, გულმოწყალე.

იგორი ჯდება ტაქსიში და მისამართს ეუბნება: სასტუმრო Hotel du Cap, Eden Roc, Cap d’Antibes.

იქ დღეს საღამოს გრანდიოზული გალა-ვაშხამი გაიმართება.

7:40 PM

შავბლუზიანი ორსქესიანი არსება, თეთრი პეპელა-ჰალსტუხი რომ უკეთია და რაღაც ინდური სარის მსგავსი შემოუხვევია გამხდარ ფეხებზე შემოტკეცილი შარვლის ზემოდან, ქალიშვილს ეუბნება, რომ მათი ამ დროს მისვლა შეიძლება ძალზე წარმატებული ან პირიქით - სრულიად საწინააღმდეგო გამოდგეს.

- უფრო სწრაფად მოვედით, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ერთ-ერთი პირველები ვიქნებით.

გაბრიელა, „განახლების“ კიდევ ერთი სეანსი რომ გაიარა (პარიკმახერი აშკარად უხალისოდ ვარცხნიდა და უკეთებდა გრიმს), გაოცებული ეკითხება ჰერმაფროდიტს:

- რატომ „საწინააღმდეგო“, განა ცუდია, საცობში რომ არ მოვყევით და ასე სწრაფად მოვედით?

ჰერმაფროდიტი პასუხის გაცემამდე ოხრავს და მთელი თავისი გარეგნობით აგრძნობინებს, რა ძნელია ბრწყინვალებისა და გლამურის ფუძემდებლური კანონების უცოდინარ ადამიანთან საქმის დაჭერა.

- კარგი შეიძლება იმიტომაა, რომ დერეფანს მარტო გაივლი...

უყურებს გოგონას და ხვდება, მას არც ახლა ესმის, რაზეა საუბარი, კვლავ ოხრავს და თავიდან იწყებს:

- ასეთ საღამოებზე პირდაპირ კარიდან არავინ მოხვედრილა. სტუმარმა ასეთი დერეფანი უნდა გაიაროს. ერთ მხარეს არიან ფოტოგრაფები, მეორე მხარეს - სპონსორის ფირმათა ლოგოტიპები. შენ რა, ჟურნალები არ წაგიკითხავს? არ შეგიმჩნევია, სახელგანთქმულნი კამერის ობიექტივში რომ იღიმებიან და აუცილებლად რომელიმე სავაჭრო მარკის ფონზე რომ ჩნდებიან ხოლმე?

სახელგანთქმულნი - ჰერმაფროდიტს, მთელი თავისი ამპარტავნობის მიუხედავად, მაინც წამოსცდა ეს სიტყვა; თავადაც არ უნდოდა, ისე აღიარა, რომ თან ერთ-ერთ სახელგანთქმულთაგანს ახლდა. გაბრიელა ჩუმად ზეიმობს გამარჯვებას.

- და რითი იქნება ცუდი, დანიშნულ დროზე თუ მივალთ?

ჰერმაფროდიტი ისევ ოხრავს:

- ფოტოგრაფები შეიძლება ადგილზე არ აღმოჩნდნენ. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, და შევძლო ამ ბუკლეტების დარიგება, სადაც შენი ბიოგრაფიაა დაბეჭდილი.

- ჩემი ბიოგრაფია?

- შენ რა, გგონია, უკვე ყველა გიცნობს? არ მინდოდა შენთვის იმედის გაცრუება, ძვირფასო, მაგრამ ასე არ არის. მე ყველა მათგანს უნდა შევაჩეჩო ეს საშინელი ქაღალდები და ვუთხრა: ახლა გამოვა სუპერვარსკვლავი, რომელსაც ჯიბსონის ახალ ფილმში იღებენ - ასე რომ, მოემზადეთ გადაღებისთვის... ღმერთო ჩემო! და ნიშანი უნდა მივცე, როდის გამოჩნდები დერეფანში. განსაკუთრებულ ფერებას კი არ დავუწყებ! ეს საძმო მიჩვეულია, ისე გვექცეოდნენ, როგორც დაბალი რანგის არსებებს. უბრალოდ ვეტყვი, რომ დიდ სამსახურს ვუწევ მათ - მორჩა და გათავდა. ისინი კი ვერ გარისკავენ ასეთი შანსის ხელიდან გაშვებას. მათ ხომ ერთი სული აქვთ, ნეტში ისეთი რამეები განათავსონ, რომ ყველა, აბსოლუტურად ყველა გაოგნებული დარჩეს. საერთოდ, ვფიქრობ, რამდენიმე წლის მერე ჟურნალ-გაზეთები მხოლოდ ანონიმთა სამსახურით ისარგებლებენ და ამით დიდ ეკონომიას გასწევენ - ტირაჟი ისედაც ხომ სისტემატურად კლებულობს...

ჰერმაფროდიტს უნდა აჩვენოს, რა საფუძვლიანად იცნობს მედიის სამყაროს, მაგრამ მის გვერდით მჯდარ გოგონას მისი მონოლოგი არ აინტერესებს. ის ბუკლეტს იღებს და იწყებს კითხვას.

- ლიზა უინერი ვინ არის?

- შენ. სახელი შეგიცვალეთ. უფრო სწორად, თავდაპირველად სახელი შევარჩიეთ, მერე კი თავად შენ. და ამიერიდან გერქმევა ლიზა. „გაბრიელა“ მეტისმეტად იტალიურად ჟღერს. ლიზა კი, ვინც გნებავს, ის შეიძლება იყოს. ბაზრის მკვლევარები გვიხსნიან, რომ პუბლიკა კარგად იმახსოვრებს ორ-სამმარცვლიან სახელებს: ფანტა, ტეილორი, ბარტონი, დევისი, ვუდსი, ჰილტონი... განვაგრძო?

- არ გინდა, ისედაც ვხედავ, ერკვევი ბაზრის კანონებში... ახლა ისღა დამრჩენია, გავიგო, ვინ ვარ ჩემი ახალი ბიოგრაფიის მიხედვით.

გაბრიელა ირონიას არ მალავს, მოპოვებულ უპირატესობას განიმტკიცებს და თავი ისე უჭირავს, როგორც ვარსკვლავს ეკადრება. კითხულობს: „...შეირჩა სახელგანთქმული მოდელიორისა და მეწარმის, ჰამიდ ჰუსეინის პირველ კინომატოგრფიულ პროექტში ათასზე მეტი პრეტენდენტიდან...“ და ა. შ.

- ეს ბუკლეტები ერთი თვის წინათ არის დაბეჭდილი, - უხსნის ჰერმაფროდიტი, ცდილობს სასწორის პინა თავის სასარგებლოდ გადაწონოს, - ბუკლეტები ჩვენმა მარკეტოლოგებმა შეადგინეს, ისინი კი არასდროს ცდებიან. ნახე: „...მუშაობდა მოდელად, სწავლობდა სამსახიობო ხელოვნებას...“ ხომ ყველაფერი ემთხვევა?

- ეს იმას ნიშნავს, რომ მე სხვებს გასინჯვის შედეგად კი არა, ბიოგრაფიით მამჯობინეს?

- ყველას, ვინც იქ იყო, ერთნაირი ბიოგრაფია აქვს. განაგრძე! „მრავალი წლის მანძილზე ის უარს ამბობდა კინოში გადაღებაზე და თავის ტალანტს მხოლოდ

თეატრში ავლენდა“. ეს მრავალ ქულას დაწერს შენ სასარგებლოდ. შენ ხარ მიზანდასახული ადამიანი და როლზე მხოლოდ მაშინ დათანხმდი, როცა ის ნამდვილად მოგეწონა, თუმცა მანამდე, შექსპირის, ბეკეტისა და ჟენეს პიესებში თამაშობდი.

რა კულტურული ყოფილა ეს ჰერმაფროდიტი... შექსპირი ყველამ იცის, მაგრამ ბეკეტი და ჟენე - მხოლოდ ერთეულებმა.

გაბრიელა, უფრო სწორად, ლიზა თავს უქნევს მას, მანქანა უახლოვდება და ერთ-ერთი მცველი მძღოლს ჟესტით ანიშნებს, გაიარე, ჯერ ადრეაო.

მაგრამ ჰერმაფროდიტი ამ დროს რისკთა შეპირისპირებას ახერხებს და შემდეგ დასკვნამდე მიდის: გვიან მოსვლას ადრე მოსვლა სჯობია; ლიმუზინიდან გადმოდის და მიდის დაცვასთან, რომელიც ორჯერ აღემატება ზომებით. გაბრიელა ცდილობს, სხვა რამეზე გადაიტანოს ყურადღება:

- რა ჰქვია ამ მანქანას?

- Maybach 57 S, - გერმანული გამოთქმით პასუხობს მძღოლი, - ხელოვნების ნამდვილი ქმნილებაა, ბრწყინვალე მანქანაა, მისი გამოშვება დაიწყო...

გაბრიელა აღარ უსმენს, ყურადღება ჰერმაფროდიტისა და გიგანტის კამათზე გადააქვს. გიგანტი ანიშნებს, დაბრუნდით მანქანაში, სხვებს ხელს უშლითო. მაგრამ ჰერმაფროდიტი-კოღო არ უშინდება სპილოს, ზურგით ტრიალდება, მანქანასთან მიდის და კარს აღებს:

- გადმოდი, სულერთია, მაინც გავალთ.

გაბრიელას ყველაზე საშინელის - სკანდალის ეშინია და კოღოს ფრთხილად მიჰყვება, ახლოს ჩაუვლის სპილოს, მუქარით რომ ცდილობს მათ შეჩერებას: „გაჩერდით, შესვლა ჯერ აკრძალულია!“ „გთხოვთ, დაიცვათ წესები! ჯერ კარი არ გაგვიღია!“ გაბრიელა მიდის, ეშინია, მცველთა ხროვა წამოგვეწევა და გაგვქელავსო, მაგრამ არაფერიც არ ხდება. ჰერმაფროდიტი ნაბიჯის აუჩქარებლად მიდის და თვალს არ აშორებს თანამგზავრის გრძელ კაბასა და მაღალ ქუსლებს. ახლა ისინი ულამაზეს ბაღში მიაბიჯებენ. ჰორიზონტი დაისის ვარდისფერი-მოლურჯო ანარეკლით ბრიალებს.

ჰერმაფროდიტი ზეიმობს.

- ისინი მაშინ არიან მამაცები, როცა არავინ ეურჩებათ, მაგრამ საკმარისია, ხმას ოდნავ აუწიო და თვალი გაუსწორო, სადაც გსურს, იქ გაივლი, კუდს წამში ამოიძუებენ. მაქვს მიწვევა და მეტი არაფრის წარდგენა არ მჭირდება. ეს აყლაყუდები კი სულელები სულაც არ არიან: იციან, ასე მათ ისინი ეპყრობიან, ვისაც ამის უფლება აქვს.

და იქვე უეცრად თავს იმდაბლებს:

- მეხერხება სხვისთვის საკუთარი თავის მნიშვნელოვან პერსონად მოჩვენება.

უკვე მდიდრული რესტორნის კართან დგანან. აქ მხოლოდ ისინი ჩერდებიან, ვისაც არ სჭირდება კრუაზეტზე წინ და უკან სეირნობა. ჰერმაფროდიტი გაბრიელა-ლიზას სთხოვს, ბარში შევიდეს და ორი ბოკალი შამპანური შეუკვეთოს - ამით იქ მყოფთ მიახვედრებს, რომ მარტო არ არის მისული. უცნობებს საუბარს ნუ გაუბამ, წესიერად მოიქეცი, მე კი თვალს გადავავლებ, რა როგორაა და ბუკლეტებს დავარიგებო.

- მოკლედ, ეს ისე, ფორმალობისთვის. შენს ფოტოს არავინ დაბეჭდავს, მაგრამ მე ამისთვის მიხდიან. ერთ წუთში დავბრუნდები.

- შენ ხომ ახლახან თქვი, რომ ფოტოგრაფები...

მაგრამ ჰერმაფროდიტი ისევ ძველებურ ამპარტავნულ იერს იბრუნებს და ქრება.

თავისუფალი მაგიდები არ არის. ბარი სავსეა სმოკინგიანი მამაკაცებითა და საღამოსკაბიანი ქალებით. ყველა ხმადაბლა ლაპარაკობს, უმრავლესობა კი ჩუმად ზის და ბარის ფართო ფანჯრებიდან ოკეანეს მისჩერებია. გაბრიელა, თუმცა ასეთ ადგილზე პირველადაა, უმალ გრძნობს: ყველა ამ სახელგანთქმულს თითქმის ფიზიკურად ხელშესახები, საშინელი მოწყენილობის ღრუბელი დასტრიალებს თავს.

ყველა აქ მყოფი უკვე ასეულობით და ათასობით ასეთ დღესასწაულს დასწრებია. ადრე ისინი ემზადებოდნენ, რათა განუცდელის მომხიბლავი მშვენიერება განეცადათ, შეხვედროდნენ ახალ სიყვარულს, გაებათ საჭირო პროფესიული ნაცნობობა, მაგრამ ახლა, როცა თავიანთი კარიერის პიკს მიაღწიეს, როცა უკვე აღარ აქვთ მიზნები, რასაც უნდა მიაღწიონ, ისღა დარჩენიათ, ერთმანეთს შეადარონ იახტები, თავიანთი ბრილიანტები მეზობლის ბრილიანტებს დაატოლონ თვალით, იამაყონ ფანჯარასთან მოპოვებული ადგილით იმათ წინაშე, ვისაც მხოლოდ კართან ერგო ჯდომა. დიახ, ასეთია ფინალი: მოწყენილობა და ფარული მეტოქეობა. ათწლეულობით ბრძოლამ ადგილისთვის, რომელიც უკვე მოპოვებული აქვთ, მათი სული დააცარიელა და ახლა მზის ჩასვლით დატკბობაც კი აღარ შეუძლიათ.

რაზე ფიქრობენ ეს მდუმარე, ქმრებისგან გაუცხოებული მდიდარი ქალები?

ასაკზე.

იმაზე, რომ დადგა დრო, კვლავ მოინახულონ პლასტიკური ქირურგიის სპეციალისტი და მოიშორონ დროისაგან მიყენებული დაღი. გაბრიელას ისევ იპყრობს სიხარულთან ნარევი უსიამოვნების გრძნობა. კვლავ უბრუნდება იმის შეგრძნება, რომ, თავისი სიჯიუტისა და ბრძოლისუნარიანობის მიუხედავად, არ იმსახურებს ყოველივე ამას და რჩება იმ გოგონად, რომელიც მზად არ არის ასეთი ცვლილებებისთვის, ვერ ერკვევა წესებში, უფრო მეტად რისკავს, ვიდრე კეთილგონიერება კარნახობს და ეს სამყარო არ ეკუთვნის მას; თვითონაც ვერასდროს გახდება მისი ნაწილი. თავგზა აქვს აბნეული და თვითონაც არ იცის, რა უნდა აკეთოს

ევროპაში - რა? განა ცუდი იქნებოდა, ამერიკის რომელიმე პროვინციულ თეატრში ეთამაშა და მხოლოდ ის ეკეთებინა, რაც თავად მოსწონს და არა ის, რასაც სხვები კარნახობენ? სურს, ბედნიერი იყოს და სულაც არ არის დარწმუნებული, რომ ბედნიერებასთან მიიყვანს ის გზა, რომელსაც დაადგა.

„გეყოფა! მოიშორე ეს ფიქრები!“

აქ არ შეუძლია იოგას ვარჯიში, მაგრამ ცდილობს, ყურადღება ზღვასა და მეწამულ-ვარდისფერ ცაზე გადაიტანოს. მის წინაშე ოქროს შანსია, ამიტომაც უნდა დაძლიოს ზიზღი და სანამ „დერეფნამდე“ რამდენიმე წუთი კიდევ დარჩა, დაელაპარაკოს ჰერმაფროდიტს. არ შეიძლება შეცდომა დაუშვას: მას მომგებიანი ბილეთი შეხვდა და საჭიროა სწორად გამოიყენოს... მაკიაჟის შესასწორებლად ჩანთას ხსნის, მაგრამ ჩანთაში მხოლო დაჭმუჭნილი ქაღალდებია, მას შემდეგ, რაც უგუნებოდ მყოფმა გრიმიორმა „საჩუქრების ოთახში“ მაკიაჟი გაუკეთა, გაბრიელას თავისი ტანსაცმელი და საბუთები არც გახსენებია... რომც არ დავიწყებოდა, სად უნდა წაეღო?

ეს ჩანთა მისი ახლანდელი ცხოვრების სიმბოლოა - გარეგნულად ლამაზია, შიგნით - აბსოლუტურად ცარიელი.

„დაწყნარდი! მზე ეს-ესაა ჰორიზონტს იქით ჩაესვენა, ხვალ განახლებული ძალით აბრდღვიალდება. მეც უნდა ვეცადო განახლებას. იმდენჯერ დამესიზმრა ეს წამი, რომ მზად უნდა ვიყო მის მისაღებად და საკუთარ თავში ეჭვი არ უნდა მეპარებოდეს. მჯერა სასწაულების, ღმერთმა შეისმინა ჩემი ლოცვა და მისი წყალობის ღირსი გავხდი. უნდა მახსოვდეს, რას მეუბნებოდა რეჟისორი ყოველი რეპეტიციის წინ: „თუნდაც მუდამ ერთსა და იმავეს აკეთებდე, მაინც უნდა აღმოაჩინო რაღაც ახალი, ფანტასტიკური, წარმოუდგენელი, რაც ადრე შენთვის დაფარული და შეუმჩნეველი რჩებოდა“.

ბარში შემოდის ორმოციოდე წლის ლამაზი, შეჭაღარავებული მამაკაცი კარგად მომდგარი სმოკინგით (რომელიც აშკარად მზა ტანსაცმლის მაღაზიაში ნაყიდი კი არა, რომელიმე ოსტატი თერძის ნახელავი ჩანს) და პირდაპირ გაბრიელასკენ მოემართება, მაგრამ მაგიდაზე შამპანურის მეორე ბოკალსაც რომ ხედავს, ბარის მეორე ბოლოსკენ ტრიალდება. რაკი ჰერმაფროდიტი სადღაც გაქრა, გაბრიელას უცნობთან გამოლაპარაკების სურვილი უჩნდება, მაგრამ ჰერმაფროდიტის დარიგებაც ახსოვს:

„წესიერად მოიქეცი“.

მართლაც, რას ემგვანება, თუ ქალიშვილი მდიდრული სასტუმროს ბარში ხანდაზმულ ბატონს დაუწყებს არშიყს?! უღირსი საქციელია. გაბრიელა სვამს შამპანურს და კიდევ ერთ ბოკალს უკვეთავს. ჰერმაფროდიტი თუ აორთქლდება, ვერაფრის გადახდას ვერ შეძლებს. სასმელი გაბრიელას ეჭვებს უქრობს, საკუთარი თავის რწმენას უბრუნებს და ისღა აშინებს, შეძლებს თუ არა დღესასწაულზე მოხვედრას და თავისი მოვალეობის შესრულებას.

ბარში შემოსული მამაკაცი თვალს არ აშორებს გაბრიელას და მაგიდაზე მდგარ მეორე ბოკალს. აჰ, ნეტავ გაბრიელასთან დაჯდომა გადაწყვიტოს! დილიდან მოყოლებული, ვერავის მოუყვა ის, რაც მის თავს ხდება. რამდენჯერმე მოუნდა დაერეკა, მაგრამ ახსენდებოდა, რომ ტელეფონი ძველ ჩანთაში დარჩა. ალბათ, მის ტელეფონში ახალი შეტყობინებისთვის ადგილი აღარც დარჩა, იმდენი ესემესი გამოუგზავნეს ბინის მეზობლებმა, რათა შეეტყოთ, სად იმყოფებოდა, როგორ იყო, მიიღო თუ არა რაიმე მიწვევა, მათთან ერთად ხომ არ წავიდოდა მესამეხარისხოვან საღამოზე...

გაბრიელას უფლება არა აქვს ვინმეს რამე მოუყვეს. მან უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა, ახლა მარტოდმარტო ზის ამ სასტუმროს ბარში და იმის გაფიქრებაც კი ზარავს, რომ ეს სიზმარი დასრულდება. მან თითქმის უკვე მწვერვალს მიაღწია. ან - კიდევ ერთი ძალისხმევაა, ან არადა, ქარის დაქროლება და ძირს დანარცხება.

ჭაღარაშერეული მამაკაცი ისევ აქაა და ფორთოხლის წვენს სვამს. წამიერად მათი მზერა ერთმანეთს ხვდება. მამაკაცი უღიმის, გაბრიელა კი ისე იჭერს თავს, თითქოს ვერ ამჩნევს.

ასე რატომ ეშინია გაბრიელას? იმიტომ ხომ არა, რომ არ იცის, ახალ ვითარებაში როგორ დაიჭიროს თავი და შველას არავისგან ელის? მას მხოლოდ მბრძანებლობენ, თავს ისე გრძნობს, როგორც ოთახში გამომწყვდეული ბავშვი, თავად რომ უნდა გაიგნოს კარისკენ გზა.

ფიქრებს მაგიდასთან მოსული ჰერმაფროდიტი აწყვეტინებს:

- ცოტა კიდევ მოვიცადოთ. ახლაღა იწყებენ მოსვლას.

უცნობი ბატონი დგება, მაგიდაზე ფულს დებს და გასასვლელისკენ მიდის. ეტყობა, იმედი გადაუწყდა: შეიძლება შესაფერის დროს ელოდა, რომ მისულიყო, თავი წარედგინა, გასცნობოდა და...

- გვესაუბრა.

- რა?

- არა, არა, არაფერი, გავიფიქრე რაღაც.

- საუბარი გინდა? მაინც რაზე?

- მინდოდა მეკითხა, აქ რას ვაკეთებ-მეთქი. როგორ შევეთვისო ამ სამყაროს, რომელიც ჩვენ ირგვლივაა და რომლის შესახებაც ჯერჯერობით არაფერი ვიცი? ყველაფერი ისე არ არის, როგორც ადრე მეგონა: არ დამიჯერებ, მაგრამ ფოტოგრაფებთან რომ წახვედი, უცებ ბედის ანაბარად მიგდებულად ვიგრძენი თავი და შემეშინდა. შენ დახმარებას ველოდები. ერთი რამის კითხვაც მინდოდა: მოგწონს თუ არა შენი საქმე?

ჰერმაფროდიტი გაკვირვებული შეჰყურებს. რატომ უსვამს კითხვებს სულ რაღაც რამდენიმე საათის წინათ გაცნობილ ადამიანს? თანაც ისეთ კითხვებს, რაზე პასუხის გაცემასაც ვერავინ გაბედავს.

მას არავინ ენდობა. იმიტომ, რომ ის არავის არ ჰგავს. რაღაც უნიკალურია და საერთო შეხედულების საწინააღმდეგოდ - არ არის ჰომოსექსუალისტი. მან უბრალოდ ინტერესი დაკარგა კაცობრიობის მიმართ. თმა გაიუფერულა, იცვამს, როგორც მოეპრიანება, იწონის ზუსტად იმდენს, რამდენიც სურს, რომ იყოს; იცის, ადამიანებზე უცნაურ შთაბეჭდილებას რომ ახდენს, მაგრამ განა ვალდებულია, ყველას მოსწონდეს?

ახლა კი ამ გოგოს სურს, ჩასწვდეს მის ფიქრებს, გაიგოს, რას გრძნობს... ჰერმაფროდიტი ხელს იწვდის შამპანურის ბოკალისკენ და სულმოუთქმელად სვამს.

გაბრიელა, ალბათ, ვარაუდობს, რომ ჰერმაფროდიტი ჰამიდ ჰუსეინის გუნდიდანაა, სარგებლობს გარკვეული გავლენით და იმედი აქვს, პირველ ხანს მას მხარს დაუჭერს, მაგრამ უსქესო მხოლოდ კინოფესტივალის პერიოდში დაიქირავეს და მკაცრად მოუხაზეს მოვალეობის სფერო. ის კი ამ სფეროს ფარგლების იქით გადასვლას არ აპირებს. ეს დღეები რომ გაივლის, დაბრუნდება სახლში, თავის ბინაში, პარიზის ერთ-ერთ გარეუბანში, სადაც მეზობლები მხოლოდ იმიტომ იგდებენ აბუჩად, რომ მისი გარეგნობა არ ემთხვევა იმ ნიმუშებს, რომლებიც მათ დაადგინეს ვიღაც გადარეულის მოწოდების დღეებში, ხმამაღლა რომ გაჰყვიროდა: „ყველა ადამიანი ერთნაირიაო!“ არა, ასე არ არის. ყველა ადამიანი განსხვავებულია და სხვისგან განსხვავებულობის უფლება ბოლომდე უნდა დაიცვა და შედეგებზე არ იდარდო.

შინ დაბრუნების შემდეგ უყურებს ტელევიზორს, მეზობელ სუპერმარკეტში მიდის საყიდლებზე, კითხულობს ჟურნალებს, დროდადრო თავს კინოში წასვლის უფლებას აძლევს. ის პასუხისმგებლობის მქონე ადამიანის რეპუტაციით სარგებლობს, ამიტომაც დროდადრო ურეკავენ სააგენტოები, რომლებიც ეძებენ „მოდის ინდუსტრიაში მუშაობის გამოცდილების მქონე თანამშრომლებს“, რომელთაც შეუძლიათ მოდელების ჩაცმა, აქსესუარების შერჩევა; თან უნდა ახლდნენ მათ, ვისაც ჯერ არ აუთვისებიათ და არ იციან როგორ მოიქცნენ, გააფრთხილონ, რომ შეცდომა არ დაუშვან, აუხსნან, რის გაკეთება შეიძლება და რისი - არავითარ შემთხვევაში.

მასაც აქვს ოცნებები. „მე ერთადერთი ვარ, - იმეორებს თავისთვის, - ბედნიერი ვარ, რადგან ცხოვრებისგან აღარაფერს ველი...“ უკვე ორმოცი წლისაა, თუმცა გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურება. დიახ, ის ოცნებობდა მოდელიორის კარიერაზე, მაგრამ წესიერი სამუშაო ვერ იშოვა. წაეჩხუბა მას, ვისაც შეიძლება დახმარება აღმოეჩინა და ცხოვრებისაგან განსაკუთრებულს აღარაფერს ელის. თუმცა განათლებულია, აქვს შესანიშნავი გემოვნება და რკინისებური თვითდისციპლინა. ერთი-ორჯერ შესთავაზეს, მოდელად ემუშავა, მაგრამ ეს ასი წლის წინათ იყო. უარი

უთხრა მათ, რადგან ეს მის „სასიცოცხლო გეგმაში“არ ჯდებოდა, უარი თქვა და არც ნანობს.

თვითონ იკერავს ტანსაცმელს ატელიე Haute Couture-ის ნარჩენი ქსოვილებისგან. კაწში კიდევ ორ ადამიანთან მუშაობს, ვისაც მწვერვალებზე აფოფხება შეუძლია; ქალიშვილს, ახლა წინ რომ უზის, იშვიათი წარმატება ხვდა წილად, თავად კი როგორადაც უნდა იყოს დარწმუნებული ცხოვრების უსამართლობაში, არ უნდა მისცეს გასაქანი არც შურს და არც სხვისი გულგატეხილობის სიმწარით ტკბობას - სრულად უნდა დაიხარჯოს, სხვაგვარად რეჟისორის ასისტენტად აღარ მიიწვევენ.

რასაკვირველია, ბედნიერია, როგორც ყველა, ვისაც აღარაფერი უნდა, არავითარი სურვილი აღარ გააჩნია. საათზე იყურება და ამბობს:

- ახლა უნდა წავიდეთ. სწორედ რომ დროა. როგორმე სხვა დროს ვისაუბროთ. უნდა ვიჩქაროთ, თორემ სადაცაა ხალხის ტალღა მოაწყდება.

იხდის ფულს, თხოულობს ანგარიშის ასლს - როცა ზეიმი დამთავრდება, თითოეულ დახარჯულ ცენტს მოსთხოვენ. მეზობელ მაგიდასთან ვიღაც ზუსტად იმავეს აკეთებს.

სასტუმროს ვესტიბიულიდან დერეფნამდე მიდიან. გაბრიელას თანამგზავრი ჯიბეში სათუთად შენახულ ორ ბილეთს უწვდის. ბილეთების შენახვა ასისტენტის მოვალეობაა. დიახ, ის ასისტენტია. ეს ქალიშვილი კი - მნიშვნელოვანი პერსონა და უკვე ავლენს იმის ნიშნებს, რომ ამას თანდათან აცნობიერებს. ძალიან მალე მიხვდება, სად მოხვდა: ეს სამყარო მთელ ენერგიას გამოსწოვს, თავს ოცნებებით გამოუჭედავს, წაეთამაშება, ბოლოს კი, როცა ყველაფრისთვის მზად იქნება - ნახმარი ნივთივით მოისვრის. ასე დაემართა მას და ასე დაემართება ყველას.

- მე წინ წავალ, ნაცნობ რეპორტიორებს გავაფრთხილებ. არ იჩქარო - ეს კინოფესტივალის წითელი ხალიჩა არ არის. ვინმე თუ დაგიძახებს, მიტრიალდი და გაუღიმე. ამ დროს დანარჩენებიც დაგიწყებენ გადაღებას. თუკი შენი სახელი იციან - იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი პიროვნება ხარ. პოზირებას ორ წუთზე მეტს ნუ დაუთმობ, გახსოვდეს, ეს მხოლოდ კარიბჭეა, თუმცა რაღაცით სულ სხვა რამ გგონია. თუ გინდა, ვარსკვლავი გახდე - მიეჩვიე გარემოების შესაბამისად მოქცევას.

- მარტო რატომ ვარ?

- ეტყობა, რაღაც გაუგებრობა მოხდა. აქამდეც უნდა მოსულიყო. შეიძლება საცობში მოხვდა...

ვარსკვლავზეა საუბარი. ყველაზე სარწმუნო ალბათ ის ვერსიაა, რომ ვიღაც ჭკუასუსტმა თაყვანისმცემელმა გამოიჭირა და მასთან ნომერში იმაზე მეტხანს იცოდვილა, ვიდრე საჭირო იყო. მაგრამ ჰერმაფროდიტი ამას გაბრიელას არ ეტყვის,

რადგან მან, ალბათ, უკვე მოასწრო ოცნება ლამაზ, რომანტიკულ სიყვარულზე, რისი იმედის არავითარი საფუძველი არ ჰქონია.

უსქესო გაბრიელას წინ დგება რიგში და უბრძანებს, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით გაჩერდეს. დერეფანში რომ მოხვდებიან, ეცდება, ფოტოგრაფებმა მის მიმართ ინტერესი გამოიჩინონ. რამდენიმე წამის შემდეგ გაბრიელა სახეზე თავისი არსენალიდან ყველაზე მომაჯადოებელ ღიმილს აღიბეჭდავს. ჩანთას ისე გადაიკიდებს, როგორც საჭიროა, წელში გაიმართება, თავდაჯერებულად მიაბიჯებს და მაშუქების ბრჭყვიალს დაელოდება. მოსახვევის შემდეგ სუსტად განათებული დარბაზი ჩანს: ერთ მხარეს, თეთრ კედელზე სპონსორის ლოგოტიპებია განთავსებული, მეორე მხარეს - პატარა გალერეაა, საიდანაც მისკენ რამდენიმე ობიექტივი მომართულა.

გაბრიელა სვლას განაგრძობს, მაგრამ, ამასთან, ცდილობს, თითოეული მისი ნაბიჯი მტკიცე და ნელი იყოს. კონგრესის სასახლის წითელ ხალიჩაზე გავლა უფრო ადრე დასრულდა, ვიდრე იმის შეგრძნებას მოასწრებდა, რა მოვლენა ხდებოდა მის ცხოვრებაში. ეს წუთები კი ისე უნდა გაატაროს, თითქოს მისდამი მიძღვნილი ფილმის შენელებული გადაღება მიმდინარეობს. და აი, იწყება ტკაცუნი და ფოტოკამერების ნათება.

- ჟასმინი! - ესმის ვიღაცის შეძახილი. რა ჟასმინი, გაბრიელა ჰქვია!

გაბრიელა ერთ წამს ქვავდება, ვერ ასწრებს სახეზე შეყინული ღიმილის მოშორებას. ნუთუ გაბრიელა აღარ არის? არც ლიზა? აბა, როგორ? ჟასმინი?..

უცებ ხვდება, რომ ყველა ობიექტივი მისკენ კი არა, იმისკენაა მიმართული, ვინც მის შემდეგ მოდის.

- ჟასმინ! აქეთ მოიხედე! მარჯვნივ! - ფოტოგრაფები თითქოს ერთბაშად ჭკუაზე შეიშალნენ.

გაბრიელამ უკვე დერეფნის ბოლოს მიაღწია. მაგრამ არავის წამოუძახია მისი სახელი, ყველასთვის უინტერესო გამოდგა.

- გულს ნუ გაიტეხ, - ეუბნება მის შესაგებებლად წინ გამოსული ჰერმაფროდიტი. პირველად ავლენს ადამიანურ სითბოს. აი, ნახავ, ამ საღამოს სხვებსაც იგივე დაემართებათ, იგივე ან უარესი, რადგან სულ ცოტა ხნის წინათ მათ სახელებსაც ასე ყვიროდნენ. ახლა კი, გადაღების მოლოდინში, ღიმილით დადიან, მაგრამ ერთი რეპორტიორიც კი არ აჩხაკუნებს აპარატს. სიმშვიდე უნდა შეინარჩუნო. თავი ხელში აიყვანო. ეს არაა სამყაროს დასასრული, ყველაფერი ამით არ მთავრდება. ჯერ ნურც დემონების თავდასხმას ელი.

- არა, გულს არ ვიტეხ, მე ხომ დღეს მხოლოდ დებიუტი მქონდა... ვინაა ეს ჟასმინი?

- ისიც დებიუტანტია. დღეს განაცხადეს, რომ ჰამიდ ჰუსეინთან ხელი წარმოუდგენელ კონტრაქტს მოაწერა. არა, ნუ გეშინია, გადაღებებში მონაწილეობას არ ვგულისხმობ.

სულაც არ ეშინია. მხოლოდ ის უნდა, ფეხქვეშ მიწა გაუსკდეს და თან ჩაიტანოს.

8:12 PM

გოგონა იღიმება.

და თავი ისე უჭირავს, თითქოს არ იცის, ამდენი ხალხი რატომ ყვირის მის სახელს.

და ისე მიდის, თითქოს ფეხქვეშ ფიცარნაგი კი არა, წითელი ხალიჩა ეგოს.

ყურადღება! ხალხი უკვე შედის დარბაზში, გადაღებებისთვის გამოყოფილი წამები დასრულდა, უნდა განვაგრძოთ.

მაგრამ ჟურნალისტები ისევ ყვირიან ჟასმინის სახელს. ის თავს უხერხულად გრძნობს, რადგან მის შემდგომ მომავალი წყვილი ყოვნდება, სანამ ჟურნალისტები მისი გადაღებით გულს იჯერებენ, ეს კი არასოდეს მოხდება - შეიძლება უფრო მომგებიანი რაკურსი შეარჩიო, გადაიღო იდეალური სურათი (თითქოს ასეთი რამ არსებობდეს!), დაიჭირო პირდაპირ კამერის ობიექტივისკენ მომართული გამოხედვა. გოგონა დამშვიდობების ნიშნად ხელს უქნევს მათ და მიდის.

დერეფნის ბოლოს ჟურნალისტები ესევიან. ყველას სურს, დაწვრილებით იცოდეს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მოდელიორთან დადებული გრანდიოზული კონტრაქტის შესახებ. ჟასმინი პასუხობს:

- ჯერ პირობებს განვიხილავთ.

ჟურნალისტები არ შოშმინდებიან. მიკროფონიანი გოგონა ეკითხება, კმაყოფილია თუ არა ახალი ამბით. დიახ, მას ჰგონია, ჩვენებამ წარმატებით ჩაიარა და მოდელიორის შემდგომი სამუშაო - ის ხაზგასმით ასახელებს მოდელიორი ქალის სახელს - პარიზის მაღალი მოდის კვირეულზე იქნება ნაჩვენები.

რეპორტიორმა, ეტყობა, ისიც არ იცის, ვისი კოლექციის ჩვენება იყო დღეს. აყრიან ერთსა და იმავე კითხვებს, ოღონდ ახლა ვიდეოკამერებით იწერება.

ნუ მოდუნდები. ისინი, რადაც უნდა დაუჯდეთ, ეცდებიან გათქმევინონ ის, რაც მათ სჭირდებათ, შენ კი მხოლოდ იმაზე ილაპარაკე, რაც შენ თვითონ გაინტერესებს. თავი მოიკატუნე, თითქოს შენთვის დაწვრილებით ცნობილი არაფერია და იმაზე ილაპარაკე, რა წარმატებით ჩაიარა გენიალური მოდელიორის, ენ სალენსისადმი

მიძღვნილმა ჩვენებამ, ვინც მხოლოდ იმიტომ არის მივიწყებული, რომ პარიზში დაბადების ბედნიერება არ ერგო. ყოფილი მოდელი, ახლა კი ერთ-ერთი საკაბელო ტელეარხის წამყვანი, ინტერესდება, როგორ გრძნობს თავს ჰ.ჰ.-ს კოლექციის სახედ. უფრო მეტად ინფორმირებული პროფესიონალი აზუსტებს:

- მართალია, რომ ხელმოწერილი კონტრაქტის თანახმად, დღეიდან წელიწადში ექვსციფრიანზე მეტ თანხას მიიღებთ?

პრეს-რელიზში „შვიდციფრიანი“ უნდა ეჩვენებინათ, „ექვსციფრიანზე მეტი თანხა“ სულელურად ჟღერს, ასე არ გგონიათ?

მას არაფერიც არ ჰგონია!

- კონტრაქტს ჯერ მხოლოდ განვიხილავთ, - იმეორებს ჟასმინი, - ახლა კი, თუ შეიძლება, სუფთა ჰაერზე გავალ, მოგვიანებით ვეცდები, თქვენს ყველა კითხვას გავცე პასუხი.

ტყუილია. მოგვიანებით ის სასტუმროში დაბრუნდება ტაქსით. ვიღაც ეკითხება, რატომ არაა გამოწყობილი „ჰამიდ ჰუსეინის“ კაბაში.

- მე ყოველთვის ამ მოდელიორთან ვმუშაობდი, - ამბობს ჟასმინი. ვიღაც-ვიღაცები იწერენ, სხვები უბრალოდ ყურს იყრუებენ, რადგან აქ ღირსეული ახალი ამბის დასაბეჭდად მოვიდნენ და არა - ინფორმაციის მისაღებად.

ჟასმინს ასეთი დღესასწაულისთვის მუდმივად დამახასიათებელი რიტმი შველის - დერეფანში ფოტოგრაფები ახლა სხვის სახელს გაჰყვირიან. უჩინარ დირიჟორს დამორჩილებული ორკესტრის მუსიკოსებივით, ჟასმინს გარსშემოხვეული ჟურნალისტები უცებ ბრუნდებიან და ახალ სახელგანთქმულს უცქერენ. ჟასმინი ამ პაუზით სარგებლობს და სასტუმროდ ქცეულ ზამთრის ბაღში გადის, სადაც ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილან მოწვეულები და ეწევიან ან სვამენ.

ისიც მალე მოახერხებს დალევასა და მოწევას, ზეცისთვის შეხედვას, განტვირთვას და აქაურობის დატოვებას.

ამ დროს ორნი - ახალგაზრდა ქალი და ფანტასტიკური კინოგმირის მსგავსი უცნაური არსება - თვალს არ აშორებენ და მის თითოეულ ნაბიჯს უთვალთვალებენ. ეტყობათ, მათაც მაინცდამაინც ვერ გაუგიათ, აქ რატომ მოვიდნენ. შეიძლება მივიდეს და გაესაუბროს. ჟასმინი თავს აცნობს მათ. ჰერმაფროდიტი ჯიბიდან ტელეფონს იღებს, იჯღანება, ბოდიშს იხდის - ცოტა ხნით უნდა წავიდეო.

გოგონა იქვე რჩება და ჟასმინს ისეთი თვალით უყურებს, თითქოს სურს უთხრას: „შენ მე საღამო გამიფუჭე“.

ჟასმინი ნანობს, რომ მოწვევა მიიღო. მოწვევა ორმა მამაკაცმა მიუტანა, როდესაც ის მეგობართან ერთად ბელგიის მოდის ასოციაციის მიერ მოწყობილ მოკრძალებულ

მიღებაზე აპირებდა წასვლას, თუმცა ყველაფერი არცთუ ისე ცუდადაა - სურათები თუ დაიბეჭდება, კაბას შეამჩნევენ და ვიღაც შეიძლება მისი შემქმნელის ვინაობით დაინტერესდეს.

მოსაწვევის მომტანებმა კარგად აღზრდილი ადამიანების შთაბეჭდილება დატოვეს. თავაზიანად შეატყობინეს, რომ კართან ავტომობილი უცდიდა და იქვე დაუმატეს, დარწმუნებულები ვართ, ასეთ გამოცდილ მოდელთან საუბარს საათის მეოთხედზე მეტი არ დასჭირდებაო.

შემდეგ ერთ-ერთმა ჩანთიდან ამოიღო ნოუთბუქი, პორტატული პრინტერი და უთხრა, რომ მოვიდნენ კანის უდიდესი კონტრაქტის შესადგენად. დარჩა წვრილმანები - ისინი შეატყობინებენ და შესაბამის გრაფებში ჩაიწერენ პირობებს, მისი აგენტი კი ხელს მოაწერს (მათ იცოდნენ, რომ მის გვერდით მჯდარი ქალი მარტო მისი მოდელიორი კი არა, აგენტიც იყო).

ისინი მოდელიორს შემდგომი კოლექციის შექმნაში ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას დაჰპირდნენ. რაღა თქმა უნდა, ეტიკეტზე მისი სახელის შენარჩუნებასა და, რასაკვირველია, თავიანთი პიარსამსახურის შესაძლებლობებსაც. უფრო მეტიც - მზად იყვნენ, ეყიდათ მისი ბრენდი და ჩაედოთ ინვესტიცია, რაც საკმარისი იქნებოდა იტალიური, ფრანგული და ბრიტანული პრესის ინფორმირებისთვის.

მაგრამ ორი წინასწარი პირობა იყო. პირველი: საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვეტილიყო, რათა ეს ამბავი დილის გაზეთებში მოხვედრილიყო. მეორე - კონტრაქტი ჟასმინ ტაიგერთან გაუქმებულიყო, რათა მას ექსკლუზიურად მხოლოდ ჰამიდ ჰუსეინთან ემუშავა. ბელგიელი მოდელიორი სულ მალე შეძლებდა მისი შემცვლელის მონახვას. გარდა ამისა, ჟასმინის აგენტობაში დიდძალ ფულს მიიღებდა...

- ჟასმინთან კონტრაქტის გაუქმებისთვის მზად ვარ, - დაუფიქრებლად უპასუხა მოდელიორმა, - დანარჩენზე კი მოგვიანებით მოვილაპარაკოთ.

ასე უცებ როგორ დათანხმდა? ეს ქალი პასუხისმგებელია ყველაფერზე, რაც ჟასმინის ცხოვრებაში მოხდა, ახლა კი თითქმის სიამოვნებით სცილდება... ქალმა, ვინც ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა, ზურგში დანა ჩასცა.

პირველმა სტუმარმა ჯიბიდან თავისი სმარტფონი ამოიღო.

- პრესისთვის ახლავე გავაგზავნით თქვენს განცხადებას, რომელიც უკვე მზად გვაქვს.

მოდელიორმა ქალმა მოითხოვა, ხელშეკრულებაში „საოცრად მაღალი ჰონორარი“ მოეხსენიებინათ. ორნი არ დაეთანხმნენ, ირწმუნებოდნენ, ეს ბაზარზე ფასების აწევას გამოიწვევსო; მერე ბოდიში მოიხადეს, მობილურები ამოიღეს და გავიდნენ. მალევე უკან დაბრუნდნენ და მოითხოვეს, კონკრეტული თანხის დასახელების ნაცვლად, გაურკვევლად და ბუნდოვნად ჩაეწერათ „ექვსციფრიან რიცხვს აღმატებული“

ანაზღაურება. მერე ორივეს ხელი ჩამოართვეს, რამდენიმე კომპლიმენტი წაიბურტყუნეს, ჩანთებში შეინახეს ნოუთბუქი და პრინტერი და სთხოვეს, ტელეფონით ეუწყებინათ ოფიციალური თანხმობა. დღევანდელი საღამო წინასწარ იყო გათვალისწინებული წუთის წინ დადებულ კონტრაქტში.

- გაემზადე.

- რა უფლება გაქვს, განაგებდე ჩემს ცხოვრებას? ხომ იცი, თანახმა არა ვარ, მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმაც კი არ შემიძლია. სხვასთან მუშაობა არ მაინტერესებს!

მოდელიორმა მთელ ოთახში მიყრილ-მოყრილი კაბებიდან ყველაზე ლამაზი ამოიღო - პეპლების დარი მაქმანებით გაწყობილი თეთრი კაბა, ერთ წუთს ჩაფიქრდა, როგორი ჩანთა და ფეხსაცმელები მოუხდებაო და უცებ ამოარჩია, რადგან დრო არ იცდიდა.

- მათ დაავიწყდათ, ეთქვათ, საღამოზე ჰ.ჰ.-ს კაბით რომ უნდა გამოცხადდე, ასე რომ, შესაძლებლობა გვაქვს, ჩემი კოლექციიდან წარვადგინოთ რამე.

ჟასმინი ყურებს არ უჯერებს.

- მაშასადამე, ყველაფერი მხოლოდ ამისთვის მოხდა?

- მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის.

ისინი პირისპირ იდგნენ და ერთმანეთს თვალს არ აცილებდნენ.

- მატყუებ.

- ჰო, გატყუებ.

ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

- პლაჟზე უიკენდის შემდეგ, როცა პირველად გადაგიღე სურათები, ვიცოდი, ეს დღე დადგებოდა და აი, მართლაც, დადგა, თუმცა უფრო მოგვიანებით, ვიდრე ვვარაუდობდი. უკვე ცხრამეტი წელი შეგისრულდა, მოწიფული გოგო გახდი, შეგიძლია მიიღო გამოწვევა. ჩემთან ბევრნი მოდიოდნენ, წინადადებებს მთავაზობდნენ შენ შესახებ, მაგრამ მუდამ უარით ვისტუმრებდი, ჩემთვის კი ვფიქრობდი: ეს იმიტომ ხდება, რომ მეშინია მისი დაკარგვის თუ იმიტომ, რომ თავად არაა მზად? დღეს ჰამიდ ჰუსეინი დარბაზში რომ დავინახე, მივხვდი, ის მხოლოდ ენ სალენსის პატივისცემის გამო არ იყო მოსული: მას კიდევ რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული, ახლა უკვე ვიცი, სახელდობრ, რა. ძალიან სურდა ჩვენთან საუბარი... მე ცოტა დავიბენი, მაგრამ შევატყობინე, რომელ სასტუმროში ვცხოვრობთ.

- მაგრამ რატომ დათანხმდი?

- იმიტომ, რომ ვისაც უყვარს, ის თავისუფლებას ანიჭებს. შენი პოტენციალი იმაზე გაცილებით დიდია, ვიდრე მე შემიძლია შემოგთავაზო. გზას გილოცავ, მინდა

ყველაფერი მიიღო, რასაც იმსახურებ. ჩვენ ძველებურად ერთად ვიქნებით, რადგან სულით ხორცამდე შენ გეკუთვნი.

მე ჩემს დამოუკიდებლობას შევინარჩუნებ, თუმცა ვიცი, ამ სფეროში რა დიდი მნიშვნელობა აქვთ მფარველებს. ჰამიდ ჰუსეინი რომ მოსულიყო და ჩემი ბრენდის ყიდვა შემოეთავაზებინა, დაუფიქრებლად დავთანხმდებოდი და მისთვის ვიმუშავებდი, მაგრამ საქმე ჩემს ნიჭს კი არა, შენს მუშაობას ეხება და უღირსი ადამიანი ვიქნებოდი, წინადადების ამ ნაწილს თუ მივიღებდი.

მან ჟასმინს აკოცა.

- მე ვერ დაგეთანხმები, - უპასუხა ჟასმინმა, - ერთმანეთი რომ გავიცანით, დამფრთხალი გოგო ვიყავი - სულ იმის მეშინოდა, რომ პასუხისგებაში მიმცემდნენ ცრუმოწმეობის გამო და სერიოზულად ვფიქრობდი თვითმკვლელობაზე. ყველაფერს, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, შენ უნდა გიმადლოდე...

მეგობარმა სთხოვა, სარკის წინ დამჯდარიყო და სანამ ვარცხნას დაუწყებდა, თმაზე მიეფერა.

- ჩვენს შეხვედრამდე მეც დაკარგული მქონდა ცხოვრების ხალისი. ქმარმა მიმატოვა და სხვასთან წავიდა - უფრო ახალგაზრდასა და მდიდართან. არსებობისთვის ფოტოგრაფობა დავიწყე, უქმე დღეებში კი ფეხმოუცვლელად ვიჯექი შინ და ვკითხულობდი, ტელევიზიით ძველ რაღაცებს ვუყურებდი ან ინტერნეტში დავძვრებოდი. მოდელიორად გახდომის დიდი ხნის ოცნება თანდათან ფერმკრთალდებოდა და მშორდებოდა: არავინ იყო თანახმა პროექტის დაფინანსებაზე, მე კი უკვე აღარ შემეძლო კარის ატალახება და ლაპარაკი იმ ადამიანებთან, ვინც ჩემს სიტყვებზე ყურს იყრუებდნენ.

ამ დროს შენ გამოჩნდი. ვაღიარებ, იმ შაბათს მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობდი. მივხვდი, რომ ჩემს ხელთ ნამდვილი განძი მოხვდა და თუ ხელს მოვაწერდით ექსკლუზიურ კონტრაქტს, ჩემი საქმე შეიძლება გამოსწორებულიყო. გახსოვს, აგენტობა რომ შემოგთავაზე? იმიტომ კი არ შემომითავაზებია, რომ შენი თავი მტრული სამყაროსგან დამეცვა: მაშინ მეც ისევე ეგოისტურად ვფიქრობდი, როგორც ახლა ჰამიდ ჰუსეინი. ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეოდი ამ განძს; მარტო ფოტოგრაფიით შემეძლო გავმდიდრებულიყავი.

მან საფეთქელთან კულული გაუსწორა ჟასმინს, მარცხნივ, შუბლზე სქლად დადებული ტონი მოაშორა.

- შენ კი, თექვსმეტი წლისამ, შეძელი გეჩვენებინა, როგორ შეუძლია სიყვარულს ადამიანის გარდაქმნა. შენი წყალობით საკუთარი თავი შევიცანი. სამყაროს ჩემი ნიჭი რომ ერწმუნა, შენი კაბების მოფიქრება დავიწყე - ეს ჩანაფიქრი ყოველთვის მიტრიალებდა თავში და მხოლოდ შემთხვევას ელოდა, რეალობად რომ ქცეულიყო

და ქსოვილებით, მაქმანებითა და აქსესუარებით ხორცშესხმულიყო. თუმცა შენზე ორჯერ უფროსი ვარ, ერთად მოვდიოდით და ვსწავლობდით. ამის გამო მიაქციეს ადამიანებმა ყურადღება ჩემს სამუშაოს და გადაწყვიტეს პროექტში ფულის ჩადება. ცხოვრებაში პირველად შევძელი ყოველივე იმის განხორციელება, რასაც ამდენ ხანს გულით ვატარებდი. და აი, ჩვენ ერთად მოვედით კანამდე, და ვერც ეს კონტრაქტი დაგვაშორებს ერთმანეთს.

სააბაზანოდან კოსმეტიკური ნაკრები მოიტანა, მუშაობა დაიწყო და სულ სხვა ხმით ალაპარაკდა:

- დღეს საღამოს თვალისმომჭრელი უნდა იყო. დღემდე ყველასთვის უცნობ არც ერთ მოდელს ერთ წამში არ მოუპოვებია დიდება, ასე რომ, პრესა მეტისმეტად იქნება დაინტერესებული; უნდა უპასუხო, რომ დეტალები შენთვის უცნობია - ეს საკმარისი იქნება. ჟურნალისტები მაინც ჩაგაცივდებიან, ის კი არა, შეიძლება ასეთი ვარიანტებიც შემოგთავაზონ: „მასთან მუშაობაზე მუდამ ვოცნებობდი“, ანდა: „ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩემს კარიერაში“.

ქალმა ჟასმინი ქვემოთ, მანქანამდე მიაცილა, მძღოლმა კარი გაუღო.

- შენს სიტყვაზე დადექი: კონტრაქტზე დაწვრილებით არაფერი ვიცი, ამას ჩემი აგენტი აგვარებს-თქო. ეცადე, დღესასწაულმა ამაოდ არ ჩაიაროს.

დღესასწაული.

სინამდვილეში ვახშამია, ოღონდ არც მაგიდებია და არც მასპინძლები; სამაგიეროდ, ოფიციანტები თავიანთი ლანგრებით განუწყვეტლივ ეჩხირებიან ხალხს თვალში და სთავაზობენ ყოველგვარი შესაძლო სახის სასმელსა და მინერალურ წყალს. უკვე შეიქმნა პატარ-პატარა ჯგუფები და წრეები, განმარტოებულნი თავს მყუდროდ ვერ გრძნობენ. ვახშამი უზარმაზარ ბაღში ეწყობა, ყველგან დაუდგამთ დივნები და სავარძლები. ერთმეტრიან ეკრანზე ნახევრად შიშველი, ტანკენარი გოგონები ცეკვავენ - მუსიკა სტრატეგიულად მომგებიან ადგილზე დამალული დინამიკებიდან ისმის.

სახელგანთქმულნი მოსვლას განაგრძობენ. იღიმებიან, უზრუნველები და ბედნიერები გეგონებათ. ერთმანეთს ძველი ნაცნობებივით ალერსიანად და მოურიდებლად ექცევიან, მაგრამ ჟასმინმა იცის, რომ ეს ფარისევლობაა, შესაძლოა, ერთხელ ან ორჯერ უნახავთ ერთმანეთი მსგავს თავშეყრაზე. თუმცა არ ახსოვთ, რა ჰქვიათ, ვისაც ესაუბრებიან, მაინც ცდილობენ გავლენიან, გამოჩენილ, ყველასთვის ნაცნობ ადამიანებად გამოჩნდნენ.

გაბრიელას წყენა გაუქრა. ახლა სულ დაბნეული ჩანს, სიგარეტს სთხოვს და თავის სახელს ეუბნება. რამდენიმე წუთის შემდეგ მათ ერთმანეთზე თითქმის ყველაფერი იციან. ჟასმინი მასთან ერთად ბაღის კიდესთან მიდის და სანამ ბაღი ცნობილი და

მათთვის უცნობი ადამიანებით ივსება, ერთად უყურებენ ოკეანეს. გამოირკვა, რომ ორივე ერთი და იმავე ადამიანისთვის, ოღონდ სხვადასხვა პროექტში მუშაობს. არც ერთი მათგანი არ იცნობს მას, ეს სამუშაო ორივესთვის ერთდროულად დაიწყო.

დროდადრო მათთან მამაკაცები მიდიან და ცდილობენ საუბარი გაუბან, მაგრამ ჟასმინსაც და გაბრიელასაც ისე უჭირავთ თავი, თითქოს ვერაფერს ხვდებიან. პირველს ძალზე სჭირდებოდა მეორე, რათა გაეფატა და განედევნა მარტოობის გრძნობა, რაც მიუხედავად აქ წამოსვლის წინ მეგობრების მიერ ნათქვამი ლამაზი სიტყვებისა, მაინც არ ტოვებდა. აღმოჩნდა, რომ მის შეყვარებულს სურს, ჟასმინმა უპირატესობა კარიერას მიანიჭოს, თავად მან კი ჰამიდ ჰუსეინის წინადადება მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ ეამაყა იმით, რა ბევრი რამ გაუკეთა მეგობარმა, რა მზრუნველად წარმართავდა მის ყოველ ნაბიჯს, როგორ ფრთხილად ეპყრობოდა, რა ალერსიანად უსწორებდა მარცხსა და შეცდომებს, რა აღფრთოვანებით ღებულობდა მის ყოველ სიტყვასა და ყოველ ნაბიჯს, როგორი ძნელიც უნდა ყოფილიყო. გაბრიელასაც სჭირდებოდა ეს შეხვედრა, რათა რჩევა ეკითხა, მადლობა გადაეხადა იმისთვის, რომ თავს ისე მარტოდ აღარ გრძნობდა და შეიძლება ერწმუნა, რომ კარგი რამეები ამქვეყნად ხანდახან მაინც ხდება. რათა ეღიარებინა, რომ თავგზა ჰქონდა აბნეული მისი თანმხლების უეცარი გაქრობის გამო.

- ვარსკვლავი ფიქრობდა, რომ შეეძლო გრძნობათა დაფარვა, მაგრამ ვიცი, რაღაც ისე არ მოხდა...

ჟასმინი პასუხობს:

- ნუ ნერვიულობ. მოდუნდი. მოსვი შამპანური. დატკბი მუსიკით, გახედე ზღვას... ყოველთვის შეიძლება მოხდეს რაღაც გაუთვალისწინებელი, ვარსკვლავი მალე გამოჩნდება. ოღონდ გთხოვ, არ მიმატოვო, აქ დიდხანს აღარ დავრჩები.

გაბრიელა ჰპირდება, რომ არ მიატოვებს. ჟასმინი მისი ერთადერთი მეგობარია ახალი სამყაროდან, სადაც ეს-ესაა შედგა ფეხი.

დიახ, ის ერთადერთი მეგობარია, მაგრამ ჯერ ისეთი ახალგაზრდაა, რომ მის შემხედვარეს სამწუხარო ფიქრები გაუჩნდა - მისთვის გვიანი ხომ არ არის რაიმეს წამოწყება? წითელ ხალიჩაზე ვარსკვლავთან ერთად რომ მიდიოდა, გაბრიელა მიხვდა, რა ზედაპირული და ფუქსავატი ადამიანიც იყო და მასზე გული აუცრუვდა. და როგორ სიმპათიურად და საყვარლადაც არ უნდა ეჩვენებოდეს ეს გოგონა, დღევანდელი საღამოსთვის კავალერია საჭირო... გაბრიელა იმ მამაკაცსაც ამჩნევს, ცოტა ხნის წინ ბარში რომ ნახა - ზის ყველა დამსწრესგან ზურგშექცევით და ზღვას გაჰყურებს, თითქოსდა ამ გალავახშამზე რაც ხდება, მასთან არავითარი კავშირი არ აქვს. კარგი გარეგნობისაა, ელეგანტური, რაღაც იდუმალ მომხიბვლელობას ასხივებს... „დრო უნდა შევარჩიო და ჟასმინი დავიყოლიო, მივიდეთ და გამოველაპარაკოთ, სულერთია რაზე“.

ბოლოს და ბოლოს, რაც უნდა იყოს, დღევანდელმა დღემ მისთვის დიდი წარმატებით ჩაიარა და იქნებ ახალი სიყვარულიც მოუტანოს.

8:21 PM

მაგიდას ოთხნი შემოსხდომიან: სასამართლო მედიკოსი, ინსპექტორი სავუა, კომისარი და კომისრის მოყვანილი კიდევ ერთი კაცი, რომელიც დანარჩენებისთვის არ წარუდგენია.

ამოცანა არაა ახალი დანაშაულის განსჯა - მათ ერთობლივი განცხადება უნდა გააკეთონ საავადმყოფოს კართან თავმოყრილი პრესის წარმომადგენლებისთვის. საავადმყოფოში ეს-ესაა გარდაიცვალა მსოფლიოში სახელგანთქმული კინოვარსკვლავი. არანაკლებ სახელმოხვეჭილი რეჟისორი კი რეანიმაციაში იმყოფება. უეჭველია, ახალი ამბების სააგენტო თავისი ჟურნალისტების წინაშე დასვამდა საკითხს, თუ არ მოიპოვებთ რაიმე კონკრეტულ ცნობას, ახალი სამსახურის მონახვა მოგიხდებათო.

- სასამართლო მედიცინა ერთ-ერთი უძველესი პროფესიაა. მისი წყალობით მოხერხდა შესწავლილიყო, რა კვალს ტოვებს ესა თუ ის შხამი და ბევრი მათგანისთვის მონახულიყო ანტიდოტი. მიუხედავად ამისა, მეფეები და არისტოკრატები მუდამ ცდილობდნენ, სასახლეში ჰყოლოდათ მეჭაშნიკე, რათა ექიმებს თავიდან აეცილებინათ გაუთვალისწინებელი მოულოდნელობა.

ამ ერუდიტს სავუა დღეს უკვე შეხვდა. ახლა იგი კომისარს შესაძლებლობას აძლევს, ჩაერიოს და შეაწყვეტინოს ისტორიული ექსკურსი.

- ექიმო, კმარა ცოდნით თავის მოწონება! ქალაქში მკვლელი დასეირნობს.

- როგორც სასამართლოს ექსპერტს, არა მაქვს უფლება რაიმე ვამტკიცო მკვლელობასთან დაკავშირებულ გარემოებაზე. ჩემი საქმე არ არის ვერსიების წამოყენება, ჩემი ვალია სიკვდილის მიზეზისა და სიკვდილის სავარაუდო დროის განსაზღვრა, მკვლელობის იარაღის დადგენა და მსხვერპლის ვინაობის გამორკვევა.

- თქვენი აზრით, ჯავიც უაილდისა და ამ მსახიობის მკვლელობას შორის თუ არის რაიმე ურთიერთკავშირი?

- არის - ორივე კინოში მუშაობდა.

და თვითონვე იცინის თავის ენამახვილობაზე, დანარჩენები წარბს არ იხრიან. ალბათ, ეს ოთახი აქ მყოფთ სრულიად აკარგვინებს იუმორის გრძნობას.

- საერთო მხოლოდ ისაა, რომ ორივე შემთხვევაში გამოყენებულია ტოქსიკური ნივთიერება, რომელიც ორგანიზმს ელვისებურად ანადგურებს. მეორე მკვლელობა ციანიდის შეფუთვითაა უჩვეულო. კონვერტი, რომელშიც ციანიდი იყო მოთავსებული, წვრილი პლასტიკის მემბრანის გამოყენებით, ვაკუუმური ხერხით იყო დაბეჭდილი. კონვერტის გახსნისას ჰერმეტულობა ირღვევა.

- შეიძლება ეს აქ დამზადებულიყო? - ძალზე შესამჩნევი უცხოური აქცენტით იკითხა თათბირის მეოთხე მონაწილემ.

- შესაძლებელია, თუმცა, ძალზე რთული საქმეა. მანიპულაცია დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, და მან, ვინც ამას სჩადის, იცის, რომ სასიკვდილო იარაღს ამზადებს.

- სხვაგვარად რომ ვთქვათ, თვითნაკეთი არ არის?

- საეჭვოა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კონვერტი სპეციალისტს შეუკვეთეს. ციანიდი კურარე არ არის, რომელიც უბრალოდ შეიძლება რაიმის წვერს ან ბუნიკს წაეცხოს... აქ კვალიფიციური მიდგომაა საჭირო.

სავუა მარსელზე, კორსიკაზე, სიცილიაზე, აღმოსავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე ფიქრობს. ბოდიშს იხდის, ოთახიდან გადის და ევროპოლში რეკავს. უხსნის მათ სიტუაციის სერიოზულობას და ითხოვს აცნობონ ყველა ლაბორატორია, სადაც შეიძლება ასეთი ქიმიური იარაღის შექმნა.

მას აკავშირებენ რომელიღაც თანამშრომელთან, რომელიც ატყობინებს, რომ სწორედ ხუთი წუთის წინათ CIA-დან მიიღო ასეთივე შეკითხვა.

- თუ შეიძლება, პასუხი ინფორმაციის მიღებისთანავე შემატყობინეთ და, თუ შეიძლება, არაუგვიანეს ათი წუთისა.

- ეს წარმოუდგენელია. პასუხს მაშინ მიიღებთ, როცა ჩვენ გვექნება. არც იმაზე ადრე და არც გვიან. ჩვენ უნდა გავაგზავნოთ...

სავუა აღარ უსმენს, ტელეფონს უთიშავს და ოთახში ბრუნდება.

სავუამ მხოლოდ თვალის ასახვევად დარეკა - მან ისედაც იცის, ვინ არის დამნაშავე და მას მარტო დაიჭერს, რათა კანის ისტორიაში ყველაზე რთული საქმის გამხსნელს, ვერავინ შეეცილოს მაძებრის დაფნის გვირგვინს. ამიტომ გარეგნულად სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოს, თუმცა ამქვეყნად ყველაზე მეტად ის სურს, რაც შეიძლება ჩქარა დამთავრდეს ეს სიმშვიდე.

...ოთახში შესვლისას კომისარი ატყობინებს, რომ ამ წუთში მონტე-კარლოდან დარეკა სკოტლანდ-იარდის გადამდგარმა თანამშრომელმა, სტენლი მორისმა და გვირჩია, განსაკუთრებულად ნუ გაირჯებით, რადგან საეჭვოა, დამნაშავემ ხელახლა გამოიყენოს ადრინდელი იარაღიო.

- ეტყობა, ტერორიზმის ახალი ტალღა გვემუქრება, - ამბობს უცნობი.

- ეტყობა, - უდასტურებს კომისარი, მაგრამ, თქვენგან განსხვავებით, ვეცდებით პანიკა კი არ დავთესოთ, ჩავაცხროთ. და აი, აქ იმიტომ შევიკრიბეთ, რომ ვცდილობთ, პრესისთვის განცხადება ჩამოვაყალიბოთ, სანამ თვითონ პრესას არ გაუკეთებია დასკვნები და არ გამოუქვეყნებია ახალი ამბების უახლოეს გამოშვებაში. მაინც ვფიქრობ, რომ საქმე გვაქვს მარტო მოქმედ ტერორისტთან, უფრო სწორად, სერიულ მკვლელთან.

- მაგრამ...

- არავითარი „მაგრამ!“ - მკაცრად და მბრძანებლურად აწყვეტინებს კომისარი, - ჩვენ ვაცნობებთ თქვენს საელჩოს, რადგან მოკლული თქვენი ქვეყნის მოქალაქე იყო და აქ სტუმრის სტატუსით იმყოფებით. როდესაც თქვენი ორი სხვა თანამემამულე დაიღუპა, მაშინ განსაკუთრებული ინტერესი არ გამოგიჩენიათ; ვერ მოიცალეთ, გამოგეგზავნათ წარმომადგენელი, თუმცა ერთ შემთხვევაში მაშინაც შხამი იყო გამოყენებული. ამიტომაც, თუ იმაზე მიგვანიშნებთ, რომ ბიოლოგიური იარაღით მასობრივი განადგურების საშიშროება გველის, სჯობს, ახლავე დატოვოთ აქაურობა. ჩვენ არ ვაპირებთ სისხლის სამართლის საქმეში პოლიტიკის ჩარევას. მომავალ წელს საკადრისი ბრწყინვალებით ჩავატარებთ მომდევნო კინოფესტივალს, გვჯერა სკოტლანდ-იარდის სპეციალისტის და განცხადებასაც ამის მიხედვით შევადგენთ.

უცხოელი აღარაფერს პასუხობს.

კომისარი იძახებს მდივანს, სთხოვს გავიდეს ჟურნალისტებთან და შეატყობინოს, რომ შედეგს, რასაც ასე დიდხანს ელიან, ათი წუთის შემდეგ გამოაცხადებენ. ექსპერტი იტყობინება, რომ ციანიდის წარმომავლობის დადგენა შეიძლება და თუმცა ეს ნაწილობრივ მოჰფენს ნათელს მკვლელის ვინაობას, მაინც, ამას ათი წუთი კი არა, სულ ცოტა, მთელი კვირა დასჭირდება.

- მსხვერპლთა სისხლში აღმოჩენილია ალკოჰოლის კვალი, კანის საფარი წითელია. სიკვდილი ელვის უსწრაფესად დადგა. ყოველივე ეს ეჭვს არ ტოვებს, როგორი შხამი იყო გამოყენებული. ეს მჟავა რომ ყოფილიყო, ცხვირისა და პირის გარშემო დარჩებოდა დამახასიათებელი დამწვრობა, ბელადონა რომ ყოფილიყო, გუგები გაფართოებული იქნებოდა, თუ...

- ექიმო, ყველამ ვიცით, რომ ბრწყინვალედ შეგიძლიათ დაასაბუთოთ სიკვდილის მიზეზი და არც თქვენს კომპეტენტურობაში გვეპარება ეჭვი. მოკლედ, ვთანხმდებით იმაზე, რომ ეს იყო ციანიდი.

ექსპერტი თავს უქნევს და სინანულით იკვნეტს ტუჩებს.

- მეორე დაზარალებული, კინორეჟისორი როგორღაა?

- ყოველ თხუთმეტ წუთში ვაძლევთ ჟანგბადს, 600 მილიგრამ კელოციანორს ინტრავენურად, დადებითი დინამიკა თუ არ გვექნება, დავუმატებთ 25 პროცენტიან ნატრიუმის ტრიოსულფატის ხსნარს...

ოთახში ჩამომდგარ სიჩუმეს თითქოს ხელითაც შეიძლება შეეხო.

- უკაცრავად, მინდოდა მეთქვა, თავს დააღწევს-მეთქი.

კომისარი ყვითელ ფურცელზე რაღაცას ინიშნავს.

დრო არ იცდის. ყველას მადლობას უხდის. უცხოელს სთხოვს, გარეთ ჯერ არ გამოხვიდეთ, არ არის საჭირო, ახალი საბაბი მივცეთ ჭორებსა და ფანტასტიკურ ვარაუდებსო. შედის სააბაზანოში, კიდევ უფრო მაგრად იჭერს ჰალსტუხს და სავუას სთხოვს, იგივე გაიმეოროს.

- მორისი ვარაუდობს, რომ მკვლელი შემდგომში შხამს აღარ გამოიყენებს. დასარეკად რომ გახვედით, მე რაღაც-რაღაცები ავწონ-დავწონე და მივხვდი: შესაძლოა ის ქვეცნობიერად მოქმედებს, ქცევის რაღაც განსაზღვრული მოდელით. რა მოდელით, როგორ ფიქრობთ?

მონტე-კარლოდან დაბრუნებისას სავუაც ასე ფიქრობდა. ჰო, არსებობს რაღაც სქემა, რაც სკოტლანდ-იარდის სახელგანთქმულ მაძებარს გამოეპარა:

მსხვერპლი მერხზე - დამნაშავე ძლიერ ახლოსაა მისული.

მსხვერპლი პლაჟის პავილიონში - მსხვერპლი შორიდან მოქმედებს.

მსხვერპლი სასტუმროში - შორიდან.

ამ მოდელს თუ მივყვებით, შემდგომი დანაშაული მაშინ იქნება ჩადენილი, როდესაც მსხვერპლი კვლავ ძალიან ახლოს იქნება. უფრო სწორად, ისე ჩაიფიქრებს, რომ უახლოეს ნახევარ საათში არ დაიჭირონ. აი, ისიც - ცხელი კვალი, ჯაჭვის ერთადერთი ნაკლული რგოლი. გული გამალებით უცემს: მთელი ცხოვრების ოცნება უსრულდება... როდის დამთავრდება ეს წყეული თათბირი?!

- მისმენთ, ინსპექტორო?!

- დიახ, ბატონო კომისარო.

- მინდა, გაიგო: კართან შეკრებილი ჟურნალისტები ჩვენგან გარკვეულ და კონკრეტულ, ზუსტ პასუხს კი არ ელოდებიან, სინამდვილეში ტყავიდან გამოძვრებიან, ოღონდ ჩვენგან ის მოისმინონ, რაც მათ სურთ. გახსოვდეთ: სახის გამომეტყველება და წარმოსადეგობა, როგორ გიჭირავთ თავი და როგორ ლაპარაკობთ, შეიძლება გაცილებით მეტყველი იყოს. თვალებს აქეთ-იქით არ უნდა აცეცებდეთ, პირდაპირ უნდა იყურებოდეთ, მხრები დაუშვათ და ოდნავ უკან

გადაიწიოთ... გაჭიმული დგომა შინაგან დაძაბულობას გასცემს: ყველა მიხვდება, რომ მკვლელობათა ჩამდენზე ვარაუდიც კი არ გაგვაჩნია.

ისინი სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს კართან გამოდიან. ინთება კაშკაშა ლამპები, იშვერენ მიკროფონებს, ჟურნალისტები წინ გასაძრომად ერთმანეთს ხელს ჰკრავენ... რამდენიმე წუთის შემდეგ კომისარი ჯიბიდან იღებს ქაღალდის ფურცელს:

- სახელგანთქმული მსახიობი მოწამლულია ციანიდით - სასიკვდილო მაღალტოქსიკური ნივთიერებით, რომელიც შეიძლება სხვადასხვა სახით გამოიყენებოდეს. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული იყო გაზისებრი ციანიდი. მისი კოლეგა, რეჟისორი ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადარჩა. ის მაშინ შევიდა ნომერში, როცა ჰაერში კიდევ იყო დარჩენილი ციანიდის ელემენტები. სასტუმროს უსაფრთხოების სამსახურმა, რომელიც ვიდეოდაკვირვებას აწარმოებს, შენიშნა, როგორ შევიდა მდგმური ნომერში, ხუთი წუთის შემდეგ თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა და იატაკზე დაეცა.

კომისარს არ უხსენებია, რომ ეს ნომერი „ბრმა ზონაში“ იმყოფებოდა. უთქმელობა სიცრუე არ არის.

- სასტუმროს თანამშრომლებმა ძალზე ოპერატიულად მოახდინეს რეაგირება - შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გაგზავნეს ექიმი. მან უმალ იგრძნო მწარე ნუშის დამახასიათებელი სუნი, თუმცა ჰაერში ციანიდის კონცენტრაცია სიცოცხლისთვის საფრთხეს უკვე აღარ წარმოადგენდა. გამოძახებული პოლიცია ხუთ წუთში მოვიდა. სართულს გარს შემოერტყნენ, სასწრაფოს ექიმების დროულად აღმოჩენილმა დახმარებამ შესაძლებელი გახადა დაზარალებულისთვის სიცოცხლის შენარჩუნება.

კომისრის მჭევრმეტყველება სავუაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

- ...მომწამვლელი ნივთიერება მოთავსებული იყო კონვერტში, მაგრამ ვის ეკუთვნოდა წარწერა, ქალს თუ მამაკაცს, ამის დადგენა ჯერ ვერ მოხერხდა, შიგნით წერილი იდო.

კონვერტი ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიით რომ იყო დაბეჭდილი, კომისარმა არც ამის გავრცელება მიიჩნია საჭიროდ. მილიონიდან ერთი შანსი არსებობდა, რომელიმე დამსწრე ჟურნალისტს შეეტყო ამის შესახებ, თუმცა მოგვიანებით მსგავსი კითხვა აუცილებლად გაჩნდებოდა. ერთი სიტყვა არ თქმულა იმაზეც, რომ სასტუმროში მომხდარ ამბამდე მოწამლულ იქნა კიდევ ერთი გამოჩენილი კინომოღვაწე, რადგან ყველა ფიქრობდა, რომ ჯავიც უაილდი გულის შეტევით გარდაიცვალა. სასიკეთოდ ხდება ხოლმე, როცა ხანდახან პრესა სიზარმაცისა თუ დაუდევრობის გამო საკუთარ დასკვნას აკეთებს და პოლიციას არ აწუხებს...

- რა ეწერა ბარათში? - გაისმის პირველი შეკითხვა.

კომისარი უხსნის ჟურნალისტებს, რომ ამ ცნობას, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ ახმოვანებენ. სავუა თანდათან ხვდება, საით მიჰყავს კომისარს პრეს-კონფერენცია და უფრო მეტ აღფრთოვანებას გრძნობს. ეს ადამიანი ნამდვილად შეეფერება დაკავებულ თანამდებობას.

- ხომ შეიძლება მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე იყოს ჩადენილი? - კითხულობს მეორე ჟურნალისტი.

- შეიძლება, შეიძლება. ყველაფერი შესაძლებელია. თქვენის ნებართვით, ბატონებო... დროა, ჩვენს საქმეს დავუბრუნდეთ.

კომისარი პოლიციის მანქანაში ჯდება და სირენის კივილით სწყდება ადგილს. კომისრით გაამაყებული სავუა თავისი მანქანისკენ მიდის. მშვენიერია! სულ მალე ეთერში სენსაციური ახალი ამბავი გავა: „გამოძიება ფიქრობს, რომ დიდი მსახიობი ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლეს“.

ვერაფერი შეძლებს ამ ცნობით გამოწვეული ინტერესის შეცვლას. ვარსკვლავი ისე კაშკაშებდა, რომ ყველა დანარჩენი დანაშაული შეუმჩნეველი დარჩება. ვის რაში ანაღვლებს დილით სანაპიროზე მოკლული საბრალო გოგონა? ანდა გულის შეტევით გარდაცვლილი წითელთმიანი კინოპროდიუსერი? ან ვის დააინტერესებს მკვლელობა პლაჟზე? მსგავსი რამ თითქმის ყოველდღე ხდება, ახალი ამბების რვასაათიან გამოშვებაში გაკვრით მოხსენიებას თუ იმსახურებს და იმავე წუთში ავიწყდება ყველას. ოღონდ თუ ეს მსოფლიო ვარსკვლავია, რომლის ოთახშიც საიდუმლო შინაარის ბარათს პოულობენ, მაშინ საქმე სხვაგვარადაა!

სავუაც სირენას რთავს და ეჭვი რომ არ გამოიწვიოს, საპირისპირო მიმართულებით მიდის. რაციით კომისარს უკავშირდება.

- გილოცავ!

კომისარიც ამაყობს საკუთარი თავით. დიახ, მოახერხა რამდენიმე საათით ან ეგებ რამდენიმე დღითაც დროის მოგება, თუმცა ორივემ იცის: კანში დასეირნობს სერიული მკვლელი, რომელიც მოქმედებს დახვეწილი საშუალებებით. ჭაღარაშერეული, ორმოციოდე წლის მამაკაცი სრულყოფილად ფლობს ადამიანების მოკვლის ხერხებს. შესაძლოა, მას უკვე ყელშიც ამოუვიდა ამის ჩადენა, ან კვლავაც თავდასასხმელად დროს არჩევს.

- ყველა ღონისძიებაზე დაგზავნეთ აგენტები, - განკარგულებას იძლევა კომისარი, - ეძებონ ამ აღწერილობის ადამიანები. თუ იპოვიან, მეთვალყურეობის ქვეშ იყოლიონ და მოითხოვონ დამხმარე ძალა... რასაკვირველია, სამოქალაქო ტანსაცმლით, ვითარების შესაბამისად ჩაცმულნი. ვიმეორებ, დღეს საღამოს, კანში, სადაც კი რაიმე ღონისძიება ეწყობა, ყველგან უნდა იყოს ჩვენი ხალხი... თუნდაც საგზაო პოლიციის გამოყენება დაგვჭირდეს.

სავუა დაუყოვნებლივ ასრულებს ბრძანებას. ამ დროს მობილური ტელეფონით ევროპოლის თანამშრომელი ატყობინებს, ექსპერტიზის შედეგს, საუკეთესო შემთხვევაში, არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის შემდეგ გამოგიგზავნითო.

- თუ შეიძლება, ფოსტით გადმომიგზავნეთ შეტყობინების ასლი. არ მინდა პასუხი ვაგო, აქ კიდევ რამე რომ მოხდეს...

სასტუმრო Martinez-თან მისული სავუა მანქანას ზედ კართან მკვეთრად ამუხრუჭებს და გასასვლელს კეტავს. კარისკაცის პროტესტზე პოლიციელის საბუთს უჩვენებს, გასაღებს მიუგდებს, დააყენეო და ჰოლში შერბის.

მეორე სართულზე პატარა სასტუმრო ოთახში მორიგე ადმინისტრატორ ქალიშვილს და ოფიციანტს პოლიციელი დარაჯობს.

- როდემდე უნდა ვიყოთ აქ? - კითხულობს ადმინისტრატორი.

სავუა მას ყურადღებას არ აქცევს და ოფიციანტს მიუბრუნდება.

- მაშ, დარწმუნებული ხართ, რომ ახალი ამბების გამოშვებაში ზუსტად ის ქალი ნახეთ, ვისაც დღეს მოემსახურეთ?

- თითქმის დარწმუნებული ვარ... ფოტოსურათზე უფრო ახალგაზრდად გამოიყურება, თმებიც გაუფერულებული აქვს... მაგრამ მიჩვეული ვარ კლიენტების სახის დამახსოვრებას იმ შემთხვევისთვის, თუ ანგარიშის გაუსწორებლად დააპირებენ წასვლას.

- დარწმუნებული ხართ, რომ ის მდგმურთან სარეზერვოდ შემონახულ მაგიდასთან იჯდა?

- ცხადია. მე ის დავიმახსოვრე - ორმოციოდე წლის, ლამაზი, თმაშეჭაღარავებული...

სავუას გული ისე უცემს, ლამის ბუდიდან ამოუვარდეს.

- მიმიყვანეთ მის ნომერში, - ეუბნება ადმინისტრატორს და პოლიციელს.

- ჩხრეკის ორდერი გაქვთ?

ინსპექტორს ნერვები ღალატობს.

- არა! მე ქაღალდებს არ ვაგროვებ. იცით, მადმუაზელ, რატომაა ცუდად ჩვენი ქვეყნის საქმე?! იმიტომ, რომ ყველანი მეტისმეტად მორჩილნი არიან, მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არა, მთელ მსოფლიოში! განა არ დაემორჩილებით, თქვენი შვილი ომში რომ წაიყვანონ? განა თვითონ ის არ დაემორჩილება სიტყვაშეუბრუნებლად? საქმეც ეგაა! რაკი ასეა, კეთილი ინებეთ და ნომერში მიმიყვანეთ, თუ არა და, როგორც თანამონაწილეს, დაგაპატიმრებთ!

ეტყობა, ქალს ეშინია. პოლიციელთან ერთად ლიფტისკენ მიდის, მაგრამ სავუა ვერ ითმენს და კიბით არბის. ადმინისტრატორი წუწუნებს, რომ მაღალი ქუსლებით სიარული უჭირს, ინსპექტორი უბრძანებს, ფეხზე გაიხადოს და უკან გაჰყვეს. მირბიან მარმარილოს საფეხურებზე. რომ არ წაიქცნენ, ბრინჯაოს მოაჯირს ეჭიდებიან. ლიფტის მომლოდინე მდგმურები გაოცებულნი შეჰყურებენ ფეხშიშველა ქალს და პოლიციელს - პოლიციელი რას აკეთებს სასტუმროში? სად მირბიან თავქუდმოგლეჯილნი? მოხდა რამე? თუ მოხდა, შემთხვევის ადგილზე ლიფტით რატომ არ ადიან? ასე ხომ უფრო სწრაფად მივიდოდნენ? უკმაყოფილოდ ბუტბუტებენ, რომ კანის ფესტივალს პრესტიჟი ეკარგება. აქაურ სასტუმროებში პოლიცია ისე იჭრება, როგორც საროსკიპო სახლში. აუცილებლად იჩივლებენ ადმინისტრაციაში...

მათ არ იციან, რომ კიბეზე სწორედ ადმინისტრატორი მირბის ფეხშიშველა.

და აი, სამეული იმ აპარტამენტის კართანაა, სადაც მკვლელი ცხოვრობს. ამ დროს ამბის გასაგებად ქვემოდან გამოგზავნილი უშიშროების სამსახურის თანამშრომელი მოდის, ის სცნობს ადმინისტრატორს და ეკითხება რა ხდება, დახმარება ხომ არ გჭირდებათო.

სავუა ანიშნებს, ჩუმად ილაპარაკოს და თავს უქნევს, დახმარება ნამდვილად გვჭირდებაო.

- იარაღი თან გაქვს?

მცველი ხელებს შლის.

- კეთილი. ყოველი შემთხვევისთვის, ჩემ გვერდით იყავი.

ისინი ჩურჩულით ლაპარაკობენ. ადმინისტრატორმა ინსპექტორის მიცემულ ნიშანზე კარზე უნდა დააკაკუნოს. სამი მამაკაცი კედელსაა აკრული. სავუა იღებს პისტოლეტს, პოლიციელიც მას ბაძავს. კაკუნზე არავინ პასუხობს.

- ალბათ გავიდა.

სავუა ადმინისტრატორს სთხოვს, კარი თავისი გასაღებით გააღოს. ქალი უხსნის, რომ გასაღები თან არ წამოუღია, რომც წამოეღო, მმართველის უნებართვოდ კარის გაღების უფლება არა აქვს.

სავუა მოულოდნელად დათმობაზე მიდის.

- კარგი, არა აქვს მნიშვნელობა... ახლა სარდაფში ჩავალ, იქიდან ხომ ვიდეოდაკვირვებას ახდენენ. ადრე თუ გვიან მაინც დაბრუნდება და არ მინდა, უარი ვთქვა მისი პირველად დაკითხვის სიამოვნებაზე.

- მისაღებში მისი პასპორტის ქსეროასლი და საკრედიტო ბარათის ნომერი გვაქვს. რატომ გაინტერესებთ ასე ეს ადამიანი?

- არც მაგას აქვს მნიშვნელობა.

9:02 PM

კანიდან ნახევარი საათის სავალზე, მეორე სახელმწიფოში, სადაც თუმცა იმავე ენაზე ლაპარაკობენ და იმავე ფულის ერთეულით სარგებლობენ, მაგრამ სხვაგვარი პოლიტიკური წყობაა (ქვეყანას, როგორც ძველთაძველ დროს, მონარქი მართავს), კომპიუტერთან ზის კაცი. თხუთმეტი წუთის წინათ მოუვიდა იმეილი, რომლითაც ერთ-ერთი სახელგანთქმული მსახიობის სიკვდილს ატყობინებენ და სწორედ ამან მიიპყრო მისი ყურადღება.

მორისი მსხვერპლის ფოტოს ათვალიერებს: ამ ადამიანის სახელი აბსოლუტურად არაფერს ეუბნება - კინოში ლამის ასი წელია არ ყოფილა. მაგრამ, ალბათ, ნამდვილად სახელგანთქმულია, რაკი ახალი ამბების პორტალი ასეთ მნიშვნელობას ანიჭებს.

მორისი კარგა ხანია პენსიაზეა, მაგრამ ასეთი საქმეები ისევე აინტერესებს, როგორც საჭადრაკო ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაში ბადალი არ ჰყავს. აქ სამსახურებრივ წარმატებასა და კარიერაზე კი არა, საკუთარი თავის პატივისცემაზეა საუბარი.

მას აქვს საკუთარი ურყევი წესები, რასაც სკოტლენდ-იარდში მუშაობისას მუდამ სიამოვნებით იცავდა: განიხილავდა ყველა ვერსიას, ყველაზე უმნიშვნელოდან და დაუჯერებლიდან დაწყებული. დამღლელსა და მოსაწყენ სამუშაო თათბირზე უყვარდა კოლეგების გაოცება, მაგალითად, ასეთი განცხადებით: „ყველაფერი, რაც იცით, წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების შედეგია, მაგრამ ძველი გადაწყვეტილებები მხოლოდ ძველი ამოცანებისთვის გამოდგება. თუ შემოქმედებითი წარმატება გსურთ, დროებით უნდა დაივიწყოთ თქვენი მდიდარი გამოცდილება!“

გამოცდილი მაძებრები ისე იჭერდნენ თავს, თითქოს რაღაცას წერდნენ, ახალგაზრდები გაოცებულები შეჰყურებდნენ. მერე თათბირი ისე გრძელდებოდა, გეგონებოდა, ეს სიტყვები არც თქმულიყოს. მაგრამ მან ხომ იცოდა: მისი გზავნილი გაიგეს, აღიქვეს და ძალიან მალე - რა თქმა უნდა, მისი სახელის მადლიერებით მოუხსენებლად - უფროსები თავიანთი ხელქვეითებისგან ახალ იდეებს, არატრადიციულ მიდგომას მოითხოვდნენ.

...ის ხსნის კანის პოლიციის მიერ გამოგზავნილ დოსიეს, თუმცა, საერთოდ, ცდილობს ქაღალდი არ გამოიყენოს, რათა „ტყის სერიულ გამანადგურებელთა“ შორის არ მოხვდეს, მაგრამ ხანდახან ამას გვერდს ვერ აუვლი.

და იწყებს modus operandi-ს, ანუ დამნაშავის მანერის შესწავლას. მკვლელობები 24 საათის განმავლობაშია ჩადენილი (მოცემულ შემთხვევაში ის კლავს დილითაც, დღისითაც და საღამოთიც); მკვლელობის იარაღი - ხელები, შხამი, სტილეტი; მსხვერპლთა ტიპები - სხვადასხვა ასაკის ქალები და მამაკაცები; ფიზიკური კონტაქტი - ორ შემთხვევაში ახლოდან, პირდაპირ მოქმედებს, ორ შემთხვევაში - შორიდან; მსხვერპლთა რეაქცია - წინააღმდეგობა არც ერთს გაუწევია.

როდესაც აღმოაჩენ, რომ ჩიხში ექცევი, ყველას სჯობს, აზრი თავისუფლად მიუშვა, სამუშაოს მოსწყდე და ქვეცნობიერმა იმუშაოს. მორისი ხსნის ახალ დოკუმენტს - ნიუ-იორკის ბირჟის მონაცემებს. რა შეიძლება ამაზე მოსაწყენი იყოს ადამიანისთვის, რომელსაც ბირჟაზე აქტივები არა აქვს, მაგრამ სწორედ ესაა მისი შეუფერხებელი მოქმედების ხერხი: მრავალწლიანი გამოცდილება ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას, ინტუიცია ახალ და არასტანდარტულ პასუხთა ფორმულირებას ახდენს - ოცი წუთის შემდეგ უბრუნდება დოსიეს - გონება უკვე ნათელი და სუფთა აქვს.

დამნაშავე, ჩანს, დიდად კულტურული ადამიანია. უეჭველია, მრავალი დღე და კვირა აქვს გატარებული ბიბლიოთეკაში, თავისი მისიის შესასრულებლად საუკეთესო ხერხებს სწავლობდა. შეუძლია მომწამვლელ ნივთიერებას ისე ეპყრობოდეს, საფრთხეში არ ჩაიგდოს თავი და, უეჭველია, თვითონ არ დაუბეჭდავს ციანიდიანი კონვერტი. კარგად ერკვევა ანატომიაში, რათა წვრილი იარაღი საჭირო ადგილზე ისე ჩაერტყა, რომ წვერო ძვალს არ მოხვედროდა. იარაღით სულ იოლად ახდენს განსაცვიფრებელ დარტყმას. კურარეს სასიკვდილო თვისება ბევრმა არ იცის. სავსებით სარწმუნოა, სერიულ მკვლელთა საქმეებს იცნობდეს და, როცა რწმუნდება, რომ ხელწერა და მანერა კვალს ტოვებს, თავის ყოველ ახალ დანაშაულს ახალი სტილით სჩადის, და ერთი შეხედვით, თავის modus operandi-ს უარყოფს.

მაგრამ ეს შეუძლებელია. დამნაშავე, თუნდაც შეუცნობლად, რაღაც სქემით უნდა მოქმედებდეს - უბრალოდ მორისმა ჯერჯერობით ვერ შეძლო მისი დადგენა.

დიახ, არის კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი - დამნაშავეს აქვს ფული. საკმარისი იმისათვის, რათა გაიაროს სამბოს კურსები და სრულყოფილად შეისწავლოს ადამიანის სხეულის რა წერტილზე მოახდინოს ზემოქმედება, რომ მსხვერპლის პარალიზება გამოიწვიოს. დამნაშავეს აქვს კავშირები. ასეთ მომწამლავ ნივთიერებას ვერც აფთიაქში იყიდი და ვერც შავ ბაზარზე იშოვი ადგილობრივი კრიმინალიტეტიდან. ეს მეტად რთული ბიოლოგიური იარაღია და უნდა იცოდე, როგორ გამოიყენო, როგორ მოეპყრო. მკვლელი აშკარად სპეციალისტის მხარდაჭერითა და დახმარებით სარგებლობდა.

დაბოლოს, ის ძალზე სწრაფად მოქმედებს, ეს კი იმას გვაფიქრებინებს, რომ მისი კანში ყოფნის დრო განსაზღვრულია, შეიძლება ერთი კვირით ან ათი დღით.

საით მივყავართ ამ დასკვნებს?

თუკი ის, მორისი, ჯერჯერობით ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონვე მიჰყვება იმ წესებს, რომელთაც თავისი თანამშრომლებისგან მოითხოვდა. ჰო, სწორედ ამის მიღწევას ცდილობს სამყარო ადამიანისგან - რანდავს მას, აშორებს ინდივიდუალობას და გარდაქმნის „ისეთად, როგორიც ყველაა“. იმავდროულად, უქრობს შთაგონების ცეცხლსაც. საზოგადოების თვალში სიბერე სიბრძნის კი არა, უძლურების ნიშანია. ყველა დარწმუნებულია, რომ ადამიანს, ორმოცდაათ წელს რომ გადასცილდება, უკვე ფიზიკურად აღარ შესწევს ძალა გაერკვეს, რა ხდება დღევანდელ, ელვისებურად ცვალებად სამყაროში.

დიახ, რასაკვირველია, მორისს ძველებურად სირბილი აღარ შეუძლია, კითხვისას კი იძულებულია, სათვალე იხმაროს. მიუხედავად ამისა, ტვინი არნახულად მკაფიოდ უმუშავებს - ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე სურს, სჯეროდეს.

მაგრამ თუ გონება ძველებურად მახვილი აქვს, რატომ ვერ ახერხებს იმ ამოცანის გადაწყვეტას, რაც ადრე მისთვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა?

ვერა, ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივიდა, ვერც მივა, სანამ ახალი მსხვერპლი არ გამოჩნდება.

9:11 PM

ვიღაც წყვილი - აშკარად ცოლ-ქმარი - ღიმილით ეუბნება, რა ბედი გქონია, გვერდზე ორი ასეთი ლამაზმანი რომ გიდგასო.

იგორი მადლობას უხდის მათ, რადგან ნამდვილად სჭირდება ყურადღების სხვა რამეზე გადატანა. სულ მალე დიდი ხნის ნანატრი შეხვედრა შედგება. და მიუხედავად იმისა, რომ მიჩვეული იყო ყველანაირი დაძაბულობის გამკლავებას, ახლა, უნებურად, ავღანეთისდროინდელი ამბები ახსენდება. აპაგუიის ოპერაციაზე გასვლის წინ, სადღაც ქაბულის შემოგარენში, მისი ამხანაგები სვამდნენ, ლაყბობდნენ ქალებზე ან ფეხბურთზე. ერთი სიტყვით, თავს ირწმუნებდნენ, თითქოს აქ კი არა, სამშობლოში იმყოფებოდნენ და მაგიდასთან მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად ისხდნენ. ასე ძლევდნენ მღელვარებას და ეგონათ, უფრო სწრაფად ჩასწვდებოდნენ მოსალოდნელ საფრთხეს.

როგორც კარგ ჯარისკაცს შეჰფერის, მან იცის, რომ ბრძოლის არსი შეტაკებაში კი არა, მიზნის მიღწევაშია. მან, როგორც სტრატეგიულად მოაზროვნე ადამიანმა, ნულიდან

დაწყებული თავისი პატარა ფირმა რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე საპატიო საწარმოდ აქცია. იგორს სჯერა, რომ მიზანი ყოველთვის ადრინდელი უნდა დარჩეს, თუმცა ამ მიზნის მისაღწევი მიზეზები შეიძლება დროთა განმავლობაში მრავალჯერ შეიცვალოს. ასე მოხდა დღესაც: კანში ის ერთი მიზეზის გამო აღმოჩნდა, მაგრამ მოქმედების დაწყებისთანავე მიხვდა, რომ სულ სხვა რაღაც წარმართავდა. მთელი ეს წლები ბრმა იყო, მაგრამ ახლა გონება გაუნათდა.

სწორედ ამიტომაც, ბოლომდე უნდა მიჰყვეს. მისი გადაწყვეტილება მოფიქრებული იყო თავშეუკავებლობით, გაბედული შემართებით, ლამის სიგიჟით, რაც ადამიანს აგულიანებს, თავისი შესაძლებლობის ზღვარს გასცდეს. ის მუდამ ასე იქცეოდა და იმარჯვებდა, რადგან გადაწყვეტილების მიღების დროს შეეძლო ამ სიგიჟის ალაგმვა. და მეგობრები, რომლებიც ადრე უმტკიცებდნენ, დიდ რისკზე მიდიხარო, მერე ერთსა და იმავეს ეუბნებოდნენ: „დარწმუნებული ვიყავი, სწორად იქცეოდი“, ამასთან, აზრს არნახული სისწრაფით იცვლიდნენ.

მაგრამ აქ, კანში (შესაძლოა, იმიტომ, რომ სრულიად უჩვეულო ვითარებაში მოხვდა, ან იმიტომ, რომ თითქმის არ ეძინა და გონება ხანდახან ებინდებოდა), მაშინაც კი რისკავდა, როცა ამის აუცილებლობა არ იყო. ყველაფერი ხომ შეიძლებოდა იმაზე ადრე დასრულებულიყო, ვიდრე ჩაფიქრებული ჰქონდა და ასეთ შემთხვევაში ვერ გაუნათდებოდა გონება, სხვა თვალით ვერ შეხედავდა ქალს, რომლისთვისაც მზად იყო, მსხვერპლად შეეწირა სხვა ადამიანებიც და საკუთარი თავიც... ახსენდება, როგორ მივიდა პოლიციელთან და აღიარა ჩადენილი დანაშაული. სწორედ იმ წუთიდან დაიწყო მისი გარდაქმნა. პორტუგალიელი გოგონას სულმა აუხსნა, რომ სწორად იქცეოდა, ოღონდ მისი გულისწადილი არასწორი იყო. სიყვარულის კონცენტრაციას წარმატება მოაქვს, სიძულვილის კონცენტრაციას - უბედურება. ის, ვინც ვერ შენიშნავს კარს, რომლის გარეთ უსიამოვნება იმალება, ბოლოს და ბოლოს, მას ღიად ტოვებს და შიგნით უბედურებას უშვებს.

მან მოიპოვა გოგონას სიყვარული. ის იქცა ღვთის იარაღად, რათა ოლივია გაუხარელი მომავლისგან ეხსნა. ახლა კი თავად გოგონა ეხმარება შემდგომი ნაბიჯების გადადგმაში.

იგორს შეგნებული აქვს: გამოჩენილი სიფრთხილის მიუხედავად, გამორიცხული არ არის, რაღაც ვერ გაითვალისწინოს, ვერ განჭვრიტოს და მისია ბოლომდე ვერ მიიყვანოს. სულერთია, მაინც არ ღირს შიში და წუხილი: რაც შეეძლო, გააკეთა, წუნდაუდებლად მოქმედებდა და თუ უფალს არ სურს იგორმა დაამთავროს დაწყებული საქმე, სხვა აღარაფერი დარჩენია - უნდა დაემორჩილოს მის ნებას.

„მაგაზე ნუღარ ფიქრობ. ელაპარაკე ამ გოგონებს, მოადუნე კუნთები, სანამ საბოლოო დარტყმისთვის დაძაბავ - ასე მეტი სიზუსტე ექნება“.

გაბრიელა - სწორედ ის გოგონა, სასტუმროს ბარში მარტო რომ იჯდა, სრულ ეიფორიაშია - მიმტანის გამოჩენისთანავე, ლანგარზე დებს ბოკალს, თუნდაც სანახევროდ დალეულს და შემდეგს იღებს.

- შამპანური ყინულივით ცივი უნდა იყოს!

გაბრიელას განწყობა თანდათან მასაც გადაედება. გაბრიელას მონათხრობით შეიტყო, რომ ფილმში როლი მიიღო, ოღონდ რა ერქმევა ფილმს ან რა როლი ექნება, თვითონაც არ იცის, მაგრამ არწმუნებს, რომ „ყველაზე მთავარი“ როლი იქნება. რეჟისორი ცნობილია კარგი მსახიობების შერჩევითა და კარგი სცენარების მოპოვების უბადლო ხელოვნებით. მამაკაცის მთავარ როლს ითამაშებს მსახიობი, რომელიც იგორსაც უნახავს და უყვარს. პროდიუსერის სახელის ხსენებაზე თავს უქნევს, ჰო, ვიცნობო, მაგრამ ხვდება, რომ გაბრიელა ასე გაიგებდა: „არ ვიცი, ვინ არის, მაგრამ არ მსურს, უბირი გამოვჩნდე“. გაბრიელა შეუსვენებლივ ლაპარაკობს საჩუქრებით სავსე სასტუმროს ნომრებზე, წითელ ხალიჩაზე, იახტაზე შეხვედრაზე, იმაზე თუ როგორ უმკაცრეს შერჩევაში მოუხდა მონაწილეობის მიღება, თავის მომავალ გეგმებზე...

- ამ წუთში ამ ქალაქის ათასობით გოგონა და მილიონობით - მთელ მსოფლიოში, ოცნებობს აქ მოხვედრაზე და თქვენთან საუბარზე, ჩემი ლოცვები კი ღმერთმა შეისმინა, ჩემს ძალისხმევას ამაოდ არ ჩაუვლია.

მეორე გოგონა ასეთი ხალისიანი არაა, ცოტა დაბნეულადაც კი გამოიყურება - გასაგებიცაა, ჯერ ახალგაზრდაა და სავსებით გამოუცდელი. „დერეფანში“ როცა გაიარა, იგორი ზუსტად ფოტოგრაფების ზურგს უკან აღმოჩნდა, ესმოდა, როგორ გაჰყვიროდნენ მის სახელს და აყრიდნენ კითხვებს. აქ კი, ვახშამზე, მას, ეტყობა, არავინ იცნობს. უნებურად დაიბნევი და მოიწყენ, როცა თავიდან ასეთი აჟიოტაჟით გხვდებიან, მერე კი სულ განაპირებული აღმოჩნდები.

დაახლოების ინიციატივა პირველმა აიღო, ლაპარაკის მოყვარული ქალიშვილია - მან ითავა, მისულიყო და ეკითხა, აქ რას აკეთებო. უხერხულობის გრძნობამ მალე გაიარა: იგორმა იცოდა, ესენი თუ არა, სხვა სტუმრები აუცილებლად მოისურვებდნენ მის გაცნობას, ამიტომაც აუბა მხარი საუბარს, უფრო სწორად - კამპანიას. მისი ფიქრები კი სულ სხვა რამეს დასტრიალებდა. იგორი გოგონებს ეუბნება თავის გვარს („პონტერი“) და აუწყებს, რომ გერმანელი მრეწველია, მანქანათმშენებლობის სფეროში (დარწმუნებული იყო, ამ სფეროთი აქ არავინ დაინტერესდებოდა), საღამოზე კი მეგობრების მოწვევით მოხვდა, ხვალ მიფრინავს (რაც, არსებითად, მართალი იყო, თუმცა, შეუცნობელია უფლის გზები).

გაიგო თუ არა, რომ „პონტერს“ არავითარი კავშირი არ ჰქონდა კინოსთან და კანშიც დიდხანს არ დარჩებოდა, მსახიობი კინაღამ იმწამსვე გადგა განზე, მაგრამ მეორე გოგონამ შეაჩერა. რაღაც უთხრა. ალბათ, ამდაგვარი რამ: მაინც საინტერესოა ახალი ადამიანის გაცნობაო. და ასე შერჩნენ სამნი ერთმანეთს: ერთი მეგობარს ელოდებოდა,

რომელიც არადა არ გამოჩნდა, მეორე - ასისტენტს, რომელიც თითქოს მიწამ ჩაყლაპა, მესამე კი არავის და არაფერს ელოდა, სულში მცირეოდენი სიმშვიდის გარდა.

ყველაფერი უცებ მოხდა. მსახიობმა სმოკინგის საყელოზე მტვერი შენიშნა და სანამ იგორი ქალის შეჩერებას მოასწრებდა, ხელით ჩამოუბერტყა. გაუკვირდა:

- შენ რა, სიგარას ეწევი?

კეთილი, დაე, იფიქროს, რომ ჯიბეში პორტსიგარი უდევს...

- დიახ, ვახშმობის შემდეგ.

- არ გინდათ, იახტაზე წავიდეთ? ორივეს გეპატიჟებით... მაგრამ მანამდე ჩემი ასისტენტი უნდა ვიპოვო.

ჟასმინი ურჩევს, არ აჩქარდეს, ჯერ ერთი, გაბრიელამ ეს-ესაა გააფორმა კონტრაქტი და ასე მალე არ მისცემენ უფლებას, გარს შემოიკრიბოს მეგობრები (ანდა შეიქმნას „ანტურაჟი“ - როგორც არქმევენ სახელგანთქმული ადამიანის ირგვლივ თავმოყრილ მუქთახორებს). მარტო უნდა წახვიდე, როგორც კარგი ტონის წესებითაა დადგენილი.

მსახიობი რჩევისთვის მადლობას უხდის. გაივლის ოფიციანტი, გაბრიელა ნახევრად დაცლილ ბოკალს ლანგარზე დგამს, სავსეს იღებს.

- გარდა მაგისა, გირჩევ, ნელა დალიო, - ეუბნება იგორი (გიუნტერი).

ფრთხილად ართმევს ბოკალს და მოაჯირს იქით ღვრის.

მსახიობი თავდაპირველად კომიკური სასოწარკვეთით იქნევს ხელებს, მაგრამ მერე მშვიდდება, რადგან ხვდება, რომ ეს მისსავე სასიკეთოდაა.

- იცი, ისეთი აფორიაქებული ვარ... - აღიარა მან, - უნდა დავმშვიდდე. იქნებ სიგარით გამიმასპინძლდე?

- ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ერთი ცალიღა დამრჩა, გარდა მაგისა, მეცნიერებამ დიდი ხანია დაადგინა, რომ ნიკოტინი კი არ ამშვიდებს, აღაგზნებს.

სიგარა... დიახ, საგანი, რომელიც შიგნითა ჯიბეში უდევს, ფორმით სქელ „ჰავანას“ ჰგავს, მაგრამ მასთან მეტი არაფერი საერთო არ გააჩნია. ეს მაყუჩია - ათი სანტიმეტრის სიგრძის ცილინდრი, რომელიც „ბერეტას“ ლულას ეხრახნება. პისტოლეტი შარვლის ჯიბეში უდევს და შეუძლია, ჭეშმარიტი სასწაული მოახდინოს: ხმამაღალი „ბახ“ ოდნავ გასაგონ მოგუდულ ხმად გადააქციოს.

ეს კი იმიტომ ხდება, რომ მოქმედებაში მოდის უბრალო ფიზიკური კანონი: ტყვიის სიჩქარე, რამდენიმე დახვრეტილი რეზინის დისკოს გავლის შემდეგ, ოდნავ ყოვნდება, გასროლის დროს გამოყოფილი დენთის აირით ივსება ამ მოწყობილობის მთელი სივრცე, სწრაფად ცივდება და ხმაური იხშობა. ეს ცვლის ტყვიის

ტრაექტორიას, ამიტომ დისტანციიდან სასროლად არაფრად ვარგა, მაგრამ შეუცვლელია მიბჯენით სროლისას.

იგორი მოთმინებას კარგავს: ნუთუ მათ, ვისაც ელოდება, გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ მიწვევაზე? ანდა იქნებ... (ამის გაფიქრებამ ერთ წამს პანიკაში ჩააგდო) კონვერტი სწორედ იმ აპარტამენტის კარქვეშ შეაცურა, სადაც ცოლ-ქმარი ცხოვრობს?

არა, არა, შეუძლებელია - ასეთი უიღბლობა უაზრობაა. ფიქრობს იმათ ახლობლებზე, ვინც მისი ხელით დაიხოცნენ. მთელი ძალისხმევა ერთადერთი მიზნის მისაღწევად - დაებრუნებინა ქალი, რომელმაც უღირსი მამაკაცის გამო მიატოვა - ამაოდ ჩაუვლიდა.

მერე გულგრილობა ეუფლება: ნუთუ სწორედ ამის გამო, გაგზავნილი შეტყობინების მიუხედავად, არ სცადა ევამ დაკავშირება? იგორმა ორჯერ დაურეკა მათ საერთო მეგობარს, მანაც დაუდასტურა, არაფერი ახალი არ მომხდარაო.

ეჭვებს ძნელად გასაგები თვითდარწმუნება მოსდევს. დიახ, ორივე, ალბათ, უკვე მკვდარია... სხვა აბა რით უნდა აიხსნას, რომ „ასისტენტმა“ ასე ნაუცბათევად მიატოვა მასზე საზრუნავად მინდობილი გოგონა. მიატოვა მარტოდმარტო, ის კი იმისთვის დაიქირავეს, რომ გოგონა დიდი მოდელიორის გვერდით გამოჩენილიყო.

ვინ იცის, იქნებ უფალი სჯის იმ ქალის ძლიერი სიყვარულისთვის, ვინც არ არის ამის ღირსი? იქნებ იგორის ხელით ევამ მოკლა პორტუგალიელი გოგონა? მას კი შეიძლება კიბოს წამლის გამოგონება ეწერა, ანდა იქნებ კაცობრიობისთვის რაღაცნაირად გაეგებინებინა, რომ თავისივე პლანეტას ანადგურებს. თუნდაც ევას არაფერი სცოდნოდა, განა მან არ აიძულა, შხამი გამოეყენებინა? იგორი დარწმუნებულია, სავსებით დარწმუნებულია, რომ არ უნდა ჩაედინა რაც ჩაიდინა - საკმარისი იყო მხოლოდ ერთადერთი განადგურებული სამყარო, რათა შეტყობინება ადრესატამდე მისულიყო. მან თან ჩამოიტანა პატარა არსენალი, რადგან იცოდა, ყოველივე ეს სხვა არა იყო რა, თუ არა თამაში. მისი კანში ყოფნის პირველსავე ღამეს, როცა მორიგ შეხვედრაზე ანდა საღამოზე წასვლამდე, ბარში შემოიარა, ევას უნდა ეგრძნო იგორის იქ ყოფნა, მიმხვდარიყო, რომ მიტევებული ჰქონდა ყველა ბოროტება, რასაც უნებურად თესავდა თავის ირგვლივ. რომელიღაც სამეცნიერო სტატიაში წაიკითხა, რომ ადამიანები, რომელთაც ერთად დიდხანს უხდებათ ცხოვრება, იძენენ იმის უნარს, შეიგრძნონ, რომ მისი თანამგზავრი სადღაც ახლოსაა, თუნდაც ვერ ხედავდნენ და არ იცოდნენ, ზუსტად სად იმყოფება.

მაგრამ ეს არ მოხდა. წინა ღამეს ევას გულგრილობამ - ან იქნებ გულგრილობამ კი არა, მის მიმართ დანაშაულის გრძნობამ - აიძულა, არ დაენახა ადამიანი, რომელიც თითქოს სვეტს ეფარებოდა. მაგრამ ირგვლივ გაშლილ რუსულ ეკონომიკურ ჟურნალებს შეიძლება კვალზე დაეყენებინა ის, ვინც დაკარგულს ეძებს. ვნებით შეპყრობილებს ქუჩაში, თეატრსა თუ ხალხმრავლობაში მუდამ ეჩვენებათ საყვარელი ადამიანის სახე. აშკარაა, ევამ სიყვარული ბრწყინვალებასა და ფუფუნებას ანაცვალა.

...იგორი თანდათან მშვიდდება. ევა - თავისთავად ძლიერ მოქმედი საწამლავია, მასზე უფრო ძლიერი შხამი ბუნებაში არ არსებობს, ასე რომ, ბედნიერია, ციანიდით თუ დაიღუპა. ის უფრო მტანჯველ სიკვდილს იმსახურებდა.

გოგონები საუბარს განაგრძობენ. იგორი განზე გადგა. არ შეიძლება შიშს დანებდეს - მას შეუძლია თავისივე ქმნილება გაანადგუროს. მას სჭირდება მარტოობა, სიმშვიდე და სწრაფი რეაგირება.

იგორი გაცხარებით მოსაუბრე რამდენიმე ადამიანს უახლოვდება. საუბრობენ იმაზე, როგორ სჯობს მოწევის მიტოვება. ეს ახლა ამოჩემებული თემაა მსოფლიოში: აჩვენონ მეგობრებს, თუ საჭირო გახდება, როგორი ნებისყოფიანები არიან. ფიქრებიდან თავის დასაღწევად იგორი მოწევას იწყებს, თუმცა იცის, რომ ეს პროვოკაციას ჰგავს.

- მოწევა ჯანმრთელობისთვის ძალიან მავნებელია, - ეუბნება ბრილიანტებიანი, ჩონჩხადქცეული ქალი, ხელში ხილის წვენით სავსე ჭიქა რომ უჭირავს.

- ცხოვრების ჩვეულება ყველაზე მავნებელია - ადრე თუ გვიან ეს აუცილებლად სამარეში ჩაგვიყვანს, - პასუხობს იგორი.

მამაკაცები იცინიან, ქალები ახლადმოვლენილ უცნობს ინტერესით უყურებენ. ამ დროს ოციოდე მეტრით დაშორებული დერეფნიდან ფოტოგრაფების ყვირილი ისმის.

- ჰამიდი, ჰამიდი!

შორიდანაც კი, ერთად თავმოყრილ უამრავ ხალხს იქით, ხედავს სახელგანთქმულ მოდელიორს და მის მეუღლეს (ადრე, სხვა ქვეყანაში, ასევე რომ მოდიოდა იგორის გვერდით). ხელკავით მოჰყვებოდა - ალერსიანი, სათუთი და მოხდენილი.

სანამ იგორი შვებით ამოისუნთქავს იმის დანახვაზე, რომ ევა ცოცხალია და ჯანმრთელი, რაღაცა აიძულებს, საპირისპირო მხარეს გაიხედოს: ბაღის მხრიდან მცველებმა დაუბრკოლებლად გამოატარეს მამაკაცი, რომელიც აქეთ-იქით აცეცებს თვალებს.

იგორი უსიტყვოდ სცილდება ჯგუფს, ახლადგაცნობილ გოგონებთან ბრუნდება და ხელს გამოსდებს ერთ-ერთ მათგანს - მსახიობს. გულში ევედრება პორტუგალიელ გოგონას, აპატიოს, რომ ეჭვი გაუჩნდა; მაგრამ მოკვდავ ადამიანებს ხომ უწმინდური ფიქრები აწუხებთ და უნარი არ შესწევთ, ჩასვწდნენ ასეთ დიდსულოვნად და გულუხვად ბოძებულ წყალობას.

- არა გგონია, რომ მოვლენებს აჩქარებ? - ეკითხება გოგონა, ამასთან, ხელის განთავისუფლებას არც კი ცდილობს.

- მგონია. მაგრამ შენსავე სიტყვებს თუ დავუჯერებ, ისე გამოდის, რომ დღეს შენს ცხოვრებაში ყველაფერი აჩქარებული ტემპით ხდება.

გოგონა პასუხად იცინის. იცინის მეორეც. პოლიციელი სიახლოვეს ისე ჩაუვლით, ყურადღებას არ აქცევს მათ და ორმოც წელს მიტანებულ ჭაღარაშერეულ მამაკაცებს ათვალიერებს.

9:20 PM

მედიკოსმა, სრული სიკეთის მომტანი კვლევის შედეგების შესწავლისას, უნდა გადაწყვიტოს, რას დაუჯეროს - მეცნიერებას თუ საკუთარ გულს. და როცა გარკვეული დროის მანძილზე ეჩვევა, რომ შინაგან ხმას უფრო უნდა უსმენდეს, საბოლოოდ ხედავს, პაციენტები, უმეტეს შემთხვევაში, გამოჯანმრთელებას იწყებენ.

მსხვილი ბიზნესმენი საბირჟო ცნობების, გრაფიკებისა და დიაგრამების გადახედვის შემდეგ, ყიდულობს ან ყიდის აქციებს, იქცევა ბაზრის ტენდენციების საწინააღმდეგოდ და საბოლოო ჯამში უფრო მდიდრდება.

მწერალი წერს წიგნს, რეჟისორი იღებს ფილმს, და რაკი იცის, რომ „ეს არ გაგივა, ხელს არავინ ჰკიდებს ამ თემას“, და საბოლოოდ, ორივე პოპ-კულტურის კერპად იქცევა.

რელიგიური ლიდერი, სიყვარულის ნაცვლად, რაც, თეორიულად თუ ვიმსჯელებთ, ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანია, მაინც შიშსა და დანაშაულის გრძნობას იყენებს და მისი ტაძარი მუდამ მრევლითაა სავსე.

და მხოლოდ ერთი ჯგუფი მიჰყვება უცვლელად საერთო ტენდენციას - ესენი პოლიტიკოსები არიან.

მორისი ეკრანზე სულ ახალსა და ახალ ფანჯარას ხსნის. და ამას არავითარი საერთო არა აქვს მუშაობის ტექნოლოგიასთან - უფრო სწორად, ინტუიციასთან. მან ეს უკვე სცადა, სამუშაოდან მოწყვეტას რომ ცდილობდა, და მონიტორზე გამოიხმო დოუ-ჯონსის ინდექსი, მაგრამ შედეგით მაინც უკმაყოფილო დარჩა. ახლა აჯობებს მთელი ყურადღება მათ მიაპყროს, ვინც მისი ცხოვრების დიდი ნაწილის თანამდევნი იყვნენ.

კიდევ ერთხელ უყურებს ვიდეოჩანაწერს, სადაც „მკვლელი გრინ-რივერი“ მშვიდად, ხმის აუკანკალებლად ჰყვება, როგორ მოკლა ორმოცდარვა ქალი - თითქმის ყველა მეძავი. თავის ბოროტმოქმედებაზე იმიტომ კი არ ჰყვება, რომ ცოდვების მონანიება და დანაშაულის აუტანელი ტვირთისგან სულის გათავისუფლება სურს - არა, უბრალოდ პროკურორმა შესთავაზა გარიგება: თუ აღიარებდა, სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით შეეცვლებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მკვლელს არ დაეტოვებინა თავისი დანაშაულის საკმარისი მტკიცებულება, რათა სიკვდილით დაესაჯათ. თუმცა, შესაძლოა, დაიღალა კიდეც ბოროტი მისიით, ანდა ეს ყველაფერი მობეზრდა.

რიდჯეი. მას ჰქონდა სტაბილური შემოსავალი - მუშაობდა საგზაო მომნიშვნელად და თავისი მსხვერპლი შეიძლება გახსენებოდა, თუ მას თავის რომელიმე სამუშაო დღეს დაამთხვევდა. ორი ათეული წლის განმავლობაში კვალდაკვალ დასდევდნენ მაძებრები - ხანდახან ორმოცდაათამდეც კი, მაგრამ დანაშაულს ისე სჩადიოდა, არც კვალს ტოვებდა, არც - სამხილს. „ეს ადამიანი, როგორც იტყვიან, ნამდვილი ჭკუის კოლოფი იყო. განსაკუთრებული ნიჭით არ გამოირჩეოდა, არც ისე განათლებული და შრომისმოყვარე ყოფილა, სამაგიეროდ, მკვლელობის ხელობას სრულყოფილად ფლობდა“, - იხსენებდა ერთ-ერთი დეტექტივი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუნებით იყო მკვლელი - ამასთან, საცხოვრებელი ადგილს არ იცვლიდა. ეს საქმე, როგორც უიმედო, არქივში იქნა გადაგზავნილი.

მორისს ასჯერ მაინც ენახა ეს ჩანაწერი, რომელიც ყოველთვის შთააგონებდა მას, მაგრამ დღეს, რატომღაც, ჩვეული ზემოქმედება ვერ მოახდინა. ის ხურავს ამ ფანჯარას და გადადის საიტზე, სადაც წარმოდგენილია ჯეფი დამერის, „მილუოკელი კანიბალის“, მამის წერილი. ჯეფი დამერს 1978 წლიდან 1991 წლამდე ჩვიდმეტი კაცი ჰყავდა მოკლული, გვამებს კი ანაწევრებდა.

„რასაკვირველია, ვერ ვიჯერებდი, რასაც პოლიცია ჩემს შვილზე ჰყვებოდა. არაერთხელ ვმჯდარვარ იმ მაგიდასთან, სადაც ის თურმე თავის მსხვერპლს ანაწევრებდა და სატანურ მესას აღასრულებდა. მისი მაცივრის გამოღებისას იქ რამდენიმე რძის ბოთლისა და სოდიანი წყლის ქილების გარდა ვერაფერს ვხედავდი. ნუთუ შეიძლებოდა, იმ ბავშვისგან, ხელით რომ ვატარებდი, ის სისხლიანი მანიაკი გაზრდილიყო, რომლის სახეც ახლა ყველა გაზეთიდან შემომცქერის? ო, ნეტავ იმ მამების გვერდით ვყოფილიყავი, 1991 წლის ივლისში ცნობა რომ მიიღეს, რისაც ასე ეშინოდათ: რომ მათი შვილები უკვალოდ კი არ იყვნენ გამქრალნი, დახოცილები იყვნენ. მაშინ მივიდოდი იქ, სადაც განისვენებდა მისი ნეშტი და მის ხსოვნას შევინახავდი. მაგრამ არა - ჩემი შვილი ცოცხალია და მთელი ეს შემზარავი ბოროტმოქმედება მისი ჩადენილია“.

სატანისტური სამსხვერპლო. ჩარლზ მენსონი და მისი „ოჯახი“. 1969 წელს სამი ახალგაზრდა შეიჭრა კინოვარსკვლავის სახლში და ყველა იქ მყოფი ამოხოცა. ვერც ის ახალგაზრდა გადაურჩა, იმ წუთში სახლიდან რომ გამოდიოდა. მეორე დღეს კვლავ მოხდა ორი მკვლელობა... მოკლეს მაღაზიების მფლობელი და მისი ცოლი.

„მე მარტოს შემიძლია მთელ კაცობრიობას მოვუღო ბოლო“, - ამბობდა მენსონი.

მორისი მეათასედ ათვალიერებს ამ დანაშაულებათა სულისჩამდგმელის სურათს - ობიექტივში მეგობარ ჰიპებთან მოღიმარს, რომელთა შორის იმ ეპოქის ცნობილი მუსიკოსიც მოჩანს. ისინი მუდამ მშვიდობასა და სიყვარულზე ლაპარაკობდნენ და არასოდეს შემჩნეულან რაიმე საძრახის საქმეში.

მორისი ხურავს ყველა ფანჯარას. „მენსონის საქმე“ ყველაზე ახლოსაა იმასთან, რაც ახლა ხდება: აქაც კინოს სამყაროა, მსხვერპლნი კი ცნობილი ადამიანები არიან. ფუფუნების, დაპროგრამებული საზოგადოებისა და „ვარსკვლავების“ საწინააღმდეგო რაღაც პოლიტიკური მანიფესტია. მენსონი ამ მკვლელობათა სულისჩამდგმელი იყო, მაგრამ თავად არასოდეს აღმოჩენილა დანაშაულის ადგილზე, რადგან მიმდევართა ხელით მოქმედებდა.

არა, ეს მცდარი კვალია... და მიუხედავად დაგზავნილი ახსნა-განმარტებითი მეილებისა, ასეთ მოკლე დროში რომ ვერ შეძლო პასუხის გაცემა, მორისი თანდათან იმსჭვალება იმ გრძნობით, რაც ყოველთვის მოიცავთ ხოლმე მაძებრებს აბურდული სერიული მკვლელობის საქმის გახსნისას.

ეს ის გრძნობაა, რომ ყოველივე ამას მათთან უშუალოდ აქვს კავშირი. ერთი მხრივ, არის, სავარაუდოდ, სრულიად განსხვავებული პროფესიის ადამიანი, რომელიც თავის დანაშაულს იმისდა მიხედვით გეგმავს, რა მომაკვდინებელ იარაღსაც ფლობს, მაგრამ არ იცნობს ადგილობრივი პოლიციის შესაძლებლობებს და მოქმედებს მისთვის სრულიად უცნობ გარემოში. ეს მისი სუსტი წერტილია. მეორე მხრივ - მორისის გამოცდილებით, სრულ მზადყოფნაში მყოფი უშიშროების ორგანოებია, რომლებიც შეჩვეულნი არიან ყოველგვარ საზოგადოებრივ ნაკლთან გამკლავებას.

მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით ვერავინ შეძლო ამ დილეტანტი მკვლელის შეჩერება.

მორისი ფიქრობს, რომ საერთოდ არ ღირდა გამოხმაურებოდა კომისრის თხოვნას. ოდესღაც საფრანგეთის სამხრეთით იმიტომ გადაწყვიტა დასახლება, რომ აქ საუკეთესო კლიმატია, ხალხიც მხიარულია, ზღვა კი - ლამის ორ ნაბიჯზე. ის ფიქრობდა, რომ კიდევ მრავალი წლის მანძილზე შეძლებდა ცხოვრებით დატკბობას.

ლონდონში სამსახური მიატოვა. შეძლო, საუკეთესოთა შორის საუკეთესოს სახელი მოეპოვებინა, ახლა კი არასწორი ნაბიჯი გადადგა, როცა ფრანგებს გამოძიებაში დახმარების სიტყვა მისცა. ამით სასწორზე თავისი რეპუტაცია დადო. მისი მარცხის ამბავს გაიგებენ ყოფილი თანამშრომლები და ვეღარ შეძლებს ხანგრძლივი წლების მანძილზე დამსახურებული დიდებით სარგებლობას. იტყვიან: „ოდესღაც თავისი სისუსტის კომპენსაცია იმით სცადა, რომ ჩვენს დეპარტამენტში ყველაზე თანამედროვე კომპიუტერების დადგმა პირველმა მოითხოვა. ახლა კი ყოველგვარი ტექნიკაა მის განკარგულებაში, მაგრამ უკვე მოხუცდა და აღარ შეუძლია, ღირსეულად უპასუხოს დროის გამოწვევებს“.

მორისი თიშავს კომპიუტერს. ეკრანი ქრება. მანქანის შიგნით ელექტრონული იმპულსები ქრება და არც დანაშაულის, არც სინიდისის ქენჯნისა და არც უღონობის გრძნობას არ ტოვებს. მაგრამ მორისს სხეულზე არა აქვს ჩართვა-გამორთვის ღილაკი, ტვინი განაგრძობს ფუნქციონირებას და ატრიალებს ერთსა და იმავე დასკვნებს,

ცდილობს, გაამართლოს ის, რაც გამართლებას არ ექვემდებარება, თავს არწმუნებს, რომ კოლეგები მართალნი არიან - მისმა ალღომ, ანალიზის მისმა უნარმა წლებთან ერთად, სიმახვილე დაკარგა.

მორისი შედის სამზარეულოში, რთავს ყავის მადუღარას, რომელიც კარგა ხანია მოძველდა და გულში ფიქრობს, რომ ხვალვე ახალი უნდა იყიდოს - რადგან ყოველნაირი ახალი საყოფაცხოვრებო ტექნიკის ყიდვა გარემონტებაზე უფრო იაფი ჯდება. მადლობა ღმერთს, ამუშავდა! მორისი აუჩქარებლად სვამს ყავას.

თითქმის მთელი დღე მხოლოდ კომპიუტერის, პრინტერის, ტელეფონის, მაგიდის ლამპის, ქურის, ყავის მადუღარას და ფაქსის ღილაკებს აჭერს თითს, ახლა კი ტვინის ღილაკი უნდა მოსინჯოს, აღარ ღირს კანის პოლიციის მიერ გამოგზავნილი საბუთების გადაკითხვა... „სხვაგვარად იფიქრე, სხვა მხრიდან მოუარე, მორის, შეადგინე სია, თუნდაც მასში ახალი არაფერი იყოს“:

1) დამნაშავემ (ყოველ შემთხვევაში, მკვლელობის იარაღის შერჩევისას) თავი გამოამჟღავნა, როგორც დახელოვნებულმა და საკმაოდ მცოდნე ადამიანმა;

2) ის არ არის ადგილობრივი მკვიდრი, სხვაგვარად უფრო ხელსაყრელ დროს შეარჩევდა, ახლა კანი სავსეა პოლიციელებით;

3) მას არ გააჩნია დამახასიათებელი ხელწერა ან მალავს, რათა მისი იდენტიფიცირება არ მოახდინონ. როგორც ჩანს, ეს დამახასიათებელი თვისებაა - დოქტორ ჯეკილის სასოწარკვეთილი მცდელობა, თავიდან აირიდოს მის მიერვე ჩადენილი ბოროტება. ეს იგივეა, დოქტორ ჯეკილს მისტერ ჰაიდისთვის რომ ეთქვა: „თუ შეიძლება დამაკავე. საზოგადოებისთვის საშიში ვარ და თავის გაკონტროლება არ შემიძლია“;

4) რაკი მან მოახერხა თავის ორ მსხვერპლთან ძალიან ახლოს მისვლა, მათთვის თვალებში ჩახედვა და მათი ბიოგრაფიის, ასე თუ ისე, დაწვრილებით შეტყობა, მაშასადამე, სინიდისის ქენჯნის გარეშე მკვლელობის ჩადენასაა მიჩვეული. აქედან დასკვნა: ის რომელიმე ომის მონაწილე უნდა იყოს.

5) მას აქვს ფული და არცთუ ისე ცოტა. ამაზე იმის მიხედვით კი არ უნდა ვიმსჯელოთ, რომ შეუძლია კანში იცხოვროს ფესტივალის დროს, როცა ფასებს ცეცხლი უკიდია, არა - იოლი წარმოსადგენია, რა დაუჯდებოდა ციანიდიანი კონვერტის გამზადება. სულ მცირე, ორმოცდაათი ათასი დოლარის გადახდა მაინც მოუწევდა: ორმოცისა თავად ნივთიერებაში, დანარჩენი - ვაკუუმურ შეფუთვაში;

6) კავშირი არა აქვს ნარკოტიკების გასაღებასთან, იარაღის არალეგალურ ვაჭრობასა და სხვა მაფიოზურ საქმეებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპოლს მეთვალყურეობის ქვეშ ეყოლებოდა. იმისდა მიუხედავად, რას ფიქრობენ თავად დამნაშავეთა სინდიკატების წევრები, ისინი თავისუფალნი მხოლოდ იმიტომ რჩებიან, რომ ჯერ არ დამდგარა მათი გისოსებს მიღმა გამომწყვდევის დრო.

7) მას ეშინია გამოაშკარავებისა და დაპატიმრების, ამიტომაც ყველანაირად იცავს სიფრთხილეს, მაგრამ ადამიანს თავისი ქვეცნობიერების მართვა ჯერჯერობით არ უსწავლია - და ეს მკვლელიც უნებურად მიჰყვება ქცევის რაღაც განსაზღვრულ მოდელს.

8) ეს ადამიანი აბსოლუტურად ნორმალურია, არ იწვევს არავითარ ეჭვს, თავაზიანი და ზრდილია, იოლად იმსახურებს იმათ ნდობას, ვისაც მერე სიცოცხლეს უსწრაფებს. რაღაც დროს ატარებს მომავალ მსხვერპლან: ორი მათგანი ქალია, რომლებიც, კაცებთან შედარებით, თავიანთი ბუნებით, გაცილებით უფრო ეჭვიანები არიან.

9) ის არ ირჩევს მსხვერპლს სქესის, ასაკისა და სოციალური მდგომარეობის კრიტერიუმის მიხედვით.

აქ მორისი ჩერდება, დაწერილიდან რაღაც ტექსტი ცუდად ესადაგება დანარჩენ ნაწილს. ორ-სამჯერ კიდევ გადაიკითხა და აი, პოულობს: „3) მას არ გააჩნია დამახასიათებელი ხელწერა ანდა მალავს, რათა მისი იდენტიფიცირება არ მოახდინონ „.

რა თქმა უნდა, მკვლელი, მენსონისგან განსხვავებით, არ ცდილობს სამყაროს გაწმენდას, ანდა - ქალაქისას, როგორც რიდჯეის ჰქონდა განზრახული. არც დამერის მსგავსად აპირებს თავისი ღმერთების მადის დაოკებას. დამნაშავეთა მნიშვნელოვან ნაწილს, ცხადია, არ სურს, რომ დაიჭირონ, მაგრამ მოწადინებულნი არიან, მათ შესახებ იცოდნენ. ერთნი ცდილობენ, გაზეთების პირველ გვერდზე მოხვდნენ, გახდნენ ცნობილნი და ჯეკ მფატრავისეული დიდება მოიპოვონ, ოცნებობენ, რომ მათმა შვილიშვილებმა იამაყონ, სახლის მტვრიან სხვენში ნაპოვნ გაზეთებში მათ სახელებს რომ ამოიკითხავენ. მეორენი, თავიანთი აზრით, რაღაც საგულისხმო მოწოდებას ასრულებენ, მაგალითად, დათესონ შიში ან მეძავები გაანადგურონ. ფსიქოანალიტიკოსები დიდი ხანია მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სერიული მკვლელები, რომლებიც დროდადრო ჩერდებიან ან სულაც წყვეტენ თავიანთ დანაშაულებრივ მოქმედებას, ასე სწორედ ამიტომ იქცევიან, რომ საზოგადოების მიმართ მათ გზავნილს მიღებულად თვლიან.

აი, პასუხიც - როგორც ჰამლეტი იტყოდა. ადრე ამაზე როგორ არ დაფიქრდა?

ჰო, ძალიან უბრალოდ! იმიტომ, რომ ასეთი დასკვნა პოლიციის ძიებას ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით წარმართავდა. ძებნას დაუწყებდნენ მკვლელს და იმას, ვისთვისაც განკუთვნილი იყო გზავნილები. მოცემულ შემთხვევაში ის არაჩვეულებრივი სისწრაფით კლავს: მორისი თითქმის დარწმუნებულია, ძალიან მალე, როგორც კი მიიჩნევს, რომ მიზანს მიაღწია, კანიდან გაქრება.

ორი ან, ყველაზე მეტი, სამი დღის შემდეგ. და რამდენადაც აქ - როგორც ზოგიერთი სხვა სერიული მკვლელის შემთხვევაში - მსხვერპლთა შორის არ არსებობს რაიმე

საერთო, მკვლელის გზავნილები ერთ ადამიანს, ერთ კონკრეტულ პირს უნდა ეკუთვნოდეს.

მხოლოდ ერთს.

მორისი უბრუნდება კომპიუტერს, ხელახლა რთავს და კომისარს დამამშვიდებელ მეილს უგზავნის:

„ნუ წუხხართ. მკვლელობები უცებ, ფესტივალის დამთავრებამდე, შეწყდება“.

და ისე, უბრალოდ, მარტოოდენ თავისი სიამოვნებისთვის მიმოწერის ასლს უგზავნის მეგობარს სკოტლენდ-იარდში - დაე, იცოდნენ, რომ საფრანგეთშიც აფასებდნენ მის პროფესიონალიზმს, სთხოვენ დახმარებას და ღებულობენ კიდეც. არ დაუკარგავს ადრინდელი შემართება, შესწევს უნარი, გამოიტანოს დასკვნები, რომელთა სიმართლე სულ მალე დადასტურდება. ნურავინ იფიქრებს, რომ ყავლი გაუვიდა.

და თუმცა მისი რეპუტაცია სასწორზე დევს, სავსებითაა დარწმუნებული იმაში, რაც ეს-ესაა დაწერა.

10:19 PM

ჰამიდი მობილურს თიშავს - სრულებით აღარ აინტერესებს, რა ხდება დანარჩენ მსოფლიოში. ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში უამრავი საშინელი შეტყობინება მიიღო.

ყველა ეს შეტყობინება გარკვეული გამაფრთხილებელი სიგნალია - შეეშვი ფილმის გადაღების სულელურ იდეასო. იმის მაგივრად, რომ შეესმინა შეიხისა და ცოლის ჭკვიანური რჩევა, პატივმოყვარეობამ გაიტაცა. როგორც ჩანს, კონტროლს კარგავს საკუთარ თავზე: ფუფუნებისა და გლამურის სამყარო მასზეც კი ახდენს თავის მომწამლავ ზეგავლენას, ვისაც ყოველთვის ეგონა, რომ მის მიმართ ძლიერ იმუნიტეტს ინარჩუნებდა.

კმარა. ხვალ, როცა ყველაფერი მიწყნარდება, მოიწვევს პრეს-კონფერენციას (საბედნიეროდ, კანში ჟურნალისტები მსოფლიოს ყველა კუთხიდან არიან თავმოყრილი) და განაცხადებს, რომ თუმცა პროექტში საკმარისი სახსრები ჩადო, მასზე მუშაობას წყვეტს, რადგან „ეს ყველას ოცნება იყო, მაგრამ ჩვენ შორის აღარაა ერთ-ერთი მონაწილე“. აუცილებლად მოინახება დაინტერესებული რეპორტიორი, ვინც იკითხავს, აქვს თუ არა სხვა რაიმე გეგმა ან ჩანაფიქრი, ის კი უპასუხებს, ამაზე საუბარი ნაადრევია, საჭიროა „პატივი ვცეთ გარდაცვლილის ხსოვნას“.

ჰო, რასაკვირველია, ის, როგორც ყველა წესიერი ადამიანი, წუხს, რომ მსახიობი, ვინც კონტრაქტი გააფორმა, მოწამლეს, ამ პროექტის განსახორციელებლად ამორჩეული რეჟისორი კი კლინიკაში წევს - საბედნიეროდ, მის სიცოცხლეს საფრთხე უკვე აღარ ემუქრება. მაგრამ ამ ორივე შემთხვევამ აშკარად აგრძნობინა, რომ კინოში არაფერი გამოუვა, ამაო წამოწყებაა, ეს არაა მისი საქმე, ტყუილად შეეჭიდა მას, მხოლოდ ფულს დაკარგავს, სამაგიეროდ კი ვერაფერს მიიღებს.

დაე, კინოს კინემატოგრაფისტებმა მიხედონ, მუსიკას - მუსიკოსებმა, ლიტერატურას - მწერლებმა. ორი თვეა, რაც ამ ავანტიურაში გაეხვია და მას ახალ-ახალი პრობლემების მეტი არაფერი მოუტანია. საქმის დაჭერა უწევს ადამიანებთან, რომელთაც საკუთარ თავზე უზარმაზარი წარმოდგენა აქვთ; უხდება გაბერილი ხარჯთაღრიცხვის შემცირება, სცენარის გამართვა და რედაქტირება, მაგრამ ყოველი მომდევნო ვერსია წინანდელზე უხეირო გამოდის. პროდიუსერების ატანაც ძნელია, დამცინავი იერით რომ გაგრძნობინებენ, ამ საქმის არაფერი გაგეგებაო.

მისი განზრახვა კი საუკეთესო იყო: ეჩვენებინა თავისი სამშობლოს ყოფა, კულტურა და წყობა, უდაბნოს სილამაზე, ასობით წლის მანძილზე ბედუინების გულში გამოტარებული სიბრძნე და პატიოსნებაზე მათი შეხედულება. ის აპირებდა, ვალი დაებრუნებინა თავისი ტომის ადამიანებისთვის, თუნდაც შეიხისთვის და ეჩვენებინა, რომ არ შეიძლება ერთხელ ამორჩეული გზიდან გადახვევა.

„უდაბნოში ადამიანებს გზა ებნევათ და იღუპებიან, რადგან თავს მირაჟით გატაცების ნებას აძლევენ. შენ კარგად უძღვები შენს საქმეს, მთელი შენი ძალ-ღონე მას მოახმარე“.

მაგრამ ჰამიდისთვის ეს არ კმაროდა. მას სურდა, უფრო მეტად გაეკვირვებინა, მეტი და მეტი სიმაღლეები დაეპყრო, გამოეჩინა მეტი შემართება... დიახ, მაშინ სიამაყემ სძლია და ეს არასოდეს უნდა განმეორდეს.

ჟურნალისტებმა ჰამიდს კითხვები დააყარეს - ახალი ამბავი ელვის უსწრაფესად გავრცელდა. ჰამიდი პასუხობს, რომ ტრაგედიის დეტალები მისთვის ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ უახლოეს დღეებში ამის შესახებ განცხადებას გააკეთებს. ერთსა და იმავეს უამრავჯერ იმეორებდა, სანამ მისმა ერთ-ერთმა მცველმა არ სთხოვა რეპორტიორებს, ცოლ-ქმრისთვის თავი გაენებებინათ.

ჰამიდმა თანაშემწე იხმო და დაავალა ეპოვა და მოეყვანა ჟასმინი. აქვე, ბაღში უნდა სეირნობდესო. ჰო, საჭიროა ერთად რამდენიმე სურათი გადაიღონ, რათა ხელმოწერილი კონტრაქტის დამადასტურებელი ახალი პრესრელიზი გამოუშვას... საჭირო გახდება კარგი პიარმენეჯერიც, რომელიც შეძლებს ინტერესის გაღვივებას ოქტომბრამდე, პარიზის მაღალი მოდის კვირეულამდე... შემდეგ თვითონ ითავებს ბელგიელ მოდელიორთან მოლაპარაკებას, ეტყვის, რომ ძალიან აფასებს მის ნამუშევარს და დარწმუნებულია, შეძლებს მისი ჯგუფის უზრუნველყოფას,

დაფინანსებასაც და შემდგომ განვითარებასაც - რაც, სხვათა შორის, სრული სიმართლეა. ჰამიდს შეუძლია, მთელი სიზუსტით გამოიცნოს ბელგიელი მოდელიორის აზრთა დინება: ჰამიდს სურს მისი ყიდვა, რათა ხელში ჩაიგდოს მთავარი მოდელი და ბელგიელის აჩქარება, ახლავე მიეღო გადაწყვეტილება, მარტო არაელეგენტური კი არა, არახელსაყრელიც იქნებოდა - ეს ფასს გაზრდიდა. ყველაფერს თავისი დრო აქვს, ამიტომაც სჯობს, შესაფერის მომენტს დაელოდოს.

- ვფიქრობ, აქედან უნდა წავიდეთ.

ეტყობა, ევას თავი მოაბეზრა ჟურნალისტების კითხვებმა.

- მაგას ნუ ამბობ. კარგად იცი, ქვის გული არა მაქვს, მაგრამ თავს ხომ არ მოვიკლავ იმის გამო, რომ მართლდება ადრევე ნათქვამი შენი სიტყვები, კინოს მოეშვიო. მე და შენ აქ მიღებაზე მოვედით და ბოლომდე უნდა დავრჩეთ.

ფრაზა, რომელიც უფრო მკაცრად ითქვა, ვიდრე თავად ჰამიდს სურდა, ევაზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს, თითქოს, როგორც ჰამიდის სიყვარული, ისე სიძულვილი სრულიად უმნიშვნელო იყო მისთვის. ჰამიდი შეცვლილი ტონით განაგრძობს:

- ეს გრანდიოზული დღესასწაულია. ჩვენმა მასპინძელმა, ალბათ, უამრავი ფული დახარჯა კანში ყოფნის გამო, იმისთვის, რომ ჩამოეყვანა და ადგილი მიეჩინა ყველა ვარსკვლავისთვის, ვინც განსაკუთრებული პირობით იყვნენ მოწვეულნი - მონაწილეობა მიეღოთ ამ ზღაპრულად მდიდრულ გალა-ვახშამში. ამასთან, შეიძლება ეჭვიც არ გეპარებოდეს, რომ ამ უფასო რეკლამით - რომელიც ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაიბეჭდება, ნაციონალური და კაბელური ტელეპროგრამები კი სხვას არაფერს აჩვენებენ, ის 10-12-ჯერ მეტ მოგებას ნახავს. ქალებისთვის მისი ძვირფასი ნივთები ასოცირებული იქნება სიმდიდრესა და ბრწყინვალებასთან, მამაკაცები, თავიანთი სიმდიდრისა და ძლევამოსილების დამადასტურებლად, დაიწყებენ მისი საათების ტარებას. ახალგაზრდები კი ჟურნალ-გაზეთების ფურცვლისას იტყვიან - „ოდესმე მეც მინდა, რომ იქ აღმოვჩნდე და ზუსტად ასევე მეცვას...“

- წავიდეთ აქედან. რაღაც ცუდი წინათგრძნობა მაქვს.

ეს უკანასკნელი წვეთი იყო. მთელი დღე უდრტვინველად იტანდა ცოლის ცუდ გუნებაზე ყოფნას, წარამარა რომ ამოწმებდა მობილურს, არის თუ არა ახალი შეტყობინებაო. ახლა ჰამიდი სერიოზულად ეჭვობს - რაღაც უცნაური რამ ხდებაო; სხვა მამაკაცი გამოჩნდა? ყოფილი ქმარი დაინახა სადმე და ახლა სურს, რადაც უნდა დაუჯდეს, შეხვდეს? თუ ასეა, პირდაპირ რატომ არ ეტყვის, იმის მაგივრად, რომ აუტანლად დუმდეს?

- მე არ მწამს წინათგრძნობის და ვცდილობ, წყნარად აგიხსნა, რის გამო ეწყობა მსგავსი დღესასწაულები. თუ ფიქრობ, რომ ბიზნესს ხელახლა უნდა მოჰკიდო ხელი -

ხომ ამბობდი, მუდამ ამაზე ვოცნებობდიო? თუ გინდა, რომ წარმატებით იყიდო და გაყიდო მაღალი მოდის ნახელავი, ეცადე, ჩასწვდე ჩემს სიტყვებს. ჰო, მართლა, გუშინ რომ გითხარი, ბარში შენი ყოფილი ქმარი ვნახე-მეთქი. შენ თქვი, შეუძლებელიაო, ამის გამო ხომ არაა, წუთითაც ხომ არ უშვებ ხელიდან ტელეფონს?

- იმას აქ არაფერი ესაქმება.

სინამდვილეში ევას სურდა ეთქვა: „ვიცი, ვინც სცადა შენი კინოპროექტის განადგურება და წარმატებასაც მიაღწია. ისიც ვიცი, რომ მას ამაზე უარესების ჩადენა შეუძლია. საშიშროება გველის. წამიყვანე აქედან“.

- შენ არ გიპასუხია ჩემს კითხვაზე.

- გპასუხობ. ჰო, ამიტომ. იმიტომ, რომ ვიცნობ მას. ვგრძნობ, სადღაც ახლოსაა და მეშინია.

- მეც ხომ ახლოს ვარ, - დამცინავად პასუხობს ჰამიდი.

ევა ბოკალს იღებს და სულმოუთქმელად სვამს.

ჰამიდი არაფერს ეუბნება ამის შესახებ, რადგან იცის, ევა სწორედ ამას ელოდება.

ჰამიდი ირგვლივ იყურება, ცდილობს, თავიდან ამოიგდოს შეტყობინებები, ერთმანეთის მიყოლებით რომ გამოჩნდა მისი ტელეფონის ეკრანზე. ცდილობს, სანამ ყველას დარბაზში მოიწვევენ, სადაც უკვე გაწყობილია სუფრა და რეპორტიორებს არ უშვებენ, როგორმე ჟასმინთან გადაიღოს სურათი. სახელგანთქმული კინომსახიობი უდროო დროს გარდაიცვალა: მისთვის აღარავის არაფერი უკითხავს სენსაციურ კონტრაქტზე, რომელზეც ჰამიდმა ხელი მოაწერა ყველასთვის უცნობ მოდელთან. ნახევარი საათის წინათ კი ეს ახალი ამბავი ყველას პირზე ეკერა.

ჰამიდი ხვდება, თუმცა ამდენი ხანია მუშაობს ამ სფეროში, ბევრი რამ კიდევ უნდა ისწავლოს: მილიონიანი კონტრაქტი უცებ გადაავიწყდა ყველას, დღევანდელი საღამოს მომწყობმა კი შეძლო პრესის ინტერესი გაეღვივებინა. აქ თავმოყრილი ჟურნალისტებიდან ერთიც არ წავა პოლიციაში ან ჰოსპიტალში პირველი პირებისგან ინფორმაციის მისაღებად. თუნდაც მოდაში ნაკლებად ერკვეოდნენ, რედაქტორები აქედან მაინც არ გაიწვევენ ჟურნალისტებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მაღალი საზოგადოების ცხოვრებისადმი მიძღვნილ ფურცლებზე მკვლელობებს ადგილს არ დაუთმობენ.

ძვირფასეულობათა მცოდნენი არ ერევიან კინოს სამყაროს მზაკვრობებში. ასეთი საღამოების გამოცდილმა ორგანიზატორებმა იციან, ამ წუთებში რამდენი სისხლიც უნდა იღვრებოდეს მსოფლიოში, სულერთია, ხალხი მაინც იმ ფოტოებს დაუწყებს ძებნას, სადაც აღბეჭდილია სულ სხვა - იდეალური, მიუწვდომელი, მდიდრული სამყარო.

მკვლელობა შეიძლება მოხდეს რომელიღაც სახლის კუთხეში ან მეზობელ ქუჩაზე, ამისი მსგავსი ვახშმები კი მხოლოდ თვალმიუწვდენელ სიმაღლეზეა.

ასეთ საღამოებზე პრესა რამდენიმე თვით ადრე იწყებს წერას. იუწყება, რომ სახელგანთქმული საიუველირო ფირმა კანში აწყობს ტრადიციულ დღესასწაულს, რომელზე დასასწრებადაც უკვე დაგზავნილია მოსაწვევები. ეს მთლად არ შეეფერება სინამდვილეს: მომავალ სტუმართა ნახევარი იღებს მემორანდუმის მსგავს დოკუმენტს თხოვნით, წინასწარ დაუდასტურონ, დაესწრებიან თუ არა დღესასწაულს.

ისინი კითხულობენ გაზეთებს, შემდეგ კი, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ უგზავნიან დამადასტურებელ პასუხს. უკვეთავენ თვითმფრინავის ბილეთს და სასტუმროში ნომერს - იხდიან თორმეტი დღის საფასურს, თუმცა იქ ორ დღეზე მეტ ხანს არ იცხოვრებენ. ისინი უნდა ეჩვენონ ყველას, ვინც კვლავაც ეკუთვნის სუპერკლასს, ვინაიდან ეს თანამონაწილეობა ბევრ კარს უღებთ, უადვილებთ საქმის წარმართვას და სასიამოვნოდ უღიტინებს მათ თავმოყვარეობას.

ორი თვის შემდეგ მისდით ნამდვილი მოსაწვევები. ქალებს მღელვარება იპყრობს, ფიქრობენ, ასეთი შემთხვევისთვის როგორი ჩაცმულობა აჯობებს. მამაკაცები თავიანთ მდივნებს ავალებენ დაურეკონ რომელიმე ნაცნობს, რათა შეიტყოს, შეიძლება თუ არა მასთან შამპანურის დალევა და, საღამოს დაწყებამდე, ზოგიერთი საკითხის განსჯა. ეს შეტყობინების სპეციფიკური, მამაკაცური ხერხია: „მე კი მიწვეული ვარ, მაგრამ შენ?“ და ის, როგორც არ უნდა იფიცებოდეს, რომ ყელამდე საქმე აქვს და საეჭვოა, კანში გასაფრენად დრო გამონახოს, მსგავსი პასუხი ასე იშიფრება - ეს მხოლოდ მცდელობაა იმისა, რომ რიგიანი ახსნა გამოუძებნოს იმ სამწუხარო მდგომარეობას, რომ არც წინასწარი და არც საბოლოო მოწვევა ჯერ არ მიუღია.

არ გაივლის რამდენიმე წუთი და ააწრიალებს მთელ თავის ნაცნობებს, კავშირებს, ჩართავს მეგობრებს, პარტნიორებს, კომპანიონებს - და იშოვის სანუკვარ ბილეთს.

რაც შეეხება თავად საღამოს:

ქირაობენ პროფესიონალთა გუნდს. დანიშნული დღე რომ დგება, თადარიგს იჭერენ, სტუმრებს მაქსიმალური რაოდენობის სპირტიანი სასმელებით რომ გაუმასპინძლდნენ. პრიორიტეტს ინარჩუნებს ლეგენდარული და შეუდარებელი ფრანგული შამპანური. უცხოელი სტუმრები, საეჭვოა, ხვდებოდნენ, რომ ამჯერად დალევენ შინ დამზადებულ შუშხუნა ღვინოს, რომელიც გაცილებით იაფია, ვიდრე მათ წარმოუდგენიათ. ქალებს, ისევე, როგორც ახლა ევას, სჯერათ, რომ ოქროსფერი სითხით სავსე ბოკალები, უკეთესად რომ არ შეიძლება, ისე ეხამება მათ კაბებს, ფეხსაცმელებსა და ჩანთებს. მამაკაცები, ბოკალებით ხელში რომ დასეირნობენ, მაგრამ უფრო იშვიათად სვამენ, აქ იმიტომ მოსულან, რომ დაუზავდნენ კონკურენტს,

მოაგვარონ ან გააუმჯობესონ ურთიერთობა მიმწოდებელთან, მონახონ პოტენციური კლიენტი, რომელიც შეძლებს, წარმატება მოუტანოს მათ პროდუქციას. ასეთ საღამოებზე ასობით სავიზიტო ბარათი გადადის ხელიდან ხელში. რასაკვირველია, მათი ნაწილი მარტო ახლანდელსა და მომავალ პარტნიორებს კი არა, ლამაზ ქალებსაც გადაეცემათ, მაგრამ ყველამ იცის: ასეთ ვახშმებზე არავინ მოდის დიდი და ნათელი სიყვარულის საპოვნელად. აქ მხოლოდ იმიტომ მოდიან, რომ მოელაპარაკონ საქმიან პარტნიორებს, გაიბრწყინონ და ცოტა გაერთონ.

ამ ღამეს სასტუმროში თავმოყრილი ადამიანები წარმოადგენენ წარმოსახვითი სამკუთხედის სამ წვეროს. ერთნი - არიან ისინი, ვინც ყველაფერს მიაღწიეს და დროს ატარებენ გოლფის პარტიების თამაშში, დახურულ კლუბებში დაუსრულებელ სადილებზე, სადაც მხოლოდ რჩეულებს უშვებენ. მათ მწვერვალს მიაღწიეს და იქ ისეთ რამეს მიხვდნენ, რაც ადრე თავში საერთოდ არ მოსდიოდათ: მათ მარტო არ შეუძლიათ ცხოვრება. ცოლ(ებ)ის საზოგადოება მათთვის აუტანელია. მათ სჭირდებათ მოძრაობა, სჯერათ, რომ არიან რაღაც განსაკუთრებული ადამიანები, თუმცა უკვე მოასწრეს დარწმუნებულიყვნენ, რომ საქმიდან მოწყვეტილნი ისეთივე შემაწუხებელ და უხალისო ყოველდღიურობას იტანენ, როგორსაც საშუალო კლასის ყველა წარმომადგენელი - საუზმე, გაზეთები, სადილი, სადილისშემდგომი თვლემა, ვახშამი, ტელევიზორი. ღებულობენ თითქმის ყოველგვარ მოწვევას, ესწრებიან უქმე დღეებში მოწყობილ მაღალი საზოგადოებისა და ყველა შესაძლო სპორტულ ღონისძიებას. შვებულებას მოდურ აგარაკებზე ატარებენ (თუმცა კარგა ხანია აღარ მუშაობენ, მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ არსებობს ისეთი ცნება, როგორიცაა შვებულება).

მეორენი არიან ისინი, ვისაც ჯერ არაფრისთვის არ მოუღწევია: ისინი გაშმაგებით უსვამენ ნიჩბებს, ცურავენ დინების საწინააღმდეგოდ, ცდილობენ გამარჯვებულის წინააღმდეგობის დაძლევას, ავლენენ სიმტკიცეს მაშინაც კი, როცა საავადმყოფოში დედ-მამასთან მიდიან სანახავად, ყიდიან იმას, რაც ჯერ მათ არ ეკუთვნით.

დაბოლოს, სამკუთხედის მწვერვალი უკავია სუპერკლასს.

ეს სამი ინგრედიენტი ამგვარი საღამოსთვის იდეალური დომხალია. ის, ვინც მიზანს მიაღწია, მაგრამ აგრძელებს ნორმალურ ცხოვრებას, ხვდება, რომ ის დრო, როცა რაიმეზე გავლენის მოხდენა შეეძლოთ, სამუდამოდ დასრულდა, თუმცა ნაშოვნი ფული მის რამდენიმე თაობას ეყოფა - მოგვიანებით ხვდებიან, რომ ძალაუფლება სიმდიდრეს სჯობია. ისინი კი, ვინც ჯერ გზაში არიან, ჯერ კიდევ დაუხარჯავი ენერგიით, ცდილობენ იმხიარულონ, გაიხარონ ცხოვრებით, ჰგონიათ, რომ უდავოდ მოახდინეს საჭირო შთაბეჭდილება, სულ რამდენიმე კვირის შემდეგ კი რწმუნდებიან, რამდენი სავიზიტო ბარათიც უნდა დაარიგონ, ისინი არავის სჭირდება. დაბოლოს, ისინი, ვინც მწვერვალზე ზეობენ, მაგრამ იციან: იქ ისეთი ქარი უბერავს, ადვილად შეიძლება წონასწორობა დაკარგონ და უფსკრულში ჩაიჩეხონ.

...მოწვეულნი ჰამიდთან სასაუბროდ მიდიან... მკვლელობას არავინ ახსენებს: ან ადამიანთა საქმეში ჩაუხედაობის გამო, რომლებიც ისეთ სამყაროში ცხოვრობენ, სადაც მსგავსი რამ არ ხდება, ანდაც დელიკატურობის გამო (ეს უკანასკნელი, ცოტა არ იყოს, საეჭვოა). ჰამიდი აქეთ-იქით იყურება და ხედავს ზუსტად იმას, რისი ატანაც არ შეიძლება მოდის სამყაროში - არცთუ ახალგაზრდა ქალები ოცი წლის გოგონებივით არიან ჩაცმულნი. როგორ ვერ მიმხვდარან, რომ სტილი უნდა შეიცვალონ? ის ერთს ესაუბრება, მეორეს - უღიმის, მადლობას იხდის მისი კოლექციის შექებისთვის, ევას აცნობს მათ, ვისაც ჯერ არ იცნობს (ასეთები ძალიან ცოტანი არიან), მაგრამ ამასთან, ერთი აზრი უტრიალებს თავში - ახლავე მოუნახონ ჟასმინი და მასთან ერთად გადაიღოს სურათი.

მრეწველი და მისი ცოლი დაწვრილებით იხსენებენ, როდის შეხვდნენ უკანასკნელად ჰამიდს, ჰამიდს კი ეს წყვილი საერთოდ არ ახსოვს, მაგრამ, თანხმობის ნიშნად, მაინც თავს უქნევს. საუბრობენ მოგზაურობაზე, შეხვედრებზე, პროექტებზე, რომელთა განვითარებასა და წინ წამოწევასაც ვარაუდობენ. და არავინ, არავინ ეკითხება ერთმანეთს მართლაც საინტერესო რამეს: „ბედნიერი ხარ?“ ან: „რას ნიშნავს გამარჯვების გრძნობა, როცა ის ასეთი შრომით მიიღწევა?“ სუპერკლასს რომ ეკუთვნი, აშკარაა, მოვალე ხარ, თავი ისე დაიჭირო, როგორც შეძლებულმა და ბედნიერმა ადამიანმა, თუნდაც საკუთარ თავს ეკითხებოდე: „ახლა, როცა ყველაფერი მოვიპოვე, რაც მსურდა, რაზეც ვოცნებობდი, რა უნდა ვუყო ჩემს მომავალს?“

ჰამიდს შარვალზე ინდურ სარშემოხვეული, გამხდარი, კომიქსის გაცოცხლებული პერსონაჟის მსგავსი არსება უახლოვდება.

- უკაცრავად, მუსიე ჰამიდ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ...

- ვის ვესაუბრები?

- მოცემულ შემთხვევაში თქვენთვის ვმუშაობ...

- დაკავებული ვარ. ყველაფერი ვიცი, რაც უნდა ვიცოდე ამღამინდელი დასანანი ინცინდენტის შესახებ... ასე რომ, ნუ წუხხართ.

მაგრამ უცნაური სუბიექტი არ მიდის. ჰამიდს აღიზიანებს მისი იქ ყოფნა, მით უფრო, გვერდით ვინც ედგნენ, ალბათ, გაიგონეს ეს საშინელი ფრაზა „...თქვენთვის ვმუშაობ“. რა შეიძლება იფიქრონ?

- მუსიე ჰამიდ, თქვენი ფილმისთვის აყვანილი მსახიობი უნდა გამეცნო თქვენთვის... მაგრამ დამირეკეს და ერთი წუთით დავშორდი...

- მოგვიანებით... ახლა ჟასმინ ტაიგერს ველოდები.

ის, როგორც იქნა, წავიდა. ჰამიდი დანანებით ფიქრობს იმ მსახიობზე: „საბრალო, დილით მასთან კონტრაქტზე მოვაწერე ხელი, საღამოს კი უკვე გაუქმდა...“

ევას ერთ ხელში შამპანურის ბოკალი უჭირავს, მეორეში - ტელეფონი, თითებს შორის კი - სიგარეტი. მათთან მოსაუბრე მამაკაცი სიგარეტის მოსაკიდებლად ჯიბიდან ოქროს სანთებელას იღებს.

- ნუ წუხხართ, თავადაც შემიძლია. განგებ მიჭირავს ასე, ნაკლები რომ მოვწიო.

სინამდვილეში სჯობდა ასე ეთქვა: „მობილურს ვერ ვიშორებ, რათა გვერდით რომ მიდგას, ეს იდიოტი დავიცვა. იდიოტი, რომელსაც არ სჯერა ჩემი, ვინც არასოდეს დაინტერესებულა ჩემი ცხოვრებით, იმით, რაც ზურგს უკან დამრჩა. ერთი ესემესი კიდევ რომ მოვიდეს, სკანდალს მოვაწყობ, მაშინ, უნდა თუ არა, მოუწევს ჩემი აქედან წაყვანა. დაე, მაშინ გამლანძღოს და შეურაცხყოფა მომაყენოს, ყოველ შემთხვევაში მეცოდინება, რომ სიკვდილს გადავარჩინე. დამნაშავეს ვიცნობ. ვგრძნობ. აბსოლუტური ბოროტება სადღაც ახლოსაა“.

სტუმრებს ზემოთა დარბაზში ასვლას სთხოვენ. ჰამიდი მზადაა უდრტვინველად დაემორჩილოს ბედს: რას იზამ, ფოტომ შეიძლება ხვალამდე მოიცადოს, როდესაც ჟასმინთან ერთად ხელიხელჩაკიდებული კონგრესთა სასახლის საფეხურებზე აივლის. ამ დროს ერთ-ერთი თანაშემწე უახლოვდება.

- ჟასმინ ტაიგერი არსადაა. ეტყობა, წავიდა.

- კეთილი. არა უშავს... ეტყობა, დაავიწყდათ, ჩვენი შეხვედრის შესახებ გაეფრთხილებინათ.

როგორც ყოველ მსგავს სიტუაციაში, ის ახლაც ინარჩუნებს სიმშვიდეს, თუმცა მრისხანებისგან სისხლი თავში აუვარდა. როგორ გაბედა ვახშმიდან წასვლა? ვინ ჰგონია თავი?!

საოცრად იოლია სიკვდილი. ადამიანის ორგანიზმი, რასაკვირველია, ბუნების ერთ-ერთი სრულყოფილი და წვრილმანებამდე მოფიქრებული ქმნილებაა, მაგრამ საკმარისია მას პაწაწინა ტყვიის ნატეხმა გარკვეული სიჩქარით გაუაროს, დაგლიჯოს და დააქუცმაცოს ყველაფერი, რაც გზად შეხვდება - და ეს ბრწყინვალე მექანიზმი სამუდამოდ გამოდის მწყობრიდან.

სიკვდილი. განმარტებით ლექსიკონს თუ დავუჯერებთ, ეს - სიცოცხლის დასასრულია (ეს თავის მხრივ, კორექტულ განსაზღვრებას მოითხოვს), შეწყვეტაა (და არა შეჩერება) ორგანიზმის ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციებისა, როგორიცაა, მაგალითად, სუნთქვა, ტვინის მოქმედება, გულის მუშაობა. და რამდენიმე დღის თუ კვირის მანძილზე მხოლოდ ორი რამ ეწინააღმდეგება ამ პროცესს - ფრჩხილები და თმა ზრდას კვლავაც განაგრძობენ.

განსაზღვრება იცვლება, რელიგიას თუ მივმართავთ:

ერთნი ამბობენ, ეს სხვა, უფრო ამაღლებულ მდგომარეობაში გადასვლაა; მეორენი ირწმუნებიან, ეს დროებითი მდგომარეობაა და ადრე ამ სხეულში ჩასახლებული სული ოდესმე დაუბრუნდება მას, რათა პასუხი აგებინოს ჩადენილი ცოდვებისთვის ან შემდგომ ცხოვრებაში დატკბეს იმ წყალობით, რასაც მოკლებული იყო წინა გარდასახვის დროსო.

იგორის გვერდით მყოფი ქალიშვილი დამშვიდდა. ან შამპანურმა იმოქმედა ან პირიქით, გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ ირგვლივ არავის იცნობს, რომ შესაძლოა, აქ პირველად და უკანასკნელად მოიწვიეს და ოცნებები ხანდახან კოშმარულ სიზმრებად იქცევა. იგორი ნაღვლიან გოგონასთან ერთად რომ წავიდა, სხვა მამაკაცები მოდიოდნენ მასთან, მაგრამ ვერც ერთმა შეძლო მისი კეთილგანწყობის მოპოვება. უკან მობრუნებულ იგორს სთხოვა, დღესასწაულის ბოლომდე დარჩენილიყო მასთან, ჰკითხა, შეეძლო თუ არა შინამდე მიეცილებინა - ფული არ ჰქონდა.

- რა თქმა უნდა, სიამოვნებით წაგიყვანთ.

ეს სულ არ შედიოდა იგორის გეგმებში. მაგრამ პოლიციელის გამოჩენის შემდეგ, ყურადღებით რომ ათვალიერებდა სტუმრებს, მიხვდა, ვინმესთან უნდა დაწყვილებულიყო, ქცეულიყო ყველასთვის უცნობ, მაგრამ, უეჭველად, მნიშვნელოვან პიროვნებად, ამაყად რომ დასეირნობს ლამაზმანი ახალგაზრდების გვერდით, რაც სავსებით შეესაბამება მსგავსი საღამოების სულსა და სტილს.

- მე მგონი, დროა. შენ რას ფიქრობ?

- დროა. მაგრამ კარგად ვიცნობ ასეთ ვახშმებს, ასე რომ, აჯობებს, ერთხანს კიდევ მოვიცადოთ, სანამ ყველანი არ დამსხდარან; ყოველ შემთხვევაში, სამი-ოთხი მაგიდა სარეზერვოდ იქნება შემონახული, ჩვენ კი ხელს სულაც არ გვაძლევს, უხერხულ მდგომარეობაში ჩავცვივდეთ.

ის ამჩნევს, ქალიშვილი, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებულია, უადგილოდ რომ დარჩა, მაგრამ შეგუების მეტი რა დარჩენია.

ოფიციანტები მთელ ბაღში ცარიელ ბოკალებსა და ჭიქებს კრეფენ. მოდელები ჩამოვიდნენ სულელური საცეკვაო მოედნიდან, საიდანაც მამაკაცებს უჩვენებდნენ, რომ ამქვეყნად არის კიდევ რაღაც, რაც ყურადღებას იმსახურებს, ქალებს კი შეახსენებდნენ, რომ გადაუდებელი ლიპოსაქცია, სხეულის სათანადო ნაწილებში კი ბოტოქსისა და სილიკონის შეჩურთვა ესაჭიროებოდათ.

ქალიშვილთან ხელგაყრილი იგორი ზემო სართულისკენ იღებს გეზს. ჩანს, ევამ შეტყობინება მიიღო და უარყო იგი. მაგრამ ახლა იგორმა იცის, რომ უნდა დაუცადოს იმ ადამიანის, იმ გახრწნილი ნატურის გამოჩენას, რომელიც ყოფილ ცოლს არ უთმობს. პორტუგალიელი გოგონას სახით მოვლენილი ანგელოზი კვლავ მის

გვერდითაა - სწორედ მან მიახედა დროულად და დაანახვა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პოლიციელი, თანაც ზუსტად იმ დროს, როცა სახელგანთქმული მოდელიორის გამოჩენისას ცალკე აპირებდა გადგომას.

- კარგი, წავიდეთ.

ისინი ადიან კიბეზე, მიდიან დარბაზთან, ზღურბლთან იგორი თავაზიანად სთხოვს, ხელი გაუშვას - მაგიდასთან მსხდომმა მისმა მეგობრებმა შეიძლება ეს არასწორად გაიგონ.

- შენ რა, ცოლიანი ხარ?

- გაცილებული.

ჰო, ჰამიდი არ შემცდარა, ინტუიციას არ უღალატია, წინათგრძნობას არ მოუტყუებია: დღევანდელი საღამოს ყველა უსიამოვნება გაფერმკრთალდა იმასთან შედარებით, რაც ახლა დაუდგა თვალწინ, რადგან ადამიანს, ვინც ახლა დაინახა, არაფერი ესაქმებოდა კინოფესტივალთან, მაშასადამე, ერთადერთი რამაა მისი აქ ყოფნის მიზეზი.

დარბაზში შემოსული მამაკაცი შემოტრიალდა. ევას გული გამალებით უცემს.

- რას აკეთებ?

მაგრამ ჰამიდი უბოდიშოდ დგება ადგილიდან. არა, მან არ იცის რას აკეთებს, ისე მიემართება აბსოლუტური ბოროტებისკენ, რომელიც ამქვეყნად ყველაფრის ჩამდენია. ჰამიდი, ალბათ, ფიქრობს, რომ მის წინაშე ჩვეულებრივი ადამიანი, მოწიფული მამაკაცია, რომელსაც შეიძლება აჯობო - ფიზიკური ძალით ან ლოგიკური არგუმენტებით, და სულაც არ ეჭვობს, რომ აბსოლუტურ ბოროტებას ბავშვის სული აქვს, თავის საქციელზე პასუხისმგებლობას არ გრძნობს, დარწმუნებულია თავის სიმართლეში; და თუ არ მიიღებს იმას, რაც სურს, სურვილის დასაკმაყოფილებლად, უყოყმანოდ იყენებს ყველა საშუალებას. ევასთვის ახლა გასაგებია, ანგელოზი ასე უეცრად რატომ იქცა დემონად: თვითონ რამდენიც უნდა ამტკიცოს, რომ გაიზარდა და შეძლო ამ გრძნობებისგან განთავისუფლება, განიკურნა მორალური ტრამვისგან, იგორის სულიდან არასოდეს გამქრალა არც ბოროტება და არც შურისძიების წყურვილი. იმიტომ, რომ სწრაფვამ, ეჩვენებინა უნარი - მიეღწია ცხოვრებაში გამარჯვებისთვის - საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ აქცია და თავი ყოვლისშემძლედ წარმოადგენინა.

- ეტყობა, უფრო მიმზიდველი მაგნიტი იპოვა, - გესლიანად ამბობს ჰამიდის მეზობელი, ყოფილი „მის ევროპა“, მთავარ მაგიდასთან ორ სუპერვარსკვლავსა და მასპინძელთან ერთად რომ ზის.

ევა ცდილობს უხერხულობის გაქარწყლებას, მაგრამ არ იცის, როგორ. მასპინძელი, ეტყობა, ამ ყველაფრით ერთობა და იცდის, რა მოხდება.

- უკაცრავად... ეს ჩემი ძველი მეგობარია.

ჰამიდი მიემართება შემოსულისკენ, რომელიც თითქოს ოდნავ დაბნეული ჩანს, მისი თანმხლები ქალიშვილი კი ყვირის:

- ბატონო ჰამიდ ჰუსეინ, აქ ვარ! მე ვარ თქვენი ახალი მსახიობი!

მაგიდებთან მსხდომი ადამიანები ინტერესდებიან, რა ხდებაო. მასპინძელი კმაყოფილი იღიმება: კარგია, როცა წინასწარ დაუგეგმავად რამე ხდება, სტუმრებს მეტი სალაპარაკო უჩნდებათ... მაგრამ როცა ხედავს, რომ ჰამიდი ახლადშემოსულების წინ ჩერდება, ხვდება, აქ რაღაც ისე არ არისო, და ევას ეუბნება:

- ეგებ სჯობდეს, თქვენი მეუღლე დაბრუნდეს? ანდა გნებავთ, განკარგულებას გავცემ, ერთი სკამი და ჭურჭელი თქვენი მეგობრისთვისაც მოიტანონ. მის თანმხლებს კი სხვა მაგიდასთან მოუწევს დაჯდომა.

სტუმრებს უეცარი ინტერესი მალევე უქრებათ და კვლავ საჭმელსა და საუბარს უბრუნდებიან. საუბრობენ თავიანთ იახტებზე, თვითმფრინავებზე, ბირჟაზე. მხოლოდ მასპინძელი ფხიზლობს ძველებურად.

- დაელაპარაკეთ, - დაჟინებით სთხოვს ევას.

მაგრამ მხოლოდ მას ეჩვენება, რომ ევა აქაა. სინამდვილეში ის აქედან მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებულ ირკუტსკის რესტორანშია. თუმცა იქ ყველაფერი სხვაგვარადაა - იგორმა მაწანწალა გარეთ გაიყვანა... ევა თავს წარმოუდგენელ ძალას ატანს, დგება და მათთან მიდის.

- დაჯექი, ჩვენ კი გარეთ გავალთ და დავილაპარაკებთ, - ხმადაბლა ეუბნება ჰამიდი.

ასეთ სიტუაციაში ამაზე სულელური რამის ჩადენა შეუძლებელია. ევა იგორს ხელს ჰკიდებს, ისეთ სახეს იღებს, თითქოს ძალიან გაუხარდა დიდი ხნის უნახავ ძველ მეგობართან შეხვედრა და სიცილით, სავსებით ბუნებრივი ხმით, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ეუბნება:

- ვახშამი უკვე იწყება!

მას არ დაუყოლებია „ჩემო საყვარელო!“ რათა ამ სიტყვებს ჯოჯოხეთის კარიბჭე არ გაეღოთ.

- ევა მართალია, სჯობს, პირდაპირ აქ ვისაუბროთ.

ნუთუ ეს მან, იგორმა წარმოთქვა? ნუთუ ყველაფერი მისი გამონაგონია და საქმე ისე არ არის, როგორც ჰგონია? იქნებ ბავშვი გაიზარდა და კაცად იქცა, რომელსაც თავის

საქციელზე პასუხისგება შეუძლია, ეგებ ციდან განდევნილმა დემონმა შენდობა მიიღო და ახლა სინათლეს უბრუნდება? მოხარული იქნება, თუკი ცდება, მაგრამ ორი მამაკაცი ერთმანეთს თვალით ზომავს. ჰამიდმა რაღაც უკეთური ამოიკითხა იგორის ცისფერ თვალთა მიღმა და გააჟრჟოლა. ქალიშვილი ჰამიდს ხელს უწვდის:

- მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. მე გაბრიელა მქვია.

ჰამიდი არ პასუხობს. გაბრიელას თანმხლებს თვალები უელავს.

- აი, იქ, კუთხეში, თავისუფალი მაგიდაა... წავიდეთ, ყველანი ერთად დავსხდეთ... - ამბობს ევა.

კუთხეში, მაგიდასთან? მისი ცოლი საპატიო ადგილს ტოვებს და სადღაც განაპირას ჯდება? მაგრამ ევა ორივე მამაკაცს ხელს გამოსდებს და მოშორებით, სამზარეულოს კარის მახლობლად, ერთადერთ თავისუფალ მაგიდასთან მიჰყავს. მსახიობი უკან მიჰყვება. ჰამიდი ხელს ითავისუფლებს, მასპინძელთან ბრუნდება და ბოდიშს უხდის.

- ეს-ესაა ბავშვობის მეგობარს შევხვდი... ხვალ მიემგზავრება... არ მინდა მასთან საუბრის შესაძლებლობა გავუშვა ხელიდან. ნუ დაგველოდებით, ვერ გეტყვით, რამდენ ხანს გაგვიგრძელდება საუბარი.

- თქვენს ადგილებს ვერავინ დაიკავებს, - ღიმილით პასუხობს მასპინძელი.

- თავიდან მომეჩვენა, რომ თქვენი კი არა, თქვენი მეუღლის ბავშვობის მეგობარი იყო, - ხელახლა კბენს ყოფილი „მის ევროპა“.

მაგრამ ჰამიდი უკვე მიემართება თანაშემწეებისთვის განკუთვნილი მაგიდისკენ. სახელგანთქმულებს თანაშემწეები ყველგან თან დაჰყვებიან და როგორც უნდა დაუშალონ, მათთან ერთად იქაც კი აღწევენ, სადაც მათი ყოფნა საერთოდ არ არის საჭირო.

„კეთილი ადამიანია ჰამიდი, - ფიქრობს მასპინძელი, როცა ხედავს, საქვეყნოდ ცნობილი მოდელიორი ამაყად თავაწეული როგორ შორდება მას, - საღამოს ასე დაწყება, აშკარაა, მისთვის მეტად მძიმეა“.

ისინი კუთხის მაგიდასთან სხდებიან. გაბრიელამ იცის, ეს მისთვის შანსია, კიდევ ერთი მრავალ უნიკალურ შანსთაგან.

- თქვენ სავსებით გენდობით და კონტრაქტს წაუკითხავად მოვაწერე ხელი.

დანარჩენი სამი ხმას არ იღებს, უბრალოდ უყურებენ. რა ხდება, რამე ისე არა თქვა? ეგებ შამპანურის ბრალია?..

- განსაკუთრებით იმით ვარ კმაყოფილი, რომ აქ გაგონილის საწინააღმდეგოდ, შერჩევა სწორად და პატიოსნად მოხდა; არავითარი თხოვნა, არავითარი პროტექცია...

სინჯები დილით იყო დანიშნული და ჩემი ტექსტის ბოლომდე წაკითხვაც ვერ მოვასწარი, რომ შემაწყვეტინეს და მიბრძანეს, რეჟისორთან მოსალაპარაკებლად იახტაზე წავსულიყავი. თქვენ, მისტერ ჰუსეინ, სამყაროს ჭეშმარიტად ღირსეული პროფესიონალიზმის მაგალითი უჩვენეთ, უჩვენეთ განსაკუთრებული, პატიოსანი დამოკიდებულება იმათი შერჩევისას, მუშაობას ვისთანაც აპირებთ. ადამიანები დარწმუნებულები არიან, რომ კინოს სამყაროში სულ სხვა კანონებია გამეფებული, რომ იმისათვის, რათა რაიმეს მიაღწიო, საჭიროა...

„...პროდიუსერთან დაწოლა“, - უნდოდა დაესრულებინა თავისი სიტყვები, მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი: ჰამიდი აქ მარტო არ იყო.

ამასობაში მიმტანი გამოჩნდა და წარმოთქვა დაზეპირებული მონოლოგი:

- დასაწყისისთვის გირჩევთ არტიშოკის გულს მდოგვის სოუსით, ზეითუნის ზეთით, მწვანილითა და პირენეული თხის ყველის ნაჭრებით...

მაგრამ ამ მაგიდიდან ღიმილით მხოლოდ ყველაზე ახალგაზრდა ქალიშვილი უსმენს. მიმტანი ვარაუდობს, რომ უდროო დროს გამოჩნდა და მიდის.

- ეტყობა, ძალიან გემრიელია.

გაბრიელა მეზობლებს უყურებს... აქ რაღაც ხდება...

- მგონი, საუბარი გსურთ. ეგებ სჯობდეს, სხვა მაგიდასთან გადავჯდე?

- თუ შეიძლება, - პასუხობს ჰამიდი.

- არა, დარჩი, - ეუბნება მისი ცოლი. გაბრიელამ არ იცის, როგორ მოიქცეს.

- მოგწონთ თქვენი თანმხლები? - განაგრძობს ცოლი.

- მე და პონტერმა ეს-ესაა გავიცანით ერთმანეთი.

- პონტერმა? - ევა და ჰამიდი იდუმალებით მოცულ იგორს უყურებენ.

- რას საქმიანობს?

- თქვენ ხომ მისი მეგობრები ხართ?

- ამიტომაც ვიცით, რასაც საქმიანობს, მაგრამ თქვენ თუ იცით რამე მის შესახებ?

გაბრიელა იგორისკენ ბრუნდება.

მაგიდასთან მოდის ოფიციანტი და კითხულობს, რომელი ღვინო მოიტანოს, თეთრი თუ წითელი.

რა დროულად გადაარჩინა უცნობმა ოფიციანტმა!

- ყველასთვის წითელი, - პასუხობს ჰამიდი და გაბრიელას ეკითხება: - და მაინც, რა საქმიანობითაა დაკავებული თქვენი ახალი ნაცნობი?

ვერა, ვერ გადარჩა.

- როგორც მივხვდი, მანქანათმშენებლობით... სინამდვილეში ჩვენ ორიოდე სიტყვით გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. ჩვენ შორის საერთო მხოლოდ ისაა, რომ ორივე მეგობრებს ველოდებოდით, ისინი კი არ მოვიდნენ...

„კარგი პასუხია, - ფიქრობს გულში გაბრიელა, - ხომ შეიძლება, ამ ქალს საიდუმლო რომანი ჰქონოდა პონტერთან? დღეს საღამოს კი საიდუმლო გაცხადდა - იქნებ ამიტომაცაა ასეთი დაძაბულობა?“

- მაგას იგორი ჰქვია. რუსეთში ფლობს ფიჭური კავშირგაბმულობის ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიას, ეს კი მძიმე მანქანათმშენებლობაზე ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანია.

„რატომ მომატყუა?“, - ფიქრობს გაბრიელა, თან ცდილობს, სიმშვიდე შეინარჩუნოს.

- ვიცოდი, იგორ, რომ აქ შეგხვდებოდი, - განაგრძობს ქალი.

- აქ შენ საძებნელად ჩამოვედი, მაგრამ ახლა გადავიფიქრე, - ისმის პირდაპირი პასუხი.

გაბრიელა ქაღალდებით გაბერილ თავის ჩანთას ეხება და გაკვირვებული ამბობს:

- მირეკავენ, ეტყობა, მაინც მოვიდა ჩემი დაგვიანებული მეგობარი... წავალ, ვნახავ. ძალიან მერიდება, მაგრამ ჩემ სანახავად შორიდან ჩამოფრინდა, აქ არავის იცნობს და მე ვარ მასზე პასუხისმგებელი. კიდევ ერთხელ მაპატიეთ...

და ადგილიდან დგება. კარგი ტონის წესების მიხედვით, ადამიანს ჭამის დროს ხელი არ უნდა ჩამოართვა, თუმცა აქ დამსწრეთაგანს ჯერ ხელსახოცებიც არ გაეშალათ. წითელი ღვინით სავსე ბოკალები კი დაცლილი იყო.

იმან კი, ვინც თავის თავს პონტერს უწოდებდა, ორი წუთის წინ სავსე ბოთლი მოითხოვა.

- იმედი მაქვს, ყველა ჩემი შეტყობინება მიიღე, - ამბობს იგორი.

- მხოლოდ სამი. აქ, ეტყობა, ფიჭური კავშირი უარესია, ვიდრე რუსეთში.

- მე ტელეფონს არ ვგულისხმობ.

- მაშინ არ მესმის, რას გულისხმობ, - პასუხობს ევა, გულში კი ფიქრობს: „მშვენივრად მესმის“.

თითქოსდა იგორს შეეძლო სცოდნოდა, რომ ჰამიდზე გათხოვების შემდეგ, მთელი წლის მანძილზე, ევა ელოდებოდა დარეკვას ან შეტყობინებას, ანდა საერთო ნაცნობების მიერ გადაცემულ ამბავს, რომ იგორი უიმისოდ მოწყენილი იყო და ძალიან ენატრებოდა. ევას იგორის გვერდით ყოფნა არ უნდოდა, მაგრამ იცოდა, მისთვის გულის მოკვლა უგუნურება იყო. ამიტომ როგორმე უნდა დაეცხრო მისი მრისხანება, თავი მოეჩვენებინა, რომ ისინი კეთილ მეგობრებად დარჩებოდნენ. ერთხელ, ცოტაოდენი დალევის შემდეგ გადაწყვიტა, დაერეკა მისთვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მობილური ტელეფონის ნომერი გამოცვლილი ჰქონდა. მის ოფისს რომ დაუკავშირდა, უპასუხეს, „თათბირი აქვსო“. შემდეგშიც, რამდენჯერაც დარეკა - გამზედაობისთვის კი წინასწარ სვამდა - პასუხობდნენ: „გაემგზავრა“, „მოგვიანებით დაგირეკავთ“, მაგრამ ამის მსგავსი, რა თქმა უნდა, არაფერი მომხდარა.

მერე თანდათანობით დაეწყო ათასნაირი ჯანდაბის მოლანდება - ხედავდა კუთხეებში მიმალულ აჩრდილებს, ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც უთვალთვალებდა, რომ ძალიან მალე ბაიკალელი მაწანწალას და იმ დანარჩენთა ბედი ეწეოდა, რომელთაც იგორი „უკეთეს მდგომარეობაში გადასვლაში“ დაეხმარა. ჰამიდი კი წარსულზე არაფერს ეკითხებოდა, ეტყობა, ფიქრობდა, ყველა ადამიანს აქვს უფლება, ხსოვნაში ხელუხლებლად შეინახოს პირადი ცხოვრების ამბებიო. რაც შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა, ევა ბედნიერი რომ ყოფილიყო, უმეორებდა, რომ მასთან შეხვედრის წუთიდან მისმა ცხოვრებამ აზრი შეიძინა, და ყოველნაირად ცდილობდა, ეჩვენებინა, რომ საიმედოდ უფრთხილდებოდა და იცავდა.

მაგრამ ერთხელაც ლონდონში მათი სახლის კარზე აბსოლუტურმა ბოროტებამ დარეკა. ჰამიდი ამ დროს შინ აღმოჩნდა და სახლიდან გააგდო. შემდეგ რამდენიმე თვე არაფერი მომხდარა.

ევამ თანდათანობით ისწავლა თავის მოტყუება. დიახ, სწორი არჩევანი გავაკეთეო, ირწმუნებდა თავს; და იმ წამში, როდესაც ჩვენ მიერ არჩეულ გზას დავადგებით, სხვა ყველა გზა ქრება, ამიტომ მიუტევებელი გულუბრყვილობა იქნებოდა იმის თქმა, რომ შესაძლებელი იქნებოდა ყოფილიყო ერთის ცოლი და მეორის - მეგობარი; ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა ეს მეორე შესაშურ სულიერ წონასწორობას ფლობს. იგორს კი ამისთანა რამით თავის მოწონება ნამდვილად არ შეეძლო. უკეთესია, იფიქროს, რომ ვიღაცის უხილავმა ხელმა იხსნა აბსოლუტური ბოროტებისგან. ევა ცდილობდა, როგორც შეეძლო, დახმარებოდა ჰამიდს, ყოფილიყო მისი საყვარელი, ცოლი და მრჩეველი. მთელ თავის ენერგიას ახალ თანამგზავრს ახმარდა - და მთელი ამ ხნის მანძილზე მას მხოლოდ ერთი ნამდვილი მეგობარი ჰყავდა, რომელიც, კაცმა არ იცის, საიდან გამოჩნდა ან სად დაიკარგა. ისიც რუსი იყო, ოღონდ, ევასგან განსხვავებით მას კი არ მიუტოვებია ქმარი, პირიქით - ქმარმა მიატოვა. ქალი ინგლისში აღმოჩნდა და აღარ იცოდა, რა ექნა. ევა მთელ დღეებს მასთან საუბარში ატარებდა.

„ყველაფერი მივატოვე, - ეუბნებოდა მას, - და არც ვნანობ ჩემს გადაწყვეტილებას. მაინც ასე მოვიქცეოდი, თუნდაც ჰამიდს ესპანეთში ჩემთვის, სხვათა შორის, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, პატარა მამული არ ეყიდა, ზუსტად ასევე მოვიქცეოდი მაშინაც კი, იგორს ჩემთვის თავისი ქონების ნახევარი რომ შემოეთავაზებინა. ეს ნაბიჯი იმიტომ გადავდგი, რომ ვიცი, ახლა აღარაფრის აღარ უნდა მეშინოდეს. თუკი მამაკაცმა, რომლის გამო მთელი მსოფლიოა გადარეული, ჩემთან ყოფნა მოისურვა, მაშასადამე, იმაზე უკეთესი ვარ, ვიდრე მგონია“.

ყველაფერი ეს სიცრუეა. ის თავისი ახლადმოვლენილი მესაიდუმლის კი არა, საკუთარი თავის დარწმუნებას ცდილობდა და ფარსი გაითამაშა. გარეგნულად თავდაჯერებულსა და ძლიერ ქალში, ორ ძლევამოსილსა და წარმატებულ მამაკაცთან ერთად რომ უზის მაგიდას, სინამდვილეში იმალება გოგო, რომელსაც თრგუნავს სიღარიბეში მარტოდ დარჩენისა და იმისი შიში, რომ ვერასოდეს შეიგრძნობს დედობის სიხარულს. გაუძნელდება თუ არა ამ ბრწყინვალე სამყაროსთან განშორება? არა. ის ყოველთვის ცდილობდა, მომზადებული შეხვედროდა იმას, რომ ყველაფერს დაკარგავდა, როცა გაირკვეოდა, იმაზე უარესი იყო, ვიდრე ფიქრობდა.

შეუძლია თუ არა მას ადამიანებით მანიპულირება? დიახ. ტყუილად კი არ არის ყველა დარწმუნებული, რომ ის ძლიერი და თავდაჯერებულია, რომ არის თავისი ბედის ბატონ-პატრონი და ყოველ წუთს არის მზად, მიატოვოს მამაკაცი, როგორი წარმატებული და მიმზიდველიც უნდა იყოს. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ თვითონ მამაკაცებსაც სჯერათ ამისი, როგორც იგორს, ისე ჰამიდს.

ეს იმიტომაა, რომ მას თამაში შეუძლია, იმიტომ, რომ არასოდეს ლაპარაკობს იმას, რასაც ფიქრობს. იმიტომ, რომ პირველხარისხოვან მსახიობად იქცა და სხვებზე უკეთესად ისწავლა საკუთარი ნაკლისა და სისუსტის დაფარვა.

- რა გინდა? - ეკითხება იგორი რუსულად.

- კიდევ ღვინო.

იგორს ხმაზე ეტყობა, პასუხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს, ვინაიდან უკვე თქვა თავისი სათქმელი.

- მანამ წახვიდოდი, რაღაც გითხარი. იმედი მაქვს, დაივიწყებდი.

ჰო, ის ათას რამეს ეუბნებოდა: „გპირდები გამოვსწორდები, ნაკლებს ვიმუშავებ“, „შენ ჩემი ცხოვრების ქალი ხარ“, „თუ მიმატოვებ, დავიღუპები“. ეს ფრაზებია, რომლებსაც ყველა ისმენს და, ამასთან, ყველამ იცის, რომ ეს უაზრობაა.

- მაშინ გითხარი: „ჩემგან თუ წახვალ, სამყაროს გავანადგურებ-მეთქი“.

ევას არ ახსოვს ეს სიტყვები, მაგრამ იცის, რომ ეს სავსებით შესაძლებელია. იგორი ვერასოდეს იტანდა წაგებას.

- ეს რას ნიშნავს? - რუსულად ეკითხება ევა.

- არ შეგიძლიათ, თუნდაც თავაზიანობის გამო, ინგლისურად ილაპარაკოთ? - აწყვეტინებს ჰამიდი.

იგორი მას ალმაცერად უყურებს.

- კარგი, ინგლისურად ვილაპარაკებ, მაგრამ თავაზიანობის გამო კი არა, იმიტომ, რომ თქვენც გაიგოთ, - მერე ისევ ევას უბრუნდება და განაგრძობს: - დიახ, მაშინ გითხარი, სამყაროს გავანადგურებ, რათა დაგიბრუნო-მეთქი. ამის შესრულება უკვე დავიწყე, მაგრამ ანგელოზის მოვლინებამ გადამარჩინა. მივხვდი, რომ შენ არა ხარ ამისი ღირსი. შენ თავკერძა, დაუნდობელი არსება ხარ, ვისაც მხოლოდ დიდება და ფული აინტერესებს - რაც მეტი გექნება, მით უკეთესი. შენ უარყავი ყველაფერი ის, რისი შემოთავაზებაც შემეძლო, რადგან, შენი აზრით, რუსეთის მივარდნილ ადგილას სახლი არ ესადაგება იმ ცხოვრებას, რაზეც ოცნებობ, იმ სამყაროს, რომელსაც არ ეკუთვნი და ვერც ვერასდროს მიეკუთვნები.

მე შენ შემოგწირე საკუთარი თავიც და სხვა ადამიანებიც, მაგრამ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ბოლომდე უნდა მივიყვანო ეს საქმე, რათა შესრულებული მოვალეობის შეცნობით, უფრო სწორად, შესრულებული მისიით, შევძლო ცოცხალ ადამიანთა სამყაროსთან დაბრუნება, ახლა კი მკვდართა სამყაროდან გელაპარაკები.

„ამ ადამიანის თვალებიდან აბსოლუტური ბოროტება იყურება“, - ფიქრობს ჰამიდი ამ აბსურდული, ხანგრძლივი პაუზებით შეწყვეტილი მონოლოგის სმენისას. რას იზამ, მით უკეთესი: დაე, ყველაფერი თავისი რიგით და წესით დასრულდეს, ოღონდ ამ დასასრულმა საყვარელი ქალი არ დააკარგვინოს. ძალიანაც კარგია, ყოფილი ქმარი ამ ვულგარული არსების თანხლებით რომ გამოჩნდა და ევას მოურიდებლად აყენებს შეურაცხყოფას. დაე, ეს ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდეს - მას შეუძლია, საჭირო დროს შეაწყვეტინოს საუბარი: როცა იგორი ვეღარ შეძლებს პატიების თხოვნას და დარწმუნებას დაუწყებს მათ, რომ თავის ნათქვამს ინანიებს.

როგორც ჩანს, ევამაც იგივე შეატყო - ყველაფრისადმი ბრმა სიძულვილი მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ ევამ აღარ მოისურვა, დაჰყოლოდა მის ნებას. ჰამიდი კი ეკითხება საკუთარ თავს, რას იზამდა იგორის ადგილზე, რომელიც ახლაც იბრძვის საყვარელი ქალისთვის.

შეძლებდა მისი გულისთვის ადამიანის მოკვლას?

მიმტანი კვლავ მოდის, ხედავს, საჭმლისთვის ხელი არავის უხლია.

- მოხდა რამე?

არავინ პასუხობს. მიმტანი მომენტალურად აფასებს სიტუაციას: ქალი კანში საყვარელთან ერთად ჩამოვიდა, ქმარმა ყველაფერი შეიტყო და ახლა ურთიერთობას

არკვევენ. მსგავს სცენებს ის ძალზე ხშირად შესწრებია და ყოველთვის საქმე ჩხუბით ან სკანდალით სრულდება.

- ერთი ბოთლი კიდევ მოგვიტანე, - ეუბნება ერთ-ერთი მამაკაცი.

- შენ სრულიად არაფერს იმსახურებ, - ეუბნება ქალს მეორე მამაკაცი, - გამომიყენე, როგორც ახლა ამ იდიოტს იყენებ. შენ ჩემი ცხოვრების უდიდესი შეცდომა ხარ.

მიმტანი გადაწყვეტილებას იღებს, რომ, სანამ ღვინოს მიუტანს, უფროსს ჰკითხოს რჩევა, მაგრამ მეორე მამაკაცი დგება და ქალს ეუბნება:

- კარგი. კმარა, წავიდეთ აქედან.

- ჰო, - პასუხობს პირველი, - გავიდეთ. მინდა ვიცოდე, რას გადაწყვეტს ადამიანი, რომელმაც არ იცის, რა არის პატიოსნება და ღირსება.

მამლები მზად არიან, დედლის გამო წაეკიდონ ერთმანეთს. ის კი მათ ამშვიდებს, სთხოვს, დაბრუნდნენ მაგიდასთან, მაგრამ, როგორც ჩანს, ქმარი არ აპირებს უკან დახევას. „მცველები ხომ არ გავაფრთხილო, რომ გარეთ მალე ცხვირ-პირის მტვრევა დაიწყება?“ - ფიქრობს მიმტანი, მაგრამ უფროსი აჩქარებს, რას გაშეშებულხარ, სხვა მაგიდებსაც მოემსახურე, ხომ ხედავ, თავს ვერ ვართმევთო.

ჰო, მართალია: გარეთ რაც ხდება, მას არ ეხება. და თუ აღიარებს, რომ სტუმრების საუბარს მოუსმინა, მაგრად მოხვდება.იმიტომ, რომ მაგიდების მომსახურებისთვის უხდიან და არა უსაფრთხოების დასაცავად.

სამივენი ბაღში გადიან. იგორი სიტყვაამოუღებლად მიდის წინ, მას ასევე უსიტყვოდ მიჰყვება ევა, ჰამიდი კი ბოლოსაა. პლაჟზე გამავალი კიბე პატარა რკინის კარითაა ჩაკეტილი. მისი გაღება ძნელი არ არის. იგორს სურს, ცოლ-ქმარი წინ გაატაროს. ევა უარობს. რუსი არ იბნევა და უთვალავი საფეხურით, რომლებიც შორს, ქვემოთ, მობობოქრე ზღვისკენ მიემართება, იწყებს ჩასვლას. მან იცის, ჰამიდი არ შეუშინდება. სანამ ამ ვახშამზე შეხვდებოდა, ის უსინდისო და ცინიკოს კუტიურიედ წარმოედგინა, რომელსაც გათხოვილი ქალის მოჯადოება და სხვის ამაოებაზე მოხერხებული თამაში შეუძლია, ახლა კი მისით თითქმის აღფრთოვანებულია. დიახ, ის ნამდვილი მამაკაცია, რომელიც ბოლომდე დაიცავს იმას, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნია, თუმცა იგორმა იცის: ევას იმ მსახიობის ნიჭის მეათასედიც არა აქვს, მასთან რომ იყო. მას სულ არ შეუძლია თამაში. იგორი გრძნობს, შიშის ჟრუანტელი რომ უვლის და ფიქრობს, როგორ ან ვის მოუხმოს დასახმარებლად.

და აი, პლაჟიც. იგორი რაც შეიძლება, შორს მიდის და ქვიშაზე ჯდება. მათაც სთხოვს, დასხდნენ. იცის, როგორც უნდა ეშინოდეს ევას, მაინც იფიქრებს, კაბა არ დამეჭმუჭნოს, ფეხსაცმელები არ დამესვაროსო. მაგრამ ის მორჩილად ჯდება მის გვერდით. ჰამიდი სთხოვს, ცოტა ჩაიწიოს, რომ ადგილი გაუთავისუფლოს, ევას ვითომც არ გაუგია.

აი, თითქოსდა სამი ძველი, კეთილი მეგობარი გამოსულა ზღვაზე ახალი მთვარის საცქერად, სიმყუდროვისა და სიმშვიდის საძიებლად, ისე სხედან, თითქოს ძალას იკრებენ, რათა ხელახლა აღმოჩნდნენ დისკოთეკის მგვრგვინავ ჯოჯოხეთში.

ჰამიდი თავის თავს ჰპირდება: მხოლოდ და მხოლოდ ათი წუთი იქნება საკმარისი, რუსმა სულის დასამშვიდებლად დაგროვილი ბოღმა და მრისხანება რომ ამოანთხიოს, მერე კი წავიდეს იქ, საიდანაც მოსულა. ჩხუბს თუ მოინდომებს, ცუდად წაუვა საქმე - ჰამიდი ფიზიკურად ძლიერია. ამას გარდა, ბედუინებმა, ჯერ კიდევ ბავშვობაში, შეასწავლეს ყოველგვარ საფრთხეზე სწრაფად და ზუსტად რეაგირება. არ უნდოდა ვახშმის დროს შეხლა-შემოხლის გამართვა, მაგრამ რუსს შეუძლია არხეინად იყოს - ჰამიდი ყველაფრისთვის მზადაა.

დარბაზში რომ დაბრუნდებიან, მასპინძელს ბოდიშს მოუხდის, აუხსნის, რომ ინცინდენტი ამოწურულია. კიდევ კარგი, შეუძლია მასთან გულახდილი იყოს. ეტყვის, რომ გაუფრთხილებლად გამოჩნდა ევას ყოფილი ქმარი და სანამ რამეს ჩაიდენდა, გარეთ გაიყვანა. თუკი რუსი ამ დროისთვის მაინც არ წავა, დაურეკავს თავის მცველს და უბრძანებს გაიყვანოს.

- შენ მიღალატე, მარტო ამ ორ წელიწადს კი არა, რაც ამ ადამიანთან გაატარე... მღალატობდი მაშინაც, როცა ერთად ვიყავით.

ევა არ პასუხობს.

- რის გაკეთებას აპირებ ამ ქალთან დასარჩენად?

ჰამიდი ფიქრობს, უპასუხოს თუ არა. ევა საქონელი ხომ არაა, მისთვის ვაჭრობა გამართოს.

- კითხვა სხვაგვარად დამისვი.

- კარგი. მისთვის სიცოცხლეს გაწირავ?

ამ კაცის თვალები ნამდვილ ბოროტებას აფრქვევს. თუ რუსმა რესტორნიდან დანის წამოღება მოასწრო (ჰამიდს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, თუმცა ვალდებული იყო, ყველა ვარიანტი გაეთვალისწინებინა) იოლად შეძლებს მის განიარაღებას... არა, ის ალაჰისა და თავისი ტომის ბელადის გარდა, სიცოცხლეს არავისთვის გაწირავს. მაგრამ რაღაც უნდა უპასუხოს.

- მისთვის ვიბრძოლებ და, ვფიქრობ, უკიდურეს შემთხვევაში, მოვკვდები კიდეც.

ევა დაძაბულობას ვეღარ უძლებს, სურს, ყველაფერი ამოთქვას, რაც იცის ამ კაცზე, ახლა მის მარჯვნივ რომ ზის. დარწმუნებულია, მან უკვე ჩაიდინა დანაშაული, უკვე გაანადგურა ის ოცნება, რასაც მისი ახალი რჩეული ამდენი წელია გულში ატარებდა.

- სჯობს, დავბრუნდეთ.

ეს ნიშნავდა: „დამიჯერე, გეთაყვა, დაუყოვნებლივ უნდა წავიდეთ აქედან, შენ სულით ავადმყოფს ელაპარაკები“.

იგორს თითქოს არც გაუგონია.

- შენ თქვი, რომ მზად ხარ მის გამო მოკლა. მაშასადამე, მზად ხარ, თავადაც მოკვდე?

- თუკი მისთვის ბრძოლაში ჩავებმები და წავაგებ, რა თქმა უნდა, კი.

- წავიდეთ, წავიდეთ... - იხვეწება ევა.

მაგრამ ჰამიდის თავმოყვარეობა შელახულია - მას არ შეუძლია ბრძოლის ველი ისე მიატოვოს, როგორც მხდალმა და იწყება სამყაროსავით უძველესი რიტუალი - საქორწინო შეტაკება-თამაში, როდესაც წყდება, ვინ უნდა დაეუფლოს მდედრს.

- მას შემდეგ, რაც წახვედი, აღარასოდეს ვყოფილვარ ისეთი, როგორიც ადრე ვიყავი, - ისე ჰყვება იგორი, თითქოს პლაჟზე მარტო იმყოფებოდეს, - ჩემი ბიზნესი ჰყვაოდა, დღისით ვახერხებდი თავშეკავებას, მაგრამ ღამღამობით გაუქარვებელი სასოწარკვეთა მიპყრობდა. საკუთარი თავის რაღაც ნაწილი დავკარგე და ვეღარაფრით შევძელი მისი აღდგენა. ვფიქრობდი, ჩავალ კანში და ამას შევძლებ-მეთქი. მაგრამ ახლა, ამ წუთში აქ ვარ და ნათლად ვხედავ - არც აღდგენა და არც შეცვლა არ შეიძლება. არასოდეს დაგიბრუნდები, თუნდაც ფეხებში ჩამივარდე, პატიება მთხოვო და თვითმკვლელობით დამემუქრო.

ევა სულს ითქვამს.

- შენ ვერ გაგიგია ჩემი შეტყობინებები. გეუბნებოდი, შემიძლია სამყაროს განადგურება-მეთქი. შენ კი ეს ვერ დაინახე. ან დაინახე და ვერ დაიჯერე. იცი, რა არის „სამყაროს განადგურება“?

იგორი ჯიბიდან პატარა პისტოლეტს იღებს. არავის უმიზნებს, გაჰყურებს ზღვასა და მთვარეს. ჰამიდი გრძნობს, სისხლმა ძარღვებში როგორი სისწრაფით იწყო დენა - ამ კაცმა ან მათი დაშინება და დამცირება გადაწყვიტა, ან არადა სულ მალე დაიწყება სასიკვდილო შეტაკება. აქ? პირდაპირ ამ გალავახშამზე? როცა იცის, რომ სასტუმროში ასვლისთანავე დააპატიმრებენ? არ შეიძლება ასეთი სულელი იყოს - თორემ ვერ მიაღწევდა იმას, რასაც მიაღწია.

კმარა! ჰამიდი ნავარჯიშევი და გაწვრთნილი მებრძოლია, თავდაცვაც შეუძლია და თავდასხმაც. და იცის, ახლა გაუნძრევლად უნდა იჯდეს, რადგან იგორი, მართალია, არ უყურებს, მაგრამ ფხიზლად აფიქსირებს სულ მცირე მოძრაობას.

მაგრამ ხედავს, პლაჟზე არავინ არის. ზემოდან მუსიკის პირველი ხმები აღწევს: ორკესტრი ინსტრუმენტებს აწყობს და მთელი ღამის თავშეუკავებელი მხიარულებისთვის ემზადება. ჰამიდი არაფერზე ფიქრობს - მას ასწავლეს ინსტინქტურად, ცნობიერების გამოთიშვით მოქმედება.

ჰამიდსა და რუსს შორის, იარაღის დანახვით გაშეშებული ევა ზის და არაფრის გაკეთება შეუძლია, რადგან გაინძრევა თუ არა, რუსი გაისვრის, ევა კი ცეცხლის ხაზზეა.

იქნებ მისი პირველი წინადადება მართალი იყო, იქნებ რუსს მხოლოდ მათი შეშინება სურს, უნდა რომ მხდალად გამოიყვანოს, შეარცხვინოს. სროლას მართლა რომ აპირებდეს, პისტოლეტს ასე დაუდევრად, მოდუნებულად არ დაიჭერდა. საუბარი უნდა გაუბას. ყურადღება სხვა რამეზე გადაატანინოს, ამასობაში მდგომარეობიდან გამოსავალსაც მონახავს...

- რა არის „სამყაროს განადგურება?“ - ეკითხება ჰამიდი.

- საჭიროა შეწყვიტო ერთადერთი სიცოცხლე და სამყაროც განადგურდება, არსებობას შეწყვეტს ყველაფერი, რაც ამ ადამიანს უნახავს, რაც უგრძნია და განუცდია. ქრება ყველა ის სიკეთე და ბოროტება, რაც გზაზე შეხვედრია, იღუპება ყველა ოცნება, იმედი, გამარჯვება თუ დამარცხება - საერთოდ ყველაფერი. ბავშვობაში სკოლაში გვასწავლიდნენ ტექსტის ნაწყვეტს, მერეღა გავიგე, ვინ იყო ავტორი: „როდესაც ჩვენ თვალწინ გადაშლილი ზღვა თავის მორევში ქვიშის თუნდაც ერთ ნამცეცს ჩაიტანს, ამას, რასაკვირველია, ვერ ვამჩნევთ, რადგან ის მხოლოდ ქვიშის ნამცეცია, მაგრამ ამით ევროპის კონტინენტი მცირდება...“

იგორი ერთ წამს დუმდება. ზემოდან მოღწეული ხმები თანდათან აღიზიანებს. ტალღების ყრუ ხმაური კი დააშოშმინებდა მის სულს, რომელიც მზად იყო, დამტკბარიყო ამ წუთით ისე, როგორც იმსახურებდა. ხშირწარბება ანგელოზი თვალყურს ადევნებს ყოველივე ამას და კმაყოფილია იმით, რასაც ხედავს.

- ამას ზეპირად ვსწავლობდით, რათა მივმხვდარიყავით, რომ პასუხისმგებლები ვიყავით იდეალური, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომუნისტური საზოგადოების გამო, სადაც ყველანი ძმები არიან, - განაგრძობს იგორი, - სინამდვილეში ერთი მიდარაჯებული იყო მეორეზე, უთვალთვალებდა და აბეზღებდა.

სამივეს კვლავ დამაფიქრებელი სიმშვიდე ეუფლება.

- ცუდად მესმის შენი საუბარი, - ეუბნება ჰამიდი და ფრთხილად იცვლის ადგილს.

- არა. მშვენივრად გესმის ყველაფერი. რა თქმა უნდა, ხედავ, რომ ხელში პისტოლეტი მიჭირავს, გინდა ახლოს მოიწიო და წართმევა სცადო... ახლა ცდილობ, ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანო, სანამ მოიფიქრებ, თავი როგორ დააღწიო მდგომარეობას. კეთილი ინებე და არ გაინძრე. მომენტი ჯერ არ დამდგარა.

- იგორ, მოდი, ყველაფერი დავივიწყოთ, - ეუბნება ევა რუსულად, - მიყვარხარ და მზად ვარ, შენთან დავბრუნდე.

- ინგლისურად ილაპარაკე, რომ შენმა ქმარმა ყველაფერი გაიგოს.

ჰო, ჰამიდი ყველაფერს მიხვდება და ოდესმე ამისთვის მადლობას ეტყვის.

- მიყვარხარ, - მორჩილად იმეორებს ევა ინგლისურად, - შენი შეტყობინებები არ მიმიღია, თორემ სირბილით წამოვიდოდი. რამდენჯერმე დაგირეკე, მაგრამ ამაოდ. შენს მდივანს ვთხოვე, დაგერეკა ჩემთვის, მაგრამ არ დამირეკე...

- არა.

- დღეს დილით კი შენი ესემესების მოსვლის შემდეგ მოუთმენლად ველოდი შენთან შეხვედრას, არ ვიცოდი, სად იყავი, მაგრამ მჯეროდა, მიპოვიდი. ვიცი - არ მაპატიებ, მაგრამ ნება მომეცი, შენ გვერდით ვიცხოვრო: ვიქცევი შენს მოსამსახურედ, ძიძად, მზარეულად, ვიზრუნებ შენზე და შენს საყვარელზე, თუკი გეყოლება. ნება დამრთე, შენ გვერდით ვიყო - მეტი არაფერი მინდა.

...ჰამიდს მერე ყველაფერს აუხსნის... ახლა რაღაც უნდა ილაპარაკოს - სულერთია რა, რათა შეძლონ აქედან წასვლა, დაბრუნდნენ რეალურ სამყაროში, სადაც არის პოლიცია, რომელიც შეძლებს წინ აღუდგეს აბსოლუტურ ბოროტებას, და აღარ მისცემს სიავკაცის ჩადენის საშუალებას.

- რას იზამ. ჩინებულია. მინდა ეს მჯეროდეს. უფრო სწორად, მჯეროდეს, რომ მეც მიყვარხარ და მინდა შენი დაბრუნება, მაგრამ ასე არ არის. ვფიქრობ, ახლაც ტყუი; როგორც მთელი ცხოვრება ტყუოდი.

ჰამიდი უკვე აღარ უსმენს მათ საუბარს: მისი ფიქრები შორსაა - ის მიმართავს თავის მეომარ წინაპრებს და ზუსტი დარტყმისთვის შთაგონებასა და გამბედაობას სთხოვს.

- შეგეძლო გეთქვა, რომ ჩვენი ქორწინება ისეთი არ აღმოჩნდა, როგორის იმედიც გვქონდა, ჩვენ იმდენი რამე შევქმენით ერთად - ნუთუ ძნელი იყო გადაწყვეტილების მონახვა? ყოველთვის არსებობს რაღაც გზა, რომ სახლში ბედნიერება შემოუშვა, მაგრამ საამისოდ საჭიროა, ორივე, ცოლიც და ქმარიც, ანგარიშს უწევდნენ იმას, რომ არსებობს უკეთურება... მე ყველა შენს აზრს მოვისმენდი, გავითვალისწინებდი და ჩვენი ქორწინება სიხარულსა და შეხვედრის პირველ მგზნებარებას დაიბრუნებდა. მაგრამ შენ ეს არ ისურვე და ყველაზე იოლი გამოსავალი ამჯობინე.

- ყოველთვის მეშინოდა შენი. ახლა მით უმეტეს, როცა პისტოლეტი გიჭირავს.

ამ სიტყვებზე ჰამიდი სინამდვილეს უბრუნდება: მისი სული აღარ დაფრინავს ღრუბლებს მიღმა. ნეტავ ევას ეს არ ეთქვა, მტერს უფრო მეტად რატომ აქეზებს? რატომ იჩენს მის წინაშე სისუსტეს? რატომ აჩვენებს, რომ მისი ეშინია?..

- ძალიან მინდოდა ერთხელ შენთან ვახშმობისას მეთქვა, როგორ მარტოობას ვგრძნობდი იმ საღამოების, ბანკეტების, ძვირფასეულობის, მეფეებსა და პრეზიდენტებთან შეხვედრების მიუხედავად, - განაგრძობს ევა, - იცი კიდევ რა?

ჩემთვის ყოველთვის ძვირფასი საჩუქრები მოგქონდა, მაგრამ არასოდეს მოგიტანია ყველაზე უბრალო - ყვავილების თაიგული.

ეს უკვე ოჯახურ სცენას ემსგავსებოდა.

- ილაპარაკეთ, მე კი, თუ შეიძლება, გავივლი.

იგორი არ პასუხობს, ზღვიდან თვალმოუშორებლად ჰამიდს პისტოლეტს უშვერს და მშვიდად ეუბნება, არ გაინძრეო. ის ნამდვილი გიჟია, მისი სიმშვიდე გაშმაგებულ ყვირილსა და მძვინვარე მუქარაზე უფრო საშიშია.

- ჰო, - განაგრძობს რუსი, თითქოს არ გაეგონოს ბოლო რეპლიკა, - შენ ამჯობინე ყველაზე მარტივი გამოსავალი - ჩემგან წახვედი. არ დამიტოვე არავითარი შანსი. ვერ ხვდებოდი, რომ ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი, შენ გამო, შენი გულისთვის და შენი სახელით ვაკეთებდი. და მაინც, ყველა ამ დამცირებისა თუ უსამართლობის მიუხედავად, ყველაფერზე დაგთანხმდებოდი, ოღონდ დაბრუნებულიყავი, ასე იყო დღემდე. იმ საათამდე, როცა შეტყობინებებს გიგზავნიდი, შენ კი ისე იქცეოდი, თითქოს არაფერს ღებულობდი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, იმათი სიკვდილითაც კი, ვინც მსხვერპლად შემოგწირე, ვერ შევძელი შენთვის გული მომელბო და ძალაუფლებისა და ფუფუნებისადმი წყურვილი დამეცხრო.

მოწამლული კინომსახიობი და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი რეჟისორი... „ნუთუ მან....“ - ჰამიდი უკვე ხვდება იმას, რასაც წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენდა. ის აცნობიერებს რაღაც უფრო სერიოზულს: რუსს, მათ გული რომ გადაუშალა, სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს, მაგრამ ვისთვის? „ან თავს მოიკლავს, ან ევას და მე დაგვხოცავს, რადგან უკვე ბევრი ვიცით“.

იქნებ, უბრალოდ ბოდავს? შეიძლება, ჰამიდს სწორად არ ესმის მისი ნათქვამი? მაგრამ, ასეა თუ ისე, დრო გადის.

ის უყურებს იგორის ხელში ჩაბღუჯულ პისტოლეტს. მცირე კალიბრისაა. ტყვია ამა თუ იმ განსაზღვრულ წერტილს თუ არ მოხვდა, განსაკუთრებულ ზიანს ვერ მიაყენებს. ეტყობა, რუსი მთლად ვერ უნდა ერკვეოდეს იარაღებში, თორემ უფრო მომაკვდინებელს აირჩევდა. ალბათ, რაც პირველად შესთავაზეს, ის იყიდა.

მაგრამ იქ, ზევით, ხელახლა რატომ აგუგუნდა მუსიკა? ნუთუ არ ესმით, რომ გასროლის ხმას დაფარავს? განა გაარჩევენ ამ იარაღის დაქუხებას სხვა ხმებისგან - იმ არაბუნებრივი ხმაურისგან, რომელიც წამლავს, სწორედაც რომ, წამლავს და აბინძურებს სივრცეს...

...იგორი ისევ გარინდებულია. ეს გაცილებით საშიშია, სჯობდა ლაპარაკი გაეგრძელებინა და თანდათან ამოენთხია ბოღმა და სიძულვილი. ჰამიდი კვლავ წონის თავის შანსს, რამდენიმე წამში რაღაც უნდა იღონოს, სანამ რუსი ევას მიზანში ამოიღებს, როგორმე უნდა ეცეს და გამოჰგლიჯოს პისტოლეტი, თუმცა ლულა ევას

მკერდზე აქვს დამიზნებული, თითი კი სასხლეტზე უდევს. ჰამიდი ხელებს მკვეთრად გაიწვდის წინ, იგორი მოულოდნელობისგან განზე გახტება და ევა ცეცხლის ხაზიდან გამოვა... იგორი იარაღს მოიმარჯვებს და ჰამიდს დაუმიზნებს, მაგრამ ჰამიდი უკვე სულ ახლოს იქნება და ხელს გადაუგრეხს. ყველაფერი ერთ წამში მოხდება.

სწორედ ამ წამს.

ან იქნებ იმედისმომცემია ეს დუმილი - რუსი ჩაფიქრდა, გულისყური მოიკრიბა, ეგებ ეს დასასრულის დასაწყისია - მან ხომ ყველაფერი თქვა, რის თქმასაც აპირებდა?

რაღაც წამში, მარცხენა ბარძაყის უკიდურესად დაძაბული კუნთები ჰამიდს მთელი ძალითა და სისწრაფით უბიძგებს აბსოლუტური ბოროტებისკენ, მისი სხეული არაბუნებრივ მოძრაობას აკეთებს - ხელებს წინ იწვდის და ევას ფარავს. ეს სულ ერთ წამს გრძელდება და ჰამიდი ხედავს, პისტოლეტის ლულა პირდაპირ შუბლზე რომ აქვს დამიზნებული - რუსი იმაზე გაცილებით მკვირცხლად მოძრაობს, ვიდრე ელოდა.

ჰამიდის სხეული ფრენას განაგრძობს. ევას ადრე უნდა დალაპარაკებოდა - ის არასოდეს საუბრობდა თავის ყოფილ ქმარზე, თითქოსდა უსიტყვოდ იყვნენ შეთანხმებულნი, რომ ის წარსულს ეკუთვნოდა, რომლის აღდგენაც არავითარ შემთხვევაში არ იყო სასურველი... ყველაფერი თითქოს შენელებულ კადრშია: და რუსი კატისებური სიმკვირცხლით იხევს უკან, პისტოლეტიანი ხელი არ უკანკალებს... პირველი წამი გავიდა. ჰამიდი ხედავს, როგორ გამოჰკრა თითი სასხლეტს, მაგრამ ხმა არ ესმის, მხოლოდ გრძნობს, საშინელი ზემოქმედების გამო აქეთ-იქით როგორ გაიწ-გამოიწია შუბლის ძვლებმა. და იმავე წამს ქრება მისი სამყარო, მასთან ერთად - ხსოვნა წარმატებაზე მეოცნებე ახალგაზრდაზე, პარიზში ჩამოსვლაზე, მამისეულ სავაჭრო დუქანზე, შეიხზე, მზის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლაზე, დეფილეებსა და ჩვენებებზე, საყვარელ ქალთან შეხვედრაზე, ბედნიერებაზე, ღიმილსა და ცრემლებზე, ღვინოსა და ვარდებზე, მთვარის უკანასკნელ ამოსვლაზე, აბსოლუტური ბოროტების შემოხედვაზე, ცოლის შეშინებულ თვალებზე... ყველაფერი ქრება.

- ნუ ყვირი! ხმა არ ამოიღო! დამშვიდდი!

რასაკვირველია, ყვირილს არ დაიწყებს, მაგრამ დამშვიდებას როგორ სთხოვს? ევა ცხოველური შიშითაა შეპყრობილი - ძვირფასი კაბისა და ძვირფასი სამკაულების მიუხედავად, შეშინებულ ცხოველად იქცა. ძარღვებში სისხლი თითქოს გაეყინა, სახეზე ფერი აღარ ადევს, ხმა ჩაუვარდა, არტერიული წნევა დაეცა. იგორმა ზუსტად იცის, რასაც ახლა ევა განიცდის - ოდესღაც, როცა ავღანური შაშხანა ჰქონდა დამიზნებული, იგივე გრძნობა განიცადა. ადამიანი ხევდება, ვეღარ ინძრევა, ხელ-ფეხი არ ემორჩილება. მაშინ იმან გადაარჩინა, რომ ამხანაგმა დაასწრო გასროლა. ის

მთელი ცხოვრება მადლიერი იყო თანაპოლკელის, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა. შემდეგ ის ყმაწვილი ყველას იგორის მხოლოდ პირადი მძღოლი ეგონა, მაშინ, როცა ნამდვილი ახლობლები იყვნენ, ხშირად საუბრობდნენ - დღესაც, დღის მეორე ნახევარში დაურეკა, ჰკითხა, ევა რამეს ხომ არ იტყობინებაო.

ევა, საბრალო ევა. ძნელია, როცა შენ გვერდით ადამიანი კვდება. ასეთები არიან ადამიანები - წინასწარ გამოუცნობი არსებანი; რატომ გაიწია საჩხუბრად, როცა მასთან გამკლავების არავითარი შანსი არ ჰქონდა? ანდა, რას იზამდა ეს იარაღი, წინასწარ ამასაც ვერასოდეს განსაზღვრავ - ის კი ფიქრობდა, ტყვია გამჭოლად გაივლის და თავის ქალას გატეხსო, მაგრამ ტყვია, ჩანს, ისეთი კუთხით იყო ნასროლი, რომ ტვინი განგმირა, დაეჯახა არცთუ დამყოლ ძვლებს და გულმკერდში გაიარა. ამის თქმა იმიტომაც შეიძლება, რომ ჰამიდს სისხლი თითქმის არ სდის და კონვულსიური კრუნჩხვა ჯერ კიდევ ათრთოლებს.

ევა, ეტყობა, გასროლაზე მეტად ამ სურათმა შეაშინა. იგორი სხეულს ფეხებით თავისკენ ითრევს, ქალს განზე სწევს და ჰამიდს კეფაში ესვრის. სხეული კრუნჩხვას წყვეტს. რას იზამ, ამ ადამიანმა ბოლომდე გამოიჩინა სიმამაცე და ამიტომაც ღირსეულ სიკვდილს იმსახურებს.

და აი, პლაჟზე მარტონი რჩებიან. იგორი მუხლებზე იჩოქებს და რევოლვერის ლულას ევას მკერდზე აბჯენს. ევა არ ინძრევა.

ის კი ფიქრობდა, მთელ ამ ამბავს სხვაგვარი ფინალი ექნებოდა: ევა გაიგებდა მისი შეტყობინებების აზრს და იგორს ბედნიერების ახალ შანსს მისცემდა. მას იმდენჯერ ჰქონდა წარმოდგენილი, რას ეტყოდა, როცა, როგორც ახლა, მარტონი დარჩებოდნენ, ხმელთაშუა ზღვის უშფოთველ სივრცეს გახედავდნენ, ერთმანეთს გაუღიმებდნენ და ისაუბრებდნენ.

და ეს სიტყვები, თუნდაც სავსებით უსარგებლონი, ყელში არ გაეჩხირებოდა.

- ყოველთვის წარმოვიდგენდი ხოლმე, ხელიხელჩაკიდებულნი როგორ ვისეირნებდით პარკებსა თუ ზღვის სანაპიროზე და ერთმანეთს, ბოლოს და ბოლოს, როგორ ვეტყოდით ასე დიდი ხნით გადადებულ სასიყვარულო სიტყვებს. კვირაში ერთხელ სადმე ვივახშმებდით, ერთად წავიდოდით, სადაც მანამდე ნამყოფნი არ ვყოფილვართ.

სანამ ჩემთან არ იყავი, ბლოკნოტში ვიწერდი ლექსებს, რომლებიც შენთვის ჩურჩულით უნდა წამეკითხა, რომ დამეძინებინე. გწერდი წერილებს, სადაც გიყვებოდი ყველაფერზე, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდებოდა, ყველაფერს, რასაც ვგრძნობდი, მაგრამ არ გიგზავნიდი, ვტოვებდი იქ, სადაც ადრე თუ გვიან იპოვიდი და მიხვდებოდი, რომ ერთი დღითაც, ერთი წუთითაც არ დამვიწყებიხარ... ჩვენ ვიმსჯელებდით იმ სახლის მოწყობაზე, რომლის აშენება მსურდა ჩვენ ორისთვის, ბაიკალის სანაპიროზე. ვგეგმავდი კერძო აეროდრომის მოწყობასაც და

ვიმედოვნებდი, შენი ფაქიზი გემოვნებით მისი ინტერიერის მოფიქრებაში დამეხმარებოდი. შენ ხარ ქალი, ვინც ჩემს არსებობას ამართლებს და ჩემს ცხოვრებას აზრს აძლევს.

ევა დუმს და მის წინ გადაშლილი ზღვის წყნარ ზედაპირს გასცქერის.

- აქ მხოლოდ შენი გულისთვის ჩამოვედი, მაგრამ მივხვდი - სრულიად ამაოდ.

იგორი ჩახმახს თითს აჭერს.

გასროლის ხმა თითქმის არ ისმის - ლულა ევას მკერდზე მჭიდროდ აქვს მიბჯენილი. ტყვია იქ ხვდება, სადაც საჭიროა და გული წამში წყვეტს მუშაობას. ევამ ბევრი ტანჯვა მიაყენა, მაგრამ იგორმა სიკვდილის წინ საწამებლად მაინც ვერ გაიმეტა.

თუკი ცხოვრების შემდეგ არსებობს ცხოვრება, ორივენი - ქალი, რომელმაც უღალატა და მამაკაცი, რომელმაც მას ამ საქმეში მხარი აუბა - ერთად მიდიან ხელიხელჩაკიდებულნი ჰორიზონტიდან სანაპირომდე გადაჭიმულ მთვარიან გზაზე. ისინი შეხვდებიან ანგელოზს ხშირწარბებიანი პორტუგალიელი გოგონას სახით, რომელიც მათ აზრიანად და გასაგებად აუხსნის ყველაფერს, რაც მოხდა და არ მისცემს მათ ნებას, ბოღმით, წყენითა და სიძულვილით იყვნენ სავსენი. რადგან თითოეულს თავის დროზე უწევს პლანეტის დატოვება, რომელსაც დედამიწა ჰქვია. ეტყვის მათ, რომ სიყვარული ამართლებს საქციელს, რაც მიუწვდომელია ადამიანის გონებისთვის - თუკი ამ ადამიანს არ გადაუტანია ის, რაც იგორმა გადაიტანა.

ევას გახელილი დარჩა თვალები, მაგრამ სხეული მოეშვა და ქვიშაზე თითქოს ჩაიღვენთა. იგორი მკვდრებს ადგილზე ტოვებს, თვითონ კი კლდესთან მიდის, პისტოლეტზე გულმოდგინედ წმენდს თითების ანაბეჭდს და რაც შეიძლება შორს ისვრის ზღვაში. მერე ადის კიბეზე, გზად ნაგვის ყუთში აგდებს მაყუჩს - ის არ დასჭირვებია, მუსიკამ თავისი გრუხუნითა და გრიალით დროულად მოუსწრო.

10:55 PM

გაბრიელა აქ ერთადერთ ნაცნობ ადამიანთან მიდის.

სტუმრები ამ დროს უკვე გამოდიან დარბაზიდან. ორკესტრი 60-იანი წლების მუსიკას უკრავს. ადამიანები ერთმანეთს უღიმიან და ცდილობენ მუსიკის გამაყრუებელი გრუხუნი დაფარონ.

- გეძებდი. შენი მეგობრები სადღა არიან?

- შენი თანმხლები?

- ეს-ესაა წავიდა. მითხრა, მსახიობსა და რეჟისორს თავს რაღაც საშინელება დაატყდათო. ისე მიმატოვა, არაფერი ამიხსნა. მხოლოდ ის დაუმატა, იახტაზე საღამო გაუქმებულიაო.

იგორმა წარმოიდგინა, რას ნიშნავს „თავს რაღაც საშინელების დატყდომა“. სულ არ აპირებდა იმ ადამიანის მოკვლას, ვისითაც ასე აღფრთოვანებული იყო - თავისუფალი დრო როგორც კი გამოუჩნდებოდა, ცდილობდა, მისი მონაწილეობით არც ერთი ფილმი არ გამოეტოვებინა. მაგრამ მომხდარში ის ხომ არაა დამნაშავე. ადამიანი ბედისწერის ბრმა იარაღია.

- წასვლას ვაპირებ. თუ გინდა, სასტუმრომდე მიგიყვან.

- დღესასწაული ხომ ახლაღა იწყება?

- რას იზამ, დარჩი, გაერთე. მე ხვალ დილით ადრე მივფრინავ.

გაბრიელამ სწრაფად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ან ქაღალდებით გატენილი ჩანთით იქ უნდა დარჩეს, სადაც არავის არ იცნობს, დაელოდოს ვიღაც ღვთისნიერს, რომელიც შეიცოდებს და კრუაზეტამდე მაინც მიიყვანს. იქიდან კი ფეხსაცმელი უნდა გაიხადოს და უსასრულო აღმართს შეუყვეს ხუთი ადამიანის მიერ ნაქირავებ ბინამდე ან ამ თავაზიანი და სასიამოვნო ბატონის წინადადება უნდა მიიღოს, რომელსაც, უეჭველია, სასარგებლო კავშირები აქვს, თანაც ჰამიდ ჰუსეინის ცოლთან მეგობრობს. ჰო, მან რაღაც ჩხუბისმაგვარი წამოიწყო, მაგრამ, ალბათ, ყველაფერი მოაგვარეს და მალევე შერიგდნენ.

მან როლი მიიღო, ძალიან დაიღალა მშფოთვარე დღით. თანაც ეშინია, ისევ ბევრს დალევს და ყველაფერს გააფუჭებს. მარტო მოსული მამაკაცები აეტორღიალებიან, ჰკითხავენ, ხომ არ მოიწყინეო, რატომ ხარ კავალერის გარეშე მოსული, რას აპირებ დღესასწაულის დასრულების შემდეგ და ა.შ. და მთელი საღამო ამ არშიყობისგან თავის დაცვას უნდა მოანდომოს - თანაც ისე, რომ არავინ შეურაცხყოს, არ შეეხოს მეტისმეტად მგრძნობიარე სიმებს, რადგან არასოდეს იცი, ვის ელაპარაკები.

- წავიდეთ.

ნამდვილი ვარსკვლავი სწორედ ასე იქცევა - უცებ, ყველასთვის მოულოდნელად, მიდის.

პონტერი (გაბრიელას აღარ ახსოვს მისი სახელი) სთხოვს, ტაქსი გამოიძახონ. ბედმა გაგიღიმათ, სულ ცოტაც და, გრძელ რიგში მოგიხდებოდათ დგომაო, უპასუხეს მას.

უკვე მანქანაში გაბრიელა ეკითხება, რატომ მოიტყუა თავისი საქმიანობის შესახებ.

- ტყუილი არ მითქვამს, - პასუხობს იგორი, - სინამდვილეში ფიჭური კავშირების კომპანიას ვფლობდი, მაგრამ მერე გადავწყვიტე გამეყიდა, რადგან მივიჩნიე, რომ მომავალი მანქანათმშენებლობას ეკუთვნის.

ნეტა სინამდვილეში რა ჰქვია?

- იგორი კი ჩემი სახელის კნინობითი ფორმაა.

გაბრიელა ელოდება, რომ ამას მოჰყვება ბანალური სიტყვები: „მოდი, ბარში შევიდეთ, ძილის წინ რამე დავლიოთ“. ამის მსგავსი არაფერი მომხდარა. იგორი სადარბაზოსთან გადმოსვამს, ხელს ართმევს და მიდის.

აი, როგორია ჭეშმარიტი დახვეწილობა!

დიახ, დღეს მისი პირველი წარმატებული დღე იყო. მრავალთაგან პირველი. ხვალ ტელეფონს რომ დაიბრუნებს, დარეკავს გამოძახებული აბონენტის ხარჯზე, თავისიანებს ეტყვის, იყიდონ ჟურნალი მისი სურათით, რომელზეც ის კანის კიბეებზე ადის. ეტყვის, რომ სახელი შეიცვალა და თუ გამოკითხვას დაუწყებენ, მაინც რა მოხდაო, ის სულ სხვა რამეზე გადაიტანს საუბარს - ცრურწმენის გამო, რათა ჯერ კიდევ განუხორციელებელი პროექტი არ გაუთვალონ. ისინი ყველაფერს შეიტყობენ ახალი ამბის გამოქვეყნების შემდეგ: „ყველასთვის უცნობი მსახიობი მიწვეულია მთავარ როლზე... ლიზა უინერი მთავარი სტუმარი იქნება ნიუ-იორკის ფესტივალზე. ჩიკაგოელი ქალიშვილი რეჟისორ ჯიბსონის განსაცვიფრებელი აღმოჩენაა. ხელმოწერილია მილიონიანი კონტრაქტი ერთ-ერთ უმსხვილეს ჰოლივუდელ პროდიუსერთან...“

მწვერვალი ზეცასთან ახლოსაა.

11:11 PM

- უკვე დაბრუნდი? ასე მალე?

- საცობი რომ არ ყოფილიყო, უფრო მალე დავბრუნდებოდი.

ჟასმინი ფეხსაცმელებს ერთ მხარეს ისვრის, ჩანთას - მეორე მხარეს და ქანცგაწყვეტილი, კაბაგაუხდელად, მოწყვეტით ეცემა საწოლზე.

- მნიშვნელოვანი სიტყვები ყველა ენაზე მოკლედ წარმოითქმის. მაგალითად, „დიახ“, „ღმერთი“, „სიყვარული“. იოლად წარმოსათქმელი ეს სიტყვები ჩვენი სამყაროს სიცარიელეს ავსებს. თუმცა არის კიდევ ერთი მოკლე სიტყვა, რომლის წარმოთქმა მუდამ მიჭირდა, მაგრამ ახლა სულ ადვილად ვამბობ: „არა!“, - ჟასმინმა მეგობარს შეხედა.

- ამ სიტყვას რაღაც უსულგულო, უსიამოვნო რეპუტაცია აქვს. „დიახს“ რომ წარმოვთქვამთ, თავი კარგი, თანამგრძნობი და თავაზიანი გვგონია. მაგრამ მაინც „არას“ ვამბობ. ვერ ვიზამ იმას, რაც მთხოვე, რასაც მავალდებულებდი, მიმტკიცებდი,

რომ ჩემთვის უკეთესი იქნებოდა. რასაკვირველია, მეტყვი, რომ მხოლოდ ცხრამეტი წლისა ვარ და ჯერ წარმოდგენა არა მაქვს, სინამდვილეში რა არის ცხოვრება. მაგრამ იცი? საკმარისი იყო მხოლოდ დღევანდელი საღამო, რათა ერთხელ და სამუდამოდ გამეგო, რა მინდა და რა - არა. არაფრის დიდებით, არავითარ შემთხვევაში, არასოდეს მინდოდა მოდელობა. უფრო მეტიც - არასოდეს მეგონა, რომ ვინმე შემიყვარდებოდა. ვიცი, სიყვარულს მხოლოდ თავისუფლებაში შეუძლია არსებობა, მაგრამ ვინ გითხრა, რომ ვინმეს მონა ვარ? მე საკუთარი გულის მონა ვარ, ამ შემთხვევაში კი ტანჯვა უმნიშვნელოა, ტვირთი - ნეტარი. მე შენ უფრო ადრე აგირჩიე, ვიდრე შენ - მე. ჩავები ავანტიურაში, რაც შეუძლებლად მიმაჩნდა და მზად ვიყავი უდრტვინველად მიმეღო მისი ყველა შედეგი - დღემდე საზოგადოებაში არსებული ცრურწმენიდან მოკიდებული, საკუთარ ოჯახთან შექმნილი სიძნელეების ჩათვლით... ყველა სიძნელე დავძლიე, რათა დღეს საღამოს კანში შენ გვერდით ვყოფილიყავი, დავმტკბარიყავი ბრწყინვალე დეფილეს წარმატებით. ვიცი - კიდევ მრავალი შესაძლებლობა გვექნება და შენთან ერთად აუცილებლად გამოვიყენებ ამ შესაძლებლობას.

მეგობარი ჟასმინს გვერდით მიუწვა და თავი მკერდზე დაადო.

- ამ ყველაფერზე ერთმა ადამიანმა ჩამაფიქრა, რომელსაც ვახშამზე შევხვდი. მარტო ვიყავი, დავიბენი და ხალხმრავლობაში, არ ვიცოდი, რა მელაპარაკა... ვკითხე, ვინ ხართ-მეთქი, მიპასუხა, სიყვარული დავკარგე და აქ მის დასაბრუნებლად მოვედი, მაგრამ ახლა დარწმუნებული აღარა ვარ, რომ ეს ნამდვილად მინდაო. მთხოვა, მიმოიხედე - ჩვენ ირგვლივ ადამიანები უდავოდ არიან დარწმუნებულნი საკუთარ თავში, საკუთარ სიმართლეში, თავიანთი დიდებისა და გამარჯვების ურყევობაშიო, და დასძინა: „ისინი არ მხიარულობენ, ვინაიდან მიაჩნიათ, თავიანთ ცხოვრებისეულ მწვერვალს მიაღწიეს და, მაშასადამე, გარდაუვალი თავდაღმართი ელოდებათ. ეს მათ აშინებთ, ის კი ავიწყდებათ, რომ კვლავაც არსებობს დასაპყრობად გადაშლილი მთელი სამყარო. იმიტომ, რომ...“

- იმიტომ, რომ ამას მიეჩვივნენ.

- სწორედ ასეა. მათ ყველაფერი აქვთ, რაც მოესურვებათ, ამიტომაც თითქმის მთლად გაუქრათ მისწრაფება და სურვილი. ყველა მათი პრობლემა გადაწყვეტილია, ყველა პროექტი - მოწონებული, ყველა მათი საწარმო ყვავის და არ საჭიროებს არავითარ ჩარევას. ისღა დარჩენიათ, ეშინოდეთ ცვლილებების, დადიან ერთი საღამოდან მეორეზე, ერთი ბანკეტიდან მეორეზე - ოღონდაც საფიქრელად დრო აღარ დარჩეთ. ოღონდაც იქ ერთსა და იმავე ადამიანებს შეხვდნენ და თავი დაიმშვიდონ, ყველაფერი ძველებურადაა. რწმენა ცვლის ვნებას.

- გაიხადე, - უთხრა მეგობარმა, რათა რაღაც ეპასუხა.

ჟასმინი წამოდგა, კაბა გაიხადა და ზეწრის ქვეშ შეიმალა.

fb.com/groups/alib

- შენც გაიხადე და ჩამეხუტე, მინდა გიგრძნო - დღეს მომეჩვენა, რომ წასვლის ნებას მაძლევდი.

მეგობარი სინათლეს აქრობს და წვება. ჟასმინი უმალ იძინებს, ის კი კარგა ხანს ფხიზლობს, ჭერს მიშტერებია და იმაზე ფიქრობს, რომ ცხრამეტი წლის გოგონა, თავისი მიამიტობით, ხანდახან უფრო ჭკვიანი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე ზრდასრული, ორჯერ უფროსი, გამოცდილი ქალი. დიახ, როგორც უნდა ეშინოდეს, როგორი სათუოც უნდა იყოს მისი მდგომარეობა, მას ძალაუნებურად მოუხდება განვითარება და გაძლიერება. მათ გაიჩინეს ძლევამოსილი მტერი - ჰ.ჰ., რომელიც, უეჭველია, ყველაფერს იღონებს, რათა ის ოქტომბრის მოდის კვირეულზე არ დაუშვან. უპირველეს ყოვლისა, მოიწადინებს მისი ბრენდის ყიდვას, და რაკი ეს შეუძლებელია, ფედერაციის წინაშე მისი სახელის გატეხას დაიწყებს - ბრალს დასდებს პირობის დარღვევაში.

შემდეგ თვეებში გაუჭირდება, მაგრამ არც ჰამიდ ჰუსეინმა და არც არავინ სხვამ მთელ მსოფლიოში არ იციან, რომ ის ფლობს უძლეველ ძალას, რაც დაეხმარება, გაუმკლავდეს ყოველგვარ სიძნელეს, ეს ძალა მასთან ჩახუტებული ქალის სიყვარულია. მისი გულისთვის ყველაფერს ჩაიდენს - მკვლელობასაც კი. მასთან ერთად ყველაფერს შეძლებს. შეძლებს გამარჯვების მიღწევასაც.

1:55 AM

კორპორაციის თვითმფრინავმა ძრავები ჩართო. იგორი თავის ამოჩემებულ ადგილზე ჯდება და აფრენას ელოდება. ტაბლოზე როცა ქრება - „შეიკარით ღვედები“, იგორი მიდის ბარში, დაუნანებლად ისხამს არაყს და სულმოუთქმელად სვამს.

რაღაც წამებში ცდილობს გაიხსენოს - ნუთუ მართლა მოხდა ეს ყველაფერი? ნუთუ მართლა გაუგზავნა ევას შეტყობინება, რომ მის გარშემო სამყაროს გაანადგურებდა? იქნებ საჭირო იყო, სათქმელი უფრო ნათლად გამოეხატა, გვამის ახლოს დაეტოვებინა ბარათი სახელით ან რაღაც ამგვარი? არა, ეს ნამდვილი უგუნურება იქნებოდა - მაშინ მას სერიულ მკვლელად მიიჩნევდნენ.

ის კი სულაც არ არის მკვლელი: მას ჰქონდა მიზანი, რომლის შეცვლა, საბედნიეროდ, დროულად მოასწრო.

ევას ხსოვნა ადრინდელივით აღარ ტანჯავს, აღარ უყვარს ისე, როგორც უყვარდა, აღარც ისე სძულს, როგორც სძულდა. გაივლის დრო და ეს ქალი მისი ხსოვნიდან საერთოდ წაიშლება, გაქრება მისი ცხოვრებიდან. სამწუხაროა - რამდენი ნაკლიც უნდა ჰქონოდა, საეჭვოა, რომ კვლავ შეხვდეს მისნაირ ქალს.

ის კვლავ მიდის ბართან, ხსნის ერთ ბოთლს და სვამს. როდესმე თუ მიხვდებიან, რომ სხვა ადამიანთა სამყაროები ერთმა, ერთმა და იმავე ადამიანმა გაანადგურა. ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. ის მხოლოდ იმ წუთიერ სისუსტეს ნანობს, რაც გუშინ, დღისით ჩაიდინა - გადაწყვიტა, პოლიციელს ჩაბარებოდა, მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად განსაჯა - ნება დართო დაესრულებინა ნაკისრი მისია.

დიახ, მან გაიმარჯვა. მაგრამ გამარჯვებული მარტო არ რჩება - კოშმარი უკან მოიტოვა და მის ზემოთ მოლივლივე ხშირწარბება ანგელოზი უჩვენებს გზას, რომლითაც დღეიდან უნდა იაროს.

წმინდა იოანეს დღე

19 მარტი 2008 წ.

ბოლოსიტყვაობა

ეს წიგნი არ დაიწერებოდა მრავალი ადამიანის დახმარების გარეშე, რომლებიც, აშკარად თუ კონფიდენციალურად, მაწვდიდნენ იმ ყველაფერზე ინფორმაციას, რაც ამ წიგნშია. კვლევას რომ შევუდექი, საერთოდ არ ვვარაუდობდი, ფუფუნებისა და გლამურის კულისებს მიღმა ამდენ საინტერესო რამეს თუ აღმოვაჩენდი. ჩემი მეგობრების გარდა, ვინც არ მოისურვა მათი სახელების აქ მოხსენება, გულწრფელ მადლობას ვუხდი ალექსანდრ ოსტერვალდს, ბერნადეტ იმაკულადა-სანტოსს, კლოდინ და ელი სააბებს, დავიდ როთკოპფს (ტერმინ „სუპერკლასის“ ხმარებაში შემომტანს), დებორა უილიამსონს, ფატიმა ლოპესს, ფავაზ გრუოსის, ფრანკო კოლონის, ჰილდეგარდ ფოლონს, ჯეიმს უ. რაიტს, ჯენიფერ ბოლინჯერს, იოჰან რეკმანს, იორნ ფოტენჰაუერს, ჯულიეტ რიგალს, ქევინ ჰეიენბერგს, ქევინ კეროლს, ლუკა ბურეის, მარია დე ლურდდეს-დებას, მარიო როსას, მონტი შედოუს, შტეფი ჩერნის, ვიქტორია ნავალოვსკაიას, იასერ ჰამიდს, ზეინა რაფაელს, რომლებმაც ამა თუ იმ ფორმით მიიღეს მონაწილეობა ამ წიგნზე მუშაობაში, თუმცა ეს არ ატარებდა მათთან უშუალო კავშირის ხასიათს, რადგან არასოდეს ვამხელ, რაზეც ვწერ.